

117
367/2

174/2



გეოგრაფიკა

1967-60783333





ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ



მნათობი

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 44-ე

№ 11

ნოემბერი, 1967 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

ღიღობა მატროზიასი ღიღობა პარტიასი	3
გალაკტიონ ტაბიძე — ღრუშები ჩაბრა!	9
ვლადიმერ მიაკოვსკი — ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. ნაწყვეტი პოემიდან. თარგმანი ი.რ. აბაშიძისა	10
კონსტანტინე ლორთქიფანიძე — ორთავალური მითევზები. თავი მოთხრობიდან „ჩემო ვაიანე“	11
ნაზიმ მიქმეთი — ბავშვთა მოგება. ლექსი. თარგმნი ემზარ კვიციანიშვილმა	20
ირაკლი ბახუაძე — ბერძენული კომედიის მიხედვით რუსთა-ს. ლექსი. თარგმნი ბესიკ ხარაძისა	22
სერგო კლდიაშვილი — მათემატიკური ღიღობები და თხზულებები	23
ლუი არაგონი — ქიმიკი. ლექსი. თარგმნი ტარიელ ქანტარიაძემ	30
პავლე ნერუდა — 7 ნომერი. ლექსი. თარგმნი ქანსულ ჩარკვიანიძისა	31
ვიტაზ სპინდოვი — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ხსოვნას. ლექსი. თარგმნი შოთა ნიჭინაიძისა	33
ზორა ვოსკანესიანი — ღიღობა. მოთხრობა. თარგმნი მარია კვიციანიშვილმა	34
კარლო კალაძე — ფრთხილი სიტყვა. ლექსი	44
მარია ბაბუაშვილი — სურათთან. ლექსი	46
ალექსი შანგიანი — ციფრების პაპი — ნისტორ კალანდარიშვილი. პეროიკული ღრამა სამ მოქმედებად	47
ელიზბარ ჯაფარიანი — მოგზაურობა ახლო წარსულში. თარგმნი	72
პრიგორ პაპუაძე — უორნალი. რომანი ორ ნაწილად. ნაწილი პირველი. გაგრძელება.	77

10.365



ოპტომგებარს აღიღებავ

საზღვარგარეთის მფარლები და საზოგადო მოღვაწეები ოპტომგებარს რამდელ-
ცინისა და საზომთა კავშირის შისახება

ზანსარიონ შლანტი — ოპტომგებარი და კართული მფარლობა

თინგი კეშილავა — ოპტომგებარს ზამომახილი საარსულ ლიტერატურაში

112/
116
162

რეკომენდირი შარსულიდან

შარსო ველთანი — 1905 წლიდან დიდ ოპტომგებარში. მოგონება	168
ლ. ზ. ასათიანი — 1905 წლის სვებშიდან. მონაწილის მოგონება	173
ანურ კახანაძე — რეკომენდირი ბროლის ბრთი ბიჭოდი	182

წვენი მხენიარები

არჩილ ხარაძე — ილია ვეკუა	187
---------------------------	-----



მთავარი რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ბ. უდენტი, ა. სულაკაუ-
რი, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, ვ. წულუკიძე,
ო. ტილაძე, რ. ჭაფარიძე, გ. ჭიბლაძე.

რედაქტორი რ. ჩავეტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი,
რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 8-55-11,
პ/მგ. მდივანის — 8-55-18, ვანოფილბერგ-
ების — 8-55-16, 8-55-17, 8-55-20.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/X-67 წ. ქა-
ღალდის ზომა 70x108. ანწყობის ზომა
7 1/4 x 12 1/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12.
პირობით ფორმათა რაოდენობა 16.

უე 02305. ტირაჟი 7.900. შეკვ. № 3660.

საქ. კმ ცკ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.





დიდება ოქტომბერს

დიდება პარტიას

ყოველი დღე საბჭოთა სინამდვილისა აღსავსეა დიადი, ღრმა შინაარსით. ამ კაშკაშა დღეების თანაგარსკვლავედში, საბჭოთა კალენდარს, საბჭოთა მატინეს რომ ამშვენებენ, არის დღეები, თავისი ელფარებით რომ გამოირჩევიან ისე, როგორც ვარსკვლავებით მოჭედვილ, გასხვივოსნებულ ცის კაბადონზე გამოირჩევიან პირველი სიდიდის მნათობები.

ასეთი პირველი სიდიდის მნათობია ათასცხრასამოცდაშვიდი წლის 7 ნოემბერი — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის პირველი დღე, რომლის შესახვედრად ტაბუკური გატაცებით ემზადებოდა საბჭოთა ხალხი, მთელი მოწინავე კაცობრიობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაიწყო ძირეული გარდატეხა ჩვენი ქვეყნის ხალხების ისტორიაში. დაიწყო ახალი ვრცე კაცობრიობის ცხოვრებაში. დიდმა ოქტომბერმა დაამხო და გააცამტვერა ძველი, ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება, გამოიხსნა მშრომელთა მილიონები კაპიტალისტებისა და მემამულეების მონობის უღლისაგან; დამკვიდრა ახალი, ისტორიაში მანამდე არნახული წყობილება — საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება.»

კომუნისტების პარტიამ, ლენინის მეთაურობით, სოციალისტური მეურნეობისა და ახალი სოციალისტური კულტურის შენების ფართო გზაზე გამოიყვანა ჩვენი ქვეყნის ხალხები, დიდი და მცირე ერები.

კაპიტალიზმი ბორკავდა მასების შემოქმედებით აქტივობას, დაუნდობლად თელავდა და ახშობდა სახალხო ტალანტებს, გზას უღობავდა მილიონებს ზიარებოდნენ კულტურას.

წინათ, ამბობდა ლენინი ოქტომბრის წინა დღეებში, ადამიანის გონება და ნიჭი იღვწოდა მხოლოდ იმისათვის, რომ ერთთათვის ებოძებია ტექნიკისა და კულტურის მთელი სიკეთე, ხოლო სხვებისათვის წაერთმია უსაჭიროესი და აუცილებელი — განათლებისა და განვითარების შესაძლებლობა. ამიერიდან ტექნიკის ყველა საკვირველება, კულტურის ყველა მონაბოვარი გახდება საყოველთაო სახალხო კუთვნილებად. ამიერიდან ადამიანის გონება და ნიჭი არასოდეს არ გადაიქცევა ძალადობის იარაღად, ექსპლოატაციის იარაღად.

წვენი ეს ვიცით, და განა არ ღირს, რომ ვიმუშავოთ ამ უდიდესი ისტორიული ამოცანის გადასაწყვეტად, განა არ ღირს მოვახმაროთ მას მთელი ჩვენი ძალ-ღონე. დიას, მშრომელებიც არ დაიზარებენ ტიტანურ ისტორიულ მუშაობას, რადგან მასში მიმალულია რევოლუციის, აღორძინებისა და განახლების უდიდესი მთვლეშარე ძალები.

აღსრულდა ლენინის ეს ბრძნული, გენიალური წინასწარგანჭვრეტა. /

საბჭოთა სოციალისტური წყობილების პირობებში მთელი სისრულით გამოვლინდა ხალხის შემოქმედებითი ძალები, გაიფურჩქნა მშრომელთა მილიონიანი მასების მრავალმხრივი ნიჭიერება, გამომედევნენ ტალანტები მთელი თავიანთი ბრწყინვალეობით. ბორკილაცურილი ხალხი აღმორჩნდა შემოქმედებითი ძალების დაუშრეტელი წყარო. ლენინის პარტიის მიერ დარაზმულმა და აღზრდილმა საბჭოთა ხალხმა სოციალისტებისთვის ბრძოლის მთელი თავისი გამოცდილებით თვალნათლივ დაამტკიცა,

რომ სწორედ მშრომელი მასები არიან ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების შემოქმედნი, ახალი კულტურის მშენებლები.

ნახევარი საუკუნის მანძილზე საბჭოთა ხალხი დაუცხრომლად შრომობდა თავისი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნისათვის და მოიპოვა კიდევ გავლენარი ისტორიული გამარჯვება — ააშენა სოციალიზმი და ამით მთელს კაცობრიობას გაუკავა გზა ახალი ცხოვრებისაკენ, უჩვენა ჩვენი პლანეტის მშრომელებს კაპიტალისტური ჩაგრვის წინააღმდეგ გრანდიოზული ბრძოლის დიდებული მაგალითი.

რევოლუციის ქარტეზილებში შობილი და გამოწრთობილი ახალი ადამიანი თავისი ჭეშმარიტად საკვირველი გმირული საქმეებით იმსახურებს იმას, რომ არა მარტო ჩვენმა ეპოქამ, მომავალმა საუკუნეებმაც უკვდავების პიში უმღეროს მის შემართებას. მართლაც, რა გასაოცარი ამბები არ დაატრიალა საბჭოთა ადამიანმა!

დიდი ოქტომბრის პირველ წლებში რევოლუციური გზებით ანთებულმა შემუსრა კლასობრივ მტერთა და უცხოელ ინტერვენტთა ურდოები, მერე, დაასამარა თუ არა მტერი, მიუჯდა სკოლის მერხს, დაეუფლა მეცნიერების ანბანს, დაასრულა ინსტიტუტები, შეიძინა მშენებელი ოსტატის, ინჟინრის, ტექნიკოსის, აგრონომის და სხვა პროფესიის მაღალი კვალიფიკაცია. შეუდგა თავის მიწა-წყლის გარდაქმნას — აღადგინა ძველი და ააშენა ახალი ფაბრიკა-ქარხნები, ააგო ბუმბერაზი პიდროელსადგურები, მათი ენერჯით ააშუშავა უამრავი საწარმოები, გააჩირაღდა ქალაქები და დაბა-სოფლები; გათხარა წილი, მოიპოვა ნავთი და ნახშირი, უამრავი წიაღისეული მადნეული, ააგო თუჯის და ფოლადის სადნობი ბრძმელები და მარტენები, ავტოტრაქტორების და მანქანათმშენებელი გიგანტები; რკინიგზის მაგისტრალებით და ავტოსტრადებით დასერა თავისი ქვეყნის უკიდვანო სივრცეები, წარმოუდგენელი სისწრაფით აამოძრავა გზებზე ელექტრომავლები და ავტომანქანები; შექმნა ექსპლანატორები და ბულდოზერები, ყამირებს მიუსია ათასობით ტრაქტორები, გაიყვანა ხიდები და აკვედუკები. თვალუწვდენელი სარწყავი არხები, მორწყვა საუკუნეობით ურწყავი ტრამალები; შექმნა დიდი ქიმიკა, ათასფრად ააახსახსა ბამბისა და სხვა ტექნიკური კულტურების პლანტაციებით, წინათ გადამწვარი და გადამრკული უდაბნოები, ბალ-ვენახების და ჩაის პლანტაციებით წალკოტად აქცია ნაჭობარი, მანამდე გამოუდგარი ველები; ცხვრის ფარები და ნახირი მოფინა მთის და ბარის საძოვრებს; ააგო რეაქტორები, ატომის ენერჯით ააშუშავა ელსადგურები და ბუმბერაზი ყინულმჭრელები, დაიპყრო და აითვისა ყინულოვანი არქტიკა და ანტარქტიკა; თავდაცვისათვის შექმნა პირველხარისხოვანი საომარი ტექნიკა; ბუმბერაზი ლაინერებით შეარხია საპაერო სივრცე, ათკვად შეამოკლა მანძილი შორეულ მხარეებსა და ქალაქებს შორის; ააგო სამოქალაქო და სამხედრო ფლოტის უძლიერესი ესკადრილები, რომლებიც მუდამდე სერავენ უნაპირო ზღვებსა და ოკეანებს.

მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე გუკუნებდა ხალისიანი დაუცხრომელი პატრიოტული შრომის სიმფონია, რომელიც არ შეწყვეტილა თვით უძძიქუს სამამულო ომის წლებში, როცა საბჭოთა ადამიანს ცალ ხელში შაშხანა ეჭირა, მეორეთი კი ჩარხს ატრიალებდა ქარხნის დასვეტთან.

და აი, ამ მოუსვენარი და მოუქანცავი შრომის ნაყოფი თუნდაც მარტო ჩვენი რესპუბლიკის მაგალითზე!

საბჭოთა საქართველოში რომ დაბრუნდეს დიდი ხნით სადღაც, შორეულ მხარეში გადახვეწილი ქართველი კაცი, ცხადია, იგი ვერ იცნობს თავის სამშობლო კუთხეს. ნახავს, რომ იგი კვლავ დარჩენილა ცა ფირუხ ხმელეთ ზურ-მუხტ მხარედ, მაგრამ სხვა ყველფერი ძირფესვიანად შეცვლილა და გარდაქმნილა. მას გააოცებს ჩვენი რესპუბლიკის კვლუცი, კეთილმოწყობილი ქალაქები და გამშენიერებული დაბა-სოფლები, ერთმანეთს და დედაქალაქს რომ დაკავშირებინა გუდრო-ნირებული გზატკეცილებით და უამრავი ავტომარშრუტებით. მას გააოცებს, რომ ნაჭაო-

ბარ დაბლობებზე და ხრიოკ ბორცვებზე დღეს გაწოლილან ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები, რომლებიც ჰკვებავენ 240 მილიონიან მოსახლეობას. მას გააკვირვებს ჩვენი კურორტები. მას განაცვიფრებს, რომ საქართველოს, რომელიც ოცნებობდა ჰყოლოდა ოციოდე ავრონომი და ამდენივე ინჟინერი, დღეს ჰყავს მთელი არმია სპეციალისტებისა, რომლებიც საქმიანობენ არა მარტო თავის რესპუბლიკაში, არამედ მოძმე რესპუბლიკებში და საზღვარგარეთაც კი, სადაც გაჰყავთ გზატკეცილები, აგებენ კაშხალებს, აშენებენ სამრეწველო გიგანტებს. სამშობლოში დაბრუნებული ქართველი კაცის გაოცებას კი საზღვარი არ ექნება, როცა შეიტყობს, რომ ქართველი კონსტრუქტორები არიან ავტორები უნიკალური ჩარხებისა და მანქანებისა, ურთულესი ზუსტი ხელსაწყოებისა, ფრთიანი კატერებისა, საშახტე ელმავლებისა, ტელემექანიკური, ავტომატიკური, გამოთვლითი და სხვა კიბერნეტიკული დანადგარებისა; რომ ქართველმა კონსტრუქტორებმა, დამპროექტებლებმა, ინჟინერებმა და მუშებმა მიაღწიეს მანამდე მიუწვდომელს: შექმნეს მსოფლიოში პირველი ჩაისსაკრეფი მანქანა და სამეტალურგო დაზგა-დანადგარი „400“; რომ თბილისის საელმავლო ქარხანაში ქართველი სპეციალისტების და ოსტატების მიერ შექმნილი ზემოდავანი ელმავლები დააქროლებენ სამგზავრო და სატვირთო მატარებლებს ვლადივოსტოკიდან ბრესტამდე და მურმანსკიდან ერევამდე; რომ ქართველი ჰიდრომშენებლები ენგურჰესისათვის აგებენ ზემოაღივ თაღოვან კაშხალს, ფრიად ორიგინალურს და უნიკალურს ჰიდრომშენებლობის პრაქტიკაში; რომ საქართველო რუსთავის ქიმიური კომბინატისა და სინთეტიკური ბოჭკოს, ქუთაისის ლიტოპონის და საავტომობილო ქარხნების, ზესტაფონის ფეროშენადნობის, და რუსთავის მეტალურგიული კომბინატის, თბილისის საელმავლო და დაზგათმშენებლობის და მანქანათმშენებელი ქარხნების სახით, გახდა დიდი ქიმიის, მეტალურგიის და მანქანათმშენებლობის ძლიერი ინდუსტრიული რესპუბლიკა, რომელიც ათასგვარ სამრეწველო პროდუქციას აწვდის საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებს და მსოფლიოს მრავალ ქვეყანას. მაგრამ მარტო ეს როდი შეძრავს შორეთიდან მოსული ქართველი კაცის გულსა და გონებას. ის გაოცდება, როცა ეტყვიან, რომ ფიზიკა-მათემატიკის, ფიზიოლოგიის და მედიცინის, ფსიქოლოგიის და ფილოსოფიის ქართული მეცნიერული სკოლები აღიარებულია მოწინავე სკოლებად მსოფლიოში, რომ მათი წარმომადგენლები სისტემატურად მონაწილეობენ საკავშირო და საერთაშორისო კონგრესების და ფორუმების მუშაობაში; რომ ქართულ მხატვრულ წიგნს, პროზასა და პოეზიას ჰყავს უამრავი მოყვარული და დამფასებელი საბჭოთა კავშირში და მის გარეთ; რომ ქართული მწერლობისა და ქართული კულტურის სრული აღიარება და მაღალი დაფასება იყო რუსთაველის საიუბილეო ზეიმი. სწორედ აქ, რუსთაველის სამშობლოში, გაიმართა საერთაშორისო ფორუმი თანამედროვე პოეზიის პრობლემებზე, ღირსშესანიშნავი ფორუმი, რომელშიც მონაწილეობდა ყველა კონტინენტის 55 წარმომადგენელი. შეიძლება, სიხარულის ცრემლი მოადგეს თვალებზე სამშობლოში ახლად დაბრუნებულ ქართველ კაცს, როცა შეატყობინებენ, რომ ქართული თეატრალური დადგმები და კინოსურათები თავისი იდეური სიღრმით და მხატვრული ხარისხით ხიბლავენ მილიონობით მაყურებლებს, რომ ჩვენი წამყვანი თეატრების გასტროლები სისტემატურად იმართება მოსკოვსა და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, რომ ქართველმა კომპოზიტორებმა და ქორეოგრაფებმა შექმნეს ეროვნული საოპერო და საბალეტო სპექტაკლები, რომლებმაც გზა გაიკაფეს მოსკოვის, საბჭოთა კავშირის სხვა კულტურული ცენტრების და უცხოეთის სცენებზე და მოიპოვეს ძლიერი საერთაშორისო რეზონანსი, რომ ქართულ ქორეოგრაფიულ, ვოკალურ და ინსტრუმენტულ ანსამბლებს და ცალკეულ ქართველ შემხრულებლებს შემოვლილი აქვთ სამი თუ ოთხი კონტინენტი და მუდამ სანატრელი სტუმრები არიან ბევრი ქვეყნისა და ქალაქისათვის;

ნახევარი საუკუნის წინათ, ქართველ მხატვართა რიცხვი თითებზე ჩამოსათვლელი იყო, ახლა ნაყოფიერად შრომობს საქართველოს სამხატვრო აკადემიაში აღზ-

რდილ და დაოსტატებულ ნიჭიერ ფერმწერთა, გრაფიკოსთა, მოქანდაკეთა და კერამიკოსთა მრავალრიცხოვანი პლეადა. მათი ქმნილებანი ამშვენებენ ხელოვნების მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციებს, რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებს, კულტურის დაწესებულებათა დარბაზებს, სანატორიუმების კედლებსა და პლაფონებს, დედაქალაქის ქუჩებსა და მოედნებს.

ქართველი ახალგაზრდობა დიდ ოქტომბრამდეც რუსეთის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის წინა რიგებში იდგა, მაგრამ მაინც განსაცვიფრებელია, რომ სპორტის სარბიელზე საქართველოს, რუსეთის ფედერაციის და უკრაინის შემდეგ, პირველი ადგილი უჭირავს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის; ბევრი ქართველი ტაბუკი და ქალიშვილი სპორტის მთელ რიგ სახეობებში იყვნენ და არიან საკავშირო და მსოფლიო ჩემპიონები და რეკორდსმენები.

ასეთია საბჭოთა საქართველოს და არა მარტო საბჭოთა საქართველოს, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დღევანდელი სინამდვილე.

ასე შეისხა ხორცი საბჭოთა საქართველოს მაგალითზე ლენინის ბრძნულმა განჭვრეტამ: განთავისუფლებული ხალხი დიახაც აღმოჩნდა დაუმრეტელი წყარო შემოქმედებითი ენერჯისა, სახალხო ტალანტებისა.

დიახ ასეა, მაგრამ მოსახლეობით არც ისე მრავალრიცხოვანი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა ენერჯია მაინც არ იქნებოდა საკმაო გიგანტური ამოცანების გადასაწყვეტად დროის ამ მცირე მონაკვეთში. მაშ რა ჯადოქრულმა ძალამ გააკეთებინა ქართველ ხალხს ვეფხისებური გარბენა პრიმიტიულ, სოფლურ საქართველოდან ელექტროფიციარებულ-ინდუსტრიულ საქართველომდე და ნახტომი თბილისის უბადრუკი კონკიდან კომფორტაბელურ მეტროპოლიტენამდე? რასაკვირველია, არა ზებუნებრივმა, მისტიკურმა ძალამ, არამედ ხალხთა ძმობის, ინტერნაციონალური სოლიდარობის და მეგობრობის ლენინურმა იდეებმა. ქართველი ხალხი ქმნიდა და აშენებდა ყველა მოძმე ერის დახმარებით. ყველგან, ყველა უბანზე, ყველა ხარაჩოზე ქართველის გვერდით მუშაობდნენ მოძმე ერთა შვილები.

ლენინის ამ იდეების ძალა არ სჯეროდათ, არ სწამდათ ჩვენს იდეურ მოწინააღმდეგეთ.

1918 წელს საბჭოთა რუსეთში ნამყოფი ერთი უცხოელი მწერალი წერდა: რუსეთი დანგრეული, გაპარტახებული, დამშეული და გაყინული ქვეყანაა. რა უშველის, რა აღადგენს მას? მის ბელადებს ენთუზიაზმისა და მარქსისტული იდეების გარდა, სხვა არაფერი გააჩნიათ, მაგრამ ვერც რევოლუციური ენთუზიაზმით და ვერც შიშველი მარქსისტული იდეებით ორთქლმავლის გათოშილ ღუმელებს ვერ აანთებ და ვერც დამშეულ ადამიანებს დააპურებ.

რა სასტიკად, რა მწარედ დასცინა დრომ, სოციალისტური მშენებლობის ისტორიამ ასეთი აზრების ავტორებს! რევოლუციური მასების ენთუზიაზმით, მარქსისა და ლენინის იდეებით შესაძლებელი ყოფილა თურმე არა თუ ღუმელების დანთება, არამედ ჩამორჩენილი კავიანი რუსეთის გარდაქმნა უძლიერეს ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, და იმპერიალისტური რეაქციის ისეთი ძლიერი ბურჯის გაცამტვერებაც, როგორც პიტლერული ფაშისში იყო.

ამრიგად, საბჭოთა ერებმა მიადღწიეს ეკონომიკის და კულტურის არნახულ აყვავებას. საბჭოთა სოციალისტური კულტურა არის ჭეშმარიტად სახალხო კულტურა, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური, ამით იგი ძირეულად განსხვავდება თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროს კულტურისაგან.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე რუსეთის იმპერიაში შეშავალ ორმოცზე მეტ ეროვნებას არავითარი დამწერლობა არ ჰქონია. ამჟამად საბჭოთა ქვეყნის მკვიდრ ყველა ერს, ყველაზე უმცირეს ტომსაც კი, შესაძლებლობა აქვს იკითხოს,

სწეროს, გამოსცეს წიგნი თავის დედაენაზე, შექმნას თავისი საკუთარი ლიტერატურა, დაეუფლოს მეცნიერების და ტექნიკის მწვერვალებს.

ჩვენი საბჭოთა კულტურა აღიარებს და იცავს ჭეშმარიტად სახალხო დემოკრატიის იდეებს, ერთა, დიდთა და მცირეთა, თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, ჰუმანიზმს და ხალხთა ძმობა-მეგობრობას. თავისი ბუნებით და სულისკვეთებით საბჭოთა კულტურა, თავისუფალი სოციალისტური ქვეყნის ხალხების მიერ შექმნილი კულტურა, უადრესად ძვირფასი და ახლობელია მთელი დემოკრატიული და პროგრესული კაცობრიობისათვის.

ერთერთი უნაყოფიერესი შედეგი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა იყო ახალი, სახალხო, სოციალისტური ინტელიგენციის წარმოშობა. იმ დროს, როცა ბურჟუაზიულ ქვეყნებში ინტელიგენცია შეადგენს კარჩაკეტილ, ვიწრო კასტას, რომელიც კაპიტალის ინტერესებს ემსახურება და ხალხისადმი მტრულად არის განწყობილი, ჩვენი, საბჭოთა ინტელიგენცია უამრავი ძაფით მილიონიან მასებთან არის დაკავშირებული, თავდადებით და უანგაროდ ემსახურება ხალხს და სამშობლოს. საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა განაპირობებს ჩვენი ინტელიგენციის შემოქმედებითი შრომის ძალას და ფართო გაქანებას. საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს თავის მშობლიურ ინტელიგენციას, მის წარმატებებს და მიღწევებს.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების კვალდაკვალ ყალიბდებოდა სოციალისტური საზოგადოების ახალი ადამიანი, ექსპლათაციისაგან, ბურჟუაზიული ცრურწმენებისა და მანკიერი სულიერი გადმონაშთებისაგან თავისუფალი ადამიანი.

დიდ რევოლუციურ ქარტებილებში გამოვლილი და გმირული შრომის ქურაში გამოწრთობილი საბჭოთა ხალხი აღსავსეა უსაზღვრო სიყვარულით თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი, ამყოფს მისი წარმატებით, თავდადებით იბრძვის და შრომობს კომუნისმის დიად ამოცანათა გადასაწყვეტად.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ადამიანმა მედგარი ბრძოლით დაიცვა თავისი სოციალისტური სამშობლოს ღირსება და დამოუკიდებლობა, იხსნა მთელი კაცობრიობა ფაშისტური დამონების მომაკვინებელი საფრთხისაგან. საბჭოთა კავშირი არის ერთი პირველთაგანი სახელმწიფო, რომელიც თანმიმდევრულად, შეუპოვრად იბრძოდა და იბრძვის ახალი ომის გამწაღებელთა წინააღმდეგ, იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ; იგი არის პირველი ქომავი და მოსარჩელე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა კოლონიურ ქვეყნებში. მისი დახმარებითა და ხელის შეწყობით აზიისა და აფრიკის მრავალმა ხალხმა გადაიგდო კოლონიური ჩაგვრის უღელი.

საბჭოთა კავშირი არის იმედი მთელი მშრომელი კაცობრიობისა.

ჩვენი ეკონომიკის, ჩვენი ინდუსტრიის, ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის ძლევამოსილების ამაღლებებელი დემონსტრაცია იყო საბჭოთა ადამიანის გონებით და ხელით შექმნილი პირველი ხელოვნური თანამგზავრების გაშვება და პირველი კოსმოსური ზომადების აფრენა კოსმოსურ სივრცეში. ეს მეცნიერული, ტექნიკური, ფიზიკური და მორალური გმირობა საბჭოთა ადამიანისა, რომელმაც პირველმა გააკაფა გზა კოსმოსისაკენ, მიეკუთვნება არა მარტო მეოცე საუკუნის, არამედ კაცობრიობის მთელი ისტორიის უთვალსაჩინოეს მონაპოვართა რიგს და ცხადყოფს იმას, რომ საბჭოთა ხალხი დგას არა მარტო თანამედროვე მსოფლიოს სოციალური პროგრესის, არამედ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ავანგარდში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, უდიდესი ისტორიული მოვლენა იყო მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა. ამჟამად ამ სისტემის ქვეყნებს უჭირავთ დედამიწის ტერიტორიის ერთი მეოთხედი, აერთიანებენ ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტს და აწარმოებენ მთელი მსოფლიოს სამრეწველო პროდუქციის თითქმის ორ მეხუთედს. გააერთიანა რა ერთ განუყოფელ სოციალისტურ სისტემად ვეროპის, აზიისა და სხვა კონტინენტების ქვეყნები, დიდმა

ოქტომბერმა განუკურნებელი დარტყმა მიაყენა იმპერიალისტურ-კოლონიური ბატონობის მთელ სისტემას. ოქტომბრის ძლევამოსილებამ მისცა უძლიერესი შიშა ერთგულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას მთელს დედამიწაზე და ამით სათავე დაუდო იმპერიალიზმის კოლონიური რეჟიმის რღვევას. საფუძვლიანად შეირყა იმპერიალიზმის პოზიციები მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში, ბოლო მოეღო მის ბატონობას მსოფლიო არენაზე. იმპერიალიზმის საგარეო პოლიტიკა ღრმა კრიზისის მარწმუნებში მოექცა. აშკარა გახდა კაპიტალიზმის ისტორიული განწირულება. კაცობრიობის განვითარების მთავარ შინაარსს, მთავარ მიმართულებას და ძირითად თავისებურებას ამჟამად განსაზღვრავს სოციალისტური სისტემა, ის ძალები, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის.

მშვიდობა და ხალხთა შორის მეგობრობის დამყარება უპირველესი პირობა და საწინდარია სოციალიზმის გამარჯვებისათვის. სოციალიზმი და მშვიდობა გაუთიშავია, განუყოფელია. ამიტომ არის, რომ მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე საბჭოთა ქვეყანა ფიზიკლად იდგა და დგას მშვიდობის სადარაჯოზე და განუხრელად ახორციელებდა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის ლენინურ პოლიტიკას.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა, მუშათა საერთაშორისო მოძრაობის და ერთგულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გაყვანა სოციალიზმის ორბიტზე, ატომური ენერჯის მოპოვება და ჩაყენება მშვიდობიანი შემოქმედების სამსახურში, სარკმლის გაჭრა კოსმოსში უახლოესი ციური სხეულების შესაცნობად და ასათვისებლად — აი, ასეთია ოქტომბრის კოლოსალური მონაპოვარი საბჭოთა ქვეყნის არსებობის 50 წლისთავზე.

ეს ყოველ ჩვენგანში აღძრავს უაღრესი სიამაყისა და სიხარულის გრძობას, რომელიც შემდეგი სიტყვებით გამოხატა საბჭოთა პოეტმა:

კაცობრიობის შევმუსრეთ მტრები
და ძლევის ზარი ავადგუგუნეთ,
გამოვუქედეთ ფოლადის ფრთები
ჩვენს თავს, ჩვენს მამულს, ჩვენს საუცუნეს.

ფოლადის ფრთებით განაგრძობს სრბოლას ჩვენი ქვეყანა და ჩვენი საუკუნე კომუნისმის საბოლოო დამკვიდრებისაკენ მთელს მსოფლიოში.


ამ ურყევი რწმენით ვეგებებით ჩვენ უდიდეს საკაცობრიო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

დიდება ოქტომბერს, დიდება ოქტომბრის გამარჯვებათა სულისჩამდგმელს ლენინის ძლევამოსილ პარტიას!



დროშები ჩქარა!

გათენდა. ცუცხლის მზე აენტო, აკურდა...
დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა...
დროშები ჩქარა!
დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა.
მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს...
დროშები ჩქარა!
დიდება ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრაღ დახვდება მტრის რისხვა-მუქარას...
გათენდა! შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!



ვლადიმერ ილიას

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი

ნაწყვები კომუნისტ

ჩვენი პარტია
ერთიანი
ურაგანია,
მტკიცედ შეკრული
თავის რიგებს
კვლავ რომ ამაგრებს;
ის ისე ჰგლეჯს და
ანადგურებს
მტრის სიმაგრეებს,
როგორც ქვეშეხთა
ურაგანი
ყურის ბარაზებს.
ეული კაცი
ქვეყნად არის
ყვლგამოჭრილი,
მარტოხელობა
ჭამაშიაც
შესაბრალია,
ყველა ძლიერი
მარტოხელას
დაიმორჩილებს,
სუსტებიც სძლევენ,
თუ სუსტები
ერთად არიან.
მაგრამ თუ მტკიცედ
შეკავშირდნენ
ერთეულები,
მოჰკვდი, მტარვალო,
წყველ იყოს
შენი გაჩენა!
პარტია არის
მტკიცე მკლავი
მილიონების,

მუშტად შეკრული,
დამლუწავი
მკლავი მარჯვენა.
მუშათა კლასის ხერხემალი
არის პარტია,
ის ჩვენი საქმის
ხეივანად სწამს
ასიათასებს.
არ მიღალატებს,
არც არასდროს
უღალატნია!
სამეფოების
ბედს განვაგებ
ქვეყნის ჭარტაზე!
კლასის გონება,
კლასის საქმე,
რაც გვინატრია,
კლასის დიდება,
კლასის ძალა —
აი, პარტია.
ტყუპნი არიან
პარტია და
დიდი ლენინი,
ჩვენს ისტორიას
ორივე იგი
ერთგვარად ჰშვენის:
ვიტყვით — ლენინი,
პარტია გვაქვს
წარმოდგენილი,
ვიტყვით — პარტია,
და ვგულისხმობთ
ვლადიმერ ლენინს.



ჩემი ბიანე...

ამბავი ერთი კომკავშირელი ქალისა

ყოველ მოთხრობას, როგორც ადამიანს, თავისი ბიოგრაფია აქვს. ოთხი ათეული წლის წინათ ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში“ დაიბეჭდა ერთი ჩემი დაუმთავრებელი მოთხრობა „პირველი დედა“. ის განზრახ არ იყო დამთავრებული. „რას ფიქრობთ მოთხრობის მთავარ გმირზე, როგორ უნდა დამთავრდეს მისი ამბავი?“ — გავესაუბრე მაშინ ახალგაზრდა მკითხველებს.

ეტყობა, მათ გულზე მოხვდათ ყმაწვილი ქალის ბედი. ბევრი წერილი მივიღე საქართველოს ყველა კუთხიდან. ამ წერილებმა ახალი გეზი მისცეს ჩემს ჩანაფიქრს და გაიანთს ამბავი ჯურ კიდევ ომამდე დავამთავრე, მერე კი როგორღაც ვერ მოვიცალე, რომ ხელნაწერი ერთხელ კიდევ წამეკითხა და დამებეჭდა.

ომიდან რომ დაგბრუნდი, უკვე სხვა ამბავი მაწუხებდა, სხვა ფიქრი მედო გულში, და ასე მიმჩნია ჩემი გაიანთ უკრაინა ჩაკეტილი... ვინ იცის, კვლავ როდისღა მოვიცლიდი მისთვის, რომ შარშანდელ შემოდგომას საავადმყოფოში არ წავეყვანე. იქ, პალატაში, დრო და დრო, ტკივილები რომ დამიყურებოდა, ვკითხულობდი და ვასწორებდი ამ ხელნაწერს და, როგორც იქნა, მოთხრობას საბოლოო წერტილი დავუხვი — სამუდამოდ დავემშვიდობე ჩემი ყმაწვილკაცობის ყველაზე მალეღვებულ ხატებას.

თბილისი, საავადმყოფო.
1966 წელი.

ორთაქალელი მითევზამბი

I

- წვიმს?
- წვიმს, ბატონო.

გოჩამ ამოიოხრა, ვერცხლის კოლოფიდან პაპიროსი ამოიღო, თავი მოუსრისა... მერე უცბად გუშინდელი ფიცი გაახსენდა, უზმოდ თამბაქოს აღარ მოეწევო. პაპიროსი ისევ კოლოფს დაუბრუნა და კედლის ლუმელთან მუხლებჩაკეილ გოგოს მიაჩერდა.

წვიმიანი დილა თენდებოდა. ოთახში

ჯერ კიდევ ლამის ბინდი იდგა, მაგრამ გაიანთე მაშინვე იგრძნო: საწოლში გასუსული გოჩა თვალს არ აშორებდა მას.

გოგო აირია. ლუმელის კარი ძლივს გამოაღო, რომ შიგ ქვანახშირი ჩაეყარა. მისი ყოველი მოძრაობა ახლა ისეთი მოუქნელი და შეკრული იყო, თითქოს ერთბაშად ხელ-ფეხი დაუბუქდაო. ბოლო დროს ასე ემართებოდა გაიანთს, როდესაც ბატონი გოჩა უყურებდა. კაცმა იცოდა ეს ამბავი და ამით თითქოს ერთობოდა. გულში ეცილებოდა, როდესაც თავგზადაბნეული გოგო კარებში ვერ გაეტეოდა, ან კიდევ: ჭიქას

უბეჭდავთ ერთ თავს მოთხრობიდან „ჩემი გაიანთ“.

მაგიდაზე ისე დადგამდა, თითქოს ხელიდან გაუვარდაო.

— სტუმრები დიდხანს დარჩნენ?

— გენერალი და თქვენი თანაშემწე აგერ ახლა წავიდნენ.

— მე კი რა მალე მომეკიდა ღვინო! დეიდა ოღლას უთხარი, ყავა ამიღულოს.

— ახლავე, ბატონო.

გვიანემ ნაცარტუტით საგსე ტაშტს ხელი დაავლო და ოთახიდან ერთ ლანდზე გაუჩინარდა. კაცი ვერ მიხვდებოდა, გოჩას თვალებს გაურბოდა, თუ მისი დავალების შესრულება ენჭარებოდა.

„გამომასუღელა ამ გოგომ! პირდაპირ მრცხენია, ხანდახან ისეთ რამეს გაგიფიქრებ!“ — მოულოდნელად გამოუტყდა თავის თავს გოჩა.

წამოჭდა, ფოსტლებში ფეხი გაუყარა და ფანჯარასთან მივიდა. გაორთქლილ მინას ხელი გადაუსვა. ტალახიან ქუჩაზე მობუზული, ღაზში გახვეული ქალები გადადიოდნენ. ამ ღარიბულად ჩაცმულმა ქალებმა სამინისტროს ცივი და ჩაბნელებული დერეფანი მოაგონა გოჩა კალმახელიძეს. მოაგონა და გული აუშლვრია. მოსაცდელ ოთახიდან ყველა სკამი გაიტანეს, ნთხოვნელი და მომჩივანი მაინც არ მოაკლდა მინისტრის ამხანაგს. თათრის ქალები დილიდანვე იატაკზე დაეყრებიან, აღწავლებულ ბავშვებს დამჭკნარ ძუძუს პირში ჩაუდებენ და, სანამ სამუშაო დღე არ დამთავრდება, ადგილიდან ფეხს არ მოიცილიან. კაცები კი დაღვრემილი და აბოტებენ დერეფანში, დრო და დრო კედელს მიეყუდებიან და ლოდინში დაოსებულ თვალებს შავი ტყავით გადაკრულ კარებს მიაბჯენენ. ეს რომ გაახსენდება, მერე გოჩა კალმახელიძეს სამსახურში წასვლა აღარ უნდა. არადა საშველი არ დაადგა ამ უპირო ზამთარს. ერთი მაინც გამოიძაროს, რომ ეს საწყალი ხალხი გათბეს და მომარაგების მინისტრის ამხანაგის კაბინეტს მოსცილდეს. მარტმა კული მოიქნია, გაუთავებელმა თოვლქყაბმა სული ამოხადა თბილისელებს. ქალაქში ერთი დან-

თება შეშა აღარ იშოვებდა. კოლნეთის ტყეებში თხმელას და წიფელას რა გამოლევდა, მაგრამ რკინიგზის შესვეურებმა ყველა დაუზიანებელი ვაგონბაქანი საღაცა შამქორში გადაჰკარგეს... ვერც შეშა ჩამოიტანეს, ვერც ტყიბულის ქვანახშირი. გაყინულ დაწესებულებაში დილიდან საღამომდე ცხვირის ცემინების მეტი აღარაფერი ისმოდა.

ერთი ბოთლი ნავთი ნახევარი მილიონი მანეთი ღირდა. აქამდე ფურნეში ზეთში მოშუშული ქაღი მაინც იყიდებოდა. ახლა ისიც გამოილია. ჯერ კიდევ ზამთარი საღ იყო, რომ საქართველოს ბელგები პირწმინდად დაცარიელდნენ. მომარაგების სამინისტრომ დიდძალი სიმინდი შეისყიდა რუმინეთში. მარცვალი ბათუმში რომ ჩამოიტანეს, მხოლოდ აქ გაიგეს, სიმინდი პეპლიანი ყოფილაო. მისი ფქვილი გამოსაცხობად აღარ ვარგოდა. ამბობდნენ, ამ საქმეში ვილა-ცილა-ცეებმა ხელი გვარიანად მოითბესო... ასე იყო თუ ისე, იმ წელიწადს ცეცხლის ფასი დაედო პანტას, ჯიჯილაყა-ფხალს, ქინძარს, დანდურს და კიდევ რაღაც ძირხვენებს, პატარა გოგო-ბიჭები ტყეებმა და ქალებში რომ პოულობდნენ. მომარაგების სამინისტრო აიკლო მუშათა დელეგაციებმა. მოდიოდნენ წარმომადგენლები რკინიგზის სახელოსნოდან, თამბაქოს ქარხნებიდან, ორთაქალის დაბახანებიდან, სტამბებიდან... მომარაგების მინისტრის ამხანაგს გოჩა კალმახელიძეს ძაღლის ყბა უნდა გამოება, რომ ეს გაკირვებული ხალხი როგორმე დაემშვიდებინა.

გოჩა კალმახელიძე ქუთაისელი ხეტყის მრეწველის შვილი იყო. ბავშვობიდანვე ფუფუნებაში იზრდებოდა და ახლაც ძალიან უყვარდა, როცა მის გარშემო მაძლარი ხალხი ტრიალებდა. თავზიანი სიტყვა-პასუხი, გახამებული საყელო, მოკრიალებულ პარკეტზე შევროს ჩექმების ჭრატუნი — ეს იყო მისი ცხოვრების კიდე-ნაპირი. ამიტომ გოჩა კალმახელიძეს არაფერი ისე არ ეზარებოდა, როგორც ამ დელეგაციებთან საუბარი. მეტადრე ასეთ წვიმიან დღეს...



ასეთ ამინდში ეს ბეჩავი ხალხი უფრო საცოდავად გამოიყურებოდა. გოჩას კაბინეტში მათ შენობქონდათ წვიმისა და ჭუჭყიანი ტანსაცმლის სუნი, და რაწამს შემოვიდოდნენ, მაშინვე სააღდაც გაჰქრებოდა ის საამო მყუდროება, მინისტრის ამხანაგის კაბინეტში რომ სუფევდა.

ფანჯარას მოშორდა. ერთი-ორი წუთი შუა ოთახში ჩაფიქრებული იდგა და შუბლს ისრესდა, თითქოს რაღაც ფიქრს აღვიძებდა. სასადილო დარბაზიდან ჭურჭლისა და დანა-ჩანგლის ჩხრიალი ისმოდა. წუხელ დიდი წვეულება ჰქონდა გოჩა კალმახელიძეს. „დიდი პატივი დამდეს... ყველა მოვიდა, ვინც კი დეპუტატივე: დამფუძნებელი კრების წევრები — ბიძინა ჩხეიძე და რაყდენ გომართელი, საგანგებო რაზმის უფროსი სპირიტონ კედია. „ერთობის“ რედაქტორი სილია ლაშვი, მეტეხის ციხის უფროსი დუდე კვანტალიანი, მომარაგების მინისტრი ლევან ბერიძე, „ჩემი მინისტრი“, როგორც სიყვარულით იტყოდა ზოლმე გოჩა კალმახელიძე. დიდად საპატიო ხალხმა მოიყარა თავი წუხელ ვარდისფერ დარბაზში.

ლუმელთან მივიდა. ჯერ კიდევ ცივ კაფელს ხელი რომ მიადო, არ ესიამოვნა. ისევ ლოჯინში ჩაწვა და წუხანდელ სუფრას დაუბრუნდა. „ძალიან დაგვატკბო დები წერეთლების სიმღერამ. ის ორთავალელი მეთევზეებიც რა დიდებულ დროს შემოვიდნენ. სუფრას ცოცხალი თევზები სწორედ მაშინ გადააყარეს, თამადა ჩემი მინისტრის სადღეგრძელოს რომ ამბობდა. ერთი თევზი კალთაში ჩაუვარდა აფხაზავას ქალს... რამდენი ვიხუმრეთ ამის გამო!“

გაიანემ ყავა შემოიტანა. რა ჩემი, მიმპარავი სიარული იცის ამ გოგომ. სანამ ფინჯანი სასთუმალთან არ დაუდგა, გოჩამ მისი შემოსვლა ვერ გაიგო.

ცხელმა ყავამ კაკი გამოაცოცხლა.

— შენ კი გაიხარე, ჩემო გაიანე! — სთქვა მან.

გაიანემ ლუმელში ჩაბუთულ ქვა-

ნახშირს მამა შეუტყუჩუნა და ოთახიდან გასვლა რომ დააპირა, **გოჩას** ხმა დაეწია:

— მოიცა, გოგო, პაპიროსი გამითავდა, პილზები დამიტენე.

— გუშინ ერთი კოლოფი იქ შევინახე, ბატონო გოჩა, — გაიანემ წიგნის კარადისაკენ მიიხედა, სადაც გოჩას „აქრძალული ხილის“ სამალავი ჰქონდა მოწყობილი.

— ნიხეშტ! ამდენ სტუმარს რა გადაურჩებოდა! — იცრუა გოჩამ, გაიანეს საქმე გამოუნახა, რომ ის ოთახში ცოტახანს კიდევ დაეტოვებინა.

გოჩას სიამოვნებას ჰკვრიდა, ეს ლამაზი, ჩათქვირებული გოგო მის ახლო რომ ტრიალებდა. ეს კი იყო, ხანდახან კაბინეტში რომ შემოვიდოდა, გაიანეს თან შემოჰყვებოდა ახლადგახეხილი ქვაბების სუნი. სარეცხი სოდისაგან ხელებიც თითქოს მუდამ მოხარშული და შეშუპებული ჰქონდა, მაგრამ...

ეს „მაგრამ“ სახლგარე იყო. ამის შემდეგ გოჩა ფიქრს აღარ გააგრძელებდა. ხანში შესულ კაცს, ორი გასათხოვარი ქალის მამას ასეთი ფიქრი არ შეშვენოდა...

ბოლო დროს გოჩა კალმახელიძე გულს ემდუროდა. „სანამ მესამე სართულზე ამოვალ, სამჯერ უნდა შევისვენოო!“ იტყოდა ხანდახან. ამიტომ ქალბატონმა ოლინკამ თამბაქოსა და მაგარი სასმელის ულუფა შეუმცირა მინისტრის ამხანაგს. დღეში ხუთი ცალი პაპიროსი და ერთი ჭიქა კონიაკი დაუწესა. ეს კი, რა თქმა უნდა, გოჩას ეცოტავა, გაიანეს გაენდო და წიგნების კარადაში „აქრძალული ხილის“ მარაგი გაიჩინა. ჩუმჩუმად კონიაკსაც სვამდა და თამბაქოსაც ხარბად ეწეოდა.

რა გინდ პატარა არ უნდა იყოს საიდუმლო ამბავი, იგი მალე აახლოვებს ადამიანებს. გაიანეს ეამაყებოდა, რომ გოჩამ ასეთი ნდობა გამოუცხადა და იმ ფარული საწყობის დიასახლისობა დააკისრა. თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, კაცის მალული მზერა და გადაკრული

ლაპარაკი ჯერ ისევ აფრთხობდა ყმაწვილ ქალს.

ქალბატონ ოლინკას არ გამოეპარა ეს ამბავი. ერთი-ორხელ დვალი შეასწრო, რომ გოჩა ცოტა სხვანაირად უყურებდა კაბინეტში მოფუსფუსე გაიანეს. „ძალიან კი გიბრწყინავს თვალები, ვაჟბატონო!“ გაიფიქრა ქალბატონმა ოლინკამ. მართლაც, გოჩას გაბრწყინებული თვალები თუ არა, ქალბატონ ოლინკას შეიძლება ჯერაც ვერ შეემჩნია, რომ ეს გაწრიპული გოგო ამ ერთ წელიწადში უკვე დაქალბუღილიყო და ხორციით ისე აესებულებო, თემოსთავებზე კაბა გადასკდამოდა.

„როგორ გაკეთებულა ეს სასიკვდილე!“ გულში შეიცხადა ქალბატონმა ოლინკამ და იმ დღიდან თვითონაც გაიწვარა სიცოცხლე და არც გაიანეს დააყენა კარგი დღე. ხნამალა სიტყვა არ დასცდენია, მხოლოდ ის ეჭვი გულიდან ვერ ამოიღო. გოჩა კალმახელიძე დიდი კაცი რომ გახდა, ოლინკასაც ათასი საზრუნავი გამოუჩნდა. მინისტრის ამხანაგის მეუღლეს ხშირად იწვევდნენ საქველმოქმედოდ გამართული ალგერა-სეირნობის დიასახლისად, ხან კიდევ დილიდან საღამომდე ქალაქში დაჰქროდა და ნაცნობ-მეგობრებში ლატარიის ბილეთებს ასალებდა. ოლინკას ძალიან უყვარდა ასეთი ამბები. ახლა კი ნდგომარეობა შეიცვალა. ოლინკამ რაღაც ავადმყოფობა მოიგონა და როცა გოჩა შინ იყო, სახლიდან ჯოხით ვერ გაავდებდი. ასე ეგონა, მისი ქმარი და გაიანე მართო რომ დარჩებიან, საშინელ ამბავს დაატრიალებენო. ეჭვიანი ქალის ფანტაზიას საზღვარი აღარ ჰქონდა. ხანდახან ისე ცხადად წარმოიდგენდა, თუ როგორ ეხვევოდა გოჩა მოახლე გოგოს, რომ ოლინკას გულის წვეთები უნდა დაეღია. ესმოდა, სულ ესმოდა რანაირი სიტყვებს ჩასჩურჩულებდა ეჭრში; ხედავდა, სულ ხედავდა, როგორ ინაზებოდა ის კახბი კაცის ალერსიან სიტყვებზე...

ალიონზე საწოლიდან ახლადამდგარ, გადაბრიალებულ გოგოს რომ დაინა-

ხავდა, ქალბატონ ოლინკას სიკვდილი უნდოდა იმ დღეს.

— რას გადმოგიყვრია, შე ძროხა, ეს დასანიწებელი ძუძუები! ხომ ხედავ, ვერ ეტყვი მაგ კაბაში! გამოიცვალე ახლავე! — მივარდა ერთხელ გაიანეს და თავისი გამონაცვალის ხალათი მიუგდო.

სააღდგომოდ ოლინკას უმცროსმა ქალიშვილმა ძველი კაბა აჩუქა მოახლეს. კაბა ცოტა სრული მოუვიდა გაიანეს და მისი გადაკეთება მოინდომა; ოლინკამ დაუშალა, თუ გინდა ასე ჩაიცვი, არა და თავი გაანებო.

აშარი დედაკაცი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ გაიანეს ლამაზი სხეული ამ ნახვისარ, მოფლამულ კაბებში დემარხა.

თბილისის ქვებში ზაფხულის პაპანება რომ ჩავუბღებდა, გაიანე გრძელსახელოებიან კოფთას ვერ გაიხდის, გულისპირს ვერ შეიხსნის, რომ მისი ბამბასავით თეთრი მკლავები და ყელკისერი გოჩას თვალში არ მონდეს. „გავაგდებ სახლიდან და მორჩა!“ ფიქრობს ქალბატონი ოლინკა, ფიქრობს და ვერ აკეთებს. შარშანწინ, სანამ გაიანეს იპოვნინდა, ხუთი მოახლე ზედიზედ გამოიცვალა კალმახელიძის ოჯახში. ერთმა კერძის კეთება არ იცოდა, მეორემ იცოდა, მაგრამ ისეთი პელენწუქა ქალი იყო, იმის ვაკეთებულ საქმელზე გული არ მიგვიარდებოდა. მესამე ისე დამლაყუნობდა ოთახებში, ოლინკა შიშისაგან აღარ იყო: აგერ ამას წამოედება და დამინტერესოს... მეოთხე გოგო კი წუწკი გამოდგა. „შაქარსა და ნიგოზს რომ თავი დავანებო, ტყლაპი ტყემალი აღარ შემარჩინა ოჯახში!“

ჩუმი, უენო და გამგონი გაიანე პირდაპირ ციდან ჩამოვარდნილი წყალობა იყო. რა არ იცოდა ჩვიდმეტი წლის გოგომ! რაც ის კალმახელიძის ოჯახში შემოვიდა, ქალბატონმა ოლინკამ შეგებით ამოისუნთქა. ერთხელ რომ ეტყოდი ან გაუსწორებდი, ეს ასე უნდა, ის ასეო, გამეორება საჭირო აღარ იყო. შერედა ქტევას დაუწუნებდი, სიარულს თუ

სიტყვა-პასუხს! სუფრაზე დასვამდი და — დანა-ჩანგალს ვერ იხმარდა, პირის წკაპუნს გაიგონებდი თუ რა... მისი შემხედვარე ვინ იტყოდა, მეკურტნის ქალიაო. ასეთი ნანატრი მოახლე ნუთუ სახლიდან მხოლოდ იმიტომ უნდა გავეგლო, რომ მისი გამოტვივებული ქმარი თვალებს უეჭუეუნებდა.

პირველ დღიდანვე გაიანე მაისურაძე ყველას მოეწონა კალმახელიძის ოჯახში. მეტადრე გოჩას მოხუცებულ მშობლებს. გაიანემ მალე მოიგო მოხუცების გული და მათაც შეილივით შეითვისეს ყურადღებიანი გოგო. მხოლოდ ოლინკას უფროსმა ქალიშვილმა, ხანგადასულმა საპატარძლომ, სასტიკად ათვალაწუნა შნოიანი გაიანე. ვაზაში ყვავილი რომ ჩარჩება და უწყლოდ დასკვნება, სწორედ ასე მოსჩანდა ციციხო თავისი ლანაზი მოახლის გვერდით. ამიტომ საშველს არ აძლევდა ყმაწვილ ქალს: „გოგო, ეს მომიტანე, გოგო, ეს წაიღე!“ წამდაუწუმ ისმოდა მისი მკივანა ხმა. კიდევ კარგი, ნახალწლევს ვიდაცნ ქალაქში ხმა გაავრცელა, გოჩა კალმახელიძეს ვაჭრობის მინისტრის პორთფელს აძლევდნო. ვაზაში ჩარჩენილ ყვავილს მეორე დღესვე მაქანკალი მოუვიდა.

ქორწილის ღამეს, სტუმრები რომ დაიშალნენ, ვილაც მთვრალი მაყარი გაიანეს საკუქნაოში შეიპარა და მძინარე გოგოს ებღღვნა.

— ვიკივლებ... მთელ სახლს გავაღვიძებ! — წამოვარდა გაიანე.

— იკივლებ და, იცი, რას ვიტყვი? თვითონ შემიკვეთა-თქვა! ხვალვე დაგიტხოვენ აქედანი აბა! — დაემუქრა კაცი.

გაიანეც გაჩუმდა და მთელი ნახევარი საათი ასე ჩუმად ებრძოდა მოძალადეს, სანამ ხელიდან არ გაუხსლტა და ეზოში არ გაეპარდა. რამდენი ასეთი დამცირება და შიში გადაიტანა გაიანემ ქალბატონ ოლინკას ოჯახში. ყველა მთვრალი და ოხერი მისკენ მიიწევდა საკონცელად, მაგრამ გაიანეს არასოდენს კრინტი არ დაუძრავს. ეშინოდა, სახ-

ლიდან დამითხოვენო. იმ დღი შიმშილობის დროს კი აბა ასეთი ადგილის დაკარგვა იქნებოდა... ასე შედგენად ცხოვრობდა გაიანე, რომ ანლა ქალბატონი ოლინკაც გადაეკიდა. „რატომ, რა დაუეშავე?“ უეშმაკო გაიანეს პასუხი ვერ ეპოვნა. დიასახლისის გული რომ მოეღბო, დილიდან გვიან ღამემდე მისი ხელების ვაჩერება არ იყო. ორივე ცოლ-ქმარს თვალბში შეკუყრებდა, რით ვასიამოვნოო, თუმცა მისი ასეთი მონდომება და გულმოდგინეობა ქალბატონ ოლინკას ეჭვს უფრო აძლიერებდა. გაიანეს დამფრთხალი გამოხედვა მას თავისებურად ესმოდა და მოახლეს გასაქანს არ აძლევდა. როცა ქმარი შინ იყო, გაიანეს ხან უთოზე დააყენებდა საკუქნაოში, ხან კიდევ საკერავს გამოუძებნიდა, რომ უსირცხვილო კაცმა გოგოს თეთრ მკლავებს არ უტკიროსო. გოჩას გასაგონად კი სიტყვას არ ამბობდა. თავმოყვარე ქალი სხვებსაც უმაღავდა თავის ჭირვარამს. აბა რა სათქმელი იყო, მიქელაძის ქალი ვილაც რაქველი მეკურტნის გომბიოზე ექვიანობსო...

ახალწლის წინა ღამეს ნობდა ერთი ამბავი, რამაც ქალბატონ ოლინკას ის გოგო სამუდამოდ შეაძულა. ყოველ შაბათ საღამოს კალმახელიძის მეუღლეს სამინისტროს ეტლი მოაკითხავდა, რომ ოლინკა და გაიანე გოგილოს აბანოში წაეყვანა. გაიანე ქალბატონს დაბანდა, თმას დაუეარცხნიდა, ფეხებზე ფრჩხილებს დაქნიდა. მერე, სანამ წინა ოთახში ოლინკა ჩაიცვამდა და ფერ-უშარილს წაიცხებდა, გაიანე ხელდახელ ტანზე წყალს ვადაივლებდა. ქალბატონი ოლინკა არასდროს არ დაჰკვირვებია, მის მოახლეს როგორი ტანი და ფერ-ხორცი ჰქონდა. ცხელი ორთქლით საგვე აბანოში გაიანე მთლად შიშველი არც უნახავს. მორცხვი გოგო ტანზე პერანგს დაიტოვებდა და ქალბატონს ისე დაბანდა ხოლმე. იმ საღამოს კი ოლინკამ პერანგიც გაახდევინა და მისი ჩამოსხმული ტანი რომ დაინახა, ზაფრა მოერია. „გამოტვივებულ გოჩას კი არა, მამა-

ღმერთს შეაცდენს ეს გონიბიო!“ — გაიფიქრა ოლინკამ. ერთბაშად, ერთი გამოქროლებით მხეცურმა სურვილმა შეაპყრო და კანკალი დააწყებინა: „ავიღებ ამ ვედროს და თავს გავუხეტივ! მოვკლავ! დავახრჩობ!“ გაიანეს მოეჩვენა, ოლინკამ რაღაც მითხრაო. — წყალი გინდათ, ქალბატონო? — ჰკითხა მან. — სიკვდილი მინდა, ჩემი სიკვდილი! — ამოიკვნესა ოლინკამ. გაიანე არ მიიკარა, თვითონ ჩაიცვა და სუფთა პაერზე გავარდა, რომ იქ სული მოეთქვა და ცოტა დამშვიდებულიყო. მაგრამ ავიფიქრი ერთხელ ნებაზე რომ მიუშვა, მერე ლაგამი ვედარ ამოსდო: „ამიტომ შემოძულა გოჩამ!“ დაასვენა მან და თვალისწამში გაიხსენა ყველა ის ღანე, როდესაც ალერსსმოწყურებულ ოლინკას ქმარი ზურგს შეაქცევდა და ხვრინვას ამოუშვებდა...

გაიანე ლომბერის მაგიდას მიუჯდა, უჭრიდან თამბაქოს კოლოფი ამოიღო და პაპიროსის ჰილზები ამოალაგა.

— მომკლავს დეიდა ოლინკა, ახლა რომ შემომისწროს — სთქვა მან.

— ორივეს მოგვკლავს და ბარემ ერთად გავგასვენებს! — გაიცინა გოჩამ.

— გუშინ ძალიან გამოწყრა, კაბინეტში რას დაბუჯურობ, შეხვალ და გამოსვლა გავიწყდებო. გაკეთებას ვერ ვასწრებ, იმდენ პაპიროსს ეწვევით, ბატონო გოჩა!

— დარდმა იცის, ჩემო გაიანე!

გაიანემ ჩუმად ჩაიცინა: დარდი და ბატონი გოჩა?!

— არ გჯერა ხომ? — ვითომ იწყინა გოჩამ.

— მე კი მჯერა, ბატონო გოჩა, მარა იმას რომ არა სჯერა?

— ვის, გოგო?

— ინას, ბატონო. — გაიანემ კედლისკენ გაიშვირა ხელი.

გოჩამ მიიხედა და მოვარაყებულ სარკეში თავისი გაბადრული პირისაზე რომ დაინახა, თვითონაც გაიცინა.

— სარკეს რა მკუთა აქვს, გოგო! ლა-

მაზი მიცვალებული არ გინახავს? — უიმე, დედა რას ამბობთ, ბატონო გოჩა, სიკვდილს რა უნდა თქვენთან!

— რა ვიცი, ამ საკმელ-სასმელს კი მიკრძალავენ და... ამასწინათ ექიმმა იცი რა მითხრა? ყველაფერს კიბე ვიშვრება, ბინა უნდა გამოიცივალო...

— თქვენისთანა კაცმა დიდხანს უნდა იცოცხლოს, ბატონო გოჩა. ამიტომ ზრუნავენ და გეფერებიან!

— შენ რომ არ გეცოდები, გოგო?!

— მე-ე? — გაიანე დაიბნა, სიტყვა ვერ იპოვნა.

— ჰო, შენ? აბა სხვა ვინ მაძლევს ამდენ საწამლავს!

— თუ ასეა, აბა დღეიდან დავკეტივ იმ საწყობს!

— არ დამლუპო, გაიანე! მაშინ მართლა ამომხდება სული.

უყვარდა გოჩა კალმახელიძეს ასეთი უხაკველი ლაილია გაიანესთან. იგი თითქოს ისვენებდა ამ შატაბუტა ლაპარაკის დროს და თვითონაც ვერ ატყობდა, რომ მისდაუნებურად თავს აწონებდა ლამაზ მოახლეს.

— აბა გაიხედე, ეტლი თუ მოვიდა!

გაიანემ დატენილი ჰილზები ვერცხლის კოლოფში ჩაყარა, მაგიდა მოასუფთავა და წაეიდა. გოჩამ კი ხელდახელ ჩაიცვა; მან უკვე იცოდა, დღეს სამინისტროში აღარ წავიდოდა. სილიას და ბიძინას ნამცეცობაზე დაუძახებს და ამ წვიმიან დღეს ტკბილად დაალამებენ.

დერეფანში ზარმა გაიწყრილა. სადარბაზო კარი გააღეს, გარედან შენოვარდნილ სიცივეს ფეხების ფრატუნნი და ხეულემა შემოჰყვა.

— ვინ არის!

— მე ვარ, გოჩა, შეიძლება?

— ბიძინა, შენი ჭირიმე, ნამდვილად გულში მიჭექი! — გოჩა გახარებული მივარდა სტუმარს, გაკეცილი სველი ქოლგა ხელიდან გამოსტაცა და კახხაზე ჩამოჰკიდა: — შენთან მოვდიოდი ახლა. გახვალე, ვახვალე, რაღას უყურებ! ოღლა, გენაცვალე, აბა ერთი ბუხართან პატარა სუფრა გავვიშალე. გაი-

ანე, ჩაირბინე დაბლა და მეეტლეს უთხარი, სილია მომიყვანოს.. სილია ლაშხი! გოჩას გული გაუხდა ცუდად და შენი ნახვა უნდა-თქვა, ასე უთხრას! მომეცი, კაცო, ეს პალტო!

სტუმარი ისევ კარებში იდგა და აქოთქოთებულ ნასპინძელს პალტოს არ ანებებდა.

— არა მცალია, გოჩა, ვერ დავრჩები!

— რა მოგივიდა, კაცო! ოთახში მანც შემოდი!

სტუმარი სასადილოში შეაგდო და ოლინკას თვალი ჩაუკრა, აბა შენებურად დაფაცურდიო.

— იცი, ბიჭო, წვიმა რატომ მიყვარს?

— ვიცი, ჩემო გოჩა, ყველაფერი ვიცი, მხოლოდ ერთი რამ ვერ გამიგია: ეს ვინ ჩამიდო პალტოს ჯიბეში! წაიკითხე და დასტკბი! — სთქვა სტუმარმა, ჯიბიდან ოთხად გაკეცილი მოყვითალო ქალაღი ამოიღო და გოჩას გაუწოდა.

...მწვევებმა ვერაგულად გაჟიფეს მშრომელი ხალხი, სისხლის მორევში ჩაახრჩვეს ღერხუმის აჭანება და საქართველოს საუკეთესო შვილები მეტეხის ციხეში გამოკეტეს. მაგრამ მსოფლიო ბურჟუაზიის ლაქიებს დიდი დღე არ უწერიათ, მალე დარეკავს შურისძიების ვაში...

პროკლამაცია რომ ჩაიკითხა, მერე თვალი ვერ ნოსწყვიტა ბოლო სტრიქონს: საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაცია სპარტაკი.

— ლაწირაკები! ბეჭდონ და იკითხონ მეორედ მოსვლამდე! თუ ძმა ხარ, ახლა ხასიათს ნუ გამიფუჭებ! ისედაც მომშალა ამ თოვლჭყაბმა. არ გვია, შე კაცო?

კაბინეტიდან ლომბერის მაგიდა გამოაზრინა და ბუხართან დადგა. მერე უცბად ისევ სტუმარს მიუბრუნდა.

— კი ნარა, შენს ჯიბეში რა უნდოდა ამას?!

— ამიტომ შეგაწუხე ასე აღრიანად. წუხელ აქედან პირდაპირ შინ წავედი, გზაზეც არაფერი შემხვედრია, რომ კაცმა სხვა რაღაცა იფიქროს! ამ დილით კი,

სოფიკო პალტოს რომ მიწმენდა, ხელში ეს ქალაღი მოხვდა!

— იქნებ ქუჩაში იპოვეს... კაცო, აბა აღარ გახსოვს! ამასწინათ მთელი ვრევნის მოედანი პროკლამაციებით გადაათეთრეს...

— არა, გოჩა, არც ისეთი მთვრალი ვიყავი!

— აბა ნისით ჩაგიფრინდა ჯიბეში?! ნამდვილად არ გახსოვს, ჩემო ბიძინა! აბა მითხარი თუ გახსოვს, წუხელ რა ამბავში იყავი წერეთლის ქალთან? შენი ბედი, სოფიკო აქ არ იყო, თორემ...

კაბინეტიდან ტელეფონის წკრიალი მოისმა.

— ოლინკა, გახადე პალტო ამ ურჯულს! — გასძახა გოჩამ და კაბინეტს მიაშურა.

მალე იქიდან გოჩა კი არა, მისი ლანდი გამოვიდა. ყოველ შემთხვევაში, ბიძინას ასე მოეჩვენა, როდესაც გაფითრებული, მხრებჩაანოყრილი მასპინძელი სასადილო დარბაზში დაბრუნდა.

— რა მოხდა, კაცო, ვინ იყო!

— კელიამ დამირეკა, ასეთი პროკლამაცია მასაც უპოვნია პალტოს ჯიბეში!

— ნუ მეუბნები! — შესძახა ბიძინამ: — მე თუ გინდა არაფრად ჩამაგდეს, ერთი საწყალი ბანკის თაფმჯლომარე ვარ და ჩემი არავის ეშინია! კელიას კი როგორ გაუბედეს, პირდაპირ საკვირველია!

გოჩა გაოგნებული მისჩერებოდა ბუხარში გამხიარულებულ ცეცხლს. ჯერ ისევ ყურებში უწიოდა საგანგებო რაზმის უფროსის სპირილონ კელიას სიტყვები: „მინისტრის ამხანაგმა უნდა იცოდეს, მის ოჯახში რა ხდებაო“... გოჩამ კი წვეულებაზე ღვიძლი ძმაც არ დაჰპატიჟა, მთავრობის ხალხში უცხო არაფერი გაურია, რადგან დიდკაცებს როდი უყვართ, როცა მათ ნადიმს უბრალო მოკვდავები ესწრებიან.

ტელეფონმა ისევ დარეკა. დღღე კვანტალიანი იყო, მეტეხის ციხის უფროსი.

— გესნის, გოჩა! — ხრიალებდა ყურმილში მისი ნაღვინევი ხმა: — წელან კედლამ დამირეკა და მკითხა, შინელის ჭიბეში ხომ არაფერი გიპოვნიაო... ჰო, ტყუილი ვერ ვუთხარი! მიკვირს, ღმერთმანი, შენს სახლში საიდან გაჩნდა ამდენი პროკლამაცია?! —

— რა გითხრა, ჩემო დუღე, მე თვითონ ჰკუთხე აღარა ვარ!

...ყურმილი ჩანოკვიდა. ამდენი პროკლამაციაო! ეტყობა, კედლამ ყველას დაურეკა! რატომ ენა არ გამიხმა, როცა იგი ვახშმად მოვიწვიე...

მალე სილია ლაშვიც მოვიდა. ხელში მასაც მოყვითალო ქალღალი ეჭირა. „ვისი პალტოც ეკიდა დერეფანში, ყველას ეს ნობათი ჩამოურეგა ვილაც მუღრეგმა!“ გაიფიქრა გოჩამ.

გაზეთ „ერთობის“ რედაქტორი სილია ლაშვიც მეტად გამხდარი და დაბალი ტანის კაცი იყო. დამფუძნებელი კრების ტრიბუნაზე რომ დადგებოდა, მხრები თითქმის აღარ უჩანდა. ამიტომ შარშან საგანგებოდ შეაკერინა მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელი. სამაგიეროდ, გაზეთის რედაქტორს ხმა ჰქონდა ძალიან მკვეთარე. ყველას უკვირდა, ამ ნამღვრა კაცის ყელიდან ასეთი ჰეჰე-ქუხილი რომ ამოდიოდა.

— მეტი თავგებობა შეიძლება, ბატონებო! — იგი მუდამ ისეთი რიხით ლაპარაკობდა, თითქოს ტრიბუნაზე იდგა: — დღეს ჭიბეში პროკლამაცია ჩამიდეს, ხვალ სასთუმალში ბომბს ამომიდებენ! ამ დროს რას უყურებს ჩვენი საგანგებო რაზმი?! —

„რას უყურებს?“ — გოჩამ ამოიოხრა და ბიძინას შეხედა. ბიძინამ თავი გააქნია, გაჩუმდი, არაფერი წამოგვდესო. რაც არ უნდა იყოს, სილია ლაშვიც ყოველისშემძლე კედლას დაყენებული კაცი იყო და მასთან საგანგებო რაზმის უფროსის ძვირი არ ითქმოდა. „რას უყურებს და... ქვეყანას შეკურის, კალნაბელიძის ოჯახში ბოლშევიზმის ბუდე აღმოვაჩინეთო. ვიცი, სად უმიზნებს უფალი სპირიტონ კედლი. მთავრობაში ფედერალისტებს ორად-ორი პორტფელი

დაგვითმეს და ახლა ამასაც კბილებს უკრევენ, იქნებ ხელიდან გამოგვცალკეთო... კი მარა, მაინც ვინ გამოგვრეკავს, ვინ იყო ის გველის წიწილა!“

უცხად რალაც გაახსენდა, დერეფნის კარი გააღო და საკიდარს მივარდა, თავის ყავისფერ პალტოს გარე ჭიბეები ამოუბრუნა. ერთში მხოლოდ ხელთათმანები აღმოჩნდა, მეორეში — გაზეთი და სადარბაზო გასაღები. უბეს მოუსვხელი... „არც მე დამწყვიტეს გული!“ მწარედ ჩაიციხა და მოყვითალო ქალღალი ისე ამოაძვრინა, თითქოს ხელში ორი თითით ცინდალი აიყვანაო.

— ოლინკა!

— ახლავე, ახლავე! აგერ ხაჭაპურებს ვავაცხელებ და დაგიძახებთ!

— გაგაცხელა ჩემმა გამჩენმა!

— დაწყნარდი, გოჩა, ყველაფერი გამოირკვევა! — უთხრა ბიძინამ.

— რა გაყვირებს, კაცო, ბაბუკას გააღვიძებ! წუხელ ფეხზე ჩამოწყდა საწყალი გოგო!

— ძალიან შეგაწუხეთ, ქალბატონო ოლინკა! — სთქვა სილიამ.

— მეტი არ შეგაწუხათ მტერმა, თქვენზე უკეთესი ვინ მომივა ოჯახში! შენ კი მიყურე, ბიძინა, თუ სოფიკოს არ მოვახსენო ყველაფერი! Настоящий Дон-Жуан! არ ვიცოდი!

— გამოგონე, ოლინკა, წუხელ ჩვენთან ხომ არავინ მოსულა?

— რას მეუბნები, გოჩა, სუფრას თქვესმეტი კაცი უჭდა!

— არა, უცხო თუ შემოვიდა ვინმე? დღეში ათასი მთხოვნელი და ოხერი მოდის!

— მე არავინ მინახავს. რატომ მეკითხები?

— მერე გეტყვი. ახლა კი გაიანეს დამიძახე...

დაძახებას აღარ მოუცადა, თვითონვე გაეარდა საშარეულოში.

— რავა არ მახსოვს, ბატონო! — უთხრა გაიანემ: — ჯერ ფოსტალიონმა დეპეშა მოიტანა, ხელი კარებში მოგუწერე, დერეფანში არც კი შენოსულა.

მერე ჩვენი მეეტლე მოვიდა, ბორჯომის ბოთლები წაიღო. სახლში არც ის შემოვეუშვი. ფეხები ჰქონდა ტალახიანი. ნაშუალამევს კი მეთევზეები მოგვადგნენ, კარის გაღება არ მაცალეს, სველი ბუშლატები დერეფანში დაჰყარეს და პირდაპირ თქვენთან შემოცვივდნენ. სხვა გარეშე არაფერი ყოფილა!

„ნუ თუ მეთევზეებმა გამიკეთეს ეს ოინი?! კი, ნამდვილად ასეა. ორთაჭალელი კინტო რას არ იკადრებს! სპარტაკელებმა მოისყიდეს ის ვირიშვილები და ოჯახში შენომიგზავნეს! არად ჩამავდეს ხომ! ვინანებ თუ კაცი ვარ!“

— ნამდვილად ორნი იყვნენ?

— ორი, ბატონო.

— თუ იცნობ რომელიმეს, სადმე რომ შეგხვდეს?

— ერთი წითური ბიჭი იყო, ძალიან ჭორფლიანი. იმას მოხარშულს ვიცნობ! მეორეს კარგად არ დავკვირებებივარ, მხოლოდ ეს კი შევამჩნიე, წინა კბილები ოქროსი ჰქონდა. მე იმათ სულ ფეხებზე მივჩერებოდი, იატაკი არ დამისვარონ-მეთქი.

არ გასულა დიდი ხანი, საგანგებო რაზმის გადაცმული აგენტები თითო-ოროლად გამოვიდნენ ვერის დაღმართზე წამოყუდებულ შენობიდან და რიყი-

საყენ მიმავალ კონკას გაჰყვნენ, ისინი წუხანდელ მეთევზეებს ეძებდნენ.

ის მეთევზეები კი, ალექსი თოთიაური და ვალოდია ორაგველიძე, ამ დროს არსენალის გორაზე დეიდა კატოს სარდაფში ისხდნენ და ამხანაგებს წუხანდელ ამბავს უყვებოდნენ.

ყველამ იცის ორთაჭალელი მეთევზეების ზნეჩვეულება: მთელი დღე მტკვარში ბადესა შლიან, საღამოს კი თევზით სავსე ვედროს ხელში დაიჭერენ და თბილისის ქუჩებს გაუყვებიან. ისინი ყველგან თამამად შედიან, სადაც კი დაფა-ზურნის ხმას გაიგონებენ. სუფრას მტკვრის ცოცხალით დალოცავენ, ოჯახს გაახარებენ და ისევ თავის გზას გაუდგებიან.

სწორედ ამ ჩვეულებას დაენდო ალექსი თოთიაური, როდესაც შეატყობინეს — კალმახელიძის ოჯახში სპირიდონ კედიაც იქნებაო. ბიჭებმა პროკლამაციის ბეჭდვა რომ დაამთავრეს, მერე ორთაჭალაში გავიდნენ. აქ ყველაფერი იშოვეს, რაც საჭირო იყო და ნაშუალამევს წვეულებაზე გამოცხადდნენ. დერეფანში ვალოდია ორაგველიძემ მოახლე გოგო ლაპარაკით შეიყოლია, თოთიაურმა კი პალტოებს ჩამოუარა და თითო „საჩუქარი“ ყველას დაუტოვა. ასე იძია შური პატარა მოხევემ დეიდა კატოს ბინის დარბევისათვის.



ნაზიმ ჰიკმათი

გ ა მ ო თ ხ ო ვ ე ბ ა

(1924 წელს, საბჭოთა კავშირიდან გამგზავრებისას)

უნდა წავიდეთ...

სსრკ, მოგვეცი ხელი!

დამდგარა უამი განშორებისა...

გვიყვარხარ იმგვარ სიყვარულით,

როგორც შენს კედლებს —

ნატყვიარ კედლებს შეუყვარდა პორტრეტი
მარქსის!

გლებს რომ თავისი მიწა უყვარს,

ისე გვიყვარხარ,

რუსეთო ჩვენო,

იმ ოქტომბრის ქარში შობილო!

იმგვარად გიცნობთ,

თითქოს მთელი მხარე მოგვევლოს —

კავკასიიდან თვით ციმბირამდე!

ჟერ კიდევ დაგვრჩა მათარებში მდულარე
წყალი,

თოვლით დაფარულ სადგურში რომ

მოვიმარაგეთ.

ილიჩის მხარევე მშობლიურო,

პოი, რუსეთო!

ჩვენ გვგურა შენი ძლიერების, შენი

სიფიცხის,

შენ ამ მწვერვალზე არნახულზე,

ვიცით, ატყორცნა,

აჯანყებულმა ტალღამ ხალხისა!

უკან რჩებიან ქალაქები

და სადგურები,

სადაც დაღეწილს და დანგრეულს,

ომში, ვაგონებს

ჟანგი ედებათ.

კვლავ სიხარული ვიგრძენით დიდი,

ზღვა სიხარული გამარჯვებისა,

ცხრაასცხრამეტის ვიგრძენით ცეცხლი,

ვით, გაქვლენილი სისხლით, პერი.

გამოიკვეთა ალგუნებულ ხმებში

მღელვარე ხანა აჯანყებთა.

ჩვენ კი ციმბირის მრისხანე ქართან

ერთად მივჭრევართ, ერთად მოვკვეთეთ

კოლჩაკს თავი და...

დავასამარეთ.

იმ ნათელ მაისს რა დაგვაღიწყებს,

რა დაგვაღიწყებს წითელ მოედანს —

გრგვინავდა, როგორც ვეება ზარი,

ისმოდა მკვეთრი ხმა ნაბიჯების

ქერთამიანი და ფეხშიშველა

კომკავშირელი გოგონებისა,

„ინტერნაციონალს“

უკრავდა ორკესტრი.

რუსეთო,

ნორჩო და მშობლიურო,

შენ კომუნიზმის ნახე ანბანი

და სიყვარულით კითხულობდი,

მოწაფესავით,

ვისაც გამოცდის არა აქვს შიში.

ეპეი! ძველი კედლებიდან,

ყველაზე ადრე,

შენ გაუსწორე მომავალს თვალი!

ეპეი! ეს გზა შენ დაიწყო

მთლად ფეხშიშველმა —

მურსედესები ჩამოიტოვე.

ერთად გვინახავს ჩვენ ის სიზმარიც,

სავსე რომ იყო მინდვრად დაძრული

და მოგუგუნე ტრაქტორთა ხმებით.

მაშინ ვიცოდით: რადიო მძლავრი

ვარსკვლავებს შორის ხიდს რომ გასდებდა!

ელექტრონის შუქს რა გამძაფრებით

ესწრაფვის შენი ბრიალა გული!
ჩვენ ეს ვიცოდით, ჩვენ ამას
ვგრძნობდით!

ახლა კი ვხედავთ, რა ბრძოლა აქვთ
კერძო დუქნებთან კოოპერაცივს,
ზოლო ბანკები სახელმწიფოსი
ეომებიან გაქნილ ნებელებს.
ვხედავთ სისხლისმღვრელ ამ შეტაკებას
და გეუბნებით —
მედგრადა, რუსეთო!
არ შეგაშინოს, იცოდე, ნებმა, —
შენ გყავს მესაჭე სწორუპოვარი

და ამ მესაჭეს რკპ ჰქვია,
განა უმტყუნებს კაპიტანს ხელი!
არ გაიფიქრო, თითქოს შეჩერდი,
სულ წინ მიდიხარ, სულ წინ,
რუსეთო!
მოსულა ჟამი განშორებისა!
მივდივართ, მიგვაჭვს მხურვალე გულით
გაუხუნარი მოგონებები,
მატერიალიზმი მიგვაჭვს ენგელსის,
შენი გმირობა, აღფრთოვანება...

გამოგვიწოდე ხელი,
სსრკ!

თარგმნა მზარ კვიტაიშვილმა.



გვიგანელი პოეზი მიესალმება ჩსუსრ-ს

აღმოსავლეთით შუქი ეონავს,

ძრწოდე წყვდიაღო!

შენი ბორბალი ძველებურად ველარ გადივლის
ჩვენს სულელებზე და სხეულებზე. ვერ იზვიადებ,
რადგან ისწავლა ხალხმა უკვე ბრძოლა ნამდვილი
პოეტი ხელუბაპყრობილი შენ გეგებება,
ჩემო ნანატრო გაზაფხულო, დღესასწაულო,
ბედნიერია, თუ სიკვდილი ვაგვაცხვს ერგება
შენი დროშისთვის. სიკვდილს კაცი ვერსად წაუვა.
ვერსად წაუვლენ ბურჟუებიც შურისძიებას,
გაუბუნდებათ სიფაფუკე იმათ თეთრ ქალებს.
დაჰკარი, ძმაო, ნუ დააცდი ცეცხლს გაციებას,
შენი პოეტი შენს დიდ საქმეს თავს ანაცვალებს.
შენი დროშის ქვეშ დარაზმულან მხნედ კაცი, ქალი.
ნამგალი უროს გადაგვტოვო, სიამით სავსე.
თავისუფლება, გათელილი და ნაციხარი
წამოაყენე და მანდილი დაჰსურე თავზე.
ერთი შეხედუ, რა შეილები წამოგეზარდა,
იმათი გარჯა შენი ღვინის საწინდარია
და თუ პარბაში მოინდომოს კვლავ აბეზართა,
გახსოვდეს, რკინის თაობები შენთან არიან.
კვლავ მოადგება შენს სიწმინდეს ათასი ჯურის
ავი და მყრალი, გამყიდველი და გარეწარი,
მაგრამ დარჩება შენი თოვლის თეთრი ზეწარი
შეუბღალავი. ვერ დაგაკლებს ვერაფერს შური.
სალამი შენდა, რესპუბლიკავ საბჭოეთისა,
ძალა დაკარგა დასავლეთის დემოკრატია
მან ვერ აუბა მხარი შენ ბიჯს, ვერ შეუთვისა,
ახალი სული ძველ ჭურჭელში ვერ ჩაიტია.
ამაოდ მოცდა საფრანგეთის სულისკვეთება
და ალბიონმაც წინაპრების ცეცხლი გაფლანგა.
ძველმა მეაკენემ კუბოების იწყო კეთება
და მგოსნის სულშიც წმიდა ხმები ჩაკლა სხვა ჰანგმა.
მხოლოდ შენ ერთი ისევ აფრთხობ ყორნებს და ყვავებს,
შენს გამარჯვებას ადასტურებს თვითონ განგება,
ბნელი ჩრდილების მოძალეებას შენ შეაკავებ,
რომ ჩვენ გვიმღერო განახლების მძლავრი ჰანგები.

დაუპირობარი დღეები და თვეები

მინდა გავიხსენო სამი უპირობო მინც იმ დაუეიწყარი დროიდან. აქ არაფერია გამოგონილი ან შელამაზებული. ფანტაზიის დაძაბვაც არ დამჭირდა, ვინაიდან მოსკოვის იმ დღეების სინამდვილე ყოველგვარ ფანტასტიურზე ბევრად უფრო ფანტასტიური იყო.

I

პრივატ-დოცენტი

ახალგაზრდული წლები გვაძლევდა ძალას, თორემ, აბა, როგორ აიტანდა კაცი ამდენ გასაჭირს, — რამდენი ხანია გამოძინებას დანატრებულნი, დაღლილნი და, ალბათ, შიმშილისაგან მისუსტებულიც ვიყავით. მართალია, ხშირად გვცვლიდნენ ხოლმე და საშუალება გვქონდა შინ წავსულიყავით და დაგვესვენა, მაგრამ ოთახში გული არ გვიჩერდებოდა და ისევე უბნის კომუნდატურაში მივიჩქაროდით.

ხელმძღვანელი ჩვენი ჯგუფისა, სადაც რამდენიმე ქართველი სტუდენტიც ვიყავით, ისევე სტუდენტი იყო, გვარად დგორნიკოვი. პირველად რომ დაინახავდი, ქართველი ან სომეხი გეგონებოდა, ნამდვილად კი შუმი რუსი იყო, დონის ოლქიდან. შეიძლება კახაკი იყო და, ვინ იცის, რომელიმე მთიელის—ყაბარდოელის, ლეკის ან ჩერქეზის — სისხლი ჰქონდა შერეული. მოცილილობის დროს ძალიან ხალისიანი, ამხანაგების ამყოლი და, ცოტა არ იყოს, სენტიმენტალური ახალგაზრდა იყო, მაგრამ უბანში მუშაობის დროს სულ სხვა ადამიანი ხდებოდა — მკაცრი, გულცივი, უხეში.

ჩვენს სტუდენტურ რაზმს ერთ დღეს საშუალო თაობის მოქალაქენიც შეუ-

რიეს. უმეტესი მათგანი ჯერ კიდევ ფაქიზად ჩაცმული ინტელიგენტი იყო.

ამათ შორის ჩემი ფაკულტეტის პრივატ-დოცენტი ალექსეევი დავინახე. შუახანს მიღწეული, ლამაზი სახისა და ქერათმიანი კაცი იყო, შეკრეპილი ულვაში ჰქონდა და მოკლე წვერს ატარებდა. ახლომხედველი იყო, რამდენიმე ნაბიჯის სიშორეზე ადამიანის გარჩევა და ცნობა უჭირდა და, როცა ვინმეს მიმართავდა, ისე ახლოს მიიტანდა ხოლმე მასთან სახეს, თითქოს კოცნას უპირებდა.

სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა და თანაც მესიამოვნა მისი დანახვა. სტუდენტებს ისეთი წარმოდგენა გვქონდა ჩვენი პროფესორის უმრავლესობაზე, რომ ისინი რევოლუციას არ თანაუგრძნობდნენ. მივედი მასთან, მივესალმე და მორიდებულად შევახსენე, რომ პირველ კურსზე ყოფნისას სწორედ მას ჩავაბარე საგანი „სამართლის ფილოსოფია“.

— დიახ, ალბათ, მე, რა თქმა უნდა, მე ჩამაბარებდით! — თითქოს ესიამოვნა თავის სტუდენტთან გამომცნაურება და ხელი ჩამომართვა.

ჩვენ თავაზიანობა გამოვიჩინეთ და დაეპირდით, რომ ყოველგვარად შევე-

სუბუქებით უბანში სახალხო მილიციელად მუშაობას.

— არა, რატომ, რატომ? არავითარი შეღავათი! მე გთხოვთ, დიახ, გთხოვთ! — თითქმის პროტესტს აცხადებდა პრივატ-დოცენტი და, რომ გაერჩია ვის ელაპარაკებოდა, კინაღამ ცხვირით ეხებოდა მოსაუბრის სახეს.

დვორნიკოვმა ის მიანიჭ შეიბრალა და უბნის კომენდატურაში რაღაც იოლი საქმე მიუჩინა.

ერთ საღამოს საგანგაშო ცნობა მოვიდა, რომ მრავალრიცხოვანმა ბრბომ ტრუბნაიას მოედანზე სასურსათო მაღაზიები გასტეხა და არბევსო. დვორნიკოვმა საბარგო მანქანა გამოძებნა და თოფებით შეიარაღებული რაზმი მიაშველა იმათ, ვინც იქ წესრიგის დამყარებას ცდილობდა.

მოედანზე ქაოსი იყო. ბრბო მხოლოდ დედაკაცებისაგან შედგებოდა. ისმოდა ყვირილი, ამტვრევდნენ ვიტრინებს. რამდენიმე ქალი შუშის ნამსხვრევით დაჭრილიყო, სახეზე სისხლი ჩამოსდიოდათ, ისინი შეელას ითხოვდნენ, მაგრამ მათ ყურადღებას არავინ აქცევდა. ვის სცალოდა მათთვის!

— გამაფრთხილებელი ბათქი მიეცით! — განკარგულება გასცა დვორნიკოვმა იმის შემდეგ, როცა ამაოდ ჩაგვიარა ცდამ გაგვერქენა საძარცველად მოსულნი.

ბათქის ხმაზე ბრბო შედრკა, დაფრთხა. თითქოს სიჩუმეც ჩამოვარდა. მაგრამ მხოლოდ ორიოდ წუთით. როგორც კი დარწმუნდნენ, რომ ვნება არავის მოსვლია, დედაკაცები გამხნევედნენ და უფრო მეტად გამჭინვარდნენ. ერთმა მათგანმა ისე ითავებდა, რომ გამომწვევად დაღვა ჩვენს წინ, გაფარჩხა ფეხები, ურცხვად აიწია კბა, დაიღრიჯა და შემოგვძახა:

— აბა, ესროლეთ, თუ ყოჩაღები ხართ!

ბრბომ სიცილი დაგვაყარა და თანდათან ისტ. მიეცა გული, რომ კიდევაც დაგვეშუქრა.

— მეორე გამაფრთხილებელი სროლეთ და თუ არ დაიშალენ, პირდაპირ მათ! — ბრძანა ვილაც ჩექმინანმა, რომელიც, როგორც ჩანს, განსაკუთრებული უფლებებით იყო მოსილი.

მეორედ ბათქის მიცემა აღვილი საქმე იყო, მაგრამ, როცა საქმე პირდაპირ სროლაზე მიდგა, აქ კი... ვერა, ეს ვერ შეეძელით, ასე ვერ გავიმეტეთ ადამიანი, ყველამ თურმე ისევ ჰაერში გავისროლეთ...

ცხადია, ამგვარი გულჩვილობისათვის ჩექმინანი მადლობას არ გვეტყოდა, ყველაზე მეტად კი ჩვენს უშუალო უფროსს დვორნიკოვს მოხვდა.

მოედანზე ახალი რაზმი მოვიდა, ჩვეულებულ მოგვაშორეს იქაურობას, უკან გაგვგზავნეს და გაგვატანეს რამდენიმე დაპატიმრებული დედაკაცი, ისინი, რომლებიც უფრო აქტიურობდნენ.

კომენდატურაში პრივატ-დოცენტი დაგვხვდა. ის შემფოთებული და აფორიაქებული ჩანდა.

დვორნიკოვი ჯერ გზაში გვიყვიროდა და გვლანძღავდა, ხოლო უბნის კომენდატურაში კიდევ უფრო გახელდა. ცეცხლს ყრიდა თვალებიდან და ისეთი სიტყვებით გვამკობდა, რომ გაცივდა იწვევდა: ნუ თუ ამდენი უწმარო სიტყვის თქმა შეეძლო ადამიანს? ოდესღაც ბათუმში ვცხოვრობდი, ხშირად წავსწრებივარ სამხედრო მეზღვაურების დებოშს, როგორი მრავალსართულიანი გინება არ მსმენია მათგან, მაგრამ, თურმე, სად ისინი და სად ჩვენი დვორნიკოვი!

დვორნიკოვი რომ ასე გვამკობდა, პატიმარი დედაკაცებიც მისი ამყოლნი გახლდნენ და რომ ტყვია არ დაეუშინეთ, ახლა ამისთვის კიდევაც დაგვკინოდნენ.

— აბა რა მსროლელები ეგენი არიან! — იღრიჯობდნენ ისინი, — ერთიც თქვენ კიდევ, ვაჟკაცები გამოგიძებნიათ! მაგათ „სოსკა“ შეჩარით პირში, თოფი რა მაგათი საქმეა!

ამას ისეთი სიტყვები დააყოლეს, რომ

დგორნიკოვის უწინაურ ვინებას არაფრით ჩამოუვარდებოდა.

ეს რომ გაიგონა პრივატ-დოცენტი. რომელიც აქამდე თითქოს გაოგნებული იცქირებოდა ვარშემო, — ალბათ გაკვირვებული, რა საოცრებანი მესმისო, — მივიდა დედაკაცთან, როგორც ყოველთვის, ახლო მიიტანა თავისი სახე მის სახესთან და აღშფოთებით მიმართა:

— როგორ გეკადრებათ აგეთი სიტყვები, თქვენ ხომ ქალი ბრძანდებით!

— ეს წმინდანი ვინლა? — არ შეეპუა დედაკაცი. — დაიხი, თორემ უარესს გაიგონებ ჩემგან!

— ჩვენ საქმელი გვინდა! ჩვენ გვწია! გესმის შენ, თუ არა! — მიახაბა რამდენიმე ხმამ.

პრივატ-დოცენტის აღშფოთება თითქოს შეანელა ამის გაგონებამ. მან ქალების დამშვიდება და მორკულუბაც კი მოიწადინა, რატომღაც მოიბოდიშა კიდევ და აღმზრდელის კილოთი, ისეთი კილოთი უნივერსიტეტის აუდიტორიაში ლექციას რომ ატარებდა, ერთ-ერთ დაპატიმრებულს უთხრა:

— თქვენ მართალს ბრძანებთ, მაგრამ რას იზამ, უნდა შეეჩვიოთ გაჭირვებას, უნდა მოითმინოთ შიმშილი, ამაჲ გარემოება მოითხოვს. თქვენ უნდა შეიგნოთ, რომ ჩვენ დიდი რევოლუციის ორომტრიალში ვართ. დიახ, დიდი რევოლუციის!

საოცრად თავაზიანი ტონი ჰქონდა პრივატ-დოცენტს. მაგრამ რაც უფრო თავაზიანობდა, მით უფრო უმატებდნენ თავხედობას მისი ახალი მსმენელები.

— ვინა ხარ, რომ აგრე ტკბილად დუღუნებ? ვნახავ რას იმღერებ, როცა სტომაქი ბუბუყს დაგიწყებს შიმშილისაგან! — მიახაბა ერთმა.

პრივატ-დოცენტი გულუბრყვილობა გამოიჩინა, ალბათ, ეგონა, რომ მოერიდებოდნენ თუ მის ვინაობას გაიგებდნენ, და გააცნო მათ თავისი თავი:

— თუ ჩემი ვინაობა გაინტერესებთ,

მე გახლავართ პრივატ-დოცენტი ალექსევი...

შეატყო, რომ დედაკაცებმა ვერ გაიგეს, რას ნიშნავდა სიტყვა „პრივატ-დოცენტი“ და არ დაიზარა აეხსნა:

— ანუ, „უფაქემი გრაფდანი“, ეს თითქმის იგივეა, რაც პროფესორი..

— მაშ, თუ პროფესორი ხარ, მაგ შენს გოგრაში შეუშვი, რომ ჩვენ მძარცველები კი არა ვართ, ჩვენ და ჩვენს ბავშვებს შიათ! — მიახაბა ერთმა.

— მაგას ფაში ამოვსებული აქვს და ჩვენსას რას გაიგებს! — დაიძაბა მეორემ.

პრივატ-დოცენტი აენტო:

— როგორ ბედავთ! — იყვირა გულმოსულად. თქვენ შეურაცხყოფას მაცუნებთ. ბოდიშს ვითხოვ, მაგრამ პირდაპირ ვეტყვით, თქვენ უზრდელეები ყოფილხართ!

— ზრდილობის სასწავლებლად მე არ მცალია! — შეუღრინა დედაკაცი. — ეგ შენ „დამოჩეებს“ მოთხოვე!

შევეცადეთ მოგვეშორებინა ქალები-საგან ჩვენი სწავლული სახალხო მილიციელი, მაგრამ არ დაგვენბდა:

— არა, ნება მიბოძეთ მოველაპარაკო მათ! — გაჯიუტდა ის. — მინდა იცოდნენ, რომ მე რევოლუციის ინტერესები მალაპარაკებს და ამ ინტერესებიდან გამომდინარეს არ შემიძლია მოვეწონო მათი მოქმედება. მათ არ ესმით, რომ თავიანთ მომავალს ღალატობენ, მათ შეგნებული არა აქვთ, რომ საჭიროა მოთმინება...

პრივატ-დოცენტი თავი დაანება დედაკაცებს და ახლა ჩვენ მოგვმართა. თითქოს ლექციაზე იყო, ისე გრძნობდა თავს.

— ნუ გააჭირვებ საქმე, რა დროს ეგ ქადაგება! — უეცრად მოისმა დგორნიკოვის ხმა. აქამდე ის, როგორც ჩანს, თავს იკავებდა, მაგრამ ბოლოს მოთმინების ფილა გამოეცალა, ვედარ მოზომა და, ცოტა არ იყოს, უხეშად მოექცა.

პრივატ-დოცენტი ხმით იცნო დგორნიკოვი და გაოცებული მიტრიალდა

იქით, საიდანაც ხმა მოესმა. ცხადია, გულზე მოხვდა, ეწყინა დეორნიკოვის სიტყვები. მაგრამ მაინც არ დაიმჩნია, მხოლოდ წამიერად ჩაჩუმდა და მერე დაღონებულად თქვა:

— ჰო, მაგრამ, ჩვენ ხომ იმიტომ გვინდა ეს რევოლუცია, რომ ასეთი დედაკაცები გონებრივად ავამალლოთ და საზოგადოების ღირსეულ წევრებად გავხალოთ...

რამდენიმე ხანს ჩუმად იყო. მერე სათითაოდ გაგვიხმოხდა ხოლმე განზე, ქუას გვარიგებდა და მოგვიწოდებდა, რაც შეიძლება მეტი ღმობიერება და მოთმინება გამოგვეჩინა. იმდენი გვე-

ლაპარაკა, რომ ყველას მოგვაბეზრა და, რატომღაც, კიდევაც შეგვაცოდა თავი. გადაწყვეტით მალე გავვეგზავნა თავის სახლში, და რადგან ბნელ ქუჩებში ღამით სიარული უჭირდა, კაცი ვაეყოლეთ.

— ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი! — წუხდა მერე დეორნიკოვი. — აბა მითხარით, რას ვერჩოდით მაგ პატიოსან კაცს, მაგრამ რა ვქნა, ვერ ვიტან აგეთ სულწმინდებს...

პრივატ-დოცენტი ალექსევევი, როგორც მერე გავიგე, „ნიკიტსკია ეოროტა“-სთან რომ ცხარე ბრძოლა იყო, იქ დაღუპულიყო ბარიკადებზე.

II

პუშკინის ძეგლთან

ზედიზედ ხუთი წელიწადი ეცხოვრობდი მოსკოვში. უფრო ხშირად ტვერის ქუჩაზე ვეჩირობდი თთახს, უნივერსიტეტში მიმავალს ყოველთვის უნდა ჩამეგლო და მერე უნდა ამომველო სტასტროი მოედანზე. რამდენჯერ საღამო ხანსაც გამისეირნია აქ, მაგრამ ერთხელაც არ გამიგონია, რომ ქალთა მონასტერში ზარი დაერეკნათ.

იმ დღეს კი პირველად გავიგონე და, სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა. როგორ არ გამიკვირდებოდა! რამდენიმე თვის წინათ შეფის ტახტი სამუზეუმო ექსპონატად იქცა, ქუჩებში ყველგან ფრიალებდა ტრანსპარანტები წარწერით: „მთელი ძალაუფლება მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს“, თებერვლის რევოლუცია უკვე განვლილ ეტაპად ითვლებოდა, ჰაერში დიდი სამოქალაქო ბრძოლების სუნი ტრიალებდა, და ამ დროს, ავერ ახლო, მოსკოვის შუაგულში სამონასტრო სამრეკლოდან ზარის ხმა ისმოდა.. რა იყო ეს? თავისი თავის გამხნევება, თუ გამომწვევი რაღაც მოქმედება? ალბათ, უკანასკნელი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე შევიგონე იმ დღეს მისი ხმა.

ამ დროს კი პუშკინის ძეგლთან, რომელიც იმავე მოედანზე, დედათა მონასტრის პირდაპირ იდგა, ტვერის ბულვარის თავში, შეუწყვეტლად მიმდინარეობდა მიტინგი. არ გვეგონოთ, რომ სიტყვა „შეუწყვეტლად“ შემთხვევით ან შეცდომით მქონდეს დაწერილი. იმ ბოლო ორი თვის მანძილზე მიტინგი იქ მთელი დღეღამის განმავლობაში გრძელდებოდა. იცვლებოდა ხალხი, ერთი ნაკადი მეორეს ცვლიდა, ძეგლის პოსტამენტის ზედა საფეხურზე ახალ-ახალი ორატორები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს და ხმის ჩახლენამდე გაჰყვიროდნენ.

აქ თავს იყრიდნენ მოსამსახურეები. ხელოსნები, სტუდენტები, არტისტები და, უმთავრესად, პოსპიტლებიდან მოსული მსუბუქად დაჭრილი სალდათები.

— მოსკოველებო, თქვენ იცით ვინ ვარ მე! — ძლიერი ხმით გასძახოდა პოსტამენტზე მდგარი ყავისფერპალტოიანი არც თუ ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ფეტრის ქუდი მოეხადა და მოგრძო თმას, შუბლზე რომ ჩამოეშლებოდა ხოლმე, ხშირად ისწორებდა.

— ვიცით, ვიცით! — ეხმიანებოდნენ მოქალაქენი, უმთავრესად ქალიშვილები.

ორატორმა მაინც აუწყა მსმენელთ თავისი გვარი და პროფესია. ის იყო ცნობილი არტისტი, რომელიც არაერთხელ მინახავს კორუპის თეატრის სცენაზე.

— სამშობლო შევლას მოითხოვს, — პათეტიურად განაგრძობდა არტისტი. — აქამდე ჩვენს მიწა-წყალს გარეშე მტერი, კაიზერის ჯარი სთელავს და იმის ნაცვლად, რომ მათ განდევნაზე ვზრუნავდეთ, ვაშიშვლებთ ფრონტს და გერმანელებს საშუალებას ვაძლევთ დაუბრკოლებლად განაგრძონ თარეში..

მისი გამკივანი ხმა კიდევ დიღხანს ისმოდა. ბოლოს არტისტი ხელი ჩაავლო გვერდით მდგარ ვიღაც ქალიშვილს, გადასცა თავისი ქუდი და ხალხს მოუწოდა, ფრონტის სასარგებლოდ ძვირფასი ნივთები შეეწირა.

— გავიღოთ ყოველგვარი მსხვერპლი, ნურაფერს დავიშურებთ სამშობლოსათვის! ნურც სიცოცხლეს, ნურც ქონებას!

მოწოდებამ გავლენა იქონია, უმთავრესად ქალებზე. ბევრმა მაშინვე წაიძრო ბეჭედი, საყურე, სამაჯური და ყოველივე ამას ქუდში ყრიდნენ.

ოქრო-ვერცხლის ამგვარად შემგროვება სამხედრო ფონდის გასაძლიერებლად პირველი შემთხვევა არ ყოფილა. ხალხი ამას შეჩვეული იყო და ბრმადაც ენდობოდა შემგროვებელთ. მათ უფრო ახლა არ ჰქონდა არავითარი ეჭვი, როცა ცნობილი არტისტის ქუდში ყრიდა.

ძვირფასეულობის შემგროვებელი ქალიშვილი ანთებული თვალებით ერთხანს თამამად დადიოდა ხალხში, მაგ-

რამ უეცრად მისი შეშფოთებული ხმა და მერე შეკივლებაც მოისმია. უეცრთ ყავარჯნიან ჯარისკაცს, როცა ქუდგამავერილ ქალიშვილს მის გვერდით ჩაეველო, შეეჩერებინა ის და გულმოსულად ეკითხნა:

— მაგ ოქროთი გინდა ისევ სასაჯლოზე გამგზავნო? თუ აგრე ენატრება იმ შენს კუროს ომის გაგრძელება, თვითონ წავიდეს ახლა!

— წავიდეს ჩვენს მაგიერ! — გაისმა გარშემო მყოფ ჯარისკაცებში.

ერთი მათგანი მიიჭრა ქალიშვილთან, ხელი აუკრა ქუდზე და ყველაფერი, რაც შიგ იყო, მიწაზე დაიბნა.

რა ამბავი დატრიალდებოდა, ადვილი წარმოსადგენია. მიტინგზე დამსწრენი აირივნენ, შემომწირველნი ეძებდნენ თავიანთ ნივთებს, იყო ჩოჩქოლი, ყვირილი, ისმოდა გინება.

ამის შემდეგ მალე დაეტოვე მოედანი. არ ვიცი, რით დამთავრდა იმ პატრიოტი არტისტის ამბავი. მე მგონია, ჯარისკაცთა შრისხანე შეძახილებმა დააფრთხო ის და დეკლამაციის ეინი გაუქარვა.

მიტინგი, რა თქმა უნდა, ამის გამო მაინც არ ჩაიშლებოდა, იმ საღამოს მერმე სხვები გააგრძელებდნენ. ჩემ გზას გავუყვევი. მივდიოდი და ერთხანს კიდევ მესმოდა მონასტრის ზარის ხმა. რა ნერვიული, საცოდავი ხმა ჰქონდა!

ვისაც დიდი ხანია არ გავუვლია სტრასტონი მოედანზე, ახლა, ალბათ, ეუცხოება იქაურობა: დედათა მონასტრის კვალიც აღარ ჩანს, პუშკინის ძეგლმა კი ადგილი გადაინაცვლა. ახლა ის სწორედ იქ აღმართულა, სადაც მონასტრის ალაყაფის კარები იყო.

III

ყვინძილა და პოტი

ყოფილ გენერალ-გუბერნატორის სამმართველოს შენობაში „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მოსკოვის სამ-

კომ“ დაიდო ბინა. რევოლუციური, ხელისუფლება აქედან ხელმძღვანელობს დიდი ქალაქის ახალ ცხოვრებას. აქ

ძლიერად იგრძნობა ახალი ცხოვრების მაჯისცემა, დღისით აქ უანარავი ხალხი მოდის, ხოლო ღამით თითქმის ყველა ოთახი გაჩირალდნებულა ელნათურით.

საბჭოში რამდენიმე ჩემი მეგობარი მუშაობს და მათი ხშირი სტუმარი ვარ. აქ ზუსტი და ვრცელი ცნობები აქვთ ფრონტის, საგარეო და საშინაო მდგომარეობაზე და საშუალება მაქვს ახალ ამბებს გავეცნო სპეციალური ბიულეტენების მეშვეობით.

იმ დღესაც იქითვე მიმეჩქარებოდა. ივლისის აფორიაქებული დღეები იყო: პეტროგრადში გახშირდა გამოსვლები დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, ლენინის სახელის პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა და შარავანდელით იმოსებოდა. ლენინი რაზლივში იყო განიხნული, მისი ადგილ-სამყოფელი არავინ იცოდა, რამდენიმე ადამიანის გარდა. ხელისუფლება გააფთრებით ეძებდა მის კვალს.

ვრცელდებოდა ათასგვარი ფანტასტიური ვერსია იმის შესახებ, თუ სად შეიძლება იყო უფილიყო ლენინი. იმასაც ამბობდნენ, თითქოს ნოსკოვის რომელიღაც გარეუბანში იმყოფებოდა.

ფრონტი თანდათან იშლებოდა. ჯარისკაცები აშკარად აცხადებდნენ, რომ სისხლის ღვრის შეწყვეტა უნდათ. დიდ ქალაქში თანდათან იზრდებოდა უკმყოფილება დროებითი მთავრობის პოლიტიკის გამო. ყველა ცხადად გრძნობდა, რომ დიდი ამბების ზღურბლზე იდგა.

საბჭოს შენობას რომ მივუახლოვდი, მოედანზე თავმოყრილი უანარავი მოქალაქე დავინახე. შუა მოედანზე საბარგო მანქანა იდგა, რომელზედაც რამდენიმე კაცი რალაც აპარატურის აწყობით იყო ვართული. ვიფიქრე, ოპერის რომელიმე პოპულარულ არტისტს მოელოან-მეთქი. ორი თუ სამი კვირის წინ ამ მოედანზე მღეროდა სახელგანთქმული სობინოვი და ხალხი მოჭადოებულნი უსმენდა. ხმა ხომ მართლაც ნომნუსხველი ჰქონდა, და, გარდა ამისა, გულწრფელად უყვარდათ როგორც პიროვნება.

სტუდენტები კი, არ გადავამეტებ თუ ვიტყვი, აღმერთებდნენ. ეს იმიტომ, რომ მათი დიდი დამხმარე და მეგობარი იყო. ჩვენ, მაშინდელი ახალგაზრდები, თავს არ ვზოგავდით გვეშოვნა ბილეთი შოლიპინის მოსასმენად, ვადიდებდით მის შეუდარებელ ხმასა და არტისტულ ტალანტს, მაგრამ სიყვარულით არ გვიყვარდა. არტისტებში ჩვენ ყველაზე მეტად სობინოვი გვიყვარდა.

როგორც იქნა, მოვახერხე, გავძვერი ბრბოში და საბჭოს შენობაში შემავალ კარებს მივაღწიე. აქამდე კი მოვედი, მაგრამ შეგნით არავინ შემიშვა. კარებში შეიარაღებულნი იდგნენ და უნებართვოდ არავის ატარებდნენ.

ცხელოდა. რამდენიმე კარტუზიანი მოქალაქე, ალბათ, უბრალო ხელოსნები ან ნოქრები, არაყნასავამი იყვნენ, ისინი ჩემს ახლოს იდგნენ და ყაყანებდნენ. გაცლას ვაპირებდი, მაგრამ ამბავმა, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ გავიგე, იძულებული გამხადა ფეხი არ მომეცვალა: საბჭოში კერენსკის მოედანზე და საცაა უნდა მოსულიყო.

ის ჩემი შემთვრალი ნეზობლები კერენსკის თავყანისმცენლები ყოფილიყვნენ. ქება-დიდებას წარმოთქვამდნენ მისი მისამართით და ამავე დროს, არ ვიცი რატომ, გარშემო მყოფთ უდიერად ეპყრობოდნენ. ეტყობოდათ, სკანდალის გუნებაზე იყვნენ, მაგრამ ყველა ერიდებოდა და ცდილობდა ყურადღება არ მიექცია მათი უხეშობისათვის.

არა, კერენსკისადმი თავყანისცემის გამო არ შევჩერებულვარ აქ. მიცნოდა მხოლოდ შემეხედნა კაცისათვის, რომელიც იმ დღეებში ძალიან პოპულარულ ფიგურას წარმოადგენდა. მხოლოდ ეს უბრალო ცნობისმოყვარეობა მაჩერებდა, თორემ არავითარი პატივისცემა არ მქონია მისი.

თუ ასეთი გრძნობა მქონდა მისადმი. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა: მაშინ ჯერ კიდევ გიმნაზიელი ვიყავი. ერთ დღეს, შინ რომ სადილის საჭმელად დავსხედით, მამამ შემდეგი რამ უამბო დედას... შავი ქვის ნრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე

მარის გიორგი ზდანოვიჩის კაბინეტში სხედან კიტა აბაშიძე, დავით კლდიაშვილი და თვითონ ზდანოვიჩი. მათთან სტუმარია — სახელმწიფო სათათბიროს წევრი ალექსანდრე კერენსკი. ის მოუსვენრად მიდი-მოდის ოთახში. სხვათაშორის, სიტყვა ჩამოვარდა ცარიზმის სულისშემხუთველ პოლიტიკაზე სხვა ერებისა და, კერძოდ, საქართველოს მიმართ... კერენსკიმ ისეთნაირი განწყობილება გამოამჟღავნა საქართველოსადმი, რომ ზდანოვიჩს გული მოუვიდა და მკაცრად უთხრა:

— ალექსანდრე ფედოროვიჩ, თუ თქვენ ამგვარი შეხედულებების ხართ საქართველოსზე, უმჯობესი იყო აქ ფეხი არ დაგედგათ! — კერენსკიმ ჩაღუნა თავი, ააპარპალა თავისი ავადმყოფი თვალები და რაღაც წაიბურტყუნა.

ეს უწერია დავითს თავის მემუარებში, სადღიზე კი დედას რომ უამბობდა, მთელი თავისი გულისწყრომით ლაპარაკობდა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მოძულეზე. იმ დღიდან მეც იმავე გრძნობით ვუპასუხებდი მას.

მოედნის დასაწყისში ჩოჩქოლი ატყდა და მანქანის საყვირის ხმა გაისმა. მანქანა ნელი სვლით მიიწევედა ბრბოში და საბჭოს უახლოვდებოდა. გარშემო შეძახილები ისმოდა და რამდენიმე ქუდი ააგდეს ჰაერში.

ღია მანქანაში ფეხზე იდგა, როგორც მომჩვენა, გამხდარი, პირგრძელი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ქერა კაცი. რატომღაც მის დანახვაზე ყვინჩილა ნავონდებოდა. ფეტრის ქუდი ხელში ეჭირა და მისალმებოდა პასუხს იძლეოდა. ის რომ

კერენსკი იყო, ამის ცნობა ადვილი იყო — ქუჩებში, დაწესებულებებში, სად არ ეკიდა მისი სურათი!

მანქანაში იყო კიდევ კაცი სამხედრო ფორმაში, გენერალი. მონღოლური სახე, გამობურცული დაწვები, კუშტი გამოხედვა ჰქონდა. ისე იცქირებოდა, ეტყობოდა, აღიზიანებდა მოედანზე ამდენი ხალხის ყოფნა. იგი ღრმად იჭდა მანქანაში, თითქოს დალურსნული ყოფილიყო. მისი გახევებული, მუქი ფერის სახე ჭოტს მაგონებდა.

ეს იყო გენერალი კორნილოვი! აი, თურმე, როგორი ყოფილა ეს დიდი იმედი, ერთადერთი დასაყრდენი ძალა დროებითი მთავრობისა და კერენსკის მარჯვენა ხელი! აი, ის კაცი, ვისი სახელითაც ცდილობდნენ ხალხის დაშინებას და თავისი ძალაუფლების განმტკიცებას.

მეგონა, რომ კერენსკი, ეს ცნობილი ყბედი, ლაქლაქა, სიტყვით მიმართავდა თავშეყრილთ, მაგრამ მიაღწია თუ არა მანქანამ საბჭოს კარებთან, გადმოვიდა და შენობაში სწრაფად შევიდა. მას გვერდით მიჰყვა გენერალი კორნილოვი.

კერენსკი, ეს ხალიფა ერთი საათით, ვინც რევოლუციის ბელადობას ჩემობდა, ახლა ხელიხელჩაკიდებული მიაბიჯებდა უკიდურეს მონარქისტ გენერალთან, რომლის სათაყვანებელი კერპი ნიკოლოზ მეორე იყო.

ჩემი ქვეყნის მოძულეს ისტორიამ საკადრისი განაჩენი გამოუტანა.

დიდი ხანია შენ არარად იქეც, მაგრამ პატივებისა და შეცოდების გრძნობას მაინც არ იწვევ ჩემში. სალახანას არ იცოდებენ!



ლი პარზონი

პ ი მ ნ ი

მათ ძე კაცისა დააბრუნეს ისევ მიწაზე,
თქვეს: „უნდა ყველა იყოს მაძლარი“.
და გვწამს, იქნება ყველა მაძლარი,

მათ ცა მაღალი დაანარცხეს დაბლა,
მიწაზე,

მათ თქვეს: „დადგება ღვთის
აღსასრული“,

და გვწამს, უფალი უსათუოდ
აღესრულება.

მათ ხხვა წესრიგი დაამყარეს ცოდვილ
მიწაზე,

ისურვეს ასე: „იყავნ ნათელი“,
და წამსვე ქვეყნად იქმნა ნათელი.

მათ შუქის ხნული გაატარეს დაღლილ
მიწაზე

და თქვეს: „გააღწევს გაღმაც ნათელი!“

და გვწამს, გააღწევს გაღმაც ნათელი.
ყველას, ვინც წინათ თავს ბატონად
თვლიდა მიწაზე,

მათ მიახალეს: „ხელმწიფება დასრულდა
თქვენი!“

და ხელმწიფება დასრულდა მათი.

ისინი თავად გაბატონდნენ მერე მიწაზე
და ბრძანეს ასე: „განიხვენენ ბნელნი“,
და ქვეყნად წამსვე განიხვნა ბნელი.

დიდება იმ შუქს, ბნელით მოცულ
დედამიწაზე

მზე რომ აშუქებს — კაშკაშა მზე
ბოლშევიკების!

და ბოლშევიკებს — დიდება!

თარგმანა ტარიელ ზანტარიაშ



დიდი ფრანგი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლუი არაგონი 20-იანი წლების დასაწყისში
ესტუმრა საბჭოთა კავშირს. მან მოინახულა ურალის ახალშენებლობანი, ახალგაზრდა საბჭო-
თა რესპუბლიკაში მოგზაურობამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა არაგონზე. ლექსების
წიგნი „ეაშა ურალს“ ამ შთაბეჭდილებათა პოეტური ხორცშესხმავა. „პიმნი“ სწორედ ამ წიგნი-
დან არის ამოღებული.



7 ნოემბერი

ოდა გამარჯვების დღისადმი

ეს დღე სხვა დღეა,
ეს დღე გახლავთ გამარჯვებისა
და ნუთუ ამ დღეს ემუქრება
დიდი უფსკრული პირდაღებული
და უდაბური დიდი სამყარო,
გამოფიტული გულების სვედრი?



ო არა, ეს დღე, ეს დღე ძვირფასი,
ოქროს წამებით არის ნაჭყოვი
და მათში ბრწყინავს ცივი დიდება
ცივი ხმლებისა —
მოწმენი დიდზე დიდი ეპოქის,
და ეს ერთი დღე, ორი თარიღი,
როგორც ცისფერი ორი ყვავილი,
ლამის სამეფოს ფრთხილად და წყნარად,
აღვიძებს ცისკრის წითელი ფერით.



შენ ესპანეთის ძვირფასო დღეო,
მობრძანებულო დიდი სამხრეთით,
სიმხნევის დღეო, აბჯარასხმულო,
შენ საიდანაც მოხვედი ჩვენთან,
ჯერ კიდევ ბრძოლის არის დუღილი
და თბილი სისხლი მოკლულ მეომრის
და ცივი ბაგე მოკლულ მეომრის
კვლავაც ინახავს მამულის სახელს —
შენ საიდანაც მოდიხარ ჩვენთან.
შენა ხარ გულის ცოცხალი ხსოვნა,

დაუვიწყარი და უნაპირო,
შენ ხარ დიადი, შენ ხარ ბრძოლის დღე,
შენ ხარ საყრდენი თავისუფლების.
და უხილავი კოლონადის ფრთა ხარ
ძლიერი,
რითიც იშვება აღმადრენა ჩაუქრობელი,
დაადო რიცხვო ნოემბრისა.



ნოემბრის შვიდო, სადა ხარ ახლა?
სად აღდებიან შენი ფურცლები,
ვის მოუწოდებ გამარჯვებისკენ,
რომელ დაცემულს აყენებ ფეხზე...
სად იფურჩქნება შენი დაფნის დიდი
სიმწვანე.
შენი ფესვები გადგმულა გულში
და მოუწოდებს გმირობისკენ ადამიანებს.



ჩემო წმინდაო და ნათელი სამშობლოვ
ჩემო,
ის შენთან არის, მას საბჭოთა კავშირი
ჰქვია.
დაო და დედავ, ნოემბრის შვიდო,
შენ რაც დასთესე, მთიმგი მალე.
გაღვივებულა იგი თესლი, მისი ნაყოფი
მოდებულია დედამიწის ყველა კუთხეში,
ისე, ვით მძლავრი ფოთოლცვენა
შემოდგომისა.

ხალხო მებრძოლო, რა დროს ცრემლია,
 დღეს ყველაფერი საქირთა გახდეს
 რკინისა,
 დარტყმა, ნაბიჯი, რწმენა და ტანჯვაც,
 დიახ თვით ტანჯვაც, რომელიც ცდილობს
 გულის გაყინვას,
 სუყველაფერი, სიცოცხლეც კი გახდება
 რკინის,
 რომ დაგეხმაროს გამარჯვებაში.

დაო და დედავ, მივაფურთხებ ყველას
 სახეში
 ვინც შენს სიმართლეს გადაუდგება.
 შურისძიება მიეწევა მხდალს და
 მშიშარას,
 გამარჯვებათა საათების სისხლის
 საათით.
 დაე მხდალს ჰქონდეს ბნელი ბუნავი
 და გმირებს ერის დაფნის გვირგვინი,
 შენ თეთრო გემო, ნოემბრის შეიღო,
 შენ გამარჯვების დიდო თარიღო.

სალამს ვუგზავნი ამ დიად დღეს
 საბჭოთა კავშირს,
 მე ვინ გახლავართ? ერთი უბრალო
 პოეტი ვარ, სხვა არაფერი.
 და წარმოშობით უღარიბეს
 ოჯახიდან ვარ

და სულ შენთან ვარ, საბჭოეთო,
 ჩემო სამშობლოვ.
 ახლა აქ, შორს, შორს, ჩემს პატარა
 ლამაზ მხარეში,
 დიდი წვიმების ქვეყანაში.
 ცეცხლად ანთია სახელი შენი
 ხალხის გულებში.
 იმ გულებიდან იზრდება ის, როგორც
 მწვერვალი

და წვერით სწევდება სამშობლოს ზეცას.
 შენთან ვარ გულით, საბჭოთა მხარე!
 სახლიდან სახლში, გულიდან გულში,
 გადადის ხოლმე შენი ამბავი,
 შენი ამბავი გამარჯვებისა.
 ვლოცავ შენს გმირებს,
 მათი გულების მქუხარე ცემას.
 მე ვლოცავ შენს ხალხს წამომართულს
 მქუხარე ტალღად,
 დამცველს და ქომაგს შენი ამაცი
 წმინდა სახელის.
 მე ვლოცავ შენს დიდ მწუხარე ყანებს,
 რომელიც უცხოობს შენს გმირებს პურებს
 და ის დროც მოვა, არმია შენი,
 რკინის არმია,
 ფერთლით და ნაცრით დაფარულ
 გზებზე.

მკვლელთა გვამებით დაფარულ გზებზე
 გამარჯვებებით გაიკვლევს დიდ გზებს.
 და ვარდს ცეცხლისფერს,
 მთვარესავით გაბადრულს, ნათელს,
 დარგავს მიწაზე, გამარჯვებების წმინდა
 მიწაზე.
 მართალი ქვეყნის წმინდა მიწაზე.

თარგმანი ჯანსუღ ჩარკვიანისა

ვლადიმერ ილიას კი ღვინის ხსოვნას

მოწმე ვიყავით იმ ეპოქების,
როცა კვდებოდნენ დინასტიები
და ღამეები მილასლასებდნენ
ძაძამოსილი მონაზვნებივით.

ფრონტებს კი ღრღნიდა მდულარე რკინა,
ცეცხლი მრისხანე და მაგიური,
ფერები დულდა და ცის ლავევარდი
გვეჩვენებოდა საოცრად ლურჯი.

ცას ასკდებოდნენ ფერფლაძქცეული
გვირგვინოსანი თავისქალები,
იდგა სიკვდილის ფეიერვერკი
და ისტორიაც ჩაბარდა წარსულს.

იმ ეპოქათა ვიყავით მოწმე,
როცა თან სდევდა მეფეთა სიკვდილს
სამეფოების განადგურება,
როგორც მიწისძვრას — ქალაქთა ნგრევა.

თუ გაიხსენებ იმ სასტიკ დღეებს —
გაიგებ ომის საშინელებას,
რევოლუციის დიდ მონაპოვარს
და პოეტების წინასწარგრძობას.

ბოლოს — მსოფლიოს ააფრთოვანებს
დიდი ლენინის სიტყვა და საქმე
და სიხარულის ცრემლით აღნიშნავთ
ქვეყნად ახალი ეამის დაწყებას.

ისევ დაფარავს მიწას ბალახი
და ქალაქები ველარ დაიტვეს
ნათელმზილველებს და მებარდნეებს
და მეოცნებე ახალგაზრდობას.

ვინ დაიჯერებს ასი წლის შემდეგ,
რომ ამნაირი გვექონდა ეპოქა?
მაგრამ გაუგებს ხალხი პოეტებს,
ჩვენს საფლავებს და რევოლუციას!

თარგმნა ზოთა ნიშნინიძე



რ ი ლ ე

რ ი რ ო ჯ ა ხ ე ბ ი

სადგურ ტერიოკის ასაქცევთან შეთანხმებისამებრ ვლადიმერ ილიჩს უცდიდნენ რაბია, შოტმანი და ლილია პეტრეს ასული, რომლებიც იმავე მატარებლით მოემგზავრებოდნენ, მხოლოდ სხვადასხვა ვაგონით. როგორც კი თვალი მოჰკრეს ვლადიმერ ილიჩს, გაეშურნენ მის შესაგებებლად და ყველას თითქოს მძიმე ლოდი ჩამოშორდათ მხრებიდან.

— გილოცავთ მშვიდობით ჩამოსვლას! — სიხარულით წამოიძახა ლილია პეტრეს ასულმა. ვლადიმერ ილიჩმა მხრები აიჩეჩა.

— თუ საქმე მილოცვაშია, ეს იალავს ეკუთვნის. იგი მარტოოდენ გასაოცარი შემანქანე კი არა, კონსპირაციის შესანიშნავი ოსტატიც ყოფილა.

— ცხენები კი არ ჩანან, — დამნაშავესავით წარმოთქვა ლილია პეტრეს ასულმა, — ჩვენ ხომ გუშინწინ უნდა ჩამოვსულიყავით. ვერ გაიგია, რატომ ვერ მოიფიქრა მამაჩემმა, რომ ყოველ საღამოს გამოეგზავნა ცხენები.

— არაფერია, ფეხით გავიაროთ. რამდენი ვერსია? — იკითხა ვლადიმერ ილიჩმა.

— თოთხმეტ ვერსამდეა.
— არაფერია.

სამი ვერსი გაიარეს რკინიგზის გასწვრივ და გზაზე არაბრაბებულნი ფორანნი შემოეყარათ.

— ვიანო, ეს შენა ხარ? — მიამხა ლილიამ ფინურ ენაზე.

მეტლემ ცხენები შეაჩერა.

— ეს ჩემი ძმაა, — თქვა ლილია პეტ-

რეს ასულმა — ასე რატომ დაიგვიანე?

— მე თავის დროზე მოვედი, — გაისმა ბიჭის ხმა, — მაგრამ ორთქლმავალი ისე კიოდა, ცხენები დაფრთხნენ, თავი აიწყვიტეს და გამეჭკნენ. ძლივს ძლივობით დავამშვიდე და, აი უკან ვბრუნდები.

— შენც ხარ რალა, — ცხენსაც ვერ მოერიე. ახლა ჩქარა გაეწიოთ შინისკენ.

ფეხებჩამოშვებულნი ისხდნენ ფორანში, ტყებოდნენ ფიქვნარის სიგრილით. აღმართზე ფორნიდან ჩამოხტებოდნენ და ფეხით მიდიოდნენ. ქვემოთ, ციკაბო ხრამის გადაღმა, მიცურავდნენ ტბების წყნარ წყლებში არეკლილი ღრუბლები.

თემშარიდან მარჯვნივ გადაუხვიეს, ტყის ოღროხოლორ გზაზე. მიყვებოდნენ ცხენს, რომელმაც, იგრძნო თუ არა სახლის სიახლოვე, ჩორთით გაეჭანა. მოსახვევს იქით თითქოს ხეებმა გაიწვამოიწიეს და გამოაჩინეს განიერი ჰემკარი, მის იქით კი გადაიშალა უზარმაზარი ხეებით გარშემორტყმული, მთვარის მკრთალი შუქით განათებული ფართო ველი. და მის შუა კი, როგორც ძველებურ ზღაპრებშია ხოლმე — იდგა პატარა სახლი.

მოხუცი პარვიანიენი პარმალზე იდგა და ჩიბუხს აბოლებდა.

სტუმრები სამზარეულოში შევიდნენ.

— გაიცანით, — წარუდგინა ვლადიმერ ილიჩი რაბიამ, — ჩვენი სტუმარი და ჩემი მეგობარი — კონსტანტინე პეტრეს ძე ივანოვი... ანა მიხეილის ასული, პეტრე პენრიხიძე-ძე ჩემი ლიულის

დღე-მამა, -- წარუდგინა სიღებრი და სიმამრი რახიამ.

სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე, რომელსაც ნავთის ლამპა ანათებდა, ბლომად დაეხევავებინათ ქვევის ღვეზელი, კაშკაში გაუღიოდა სამოვრის წახნაგოვან გვერდებს.

— მესამე დღეა, ვახშმად გელოდებით, — თქვა პეტრე ჰენრიხის ძემ.

— ღვეზელი მთლად გამოხმა, — აწუწუნდა ანა მიხეილის ასული. — მაგრამ ხვალ ახალს გამოვაცნობ. დაბრძანდით მაგიდასთან!

— რომ შეიძლებოდეს ახლა ტანის დაბანა, — ამოიხვნეშა ვლადიმერ ილიჩმა.

— გთხოვთ, — მიიწვია პეტრე ჰენრიხის ძემ, — სამი საღამოა ვათბობთ აბანოს...

აბანოდან ფეხშიშველები მოდიოდნენ, ცვრიან, გრილ ბალახზე.

კარტოფილით დატენილი ქვევის ღვეზელი, რომელიც ფინური წესით იყო დამზადებული, მადისმომგვრელად გამოიყურებოდა. სამოვარი შიშინებდა, ოდნავ ირბეოდა მაგიდის თავზე ფართო აბაქურიანი ლამპა. სახლის პატრონები — ორივე წარმოსადეგი, კეთილნი, სიტყვატუნწნი — საოცრად თავაზიანები იყვნენ.

— მიირთვით, მიირთვით, გეთაყვა, — აწოდებდა ანა სტუმრებს ხან ღვეზელს, ხან მთავლის ჭემს.

ნავახშმევს დიასახლისმა ვლადიმერ ილიჩი წაიყვანა მისთვის განკუთვნილ ოთახში.

ეს იყო სახლზე მიშენებული პაწაწინა ოთახი, რომელიც ჩვეულებრივ ბოსტნეულის შესანახ საკუქნაოს წარმოადგენდა.

ვლადიმერ ილიჩმა კარის ზღურბლს გადააბიჯა და იჭაურობა მოათვალიერა. კუთხეებში ლურჯად ჩანდა ახლადშეღებილი კედლების ჯერ კიდევ სველი ლაქები, ორ ფანჯარაზე ეკიდა გახამებული ფარდები, იატაკი საგულდაგულოდ იყო მოწმენდილი, ოთახში სისუფთავე იყო. მან ხელისგული მია-

რტყა ქერს და გაიციანა. ბავშვობაში სიმპირსკში ასეთივე პაწაწინა ოთახი ჰქონდა, ასეთივე დაბალ-ქერიანი, ასეთივე საღა და ამასთანავე მოხერხებული ავეჯით. ასევე გამოიყურებოდა დედამისის მიერ მისთვის გამოზადებული ოთახი პოდოლსკში. ეს დიდხნის წინ იყო, ჩვილმეტი წლის წინ, როდესაც დაბრუნდა ციმბირის გადასახლებიდან და, საერთოდ, ყველა ოთახი, სადაც კი უხდებოდა ყოფნა მის მოუსვენარ ცხოვრებაში, ამ ოთახს ჰგავდა. შესაძლოა, რკინის საწოლის დაგრებილი საზურგე იყო სხვაგვარი, ფანჯრები ზოგან უფრო მოდილო, ზოგან უფრო მომცრო, მაგრამ ყველგან იყო წიგნებიანი თაროები, პატარა მაგილა, ზედ რომ მუდამ აბაქურიანი ლამპა აღგა: რუსეთსა და ფინეთში ლამპა ნავთისა იყო, შვეიცარიაში, საფრანგეთსა და ინგლისში — ელექტრონის.

ვლადიმერ ილიჩმა ხელი შეაბო საწოლს, რომელზედაც გაქათვითებული საბანი ეფარა.

ანა მიხეილის ასულმა ეს ექსტი თავისებურად გაიგო.

— იქნებ მაგარია? ბუმბული ხომ არ დაგიგოთ?

ვლადიმერ ილიჩმა ხმამაღლა გაიციანა. აქ მოსვლამდე ოცდათორმეტი ღამე თივაზე ეძინა, ჯერ ემილიანოვების სარდაფში, შემდეგ კი — სათიბის კარავში.

— დიდებული ლოგინია, — წამოიძახა მან. — შესანიშნავი ოთახია!

ანა ღიმილით შესცქეროდა სტუმარს. უკვირდა, რა ნახა მშვენიერი ამ თითქმის ლატაკურ მოწყობილობაშიო, მაგრამ დედობრივი გულით მიხვდა, ადამიანი გაიტანჯა, დიქანცა და მას კარგი დასვენება სჭირდებოდა.

— იძინეთ მშვიდად, — უთხრა და კარი გაიხურა.

ვლადიმერ ილიჩი მივიდა საწერ მაგიდასთან და ხელებით დაეყრდნო.

ოთხფეხიანი უბრალო, შეუღლებავი მაგიდა ზედ დადგმული ლამპით და მაგიდის ახლოს მდგარი სკამი, მას მოეჩვენა ცივილიზაციის სასწაულად.

მას შეუძლია წეროს და წეროს ამ შესანიშნავ მაგიდაზე, დაჯდეს ნამდვილ სკამზე. მხოლოდ ახლა დააფასა უბრალოდ გაიორკნით ოთხფეხზე მდგარი ჟიურის მთელი მშვენიერება, რომელმაც მოხეხრებულად შეიძლებოდა ჩანაწერებისა და გაზეთების დაწყობა. ქარი არ აუწეწავდა ფურცლებს, არ შეაწუხებდნენ წყეული კოლოები, აღარ შეუსივდებოდა ფეხები, უხერხულად რომ იღობო ხის ჭირკზე. ცირცველის ქვეშ, „მწვანე კაბინეტში“ ერთი თვის მუშაობის შემდეგ, სადაც საწერი მაგიდის მაგივრობას დაბალი ხორკლიანი კუნძი უწევდა, მოუთმენლად უნდოდა ნამდვილ მაგიდაზე მუშაობა.

...მზემ გამოაღვიძა, არყის ხის სქელ ფოთლებიდან შემოპარულმა, ნათელი ისრები სტყორცნა პატარა ფანჯარას და სხივები იატაკზე და კედლებზე მრგვალი ლამბაქებივით აციმციმდა.

ვლადიმერ ილიჩი საწოლიდან წამოხტა, საფეთქლებთან თითებით პარიკი შეისწორა, გრილ ფიცრულ იატაკზე გაიზინა, ფანჯარაზე ფარდა გადასწია და ალტაცებისგან გაიზინდა: მუქი მწვანე მდელო ხალისასავით გაწოლილიყო მიწამდე ტოტებდახრილ გიგანტური არყის ხეებისა და ნაძვების უკან. ფანჯარას მიეკრა, რათა დაენახა მზის სხივებით გაბრწყინებული და ზურმუხტისფერად აპრიანებული ხის კენწეროები.

არც ბერლინის ახლო მდებარე პარკი სან-სუსი, სადაც გასაოცარი გამოთლივლივებს მხატვართა მიერ ოსტატურად შერჩეული ხეებისა და ბუჩქების ფერადოვნება, არც შესანიშნავი ბოტანიკური ბაღი ლონდონში, არც ვენის პრატერი არასოდეს არ მოხვედრია გულზე ასე, არ გამოუწვევია სიცოცხლის, მოქმედების, სიხარულის ასეთი დაუოკებელი სურვილი, როგორც ბუნების ხელით შექმნილი ხშირფოთლოვანი სურნელოვანი ტყის რაყას, ფიჭვნარის წკრიალა სიწყნარეს და არყის ხეების ზურმუხტისფერად მოთამაშე ათონათს.

— კარგია! — წამოიძახა ვლადიმერ ილიჩმა, მივიდა მაგიდასთან, ხელისგულებით დაეყრდნო მას. **შეზღოვნენ** კედლის იქედან ისმოდა ჩუმი ხმა, წაოუნობდა ჭურჭელი, ხრიგინებდნენ ღუმელის კარები და მასები.

ვლადიმერ ილიჩმა მიაღაგა ოთახი და უკვე ემზადებოდა მაგიდასთან დასაჯდომად, რომ კარზე დააკაენეს დასასაუზმოდ მიიწვიეს.

სამზარეულოში სუფრას უხსდნენ პარვიანინთა მრავალიცხოვანი ოჯახის წევრები.

როდესაც სტუმარი შევიდა, ბავშვები წამოხტნენ და გამწკრივდნენ.

— გაიცანით ჩემი ოჯახის წევრები, — ბოხი, კმაყოფილი ხნით წამოიწყო პეტრე ჰენრიხის ძემ, — მხოლოდ ჩემი შვილები რუსულად ვერ ლაპარაკობენ, ფინურ სოფელში გაიზარდნენ.

— ვერნერ! — დაუძახა მამამ.

დამორცხვებულმა შვიდი წლის ბიჭუნამ, რომელიც გრძელ ტილოს ხალათს წიწწინდა, მოწიწებით დაუკრა თავი.

— ხუფია პიავია („გამარჯობათ“).

ვლადიმერ ილიჩმა ფრთხილად ჩამოართვა პატარას ხელი.

— ევერტ!

ცხრა წლის ბიჭუნა, თვალს არ აცილებდა სტუმარს, ისე დაუკრა თავი, თითქოს რქენას აპირებდსო.

— ფერდინანდ! — განაგრძობდა ვაჟების გამოძახებას მამა.

— ივანე!

ვლადიმერ ილიჩმა იცნო თექვსმეტი წლის ბიჭუნა, წუხანდელი მეეტლე ვიანიო.

— ვლადიმერ!

ჩემი სენიაც ყოფილა, გაუელვა აზრმა, მაგრამ აქ იგი იყო „კონსტანტინ პეტროვიჩი“, ანდა „ენო კოსტი“ — ზიძია კოსტია, როგორც წარუდგინეს ბავშვებს.

— ედვარდ!

ექვსი ვაჟი იყო ამ ტკბილ ოჯახში.

— ანა, — რაღაც განსაკუთრებული

ალერსით წარმოთქვა მამამ და თავზე ხელი გადაუსვა თორმეტი წლის ქერა-ნაწნავებიან გოგონას.

ანა მუხლმოდრეკით მიესალმა.

— ჩემ უფროს ლიულის კი თქვენ იცნობთ.

ვლადიმერ ილიჩი აქამდე ცხოვრობდა ემელიანოვების ოჯახში, რომელსაც შვიდი ვაჟი ჰყავდა, პარვიანენების ოჯახს კი — ექვსი ვაჟი და ორი ქალიშვილი ჰყავდა. იგი ყოველთვის გასაოცარ სიმშვიდეს გრძნობდა დიდ ოჯახში და მალე იცოდა მეგობრული კავშირის დამყარება ოჯახის ყოველ წევრთან. ეს აგონებდა მას ბავშვობის ჩვეულ გარემოს. ულიანოვების ოჯახში მაგიდას შემოუსხდებოდა რვა სული — ექვსი ბავშვი და მშობლები.

— მდიდარი ოჯახი გაქვთ, — შენიშნა ვლადიმერ ილიჩმა, როდესაც თვალი შოაგლო მაგიდას შემომდგარ ბიჭებს.

— ბედს არ ვემდურით, — უპასუხა წყნარად პეტრე ჰენრიხის ძემ, — სჯობს ბევრი შვილი, ვიდრე ცოტა. საზრუნავი უფრო ცოტაა. დედას ყოველგვარ საქმეში დამხმარეები ჰყავს.

— დიახ, — თქვა ანამ, — არსებობს ისეთი უიღბლო ადამიანები, რომელთაც ღმერთი მხოლოდ ერთ ბავშვს უგზავნის. თუმცა ასეთ ბავშვს მშობლები კი ჰყავს, მაგრამ უდაძმებოდ ყოველთვის ობოლია და იზრდება მიუკარებელი, თავისმოყვარული. ჩვენთან კი მოწყენილობა არაა.

ვლადიმერ ილიჩმა ოხერა შეიკავა. რამდენი წელია იგი და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ოცნებობდნენ! ბავშვებზე, მაგრამ „ღმერთმა არ გამოუგზავნა“. „ხომ არ აპირებს შემოფრენას ბარტყი თქვენს ბუდეშიო?“ — ეკითხებოდა წერილით დედამისი მარიამ ალექსანდრეს ასული, როდესაც ისინი შუშენსკოეში ცხოვრობდნენ. „რატომღაც არავითარი ბარტყი არ აპირებს შემოფრენას“ — უპასუხებდა მას მოწყენილი ხუმრობით ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და იმედს არ კარგავდა, რომ მათ ეყოლებოდათ შვილი და არა ერთი, არამედ ბევრი, ბევრი შვილი. და როდესაც მის მეგობარს ზინაიდა პავლეს ასულ კრეტიანოვსკაიას უმხელდა თავის სანუკვარ ოცნებას, იგი დაეჭვებით ეკითხებოდა — რევოლუციურ მუშაობაში ხომ არ შეგიშლით პავშეები ხელსო?

„რას ამბობთ, — იცინოდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, — დამხმარეები დაიზრდებიან“. და ეს სიმაართლე იყო. ემილიანოვებისთვის ხომ არ შეუშლია ხელი შვიდ ვაჟიშვილს დაუცხრომლად ეზღუდვანათ რევოლუციურ საქმიანობაში.

— თქვენ ცოლიანი ხართ, ბავშვები გყავთ? — დაინტერესდა ანა.

— ცოლიანი ვარ, მაგრამ ბავშვები ჯერ არ მყავს.

— მოვა დრო და გეყოლებათ. ბევრი შვილი გეყოლებათ. — დაწმუნებით თქვა მან.

„თქვენი ბავშვები“

საუზმის შემდეგ რახია, მისი მეუღლე და შოტმანი უნდა წასულიყვნენ პეტროგრადში. მათთან ერთად სადგურ ტერიოკში გაზეთებისათვის გაემგზავრა უფროსი ვაჟი ედვარდი. იგი ველოსიპედით წავიდა, რათა მალე მოუტანა სტუმრისათვის გაზეთები.

პეტრე ჰენრიხის ძემ ფარდულიდან გამოიყვანა გუთანში შებმული ცხენი;

სახლის უკან ყამირის გატეხას აპირებდა.

პეტრე ჰენრიხის ძემ სახნისი მიწაში ჩაარტო. ცხენს წყნარად შეუტახა: „ეჰე!“ და გუთანმა სწორ ზოლად დაიწყო გარღვეული მიწის გადაბრუნება.

— მოშეცით, შეც ვსინჯავ, — მივიღა ნათთან ვლადიმერ ილიჩი.

იგი მოუკიდა სახელურს, გუთანი ახ-

ტა, სახნისი ასხლტა მიწას და მრუდე კვალი მოხაზა, ცხენსაც ფეხი აერია. ვლადიმერ ილიჩი გაჩერდა.

— რაღაც არ გამომდის, — ნაწყენი ხმით თქვა მან.

პეტრე ჰენრიხის ძემ გუთანი ფერდინანდს გადასცა, თვითონ ჩამოჯდა რიყის ქვაზე და ვლადიმერ ილიჩსაც თხოვა ჩამოჯდომა.

— თავიდან ყველაფერი ძალიან ძნელია. მეც არ შემორჩილებოდა მიწა. გულახდილად გეტყვით, კონსტანტინ პეტროვიჩ, მიწიდან ქარხანაში გადასვლა უფრო იოლია, ვიდრე ქარხნიდან მიწაზე. შეხედეთ, როგორი ვასაქანია აქ, მშვენიერებაა. ფილტვები მკვდლის საბერველოვით სუნთქავს. ბავშვები მარტო კარტოფილსა და რძეზე გადადიან, როგორი ჯანმრთელები იზრდებიან, ჩემს გულს კი დარდი ღრღნის!

— ვითომ რატომ? — თანაგრძნობით ჰკითხა ვლადიმერ ილიჩმა, თან შეკყურებდა ჭლარა კულულებით დაფარულ ძველი მუშის ამაყად აღერილ თავს, პეტრე ჰენრიხის ძის პატრიარქალურ დიდებულებას ოდნავ აუშნოვდა თუთუნისაგან გაყვითლებული ჭლარა უღვაშები. მაგრამ გლეხურ ტანსაცმელს არ უქცევია იგი მიწის მხვნელად — მის მოძრაობაში იყო რწმენა, გამოხედვა ამუღავნებდა მასში პროლეტარს.

პეტრე ჰენრიხის ძემ გატენა მოკლე ჩიბუხი და გააბოლა.

— თქვენ თავად მუშა კაცი ხართ, ხომ სესტრორეცკოეში მუშაობთ? ვიანომ მითხრა.

— დიახ, დიახ, — ჩაილაპარაკა ვლადიმერ ილიჩმა. ასეთი იძულებითი ტყუილიც კი უსრამოვნო იყო მისთვის პეტრე ჰენრიხის ძის წინაშე.

— მე რამდენიმე წელი ვიმუშავებ ქარხანაში! — განაგრძო პარეიანიენმა. — როგორც კატორღაში ისე ვმუშაობდი თორმეტ-თხუთმეტ საათს. ბრძმედთან ვიდექი. პერანგს სიცხისაგან ორთქლი ასდიოდა, სახესა და ხელებზე კანი მისკვებოდა და ყოველთვის მენატრე-

ბოდა ტყე, სუფთა ჰაერი. გახსნი ხანდახან კრიჭას, თხიერ მზესაგინა გადწოტკდება გამდნარი თუჯი, განანათებს საამქროს ალისფერი განთიადით, ვუყურებ და გონებაში ტყის ალიონი მიტრიალებს. მოსვამ ჰიქით მყარალ თბილ წყალს და გენატრება წყაროს წყალი. მიწას საყალიბო ყუთისათვის ამზადებ, ბოსტანზე ფიქრობ. მიყვარდა მიწა, ტყე. მე ხომ გლეხის შვილი ვარ და ეს სახლიც მემკვიდრეობით მერგო მამაჩემისაგან. ახლა კი ყველაფერი თავდაყოლა გადაბრუნდა. დილით მზე აი, იმ ნაპირს გადაღმიდან ამოდის, — პეტრე ჰენრიხის ძემ ხელი ტყისაგან გაიშვირა. — მე მგონია, კრიჭა ვახსნა, თუჯი გადმოიღვარა, მიწას ვტეხ, ასე მგონია, საყალიბე ყუთს ვამზადებ-მეთქი. ეშმაკმა დალაზეროს, ქარხანაც აღარ მეჩვენება უკვე კატორღად, მშობლიური სახლივით მაგონდება. აი, რას ნიშნავს ჩვეულება... კარგი იქნებოდა, ერთი დღე ქარხანაში გვემუშავა, მეორე დღეს მიწისთვის მიგვეხედა...

— შემდეგ კი წიგნებს მივსხდომოდით, — თქვა ვლადიმერ ილიჩმა.

— დიახ. წიგნებს პიტერში ვეწაფებოდი და ახლაც უგაზეთობა არ შემიძლია. პოლიტიკაზე მიყვარს კითხვა, თუკა არც ერთ პარტიაში არ ვყოფილვარ. პლენანოვიც კი წამიკითხავს, ლენინი...

ვლადიმერ ილიჩი გაინაბა.

პარეიანიენმა ფეხსაცმლის სქელ ლანჩაზე ჩიბუხი დაიბერტყა, თან განაგრძობდა:

— ახლა პლენანოვზე რას არ ლაპარაკობენ! რევოლუციის და მუშების წინააღმდეგიაო, თითქოს თავად მოგვიწოდებდა რევოლუციისკენ, მეცნიერულად გვიმტკიცებდა, ახლა კი რას წერს? მუშა ჯერ ისე არ გაზრდილა, რომ ხელისუფლება აიღოსო და იმ ხელისუფლებას ბურჟუაზიას თავაზობს, თითქოს ვაშლი იყოს მოთქროვილ ლაპაჭე.

ვლადიმერ ილიჩმა კბილი კბილს

დააქირა. მისთვის ადვილი არ იყო პლენანოვზე ასეთი სიტყვების მოსმენა. მასწავლებლის სიყვარული, აღტაცება იმ წარსული პლენანოვით, არ გამაქრალიყო, მას უყვარდა და ღრმად სწამდა პლენანოვი — მარქსისტი, ახლა თვითონ მის წინააღმდეგ აწარმოებს გაცხარებულ ბრძოლას. ბრძოლას ეწევა არა პიროვნების წინააღმდეგ, არამედ მუშათა კლასისათვის უცხო მოფლმხედველობის წინააღმდეგ, იცავს რევოლუციურ სიმართლეს, რაც ურყევად წამს. მაგრამ ასეთი ხასიათი აქვს ლენინს — როდესაც წყვეტს ადამიანთან პოლიტიკურ კავშირს, იგი აგრეთვე წყვეტს პირად კავშირსაც, მეგობრულ დამოკიდებულებასაც, თუმცა ეს ადვილი და უბრალო როდია.

— ასე იქცევა გიორგი ვალენტინის ძე, ღმერთი იყოს მისი შემწე, — მოესმა ვლადიმერ ილიჩს პარვიანენის ბოლო სიტყვები — აი, ლენინი კი..

ვლადიმერ ილიჩი შეერთა და გამომცდელად შეხედა პარვიანენს.

პეტრე ჰენრიხის ძემ გადახედა ბავშვებს, რომლებიც შორიასლო რანდავდნენ ჯოხებს და ჩურჩულთი განაგრძობდნენ:

— აი, ლენინზე წერენ, ჯაშუშიაო, გერმანიის გენერალურ შტაბს ემსახურებო, ამ გზით კაპიტალი დააგროვო. მე კი არ მჯერა. არც ლიულის სჯერა და არც ეინოს, რომელიც მზადაა ყელი გამოადროს მას, ვინც ლენინზე ცუდს იტყვის.

პარვიანენმა ცერად გადახედა სტუმარს, შეხედა, როგორ მოიღუშა უეცრად და ეს თავისებურად ახსნა.

— თქვენ რატომ სდუმხართ? თქვენ რა გჯერათ, რომ ლენინი ჯაშუშია?

ვლადიმერ ილიჩი წამოდგა, საფეთქლებთან პირიკს მაგრად დააქირა ხელი.

— არა, არ მჯერა, მე საკმაოდ კარგად ვიცნობ ლენინს.

— ჰოო, — გაეხარდა პარვიანენს. — თქვენ მას პირადად იცნობთ? მომიყევით მისი ამბავი, ისე მიაშხმეთ, რომ მეც

შევძლო სხვებს ვუთხრა მართალი სიტყვა, თორემ ყვირი, იღრინებოდასეთ ბრალდებაზე კი ისეთი მპასუხე გზნდა გასცე, როგორც თავად ლენინი გასცემდა.

ვლადიმერ ილიჩი სადღაც შორს იუწრებოდა, ცერი ბლუზის სარტყელში ჰქონდა გაყოფილი, შემდეგ კი პირდაპირ თვალეში შეხედა პარვიანენს და უთხრა:

— ყველა თავის საქმეზე ლენინი ყოველთვის პარტიას აბარებდა ანგარიშს. სადაც არ უნდა ყოფილიყო — ციხეში, გადასახლებაში, ემიგრაციაში, იატაკქვეშ. — მუშაობდა მუშათა კლასისათვის, რევოლუციისათვის.

— ეს ცხადია, — უპასუხა ჩაფიქრებულმა პარვიანენმა. — რატომ ჩამოვიდა ლენინი რუსეთში გერმანიაზე გავლით, ჩვენ ხომ ვეომებით გერმანელებს?

— ამის ანგარიშიც ჩააბარა მან არა მხოლოდ პარტიას, არამედ მთელ ხალხს, — უპასუხა ვლადიმერ ილიჩმა.

და მან გაანდო ძველ მუშას, ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ რომ გამოაქვეყნა ლენინმა ანგარიში — „როგორ ჩამოვედით“. ინგლისის მთავრობამ არ მისცა საშუალება ინგლისზე გავლით სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ ლენინი და სხვა რევოლუციონერები, რომლებიც დამპყრობელი ომების წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

ეს შესაძლებლობა მისცეს მხოლოდ პლენანოვს, რომელიც მოუწოდებდა მუშებს ებრძოლათ კაპიტალისტთა ინტერესების სახელით. დროებითა მთავრობამ უარი შეუთვალა ლენინს დახმარებოდა რუსეთში დაბრუნებულიყო. დარჩა ერთი გზა გერმანიაზე გავლით, და შევიცარიელმა ამხანაგებმა დაითანხმეს გერმანელები გაეტარებინათ ლენინი და სხვა რუსი ემიგრანტები ინტერნირებული გერმანელების ნაცვლად.

— სწორად მოქცეულა ლენინი, — მტკიცედ თქვა პარვიანენმა. — როგორ შეეძლო შევიცარიაში დარჩენა, როდესაც აქ ასეთი ამბები ხდებოდა,

მეფე ჩამოაგდეს და წინ რომ წასულიყვენ, მუშათა კლასს ხომ სჭირდებოდა ლენინი? და ლენინის კაპიტალზე შექმნილი ზღაპარიც, მე მგონია, ტყუილია!

ვლადიმერ ილიჩს გაეღიმა. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა და დედამისმა მეგვიდრეობად მიიღეს ორი ათასი მანეთი. ამ ფულით ცხოვრობდა სამი სული სამ წელიწადს და ამ ფულითვე იძენდნენ გაზეთებსა და წიგნებს, კავშირი ჰქონდათ რუსეთთან. 1916 წლის სექტემბერში ფული გაუთავდათ, თითქმის შიმშილობდნენ. მაშინ წერდა ვლადიმერ ილიჩი სტოკჰოლმში ამხანაგს: „პირადად ჩემს თავზე ვიტყვი, რაიმე შემოსავალი მჭირდება, სხვაგვარად პირდაპირ სულს გავაცხებ. ჯოჯოხეთური სიძვირეა, ცხოვრების სახსარი კი არსად ჩანს...“

მაგრამ პარვიანენს ეს როდი უთხრა ვლადიმერ ილიჩმა, მხოლოდ მთავარი აუხსნა: რომ ცილისწამება ლენინის წინააღმდეგ — ნიშნავს ცილისწამებას ბოლშევიკების პარტიის წინააღმდეგ და ეს ბურჟუაზიას იმისათვის სჭირდება, რათა გასწყვიტოს კავშირი ბოლშევიკურ პარტიასა და მუშათა კლასს შორის, ჩაახშოს რევოლუცია.

პარვიანენი აღელდა.

— მერე და, ასე ადვილი იყო ლენინისათვის ცილისწამებლების მხილება, იქნებ აჯობებდა სასამართლოში აღძრა საქმე?

ვლადიმერ ილიჩი პარვიანენის წინ მიმოდრიდა, ხანდახან ფეხსაკმელის წვერს ნაძვის ძველ გირჩებს წაყრავდა. ლითონისმსხმელის ბოლო კითხვაზე შეჩერდა.

— ო, ლენინს ძალიან უნდოდა თავად წარსდგომოდა მართლმსაჯულებას. იცით, რა მძიმეა მუშების თვალში ცილდაწამებული? შეიძლება რევოლუციონერისათვის ამაზე საშინელი სასჯელი, ვიდრე წარსდგე მტრად იმ საქმისა, რომელსაც ემსახურები? და ამისათვის გასაგები იყო მისი სწრაფვა, რათა განწმენდილიყო ცილისწამებისა-

გან. მაგრამ... პარტიამ აუტკბილა სასამართლოში გამოცხადება, უმრძანა დატაკევემ წასულიყო, დამალულიყო. პარვიანენი დაინებით შესცქეროდა კონსტანტინე პეტრეს ძეს.

— სწორად გადაუწყვეტია პარტიას, სწორად. თუ თქვენ კვლავ შეხვდებით ლენინს, უთხარით, რომ არცერთ პარტიოსანს მუშას არ სჯერა ეს ცილისწამება. ლენინის სჯერათ, პარტიისა სჯერათ. მართალი და სპეტაკი ადამიანია ის, მაგრამ როგორ შეიძლება ახლა თავის ბედობაზე განაგებდეს? მისი ბედი — ეს ხომ მუშათა კლასის ბედი, მისი სისხლი — ჩვენი სისხლია და აი, რა უნდა ვითხრათ თქვენ, კონსტანტინე პეტროვიჩ, როდესაც დამყარდება ჩვენი მუშათა ხელისუფლება, ჩვენ შურს ვიძიებთ ყველა იმ ბატონკაცების მლიქვნელობაზე, მაგრად გადავუხდით.

— არა, პეტრ პენრიხოვიჩ! — ცხარედ წარმოიძახა ვლადიმერ ილიჩმა. — პროლეტარიატი შურს არ იძიებს. ჩვენ ვიმოქმედებთ კანონის მიხედვით, ჩვენი გზიდან წარვხოცავთ ყველაფერს, რაც შეგვიშლის ხელს წინსვლაში და არაფერს ჩავიდინთ შურისძიების გრძნობით.

პარვიანენი ჩაფიქრდა.

— შესაძლოა, მართალი იყოთ. პროლეტარიატს, უპირველეს ყოვლისა, უკუა უნდა, გულში კი შეიძლება ბევრი ზედმეტი რამ დაგიგროვდეს. ხედავთ, ფერდინანდმა უკვე დაამთავრა სამუშაო, წავალ შევიმოწმებ.

— მეც წავალ ჩემთვის, წავიმუშავებ. — თქვა ვლადიმერ ილიჩმა.

იგი აჩქარებული ნაბიჯით გაეშურა სალისაკენ, გულში კი შვებას გრძნობდა.

მობუცი პარვიანენი იღგა, ჩიბუხს ტენიდა და მიმავალს გაკყურებდა, გარუჯულ უღვაშებში ელიმებოდა.

— მართალი, სპეტაკი ადამიანია, — რაღაც განსაკუთრებული სინაზით ჩაილაპარაკა ძველმა ლითონისმსხმელმა.

მამობრივი



წიგნი „სახელმწიფო და რევოლუცია“ დასასრულს უახლოვდებოდა. დღეს განსაკუთრებით მარჯვედ მუშობდა. დროადრო საფეთქლებთან პარისს აქერდა ხელს — ეს საქულველი პარიკი არასოდეს ავიწყდება, სიტყვში ხომ აუტანელია, — ვლადიმერ ილიჩი წერდა. მუშაობით გართული მექანიკურად აწყობდა ქალაქებს ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ, რათა რაღაც ჩრდილი მოეშორებინა, რომელიც მაგიდაზე დაკოცავდა.

ბოლოს ასწია თავი და დაინახა მინაზე მიქერილი ორი ცხვირი და ორი წყვილი ნათელი თვალი, რომლებიც სერიოზული ყურადღებით ადევნებდნენ თვალს. ესენი იყვნენ მისი პატარა მეგობრები — ვერნერი და ევერტი, რომელთაც დაპირდა დღეისათვის სოკოზე წაჰყოლოდა. ვლადიმერ ილიჩმა მინაზე თითები გაატკაცუნა და თავი დაუქნია, ახლაც გამოვალო. მართლაც და, დასვენების დროც იყო.

სამზარეულოს ზღურბლთან ანა მიხეილის ასული იდგა და ხელებს იშორებდა წინსაფრის ბოლოთი, რაღაც წყნარად უთხრა ფინურ ენაზე ბიჭებს.

— ხელი შეგიშალეს, კონსტანტინ პეტროვიჩი. რამდენი ხანია ვერეკები ტყეში წასასვლელად, უთქვენოდ ფეხი არ გადადგეს.

— სწორად მოქცეულან, — უთხრა ვლადიმერ ილიჩმა. — მეც თავად საოცრად მინდა გავლა.

— რახან ასეა, მაშინ წადით.

— საფრისათვის მე აუცილებლად მჭირდება სიტყვების მარაგის შევსება, — თქვა ვლადიმერ ილიჩმა. — როგორ იქნება „წაეიდეთ სახლში?“

— ტულიკა კოტონა, — გადაუთარგმნა ანამ.

- წითელი მოცივი?
- პუოლუკა.
- ქაჯი?
- მეტსიანხალტია.

ვლადიმერ ილიჩი იმეორებდა ფინურ

სიტყვებს, ბიჭები იცინოდნენ, ვერნერი ფეხსაც კი აფხარკალებდა, იმდენად სასაცილოდ გამოთქვამდა ფინურ სიტყვებს ძია კოოსტი.

ანამაც მოიბრინა კალათით ხელში. ვერნერი და ევერტი შეიარაღებულები იყვნენ ხელთოფებით, ნამდვილი მონადირეებივით მხარზე რომ გადაეკიდებინათ.

ევერტს, ამას გარდა, ხელში რაღაც თავისისავერი ეკავა.

— ეს რაღაა, — დაინტერესდა ვლადიმერ ილიჩი, — როგორ? თავგები უნდა დაევიკიროთ? ღამურების დაქერას ხომ არ აპირებთ?

ანა მიხეილის ასულმა აუხსნა, პეტრე პუნრიხის ძემ ასეთი იარაღი მოცივის მოსაქრეფად გამოიგონათ.

— თითო მარცვლობით როდის მოათავებ მის კრეფას, მანქანა კი სავარცხელივით კრეფს ტოტიდან კენკრას და იყრება მავთულის კალათში. ჩვენს ოჯახს ზამთარში ბევრი მოცივი სჭირდება და მოსავალიც წელს ბევრია.

ანა წინ წავიდა. ვერნერი და ევერტი ვლადიმერ ილიჩს გვერდით მიყვებოდნენ, როგორც შეიარაღებულები. ბავშვები ხედავდნენ, რომ ძია კოოსტის ძალიან მოსწონდა მათი იარაღი და იგი კარგად ერკვეოდა ყველა მათ ბავშვურ საქმეებში. ბავშვები უამბობდნენ სხვადასხვა საინტერესო ისტორიებს ამ ტყის შესახებ და თვალეზზე ატყობდნენ, მია კოოსტის ყველაფერი რომ ესმოდა: ხან ეშმაკურად აენთებოდნენ მისი თვალები, ხან შეშინებული დამრგვალდებოდნენ, ხან გაოცებისაგან გაუფართოვდებოდა. ძალიან კარგად ესმოდა მათი ძია კოოსტის.

და მიდიოდნენ ისინი უბრალოდ სასეირნოდ კი არა, არამედ საქმეზე. დღემ დაავალა ორი ვედრო მოცივის მოკრეფა და ერთი ჩანთა სოკოს შეგროვება. ეს ყველაფერი ზამთრის მარაგისათვის იყო საჭირო.

ტყის პირას იდგა ულამაზესი არყის

ხე, რომელსაც თავისუფლად გაეშალა ტოტები.

ვლადიმერ ილიჩმა თავი უკან გადასწია, პარიკზე ჩამოხურულ კეპკას ხელი მოჰკიდა და ხეს შეაჩერდა.

— მიტე ტემია ონ? (რა არის ეს?)

— იკითხა მან.

ბავშვებმა ერთხმად უპასუხეს:

— სე ონ კოიეუ (ეს არყის ხეა.)

— ხიუვია კოიეუ (კარგი არყის ხეა?)

— ოიკენ ხიუვია (ძალიან კარგია!)

— დაემოწმნენ ბავშვები.

ვერნერმა ხელით მიუთითა თავის უმცროს ძმას და უამბო, როდესაც ევერტი პატარა იყო, (ახლა იგი უკვე ცხრა წლისაა), ავიდა ამ არყის ხეზე, ჩამოვარდა და შუბლზე დიდი კოპი დააჭდაო.

— ვეტყინა? — დაინტერესდა ვლადიმერ ილიჩი.

— სულაც არა! — ხელი ჩაიჭნია ევერტმა.

როდესაც კოპი გაუქრა, ევერტი ისევ აცოცდა არყის ხეზე და ტოტებში იპოვნა პუდე, შიგ ბარტყები ისხდნენ, საცოდავად წიწინებდნენ და ფართოდ აღებდნენ ნისკარტებს. მაგრამ ევერტს არ უწყენინებია ბარტყებისათვის. ისინი კარგი ფრინველები დაიზრდებოდნენ, ადამიანების კეთილი დამხმარეები.

შემდეგ ევერტმა აჩვენა ძია კოსტის გზა, რომელიც დაღმართისაკენ მიიკლაკნებოდა. ქვემოთ იყო პიტყაიარკია ტბა. ტბა სულ დაბურულია წყალმცენარეებით, ამიტომ ვერ ბანაობენ შიგ. ბევრი საშინელი ისტორია უამბეს ბავშვებმა ძია კოსტის ამ ტბაზე. როდესაც ევერტი ბავშვობაში წავიდა და დაიღრიალა, ძია კოსტი მიხვდა, ამ ტყეში დათვები ბუდობდნენ და სიფრთხილვა საჭიროო.

რასაკვირველია, ამ ლილისფერი ხალიჩით ფეხქვეშ გაფენილ უღრან ტყეში ისე, როგორც ყველა ტყეში, ბუდობდა კეთილი და ბოროტი ჯადოქარი, და რატომღაც ყოველთვის ბოროტი მეტია, ვიდრე კეთილი. ამისათვის შეიარაღდნენ ევერტი და ვერნერი და წყუ-

რიათ ოჩოპინტრესთან შეხვედრა. ის კი რატომღაც არ ხედებოდა, მაგრამ, შესაძლოა, დღეს გაუღიმიებოდა ბავშვების წინ აღიშართება ბოროტი ჯადოქარი და ისინი შეძლებენ გამოეხარწონ ძია კოსტისაც და დაიკო ანას.

ანა მორცხვად ჩაერია ლაბარაკში, ხან ამტიციებდა, ოჩოპინტრეს ანებები, სიმართლეა, სრული სიმართლეო, ხან ეშვავურად უქნევდა ძმებს თითს, ბევრი არ იცრუოთო. მანანის ბუჩქებს შორის ნაგვიანები მაჩიტა მოწყვიტა და ძია კოსტის მიუტანა.

თხმელის ძირში ვლადიმერ ილიჩმა შეამჩნია დიდი დათვა-სოკო და იქეთკენ გაეშურა, მაგრამ ვერნერმა სწრაფად ზოიხსნა მხრიდან იარაღი და კონდახის მოქნევით ნაყუწებად აქცია სოკოს ქული, თითქოს მტერი გაანადგურაო.

ვლადიმერ ილიჩმა საყვედურით გადააქნია თავი: რა საჭიროა ასეთი კადნიურება — გაანადგურო შესანიშნავი დათვა-სოკო?

— ეი ხიუვე, („ცუდია“), — ავტორიტეტულად განაცხადა ვერნერმა.

— მიტე ტემია ონ? („ეს რა არის?“).

— სე ონ ხერკუტატი. ეი ხიუვია. („ეს დათვა-სოკო არ არის კარგი“).

— ხიუვია, კოივენ ხიუვია! („კარგია, ძალიან კარგია!“) — შეეპასუხა ძია კოსტი.

ვერნერს გაეცინა, ევერტი და ანა გაცხარებით ცდილობდნენ აეხსნათ ძიასთვის, ეს სოკო არ იქმებაო, ფუ! ერთი სიტყვით უწმინდურიაო. მაგრამ თუ ბავშვებს შეხედებოდა დათვა სოკო, დაუძახებდნენ ძია კოსტის და ხედავდნენ, რა სიამოვნებას გვრიდა მსხვილი დეოდან სოკოს ფრთხილად მოქრა. საზავიეროდ ბავშვები გვერდს ვერ უვლიდნენ მელისყურას და ასეთივე აზარტით იღებდნენ მას, ავსებდნენ კალათს. ვლადიმერ ილიჩი მელისყურას არ კრეფდა, — მაგრამ რომ დაინახავდა მანანას ბურღოვებში ნარინჯისფერ რგოლებად. შემალულ მათ ოჯახს, მაშინვე დაუქაზებდა ბავშვებს.

მანანის ბუჩქებს შორის ხშირხშირად

ჩნდებოდა მოცვის მქმნვეანე კორონე-
ში, მალე მათ წინ გადაიშალა მოცვის
მთელი პლანტაცია.

— პუოლუკა! — წამოიძახეს აღტა-
ცებით ბავშვებმა.

ყოველგვარი ლაპარაკი მოთავდა, და-
იწყო სერიოზული მუშაობა. ანა და ვე-
რნერი მარდად კრეფდნენ ტოტიდან
მსხვილ, დაწითლებული ვაშლის მავგარ
კეხერას. ევერტი სათაგურის მსგავსი
მანქანით „პარსავდა“ კეხერას, სულს
უბერავდა სქელ მსხვილ ფოთლებს და
ყრიდა მოცვის ვედროში.

— ტულიკა კოტონა! (წავიდეთ
შინ) — თქვა ბოლოს ვლადიმერ ილიჩ-
მა და ბავშვებიც ხალისით დაეთანხმნენ.

— ტულიკა კოტონა! — და ისევ აჭი-
კვიდნენ, ისევ თვალების ცეცებით, ხე-
ლების ქნევით, ერთმანეთს არ აცლიდ-
ნენ, უყვებოდნენ ძია კოსტის საოცარ
ამბებს — მხიარულსა და საშინელს,
მაგრამ ძალზე საინტერესოს.

ტყის პირას არყის ხის ქვეშ მათ პე-
ტრე ჰენრიხის ძე უცდიდა.

— უპ! — წამოიძახა მან და შესახვე-
დრად გაემართა. — როგორ დაიგვიან-
ნეთ!

— სამაგიეროდ, ნახეთ, რა მდიდარი
ნადავლით მოვდივართ, — უპასუხა
ვლადიმერ ილიჩმა. — ბავშვები რატო-
მღაც გაურბიან ისეთ შესანიშნავ სო-
კოებს, არ კრეფენ დათვა სოკოს, ბე-
ბერა-სოკოს, არყას.

— ფინელები, მელისყურას გარდა,
არც ერთ სოკოს არ ცნობენ. — განუ-
მარტა პეტრემ, — მელისყურა სუფთა
სოკოა, ჭია არ ეკარება, დანარჩენები
კი ჭიით თუ არა, ჭიის კვერცხებითაა
სავსე... აბა ჩქარა და სწრაფად წაუღეთ
ყველაფერი დედას, სწრაფად, გელო-
დებით, — უბრძანა მან ბავშვებს.

ვლადიმერ ილიჩმა შეამჩნია, რომ
პეტრე რაღაცით აღელვებული იყო.
ბავშვებმა კალათი და ვედრო შინისკენ
გაუყენეს, პეტრე ჰენრიხის ძემ კი ხე-
ლი გაუყარა ვლადიმერ ილიჩს და არ-
ყის ხის ქვეშ მდგარ მერხზე ჩამოსვა.
ჭიბიდან არყის ხის სათუთუნე ამოი-

ლო, გახსნა, დაატკაცუნა სახურავი და
ისევ ჩაიღო ჭიბში.

ვლადიმერ ილიჩი ყუთადღებთაც-
ქერდა. პარვიანიენმა მოღუნული თი-
თით უღვაშის სწორება დაიწყო, წყნა-
რად ჩაილაპარაკა:

— ახლა მე უკვე ვიცი... გესნით, ვი-
ცი. თქვენ კონსტანტინე პეტრეს ძე ივა-
ხოვი კი არა ხართ, თქვენ ლენინი ხართ.
ვლადიმერ ილიჩმა თავი ასწია და შე-
ხედა პარვიანიენს. მოღუნულ ჭალარა
წარბებს ქვემოდან პეტრე ჰენრიხის ძე
ნახი, მამობრივი მზერით შეჰყურებს
მას.

— ჰმ... ხო... — დაიწყო ვლადიმერ
ილიჩმა.

მაგრამ პარვიანიენმა ხელის ნოდრაო-
ბით შეაჩერა:

— არა, არა, სუუ... არაფერი არ
თქვათ. ძვირფასო ვლადიმერ ილიჩ.
არავითარი სიტყვა არაა საჭირო. ყვე-
ლაფერი შესმის. მხოლოდ მომიტყევთ,
გამოჩნევენებულ ბერიკაცს, გუშინ
რომ გაგტანჯეთ, ასე უცერემონიოდ
რომ გეკითხებოდით თქვენს ამბავს და
არც კი მესმოდა, როგორ ტყვილს გა-
ყენებდით.

— მე კი მგონია, პეტრე ჰენრიხოვიჩი,
ეს იყო ჩვენთვის ძალიან სასარგებლო
საუბარი.

— დიახ, დიახ, ჩემთვის ძალზე სასა-
რგებლო გაკვეთილი იყო. დამშვიდე-
ბული ბრძანდებოდათ, ვლადიმერ
ილიჩ, მოხუცი პარვიანიენი არ გილა-
ლატებთ. მხოლოდ ამიერიდან მარტო
არც ტყეში და არც ტბაზე აღარ გავი-
შვებთ.

— გმადლობთ!
— თქვენც გმადლობთ.

— შინც საიდან ვაიგეთ?

— აი! — პეტრემ გახსნა სათუთუნე
და იქიდან გაზეთის ნაგლეჯი ამოიღო.
ეს იყო ვლადიმერ ილიჩის ფოტოსუ-
რათი, ასობით ეგზემპლიარად გამრავ-
ლებული და გამოქვეყნებული ფინურ
გაზეთში.

პეტრე ჰენრიხის ძემ აანთო ასანთი
და გაზეთის ნაჭერთან მიიტანა. ჭალა-
ლდი აბრიალდა.

— ეს იმიტომ, რომ ბავშვებს არ მო-
ხვდით თვალში. ახლა კი, კონსტანტინე
პეტროვიჩი, წავიდეთ. ჩაი დაველით,
დიასახლისი გეყოლებდა.

ფართიანი სიტყვა

ყველა, ვინც მზისკენ ისწრაფვის ახლა,
ფოლადს აცოცხლებს და ახმიანებს, —
იტყვის, რომ ისევე მიუძღვით მალა
ფართიანი სიტყვა აღამიანებს!
მხოლოდ ისაა, მხოლოდ ისაა,
ისევე რომ გასჭრა ლურჯი ტატნობი,
მისი ფრთაც იმავე ფოლადისაა,
იმავე რუსთავის ცეცხლით ნადნობი.
მაშ, თუ ძალ-ღონე კვლავ ჩემს ხმაშია —
კვლავ რასაც ვამბობ, რატომ არ სჯერათ, —
მეც ერთი წყვილი ფრთა გამაჩნია
ჩემი ოცნების გადასარჩენად!
და საიდუმლოც აქა, გაგანდე
სიტყვას, ჩემს მუდმივ მოჭირნახულეს,
ავაგუგუნე, ავაკამათე,
ჩავეუდგი ჩემი გული საგულეს!
შინც რა არი ფართიანი სიტყვა,
წყრომაა ჩემი, თუ აღერსია! —
მისწვდა ცა-ფირუზს როგორც კი ითქვა, —
სიტყვას თუ გული უცემს — ლექსია!
მას ახსოვს, ახსოვს ბომბდამშენების
თავზარიც ყოველ-წამიერი და
შეუტევს იმათ, რომ გახსენების
წამიც არ იყოს ამიერიდან!
აცდა ქარსა და ცა გაარღვია,
აცდა ზღვასა და აცდა მწვანე მთებს,
იქ, სად სახელი ჯერაც არ ჰქვია
ბზრიალებივით მბრუნავ პლანეტებს,
იქ ისმის ახლა მისი ქართული,
იქ, ვით სიახლე და საოცრება



შუქწერით არის გადახატული
 შორი ფიქრი და შორი ოცნება.
 არა, ცეცხლს იგი არ გაინელებს,
 აღფრთოვანებით კვლავ ამაღლდება
 და ყველა ახალ ჩვენს ლაინერებს
 მთვარის დისკოზე მღერით დახვედება!
 სიტყვაც მკლავ-გაშლით ეძებს სანუკვარს,
 გზა ვარსკვლავეთში აქვს მიკვალული.
 უკვარს სიცოცხლე!... როგორ არ უკვარს —
 მაშ რაა სწრაფვა და სიყვარული!



მარიკა ბარათაშვილი

ს უ რ ა თ თ ა ნ

მკრთალი ღიმილი, ასე კეთილი,
მაზარა კალთებშემოფლეთილი,
წელზე მათარა, ხელში შაშხანა...
დრო ვერ შეგეხო, დრომ ვერ წაგშალა,
და მოსაგონრად შემოგვინახა.
ნეტავ, ვინა ხარ,
ძმაო, ვინა ხარ?

...ეს იყო გუშინ,
ეს იყო გუშინ...
დილა დგებოდა სანგრების ხნულში,
ჩამოწვებოდა შემდეგ საღამო...
შეუსვენებლივ ჰქუხდა სამყარო...
რას არ გაუძელ! — სიცივეს, სიმშლს,
დასძლიე შენში კაცური შიში,
და შენ, უბრალო კაცმა ინებე,
საბედნიეროდ შეილთაშვილების,
ნაჯაფი მკლავით,
კოჭრიან ხელით
მიწად განგერთხო სამყარო ძველი.

მკერდთან თუ გიძევს ცოლის ბარათი, —
შენი მახვილი, ფარ-მუზარადი,
და ბაწაწინა შვილის სურათი, —
ვისთვის იბრძოდი, ვის გზა უნათე?
ნეტავ სად ჩარჩი,
რომელ სამანთან,
რომელ სანგარში შემოგადამდა,
სად დაგვიტოვე მიწა მწითური
სისხლით გამთბარი და
მოჩითული?

...მკრთალი ღიმილი — ასე კეთილი,
მაზარა კალთებშემოფლეთილი,
წელზე მათარა,
ხელში შაშხანა...
დრო ვერ შეგეხო,
დრომ ვერ წაგშალა.
ჩვენზე ფიქრებში
რომ აღამებდი,
ჩვენზე ფიქრებში
რომ ათენებდი,
შენს ნატერფალზე უნდა ჰყვოდეს
მხოლოდ ია და ჭრიზანთემები...



ციმბირის კაპი

ნუსტორ კალანდარიშვილი

კეროიკული დრამა

სამ მოქმედებად

ცხრა სურათად.

მოქმედნი:

ნუსტორ კალანდარიშვილი — ციმბირის პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი
 ივანე ლავრენტიევი — შტაბის უფროსი
 მიხეილ ასათიანი — რაზმის მეთაური და კომისარი
 ივანე სტროდი — რაზმის მეთაური
 მიხეილ წერეთელი — რაზმის მეთაური
 ნიკო ვაწაძე — მწვერავთა რაზმის უფროსი
 კატია სოკოლოვა — მწვერავი
 ეანო ხარჩილავა — მწვერავი
 ფედორ ბასმანოვი — მეტყვე პარტიზანი
 ფროსია ბასმანოვა — მისი მეუღლე
 ერიშკა ტიხონოვი — 14 წლის პარტიზანი, კალანდარიშვილის შვილობილი

გენერალი
 პოლკოვნიკი

} — თეთრფარდიელები

უცხოები — ერთ ნუსტორ კალანდარიშვილი
 ნიკოლაევი — თეთრფარდიელი ოფიცერი
 ექიმი ირეი — თეთრფარდიელი
 მატრონა შევქელიოვა — ციმბირელი გლეხი ქალი
 პარტიზანები, ციმბირელები, თეთრფარდიელები

პირველი მოქმედება

პირველი სურათი

მთხრობელები:

- 1 — ლავრენტიევი
 - 2 — ასათიანი
 - 3 — სტროდი
 - 4 — ვაწაძე
- მოვედით თქვენთან! თქვენი წარსული, წარსულის დღეთა მოსაგონარად! გთხოვთ მოგვისმინო შთამომავლობაგ!
 — ჩვენ დავიფერფლეთ ქალაქებთან, სოფლებთან ერთად!
 — და წამოვდევით ქალაქებთან, სოფლებთან ერთად!

- მშობლიურ მიწას შევალეთ სიცოცხლე ჩვენი! და ჩვენს სიცოცხლედ კვლავ განათდა თქვენი სიცოცხლე!
 — აი, თქვენ! პატარები იყავით მაშინ!
 — ორმოცდაათმა ჩაიქროლა მას შემდეგ წელმა!
 გაჭალარავდით, მაგრამ გახსოვთ მამების ბრძოლა.
 — აი, თქვენ! გვიან დაირწა აკვანი თქვენი!
 მაგრამ ჩვენ ვქედდით თქვენს აკვანს, თქვენს მომავალს, თქვენს დღევანდელ დღეს!

— ჩვენ ვიყავით ცხელი ტყვია მტრის დამორგუნველი!

— ჩვენ ვიყავით თითო აგურიც რვეო-
ლუციის!

— ვიყავით ურიცხვი!

— ვეცემოდით ათასები!

— და ვდგებოდით ათიათასები...

— ჩვენ ვიყავით ჩაპაევი!

— სურგეი ლაზო,
— პარხომენკო,
— ვასილ კიკვიძე,
შჩორსი,
კოტოესკი,
— ჩვენ ვიყავით ციმბირის პაპა!

— კაცი ზლაპარი,
— კაცი ლეგენდა,
— ნესტორ კალანდარიშვილი!

— ჩვენ ვიყავით სამშობლო მიწის ფარი და ხმალი!

— ჩვენ წამოვიწყეთ დიდი სიმღერა მო-
მავლის დღეთა!

— და ეს სიმღერა გადმოგვყვით თქვენ!

— შთამომავლობავე, გვისმინე! არ დააჩუ-
მო, არ გაანელო, დასძახე მძლავრად, უფ-
რო მძლავრად,
— გადაეცი ჩვენს შვილთაშვილებს ეს
სიმღერა, დიდი სიმღერა
მომავლის დღეთა!..

— ციმბირის მიწა იწვოდა მაშინ!

— ყინულს და თოვლს ცეცხლი ეკიდა!

— იწვოდა ირკუტსკი...

— ჩვენ ვეცემოდით ათასები...

— და ვდგებოდით ათიათასები...

— თქვენთვის, — ჩვენო მომავალო!
ვდგებოდით ათიათასები!
სტენის სიღრმეში გარინდებული დგას
ნესტორ კალანდარიშვილი თავისი თანამებ-
რძოლებით, როგორც ქანდაკი. მოისმის პარ-
ტიზანული ლაშქრული, რომელიც თანდათან
მძლავრდება. გარინდებულები თანდათან
ამოძრავდებიან და წინ მოიწევენ, მთხრობ-
ელები მათ უერთდებიან... კვლავ წამოადგე-
ბიან ადამიანები ჩამოფლეთილნი, დაღ-
ლილ-დაქანცულნი. იწვის ირკუტსკი. თოვს.
ნესტორი — განთიადისას უნდა გავი-
დეთ, ასე აჯობებს, ნაწილნაწილად დავტო-
ვოთ ირკუტსკი. უფრო შეუმჩნეველად გა-
ვალთ. მოხუცი სად არის!

ლავრენტიევი — ბასმანოვ!

ბასმანოვი — აქა ვარ! (მოდის ნეს-
ტორთან და სწრაფად მოიხდის ქუდს)
რას მიბრძანებთ!

ნესტორი: — აი, ნამდვილი ციმბირის
პაპა შენა ხარ.

ბასმანოვი: — ციმბირს ერთი პაპა
ჰყავს, შვილო.

ნესტორი — არა, მე ჯერ ახალგაზრდა
ვარ, ორმოც წელს ძლივს გადავცდი. შენ
კი...

ბასმანოვი — ყველაზე ახალგაზრდა
ახალი წელია, მაგრამ მის მოსვლას თოვ-
ლის პაპა გვახარებს ხოლმე!

ნესტორი — მუხლებმა ხომ არ გიდა-
ლატეს?

ბასმანოვი — ციმბირელის მუხლს და-
ლატის უფლება არა აქვს! (მოსაუბრეთ შე-
უმჩნევლად უახლოვდება ფროსია).

ნესტორი — იცი, რაზე დაგიბარე! შე-
გიძლია თუ არა შენი ქოხისკენ მიმავალი
ბილიკები შეამოწმო?

ბასმანოვი — თუ ეს საჭიროა, რატო-
მაც არა.

ნესტორი — საჭიროა! ტაიგაში უნდა
გავიდეთ. დიდი თოვლიანობაა, გააგნებ?

ბასმანოვი — მგლის ბილიკიც ჩემი
მგონია. ჩემი არ იყოს, ზოგჯერ მგელსაც
შევემლება ხოლმე და ჩემს ქოხს წამოაღგე-
ბა თავზე.

ნესტორი — მარტო წახვალ!

ფროსია — (მოუთმენლად ერევა საუ-
ბარში!) მარტო რათ უნდა წავიდეს, პაპავ,
განა უპატრონოა! ერთად დავებრდით და
ახლაც ერთად წავალთ. მე მაგაზე ნაკლე-
ბად როდი ვიცი ტყის ბილიკები.

ბასმანოვი — დამაცა, ნუ ვჩრები, სა-
დაც არ გვეითხებიან! (ფროსია უსწრებულად
იმშუშნება. ბასმანოვი ცდილობს, მებრძო-
ლებისკენ გასწიოს. ნესტორი და პარტიზა-
ნები იცინიან)

ნესტორი — ფედიკა, მოითმინე. ფროსია
ჭკვიანურს ამბობს. იქნებ მართლა ჯობდეს
ერთად წახვიდეთ.

ბასმანოვი — (მტკიცედ) არა, მე მა-
რტოდ წავალ!

ფროსია — უთხარი, პაპავ, შენ დაგი-
ჯერებს, ნამდვილად ერთად სჯობს. (წამით

შეყოფნდება). ერთხელ დიდი ქარიშხალი ამოვარდა, ღმუღა და მიძინვარებდა მთელი ტაიგა, ქოხში მარტო ვიყავი, ჩემი მოხუცი არსად ჩანდა. დავიჩოქე ხატის წინ, დავიწყე ლოცვა. ღმერთმა შეისმინა ჩემი ვედრება, ლოცვაში ჩამძინებოდა. სიზმარში ვხვდავდი როგორ მოარღვევდა ქარბუქს. ავახილე ფვალი და ის იყო ქოხის კარიც შემოაღო. არა, უჩემოდ არ ვარგა ეგ კაცი.

ბ ა ს მ ა ნ ო ვ ი — (დაუყვირებს, აწყვეტინებს). დედაკაცო, ხმა ჩაიწყვიტე-მეთქი. მაპატიეთ, აი, ასეთი ღმერთამწყურალია.

ნ ე ს ტ ო რ ი — დავალემა ასეთი იქნება: შენი ქოხის ახლოს ბანაკისთვის შესაფერი ადგილი უნდა შეარჩიო. რაზმს იქ დავაყენებთ. ტაიგის სიღრმეშია. თან სოფელთანაც ახლოს ვიქნებით. იქ დაგველოდე (ლავრენტევის) ერთი მოწვევა გვეჩივრება!

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ე ვ ი — ნამდვილად საჭიროა, ერთი თეთრგვარდიელი ბეწვ რამეს გვეტყოდა.

ბ ა ს მ ა ნ ო ვ ი — ჩემი ფროსკა რომ ივარგებდეს მოენდე! იმ სიგრძე უნა აქვს...

ფ რ ო ს ი ა — ჩემი ენა რომ არა, აქამდე დამუნჯდებოდი და დაყრუვდებოდი. ღმერთია მოწამე! (პირჯვარს გადაისახავს და ხელეებს ცისკენ აღაპყრობს!)

ხ ა რ ჩ ი ლ ა ვ ა — (შემოქყავს ნაბადში გახვეული ბავშვი) საწყალი ბიჭი, რა ადრე დააობლებს. ძლივს ავაგლიჯე დედ-მამას!

ფ რ ო ს ი ა — (გადახსნის ნაბადს) ღმერთო ჩემო, ეს ხომ გრიშკაა, ჩვენი ონგარი ბიჭუნა! როგორ, მშობლები დაილუპნენ? ხ ა რ ჩ ი ლ ა ვ ა — მათივე სახლის წინ დახვრიტეს.

ნ ე ს ტ ო რ ი (წამოაყენებს) ამიერიდან გრიშკა ჩვენი შვილია.

გ რ ი შ კ ა — დ-ე-და!

ფ რ ო ს ი ა — მოდი, ჩემო ბიჭუნი!

გ რ ი შ კ ა — დეიდა ფროსია!

ბ ა ს მ ა ნ ო ვ ი — მამ ასე, მიედივარ, პაპავ!

ნ ე ს ტ ო რ ი — კეთილი მგზავრობა, ქვეითად არ წახვიდე, ცხენს მოგციმენ.

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ე ვ ი — მშვიდობით იარე!

ფ რ ო ს ი ა — ნახვამდის! ბავშვს მოუარეთ, უპატრონეთ (გადის მოხუცთან ერთად).

ხ ა რ ჩ ი ლ ა ვ ა — აი, პაპავ, ნახე, როგორ

გულუხვად ირჯება კოლჩაგი! ფულია, ხუთი ათასი ოქრო! (ქალაქის აწყვედის)...

ნ ე ს ტ ო რ ი — ბრძანებაა!

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ე ვ ი — რა ბრძანებაა?

ნ ე ს ტ ო რ ი — აბა, წაიკითხე!

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ე ვ ი — ხუთი ათასი ოქრო. კარგი ფასია მე და ჩემმა ღმერთმა. „ნესტორ კალანდარიშვილი გინდა მკვდარი, გინდ ცოცხალიო“. არა! ცოტაა, მაგ სულძალეზმა მეტი ვერ გაიმეტეს?

ნ ე ს ტ ო რ ი — არა, ძმაო, ნუ იტყვი, კარგი ფასია, ძვირი ვღირებულვარ. ამდენი ფული არასოდეს არ მინახავს. (იყინის) ეჭვ, ბიჭებო, ეგ თანხა ხელში ჩამაგდებინა, ისე გამოგაწყობდით, როგორც სასიძოებს. (საერთო სიცილი) კარგი, ახლა საქმეს მივხედოთ! ფრონტებიდან ცუდი ამბები მოდის. ირკუტსკის რეგოში არალეგალურ ბრძოლაზე გადავიდა. თეთრები ყოველმხრიდან გვიტყვენ, ამ ჩეხებმაც სულ არივ-დარიუს საქმე, სამი დივიზია აჯანყებულა. რკინიგზას საცაა სულ ხელში ჩაიგდებენ. ქურდს რა უნდოდა და ბნელი ღამეო, სწორედ ასეა, თეთრებს ფრთები შეახა ამ ამბავმა, სამურაებმაც გადაწყვიტეს ხელი მოითბონ, იმათაც მადა აუშალათ.

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ე ვ ი — სამურაევი ერთი ცხოველია ტაიგაში. მეტად წუწკი და საშინელი ქურდი.

ა ს ა თ ი ა ნ ი — სამურაების ჯიშისა ყოფილა.

ნ ე ს ტ ო რ ი — ხუმრობის დრო არ არის! ატამან სემიონოვის ბანდიტები სისხლით რწყავენ აქაურობას.

გ ა რ ე დ ა ნ — ვინ მოდის? ხ მ ა — არწივი!

წ ე რ ე თ ე ლ ი — ამხანაგო ნესტორ! ჩერემხოვოს მუშები ვართ. მთელი რაზმი შევადგინეთ!

ნ ე ს ტ ო რ ი — ყოჩაღ, ბიჭებო, დროზე მოგვეშველეთ! კარგად გამოგიღწევიათ. გზაში ხომ არავინ დაგაკლდათ?

წ ე რ ე თ ე ლ ი — მარტო ერთი კაცი, სამი დაგვიჭრეს, ბონდის ხიდიდან გაგვიჭირდა, პირდაპირ სანიშნოდ დავედქით წყეულს.

ნ ე ს ტ ო რ ი — (თავისიანებს) — იცნობდეთ, ეს წერეთელია, კარგი წერეთელი, ნამინისტრალ წერეთელთან არაფერი აქვს

საერთო. ჩვენია, კატორღელი, ჩვერმხოველი მეშახტე (ნესტორი გადაეხვევა წერეთელს. ლავრენტივეი ხელს მაგრად ატემევს. ნესტორი ამხანაგებს დასხდომას ანიშნებს, თვითონ კი ნახაზემს ჩაჰყურებს) აი, ამ უბანზე ბურღოვის პარტიზანები მიიწვევენ წინ, მოლჩანოვისა და დგორიანოვის რაზმებს კი დიდი ზარალი მოუვიდათ მტერთან ბრძოლაში. ახლა ძალღონეს იკრებენ... გლეხები უფროდაუფრო ხალისით ეწერებიან.

ასათიანი — ციმბირელი გლეხი გონს მოდის.

ლავრენტიევი — ხომ იცი, რა ყრუ უდამნო იყო ციმბირი. არ უნდა გაგიკვირდეს, თუ აქაურმა გლეხმა რევოლუციის სიკეთე უცებ ვერ დაინახა. თანაც აქ უმიწობა არავის აწუხებდა.

ნესტორი — არა, ციმბირის გლეხობის ყველაზე საუკეთესო ნაწილი ჩვენს მხარეზეა, მაგრამ თეთრებიც გულხელდაკრეფილი როდი სხედან. წელზე ფეხს იდგამენ, და აბა, აქა-იქ წარმატებასაც აღწევენ. ერთი სიტყვით, დიდი და ხანგრძლივი ბრძოლები მოგველის. ახლა ტაიგაში, რომ გავალთ, დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ მზადება შორეული ლაშქრობისათვის. აღმოსავლეთისკენ მოგვიხდება წასვლა.

ლავრენტიევი — ხელსაყრელი დროა. ახლა ბაიკალი გაყინულია. ესაა ერთადერთი გზა, საიდანაც მტერი არ გველოდება. ნესტორი — მერე და გაგვიძლებს ყინული?

ლავრენტიევი — ყინული ახლა მაგარია. ასეული ვერსებით შევიმოკლებთ გზას.

ნესტორი — ყოჩაღ, შტაბის უფროსო, მაგ გზით მტერს ზურგში ისე მოვექცევით, ერთი კაცი არ დაგვეკარგება! (მკერდში მუშტს იცემს) მე შენ გიჩვენებ ძალიწვილო! (დაცინვით) იმპერატორი კოლჩაკი! აი, რაზე ოცნებობს! ის კი არ იცის რა მოელის! (თოვს). რაზმის მეთაურებო, დაეწყვეთ სალაშქროდ! (ასათიანი, წერეთელი და კუაანი სწრაფად გადიან. მებრძოლები მწყობრში დგებიან) ძმებო, ჩემო მამაცო არწივებო, ტანჯვისა და წვალების მეტი არაფერი მინახავს, ეს იყო მთელი ჩემი

ყრმობა და სიჭაბუკე. ჰოდა, ახლა პირველად გავიხარე, როცა ეს ბრძოლა დავიწყეთ. ვიყვნეთ მუდამ ერთად, დაგრჩეთ ბოლომდე ერთგულნი რევოლუციის ჯარისკაცის ფიცისა! (ისმის ერთსულოვანი „ვფიცავთ“, „ვფიცავთ“, „ვფიცავთ!“ ეს შეძახილი ტალღებდა გადადის რაზმიდან რაზმში. უცებ უცნობი გოგონა გამოჩნდება შეშინებული და სახედატანჯული).

ნესტორი — ვინა ხარ! ახლოს მოდი. საიდან მოდიხარ!

კატია — ქალაქიდან.

ნესტორი — ძნელი და სახიფათო გზა გამოგივლია!

კატია — ჰო, ძალიან ვამიჭირდა.

ნესტორი — ჩამოჰქეცი, დაისვენე, გცივა? გათბი. (ნაბადს მოახვევს)

კატია — მადლობელი ვარ, ძია... აქაური არ უნდა იყო. უცხოვს გავხარ, მაგრამ იქნებ გზა გამასწავლო.

ნესტორი — საით მიდიხარ?

კატია — პარტიზანებთან. ციმბირის პაპა გაგიგონია? იმას ვეძებ.

ნესტორი — ა... გამიგონია, მერე და რათ გინდა მისი ნახვა? (კატია ცრემლებს იწმენდს) შენ ტირი! (კატია თავს ვერ იკავებს და ხმაშლილა ატარდება) ნუ ტირი, ჩემო გოგონი, აბა მიახმე ყოველივე, რა დაგეშართა?

კატია — (თანდათან მშვიდდება) ამას წინათ პარტიზანები შემოგვეკედლენ, თავშესაფარი გვთხოვეს, მოლჩანოვის რაზმიდან ვართო, მამამ ისინი დამალა, მაგრამ თეთრებმა გაიგეს და ჩვენი სახლი დასწვეს. მამა ჩამოახრჩვეს, დედას ცემისაგან სული ამოხდა... მე დაურჩი მარტო, უღედ-მამო და უსახლკარო. იწვის სოფლები, ქალაქები. ცა გაშავებულია კვამლისაგან. მოვდიოდი და ვერას ვხედავდი. ერთგან, დედაკაცს ბავშვი ეწვა კალთაში, ფრთხილად, ნანას უმღერდა, ბავშვი კი, ღმერთო ჩემო, ცოცხალი აღარ იყო! მეორეგან მოხუცი ვნახე, თითქოს მიხმობდა, მიგვახლე და ხეზე იყო მიჭედილი ის ბერიკაცი...

ნესტორი — ბევრი ტანჯვა გამოგივლია, ჩემო გოგონავ, ბევრი საშინელება გინახავს!

კატია — გთხოვთ ციმბირის პაპას შე-

მახვედროთ, დამეხმარეთ, უთხარით ჩამწეროს პარტიზანულ რაზმში. მე ყველაფრის გაკეთება შემიძლია, ყველაფრისა.

ნესტორი — ოღონდ გაფრთხილებ, ციმბირის პაპა ძალიან მკაცრი კაცია, მომთხოვნი. მხოლოდ მამაცი და გაბედულნი შეიძლება ამოუდგნენ მას მხარში.

კატია — მე ვვცდები, შევძლებ, ყველაფერს გააკეთებ, აი, ნახავთ!

ნესტორი — მოდი, შეილო, მოდი! ციმბირის პაპა შენისთანა გამბედავ გოგონებს სანთლით დაეძებს! (ნესტორი მკლავებს გაუწვდის. კატია ცოტა გაოგნებულია, მერე მკერდში ჩაეკვრება. პარტიზანები გარს ეხვევიან თავიანთ მეთაურს და უცნობ გოგონას, შემდეგ სალაშქროდ ეწყობიან). მაშ, გავსწიოთ ამბანაგებო! დრო არ ითმუნს! (იწყებენ სიმღერას).

მოვდივართ, შეხსენით კარები ყველა, მოვდივართ. ამ ქვეყნად დაავარდნა ცრემლი, წინ, ამბანაგებო, მოგვიხმობს-შეულოდ!

ტაიგა, ტაიგა, ტაიგა ვრცელი.

დედილო, ძენიფასო, დამლოცე შეილი.

შეგები ღამეს და ვადიდებ დილას,

მეძახის ტაიგა, მკაცრი და თბილი,

სიცოცხლის სახელით ბრძოლაში მივალ!

მოვდივართ, მოვდივართ, მოვდივართ,

მალღა

შემართეთ, შენათეთ ნაწრთობი ხმალი,

მოგვეწყურდა, მოგვეშივდა ბრძოლაში დაღლა,

წინ ვაშად მიგვიძღვის სამშობლოს ვალი.

მოვდივართ, ამ ქვეყნად დაავარდნა

ცრემლი,

ტაიგა, ტაიგა, ტაიგა ვრცელი...

ს ი ნ ა თ ლ ე ქ რ ე ბ ა

მეორე სურათი

- ბევრი ვიარეთ... გზა იყო ვრძელი
- ძვლებში ატანდა ციმბირის სუსხი...
- ჩამოფლეთილებს, მშიერთ, მწუხარეთ,
- წინ მიგვიძღოდა რწმენა, იმედი.
- დავძლიეთ თოვლი, ქარი და ყინვა და შეგვიფარა ტაიგამ ჩვენმა.
- დაუნდობელმა ტაიგამ ვრცელმა
- ჩვენთვის კეთილად გაშალა ფრთები და პარტიზანებს გვაჩუქა სითბო!
- კვლავ გაზაფხული აფეთქდა ლურჯად და მზე დაბრძანდა ცაზე ღიმილით.
- ბევრი ვიბრძოლეთ, წინ ვისწრაფოდით ჩვენ გაზაფხულის დამშვიდებელნი.
- ცალ-ცალკე, ჯგუფად და ერთი ფრონტით,
- ვჭედდით ციმბირის რევოლუციას.

ტაიგა. გაზაფხულის პირი. მეტყვევებ ბასმანოვის ქოხი, რომელსაც კედელი პირდაპირ შეხსნილი აქვს და გარკვევით ჩანს შიდა მორთულობა: პატარა სარკმლის ქვემოთ ტახტია, თივის ბულულებით. პატარა მაგიდა და ორიოდ სკამის მაგვარი ჯირკი, კუთხეში სახატეა, ხატთან სანთელი ბეუტავს. წინა პლანზე მოედანია.

ფროსია ცეცხლთან საქმიანობს. გრიშკა თოფს არხაკუნებს, წმენდს, ყვავილების დიდი თავივლით შემორბის კატია. ფროსიას კისერზე ჩამოეკიდება.

ფროსია — ნუ გაგიჟდი, გოგო, ნუ გაგიჟდი! შენი ხნისა ასეთი თავჭირიანი როდი ვიყავი. მახსოვს, ფედიამ პირველად რომ დამინახა, თქვა — ეს რა ჭოტივით მიყურებსო. მაგრამ ვიგრძენი, გულში ცეცხლი გაეურჩაღე, შემდეგ დიდხანს დამდეგდა, დიდხანს, მე კი ხმას არ ვიღებდი, ბოლოს რომ არ მომეშვა, რა გინდა ჩემგან შე ბანჯგელიანო ტყის კაცო-მეთქი და შეგვიყვარდა ერთმანეთი.

კატია — დეიდა ფროსია, მაცალე! მაცალე! მათხოვე შენი თავშალი. ეს იცი რა არის?

ფროსია — თავივლია!

კატია — თავივლი! თავივლი კი არა ჩემი ბავშვია, ჩემი ფუნჯულა ბიჭი!

(თავივლის თავშალში ახვევს) ვის ჰგავს. დეიდა ფროსია?

ფროსია — ვის ჰგავს გოგო, შე ღმერთ-გამწყურალო, ყვავილია და ყვავილს ჰგავს!

კატია — ყვავილია! საქმეც იმაშია, რომ

ყვაილია, ჩემი გულის ყვაილი! ჩემი პა-
ტალა, ჩემი პა-ტა-ლა! (ხელში არწევს)
ფ რ ო ს ი ა — ღმერთო უშველე ჩვენს
ასალგაზრდებს (პირჯვარს გადაიხსახავს).

კ ა ტ ი ა — წავალ, დეიდა ფროსია, ტყის
პირებში იმდენი ყვაილია, იმდენი... (გარ-
ბის. ფრთხილად შემოდის შეიარაღებული
უცნობი).

ფ რ ო ს ი ა — ვინა ხარ, რა გინდა, ვის
დაეძებ?

გ რ ი შ კ ა — ვინ გნებავს?

უ ც ნ ო ბ ი — მეთაური მინდა ვნახო! (მო-
ედანზე შემოდის ნესტორი, ლავრენტიევი,
ასათიანი, წერეთელი).

ნ ე ს ტ ო რ ი — ამ დილით სოფელში სრო-
ლა იყო, რკინიგზისკენ. ხომ არაფერი გა-
გიგიათ?

ა ს ა თ ი ა ნ ი — მომრები გაგეზავნე ამ-
ბის შესატყობად. ვერაფერი გაიგე.

ნ ე ს ტ ო რ ი — უნდა ხელახლა შევამოწ-
მოთ. თუთრები დაგვეძებენ, ცდილობენ
ჩვენი კვალი აიღონ. ბასმანოვ! ხარჩილავას
და ვაწაძეს მიხმე! (ბასმანოვი ვადის)

გ რ ი შ კ ა — ძია პაპა!

ნ ე ს ტ ო რ ი — რაო, გრიშკა, ძიაცა ვარ
და პაპაცა! (იციინან)

გ რ ი შ კ ა — ძია პაპავ, აი, ვილაც კაცი
თქვენ დაგეძებთ.

ნ ე ს ტ ო რ ი — ვინა ხარ?

უ ც ნ ო ბ ი — გლეხი ვარ, ციმბირელი,
კოლჩაკელებმა დამაწიოვეს, სახლკარი გა-
დამიწვეს, უკუვუკვლოდ მოვდიოდი, ძლივს
მოვალწიე თქვენამდე.

ნ ე ს ტ ო რ ი — იარაღი გაქვს? (უცნობი
თოფს ხელში შეათამაშებს) ცხენი გყავს?

უ ც ნ ო ბ ი — ცხენი თუთრებს მოეტაცე.

ნ ე ს ტ ო რ ი — ყოჩაღ! (გრიშკას) წაიყ-
ვანე და დააბინაონ, დააპურონ. (გრიშკა და
უცნობი გადიან. შემოდის ბასმანოვი, ხარ-
ჩილავა, ვაწაძე) გაგზავნეთ მზევრავე ათე-
ული, დაათვალიერეთ მიდამო, გაიგეთ ვინ
ისროდა, ფრთხილად.

ვ ა წ ა ძ ე — არის, ამხანაგო მეთაურო!
(სწრაფად ვადის. ტყის სიღრმეში ხმაური
ისმის, თანდათან ახლოვდება ცხენების
თქარათქური, შემდეგ ერთბაშად შეწყდება).

ბ ა ს მ ა ნ ო ვ ი — პაპავ, იქ ვილაც თქვენს

ნახვას დაჟინებით მოითხოვს. მეო, ამბობს,
სტროდი ვარ, ივანო.

ნ ე ს ტ ო რ ი — გამოატარეთ! (შემოდის
ივან სტროდი. თავით ფეხებამდე შეიარაღე-
ბული, მკერდგანიერი ვაჟაკი, თქროსფერ-
თიანი, მკერდს ოთხი გიორგის ჯვარი
უშვეწნებს, მეფის არმიის პორუჩიკის
ფორმის მაგვარი კიდე შერჩენია, ხელე-
გაშლილი მიდის ნესტორისაკენ, ნესტორი
მარდად წამოხტება.)

ს ტ რ ო დ ი — შენს ნახვას ისევ ვეღირსე,
ციმბირის პაპავ, ნესტორ ალექსანდროვი.

ნ ე ს ტ ო რ ი — ივანე, ჩემო ძვირფასო
ბალტიელო, საიდან ხად?

ს ტ რ ო დ ი — ქარმა მიმაქროლა, მომაქ-
როლა და თქვენსკენ გამოსაქროლა.

ნ ე ს ტ ო რ ი — გაიცანი, ეს ჩვენი შტაბის
უფროსი ლავრენტიევი, ეს რაზმის მეთაუ-
რი მიხეილ წერეთელი, ეს კი რაზმის მე-
თაური და ჩვენი ნაწილის ბოლშევიკური
პარტია მიხეილ ასათიანი გასლავთ.

ს ტ რ ო დ ი — (ყველას ხელს ართმევს)
თქვენს დივიზიას უნდა შემოუერთდეთ.
ასეთია სარდლობის ბრძანება. რაზმი საბ-
რძოლველად მზად არის. ძალზე გრძელი
გზა გამოვიარეთ. ალაგ-ალაგ ჩასაფრებულ
ნადირსაც გადავაწყდით, მაგრამ რაც ეკად-
რებოდა, ის პასუხი მივეცი. ჰოდა, დავი-
ლაღეთ, მით უფრო—ცხენები.

ნ ე ს ტ ო რ ი — ორი თვეა სარდლობას
მოვწყდით. ზვერვეისაგან რა ისმის?

ს ტ რ ო დ ი — ბორგავს და შფოთავს ფრო-
ნტის სარდალი, რალაც მეტად ცუდი ცნო-
ბები მისვლია შენზე, პაპა ხალხს ძარცვავს
და მისი მებრძოლები ქალებს აბურად იგ-
დებენ, შეურაცხყოფენ, რევოლუციას სა-
ხელს უტეხენო. ბრძანების პროექტიც
შეადგინეს.

ნ ე ს ტ ო რ ი — რა ბრძანებაა, რას გვა-
ვალეებენ?

ს ტ რ ო დ ი — დავალებით არაფერს! მხო-
ლოდ მე მიბრძანებდა თქვენი ნაწილის
განიარაღებას და შენს დაპატიმრებას.

ნ ე ს ტ ო რ ი — ამისათვის მოხვედნი?

ს ტ რ ო დ ი — მოიცა, ძმაო, მე არ მიცნობ?
ნიკოლაშკას ეს ჯვრები ჩემთვის არ უწიქ-
ნია. ყოველი მათგანი ჩემივე სისხლის ფა-
სად მაქვს ნაშოვნი. რაც შეეხება ზვერვებს,

ის ცუდი ჯარისკაცი როდია, მაგრამ შენ ახლოს არ გიცივობს, ამიტომ კინაღამ აჩქარდა.

ნესტორი — მერე, მერე?

სტროდი — პარტია არ დაეთანხმა, ცენტროსიბირის თავმჯდომარეს ბორის შუმაკის ხომ იცნობ? შირიაშვიცი გეხსომება, ის ახლა ირკუტსკის რევკომის თავმჯდომარეა. ჰოდა, მათ პირდაპირ თავზე გადაახიეს ბრძანების პროექტი. სამხედრო საველე და სამხედრო რევოლუციურ ტრიბუნალს პავლე პოსტიშევი ხელმძღვანელობს. იცი, რა უთხრა მან ზეურევს? ტრიბუნალს ჯერ შენ წარუდგები და მერე განვიხილავთ კალანდარიშვილის საკითხსო, გახსოვს პოსტიშევი? ირკუტსკის თეთრი სახლის ალყიდან შენმა რაზმმა გაათავისუფლა.

ნესტორი — მახსოვს, ყველაფერი მახსოვს.

სტროდი — შენს ნაწილში ყველა მებრძოლი საიმედოა?

ნესტორი — არ ვიცი, რა გითხრა. ყველას გაცნობის დრო არ იყო. მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ მდინარეში ერთი წვეთი წყალი თავისი გზით ვერ ივლის. ზოგი მურყობს, ზოგი გამორჩენასაც ელის. ასეა თუ ისე, ერთად, მხარდამხარ ბრძოლაში თანდათან გამოიწრთობიან. ახლა მე თოფი და ცხენი მჭირდება. ადამიანი — თოფი და მაზარაა.

სტროდი — იქნებ...

ნესტორი — ვიცი, რისი თქმაც გინდა, მძარცველები ჩემს რაზმებში არ მვეულებ. იყო ერთი შემთხვევა, პროვოკატორი შემოგვეპარა, ვიღაც ზუევი. ურუმრად სოფელში გაიპარა. გლეხებს ქურჭები და სხვა რაღაც თბილი ტანსაცმელი წაართვა. მოათრია ეს ყველაფერი აქ, მაგრამ ძვირად დაუჯდა. აქ ხომ გლეხებიც არიან, ციმბირელი გლეხები, და აი, დახვრიტეს და მერე მოახსენეს. არ მესიამოვნა ეს თვითნებობა, მაგრამ მაინც მოუწონე. ჰო, ზეურევი ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა?

სტროდი — აბა, რა ვიცი. ალბათ, შეხედებით ოდესმე, სიმართლე თავისას გაიტანს.

ნესტორი — (დიდხანს დუმს, შემდეგ

ყველას სიყვარულით შეათვალიერებს, თითქოს პირველად ხედავს) ნამდვილად, მეგობრებო, სიმართლე ნამდვილად გაიტანს თავისას. ის მზის შუქივით არის, ყველგან შეაღწევს, გულიდან გულს გადაეცემა. (გარედან ჩოჩქოლი ისმის. ხმაური თანდათან ახლოვდება. შემოდიან ვაწაძე, ხარჩილავა, მებრძოლები, გლეხები, — უმთავრესად ქალები, შემოპყავთ თეთრგვარდიელები. ნესტორის წინ ისევ ჩოჩქოლია. ნესტორი ხელს მალა ასწევს და სირუმე ჩამოვარდება. უცნობი სწრაფად მიიძალება).

ვაწაძე — სადღაც, ახლოს თეთრების პოლიცია დგას; გლეხებმა გვითხრეს, ამ დღეებში გამოჩნდნენ. მათი ერთი მცირე რაზმი სოფელს დარცხავდა. ჩვენს დანახვაზე თავგზა დაებნათ, უწესრიგო სროლით მოუსვეს სოფლიდან. ეს ბედოვლათები კი ხელში ჩავიგდეთ, მართალი გითხრათ, თვითონ სოფლის დედაკაცებმა დააკავეს.

ნესტორი — (ერთერთ ტყვეს) სად დგას თქვენი პოლიცია?

ტყვე — აქედან თორმეტ ვერსზე.

ნესტორი — რომელ დივიზიაში შედის?

ტყვე — გენერალ სუკინისა.

ნესტორი — სუკინია თუ ვიღაც ძალიშვილი, დიდი ხანია ამ მხარეში დათარეშობს?

ტყვე — მესამე დღეა აქეთ გადმოვივდი.

ნესტორი — (სოფლელებს) აბა, რას იტყვი, ამხანაგებო! (სოფლელები ერთმანეთს არ აცდიან, განსაკუთრებით ქალები, ერთი დედაკაცი წინ გამოიჭრება, მებრძოლებურად ჩაჩუმებს ყველას).

მატრონა შეველიოვა — (ნესტორს) შენ თვითონ ვინა ხარ?

ნესტორი — კალანდარიშვილი ვარ, გაგიგონია?

მატრონა — გაგიგონია? გაგიგონია კი არა, ჩემს ზურგზე გამოიცივდა. (დაფლეთილ კაბას უფრო შემოიგლეჯს, მკერდზე, ხელებზე, ზურგზე ნაცევი თუ ნაკბენი ადვილები დალურჯებული აქვს. ალაგ-ალაგ სისხლი სდის). აი, რა დღეში ჩამაგდეს შენმა პარტიზანებმა. სიტყვით თავისუფლებას ჭადაგებ, საქმით კი... ორჯერ ააწიოკე ჩვენი სოფელი! (ნესტორს თვალები მრისხანედ უელავს)

ნესტორი — დედაცაყო, აბა ყველაფერი კარგად გაიხსენე, დააკვირდი აქ ყველას, და თუ თქვენი ამწიოკებლებიდან ერთს მაინც იცნობ და ხელს დაადებ, აქვე შენს თვალწინ მოვულებთ ბოლოს, ვინც არ უნდა იყოს იგი.

მატრონა — თვითონ შენ ბრძანდებოდი, შენ! აბა. შენ ვინ არ გიცნობს.

ნესტორი — (გლენებს) ამხანაგებო, გამაგებინეთ რაშია საქმე. (ტყვეებს) იტყვი, თუ არა, თქვე ძალღიშვილებო?

ტყვე — ეს... ეს! ჩვენი გენერლის შვილი ცუდლუტობს ხოლმე ხანდახან. თქვენსავით გამოეწყობა, თქვენსავით წვერებს შორიგებს და სოფლებში გაისეირნებს.

ნესტორი — აი, რაში ყოფილა საქმე! ჩამივარდება ხელში, დავაჩიჩილაკებ მაგ ყურუმსალს! (მატრონა შეველითვა შეცბუნებულად თვალს მიეფარება!) რას იტყვით ამ ყაჩაღებზე?

გლენი — ოჯახები დაგვიწიოკეს, ჩვენს ქალებზე ძალა იხმარეს, აი ამან, აი, ამან. (აჩვენებენ ტყვეებზე), ვინც ქალებს გამოე-სარჩლა, ჯერ აწამეს, და მერე დახვრიტეს. მე-2 გლენი — კომუნა უნდა დავამყაროთო, თქვენი ცხენი ჩვენია, თქვენი ცოლი ჩვენი ცოლიათ.

ნესტორი — (უფრო მრისხანედ) რას იტყვით-მეთქი ამ ყაჩაღებზე?

პარტიზანები — ვენი სიცოცხლის ღირსი არ არიან.

გლენები — (წაქეზებულნი) მართალია, ჩვენი აზრიც ეგ არის.

ნესტორი — გაიყვანეთ! (ნესტორი, წერეთელი, ლაერენტაივი, სტროდი ქობში შედიან. მიდიან სოფლელები. თოფმომარჯვებულ კატიას შემოაყავს სამხედრო ფორმაში გამოწყობილი სათვალაიანი კაცი).

ვაწაძე — კატია!

ხარჩილავა — ეს რა ამბავია, კატია?

კატია — ჩაიბარეთ, ჩემი ნადავლია. იცნობდეთ, ჩემი ექიმი გახლავთ.

ვაწაძე — რაშია საქმე. საიდან? ვინ არის?

კატია — (გაჯავრებით) ვინ არის! სამხედრო ტყვეა, რომელიც ბრძოლის დროს ხელთ იგდო პარტიზანმა კატია სოკოლოვამ.

ვაწაძე — ეს, როგორ, კატია?

კატია — ტყის პირად ყვავილებს ვკრფდი, უცებ გამხმარი ფიჩხის ტყაცანდ შემომესმა, გავიხედე, ოფიცერი შემპარება, მოულოდნელობისაგან გავშეშდი, შემდეგ კი მოვკურცსლე... ოფიცერი მომდევს და მომძახის... „თვითონ ყვავილი ხარ, ყვავილები რად გინდა, ერთი წუთით შეიცადე, რაღაც მაქვს სათქმელი“. მე კი მოვრბივარ, რაც ძალი და ღონე მაქვს, არც მახსოვს, თურმე თაიგული ხელში მიჭირავს. უცებ რაღაცას წამოკრა ფეხი და გაიშხლართა. დავტაცე მის თოფს ხელი და სამაგიეროდ თაიგული მივაჩეჩე. აი ასე დაგატყვევე ბატონი ოფიცერი! (ვაწაძე და ხარჩილავა გულიანად იცინიან)

კატია — ახლა ეს მოთხარით, პაპა სად არის? (ვაწაძე ქობისაკენ ანიშნებს. კატია და ირეი ქობში შედიან, ხარჩილავა გარმონს უკრავს).

ხარჩილავა — დიდი აღჭაჯი ვინმეა ეს კატია... ბიჭო ნიკო, ტყუილად გიჭირავს მაგაზე თვალი. შენზე ისეთი წარმოდგენა მაქვს, კოლჩაკს მოერევა-მეთქი და მაგ ღლაპივით გოგომ როგორ გაკობა? ვაწაძე — არ დააყენებ ენას, მაინც და მაინც გინდა ამოგაძრო და შამფურზე წამოგებული გაჩვენო?

ხარჩილავა — ჩემი ენა შამფურზეც არ გაჩერდება... შენ იკითხე, ორი ღერი სიტყვა რომ ვერ გაგინებხებია იმ გოგოსათვის და ტყეში ნადირივით დაშლივინობს... შენ გგონია მარტო ყვავილებს დაეძებს? გულის სწორს დაეძებს ბიჭო, სიყვარული ეძახის, ვე!

ვაწაძე — ვანო, გაჩუმდი, თორემ დედა არ წამიწყდება... (ხარჩილავა გარბის, ვაწაძე მას მიჰყვება)

ნესტორი — (ექიმს) მერე და რამ გაიძულათ აჯანყებულიყავით?

ირეი — ბოლშევიკებმა გვაიძულეს. თქვენ იცნობთ რეგკომის დადგენილებას? იარაღი აკყარეთ ყველა ჩეხსა და სლოვაკს, ყოველი ეშელონი, სადაც კი შეიარაღებული ჩეხი აღმოჩნდება, მთლიანად დააპატიმრეთ და ტყვეთა ბანაკებში დაამწყვდიეთ.

ნესტორი — ეს დადგენილება ხომ თქვენი აჯანყების შემდეგ გამოქვეყნდა!

ირეი — ჩვენ სამშობლოში წასვლა გვინ-

და ჩვენი კერა გვენატრება. ბოლშევიკებს კი უნდათ გერმანელებს გადასცენ ჩვენი თავი.

ნესტორი — რუსეთმა თქვენ გაგანთავისუფლათ ავსტრიის იმპერიის უღლისაგან, გერმანელ დამპყრობთაგან.

ირქი — ვიცი, ამიტომ გვიყვარს ჩეხებს რუსეთი.

ნესტორი — მერე და თქვენ იცით, ვინ არიან ბოლშევიკები?

ირქი — მე ვიცი, რომ ისინი ხელს გვიშლიან, შინ არ გვიშვებენ.

ნესტორი — ბოლშევიკები — ეს რუსეთია, ნამდვილი რუსეთი. თქვენ მალე დარწმუნდებით ამაში.

ირქი — ენახოთ! გთხოვთ გასცეთ ბრძანება, დამიბრუნონ იარაღი. უნდა ვიჩქარო, ჩვენი ქველონი მალე გავა.

ნესტორი — დაგიბრუნებენ. თქვენ ხომ ექიმი ხართ, ექიმის იარაღი წამალთა... წასვლაზე კი, ალბათ, თავი უნდა შეხკავოთ. მოგეხსენებათ, ომია.

ირქი — მე სამხედრო ტყვედ არ ვთვლი თავს.

ნესტორი — თქვენ ტყვე კი არა, ექიმი ხართ!

ირქი — მე პროტესტს ვაცხადებ.

ნესტორი — ჯერჯერობით ამით დავამთავროთ. ფროსია, გაიყვანე! (ფროსიას გაქყავს უკმაყოფილო ირქი. **ნესტორი** განაგრძობს საუბარს) მამასადაშე თორმეტ ვერსზე დაბანაკებულან, ამხანაგებო! აუცილებლად უნდა ვესტუმროთ. გენერალი სუკინი გველოდება!

სინათლე ქრება

მესამე სურათი

დიდ მაგიდაზე გაშლილია რუკა. გენერალი და პოლკოვნიკი რუკაზე დახრილან. იქვეა კაპიტანი ნიკოლაევი.

გენერალი — (თითო აჩვენებს) აი, სემიონოვი ასლა აქ იბრძვის.

პოლკოვნიკი — დიდ მანძილზე დავშორდით.

გენერალი — მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვწყდეთ.

პოლკოვნიკი — რასაკვირველია, ეს დამარცხებას ნიშნავს!

გენერალი — ჩვენ უფრო დიდი მარცხი გვემუქრება, ჩემო მეგობარო, უფრო დიდი უბედურება.

პოლკოვნიკი — რისი თქმა გსურთ, ბატონო გენერალო!

გენერალი — პოლკოვნიკო, ჩვენ ვკარგავთ სამშობლოს, ვკარგავთ რუსეთს, ვკარგავთ სამუდამოდ და... ეს ჩვენივე მიზეზით ხდება, ჩვენივე ბრალია!

პოლკოვნიკი — ნება მომეცით არ დაგეთანხმით, ბატონო გენერალო! ჩვენ საკმაოდ ძლიერი ვართ. ჩვენ შეგვწყვეს ძალა გადაწყვეტი დარტყმისათვის.

გენერალი — ვშიშობ, ჩვენი ძალა და-

ილია, გამოიფიტა, ჩვენ ციმბირელი გლეხები დაგკარგეთ.

პოლკოვნიკი — ციმბირელებს სძულთ ბოლშევიკები...

გენერალი — (აწყვეტინებს) სძულდათ... მაგრამ ჩვენ შევაყვარეთ. სასაცილოა, არა?

ნიკოლაევი — (უკრავს გიტარაზე). თითო-ოროლა მახინჯი ჩვენშიც გამოერია, მაგრამ ისინი ვერ შებღალავენ დიდი რუსეთის არმიის სახელს, ბატონო გენერალო!

გენერალი — სადღაა არმია, არმია აღარა გყავს. იცით, პეტერბურგში რომ ჩავდიოდი, მუდამ რუსული მუზეუმისაკენ გამიწვევდა ხოლმე გული. მივდიოდი რეპინის ბურლაკებთან, შევექროდი მათ და მეშინოდა. განსაკუთრებით იმისი, სულ მარცხენა მხარეს რომ არის შებმული ჭაბანში. ბანჯგვლიანი, მიწას რომ ჩასცქერის. იცით, სულ იმას ვფიქრობდი, რა იქნება ამით რომ აიშვან თავი. ჰოდა, ასლა მილიონობით ბურლაკები წამოდგენენ, უნდა შემუსრონ ყველაფერი კარგი, ნათელი და წმინდა. სად არის ძალა, რომელიც მათ შეარჩევს, იმ ძველ ჭაბანში შეაბამს?

პოლკოვნიკი — ჩვენ. ჩვენი მოკავ-

შირეები — იაპონელები, ამერიკელები, აჯანყებული ჩეხები..

გ ე ნ ე რ ა ლ ი — (ხელს ჩაიქნევს) სისულელეა! როცა შენს მიწაზე გადამთიელის იმედი გაქვს, ეს ნიშნავს, რომ შშობელმა უარგყო შენ, შენ აღარა ხარ მისი შვილი, მისი პატრონი.

ნ ი კ ო ლ ა ე ვ ი — მაშ, ნუთუ დამთავრდა ყველაფერი, ნუთუ ხსნა აღარ არის, ბატონო გენერალო!

გ ე ნ ე რ ა ლ ი — არა, უნდა ვიბრძოლოთ ისევ, როგორც არასდროს, უნდა ვიბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, რუსეთს ასე ადვილად ვერ დავთმობთ. კარგი. ახლა ისევ ჩვენი ჯარების განლაგებას დავებრუნდეთ (დაკეურებს რუკას) არის შესაძლებლობა მთელი ფრონტით წაიწვიოთ წინ, მტერი ალყაში უნდა მოვამწყვდოოთ. განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს ხიდების დაცვა. ამ რაიონში მდინარეთა ნაპირები მაღალია, უხიდოდ გასვლა შეუძლებელია... (დიასახლისს შემოაქვს ყავა; გენერალი და მისი თანმხლები პირები ნელნელა წრუპავენ).

ნ ი კ ო ლ ა ე ვ ი — იაპონელებმა ძალიან გამოიდგეს თავი. ის სატანა სერგეი ლაზო, ორთქლმავლის ქვაბში დაუწყავთ!

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ჰო, ეგენი საიმედო მოკავშირენი არიან, ჩვენი არ იყოს, ბოლშევიკები არც მაგათ ახატაოთ გულზე!

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი — მიუმატეთ მაგათ იაკუტელი ტაიონები. ეს რაღაც იჭაური თავადების მსგავსნი ყოფილან. თუ ხალხი აიყოლეს, ესეც კარგი დახმარება იქნება ჩვენითვის.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ნიკოლავე, როდის მიემგზავრებით?

ნ ი კ ო ლ ა ე ვ ი — მე მზად ვარ, ბატონო გენერალო, რამდენიმე იაკუტელიც გამოყვება ჩვენი პოლიდან. (დიასახლისს გააქვს ცარიელი ჭიჭები. გადის ნიკოლავეიც)

გ ე ნ ე რ ა ლ ი — (ნიკოლავეის გასვლისას) ეს კარგია, ბოლშევიკებს უნდა დავასწროთ. ყველაფერი უნდა ვიდოწოთ, რომ საყვარელი რუსეთი თავისუფალი... (შემოდის ნესტორი)

ნ ე ს ტ ო რ ი — მაღე, სულ მაღე, საყვარელი რუსეთი თავისუფალი იქნება, ბა-

ტონო გენერალო! (წამოხტებიან) ვთხოვთ დამშვიდდეთ. გაურთხილებთ... თქვენ ალყაში ხართ მოქცეულნი!

გ ე ნ ე რ ა ლ ი — რაშია საჭმე? ვინა ხართ თქვენ?

ნ ე ს ტ ო რ ი — ციმბირის პაპას მეძახიან. ალბათ, გაგონილი გექნებათ. გავიცნოთ ერთმანეთი, მე სწორედ ის ყანალი ვარ, ბატონო გენერალო, რომელიც თქვენ სუთიათას ოქროდ შეაფასეთ. ერთი სიტყვით, თქვენთვის ძვირფასი ადამიანი ვარ.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ეგ ჩემი ბრძანება არ ყოფილა!

ნ ე ს ტ ო რ ი — სულ ერთია! იმ სუთიათასს არა ვთხოვლობ თქვენგან. მე მხოლოდ დოკუმენტები მაინტერესებს. ჩაგვაბარეთ ყველაფერი — (გარეთ სროლის ხმა ისმის, შემოდის ბასმანოვი).

ნ ე ს ტ ო რ ი — ვინ ისროლა?

ბ ა ს მ ა ნ ო ვ ი — ოფიცერი გაგვეძეა (შემოდის დიასახლისი. ყავის ჭურჭელი ხელიდან უვარდება. ხმაურზე შემოდის წერეთელი, სტროლი, გაწაძე).

ნ ე ს ტ ო რ ი — სწრაფად ცხენები! გაქცეულმა მაშველ ძალებს არ მოუხმოს (გადიან).

გ ე ნ ე რ ა ლ ი — იმედი მაქვს. მომეცევივით, როგორც სამხედრო ტყვეს.

ნ ე ს ტ ო რ ი — არავითარი სამხედრო ტყვე მოგექცევივით ისე, როგორც სამშობლოს მოღალატეს.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — მე სამშობლოს ჯარისკაცი ვარ.

ნ ე ს ტ ო რ ი — ჯარისკაცი, რომელმაც თავის ქვეყანას მიუსია იაპონელები, ინგლისელები, ყველა ჯურის ბურჟუები.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ისინი ჩვენი მოკავშირენი არიან!

ნ ე ს ტ ო რ ი — სწორია, ერთად აბრძობთ უდანაშაულო ხალხს, აწამებთ, სტანჯავთ და ჟლეტთ განუკითხავად.

გ ე ნ ე რ ა ლ ი — ამის მაგალითს კომუნისტები იძლევიან.

ნ ე ს ტ ო რ ი — განა თქვენი შვილი კომუნისტი, გენერალო? (გენერალი შეკრთება. პოლკოვნიკი ცდილობს გავიდეს) პოლკოვნიკო, დამშვიდდით!

გენერალი — ჩემი შვილი რუსეთის არმიის პატიოსანი ოფიცერია.

ნესტორი — რომელიც ნესტორ კალან-

დარიშვილის სახელით აწიოებს საყვარელ სამშობლოს. ბატონებო! თქვენ ნამდვილი რუსეთი გაგასამართლებთ.

სინათლე ქრება

გეოთხე სურათი

ტაიგა. მეტყვევ მასმანოვის ქოხი. პარტიზანები გუფუფებად მიდიან. შორეული ლაშქრობის გზას დასდგომიან.

ნესტორი — რა ისმის მეწინავე რაზმიდან?

ლავერენტიევი — ლაშქრობა ნორმალურად მიმდინარეობს. ჯერჯერობით მტერი არსად შეხვედრიათ.

ასათიანი — სტროდის რაზმმა ოცდაათამდე ვერსი გაიარა და ტუნდრებთან შეჩერდა.

ლავერენტიევი — წერეთლისა და ხარჩილავას რაზმებს ნაბრძანები აქვთ ასევე მოიჭყნენ.

ნესტორი — ჰო, ეგ სასიფათო ადგილებია. რაზმები ძალიან არ უნდა დაშორდნენ. მიშა, შენი რაზმი როდის გადის?

ასათიანი — უკვე მზადა ვართ, მებრძოლები თავს იყრიან ბილიკებთან.

ნესტორი — მე და ვანია ფეხდაფეხ გამოგყვებით.

ლავერენტიევი — ჩვენც უკვე მზად ვართ ასაყრელად. (შემოდის კატია, უფროსებს ეძალეება. მას მოსდევს ვაწაძე. იგი მოულოდნელად ხელს გადახვევს ქალიშვილს და აკოცებს. კატია სილას გააწნავს).

კატია — (თითქოს დანაწიებით) გეტყინა?

ვაწაძე — (თითქმის ყვირილით) არ შეტყინა. (გარბიან სხვადასხვა მხარეს).

ნესტორი — ტუნდრებში საეჭვოა ვინმემ გვიპოვოს.

ასათიანი — მაგრამ ირკუტსკმა უნდა იცოდეს სადა ვართ! (იქვე არიან პარტიზანები. მათ შორის უცნობი).

ნესტორი — ფროსიას დაუძახეთ.

გრიშკა — დეიდა ფროსია, დეიდა ფროსია, ძია პაპა გეძახის! (ფროსია შემოდის)

ნესტორი — ფროსია, ძვირფასო, აბა

შენ იცი. აი, ეს არის ბრძანება, სადაც ჩვენი მარშრუტია აღნუსხული. ირკუტსკიდან მოგაკითხავენ და გადასცემ. შენთან კატია დარჩება, მერე ირკუტსკელ ამხანაგებს გამოყვებით, მათ ეცოდინებათ ჩვენი ადგილსამყოფელი, ფრთხილად, ეს დოკუმენტები მტრის ხელში რომ ჩავარდეს, დავიღუპებით! მტრის ხელში — ეგ ჩვენი სიკვდილის განაწინი იქნება. (ფროსია გამოართმევს და მკერდში ჩაისუტებს. პირჯვარს ისახავს და დოკუმენტებს ქოხში ინახავს. უცნობი მიყურადებულა).

ასათიანი — მაშ ასე, წავედით.

ნესტორი — კეთილი მგზავრობა! (ასათიანი გადის. ისმის ცხენების თქარათქარი.)

ნესტორი — აბა, მზად ხართ, ბიჭებო? პარტიზანები — მზადა ვართ, მეთაურო!

ლავერენტიევი — ცხენებზე! ქვემეხებთან ორ-ორი კაცი. (პარტიზანები გადიან. მათთანაა უცნობი. იგი ფეხს ითრევს. როგორღაც ყველაზე ბოლოს გადის).

ნესტორი — (ფროსიას და კატიას გადაეხვევა) აბა, ნახვამდის ჩემო ვაჟკაცებო! გრიშკა, ჩემთან წამოდი, შვილო!

ლავერენტიევი — ნახვამდის! (ფროსია და კატია გარინდულნი გაეურებენ გზას, შემოირბენს ვაწაძე)

ვაწაძე — კატია არ გეწყინოს, მე ისე... კატია — არა, არ მწყინს, შენ....

ვაწაძე — რას ამბობ! შორი გზა მოგველის! ვინ იცის როდის ვნახავთ ერთმანეთს. ფროსია — მალე შვილო, სულ მალე ისევ ერთად იქნებით. გაჭყევი, გოგო, გააცილე, შე ალჟაჯო (კატია და ნიკო გადიან. მეორე მხრიდან შემოდის უცნობი. ფრთხილად შედის ქოხში, ეძებს დოკუმენტებს, ბოლოს ნახავს კიდევ და ფრთხილადვე გადის ქოხიდან. კარის გა-

მოდების ხმაზე ფროსია შეერთება, დაღან-
დავს უცნობს, რომელიც ცდილობს დოკუ-
მენტები უბეში დამალოს) რას ჩადიხარ,
შე სატანავ! ვიცოდი, რომ კარგი სული არ
იყავი! (გაფთრებით ეძგერება უცნობს,
საბუთებს წაართმევს!) მიშველეთ, მიშვე-
ლეთ... (უცნობი მუცელში ტყვიას დაახ-
ლის და ცდილობს ქალადღები ხელიდან
გამოგლიჯოს წაქცეულ ფროსიას, მაგრამ
მეტყველის ცოლს საბუთები ხელში მაგრად
აქვს ჩაბღუჯული. გარედან ხმაური მოის-
მის. შეშინებული უცნობი გარბის. შემორ-
ბიან კატია და ვაწაქე).

კ ა ტ ი ა — დეიდა ფროსია, რა მოხდა?
ღმერთო ჩემო, ჩემო საყვარელო, ჩემო იმე-

დო, დეიდა ფროსია! (ნიკო თოფშიართუ-
ლი დაედევნება უცნობს. შემორბიან ნეს-
ტორი, ლავრენტივეი, ბანშანოვი, გრიშკა,
პარტიზანები. ყველა ქუდს იხდის. გრიშკა
ნესტორს ეხვევა და ქვითინებს.)

ფ რ ო ს ი ა — აპა, ძვირფასო პაპავ, შენი
სიკვდილის განაჩენი... გაუქმებულია. ჩემს
მოხუცს მოუარეთ... ჩემს ბანჯგლიანს...
(კედება)

გ რ ი შ კ ა — ჩემო დედილო, ჩემო დედი-
ლო! (ლავრენტივეი ფრთხილად უხსნის
ფროსიას დამუშტულ ხელებს და დოკუ-
მენტებს სინჯავს)

ბ ა ს მ ა ნ ო ვ ი — გამიჭირდება, ფროსია,
ძალიან გამიჭირდება უშვნოდ.

ფ ა რ დ ა.

მეორე მოქმედება

მესამე სურათი

მ თ ს რ ო ბ ე ლ ე ბ ი.

- ტაიგის ჯუნგლებში
- ტუნდრებსა და გაუვალ ჭაობებში,
- მრავალი ასეული კილომეტრი დაი-
მორჩილეს
- კალანდარიშვილის დაუმორჩილებელ-
მა ვაჟაკებმა.
- საიანის მთავრეხილები,
- თოვლიანი და ქარბუქიანი,
- მონღოლეთის ცხელი ქვიშნარი უწყ-
ლო და მშვირი,
- ბევრი ვაჟაკის სამუდამო სამყოფელი
გახდა,
- ბევრი ვაჟაკის სამუდამო სასუფე-
ველი. მაგრამ წუთითაც არ შემკრთალა
- გული გმირების,
- ყველა გულში ერთო უქრობად
- ციმბირის პაპის გულის ხანძარი!
- ჩვენ მიედითადი შავმნელ გზაზე,
სიკვდილის გზაზე.
- მზის და სიცოცხლის, —
სიხარულის დასამკვიდრებლად.
- და ვიმარჯვებდით!

სადგურ გონგოტის მისასვლელი. ნესტორი
რუკაზე ბრძოლის გეგმას აწყობს, შემოსვე-
ული ქაყავს თავისი თანამებრძოლები.

ნ ე ს ტ ო რ ი — აი, აქ არის იაპონელებისა
და სემიონოვლების პოზიციები... აქ, მამა-
სადამე, მარჯვენა ფრთა... ორი პოლიკით
ცენტრში, კიდევ ორი პოლიკით... აქ რეზერ-
ვი... თუ მთავარ დარტყმას აქედან დავიწ-
ყვებთ, მაშინ კონტრშეტევას ამ მიმართულე-
ბით უნდა ველოდეთ. სადგური გონგოტა...
ს ტ რ ო დ ი — მშვენიერი გეგმა.

ნ ე ს ტ ო რ ი — მარცხენა ფრთიდან, პირ-
ველი დაიწყებს შეტევას მიხეილ ასათიანი...
მარჯვენა ფრთიდან მიხეილ წერეთელი...
ცენტრში იმოქმედებს ივან სტროდი. ხარ-
ჩილავა და ვაწაქე ზურგიდან შემოუვლიან
მტერს. შტრომბახი ჩეხებითა და კორეელე-
ბით, რკინიგზის გასწვრივ ჩასაფრდება...
მიწის ყრილებზე მტერი არ უნდა გადმოვი-
დეს, ლავრენტივეი ჩემთან დარჩება, ძირი-
თადად, ჩვენი საბრძოლო უბანი გონგოტის
რკინიგზის მაგისტრალია. რადაც არ უნდა
დაგვიკედეს, დღეს სამურაები და სემიონო-
ველები უნდა გაერეკოთ აქედან. გაურკვე-
ველი ხომ არაფერია...

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ყველაფერი გასაგებია!
ნ ე ს ტ ო რ ი — მამ, ასე მეგობრებო, დრო
არ იცდის... ჩვენი გამარჯვების გზა გონგო-
ტაზე გადის. (სინათლე ქრება, ბნელში
ისმის ქვეშეხების გასროლის ხმა. სათვალ-

თვალზე დგანან კალანდარიშვილი, ლავრენტიევი, მებრძოლები).

ლავრენტიევი — ხარჩილავა და ვაწაძე ჯერჯერობით ვერ შეამჩნიეს. კიდევ ცოტა და მტერს ზურგში მოექცევიან, კარგია. თუ ადრე არ შენიშნეს, არ დავსარალდებით, ჩეხები არ ჩანან, ვერც კორეელებს ვხედავ.

ნესტორი — არც უნდა გამოჩნდნენ. დე, რკინიგზის გადაღმა მტერს გზა თავისუფალი ეგონოს!

ლავრენტიევი — აი, გამოჩნდნენ კიდევ. ნაადრევი ხომ არ არის... კორეელებიც...

ნესტორი — რა ხდება იქ?

ლავრენტიევი — კორეელებმა პოზიცია დატოვეს. იაპონელებს მამული ჯარები შემოჰყავთ. შტრომბახი საფრთხეშია. მტერს გზა ეხსნება.

ნესტორი — (მებრძოლებს) გაქანდით სწრაფად შტრომბახისკენ და გადაეციოთ როგორმე გაუძლოს, შეინარჩუნოს პოზიცია. აბა სწრაფად!

მებრძოლი — არის! (გავარდება)

ლავრენტიევი — თეთრების ბატარეა წერეთელს უშენს!

მებრძოლი — ამხანაგო მეთაურო! სიმონოვის ესკადრონი აპირებს ხელთ იგდოს ჩვენი ბატარეა მარჯვენა ფრთაზე.

ნესტორი — მოიცა, შენ დაჭრილი ხარ? მებრძოლი — ჩვენთან თითქმის ყველა დაჭრილია! (შემოვარდება წერეთლის მებრძოლი)

ნესტორი — იჩქარეთ, ამხანაგო კისელით, ყოველი წუთი ძვირფასია, მებრძოლები მიაშველეთ მარჯვენა ფრთაზე, სწრაფად!

მებრძოლი — არის! (გარბის).

ნესტორი — ლავრენტიევი, ხედავ, მარცხნივ? ის ქალიშვილი ნამდვილად კატია სოკოლოვაა. როგორ ნამდვილი ვაჟკაცივით იბრძვის, დაგელოცოს გამარჯვლი! ამ ბრძოლას რომ მოვრჩებით, შენი ჭირწილი ჩემზე იყოს. კალანდარიშვილი სიტყვის კაცია!

(შემობრბის მებრძოლი)

მებრძოლი — ასათიანი გატყობინებთ, სამურაები უკან იხევენო. დახმარებისათვის

ჯავშინიანი მატარებელი გამოიძახეს როგორ მოვიქცეთ?

ნესტორი — ხიდი უნდა მოვიჭოქდეს! (შემობრბის კატია)

კატია — არის, მეთაურო! (შემობრბის გრიშკა. მოათრევს შაშხანებს და ტყვია-წამალს)

ლავრენტიევი — სემიონოვმა ოთხჯერ შესცვალა ჩვენი თავდაცვის გარღვევის გეგმა... ახლა სტროდის წინააღმდეგ მიმართა თავისი მამული ძალა. შესაძლოა მთავარ დარტყმასაც მას უპირებს. (კატია და გრიშკა გადიან)

ნესტორი — მაშასადამე, აქეთ არის მთავარი დარტყმა... აქ ხომ შტრომბახის და სტროდის პოზიციებია... სემიონოვი აქეთ მოიწევს, ცენტრისაკენ. (ლავრენტიევის უკან მდგომი მებრძოლი ეცემა).

ლავრენტიევი — დახეთ, ჩვენი ამოგვიღეს მიხანში. მრავალ ბრძოლაში ვყოფილვარ და ასეთ ჯოჯოხეთში კი არასოდეს, ნესტორ ალექსანდროვიჩ, იქნებ სანგარში თავი შეაფაროთ! (ისმის აფეთქების გამაყრუებელი ხმა)

ნესტორი — ყოჩაღ, ხიდი ააფეთქეს! მატრონა — (შემოჰყავს დაჭრილი გრიშკა) იყურე, შვილო, ნუ გეშინია.

გრიშკა — ძია პაპა, ძია პაპა, მე დაჭრილი ვარ, ახლა ხომ ნამდვილი ჯარისკაცი ვარ, ახლა ხომ ვარ პარტიზანი (გული შეუღონდება).

ნესტორი — ეს რა ამბავია, სად მოხდა? მატრონა — ლიანდაგის გასწვრივ, ჩვენებმა მტერს ტყვიამფრქვევი წაართვეს და იმას მოათრევდა. ბევრი სისხლი დაკარგა.

ნესტორი — ყოჩაღ, ბიჭუნი, ყოჩაღ. დაჭრილს მოუარეთ! (მატრონას გაყავს გრიშკა).

ლავრენტიევი — ამხანაგო ნესტორ, რა დაგემართათ? დაჭრილი ხართ... (ერთერთი მებრძოლი გარბის)

ნესტორი — არა, არა მიშავს! ჩეხები და კორეელები პოზიციას თმობენ. მტერს გზა ეხსნება... (შემოვარდება მებრძოლი). მებრძოლი — სტროდმა გამოიშვანა. სემიონოვს მამული ძალა შემოჰყავს,

შტრომბახი შეფერხდა, ჩეხები და კორეელები უკან იხვევნ. საჭიროა დახმარება.

ნ ე ს ტ ო რ ი — გადაეცით შტრომბახსა და სტორდს, არ დათმონ დაკავებული პოზიციები, მოვდივარ! მალე თქვენთან ვიქნება.

მ ე ბ რ ძ ო ლ ი — არის (გავარდება).

ნ ე ს ტ ო რ ი — ჩემო მამაცო არწივებო,

დადგა ჭამი, როდესაც წყდება სამშობლოს ბუდი. ჩვენს საყვარელ დედას, ახლა ჭირდება მისი შვილების თავდადება, არცერთი ნაბიჯი უკან, ჩემო მეზრძოლო მეგობრებო! ან სიკვდილი ან გამარჯვება! (მოისმის პარტიზანების ერთსულოვანი „ვაშა“. ნესტორი შეტყევაზე გადავიდა).

ს ი ნ ა თ ლ ე ქ რ ე ბ ა

მეშვენი სურათი

მ თ ხ რ ო ბ ე ლ ე ბ ი :

— გონგოტის ბრძოლა

— ჭკითხეთ ციმიბირს, რას ნიშნავს იგი!

— გესმით ტაიგის მძლავრი გუგუნი?

— ჭკითხეთ ასწლოვან ფიჭვებს და ნაძვებს!

— რაზე მღერიან, რას ბუბუნებენ.

— ჭკითხეთ ციმიბირს!

— ციმიბირის მიწა თავის წიაღში ინახავს გმირებს,

— დაცემულებს უკვდავებისთვის!

— ფიჭვებს და ნაძვებს მოუსმინეთ,

— რაზე მღერიან, რას ჰყვებიან დაუღალავად!

— ეს სიმღერაა უკვდავებისა!

— მათი სიმწვანე, ცის სილურჯე მარადიული,

— მარადიული უკვდავების დაღადისია!

— გონგოტის ბრძოლა!

— ჭკითხეთ ციმიბირს და ციმიბირელებს!

— ეს იყო ხალხის გამარჯვების ზარის ზრიალი!

— რევოლუციის გამარჯვების დასტური დიდი.

— ეს იყო ბრძოლის ქარტახილი,

— ჩვენი ზეიმის, ჩვენი ღებნის, ჩვენი სიმღერის

— დასაწყისი.

— დასაბამი!

(ნესტორი, ასათიანი, ლავრენტიევი, წერეთელი ერთად სხედან).

ნ ე ს ტ ო რ ი — შტაბიდან ისევ დარეკეს, მოსკოვში წასვლის დღე უკვე დანიშნულია.

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ე ვ ი — ნეტავ ლენინს თუ შევხვდებით, პაპავ?

ა ს ა თ ი ა ნ ი — ბედნიერები ხართ, ჩემო ძმაო, ბედნიერები (ყველა ფიქრს ეძლევა).

ვ ა წ ა ძ ე — მაშ, ტაიგა გირჩევნია?

(კატია და ნიკო მოშორებით საუბრობენ)

კ ა ტ ი ა — რა თქმა უნდა! იქ უნდა ავაგოთ სახლი. ქვეყნად არაფერი ემჯობინება იქ ცხოვრებას!

ვ ა წ ა ძ ე — მაგრამ ხალხი რომ არ იქნება ახლოს?, იცი, ხშირად მიფიქრია, მზე კი არ ათბობს თავისთავად, მზე ადამიანებს გადასცემს სითბოს და შემდეგ, ადამიანები ადამიანებს ათბობენ. აი, ეს სითბოა, რომ აცოცხლებს და აძლებინებს ადამიანს.

კ ა ტ ი ა — არა, სულელო, ჩვენ ადამიანებს კი არ გავექცევით. მათთან ძალიან ახლოს ვიქნებით, მაგრამ მაინც მარტო. იცი, როგორ მომენატრა სიჩუმე, სიმშვიდე, სიწყინარე.

ჰოდა, და ტაიგაც ამისათვის არის გაჩენილი. ტაიგაც ხომ ჩვენია, იცოდე იმასაც მოვესწრებით, რომ აქ ამ ყრუ ციმიბირში ათასობით ახალი ქალაქი აშენდება. დაე, ჩვენი სახლი იყოს ერთი ასეთი დიდი ქალაქის პირველი სახლი, ჩვენ კიდევ პირველი მოსახლენი.

ა ს ა თ ი ა ნ ი — (ლავრენტიევს) გესმის, აი, ოცნებაც ამას ჰქვია!

ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ე ვ ი — (სიცილით) დაზვერვის ცნობები მაქვს, რომ საბოლოოდ შეფიცეს ერთმანეთს.

ნ ე ს ტ ო რ ი — (დაფიქრებით) ხომ გინახავს მკვდარი, გადამწვარი მიწა... დაჰხედავ და გული აკვნებდება, იფიქრებ, რომ მოჩაა, აქ სიციცხლე აღარასოდეს გაიჭაჭანებს, მაგრამ დადგება გაზაფხული და

უცებ აფეთქდება ბალახი, გაიცინებს ყვა-
ვილი. ასეა სიყვარულიც. ადამიანი იმითაა
ძლიერი, რომ სიყვარული შეუძლია.

ლაკრენტიევი — ერთი სიტყვით,
კარგი წყვილია, ღმერთმა შეაბეროთ!
(კატია შეერთება, ვაწაქვს უცებ ხელს ჩა-
აღლებს და ორივენი გარბიან).

წერეთელი — ცოდონი არიან, მი-
წიდან აყრილნი, ბუდეს მოწვეტილნი!
(შემოდის გლეხი).

გლეხი — მე პაპას ვეძებ. სად შეიძლე-
ბა ვნახო?

ნესტორი — რომელ პაპას, ძმობილო?
თუ ციმბირის პაპას ეძებ, მაგ სახელს მე
მეძახიან.

გლეხი — მაშ, შენა ხარ ყველაზე დი-
დი უფროსი?

ნესტორი — ყველაზე დიდი უფ-
როსი მოსკოვშია, საქვეყნო საქმეს ის გა-
ნაგებს.

გლეხი — ეპ, მოსკოვს სად მივწვდები,
ჩემი სამშობლო ციმბირია. მე ციმბირის
რევოლუციის უფროსი მინდა!

ნესტორი — ციმბირის რევოლუციასაც
მოსკოვი განაგებს, მეგობარო, პარტია,
ცენტრალური კომიტეტი.

გლეხი — ეპ, სიტყვას ბანზე ნუ მი-
გდებ... მე ჩემი გასაჭირი მინდა გითხრა.

ნესტორი — რამ შეგაწუხა, მეგობარო?

გლეხი — აი, ვერე თქვი, ეს უკვე სა-
ქმეა.

ნესტორი — მაშ, გისმენ.

გლეხი — აი რა, უფროსო, ცხენი წა-
მართვეს შენმა ბიჭებმა. ეს რაღაც ქა-
ლადლის ნაგლეჯი მომიგდეს, რა თავში
ვიხბი, ფული მაინც იყოს!

ნესტორი — (კითხულობს) „მე, ნეს-
ტორ კალანდარიშვილი, ვაღდებული ვარ
რევოლუციის გამარჯვებისთანავე დაგი-
ბრუნოთ ცხენი, ან ცხენის ღირებულება,
საბჭოთა ხელისუფლების სახელით“ —
ეს ქაღალდის ნაგლეჯი არ არის, ძმაო, ეს
დიდი საბუთია!

გლეხი — მაგ საბუთს ცხენი მირჩევნია.
გავცვალოთ.

ნესტორი — მე უფლება არა მაქვს.

გლეხი — რად მატყუებ, საბუთი ხომ

შენი ხელმოწერილია?

ნესტორი — საბჭოთა ხელისუფლების
სახელით.

გლეხი — ეგ საბჭოთა ხელისუფლება
ვიღაა?

ნესტორი — ეგ შენა ხარ, მე ვარ, მთე-
ლი ციმბირია, მთელი ქვეყანაა.

გლეხი — ევე, ისე გამოდის, მთელ ქვე-
ყანას ჩემს ცხენზე ჩამოუწყდა საქმე. ვერ
მომატყუებ, პაპავ, მომიცი ცხენი!

ნესტორი — კომიტეტს შევეკითხები,
თუ ნებას დამრთავენ...

გლეხი — ის კომიტეტი შენი უფროსია?

ნესტორი — აგრა!

გლეხი — მე ვიცი, შენ უფროსი არა
გყავს. ისევ მატყუებ.

ნესტორი — არ გატყუებ, ძმაო, კომი-
ტეტია ჩემი უფროსი, რევოლუციის კომი-
ტეტი. მე ჯარისკაცი ვარ, რევოლუციის
ჯარისკაცი (ნესტორი ორცხობილას ჭამს.
ნამცეკებსაც ფრთხილად აგროვებს ხელის-
გულზე. გლეხი გაფაციცებით აკვირდება).

გლეხი — პურის მაღლი გცოდნია.

ნესტორი — (სიცილით) ციდან კი არ
ჩამოფრინიდი, მეც შენსავეთ გლეხკაცის
შვილი ვარ! (უყოფს ორცხობილას, გლეხიც
ჭამს).

გლეხი — გეტყობათ, გიჭირთ.

ნესტორი — მართალი ხარ, გვიჭირს,
იმიტომაც ვიბრძვით, რომ არ გვიჭირდეს.

გლეხი — მაშ ისე გამოდის, პურისათვის
იბრძვით.

ნესტორი — პურისთვის ვიბრძვით, მა-
შა, პურისთვის, ჩემო ძმაო, იმისათვის
ვიბრძვით რომ აღარავის შიოდეს, აღარა-
ვის სწყუროდეს, აღარავის სციოდეს. რომ
შენ ბევრი პური გქონდეს!

გლეხი — აჰა, ასეა? მაშ, პურს რად
არ გვართმევთ, აი ცხენიც რომ..

ნესტორი — ცხენი განა წაგართვით,
ცხენი მობილიზებულია.

გლეხი — მობილიზებული? ეგ რაღა
არის? მაშ ქვეყანა პურისათვის ომობს?

ნესტორი — (ისევ მიაწვდის ორცხო-
ბილას) ზუსტად ასეა. პური წმინდათა-
წმინდაა ჩვენი. (გლეხი ჰკოცნის პურის ნა-
ჭერს)

გ ლ ე ხ ი — მართალია, წმინდათაწმინდაა, ცოდვას წართმევა.

ნ ე ს ტ ო რ ი — მაგრამ უფრო ცოდვას მიწაში ჩამარხვა, როცა ჯარისკაცს შია.

გ ლ ე ხ ი — (უხერხულად, დაფიქრებით) ცოდვას, მართალი ხარ, პაპავ, ცოდვას...

(დამნაშავესავით უკან-უკან იხევს) ჯარისკაცი ცოდვას! (შემოდინ ახალგაზრდა პარტიზანები. ნესტორს გარს ერტყმიან.)

გლები წუთით შეჩერდება)

პ ა რ ტ ი ზ ა ნ ი — მეთაურო, მეზობელ

ს ი ნ ა თ ლ ე ქ რ ე ბ ა

მეშვიდე სურათი

(სოფელ კულინგის განაპირას, წისქვილთან ღრეობენ თეთრი ოფიცრები, მკერდზე წითელი ლენტები უკეთიათ, მათთან არის რამდენიმე სოფლელი ქალიშვილი, რომლებსაც ძალით ასმევენ არაყს. ქალიშვილები უკვე მთვრალეები არიან, ხან იცინიან, ხან მწარედ ტირიან, მოშორებით სხვე ჩამოხრჩობილი კაცი ჰკიდია. იქვეა რამდენიმე გაბაწრული სოფლელი. შემოდის უცნობი, იგივე ცრუ ნესტორი).

ც რ უ ნ ე ს ტ ო რ ი — აქეთ მორევით ეგ ძალღიშვილები (შემოდინ გლებები) მას, არ გინდათ ემსახუროთ რევოლუციას! მე თქვენ გინევენებ!

ს ო ფ ლ ე ლ ი — რაც გაგვანდა, თქვენმა პარტიზანებმა წაიღეს.

ც რ უ ნ ე ს ტ ო რ ი — რომ არ ჰგავხარ მშვიერს?

ს ო ფ ლ ე ლ ი — სულს აქეთ აღარაფერი შეგერჩა!

ც რ უ ნ ე ს ტ ო რ ი — (მათრახს აიჭნევს, დაყინვით) ჰოდა, ფრთხილად, ეგ სულიც არ დაჰკარგო! დღეს საღამომდე ჩავაბარებთ პურს, ხორცს და არაყს.

ს ო ფ ლ ე ლ ი — საიდან გვაჭინოთ, ბატონო?

ც რ უ ნ ე ს ტ ო რ ი — არ ვიცი, მაგაზე თქვენ იფიქრეთ!

(ცრუ ნესტორი დაინახავს ლამაზ ქალიშვილს, რომელიც დედას ეფარება.)

სოფელში ძალიან საეჭვო ხმაური იხმის. ნ ე ს ტ ო რ ი — რა ხმაურია?

პ ა რ ტ ი ზ ა ნ ი — სროლა, წივილ-კივილი. გ ლ ე ხ ი — ეგ თქვენი პარტიზანები არიან, ციმიბირის პაპავ!

ნ ე ს ტ ო რ ი — როგორ, ჩვენი პარტიზანები?

გ ლ ე ხ ი — აი, ცხენებს რომ აგროვებენ, ძროხებს, თბილ ტანსაცმელს, ქურქებს, როგორ თქვით? მობილიზაციას ახდენენ.

ნ ე ს ტ ო რ ი — (მრისხანედ) ეგ ტყუილია... აბა ბიჭებო, ცხენებზე!

ეგ გოგო სად იყო, რომ არ მიინახავს, რევოლუციას დაუმალეთ, არა? თქვენ გირვენებთ! (ჯარისკაცებს გოგო გაჰყავთ)

გ ო გ ო ნ ა — დედიკო, მიშველე, ხალხს, მიშველეთ, მე უბედურს.

დ ე დ ა — ვაიმე შვილო, ვაი შენს დედას (მივარდება ცრუ ნესტორს) მომეცი გოგო, შე ტარტაროშო!...

ც რ უ ნ ე ს ტ ო რ ი (ტყვიას დაასლის) გაიტანეთ! (ისმის ცხენების თქართქური, ცრუ ნესტორი დააყურებს). ჰეი, გამიგეთ ვინ მოდის, რა ამბავია! (შემოდინ ნესტორ კალანდარიშვილი თავისი მებრძოლებით).

ნ ე ს ტ ო რ ი — აბა, მოგაგენი შე სატანავ, შე ეშმაკის კერბო! (ხმალს იმიშვლებს, ხმალდახმალ შეეხმინ ერთი-მეორეს პარტიზანები განაიარაღებენ თეთრებს, ათაეისუფლებენ ტყვეებს, ცრუ ნესტორს ხმალი გაუვარდება ხელიდან).

ნ ე ს ტ ო რ ი — აიღე, უიარაღოს არ ვებრძვი, არა ვარ ჩვეული.

ც რ უ ნ ე ს ტ ო რ ი — ჰქენი საქნელი, ეგ ყოფილა ჩემი ბედი!

ნ ე ს ტ ო რ ი — (დაჰკივლებს) აიღე ხმალი, შე მაწანწალავ! (ცრუ ნესტორი სწრაფად დასწვდება ხმალს. გააფთრებით ეკვეთებიან ერთმანეთს და ცრუ ნესტორი მოცულილივით ეცემა კედელს). გაიტანეთ ეს ძაღლი!

(დაცემულს ხმლით წვერს ააგლეჯს)

აპა, ხალხო, ვინ იკლებდა აქაურობას ჩემი სახელით (თავისიანებს) ჩვენი ფროსიაც ამან მოჰკლა. (განრისხებული ხალხი ყაყა-ნებს)

სოფლები — (ანიშნებენ ჩამოხრჩობილზე) სამი დღეა ჩამოხსნის ნება არ მოგვეცეს. (ჩამოხრჩობილს ჩამოხსნიან. მოულოდნელად ერთი ახალგაზრდა ატირდება. ნესტორის ერთ-ერთი რაზმელი ატირებულს სწრაფად თოფს დაუმიზნებს. ნესტორი მოასწრებს ხელი აუკრას, თოფი გავარდა, მაგრამ მიზანს აცდა)

ნესტორი — ვერა ჰქვნი! განაიარაღეთ!

რაზმელი — მაპატიე, პაპავ, ვერა ჩარი მარტო ტყვიის ღირსია.

ნესტორი — როგორ? იცნობ?

რაზმელი — ვერ არის მამაჩემის შვილი.

ნესტორი — მამაშენის შვილი? ვინაა მამაშენი.

რაზმელი — აი... მამაჩემი... (მოუთითებს ჩამოხრჩობილზე. რაზმელს იარაღს უბრუნებენ)

ნესტორი — მამ, თქვენი მამაა? (ახალგაზრდას) მოდი ჩემთან ყმაწვილო, ტირილი გეყოფა. იყავი ისეთი, როგორც ვე შენი ძმა! მოიტათ თოფი. აი, ეს ჩემგან (ყმაწვილი ხელებში ჩაბლუჯავს თოფს), თოფი უნდა ალაპარაკო, თოფი, გესმის, ამ ძაღლებს სხვა ენაზე ლაპარაკი არ ესმით.

სოფელი — კიდევ დროზე მოგვეშველეთ.

მე-2 სოფელი — რაღა დროზე! იყო სოფელი კულინგა და აღარ არის.

ნესტორი — იქნება.

პარტიზანები — იქნება.

(სინათლე ქრება, მაგრამ თანდათან ისევ ნათდება. შემოდიან სოფლებები, მოაქვთ სურსათი. მოხუც ქალს მოაქვს პური და მარილი, ნესტორი ემთხვევა პურმარილს).

ნესტორი — მეგობრებო, მამ, მოდი, დღეს ვიზუივით! (სიცილით) ვაწაძე, ჩემ სიტყვას არ გაეტყუებ, გახსოვს, კატია, რომ გითხარი, ამ ბრძოლას რომ მოვიგებთ, შენს ქორწილს გადავიხდით-მეთქი, შეზე-დე, რამდენი მაყარი გყავს, სულ იარაღში

სხედან. ქორწილიც ასეთი უნდა! (ნესტორის მხიარულებას სოფლებებიც აკვივებიან).

გმადლობთ მეგობრებო! მთელ სოფელსა ვპატივებთ. ჭირი ერთი გვექონდა, ლხინიც საერთო გვექონდეს. (უცებ ცხენების თქარათქური მოისმის, მოედანს სიჩუმი დაეცემა, შემოდიან ვრიშკა და ექიმი ირეი) აი, კიდევ ერთი ძვირფასი სტუმარი გვეწვია, ირეი, შენ როგორ, ჰოსპიტალში ვინ დატოვე?

ირეი — ჰოსპიტალში ექიმები გამოგზავნეს, ჩემი თხოვნა დააკმაყოფილეს.

ნესტორი — მომილოცავს, მამ, მიემგზავრები სამშობლოში? ახლა გზა იქით თავისუფალია.

ირეი — (დაყოვნებით) გზა თავისუფალია, მაგრამ... მე არა ვარ თავისუფალი.

ნესტორი — როგორღაც ვერ გავიგე!

ირეი — გთხოვთ, ნუ შემეკითხებით. (ხმის აწვეით) მე არა ვარ თავისუფალი. მე საჭირო ვარ აქ, გესმით. (ვრიშკა გადის)

ნესტორი — მესმის ამხანაგო ირეი, მესმის, დიდი მადლობელი ვარ! (მხიარულად) მამ მიულოცე ნეფე-პატარძალს, ქორწილი გვაქვს. აი, ასე მეგობრებო, პარტიზანული ქორწილი, ცოტა მართლაც, პარტიზანული უნდა იყოს. დე, მერე შთამომავლობამ განგვსაჯოს. ნება მომეცით თამადა ვიკისრო, ჩვენში, საქართველოში, ასეთ დროს, თამადას ნეფე-პატარძალი წინასწარ ირჩევს, იმედი მაქვს ჩვენი ნეფე-პატარძალი მე მომცემს ხმას. (ვაწაძე და სოკოლოვა საერთო სიცილით თანხმობას აცხადებენ) მეგობრებო, პირველი სახმისი ნეფე-პატარძლის სადღევრძელოდ უნდა ავსწიოთ, საშინელი ბრძოლები გამოვიარეთ, სისხლიანი შეტაკებები, წინ კი უფრო დიდი ბრძოლები მოგველის, და აქაც ჩვენს ახალგაზრდობას პირველი სიტყვა ეკუთვნის. თუმცა არც მე ვარ ბებერი, ჰაი და ჰაი, ორმოცდახუთ წელს გადავაბიჯე. (ლაფრენტიევს) რას იტყვი, ვანია, დაეპირდით? ლავრენტიევი — (სიცილით) სიბერისათვის არ გვეცალია, ამაზე მერე ვიფიქროთ.

ნესტორი—ვესურვით ამ პატარა ახალ ოჯახს სანთელივით ენთოს ჩვენი ქვეყნის მკერდზე, აი, ამას გისურვებთ, დაო და შვილო, ჩემო ძმავო და შვილო, იდღეგრძელეთ, იმრავლეთ! (ყველა ერთსულოვნად სვამს სადღეგრძელოს, ნიკოს და კატიას კოცნიან. ნესტორი წამოიწყებს „მრავალჯამიერს“, მთელი სუფრა გუბუნებს) სადღეგრძელოები ქართული წესით რომ გაუაგრძელოთ, შორს წაგვიყვანს, ჩვენ გადავწვიეთ ამას, გადავწვიეთ, (გაფაციფვებით აკვირდება ტყის პირს, მთელი სუფრაც იქითკენ შებრუნდება, ტყის პირიდან ყვავილების უზარმაზარი ბურთი მოგორავს მოედნისაკენ. მალე სუფრას მიუახლოვდება, შეჩერდება და გრიშკას თავიც გამოჩნდება). გრიშკა — აჰა!.. (საერთო ხარხარში კატია გადაეხვევა გრიშკას).

კატია — გმადლობთ. ჩემო გრიშკა, გმადლობთ!

ნესტორი — მაშასადამე, ეს თაიგული მიიღეთ, როგორც ნორჩი თაობის საჩუქარი. იმრავლეთ იმდენჯერ, რამდენიც ყვავილია ამ თაიგულში, ისე მრავალფეროვანი და ლამაზი იყოს თქვენი ცხოვრება, როგორც მრავალფეროვანი და ლამაზია ეს თაიგული, შესვით, ძმებო!

(წამოიწყებს თავის პარტიზანულ ლაშქრულს „მოვდივართ, მოვდივართ, მოვდივართ, მალლა შემართეთ, შეანთეთ ნაწრთობი ხმალი“... ყველა მღერის. შემდეგ ერთსულოვნად ულოცავენ ნეფე-პატარძალს. კატიას დაბნეულს და დამორცხვებულს, უზარმაზარი თაიგული ხელში უჭირავს და შემკრთალი ცდილობს სახეზე აიფაროს. ასათიანი „ქართული“ ცეკვით დაუვლის სუფრას და კატიას და ნიკოს იწვევს, ჩაღდება ცეკვა. გამოდის მიშა წერეთელი, მას ჩერემხოველები და სოფლელი ქალიშვილები ცვლიან, სრულდება „ჩერემხოვეური კადრილი“. გარმონები დაუსუნეზბლივ იწელებიან, ქართულ სიმღერას რუ-

სული, ციმბირული ცვლის, ცეკვას—ცეკვა. კალანდარიშვილი ცეკვა-ცეკვით ცეკვადის სუფრიდან და ხარჩილავას ანიშნებს მოედნის ბოლოსკენ) ცხენები შზად იყოს! შე და ასათიანი მალე უნდა წავიდეთ.

ხარჩილავა — ცხენები შზად არის, მეთაურო, ლაგამი წამოყვარეთ და ტყის პირად ბალახობენ.

ნესტორი — ასე! (ისევ სუფრასთან) მგლობრებო! სიწყნარე იყოს! (მთელი სუფრა უსმენს) მოგებხენებათ, რევოლუციას ჯერ შევბუღება არ მოუცია ჩვენთვის. კიდევ ერთხელ მინდა თქვენთან ერთად გამოეცალოს ეს სასმისი. დროებით უნდა დაგტოვოთ. მოსკოვი გვიხმობს! დღეს მივდივართ. გაუმარჯოს ციმბირის მიწას. გაუმარჯოს ტაიგას, ჩვენს მეგობარს და ჩვენს კერას. (გრიშკა წელზე მოეხვევა პაპას და არ შორდება. ნესტორი ეფერება ბავშვს). გრიშკა, ჩვენ ისევ ვნახავთ ერთმანეთს. ვნახავთ. აი, შენ დიდი გაიზრდები, დაცოლ-შვილდები, შენ შვილებს ბაბუა არ ეყოლება, შე ვიქნები მათი ბაბუა. ბევრს ბაბუა არ ეყოლება. სად არიან ბაბუებიო, იკითხავენ შვილიშვილები, და აი, შენ უნდა აუხსნა, რომ ბაბუებმა მათი სიცოცხლე სიკვდილით მოიპოვეს. გესმის გრიშკა, შენ უნდა აუხსნა, მათ!

გრიშკა — მესმის, ძია პაპავ!

ბასმანოვი — კეთილი იყოს თქვენი გზა, მშვიდობით იარე, პაპა!

ნესტორი — ბასმანოვ! ვიცი გაგიჭირდება უფროსიოდ, მაგრამ უნდა გაუძლო. ფროსია ციმბირის გმირია, ნამდვილი გმირი! (გადაეხვევა ბასმანოვს. შემდეგ სტროდს მიმართავს) არ დაგავიწყდეს, რაც გითხარი!

სტროდი — ყველაფერი გასაგებია. (ნესტორი, ასათიანი, წერეთელი სწრაფად გადიან. მთელი სუფრა მღერის ლაშქრულს).

მხსამი მოქმედება

მერვე სურათი



მ თ ს რ ო ბ ე ლ ე ბ ი:

- ხალხის გული მუდამ ცხელია!
- მუდამ მღელვარე!
- ხალხის გული სასახლეა უკვდავებისა!
- მაგრამ ყველასთვის არ იღება მისი კარები! იქ ის მკვიდრდება, ვინც იბრძვის, ბორჯაგეს, ხალხის გულისთვის!
- ვინც ვაჟაკურად ხალხს მიუძღვნა სიციცხლე დიდი!
- ამ სასახლეში რჩეულები ცხოვრობენ მხოლოდ!
- რჩეულნი მიწის სიყვარულში, ხალხის ტრფიალში!

ტაიგაში, პატარა მინდორზე შეკრებილან პარტიზანები, ისინი ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილნი საუბრობენ, ცალკე სხედან ასათიანი, ბასმანოვი, ვაწაძე. მებრძოლები უკვე წითელი არმიის ფორმაში არიან.

ასათიანი — თავი მოგვანატრა პაპამ, მოიწყინეს ბიჭებმა.

ბასმანოვი — დაუკიდლოვებით ჩვენი წინამძღოლი, წითელი დროშის ორდენი მიუციათ. ეს დიდი პატივია.

ვაწაძე — ამბობენ ორდენი თვითონ ლენინმა გადასცაო.

ბასმანოვი — ჰო, ლენინმა! (ჩაფიქრებით) ნეტავ ლენინს რამდენი ორდენი აქვს?

ასათიანი — ლენინს არა მგონია ორდენი ჰქონდეს. ჩემი აზრით, არც შეიძლება. ორდენი მაღლობაა მთელი ქვეყნისა, რევოლუციისა, ლენინისა.

ასათიანი — ეს ჩანუქარიც გაეხარდება პაპას, ქართული ხმალი.

ვაწაძე — მერე დროშა, საბრძოლო დროშა თან მოაქვთ თურმე. სასტიკ ბრძოლებში წინ გაგვიძღვება ლენინის დროშა. ნახეთ ათჯერ უკეთ იომებენ ბიჭები. დედას ვუტირებთ ნაძირალებს, დედას...

ასათიანი — (საათს დახედავს) მატა-

რბელი უკვე ერთი საათის ჩამომდგარია, სადაცაა უნდა მოვიდნენ.

ბასმანოვი — სული კი დაგველია და...

ვაწაძე — დაწყნარდი, ციმბირელო, როგორ გგონია, პაპასაც არ ეჩქარება ჩვენთან შეხვედრა? (შემორბის პარტიზანი. „მოდიან, მოდიან“).

ასათიანი — აბა, ბიჭებო, მწყობრში დადექით, სწორდით! ლამაზად შევეხვდეთ ჩვენს მეთაურს.

(შემოდინ ნესტორი, წერეთელი, სტროდი და სხვები)

ნესტორი — გამარჯობათ, ჩემო არწივებო!

ყველანი — ციმბირის პაპას გაუმარჯოს (მოსულებს ხელს ართმევს).

ნესტორი — აბა, თავისუფლად, ძმებო, ჩამოვსხედეთ. ჩვენც მუხლს დავასვენებთ.

ასათიანი — თავისუფლად! დასხედით...

ნესტორი — სხვა, აქეთ რა ამბებია. ძმებო, როგორ ცხოვრობთ, როგორ იბრძვით, მართალი გითხრათ, ძალზე მომენატრეთ.

ასათიანი — შევასრულეთ თქვენი დავალებები, ყველაფერი წესრიგზეა... ბიჭებს უთქვენობა დაეტყო, მოიწყინეს. მოსკოვის ამბები გავიგეთ კანტიკუნტად, ძალიან გვაინტერესებს თქვენ რას გვეტყვიოთ (წამოდგება ლავრენტევი).

ლავრენტიევი — უპირველეს ყოვლისა, მომილოცავს ძმებო, ამიერიდან ჩვენს დივიზიას ეწოდება ნესტორ კალანდარიშვილის სახელობის გონგოტის ცხენოსანთა დივიზია. აი, დივიზიის დროშა, რომელიც მომავალ ბრძოლებში წინ გაგვიძღვება (წერეთელი გაშლის წითელ დროშას და მებრძოლების წინ აღმართავს. ისმის ტაში, „ვაშა“) ხოლო, ჩვენი საყვარელი მეთაური პირადად ლენინის ბრძანებით წითელი დროშის საბრძოლო ორდენ-

ნით დააჯილდოვეს! (ისმის შეძახილები „ვაშა“, „ჩვენს პაპას გაუმარჯოს!“ „ლენინის პარტიას დიდება“).

ასათიანი — ძვირფასო ნესტორ! ჩვენც დაგახვედრეთ სასიხარულო ამბავი: ირკუტსკის რევკომმა დამავალა გადმოცემით ეს ქართული ხმალი სათანადო წარწერით, უკანასკნელ ბრძოლებში შენი განსაკუთრებული წარმატებისათვის. (გადასცემს ხმალს).

ნესტორი — (ქოცნის ხმალს) ვფიცავ. ყოველთვის დაუნდობელი ვიყო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ასათიანი — თქვენს მგვობრებს აინტერესებთ ლენინთან შეხვედრის ამბავი.

ლავრენტიევი — ლენინთან შეხვედრა, ეს დაუვიწყარია, ძმებო, მე ხომ პირველად ვნახე, მაგრამ ასე მგვონა მთელი სიცოცხლე ვიცნობდი-მეთქი. ასე მგვონა ძალიან ძველი და საყვარელი ნაცნობი და ახლობელი ვნახე-მეთქი. ძალიან გაახარა ჩვენი მისვლამ, ჩვენი წინამძღოლის ნახვამ. (მიუბრუნდება სტროდს) როგორ თქვა?

სტროდი — ჰო, ლამაზად სთქვა, თანაც სიყვარულით. ახლა აღარ მიგვირს, რატომ გუძახიან პაპასო, ციმბირელებს ალბათ კიდევ შურთ შენი შესანიშნავი წვერით.

წერეთელი — მერე ლენინი დაინტერესდა ჩვენი დივიზიის შემადგენლობით და ძალზე გაიხარა, რომ ერთად ვიბრძვით რუსი, ქართველი, ჩინელი, კორეელი, თათარი, სომეხი, უკრაინელი. მერე გონგოტის ბრძოლებზე გვკითხა, ბევრი იცინა პარტიზანთა ეშმაკობაზე, ვინ არის თქვენ შორის პარტიის წევრიო. — გვკითხა. ბოლოს, ძალიან გაუკვირდა, რომ ციმბირის პაპა პარტიის წევრი არ აღმოჩნდა...

ნესტორი — ლენინი თვალეში მიყურებს და მეკითხება: ამხანაგო კალანდარიშვილო, პარტიის წევრი არა ხარო? ასეთ შეკითხვას მოველოდი, პასუხიც მზად მქონდა, მაგრამ იმ წუთში დავიბენი, აზრი დამეფანტა, მერე გონს მოვევე, ენა ამოვიდგი და მოგვეყვი ჩემი წარსული... ლენინმა მითხრა, ვიცი, ვიციო! ბევრი სასარგებლო

საქმე გაგიკეთებია რევოლუციისათვის, თქვენი ერთგულება საბჭოთა ხელისუფლებას საკუთარი სისხლით დაუმტკიცეო, ალბათ ამას დაუფიქრდებიან და მიგიღებენ პარტიაშიო.

ასათიანი — ეს მე შემეხება, როგორც პარტიულ ხელმძღვანელს, ბელადის ეს სიტყვა რევკომნაციაა, ძვირფასო ნესტორ, და სულით და გულით მოგილოცავ! შენ დიდი ლენინის რევკომნაციით ხლები ბოლშევიკური პარტიის წევრი.

ლავრენტიევი — მე დივიზიის პარტიული ამხანაგების სახელით შევპირდი ილიჩს, რომ დაუყოვნებლივ განვიხილავედით ნესტორის პარტიაში მიღების საკითხს, საზეიმოდ მივიღებდით ჩვენს წინამძღოლს პარტიაში, ლენინმა მომიწონა.

ნესტორი — ლენინმა ცალკე გამიხმო და მკითხა: თქვენი საბრძოლო ოპერაციები ჩვენს ალტაცებას იწვევს, მაგრამ ახლა რას აპირებთ, რა გეგმები გაქვთო. მე ვუპასუხე, რომ გვინდა გავეანადგუროთ კოლჩაკელთა უკანასკნელი ბანდები, რომლებიც იაკუტიაში თარეშობენ, შემდეგ მშობლიურ საქართველოსკენ გავწვევ, სადაც ჩემი ახალგაზრდობა გაუატარე-მეთქი. დიდი ხანია საქართველოში არ ვყოფილვარ, ძილში და ცხადში თვალწინ მიდგას მშობლიური მთები, ატეხილი ჭალები-მეთქი... ოცნებიდან ლენინის ტკბილმა და გულში ჩამწვდომმა ხმამ გამომიყვანა: სწორია, თქვა მან, მართლაც ხომ არ შეიძლება დავიწყებას მისცე მშობლიური მხარე... მეც თვალწინ მიდგას, სიზმარშიც ვხედავ, ჩემს ვოლგისპირეთს, საყვარელ სიმბირსკს. შემდეგ უცებ შუბლი შეიკრა და თქვა: ამ საიმოცნებას რომ ველირსოთ, წინ კიდევ დიდი ბრძოლები მოგველის. და, ამხანაგებო, სწორედ ჩვენი მომავალი ბრძოლების შესახებ ახლაც მოვითათიროთ (წამოდგება) შტაბის წევრები დარჩებიან! დანარჩენები ადგილებზე! (პარტიზანები გადიან. ასათიანს) — მიშა, სანამ სხვა საქმეს შევეუდგებოდეთ, აპა, ჩემი განცხადება პარტიაში მიღების შესახებ. (გულის ჯიბიდან იღებს განცხადებას. ასათიანი ჩუმად კითხულობს)

ასათიანი — აი მესმის, ეს ნამდვილი კომუნისტის გულწრფელი სიტყვებია. ჩემო ნესტორ, ლენინმა უმალ გიცნო, იგრძნო შენი სულისკვეთება, ამიტომაც გამოგიცხადა ასეთი ნდობა და შორეული ჩრდილოეთის და იაკუტიის ჯარების სარდლად დაგნიშნა.

ნესტორი — (ღიმილით) ნეტავ თუ მელირსება ჩემს ძველ პროფესიას დაეუბრუნდე. მე ხომ მასწავლებელი ვარ!

სტროდი — მალე, მალე იქნება...

ნესტორი — ვნახოთ, ვიბრძოლოთ, რომ მალე იყოს. ახლა კი, ხვალინდელ დღეზე ვიზრუნოთ, მეგობრებო! (ნესტორი რუკას დაჰკურებს).

ნესტორი — სამი ათასი ვერსი ძნელი გასავლელია, მაგრამ რას იზამ, რევოლუციის გზა ადვილი არ არის. უნდა ვუფრთხილდეთ კოლჩაკელ ნაძირალებს. შეიძლება ადვილად შეგვნიშნონ.

სტროდი — ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენი ერთად წასვლა არ შეიძლება.

ასათიანი — სწორია, ადვილი სანიშნო ვიქნებით მტრისათვის.

ნესტორი — დიას, მეც ასე ვფიქრობ, უნდა დაენაწილდეთ. უპირველესად, სასწრაფოდ უნდა შევარჩიოთ ოთხასამდე მებრძოლი, ეს დაუყოვნებლივ, ამაღამვე უნდა მოხდეს! (შემოდის მებრძოლი)

მებრძოლი — ამზანაგო მთავარსარდალო. ბრძანება შესრულებულია, ცხენები უკვე გაემზადდეთ სალაშქროდ.

ნესტორი — ყოჩაღ, კარგია. თავისუფალი ხარ! საქმე ადგილიდან დაიძრა...

სტროდი — საშიშია, რომ ხალხი არ გაგვეყინოს...

ნესტორი — ამასუც ვეფიქრებო, ჩემო ივანე! მარხილებზე კარგები უნდა მოვაწყოთ, თვითველ მარხილში ორი ცხენი უნდა შევაბათ, რომ სწრაფად იარონ...

სტროდი — გზაში დასახლებული პუნქტები ცოტაა, ამიტომ უნდა დაენაწილდეთ ცალ-ცალკე, სხვადასხვა დროს გავემგზავროთ, რომ შეჩერებისას ცოტათი დასვენება მაინც შევიძლოთ.

ასათიანი — გონივრულია, ივანე, რას იტყვის მეთაური?

ნესტორი — მე მგონია, ოთხ ეშელონად უნდა გავიყოთ, პირველ ეშელონს სტროდი უხელმძღვანელებს, მეორეს — წერეთელი, მესამეს — ივანე, მეოთხეს — კაენი...

სტროდი — შტაბი?

ნესტორი — შტაბი ბოლოს გაემგზავრება, მაგრამ ეს სრულიად საიდუმლოდ უნდა დარჩეს, ხვალ დილით, ივანე, შენი ეშელონი გაემგზავრება. ათ დღეში — დანარჩენი სამი... შენს ეშელონზე ბევრი რამეა დამოკიდებული, თქვენ უნდა წარმართოთ ჩვენი უსაფრთხო მოძრაობა, მოიმარაგოთ საჭურველი, ტყვია-წამალი.

ასათიანი — უკანასკნელი საბრძოლო ამოცანა იქნება თეთრგვარდიელებისაგან იაკუტიის გაწმენდა.

ნესტორი — „ეს არის ჩვენი უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა!“ (ისმის „ინტერნაციონალის“ კანგები) მაშ ასე, ძმებო! შეუდგეთ საქმეს. გავსწიოთ იაკუტიისაკენ!

სინათლე ქრება

მეცხრე სურათი

იაკუტიის სოფელ ტენტურის განაპირა ქოხი (იურტა), პოლარული ღამე. თოვლი, ყინვა და ტაიგის იდუმალი ღმუილი. ოთახის წინა მხარე, სადაც ნესტორ კალანდარიშვილია, — გახსნილია, ქოხის წინ და გარშემო დაბორილებენ ქურქებში შეფუთვნილი ადამიანები: იაკუტები, ტუნგუსები, ციმბირელები. ზოგი ქოხშია. ია-

ტაჯე სხედან. ნესტორი ტელეგრაფისტს კარნახობს!

ნესტორი — ყველა ულუსს, ყველა სოფელს... (სხვა სიტყვები არ ისმის. შემდეგ ტელეფონთან მიდის). ჩეკურსკი, ჩეკურსკი, ალოო! სოფელი ჩეკურსკი! ვინაა ტელეფონთან? გამარჯობა ივანე! მე კმაყოფილი ვარ თქვენი მუშაობით, რა თქმა უნდა, ია-

კუტია, ძირითადად, თვით იაკუტლებმა უნდა გაათავისუფლონ, ხალხი ჩვენ გამოგვეყვება. პოკროვსკში დაბანაკდები. ეს ოთხმოც ვერსზეა იაკუტსკიდან. მოხალისეები წითელარმიელის ყველა უფლებით სარგებლობენ ნახვამდის, (ტელეფონი ისევ რეკავს) ალლო! ეს ტექტიურია! აა, იაკუტსკი. ამხანაგო სავლუკ, თქვენა ხართ? იაკუტის ჯარების სარდალი, კალანდარიშვილი გისმენთ! (ნესტორი იშორებს სავლუკის სიტყვებს და ასათიანი იწერს).

„ქალაქი ალყაში ჰყავს თეთრგვარდიელთა ორიათასიან ბანდას. არა გვაქვს გრანატები, ტყვია-წამალი გამოგველია“. გავიგე ნახვამდის!

ასათიანი — საჭიროა დახმარება!

ნესტორი — თუ იაკუტსკი დაეცა, თეთრები შეძლებენ მთელი ქალაქი ჩვენს წინააღმდეგ აამხედრონ. ხარჩილავა, დაუკავშირდი სტროდს! (ნესტორი ბრუნდება ტელეგრაფისკთან, ხარჩილავა დიდხანს ეძებს სოფელ ჩეკურსკის).

ხარჩილავა — ტელეფონთან სტროდა!

ნესტორი — ვანია! ახლა დილის ოთხი საათია. გიბრძანებ შეიდი საათისათვის პირდაპირ იაკუტსკისკენ გაიჭრა. სავლუკს უნდა მიუტანო რაც შეიძლება მეტი გრანატი, ტყვია-წამალი, ყოველგვარი იარაღი. დღეს ხუთი მარტია. ხვალ დილით მოვდივარ იაკუტსკში! სადილობამდე იქ ვიქნებით! ნახვამდის, ძვირფასო! (ასათიანს) ჩემი კორეელებიც რომ მყავდეს.

ხარჩილავა — მდინარის გაღმელებიც მოდიან!

ნესტორი — ლენა გაყინულია. ხიდი დასჭირდებათ, თუ რა!.. კორეის კომპარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე მიმიწვიეს. მესიამოვნა, მართალი ვითხრა. და, იცი რა ვთქვი? არ ვიცი, მჭონდა კი ამის უფლება? ამხანაგებო, მოგესალმებით საბჭოთა. საქართველოს სახელით-მეთქი.

ასათიანი — ჩვენ გვაქვს ამის უფლება, ნესტორ! რევილუკია საქართველოში ჩვენი დიდი რევილუკიის ნაწილია.

ნესტორი — არა, მაინც რა იქნებოდა, მეც მიმელო მონაწილეობა, იქ, საქართ-

ველოში... იანოშ კირაი გახსოვს, მადაირი?.. ჩვენი პარტიზანული ესკადრონის მეთაური, მეთერთმეტე არმიის გაუგზავნია სარდლობას, საქართველოში უბრძოლია... ახლა მარტია, ეგ შარშან თებერვალში იყო, უკვე ერთი წელია! ხარჩილავა — ნუში და ტყეშია ჰყავის.

ნესტორი — ჰყავის! ჰყავის კი არა, ქუთაისის ბაზარში მალე ტყეშია შემოვა. ასათიანი — ლენინმა შეგისრულა თხოვნა.

ნესტორი — (დაფიქრებით) თუ საჭირო იქნება, სარდლობას, ალბათ მხედველობაში ექნება შენი მზადყოფნაო, მახსოვს ასე მითხრა. არა, გათავდება ეს ყველაფერი და ისევ დავბრუნდები კორეაში. იაპონელებთან ჩემი ანგარიშები მაქვს!

ასათიანი — იაპონელებს შენთან აქვთ ანგარიშები. გონგოტა არ ავიწყდებათ.

ნესტორი — (გაცხარებით) არა, მე მაქვს ანგარიშები. მათ გონგოტა არ ავიწყდებათ, სერგეი ლაზო კი ქვეყანას არასოდეს არ დაავიწყდება. მე მაქვს ანგარიშები!.. იაპონელებთან მგონი მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდაო. ვასილ ბლიუზერი ხელმძღვანელობდა ჩვენს დელეგაციას და ირენში, შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის სამხედრო კომისარი.

ასათიანი — (სიცილით) ამბობენ ძალიან კარგი პასუხიც გასცაო იაპონელ გენერალს!

ნესტორი — ბოდიში, ბატონო, მინისტრო, გენერალი პაპა როგორ ბრძანდებაო. ბლიუზერი არ მიცნობს მე, მაგრამ მიმხვდარა ვისზე იყო ლაპარაკი; გმადლობთ, ბატონო გენერალო, გენერალი პაპა შესანიშნავად ბრძანდება და ხშირად სიამოვნებით იგონებს თქვენთან შეხვედრას გონგოტაშიო. იაპონელი ციყვად გაბრუნებულა, მშირად ვიგონებ და ყოველთვის მეყინება!

(იციინან)

ასათიანი — თუ მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა, მაშინ კორეელებთან დაბრუნება არ დაგჭირდება.

ნესტორი — დამჭირდება, ბურჟუების სიტყვას არ უნდა ენდო.

ხარჩილავა — მაშინ საქართველო...

ნესტორი — ეკ, საქართველო, საქართველო! საქართველოში უნდა წავიდე უსათუოდ. ერთი ჩემი ბათუმი მაჩვენა, ჩემი ქუთაისი, თბილისში ისე გავიარო თავაწეულმა, რომ პოლიციელს არ ვემალეზოდე. ჩემი გურია...

(ჩაიღილინებს გურული სიმღერის მოტივზე)

ეკ, ნუ შეშხალეთ კაცი! (საათს დახედავს)

ხალხმა თავი მოიყარა, აბა, დავიწყობ!

(ხარჩილავა უხმობს ხალხს. ოთახში შემოდინა, კარებში და სარკმელთან გროვდებიან).

ნესტორი — ამხანაგებო, შემოდით, ბნელი ღამეა, სახეზე ვერავის ვხედავ!

ხმეზი — აქედანაც გავიგონებთ, თუ გასაგონია!

ნესტორი — ამხანაგებო, მე არ მსურს ოფიციალურად ვილაპარაკო თქვენთან.

მეც თქვენნაირი კაცი ვარ, ჩვენებური ტაიონების, ჩვენებური მდიდრების მიერ დატანჯული და მათ წინააღმდეგ ამხედრებული. ბოლშევიკების პარტიამ მითხრა:

აი, მიწა, აი, შენი ქვეყანა, შენა ხარ მისი ბატონ-პატრონი. შენ მუშაობ და, რასაც მუშაობ, შენვე გვეკუთვინისო, მე მომეწონა ეს სიტყვა. ჩემი ოცნება ხომ ეს იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ მითხრა; მოუარე შენს მიწას, შენს ქვეყანას, რევოლუციამ შენ მოგცა იგი და ბურჟუებმა ისევ არ წაგართვანო. მე და ჩემი ამხანაგები მივხვდით, რომ პარტია მართალია, საბჭოთა ხელისუფლება მართალია, — ბურჟუებს მართლა უნდათ, რომ წაგვართვან თავისუფლება, ამიტომ იარაღს მოგვიდეთ ხელი, რომ დავიცვათ რევოლუცია.

ხმეზი — ჩვენც ეს გვინდა, მაგრამ ახალი ტაიონები არ გვინდა, შეჩვეული ჭირი სჯობია.

ნესტორი — მე პარტიამ გამომგზავნა თქვენთან, საბჭოთა ხელისუფლებამ გამოგზავნა, — იაკუტებს და ტუნგუსებს უჭირთ და დაეხმარეთო. მე მინდა გავიგო, რა დახმარება გსურთ ჩემგან!

პირველი იაკუტი — დახმარება

ის იქნება, რომ რევკომმა ჩემი ირემი დამიბრუნოს.

მეორე იაკუტი — ჩვენი რევკომი ამბობს, რევოლუცია ვარო და ტაიონების მაინც ეშინია.

მესამე იაკუტი — ჩვენ არც რევოლუცია გვინდა, არც ომი გვინდა, ისე ვიცხოვრებთ, როგორც გვიცხოვრია.

პირველი იაკუტი — არა, თავისუფლება კარგია, მაგრამ მოტყუება არ იყოს!

მეორე იაკუტი — რევოლუციაც ჩვენ გვატყუებს და ტაიონიც.

მესამე იაკუტი — რევოლუციას ჭირდებაო და, გაგვძარცვეს. ამდენი ტაიონსაც არ მიაქვს. (ერთ გვერდში ჩოჩქოლა: „წავიდეთ, რას ვუცდით“, „ნიკოლავის ვუთხრათ“, „ნიკოლავი გვიცდის თავის რაზმით“, „ხალხი არ წამოვა“).

ხმა — ამისთვის დაგვიბარეთ? გვეგონა დაგვეხმარებოდით, ჩვენგან კი თხოვლობთ.

მეორე ხმა — წავიდეთ, ჩვენს იურტებს მივხედეთ. (რამდენიმე კაცი მიდის)

ნესტორი — ამხანაგებო, მე ზოგი რამ გავიგე. თქვენ უკმაყოფილო ხართ. თქვენი რევკომით. რევკომმა ირემები წაგართვათ. სურსათი წაგართვათ, ეს უკანონობაა, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება სჯის. პირობას გაძღვეთ, როგორც კი იაკუტსკში ჩავალთ, აღვეკვეთოთ ასეთი უმსგავსოებანი.

მოსუცი იაკუტი — შენისთანა რევკომი კარგია, პატროსანი კაცი ჩინხარ. ყველა რევკომი ასეთია?

ნესტორი — მომწონს, მოხუცო, შენი სიტყვა, მაღლობელი ვარ, რომ დამიჯერე! ახალგაზრდა იაკუტი — მეც წამოვალ თქვენთან, თუ თოფს მომცემთ!...

ნესტორი — ყოველი მოხალისე საზრებლობს წითელარმიელის უფლებით, მისი ოჯახი კი წითელარმიელის ულუფით. (ხალხში ყაყანია. ახალგაზრდების ნაწილი ოთახში შესვლას ცდილობს: „მე წავალ“, „ერთომ ფორმასაც მოგვეცემენ“, „კარგი თოფები აქვთ“, „იპონურ შამხანას

აჯობებს?“ რამდენიმე კი ისევ პოლარული დილის ბინდებულში გაუჩინარდება).
 ნესტორი — მე ვთხოვთ, ყველას გადასცეთ ჩვენი საუბრის შინაარსი. გააგებინეთ ყველას, ვინაა მათი მტერ-მოყვარე! თქვენ ოლონხოს დევგმირების ღირსეული მემკვიდრენი უნდა იყოთ იაკუტიის ბედნიერებისათვის ბრძოლაში. (ხალხი ნელ-ნელა იშლებს. ახალგაზრდა იაკუტები და ტუნგუსები იქვე ლებულობენ იარაღს, ნესტორი ისევ ტელეგრაფისტს მიმართავს).
 პო, ჩვენ რაზე შეეჩრდიო? ყველა მოხალისე, რომელიც დაეხმარება წითელ არმიას, ომის დამთავრებისთანავე დემობილიზებული იქნება, თავისი იარაღიც მასვე დარჩება. იაკუტიის ოლქისა და ჩრდილოეთის ჯარების სარდალი ნესტორ კალანდარიშვილი.
 ესე იგი, ყველა ულუსს, ყველა სოფელს... ხომ ასე დავიწყეთ? ამით მოვრჩეთ. ხვალ იაკუტსკში ვიქნებით! (დილის ბურუსი ფარდასავით ჩამოეშვა. რამდენიმე წუთის განმავლობაში არაფერი ჩანს, მხოლოდ ტაიგის უცნაური ხმაური ისმის: დილის ტაიგა მღერის. სინათლე ქრება.

(გზა—გაყინული მდინარის კალაპოტში, ორ ბორცვს შუა გადის. ირგვლივ მხოლოდ თოვლი და დუმილი. ბარდნის. ნესტორის მცირე რაზმი მოდის, მოაქვთ ტყვიამფრქვევები და იარაღის ყუთები).

ნესტორი — როგორ უჭირთ ცხენებს, ყინული გასიბუღია. ცოტათი რომ დავეხმაროთ, ცუდი არ იქნება. სულ ოცდაათამდე ვერსი დარჩა. მზევერავების ხმა არ ისმის. როგორც ჩანს, მშვიდობაა.

ასათიანი — მტერი მზევერავებს ასლა ხმას არ გასცემს.

ნესტორი — ალბათ ცდილობს ხაფანგში გაგვაბას.

ასათიანი — მაინც რა სიჩუმეა!.. (უცებ რაზმის უკან ერთი გასროლა ისმის). ჩვენი მზევერავები არიან!

ნესტორი — ჩასაფრდით! ჩვენს მზევერავებს უკან რა უნდათ, ჩასაფრდით! ხარჩილავა — რას გინდა ამოეფარო, გაშლილი ადგილია (სროლა ხშირდება).

ნესტორი — მოეფარეთ ტყვიამფრქვევს. ყუთებს, ცხენებს, სწრაფად! (თვითონ ტყვიამფრქვევს მიუწევს, სროლა თანდათან ახლოვდება. დაჭრილი ცხენები ჭიხვინებენ. ბორცვებიდან წამოიშლებიან თავდამსხმელები. მათ ნიკოლაევი მოუძღვით. ბანდიტებში შეინიშნება წინადლით კრებაზე მყოფი რამდენიმე იაკუტიც. ნესტორი ტყვიამფრქვევის ცეცხლს უშენს. წუთით უკან იხევენ, ნიკოლაევი უკანდახეულბებს ესვრის. ისევ გადმოდიან შეტევაზე. ნესტორი ტყვიამფრქვევის რიგს ათავებს და პისტოლეტს ამოიღებს. რამდენჯერმე გაისვრის, მაგრამ იარაღი ხელიდან უვარდება, მას მხარში შეუდგებიან თანამებრძოლები და ნესტორ კალანდარიშვილი მოჩანს, როგორც ქანდაკება, თავისი მეგობრებით გარს შემოხვეული).

ნესტორი — ვეღარ წავედი ჩემს გურიასი... (შორიდან ისმის „ვაშას“ გუგუნი, რომელიც თანდათან ახლოვდება, შემოდის სტროდი და მისი რაზმელები. ისინი უერთდებიან ნესტორის ირგვლივ გარინდულ მებრძოლებს. ნესტორის უკან აღიმართება დივიზიის დროშა. კალანდარიშვილი იწყებს ქართულ მგზავრულს: „რამოვ რერა“... თანამებრძოლები ხმადაბლა აჭყვებიან მას, მაგრამ მათი სიმღერა გმინვაა, დატირება. გრიშკა ტიხონოვი წელზე ეხვევა პაპას).

ნესტორი — ბევრს ბაბუა არ ვყოლებო, სად არიან ბაბუებიო, იტყვიან შვილიშვილები, შენ უნდა აუსხნა მათ, რომ ბაბუებმა მათი სიცოცხლე სიკვდილით მოიპოვეს.

გრიშკა — მესმის, ძია პაპავ!

რაზმი მღერის ნესტორის ლაშქრულს: „წინ ვაშად მიგვიძღვის სამშობლოს ვალი...“
 რაზმს გამოეყოფიან და წინა პლანზე გამოჩნდებიან მთხრობელები — ლავრენტიევი, სტროდი, ასათიანი და წერეთელი:

- მოვედით თქვენთან, როგორც წარსული,
- წარსულის დღეთა მოსაგონარი...
- მშობლიურ მიწას შევალეთ სიცოცხლე ჩვენი!
- და ჩვენს სიცოცხლედ კვლავ განათდა თქვენი სიცოცხლე.

რაზმი კვლავ მღერის ნესტორის ლაშქრულს: „მოვედივართ“, შეხსენით კარები ყველა, მოვედივართ, ამ ჰვეყნად დავაშროთ ცრემლი“...

— ჩვენ წამოვიწყეთ დიდი სიმღერა მომავლის დღეთა.

— შთამომავლობაც, არ დააჩუმო, არ გაანელო, დასძახე მძლავრად, უფრო მძლავრად...

— დიდი სიმღერა მომავლის დღეთა...

მთხრობელები ისევ უერთდებიან რაზმს. რაზმი გუგუნებს პარტიზანულ ლაშქრულს.





მოგზაურობა ახლო ნაკსულში (ზაგამიანი)

აპრილის დღეებში, გაზაფხულის გრილ, ყვავილებით აფეთქებულ თვეში, მივემგზავრები ლენინგრადში, სადაც დაირწა რუსეთის სამი რევოლუციის აკვანი. მიმაჭროლებს თვითმფრინავი, ისეთივე სწრაფი, როგორც დრო, შეიძლება ითქვას, დროზე უფრო სწრაფი, რადგან ვერც კი ასწრებ ფიქრებად გარდაქმნა მოგონებები, რომ უკვე ხედავ საადმირალოს, პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრეს, ტაძრების გუმბათებსა და კოშკებს და მათ მოოჭროვილ შპილებს.

ას ერთ კუნძულზე გადაშლილ ქალაქს ამშვენებს დიდებულად გადაჭიმული ნევა და მისგან ტოტებად წასული, ქვაკლდოვან სამოსელში ჩამჯდარი სხვა მდინარეები და მრავალი მდინარისებური არხი. ნევა სიცოცხლეა ლენინგრადისა, მისი სუნთქვაა და მისი გულისცემა. მახსენდება პუშკინის სტრიქონები:

„მეყვარხარ, პეტრეს დიდო ქნილებაჲ,
მიყვარს შე შენი მყაცრი მშენება,
ნევას მეფური მძლავრი ღინება
და მის ნაპირთა ზრანიტის წყება...“

ქალაქი მთლიანად ისტორიული ძეგლია. აქ ნათლად ჩანს რუსეთის დიდება, რომელსაც აგვირგვინებს დიდი ოქტომბრის რევოლუციით გარდაქმნილი, განახლებული და აყვავებული საბჭოთა სახელმწიფო.

ჩემს გულისყურს იპყრობს ახალი ქვეყნის დიდებული ძეგლები.

აგერ, ლეგენდარული კრეისერი „ავრორა“, რომლიდანაც 25 ოქტომბერს, საღამო ხანს, გაისმა ისტორიული გასროლის მგრგინავი ხმა. „ავრორაში“ თავისი მარადიული ნავსაყუდი ნახა ნახიშოვის სასწავლებლის შენობის ახლოს, ბალშია ნეკვაზე, სადაც მო-

ზარდები, მომავალი მეზღვაურები, ნაოსნობას სწავლობენ.

მივაბიჯებ მარსის მოედნის ხეივანში. ირგვლივ მცენარეთა და ყვავილთა გაზონებია, რომლებიც ახლა დაფარულნი და ჩაბთილულნი არიან. ტილობებისა და ფიცარანგების ქვეშ სძინავთ მომავალ ყვავილებს.

ვუახლოვდები ძმათა საფლავებს, სადაც დაკრძალულნი არიან თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში დაღუპულები, რომელთა გვარებიც არავინ იცის. გრანიტის მძიმე ქვებზე ამოტიფრულია ეპიტაფიები. რევოლუციის გამართა ძეგლებზე კი ბრწყინავს წარწერა:

„ტირანთა ნებით
ხალხები სტანჯაუდნენ ერთმანეთს,
და შენ აღადგე, მშრომლო
პეტერბურგო,
და პირველმა დაიწყო ომი
ყველა ჩაგრულისა
ყველა მჩაგრულის წინააღმდეგ,
რომ ამით ომის თესლი ჩაეგებო“.

სიყვარულით დავცქერი იმ მარადიულ ცეცხლს, რომელიც ლენინგრადელმა მშრომელებმა დაღუპულ რევოლუციონერთა საპატივცემოდ და მომავალ თაობათა სამახსოვროდ დაანთეს მათ საფლავებთან.

თვალწინ მეხატება ლენინგრადის მქუხარე დღეები...

ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის სამ აპრილს პეტროგრადში ჩამოდიოდა ლენინი. ფინეთის ვაგზლის წინ მოუდანზე თავი მოიყარა უამრავმა ხალხმა. ლენინს ეგებებოდნენ დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნების მუშები, სამხედრო გარნიზონის ნაწილების რიგითი ჯარისკაცები და კრონშტადტიდან წამოსული მეზღვაურები. მოედანზე ტყვა არ

იყო. მრავალრიცხოვანი ხალხი მღვდლად მდუმარებაში ელოდა მატარებლის ჩამოსვლას. ხალხმა იცოდა, ვინც მოაკვეთდა ამ მატარებელს.

სალამოს ათი საათი იქნებოდა. ჯერ კიდევ შორს იყო ჩრდილოეთის ნათება, შორს იყო თეთრი ღამეებიც და ბნელოდა. ვაგზლის წინ იდგა ჯავშნიანი ავტომობილი. პეტრე-პაველს ციხე-სიმაგრეში განლაგებულ მუშაობებს პროექტორები მოეტანათ. მუშებს ხელში ვჭირათ ანთებული ჩირადნები. პროექტორის შუქი დასრიალებდა მოედნის თავზე და დროდადრო აჩენდა წითელ დროშებს, რომლებზედაც ეწერა: „სალამი ლენინს!“

აი, მატარებელი ნელა შემოვიდა სადგურზე. ერთ-ერთი ვაგონის ტამბურზე გამოჩნდა ვლადიმერ ილიჩი. კრონშტადტელი მეზღვაურები ყარაულში დადგნენ. საერთო ჭრიამულსა და ხმაურში ისმოდა მისასალმებელი სიტყვები. გაისმა მარსელიოზას, მაშინ ყველასათვის კარგად ნაცნობი მელოდია. მუშები მივიდნენ ვაგონთან და თავიანთი ბელადი ხელში ატაცებული გაიყვანეს ვაგზლის წინა მოედანზე. გაისმა მჭკპარე და შეუნელებელი „ვაშა!“ ორიოდე წუთის შემდეგ ლენინი გამოჩნდა ჯავშნოსანი ავტომობილის კოშკურაზე. იმავე წამს პროექტორები მიანათეს მას. ხალხი გაიხუტა. იგი უსმენდა ლენინის მგზნებარე სიტყვას.

ახლა შეგვქერი ფინეთის ვაგზლის წინ მდგარ ძველს, რომელიც გამოხატავს სამი აპრილის ისტორიულ ღამეს... დგას ლენინი ჯავშნოსანი ავტომობილის კოშკურაზე ქუდ-მოსხილი, პალტოგადახსნილი და გასცქერის „ნევას მეფურსა და მძღავრ დინებას“. მტკიცედ მოქნეული ხელი გვამცნობს იმ ლოზუნგის ძლიერებას, რომელიც მგზნებარე მოწოდებად გაისმა მაშინ: — „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“

ლენინი იმ ჯავშნოსანით მიაცილებს კშენინსკაიას შენობაში, სადაც იმ ხანებში

მოთავსებული იყო ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური და პეტროგრადის კომიტეტები. ლენინი შევიდა იმ შენობაში, მაგრამ ხალხი მაინც არ იშლებოდა, პირიქით, ხალხის ახალ-ახალი ტალღა აწევებოდა ქუჩას. შუალამეც გადავიდა. ქუჩა ისევ ქუხდა. მაშინ მეორე სართულის აივანზე გადმოდგა ლენინი. ის იყო უქუდოდ, უპალტოოდ. ის კვლავ სიყვარულით მიესალმა პეტროგრადის მშრომელებს.

— ამხანაგო ლენინ, ქუდი დაიხურეთ, აპრილია, ჯერ კიდევ ცივა. შეგცივათ! — შესძახეს მუშებმა.

— პიტერის მუშებს მე მხოლოდ ქუდ-მოსხილი შემიძლია მივესალმო! — მიუგო მათ ლენინმა.

ის ჯავშნოსანი ავტომობილი დღესაც დგას ლენინის მუზეუმის ეზოში, როგორც ღირსსახსოვარი რელიკვია. ეს ის პირველი ჯავშნოსანი იყო, რომელიც პუტილოველმა მუშებმა ააგეს. მას აწერია — „კაპიტალის მტერი“.

პეტროგრადის მშრომელები ასე გააკყვნენ ლენინს და 25 ოქტომბერს, 9 საათსა და 45 წუთზე, როდესაც „ავრორიდან“ გაისმა პირველი ყუშბარის გასროლის ხმა, აჯანყებულები დაიძრნენ ზამთრის სასახლისაკენ. სადაც იმყოფებოდა დროებითი მთავრობა. მუშები, ჯარისკაცები და მეზღვაურები ბრძოლით შეიჭრნენ ზამთრის სასახლეში. მაიაკოვსკიმ თავისი პოემის ორ სტრიქონში მოხდენილად გამოხატა დროებითი მთავრობის აღსასრული. ზამთრის სასახლეში შეჭრილმა აჯანყებულებმა დაიძახეს:

„აბა, ვინ არის აქ დროებითი?..
ჩამოდი!..
ოქვნი დრო გავიდა...“

იმ დღიდან შეიცვალა ზამთრის სასახლე. შეიცვალა სმოლნი, თავრიდის სასახლე. გარდაიქმნა პეტრე-პაველს ციხეც, რომელიც 1717 წლიდან 1917 წლამდე, ზუსტად 200 წელიწადს საპყრობილედ ემსახურე-

პუტილოველები. შტრეიკბრეხერების ყოველი ცდა, ჩამალონ გაფიცვა, მიზანს ვერ აღწევს“.

„გაიფიცნენ პოლტეს ქარხნის თუჯის ჩამომსხმელი სახელოსნოს მუშები“.

„გაიფიცნენ მელითონეები, ფეიქრები, ხეზე მომუშავენი. ჭიათურის მემშატეები, რომლებიც შტაიკედ დგანან თავიანთ მოთხოვნებზე და არაფერს უთმობენ მწარმოებლებს“.

შიშით, ღვარძლით და ძალღური სიბრაზით აღივსნენ მეფის სატრაპები. „პრავდას“ სააშკარაოზე გამოაქონდა ცხოვრების სიმართლე და ეს ამინებდათ მათ.

„პრავდას“ გამოსვლის შედეგზე დღეს ჟანდარმერია თავს დაესხა რედაქციას, დაარბია იგი, გაიტაცეს ფული, მასალები და კონფისკაცია გაუკეთეს იმ დღის გაზეთებს. მაგრამ ამან ვერ შეანელა ის ერთუზიანში, რომლითაც შეუდგნენ სიმართლისათვის ბრძოლას.

გაზეთის სახელი მთელ იმპერიას გადასწავდა. მეგობრები აღმოუჩნდნენ ყველგან, ვეებერთელა იმპერიის ყოველ კუთხეში. მის საარსებოდ შემოწირულება მოდიოდა მოსკოვიდან, პეტერბურგიდან, კიევიდან, ბაქოდან, კურსკიდან, შორეული ურალიდან და თბილისელი თანამოაზრე მეგობრებისაგან.

ორი წლის განმავლობაში მეფის პოლიციის მიერ მრავალჯერ დარბეულა იგი, მაგრამ არასოდეს არ დაშორებია „პრავდას“ და თავის მუშურ სახელწოდებას.

სტენდები სცვლიან სტენდებს.

1917 წელია. მდინარე მოიკის პირას, ოთხსართულიან შენობაში პირველი და მეორე სართული რედაქციასა და სტამბას ეკავა. სამი თვის განმავლობაში, აპრილიდან ივლისამდე, რედაქციაში მუშაობდა ლენინი. იმ კარში, ახლა რომ მწვანედ არის შეღებილი, ყოველ დილას შედიოდა ლენინი. აქ მზადდებოდა მასალები, აქ იბეჭდებოდა ოქტომბრის წინაღობის დღიური „პრავდა“. 5 ივლისს, გათენებისას, მოვიდნენ აქ იუნკრები და კაზაკები, შენობას ალყა შემოარტყეს, მერე შიგ შეიჭრნენ და და-

არბიეს რედაქცია, წაიღეს დოკუმენტები, წერილები, გაზეთის კომპლექტები.

იმავე დღეს შხალერის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო კაზაკთა უსურიის პოლკის ყაზარმები, დაეცა მუშა პრავდისტი ი. ვოინოვი.

ი. ვოინოვს პოლკის ფელდფებელი თავს წამოადგა სწორედ მაშინ, როდესაც ის ქარისკაცებში „პრავდას“ ავრცელებდა. ფელდფებელს სიბრაზის სისხლი მოაწვა ყელში, თვალები აენთო და გაუწითლდა, აუძაგძაგდა ფელდფებელური გრძელი და მსხვილი უღვაშები. შეკვყირა:

— ეს რა არის?..

— პრავდა!.. — აღტაცებით მიუგო ვოინოვმა.

ფელდფებელს ხმა აღარ ამოუღია, იძრო ხმალი და უმოწყალოდ მოიჭნია. ვოინოვი იქვე უსულოდ დაეცა... დღეს იმ ქუჩას ვოინოვის ქუჩა ჰქვია. იმ შენობაზე გაკრული მემორიალური დაფა უკვდავყოფს ვოინოვის სახელს.

„პრავდის“ ხმა სწვდებოდა უსამართლო იმპერიის ყველა კუთხეს. ის იყო ქომაგი დაჩაგრული ერებისა. „პრავდის“ ფურცლებზე პირველად ლენინმა გამოაქვეყნა თავისი ნათელი აზრი რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების შესახებ. ის ხედავდა, როგორ სდევნიდნენ პატარა ერებს, როგორ ჩაგრავენ მათ და როგორ უგინებდნენ ენას. ვკითხულობ ლენინის ხელით დაწერილ სტრიქონებს:

„მუშათა დემოკრატიის ნაციონალური პროგრამაა, — არავითარი პრივილეგია, ყოველგვარი პირობის გარეშე, არც ერთ ერს, არც ერთ ენას; ერთა პოლიტიკური თვითგამორკვევის საკითხის გადაწყვეტა, ე. ი. მათი სახელმწიფოებრივი გამოყოფა ყოველმხრივ თავისუფალი, დემოკრატიული გზით“.

თვალწინ წარმომიდგა რვეოლუციამდელი საქართველო, ძველი თბილისი... შევბნევი მეფის სატრაპის გოლოვინისადმი მიკუთვნებულ დღევანდელ რუსთაველის პროსპექტზე, დაწესებულებების, საზოგადოებების, თეატრების, კინოების და მალაზიების აბრეშუ ქართული სიტყვა და ქარ-

თული ანბანი არ ჭაჭანებდა, რადგან სდევნიდნენ და ენას უგინებდნენ პატარა ერებს.

გაზეთი, გამოსვლის პირველი დღიდანვე, საბჭოთა კავშირში შემაველი ყველა ერის გულისთქმას გამოხატავს.

აგერ „პრავდა“, რომელშიც ქართული ასოებით დაბეჭდილია ილიას სტრიქონები:

„ჩემო კარგო ქვეყანა,
რაზედ მოგიწყენია,
აწყო თუ არა გწყალობს,
მომავალი შენია“.

ოცდაათი წლის წინანდელ „პრავდის“ ფურცლებზე რუსთაველის შესახებ დაბეჭდილი იყო სტრიქონები, რომელიც სიამაყის გრძნობით ავსებს ყოველ ქართველს: „ზნეობრივი კეთილშობილება, მეგობრობა, სიყვარული, პატიოსნება, თვისებები იდეალური ადამიანისა, რომელსაც უმღერდა დიდი ქართველი პოეტი, დღეს, შეიძნახე-ვარი საუკუნის შემდეგ, განსახიერებულა სოციალისტური ქვეყნის ყველა ხალხის ცხოვრებაში“.

საბჭოთა საქართველოს თხუთმეტი წლის თავზე „პრავდაში“, პირველ გვერდის დასაწყისში, ქართული ანბანით არის დაბეჭდილი საქართველოსადმი მილოცვის სტრიქონები:

„ბოლშევიკური სალამი საბჭოთა საქართველოს მშრომელებს“.

იმავე გვერდზე დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი სიყვარულით წერს საქართველოზე: „შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქვეყნის დიდებულმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიულმა ხასიათმა, სწორედ ამ ორმა ძალამ მიზიდგა და ჩემგან, მოხეტიალესაგან, ლიტერატორი გამოიყვანა. ჩემს თავს მცირეოდენი ლირიკის ნებას ვაძლევ, რომ გამოეხატო უმრეტი სიმპათია თქვენდამი და თქვენი ხალხისადმი“.

ლენინის შემდეგ პირველი პრავდის-ტისაგან ასეთი მომართვა საამაყო ჩვენი სამშობლოსათვის.

და დღეს, ოქტომბრის მეორეოცდაათე წელს, შორეულ წარსულში მოგზაურობიდან ვუბრუნდები დღევანდლობას, თვალწინ მიდგას მთელი საქართველო, აღორძინებული მიწაწყლით — ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებით, ვენახებით და ხილის ბაღებით, ქართული მდინარეებისაგან განათებული სოფლებითა და ქალაქებით, ქარხნებითა და ფაბრიკებით და იმ ნათელი შუქით, რომელიც ბრწყინავს საქართველოს მეცნიერების და ხელოვნების ტაძარში.



ს ი რ ნ ე ლ ი

არაბანი ორ ნაწილად

ნაწილი პირველი

კარგახანს ეძინა.
გაეღვიძა თუ არა, საკემელს ვახედა.
მატარებელი ვიწრო ხეობაში მიჰქროდა. ორივე მხარეს უზარმაზარი სალიკლდეები აყუდებულებოდნენ და ხეობაში მზეს არ ახედებდნენ.

მატარებელი გაიჭრებოდა, კლდეს გასცდებოდა და კვლავ ახალი კლდეების ჩრდილში აღმოჩნდებოდა.

ორივე მხრიდან დევნილი ნადირივით. მატარებელი მდინარის ერთ ნაპირს რომ მოსწყდებოდა, მაშინვე მეორე ნაპირისაკენ გარბოდა, თითქოს იქ აღარ ედგომებოდა.

ზათქით და ზანზარით წარა-მარა ხილებზე გადაბოდა. გვირაბიდან გამოვარდნილი, ღია ცის ქვეშ ქროლვით, როგორც კი ცოტას გულს მოიჭერებდა, თავქუდმოგლეჯილი ისევ ახალ გვირაბში შერბოდა.

ასე ვალმა-გამოღმა წყვეტებით, როგორც იქნა, მატარებელმა კლდეებს მიაღწია.

უცხო სადგურზე გაუბედავად დადგა ფეხი ციციმ.

აქ მას არავინ იცნობდა და არავინ ელოდა.

გარემოში თავად უნდა გარკვეულიყო და უცნობ ქალაქში გზა თვითონვე გაეკვლია.

სადგურზე ხალხი ცოტა იყო.

ჩემოდანი აიღო და სადგურის მორიგისკენ წავიდა.

ქალარა მორიგე ტელეფონის სახელურს ატრიალებდა და რომელიღაც სადგურის სახელს ხმამაღლა ჩასძახოდა ყურმილში.

ეტყობოდა, არაფერი გამოვიდა. ყურმილი გაბრაზებულმა მოიქნია და წამოწითლებულმა ციციოსკენ მოიხედა.

— უკაცრავად, კომკავშირის საქალაქო კომიტეტს ხომ ვერ მიმასწავლით.

თავაზიანად მიმართა ციციმ.

მორიგემ ქალიშვილი თავითფხანმდე აათვალ-ჩაათვალღერა და უცებ სახე გაუნათდა.

— როგორ არა! — წამოდგა მორიგე. გარეთ გამოვიდა და ხელით ანიშნა, — აგერ არის ქალაქკომი, სადგურის უკან. ასე ვახვალთ და ას ნაბიჯსაც არ ვაივლით. რომ ქალაქკომს მიაღვებით.

ციციომ მადლობა გადაუხადა და ნაჩვენები გზით წავიდა.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტი იმ დიდი შენობის პირველ სართულზე იყო, პარტიის ქალაქკომს რომ მთლიანად ეკებოდა.

შენობის წინ რამდენიმე მსუბუქი და საბარგო მანქანა იდგა.

ციციო კიბეს მიადგა. წარწერა წაითხა და თითქო ვინმესგან გამხნეკებას ელოდა, მარჯვნივ გაიხედა.

საბარგო მანქანაში მჯდარ მძღოლს

ხელში წიგნი ეჭირა, მაგრამ წიგნისთვის თავი გაენებებინა და ციციოს უყურებდა.

— ქალაქკოში თუ გინდათ, აქ არის. თავაზიანად გაუღიმა მძლოლმა ციციოს.

— გმადლობთ.

ღიმილითვე თქვა ციციომ და ოდნავ გაწითლდა.

მოკლე კიბე სწრაფად აიარა.

გრძელ კორიდორს მიჰყვა და პირველსავე ღია ოთახში შევიდა.

მაგიდას ახალგაზრდა ვაჟი უჯდა.

ფეხისბმაზე თავი აიღო და ციციომ შენიშნა, რომ მის თვალბეჭდშიც სასიამოვნო ადამიანის ნახვით გამოწვეულმა სიხარულის შუქმა გაიელვა.

— რა გნებავთ?

იკითხა ვაჟმა.

ციციო მაგიდას მიუახლოვდა, ჩემოდანი ძირს დაუშვა, ჩანთიდან დაკეცილი გაზეთი ამოიღო, გაშალა და მაგიდაზე წინ დაუდო.

— ამ გაზეთში თქვენი განცხადება წავიკითხე. სამუშაო გქონიათ და მინდა სადმე მომაწყობო.

ვაჟმა გაზეთს ცალი თვალით დახედა.

— კომკავშირელი ხართ?

— ვარ... აი, ბილეთი.

ციციომ კომკავშირის საწევრო ბილეთი გაუწოდა.

ვაჟი ბილეთში ჩაყრულ სურათს დააკვირდა, მერე ციციოს შეხედა, მერე კვლავ ბილეთს დაუბრუნდა და ასე სამჯერ ასწი-დასწია თავი.

ეტყობოდა, ქალიშვილის სახისა და ფოტოს ცქერა სიამოვნებდა, თორემ სურათი ციციოს ზუსტი ფოტო იყო და დაეკვივების არავითარ საბაბს არ იძლეოდა.

— თქვენი ბილეთია.

სარწმუნოდ თქვა ვაჟმა.

— აბა, ვისი უნდა იყოს?

გაიკვირვა ციციომ და გაეღიმა.

ვაჟმა ყუთში ჩაწყობილი ბარათები გასინჯა და ისევ ციციოს მიაპყრო თვალი.

— ახლა ისეთი აღარაფერი გვაქვს... გუშინ რომ მოსულიყავით, აღმრთლებელად გავიშვებდით.

დანიანებით თქვა ვაჟმა. მერე უცებ რაღაც მოაგონდა.

— თქვენ ალბათ საშუალო ცოდნითა ხართ...

— დიახ! — გაუბედავად თქვა ციციომ.

— რა გიყოთ, მრეცხავად ხომ არ გავიშვებთ საერთო საცხოვრებელში.

ციციო ყოველგვარ სამუშაოზე უყოყმანოდ წავიდოდა და არც მრეცხაობაზე იტყოდა უარს, მაგრამ მაინც არაფერი თქვა და საბოლოო გადაწყვეტილებას დაელოდა.

ვაჟი რაღაც სიას დააკვირდა. საჩვენებელი თითით დაჰყვა და საღდაც ბოლოში შეჩერდა.

— მიმტანის ადგილი გვაქვს მუშათა სასადილოში.

ვაჟმა თავი აიღო და ქალიშვილს გამომდებლად შეაჩერდა.

— თუ, საერთოდ, ასეთ სამუშაოზე წახვალთ. სხვას ეს სჯობს. პატარა სასადილოა, გარჯა ბევრი არ გექნებათ. ხელფასს არა უშავს. ოთახი საერთო საცხოვრებელში... წახვალთ?

— წავალ, თუ კი ასეთი პირობებია.

— პირობები კარგია, — გაეხარდა ვაჟს ქალიშვილის თანხმობა, — ქალაქიდან შორს არ არის, სულ რამდენიმე კილომეტრია. დღესვე შემიძლია გაგზავნათ... სწორედ ახლახან იყო მუშათა სასადილოს გამგე, მეზვეწებოდა. ჩქარა მომეცი ვინმეო, თუ არ წავიდა, შეიძლება ისევ აქ იყოს.

თქვა ვაჟმა, სარკმელი გამოაღო და ქუჩისკენ გადაეყუდა.

— პარმენ... პარმენ... მობრუნდი ერთი წუთით... ჰო... ჰო... ამოდი.

ვაჟი მოტრიალდა, ქალიშვილს სკამი მიუწია.

— აქვე ყოფილა... დაბრძანდით, ახლავე გავაფორმებთ.

ციციო ჩამოჯდა.

— მომეცით თქვენი საბუთები.

ციცომ ჩანტიდან საბუთები ამოალა-
გა და კომეკავშირის ბილეთთან ერთად
გაუწოდა.

ოთახში ქლოშინით შემოვიდა შუახ-
ნის კაცი.

წინწანოსულ ღიბზე ფაყვედ შე-
მორტყმულ წვრილ ქამარში ორივე
ხელი ჩაიყო და უცნობ ქალიშვილს
თვალი თვალში გაუყარა.

ციცომ თვალი აარიდა, თავი დახარა.

— ამ ქალიშვილს გიგზავნით, პარ-
მენ.

— თქვენი ნებაა, ამხანაგო შოთა.
გაიღიმა პარმენმა და კმაყოფილებით
დააკქერდა ქალიშვილს.

— თქვენ ეს ანკეტა შეავსეთ, — გაუ-
წოდა ბლანკი შოთამ, — შე ახლავე სა-
ბუთებს გაეფორმებ. დაბრძანდით.

თქვა შოთამ. საბუთები აიღო და
ოთახიდან გავიდა. მარტო დარჩენილე-
ბი სდუმდნენ.

ციცო სკამზე დაჯდა და ანკეტის შევ-
სებას შეუდგა.

პარმენმა სკამი მიიწია და ციცოს პი-
რისპირ დაჯდა.

ციცო თავს უზერხულად გრძნობდა:
ეს უცხო კაცი დაწითლებული თვალე-
ბით ხარბად მიჩერებოდა, აკვირდებო-
და, ყოველ ნაკვეთს ურცხვად უსინ-
ჯავდა.

ქალი წითლდებოდა და თავს ვერ
იღებდა.

— აქაური არ უნდა იყოთ.

გამოელაპარაკა პარმენი.

— არა, ჩამოსული ვარ. — თავაუ-
ღებლად უპასუხა ციცომ და წერა გა-
ნაგრძო.

— მოგეწონებათ აქაურობა. ნახავთ,
უკან წასვლა აღარ მოგიწოდებათ.

ქალმა არაფერი თქვა.

პარმენმა ერთხელ კიდევ ახედ-დახე-
და ქალიშვილს და თავმომწონედ თქვა:

— ყოველგვარ პირობებს შეგიქმნი...
ზრუნვას არ მოგაკლებ!

ციცოს ნათქვამი არ მოეწონა და
უზერხულად შეიშმუნა.

— ეს თქვენი საგზური, — მიმართა

ოთახში შემობრუნებულმა შოთამ და
ციცოს ქალაღი გაუწოდა, — ესეც
თქვენი საბუთები.

ციცომ ანკეტა გაუწოდა და საბუთე-
ბი ჩამოართვა.

შოთამ ციცოს ანკეტას გადაავლო
თვალი.

— დღესვე წახვალთ?
იკითხა შოთამ.

— დღესვე, აბა რას დაეუცადოთ!
დაასწრო ქალიშვილს პარმენმა.

— ხალხი მშვიერია და სასადილო და-
კეტილი მაქვს.

— ჰო, თუ ასეა, დღესვე წადით.

— აგერ, მანქანა მიცდის და ბარემ
ერთად წავალთ.

დაფაცურდა პარმენი.

— კარგი, რაკი მანქანა გიცდით, ერ-
თად წასვლა გირჩევნიათ, თქვენ მარ-
ტო მაინც ვერ მიაგნებდით.

— დიახ, ერთად წავალთ.

წამოდგა ციცო.

— ნახვამდის... გმადლობთ...

— ნახვამდის.

ჩამოართვა ხელი შოთამ და ქალიშ-
ვილს რომ შეხედა, ცოტა მოწყენილო-
ბა შეატყო.

— ახლა სხვა არაფერი გეჭონდა. —
იმართლა თავი შოთამ, — როგორც
უკეთესი რამე გამოგვიჩნდება, მხედვე-
ლობაში მეყოლებით და უსათუოდ გა-
დაგიყვანთ უფრო შესაფერისს სამუ-
შაოზე.

პარმენი და ციცო ერთად გამოვიდ-
ნენ.

წელან რომ მძლოლი დაელაპარაკა,
კაბინიდან გამოსულიყო და ახლა გულ-
ხელდაჭდობილი მანქანას მიყრდნობილი
იღგა.

— გიგას გაუმარჯოს, — პარმენი ამა-
ყად მიესალმა და ზედ არც შეხედა.

გიგას და ციცოს თვალები ისევ ერთ-
მანეთს შეხედნენ.

ორივეს გაეღიმა.

ციცომ თავი ჩაღუნა, მაგრამ პარმენს
არაფერი გამოპარკია.

გიგას მგელივით შეხედა.

თავის ახალ თანამშრომელს შორი-

ახლო მდგარი მანქანისაყენ წაუძღვა. მანქანის ძარაზე ასვლისას ცალი ხელი მაგრად ჩაავლო მკლავში, მეორე წელში შეაშველა და მალა ბურთივით შეაგდო.

ციცო გაწითლდა. ძარას კუთხეში დაჯდა და დარცხვენილი ისე მიიყუჟა, გივასყენ აღარ გაუხედავს.

პარმენი კაბინაში გამოიჭიმა, გივას თავმომწონედ გადმოხედა და მძღოლის გასაგონად გრძლად თქვა:

— წა-ვე-დით!..

მალაროს მუშათა სასადილოში სულ რამდენიმე მაგიდა იდგა. მოხუცი მზარეული ცხელ საჭმელს აყეთებდა, მაგრამ პარმენი კერძის მიტანასა და დახლში ტრიალს ვერ აუღიოდა, მუშტარიც უკმაყოფილო იყო და მალაროს ღირეკციაც.

პარმენმა სამმართველოს კარზე ტალახი აუყენა და როგორც იყო მიმტანის შტატი იშოვნა.

ეგონა, შტატი რომ მექნება, ადგილის მსურველები ბუზივით დამეხვევიანო, მაგრამ პარმენი მალე დარწმუნდა, რომ შტატის შოვნაზე ძნელი მიმტანის პოვნა ყოფილა.

საქმე ის იყო, რომ პარმენი უბრალო მოსამსახურეს როდი ეძებდა.

მიმტანებად სასადილოებში ყველგან ქალები მუშაობდნენ, და, როცა შტატი-სათვის დარბოდა, პარმენს იმთავითვე ის ჰქონდა აზრად, ახალგაზრდა, ლამაზი ქალი აეყვანა, ამით მუშტარიც მიეზიდა და თავისი ცხოვრების მოსაწყყენი ერთფეროვნებაც ცოტა გაეხალსებინა.

პარმენის სოფელი ყორნალიდან იმდენად შორს იყო, რომ სასადილოს გამგე ზოგჯერ კვირაობითაც ვერ ახერხებდა იქ ასვლას.

მალაროში მარტო კაცები მუშაობდნენ, საჭალო იოლი სამუშაო არ გააჩნდათ და იქაური მუშა-მოსამსახურეები ოკეანეში გასული მეზღვაურებივით იყვნენ ქალის დანახვას დანატრებულნი.

ამ პირობებში პარმენს ბუნებრივად

ეჩვენებოდა ისეთი თანამშრომლის მოყვანა, რომელიც მარტო ჯადებს კი არ შეუმსუბუქებდა, არამედ ცოტას „თვალშიაც გამოახედებდა“.

წესით, მალაროთა პროფკავშირისთვის უნდა მიემართა პარმენს, მაგრამ პროფკავშირის ამბავი კარგად იცოდა. თავისი უმუშევარი წევრის მოწყობაზე იზრუნებდა, მის პასაჟსა და გარეგნობაზე არც დადიქრდებოდა და ვინმე იმისთანას ვაგზავნიდა მალაროს სასადილოს მიმტანად, რომ მარტო მუშტარი კი არ დაფრთხებოდა, თვითონ სასადილოს გამგესაც თვალი დაუდგებოდა და საქმე გასაქცევად ექნებოდა.

სწორედ ამ მოსაზრებამ მიიყვანა პარმენი კომკავშირის საქალაქო კომიტეტში.

სამ დღეს უცადა და მეოთხე დღეს ბედმა გაუღიმა: იმისთანა გოგო იშოვნა, მიმტანად კი არა, დედოფლად არ დაიწუნებოდა.

პარმენს ჯეროდა, რომ ციცოს გამოჩენა მუშათა სასადილოში შუქსა და სიცოცხლეს შეიტანდა, სასადილო მუშტრით გაიჭედებოდა და პარმენის თვალსა და გულსაც ახალგაზრდა ქალის სიახლოვე სიხარულით აავსებდა.

პარმენს ისე მიუხაროდა თავისი სასადილოსკენ, თითქოს თანამშრომელი კი არა, პატარძალი მიჰყავდა.

მალაროს მიდამოებს რომ მიუახლოვდნენ, პარმენმა უცებ მუშათა საერთო საცხოვრებლების კომენდანტს მოჰკრა თვალი.

მანქანა შეაჩერა და გასძახა:

— ვალიკო.

ვალიკომ მოიხედა.

— მოდი აქ, კაცო, საქმე მაქვს.

კომენდანტი აჩქარებული ნაბიჯით მიუახლოვდა.

პარმენმა კაბინის კარი გააღო.

— დაჯექი აგერ, ჩემთან.

უთხრა და მძღოლისკენ გაიჩოჩა.

— მეჩქარება, პარმენ.

— გეჩქარება, თორემ დიდი საქმეები გაქვს. მთელი დღე თხილამურივით

მოკლილი ხარ. ამოდი აგერ, რომ გეუბნები.

ვალიკო უხალისოდ, მაგრამ მანც დამორჩილდა, მანქანაში ავიდა და პარმენის გვერდით დაჯდა.

— დაინახე?

თავმოშწონედ ჰკითხა პარმენმა.

— ვინ უნდა დამენახა?

— ვინ და ჩემი ახალი თანამშრომელი.

— სად არი? არავინ შემიძინევია.

— უკან გაიხედე, მინაში...

ხმადაბლა თქვა პარმენმა და ცერით ძარაზე ანიშნა.

ვალიკომ თავი მოატრიალა და ოთხკუთხედ მინას ზედ მიყურა.

— ზურგშექცეული ზის, კარგად არ ჩანს, მაგრამ ძალიან ახალგაზრდა უნდა იყოს.

— ბავშვია, ჯერ ისევ კომკავშირის ძუძუს წოვს. — ჩაიხიბითთა პარმენმა.

ვალიკომ შურით შეხედა პარმენს.

— ოთახი მოუშადა?

— მზად არი.

— ხომ ცალკე იქნება, მარტო.

— მარტოდმარტო. ოთახში მხოლოდ ერთი საწოლი დავდგი.

— კარგია! ახლა ეს მითხარი, ჩემი ოთახიდან შორს ხომ არ იქნება?

— არა, იქვეა, პირდაპირ.

— კარგია!.. წამოდი ბარემ და გასაღები ჩააბარე. ხომ იცი, ნამგზავრია, დასვენება დასჭირდება. დღეს ჩამოსულა და ახლავე სამუშაოზე ხომ არ გავადებ, პირდაპირ!.. მოდიხარ?

— მოვდივარ.

დაეთანხმა ვალიკო.

მანქანამ სასადილოს წინ გაიქროლა.

მერე ცოტა აღმართი აიარა და ვაკეზე რომ გავიდა, ქვის ორსართულიანი შენობის წინ გაჩერდა.

პარმენი სწრაფად გადმოვიდა და ციკოს გადმოსაყვანად მიიჭრა.

უკანა ბორტი გახსნა.

— მომეცი ჩემოდანი.

— თქვენ ნუ შეწუხდებით.

მორცხვად თქვა ფეხზე წამოდგარმა ციკომ.

— ჩვენს შორის ეგ არ იყოს!.. რა შეწუხებაა, მომეცი... მომეცი, ჩქარა.

პარმენმა ჩემოდანი ჩამოართვა, შორს დადო და ორივე ხელი ციკოსაკენ გაიშვირა.

— მომკიდე ხელი.

ქალი ხელის მოკიდებას არ აპირებდა, თვალით მანქანიდან მოხერხებულ ჩამოსასვლელს ეძებდა და არ ინძრეოდა.

— მომკიდე ხელი! რა დროს მორიდება და სირცხვილია... თუ ხელი არავინ შეგამველა, ხომ ვერ გადმოფრინდები მაგ სიმაღლიდან!..

შეუძახა პარმენმა, ხელი ხელში წაატანა და ნაპირისკენ მოსწია. ციკომ უმწეოდ მოავლო თვალი იქაურობას. სხვა გზა არ ჰქონდა და ფეხი გაუბედავად გადმოდგა.

პარმენს ბევრი არ უფიქრია, ორივე ხელით წელში სწვდა და ციმციმ ანწია. ძირს ჩამოსმისას მათი სახეები თითქმის შეეხენ ერთმანეთს. ციკოს ნაშაკაცის ცხელი სუნთქვა მისწვდა და ისედაც სირცხვილით გაწითლებული გოგო, მთლად აიღეწა. თვალები უფრო საშინელის შიშით დახუჭა და ფეხი რომ ძირს დადგა, მხოლოდ მაშინ გაახილა.

— ესეც ასე! მოვედი!

თქვა პარმენმა და ციკოს ჩემოდანს დასწვდა.

— ეს ჩვენი საერთო საცხოვრებელია. ბინა აქ გექნება. სამსამი და ოთხ-ოთხი ცხოვრობს თითო ოთახში, მაგრამ შენ ცალკე ოთახი მოგიხერხე, მარტო იქნები.

— მარტო რათა. მეც სხვებთან ერთად ვიცხოვრებ.

— სხვებთან რა გინდა, ცალკე გირჩევნია... ესეც არ იყოს, აქ სულ კაცები ცხოვრობენ... მეც აქ ვცხოვრობ.

სხვათაშორის დასძინა პარმენმა და კიბისკენ წაუძღვა.

პატარა ოთახი სუფთა იყო და კრიალა.

ოთახის მთელი მოწყობილობა რკინის საწოლი, მაგიდა და ორი სკამი იყო.

ციცომ ჩემოდანი გახსნა, ტანსაცმელი ამოიღო და ოთახის მილაგებას შეუდგა.

მაგიდა სარკმლის ახლო მიდგა, ტანსაცმელი რკინის ჩამოსაკიდზე დაჰკიდა, ზეწარი, საბნისა და ბალიშისპირები გამოცვალა და დაღლილი ლოგინზე მიწვა.

მატარებელში თითქმის არ უძინია და ახლა, როგორც კი ბალიშზე თავი დასდო, თვალი მიხუტა.

შეუჩვეველ უცხო საწოლზე და გარემოში ძილი ყოველთვის უჭირდა. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ეძინა. ხშირ-ხშირად იღვიძებდა და გაურკვეველ უამურ სიზმრებში დაბორილობდა.

სადღაც, ვიღაცას მიასვენებდნენ... კუბოს ტრაქტორის ბორბლები ჰქონდა და პირლია სამარისკენ მიგორავდა... ბოშაქალი რაღაცას ბუტბუტებდა, ვიღაც კაცებს მოუძლოდა და ციციოს ანიშნებდა, გაქცეულიყო, სადმე შორს გადაკარგულიყო და მანამ არ დაბრუნებულყო, სანამ „აღალი გულის“ ვაჟ-კაცი არ გამოჩნდებოდა... აღუღებულ ზღვა ნაპირზე ნავებს ისროდა, ხალხი ვიღაცას თუ რაღაცას უყვიროდა, ხელებს იქნევდნენ და ნაპირზე გარბი-გამორბოდნენ, ბოლოს უზარმაზარი მორი ისროლა ტალღამ და ყველანი იმას მისცივიდნენ. მორი იბერებოდა, ვეშაპივით სუნთქავდა და ციციოს სისხლიან თვალებს უბრიალებდა... ციციოს სოფლის ბოლოში შემოაღამდა. შეშინებული შინისკენ გარბის, მაგრამ გზა გრძელია და არ თავდება... ტყიდან გამოსული მგელი პირდაპირ გზაზე დგას. წითელი ენა გადმოუდგია და დალესილი კბილები აღმასებრით უღლავს. ციციო ჰკივის და გარბის, მგელი მოსდევს, წინა ტორებით ბლუჯავს და ტყისკენ ეწევა. სასოწარკვეთილი გოგო იბრძვის, მგელს უსხლტება და ქანცაწვეტილი მირბის. ეგერ ტყის

თავში კაცი ჩანს. ციციო იმ კაცს უძახის, საშველად უხმობს და ჩელგაშლილი კალთაში უვარდება. გონსმოსული თვალს ახელს: კაცი რომ ეგონა, უზარმაზარი შავი დათვი ყოფილა, უშველებელი თათები მოუხვევია და ბუნავისკენ მიათრევს. პირში ჩალაგამოვლებული მგელი შორი-ახლოს დგას, ნერწყვს ყლაპავს და შურით აყოლებს თვალს დაკარგულ ლუქმას.

შავმა დათვმა ბუნავთან მიათრია ციციო, ძირს დააგდო. ყალყზე შედგა და პირდაღებულნი გამოექანა.

ციციომ შეჰკვივლა და გაიღვიძა.

უკვე დაღამებული იყო, თავი ჯერ ისევ ტყეში ეგონა, უცხო ოთახს თვალი ნელ-ნელა შეეჩვია და ყველაფერი რომ მოიგონა, შიშმა მოიკვა.

რამ მოიყვანა აქ, ამ სიშორეს, უცნობ ქალაქსა თუ მადაროში! ასე რამ გაათამამა, რომ დედა მიატოვა და მარტოდმარტო გადმოვარდა უცხო ხალხში!

ვინ მიხედავს, ვინ უპატრონებს ავად რომ გახდეს, რამე რომ გაუჭირდეს?! დედის გვერდით რაც უნდა მოსვლიდა, მშობელი მაინც იმედად ეგულებოდა. მაშიდასთანაც გულდამშვიდებული იყო. შიში არაფრისა ჰქონდა.

აქ კი... აქ რა უნდა ჰქნას, ვისი იმედი უნდა ჰქონდეს, ვის რაში ენაღვლება ცხრამთას იქიდან მოსული უბირი გოგო!

ციციომ სარკმელს გახედა: ღამე ჩამოწოლილიყო, ღრმა და უნაპირო.

ამ სიბნელესა და მარტოობაში თავი ბუდიდან გადმოვარდნილ, უმწეო ბარტყად წარმოიდგინა და შეეცოდა, შეებრალა თავისი თავი.

ნელ-ნელა ორიოდე კურცხალი გადმოუვარდა და ნიკაპზე გაესკვნა. მერე ცრემლი მოეძალა და ღამ-ღუპით წამოვიდა.

პარმენი დახლში იჯდა. კოპიტის ტოტით ბუზებს იგერიებდა და კმაყოფილებით აყოლებდა თვალს, როგორ

მტრედივით დაგოგმანობდა თეთრხალათიანი მიმტანი.

მაგიდებს შორის, ვიწრო გასასვლელებში ტანის ნაზი რხევით მიმოდიოდა ციცი და პარმენს გული მისდიოდა.

ციცი პარმენის საქმესაც თვითონ აკეთებდა. პურსა და ყველს სჭრიდა და საუზმეს ამზადებდა.

პარმენს გასაკეთებელი აღარაფერი რჩებოდა. დახლთან ფადიშაპივით იჭდა, ბუზებს ზარმაცად იგერიებდა და სანახევროდ მიხუჭული თვალით გაყურებდა მაგიდებთან მოცქრიალე ქალიშვილს, რომელსაც უკვე თავის საკუთრებად თვლიდა.

იმ დღიდან რაც ციცი მალაროს სასადილოში შევიდა, იქაურობას შექი შეემატა. ყველაფერი განათდა და გაბრწყინდა.

იატაკი და სარკმელები პირველ დღესვე დააკრიალა, მაგიდებზე ჭუჭყიანი გადასაფარებლები სუფთა, თეთრი ქაღალდით შეცვალა. კედლები მწვანე ტოტებით მორთო.

სასადილოში მუშტარმა იმატა.

პირველად უხაროდა პარმენს, მაგიდებთან რომ რიგი გაჩნდა. მაგრამ, როცა სასადილოს ახალგაზრდობა მოეძალა, ეს კი აღარ ევაშნიცა.

პარმენი ხედებოდა ახალგაზრდა ინჟინრები და მუშები უფრო ციციოს სანახავად, მასთან გამოსალაპარაკებლად და მის საცქერლად შემოდირდნენ სასადილოში.

კერძს რომ გაათავებდნენ, წასვლას არ ჩქარობდნენ, სასმელს სასმელზე უკვეთავდნენ და ლამაზი მიმტანის ეშხით გვიანობამდე აგრძელებდნენ პურობას.

პარმენი ბრაზობდა. ციციოსკენ გაპარებულ მუშტარის თავხედ მზერას რომ აწყდებოდა. გული ისე მოდიოდა, თითქოს ვინმე მისი საკუთარი ქონების ხელყოფას ბედავდა.

როგორც კი მუშტარებს შეზარხოშებას შეატყობდა, ციციოს შინ უშვებდა და თვითონ ტრიალებდა დახლშიაც და მაგიდებთანაც.

მუშტარები ამოდ ეძებდნენ და კითხულობდნენ ციციოს. ქეიფის მადლა გვარებოდათ, ციციოს აღადასხმულტებავით დგებოდნენ და მიდიოდნენ.

დღისით, სამუშაოს დამთავრებამდე, სასადილოს მუშტარი არ აწუხებდა. კანტი-კუნტად ვინმე გამვლელი თუ შემოვიდოდა, ცხელ კერძს ხელდახელ შესქამდა და ისევ მალე წავიდოდა.

ასეთ დროს პარმენი უფრო გარეთ იყო, ხან მალაროს სამმართველოში შეივლიდა, ხან ქალაქისკენ გასწევდა პროდუქტების მოსატანად.

ციციოს საქმე არ ელეოდა, სასადილოს დამსუფთავებელიც ის იყო, მზარეულის მომხმარეც და კერძის მიმტანიც.

დამოუკიდებელი ცხოვრება, რომლის დაწყების იმედით ციცი აქ მოვიდა არც თუ იმდენად მიმზიდველი აღმოჩნდა.

დღე დღეს მისდევდა, უსიხარულოდ და უღიმღამოდ.

დღიდან საღამომდე სამზარეულოსა და სასადილოში ტრიალი დღიდა, ასავათებდა მძიმე ჯაფას შეუჩვეველ გოგონას.

დაღამდებოდა, სასადილო იკეტებოდა და ცხოვრებაც თავდებოდა.

ერთადერთი ქალი, რომელსაც აქ გაეცნო, საერთო საცხოვრებლის დამლაგებელი, მარო იყო. მაროს სოფელი ახლო ჰქონდა, იქ ქმარ-შვილი ჰყავდა და, როგორც კი თავის საქმეს მორჩებოდა, ოჯახის მისახედავად გარბოდა.

პატარა ბავშვების მისახედავად შინ წასასვლელ მაროს კინო და ცეკვა კი არა, ქორწილი რომ ყოფილიყო. ის ვერ გააჩერებდა. ჩქარი ნაბიჯით დაადგებოდა საცალფეხო გზას და თხუთმეტ წუთში შვილებთან იყო.

მაროსთან საუბარში ციციომ შეიტყო, რომ კლუბის გამგე რაღაც გადასამზადებელ კურსებზე ყოფილა გაგზავნილი, სადაცაა უნდა დაბრუნდეს, უმისოდ კი არც კლუბს აღებენ და არც სურათი მოაქვთო.

კლდეთი ახლოა, მანქანით სულ

თხუთმეტი-ოცი წუთის გზაა, ბევრი იქ დადის კინოსა და თეატრში, მაგრამ ციკოს არც კლდეებში ჰყავს ვინმე ისეთი ნაცნობი და არც ამ მაღაროში, რომელთანაც, გასეირნება, კინოსა და თეატრში წასვლა მოუხდებოდა.

რაკი გასართობი არაფერი ელოდა, ციკო შინ მისვლისთანავე ოთახის კარს საგულდაგულოდ კეტავდა, სინათლეს აჭრებდა და დაქანცული ჩქარა იძინებდა.

დაძინებას უფრო იმიტომ ჩქარობდა, რომ პარმენის ათასნაირი წინადადებო-სათვის აერიდებინა თავი.

პარმენი ხან სასეირნოდ ევატიეებო-და, ხან საქმეს იგონებდა მუშაობის შემდეგ ციკოსთან შესახვედრად, მაგრამ ციკოც, თავის მხრივ, ხან თავის ტკივილს იმიზეზებდა, ხან სარეცხსა და საყვრავს და შინისკენ უკანმოუხედავად გარბოდა.

პირველი შეხვედრიდანვე, რატომ-ღაც, პარმენის შიში დასჩემდა.

ხარბად მიშტერებულ პარმენის სის-ხლიან თვალებს რომ წააწყდებოდა, ძალაუვნებურად კანკალი იტანდა და ტანში უსიამო ურეოლა უვლიდა.

პარმენი კი დღითიდღე უშინაურდე-ბოდა, უტკებებოდა და უთამამდებოდა.

ბოლო დროს მარტო ხუმრობასა და გადაკრულ სიტყვას აღარ ჯერდებოდა, მორცხვობისაგან ისედაც აწითლებულ გოგონას წამდაუწუმ ხელს ატანდა და ებღლარძუნებოდა.

ციკო ცდილობდა სათოფეზე არ გა-კარებოდა ახორხოცებულ პარმენს, მაგრამ სასადილო პატარა იყო და ისე დღე როგორ გავიდოდა, რამდენჯერმე მიინც ხელი არ აესვა ტუჩზე ნერწყვიმომდგარ გამგეს თავისი თანამშრომლისათვის, თვალებში ვნებიანად არ ჩაეხედა და ჩურჩულით უშნო ქათინაური არ ეთქვა.

ერთი-ორჯერ ციკოს ოთახსაც მიაღ-ჯა პარმენი. ციკოს კარი კლიტით ჰქონ-და დაკეტილი. პარმენმა დიდხანს ურ-ახუნა, საქმე მაქვსო, უძახა, მაგრამ შე-შინებულმა ციკომ ხმა არ გასცა.

თავზე საბანწახურულ ციკოს გული

საგულიდან კინაღამ ამოუვარდა, სანამ პარმენი კარის რახუნითა და ხვეწნა-მუქარით არ დაიღალა და იქაურობას არ გაეცალა.

ქალიშვილი გრძნობდა, მის თავზე საავდრო ღრუბლები გროვდებოდა, მა-ლე დაიქექებდა და მეხი გავარდებოდა-იმ მეხის მოლოდინში თრთოდა და კრთოდა, მაგრამ გამოსავალს ვერსად ხედავდა და წყალწალბეზულივით მიჰყ-ვებოდა დინებას.

მარტომარტო დარჩენილ ციკოს, უნდოდა თუ არა, თვალწინ იმ ბოშა-ქალის ლანდი დაუდგებოდა, ბავშობა-ში რომ მომავალი უწინასწარმეტყველა.

— შენ ლამაზი ქალი იქნები, ოღონდ შენი სილამაზის შიში გქონდეს, შენი სილამაზე შენი უბედურება იქნება, ბევრი კაცი შეგიყვარებს, მაგრამ შენი ბედი არ იქნება. ბოლოს ალალი კაცი მოვა, შენი ბედი ის არი...

ბოშაქალის წინასწარმეტყველების პირველი ნაწილი ავად თუ კარგად ას-რულდა, სიყვარულით თუ სხვა გრძნო-ბით აღძრული კაცებისაგან საშველი არ ჰქონდა, ერთს რომ გაექცეოდა, გზა-ზე მეორე უხვდებოდა და ახალგაზ-რდობის საუკეთესო დრო მათ მოგე-რიებაში გადიოდა.

მკითხავის წინასწარმეტყველების მეორე ნაწილის ასრულება ჯერ რატომ-ღაც იგვიანებდა, „ალალი კაცი“ არ ჩანდა, ბედი არ მოდიოდა...

პარმენი დილაადრიან წავიდა კლდე-ეთს. მარტო დარჩენილი ციკო დახლ-თან მოწყენილი იჯდა. შუადღე იყო და ჯერ სასადილოში არავის შემოეხედნა. გულის გადასაყოლებლად სამზარეუ-ლოში გავიდა კერძებს დახედა და მზა-რეულთან საუბრით ცოტა გაერთო.

უკან რომ შემობრუნდა, განმარტოე-ბულ მაგიდასთან ახალგაზრდა ვაჟი დახვდა.

ვაჟს მაგიდაზე გაშლილი წიგნი ედო და თავუდებლად კითხულობდა.

ფეხის ხმაზე არც მიუხედავს.

ციკო მაგიდას მიუახლოვდა, ხელ-

სახოცი გადაუსვა და ხმადან დაიქცა.

— რას იტყობ?

ვაჟმა თავი ასწია და ორივემ უმაღლეს გაიხსენა ქალაქკომთან შეხვედრა.

გიგამ ისევ იმ ალალი ღიმილით გაუღიმა და თავი ნაცნობსავით დაუქრა.

— ცხელი თუ რამე გაქვთ, მომიტანეთ, ერთი ბოთლი ღიმილიანიც.

უთხრა ვაჟმა.

ქალი მოსატანად წავიდა.

გიგამ მწერა გააყოლა და, ქალი რომ თვალს მიეფარა, ისევ წიგნს დაუბრუნდა.

ციცო მალე მობრუნდა. მწვანილი, ყველი და პური დაუწყო, ღიმილიანი ბოთლს საცობი მოხადა და ცხელი კერძის მოსატანად წავიდა.

გიგამ ისევ გააყოლა თვალი.

ღიმილიანი დაისხა, დალია და კითხვა განაგრძო.

ციცომ კერძი შემოიტანა, წინ დაუდო და დახლის წინ დაჯდა.

ვაჟი დიდხანს კითხულობდა.

ციცო ხანდახან ქვეშ-ქვეშ გამოხედავდა, მაგრამ გამოლაპარაკება ერიდებოდა და ხმას არ იღებდა.

ცხელ კერძს ორთქლი აღარ ასდიოდა, ღიმილიანი ბოთლიდან გაზი ამოსულიყო, ვაჟი კი ისევ თავჩაღუნული იჯდა და წიგნს თვალს არ ამორებდა.

რაც ციცო ამ სასადილოში მუშაობს, პირველად შემოვიდა კაცი, რომელსაც კუქის ამოვსების მოთხოვნების გარდა, კიდევ სხვა რაღაც ინტერესი შემოჰყვა...

სხვები სულწასულები მივარდებოდნენ კერძს და, სანამ მუცელს კარგად არ ამოიყორავდნენ, არც თავს აიღებდნენ, არც რაიმეზე დაფიქრდებოდნენ.

მანქანის მძღოლს არც ახსოვდა საქმელი რომ უცივდებოდა, წიგნს გატაცებით კითხულობდა და თავს თუ ხანდახან აიღებდა, ისიც მხოლოდ იმისათვის, რომ ციცოსკენ მორცხვად თვალი გაეპარებინა, ღიმილი მიენათებინა, ქალიშვილიც გაეწითლებინა და თვითონაც გაწითლებულიყო.

— კერძი გაგიცივდათ.

შეხვედა ციცომ შორიდან.

— ცოტადა დამრჩა, ბარემ შევავთავებ.

ღიმილით უპასუხა გიგამ და კითხვა განაგრძო.

— ალბათ ძალიან საინტერესო წიგნია.

— ძალიან.. რაც დავიწყე, ვეღარ მოეშორდი.

ციცო გიგასკენ წავიდა.

— ბევრი დაგრჩათ კიდევ?

— არა, უკანასკნელ გვერდს ვკითხულობ.

ციცომ წიგნის ბოლო გვერდს დახედა.

— კერძს გამოგიცვლით თორემ მთლად გაცივდა.

— ასეთ სიკეთეს თუ მიზამთ...

ციცომ ყაურმა აიღო.

სამზარეულოსკენ მიმავალ მიმტანს თვალი ვეღარ მოსწყვიტა გიგამ.

ცოტახნის შემდეგ ციცო ცხელი კერძით და ცივი ღიმილიანი შემობრუნდა, გიგას წინ დაუწყო და ის იყო დახლისკენ უნდა გაბრუნებულიყო, ვაჟმა თავი აიღო, წიგნი ორივე ხელით მაგრად დახურა და ციცოს შეჰღიმა.

— ესეც ასე.. გათავდა და მორჩა!..

ცივი ღიმილიანიც მოგიტანიათ... მოდი, თქვენც დალიეთ.

ქალმა არ იუარა.

გიგამ დაუსხა და ჭიქა მიუწია.

— იქნებ ისაუზმებდით, ა?

— გმადლობთ, მე უკვე ნასაუზმევი ვარ.

— მაშინ ცოტახანს დაბრძანდით.

ქალიშვილი დაჯდა, ღიმილიანი მოსვა და ხელი წიგნისკენ წაიღო.

— შეიძლება?

— ინებეთ.

გიგამ წიგნი მიაწოდა.

ციცომ ავტორის გვარი და სათაური წაიკითხა.

— გამიგონია ეს მწერალი... მგონი რაღაც წაიკითხულიცა მაქვს...

— ეს რომანი მის ყველა წიგნსა სჯობს. თუ წაიკითხავთ, არ ინანებთ, სიამოვნებით გათხოვებთ.

მართლა?

— სიამოვნებით... რამდენ ხანსაც გინდათ.

— გმადლობთ, მალე დაგიბრუნებთ. სასადილოს პარმენი მოადგა. გიგას მანქანა ნომრით იცნო და არ ესიაშვნა.

სასადილოში აჩქარებული ნაბიჯით შევიდა.

მაგიდას გუგულებივით უხსდნენ ციკო და გიგა.

პარმენი აიძრიზა. გაბრაზებულმა ჩაახველა. ციკო აიწურა, წიგნი აიღო და მაგიდას მოცილდა.

გიგას ცალყბა სალამი მიუგდო პარმენსა.

ციკოს თვალი გადაუბრიალა და უხეშად ესროლა:

— მანქანას გახედე, პროდუქტები მიიღე.

ციკო მორჩილად გავიდა.

პარმენმა ერთხანს იწრიალა, ხან თეფშები ალაგა, ხან სკამები და მაგიდები მიდგა-მოდგა, ბოლოს დახლთან ჩამოჯდა და გიგას სანახევროდ ზურგი შეაქცია.

გიგამ საუზმე მოათავა, ფული მაგიდაზე დადო, ნახვამდისო, თქვა უმისამართოდ და წავიდა.

მეორე, მესამე და მეოთხე დღესაც გიგა დათქმულივით ერთსა და იმავე დროს მოვიდა სასადილოში.

ციკო სუფრას უწყობდა თავად შორი-ახლო ჯდებოდა და, ვიდრე გიგა საუზმეს შეექცეოდა, ტკბილად საუბრობდნენ.

ისე შეეჩვია, ერთსადღამივე საათს გიგას მოსვლას, როგორც დრო მოაღწევდა, სიმშვიდეს კარგავდა, ფანჯარას აღებდა და კლდეთიდან მომავალ გზას გაჰყურებდა.

ციკო გრძნობდა, რომ გიგა არც ერთ მანამდე ნაცნობ მამაკაცს არ გავდა. იგი კეთილი, თავაზიანი და ალაღმართალი იყო. სხვებივით თვალი მისი თეძობებისა და გულმკერდისაკენ კი არ გაურბოდა, ბავშვივით თვალეზში შეს-

ციკინებდა და მოუწყინრად საინტერესო ამბებს უყვებოდა. **ეროვნული**

ციკოს ბოშაქალის ლანდს მარტორდებოდა, მაგრამ ყურში ახლა მისი მხოლოდ ეს სიტყვები ესმოდა:

— ბოლოს ალალი კაცი მოვა, შენი ბედი ის არის...

ბოშაქალის ლანდს ახლა თავს კი აღარ არიდებდა, ნათქვამს კიდევ და კიდევ ამეორებინებდა და თანდათან შინაგანად რწმუნდებოდა, რომ ის ბედი ახლო იყო მოსული და ის ალალი კაცი, რომელსაც ამდენხანს ელოდა, გიგა უნდა ყოფილიყო.

თავისთავად ეწყობოდა ასე, თუ გიგა საგანგებოდ ურჩევდა დროს, არავინ იცოდა. ეს კი იყო, რომ სწორედ გიგას მოსვლისას პარმენი სხვაგან იყო ხოლმე და ახალგაზრდების შეხვედრასა და საუბარს ხელს არავინ უშლიდა.

პარმენი ციკოს ხასიათის გამოცვლას ატყობდა. თუ მანამდე ერთთავად მოწყენილი იჯდა და ხმას არ იღებდა, ბოლო დროს ვალადებული ეჩვენებოდა, თვალეზში სინარულის სხივი გამოუკრთოდა და ძვალი სულ კლდეეთის გზისკენ ექირა, თითქოს იქიდან ვინმეს ელოდა.

თითქოს სასადილოში გამგის მაგივრად კუნძი გდებულებიყოს, პარმენს აღარავითარ ყურადღებას აღარ აქცევდა.

სასადილოს გამგის მხრივ მამაკაცური ვნების ყოველგვარ გამოხატულებას ზიზლით ხედებოდა, გაურბოდა და ახლოს არ ეკარებოდა.

პარმენის გაწყრომასა და უხეშობასაც სიტყვის შეუბრუნებლად იტანდა, გაერიდებოდა, სდუმდა და ისეთი თვალთ უყურებდა, თითქოს უსიტყვოდ ეუბნებოდა, ცოტას კიდევ მოგიტმენ, მალე ჩემს ლანდსაც ვეღარ ნახავო.

პარმენს ამ უთქმელი მუქარით გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, ხედებოდა, რომ ვიღაც სხვა უპირებდა პირიდან გემრიელი ლუქმის გამოცლას, მის ზვარში მოსართვლელად სხვა ვიღაც ისე შემოდოდა, მას არც ნებას თხოვდა, არც თანხმობას.

ვილაცამ გადაკრულად უთხრა, გიგას შენთან ზომ არ დაუწყია მუშაობაო.

პარმენს პირკატა ეცა.

გადაწყვიტა ციცი მარტო აღარ დაეტოვებინა.

იმ დღეს ადრე მოვიდა პარმენი სასადილოში.

ციცი ფანჯარასთან იჯდა და წიგნს კითხულობდა.

— არავენ ყოფილა? — იკითხა მრისხანედ პარმენმა.

— არავენ.

თავაულებლად მიუგო ციცომ და კითხვა განაგრძო.

პარმენმა ადრეც შენიშნა, როგორც კი დროს იშოვნინდა, ციცი კუთხეში განაპირდებოდა, რალაც წიგნს გაშლიდა და კითხულობდა.

— რას კითხულობ?

შეუღრინა ეჭვით აღერდილმა პარმენმა.

— წიგნს.

— წიგნი რომ არი, მეც ვხედავ! — პარმენმა ერთხანს გულმოსულმა უხუტრა, მერე უცებ მოლბა. მიუახლოვდა და დაყვავებით უთხრა:

— კვირა საღამოს კლდეეთში წაგიყვან, ახალი კინო მოუტანიათ ქვეყანა აწყდება.

ციცოს კითხვა არ შეუწყვეტია.

— ვისია მაგ წიგნი?

ისევ გაბრაზდა პარმენი.

— მუშტარს დარჩა.

გულუბრყვილოდ წამოცდა ციცი და ენაზე იკბინა.

— რომელ მუშტარს? ახლავე მომეცი და სამზარეულოში მიბრძანდი. მზარეული ავად არი, სადილი შენ უნდა გააკეთო.

ციცი წამოდგა. წიგნი დახურა და სამზარეულოსკენ სიტყვისშეუბრუნებლად წავიდა.

პარმენმა დიდხანს ატრიალა ხელში წიგნი. ჯერ თავფურცელს დახედა, მერე გადაფურცლა, შიგ არც წერილი იდო,

არც პატრონის გვარი და სახელი იყო სადმე მიწერილი.

წიგნი დაკეცა და დახლზე ისროლა.

წინაღღეს სამმართველოში თათბირი დანიშნეს და პარმენიც კლდეეთში გამოიძახეს. თათბირზე მუშათა სასადილოების მომარაგების საკითხი იდგა და პარმენის წაუსვლელობა არ ხერხდებოდა.

არა და, სიკვდილივით არ უნდოდა ციცი მარტო დატოვება. შუაღლე გადავიდა, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

პარმენმა მალაროს კანტორას მიაშურა.

იცოდა, გიგა ბიგებს ეზიდებოდა მალაროში.

მალაროს ახლოს ბრიგადირს შეხედა. მიესალმა და სხვათა შორის იკითხა:

— დღეს ბიგები მოიტანეს?

— ჯერ არ მოუტანიათ.

უპასუხა ბრიგადირმა.

— ადგილი აღარა გვაქვს, იმდენი მოგზიდეთ.

დასძინა ბრიგადირმა და ხელით ანიშნა მალაროს ირგვლივ წყება-წყებად დაწყობილ ბიგებზე.

— ესე იგი, დღეს აღარ მოიტანენ.

— არა, დღეს აღარ მოიტანენ.

დაუდასტურა ბრიგადირმა და დაეკვებულმა ჰკითხა:

— რად გაინტერესებს ბიგები?

— არა, ისე... მანქანა მჭირდებოდა...

მიკიბ-მოკიბა პარმენმა, მაგრამ ბრიგადირს მისი აღარ გაუგონია, მალაროდან მალნით სავსე ვაგონების მწყრივი გამოგრაილდა, ბრიგადირმა უკან დაიხია. მოსაუბრენი ვიწროლიანდაგიანი გზის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ.

ბრიგადირი უცებ ბოლო ვაგონზე შეხტა და გაიქროლა. პარმენი დაიმედებული მობრუნდა.

რაკი შეიტყო, რომ გიგა იმ დღეს არ ამოვიდოდა, გულდაარბენებულად შექლო კლდეეთს წასვლა.

სასადილოში მობრუნებულმა ზღურბლზე ფეხი შედგა და გახევდა.

სასადილოში გიგა დახედა.

— რას დაბორიალობ ამ ცარიელ სასადილოში?

შესძახა ბრაზისგან წამონთებულმა და დახლისკენ წავიდა.

გიგა, ცოტა არ იყოს, შეეკრთო ამ მოულოდნელმა შეხვედრამ.

— ხომ ნახე, რომ დაკეტილია და არ ვემუშაობთ.

— გარედან დაკეტილი არ იყო. ჩვეულებრივად შემოვედი.

— მაგ ჩვეულებრივ სიარულს თავი დაანებე!..

შეუბღვირა პარმენმა. წიგნს დასწვდა და წინ დაუდო.

— დაგრჩენია...

გიგამ დაუფიქრებლად აიღო წიგნი. წიგნისთვის თეთრი გარეკანი შემოეკრა ციციოს, შიგოქროსფერი ზონარო ჩაედო და გვერდი ჩაენიშნა.

ესიამოვნა გიგას ციციოსაგან ესოდენ სათუთად წიგნის შენახვა.

მაინც წარბი შეკრა.

— ეს ჩემი წიგნი არ არის და მე აქ არაფერიც არ დამრჩენია.

ცივად უთხრა პარმენს, წიგნი დასდო და კარისკენ წავიდა. კარი მაგრად გაიხრახუნა.

კიბეზე რომ ჩარბოდა, სარკმელი გაიღო და ციციომ გამოიხედა. გიგამ მალლა ახებდა. ციციოს დანახვაზე შუბლი გაეხსნა.

— გამარჯობა, ციციო!

— გაგიმარჯოს, გიგა! საუზმე გინდოდა? ახლავე გამოვალ.

— არა, ახლა არა მშია. შენი ნახვა მინდოდა. — ხმას დაუწია გიგამ და სარკმელს მიუახლოვდა, — ხვალ კარგი ფილმი კლდეეთში. მანქანით გამოვივლი და წავიდე.

ციციომ არაფერი უთხრა, ვერც უარი თქვა და ვერც წაყოლას დამპირდა.

— ხომ იცი, ხვალ მოკლე დღეა, ცოტა ადრე წავიდე, ქალაქსაც დაგათვალაიერებინებ და კინოსაც ვნახავთ.

გიგამ გადაწყვეტილ პასუხს აღარ დაუცადა, ციციოს ხელი დაუქნია და კიბეზე დაეშვა.

გიგა მანქანაში ჩაჯდა. ძრავი ჩართო და ზემოთ აიხედა: ფანჯარაზე პარმენი გადმოყუდებულყო, დწითლებულ,

ბრაზიან თვალებს ზიზლით აყოლებდა ადგილიდან ნელა დაძრულ მანქანას. გიგამ მის გამოსაჯავრებლად ზედუზედ მისცა მოკლე სიგნალი და მანქანა თავქვე გააქანა.

შაბათ დილას პარმენი ადრე წამოდგა.

ციციოს კართან დაუდარაჯდა და, როგორც კი თვალი დალანდა, ალერსად დაიფრქვა.

— ციციოს ვენაცვალე, ხომ ხარ კარგად?

— რა მიშავს.

მხრების აჩეჩვით, ცივად უთხრა ციციომ და ოთახში შებრუნება დააპირა. პარმენი წინ გადაუდგა.

— დღეს შაბათია.. სასადილო მოგვიანებით გავაღოთ და ჩვეულებრივზე გვიანობამდე ვიმუშაოთ. ხვალ კვირაა და რაღაც მინდა მოვიფიქრო, — ხაზგასმით თქვა პარმენმა და ციციოს თვალებში ჩააშტერდა, — გაოცდები იმასთანა რაღაც მინდა.

ციციომ გულგრილად მოისმინა.

— შენ ჯერ დაისვენე. ადრეა და ცოტა კიდევ იძინე. დრო რომ მოვა, მე თვითონ შეგატყობინებ.

პარმენმა გაუცინა და ლოყაზე ხელი მოუცაცუნა.

ციციომ პარმენის ხელი უხეშად მოიშორა.

სატყირთო მანქანა პროდუქტების მისაღებად გაუშვა პარმენმა. თვითონ კლდეეთის მთავარ ქუჩაზე გავიდა და შემნახველ სალაროს მიადგა. წიგნაკი ამოიღო და მაგიდას მიუჯდა ორდერის დასაწერად. მოლარემ საანგარიშის თავი ანება, შორიდან გაუღიმა და შინაურულად ჰკითხა:

— რამდენი შემოგაქვს, პარმენ?

— ამჯერად მიმაქვს, ნანულის ევენაცვალე. — გაედრიჭა პარმენი, ხული ათასი მანეთი გამოიწერა და წიგნაკი მონგარიშეს გადააწოდა.

მოლარემ ხუთათასმანეთიანი გაუხსნელი შეკვრა დაუდო წინ.

— დაითვალე. წელან გამოვიტანე ბანკიდან.

უთხრა და ხუთიათასიან შეკვრაზე ანიშნა.

— ბანკის დათვლილს რაღა დათვლა უნდა, მაგრამ თუ შეიძლება სამი ათასი ასმანეთიანები მომეცი, დანარჩენი წვრილი ფული იყოს, სახარჯოდ მინდა.

— ქორწილს ხომ არ აპირებ, პარმენ, რად გინდა ამდენი ფული? გაეხუმრა ნანული.

— ქორწილს?... ვინ იცის, ნანული! ამ ქვეყანაზე ყველაფერი ხდება.

გაუცინა პარმენმა.

ნანულიმ ხუთიათასიანი შეკვრა გახსნა. იქიდან ორასი ტუციანი ასმანეთიანი ცალკე გადათვალა და უჯრაში ჩადო. დარჩენილი სამი ათასიც დაითვალა, გახეული ჭვარდიანი ქაღალდი უკანვე შემოახვია და წებოთი ხელახლა შეჭკრა. მერე, რაკი საქმე მაინც არ ჰქონდა, იმ ჭვარედინ ქაღალდზე სტამბურად დაწერილ 5000-ის მელნით ჭვარი დაუსვა, 3000 დასწერა და, როგორც ჩვეულება ჰქონდა, გაკრულად, თავისი გვარიც მიაწერა. ამას რომ მოჩა, ორი ათასი მანეთიც წვრილ ფულად მიუთვალა. პარმენმა მადლობა უთხრა და სალაროდან გამოვიდა.

პირდაპირ უნივერსიტეტისკენ გაემართა.

ნოქრის რჩევით მოდური მანდილი იყიდა; ციკოს ტანის ზომები თვალდათვალ კარგად იცოდა, იმპორტული კაბა გაღმობალებინა და გამყიდველ ქალს ტანზე მოაზმანა.

— კარგად ექნება!

თქვა და ფული გადაიხადა.

მერე გალანტერიის განყოფილებაში პატარა სპორტული ჩემოდანი იყიდა. ახლადგამოტანილი ფულიდან ერთი ათასმანეთიანი დასტა და სამიათასიანი შეკვრა იმ ჩემოდანში ჩადო, ნავაჭრი ჩააწყო, ჩემოდანი დაჰკეტა და მალაზიიდან გამოვიდა.

პარმენი მანქანის მოძებნას და მალაზიაში დაბრუნებას აპირებდა.

უნივერსიტეტიდან გამოსულმა რესტორნის გამგე — ლადო დვინაძემ ლადო რესტორნის წინ დასვეთქმობდა.

პარმენს თვალი მოჰკრა და ერთი ამბით მიესალმა.

— პარმენს გაუმარჯოს, პარმენს! გაღმობდი აქეთ, კაცო, რამდენი ხანია, არ მინახავხარ!

პარმენი სიამოვნებით დაყაბულდა.

ქუჩა გადასჭრა, ლადოს მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

— გამარჯობა, ლადო... როგორა ხარ? დღეს ისეთი საქმე მაქვს, ცოტა სითამამე მჭირდება. ერთი ბოთლი სწორედ მისწრება იქნება ჩემთვის.

— მერე მოდი, შე კაცო. შენი სასადილოს პატრონს საქმლით ვერ გაგაყვირებ, მაგრამ ღვინო კი მაქვს შენი საკადრისი.

— კაი ახლა, ლადო, კაი... დაცივნას კაცი არ მოუტლავს.

— არ დაცივნი... შენი მზარეულისთანა მზარეული ჩვენს რაიონში კი არა, თბილისში არავის ეყოლება.

რესტორანში ხორხოციტ შევიდნენ.

მაგიდას მიუსხდნენ.

მიმტანმა სუფრა სწრაფად გააწყო.

ლადომ თავად პატარა ირჩია, პარმენს კი დიდი გათლილი ჭიქა დაუდგა.

— მარტო მე მწირავ, ლადო?

— მე სამუშაოზე ვარ.

თქვა ლადომ და სასმისები შეავსო.

— გაგვიმარჯოს!

— გაგვიმარჯოს.

სასმისები დაიცალა.

— პარმენ, მართალია, კაცო?

— რა, ლადო?

— რა და, მზეთუნახავი ჰყავს მიმტანადო.

— მზეთუნახავიო? — პარმენმა თვალი ეშმაკურად მოჰუტა, — ჰო... რა ვიცი... — შეიშმუნა ზარიძე.

— მისი ეშხით შენს სასადილოში კლდეთიდან ამოდიან პურის საქმელადო... მართლა ასე უღმერთოდ ლამაზია?

— რა ვიცი... უშნო არ უნდა იყოს.

გაიღრიჭა პარმენი.

— მერე რაფერ ძლებთ ერთად ცეცხლი და თივა? შენი წუწკობა რომ ვიცო, არ გეშინია?

— რისი, ლადო?

— რისი და, კაცნი ვართ, ძმაო... ერთ მშვენიერ დღეს, რომ...

ლადომ აღარ დაასრულა.

ღვინო დაასხა.

— ერთ მშვენიერ დღეს რომ შემოგვხარჯოს, რას შერები მერე?

— აჰ, ეგ არ შეიძლება! — ისევ გაიღრიჭა პარმენი.

ერთხანს სდუმდნენ.

— ერთი სათხოვარი მინდა გაგიმხილო და, არ ვიცი, ღირს თუ არა.

ლადომ თვალი თვალში გაუყარა.

— თქვი, შე კაცო.

— არ გეწყინოს და, თუ სხვა აზრით არ გყავს ის ქალიშვილი და მარტო მიმტანად გემსახურება, დამითმე და, რაც გინდა, სამაგიეროდ მთხოვე.

პარმენი აიმრიზა.

— ეგ ვერაფერი ხუმრობაა, შენ არ მომიკვდე.

იწყინა პარმენმა.

— არ გეხუმრები, მამის სული არ წამიწყდეს... თუ სხვა განზრახვა არ გაქვს, დამითმე. ჩემს რესტორანს სწორედ მაგისტანა ქალი უნდა, რომ მუშტარმა იმრავლოს. შენი მუშათა სასაღილოა, რაც უნდა ეცადო, შორს ვერ გაქანდები, მაგისტანა რეკლამა იქ ზედმეტად არი...

— მაგაზე ლაპარაკს მოვრჩეთ.

ცივად მოსჭრა პარმენმა.

სასმისი ასწია და უსიტყვოდ დასცალა.

სამხრობის დრო იყო.

მალაროს საერთო საცხოვრებელთან სატვირთო მანქანა გაჩერდა.

მთვრალი პარმენი მანქანიდან ბარბაცით გადმოვიდა.

— დაგიცადო?

ჰკითხა მძღოლმა.

— წადი!

ხელი ჩაიქნია ზარიძემ და საერთო საცხოვრებლისკენ ბანცალრით წავიდა. ციკოს კარი დაუქაყუნებლად შეაღწია.

მხართეძოზე წამოწოლილი ციკო ისვენებდა.

ლოგინზე შემკრთალი წამოიწია.

— იწყე... იწყე...

ლულულულოთ თქვა პარმენმა. ციკოსკენ წავიდა და საწოლის ნაპირზე ჩამოჯდა.

ციკომ ფეხები მოკეცა, ლოგინზე წამოჯდა და წამოსადგომად მოემზადა.

— იყავი, ქალო, იყავი... არ შეგეკამ!

ენის ბორძიკით თქვა პარმენმა. ციკოს ხელი მკლავში ჩაავლო და ლოგინზე დასწია.

— კაი ხასიათზე ვარ და გუნებას ნუ გამიფუჭებ... იცი, რამდენი დავლიეთ. ციკო? ჰო-ჰო, რა დავლიეთ! არა, მართლა ძაან დავლიეთ, მაგრამ დაპირება არ დამეიწყინა... სიტყვა სიტყვაა... ყველაფერი მოგიტანე.

პარმენმა პატარა ჩემოდანი გახსნა. მანდილი და კაბა ამოიღო. კაბა მკერდზე მიაფინა ციკოს, მანდილის დახურვაც უნდოდა, მაგრამ ქალიშვილმა ერთი ციკო მოიშორა და მეორეც.

— შენია... ჩაიცივი და დაიხურე...

ბურღლუნებდა პარმენი და ციკოსკენ იწევდა. სახემოქცეულ პარმენს პირიდან ღვინისა და ხახვის სუნი ამოსდიოდა, ციკოს გული ერეოდა და თავს გვერდზე სწევდა.

— ეს ფულიც შენია! — ღია ჩემოდანში ჩაწყობილ ფულს დაჰკრა ხელი პარმენმა, — ყველაფერი შენია, რაც გამაჩნია... დღეიდან მეც შენი ვარ და შენც ჩემი უნდა იყო!..

ამოიგმინა ზარიძემ, კედელს მიკრულ ციკოს ზედ მიადგა, ხელები გაშალა და მოსახვევად მიიწია.

ციკომ სახე ზიზღით მოარიდა და გულზე ხელი ჰკრა. პარმენი დაბარბაცდა, მაგრამ არ დაეცა, ისევ სწრაფად გაიმართა და ციკომ ადგილიდან დაძ-

ვრაც ვერ მოასწრო, რომ მამაკაცის მკლავებში მოექცა.

ქალი მთელი სხეულით იბრძოდა, ხელებს უკაწრავდა, ფეხებს იქნევდა და თავს უკან სწევდა, რომ გაღეშილი კაცის დორბლიანი ტუჩები ვერ მიწვდომოდა.

პარმენი პოტნასა და ცემას არაფრად აგდებდა, მკლავებს რკინის სალტედ უჭერდა და საკინძჩამოხეულ გულმკერდს ქლოშინით ულოშნიდა.

— გამიშვი... პირუტყვო... მხეცო...

მრისხანებისგან გაფითრებული, ცახცახით, კბილის ღრჭილით ამბობდა ციცო, მაგრამ გამხეცებულ, გონდაკარგულ პარმენს აღარაფერი ესმოდა.

პარმენმა ქალიშვილი წელში გადახინჯა, საწოლისკენ მოიქნია, ლოგინზე დააგდო და თვითონაც ზედ უნდა დაეცმოდა, მაგრამ შუბლი რკინის საწოლის თავს დაარტყა უცაბედად. წამით თვალი დაუბნელდა, ერთხანს გაბრუებული იყო. როგორც იქნა, გონს მოეგო. შუბლი მოისრისა და ფეხზე წამომხტარ ციცოს კაბის მოკლე საბელოში სწვდა, ქალმა გაიწია და პარმენს ხელში სახელოს ნაგლეჯი შერჩა.

ციცო გარეთ გავარდა. პარმენს უკან დადევნება უნდოდა, მაგრამ გვიანდა იყო.

ღარტყმამ ცოტა გამოაფხიზლა. წამოდგა.

შუბლზე დამჯდარი კოპი ხელით მოსინჯა.

დერეფნიდან ქალის ტირილი ისმოდა.

ატირებულს ვილაც ამშვიდებდა. მერე სიჩუმი ჩამოვარდა და ვილაც ქოშების კახა-კუხით წამოვიდა.

— მე მაგას ვაჩვენებ, მაგ ნადირს, როგორ უნდა მიუხტეს ოთახში ქალს!..

ყვირილით შემოიჭრა მარო და პარმენს ეცა:

— სადაც დათვერი, იქ ვერ გამოინელე, შე მიწაგასახეთქო? რას გავს ეს, როგორ ბედავ საერთო საცხოვრებელში შემოჭრას?!..

მარო ხელებს შლიდა, ფეხებს აბრახუნებდა, პატარა ბავშვსავით უყვიროდა. პარმენი დამნაშავე ბალღივით დაგინდუნული იდგა, წითლად ამობურცულ კოპზე ხელს ისვამდა და დაღლილი ხარივით ხვნეშოდა.

— ახლავე შეგიყრი ქვეყანას... მთელ საცხოვრებელს ფეხზე დავაყენებ... მილიციას მოვიყვან!..

— გაგიყდი, ქალო? შეუწყრა გამოფხიზლებული პარმენი.

— გივი და გადარეული ვინ არი, იქ გაარკვევენ მაგას, ციხეში რომ გამოგამწყვდევენ...

ჰყვიროდა მარო.

პარმენმა შეატყო, რომ ამ ქალთან ჩხუბით ვერაფერს გააწყობდა.

თავი მოისაწყლა, გაუცინა და დაუხვებია:

— კარგი... კარგი... დაწყნარდი, მარო... მთვრალი კაცი არ გინახავს, შე კაი ქალო?!..

— მთვრალიც ბევრი მინახავს და ფხიზელიც, მაგრამ იმის ნებას არავის მივცემ, ამ სახლში მცხოვრებლებს ოთახში შეუხტეს და ძალა იხმაროს.

— ნასვამი ვარ და შევეციდი, ბატონო! გაათავე ყვირილი, ახლა... გეყოფა...

— მიხარია ყვირილი, თუ როგორ არი შენი საქმე? ნასვამი თუ ხარ, სადაც სვი, იქ უნდა მოგენელებინა, აქ ნუ კი ესხმი თავს მშვიდობიან მაეცხოვრებელს.

ციცო ხმას დაუწია მარომ.

— გაათავე ახლა... კმარა...

— მე კი გავათავებ, მარა ამ გოგოს რა ვუყო, რომ ტირის და ვერ ვაჩუშებ. წასასვლელად იწვევს, აღარ ჩერდება.

— სად მიდის?

იკითხა შეშინებულმა პარმენმა.

— რა ვიცი, სად მიდის, ბარგი უნდა გაეუტანო... ასეა, დათვრებით, გამოლენილებით და არ იციით, რას ჩადიხართ... მიდი ახლა და დაბი ბაწრით შენი თანამშრომელი! ბატონყმობა კი აღარ არი... წასვლა უნდა და წავა... შენთან რა გააჩერებს, შენისთანა...

მარომ აღარ თქვა ენაზე მომდგარი სალანძღავი სიტყვა. იქაურობას თვალი მოავლო და ისევ პარმენს შეუძახა:

— არ გაბრძანდები ახლა აქედან? გადი, რომ შემოვიდეს ის ბავშვი...

— გავდივარ... გავდივარ...

დაფაცურდა პარმენი. ფულით გატენილი პატარა ჩემოდანი დაკეტა და კარისკენ წაიძურწა.

— არ გაუშვა, მარო, — კარის ზღურბლიდან შემოეხვეწა პარმენი, — როგორმე გადააფიქრებინე და დატოვე... მერე შე ვიცოდე და შენმა პატივისცემა.

— დავტოვო, ჩემი მოვალე კი არ არის! როგორ უნდა დავტოვო შენისთანა ნადირთან!

ისევ აუწია ხმას მარომ.

პარმენი ოთახიდან გავიდა.

თითქმის გამოფხიზლებული იყო. არავინ დამინახოსო, დერეფანი სწრაფად გაიარა, გზაზე მოსახვევთან შეჩერდა და წაქცეულ ბოძზე ჩამოჯდა. ამოფუთულ კოპზე ერთხელ კიდევ მოისვა ხელი. მერე ცხვირსახოცი ამოიღო, ოფლი მოიწმინდა.

შარვალზე ციციოს წიხლების კვალი მოიცილა და დაღეჭილი ხალათი გაისწორა.

დიდხანს იჯდა გალახულივით.

საერთო საცხოვრებლისკენ ცქერით კისერი მოექცა.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდნენ: ციციოს ილიაში ფუთა ამოეჩარა, მარო უკან მოპყვებოდა და მისი ჩემოდანი მოპქონდა.

— მიდის... არ რჩება.

დაცეცხლა პარმენს.

მხრებჩამოყრილი წამოდგა და შორი-ახლო მიჰყვა ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ქალებს.

ცოტა რომ გაიარეს, პარმენმა ხმის ამოდება გაბედა:

— არ იცდის, მარო, არა?

— არ იცდის...

ნიშნისმოგებით თქვა მარომ.

— თხოვე, მამატიოს... სიმთვრალით მომივიდა...

— არც სიფხიზლეში აქცევი თურმე წესიერად.

ისევ თავმოუბრუნებლად გაქაპასტხა მარო.

— დღეიდან უბატონოდ ხმას არ გავცემ!.. ოღონდ დარჩეს... ოღონდ ნულარსად წავა...

— მაგის თავდებად მე ვერ დაგიღებები და ვერც გიშუამდგომლებ! ღმერთმა ამისთანა ქალიშვილი შემოგიგდო, ჰკუპრომ გქონოდა, უნდა გელოცა, ცივი ნიაფი არ უნდა მიგეკარებინა. მაგრამ კაცებს ჰკუპა ვინ მოგცათ! ეცი და გაბახება მოუნდომე!.. ფუ შენს ექცეობას.

— ისევ თავიდან იწყებ?

საწყალობლად თქვა პარმენმა.

მარო გაჩუმდა. ფეხს აუჩქარა.

— კაცმა რომ გკითხოს, რას მოგვდეც ახლა უკან?

კარგახნის შემდეგ იკითხა მარომ.

— გაცილებთ... სად მიდის მაინც, არ იტყვიო?

— მიდის აქედან...

— ჰო, მაგრამ სად მივდივარო?..

— საღვურზე მიდის... მატარებლით უნდა წავიდეს...

პარმენს ნათქვამი მწარედ მოხვდა გულზე. ჯავრისაგან ენა ჩაუვარდა და ველარაფერი თქვა.

მაროც გაჩუმდა.

ლამდებოდა.

ორი ქალი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა დაღმართზე.

შორი-ახლო პარმენი მიბანდალებდა, თავჩაღუნული, მხრებში მოხრილი.

გზის გასაყართან გაჩერდნენ.

— მანქანაზე სანამ არ დავსვამ და წესიერ კაცს არ ჩავაბარებ, ვერ დავტოვებ, არადა ბავშვებთან მიგვიანდება.

ამოიოხრა მარომ და განზე გამდგარ პარმენს დოინჯშემოყრილმა მიმართა:

— კაცი ხარ ახლა შენ? ან მე რას მერჩოდ, ან შენი თავი რად ჩაიგდე ამ ცეცხლში?!

პარმენმა მხერა აარიდა და არაფერი თქვა.

ერთხანს საივე სდუმდა.

მერე უცებ ღამეში მანქანის ფარებ-
მა გამოანათა და სამივენი შეჩოქოლ-
დნენ.

პარმენი და მარო მანქანას წინ გადა-
უდგნენ და გააჩერეს. ცოტახნის შემ-
დეგ მანქანა ისევ დაიძრა.

ციცო გიგას გვერდით კაბინაში იჯდა,
პარმენს ძარაზე მოერთხა ფეხი, ხოლო
მარტო დარჩენილი მარო ერთხანს კი-
დედვ მოწყენილი თვალით გააყურებდა
თავქვეზე მიმქროლავ მანქანას.

მანქანა ბნელში გაუჩინრდა და მარო
აღმართს მარტო შეუდგა.

შუალამე გადასული იყო, ციციმ რომ
აღსარება დაასრულა და გულამომჯდა-
რი აქვითინდა.

— ნუ ტირი, შვილო, რა გატირებს...
ყველაფერი კარგად იქნება.

ანუგეშა სალომემ. ლოგინიდან წამო-
დგა, ციცოს საწოლზე ჩამოჯდა და თავ-
ზე ხელი ალერსით გადაუსვა.

ციცო პირველი დანახვისთანავე მი-
იზიდა და მიიყვავილა სალომემ, ამ
კეთილსა და სანდომიან ქალს როგორ-
ღაც მთელი არსებით მიენდო და მისთ-
ვის გულის გადაშლა მოუხდა.

ახლა, როცა თავისი უიღბლო თავ-
გადასავლის თხრობა დაასრულა, ამ
უცხო ქალის მოფერებამ გული კიდევ
უფრო აუჩუყა.

სალომეს ხელი დაეოცნა და გულში
ჩაიხუტა.

— დაწყნარდი... დამშვიდდი, შვი-
ლო... ჩვენთან დარჩი, ნურსადაც ნუ
წახვალ...

სალომემ შუბლზე აეოცა მტირალ
გოგონას.

— ახლა დაიძინე, შვილო, გვიან არი...
ღამე მშვიდობისა!

უთხრა სალომემ, საბანი გაუსწორა
და მეორე ოთახში ფეხაკრეფით გავი-
და.

ჩვეულება ჰქონდა: ძილისწინ შვი-
ლისთვის უნდა დაეხედა. გიგამ გვი-
ანამდე კითხვა იცოდა და ზოგჯერ ისე
ჩაეძინებოდა ხოლმე, შუქი ჩაუმიქრალი
რჩებოდა.

გულამე მწოლარე გიგას გაშლილი
წიგნი სასთუმალთან ედო, მაგრამ არ
კითხულობდა. ჩაფიქრებულნი ჰქონს მი-
ჩერებოდა და პაპიროსს აბოლებდა.

— არ გძინავს, გიგა? გესმოდ?

ჩურჩულით ჰკითხა სალომემ,

— მესმოდა... ყველაფერი გავიგონე.

ჩურჩულითვე თქვა გიგამ.

სალომე შვილის ლოგინზე ჩამოჯდა.

— რამდენი უბედურება გამოუვლია
საწყალ გოგოს?

— აბა!

— მერე რა კარგი გოგოა! რა გულ-
მართალი და ალალია!

— მართლა მოგწონს, დედა?

— მე ძალიან მომწონს, შვილო, მაგ-
რამ შენ? შენ თუ მოგწონს.

— მე შენზე მეტად, ყველაზე მეტად
მომწონს! ჯერ ასე არავინ მომწონებია!

გულწრფელი აღტაცებით თქვა გიგამ
და ჩურჩულით დაუმატა:

— ალბათ, არც არავინ არასოდეს მო-
მეწონება!

— ჰოდა, მავას რა სჯობს, შვილო. თუ
მოგწონს და გიყვარს კიდევ, მომასწა-
რით ბედნიერებას.

გიგა ჩაფიქრდა.

— რას ფიქრობ, შვილო. თუ გიყ-
ვარს და მასაც უყვარხარ, წინ რა გიდ-
გას?

— არ ვიცი, დედა. მე მომწონს, გა-
მოგიტყდები, რომ მიყვარს კიდევ. შენ
იცოცხლე, მე ჯერ არავინ მყვარებია, მაგრამ
რაც ციცი ვნახე, სხვაზე აღარავისზე
ფიქრი აღარ შემიძლია. შენ თვითონ ხე-
დავ, შინ გული აღარ მიდგება, გარეთ
სამუშაოს ვაცდენ და, მაქვს თუ არა საქ-
მე, მალაროს სასაფლაოსთან ვარ აყუ-
ლებული.

— თვითონაც თუ მოსწონხარ?

— რა ვიცი... მგონი კი...

— ჯერ არაფერი გითქვამს?

— არაფერი... არ ვიქარობდი.

— ეტყვი, ეგ არაფერია.

— დედა, იცი რას ვფიქრობდი? —
მცირე ღუმულის შემდეგ თქვა გიგამ, —
თბილისში ხომ უნდა წავიდე, ბარემ
ციცოსაც თან წავიყვან.

— კარგი იქნება. თუ გინდათ, ხელი სულაც იქ მოაწერეთ. საგნებს ჩააბარებ, დროსაც გაატარებთ და რომ ჩამობრუნდებით, ქორწილი მერე გავმართოთ.

— ქორწილს არ დავეძებ. თუ წასვლა მოგვიხდა, ფული ბლომად დაგვკვირდება... შვებულების ფულს კი მომცემენ, მაგრამ გვეყოფა?

— არ გვეყოფათ. საქორწინო მოგზაურობა ხელმოკლედ ვის გაუგონია!

— აბა სხვა რა საშუალება გვაქვს? რაც გვექნება, ის უნდა ვიკმაროთ.

— ეგ ჩემზე იყოს, ჩემო ბიჭო, ფულს მე ვიშოვნით, ოღონდ შენს ბედნიერებას მომასწარი და ფულზე ნუ გეფიქრება.

ღედა დაიხარა და შვილი ჩაკოცა.

— ახლა დაიძინე, ხვალ შენ იცი და შენმა ბიჭობამ.

სალომე შვილს მოეხვია. თავი რომ ასწია, სახე უღიმოდა და ცრემლით საესე თვალები უბრწყინავდა.

— ძილი ნებისა, შვილო!

— ძილი ნებისა, ღედა!

სალომემ სინათლე ჩააქრო და გავიდა.

თავის ოთახში ფეხაკრეფით დაბრუნდა.

ციცოს ეძინა. ნამტირალევი სახეზე ვარდისფერი დაჰკრავდა. გაბუსხულ ტუჩზე შავი ღინდლის ლანდი გაჰკროდა.

მკლავები საბანს ზემოთ ეწყო ნებივრად.

ღრმად ამოჭრილ გულისპირიდან შემადლებული მკერდი მოუჩანდა.

სალომემ თვალი ვერ მოსწყვიტა მჩქეფარე სიცოცხლისა და სიქალწულის ამ დღესასწაულს.

— რომელი კაცი გაუძლებდა გულგრილად ამის ყურებას!

გაიფიქრა სალომემ და გუნებაში ერთბაშად შეუნდო ყველა მამაკაცს, ვისაც ბედმა ვნების ეს მტევანი შეახვედრა და ვინც მის დასაკუთრებას ცდილა.

სინათლე ჩააქრო.

დაწვა და მოახლოებული ბედნიერების ფიქრში მასაც მალე ჩაეძინა.

ქალებს ჯერ კიდევ ეძინათ, გიგა რომ წამოხტა ლოგინიდან. კალათებს ხელი დაავლო და ბაზრისაკენ გაეშურა.

ცოტა მოგვიანებით სალომეც წამოდგა.

წინადლის მღელვარებისაგან დაღლილმა, ძარღვებდაწყვეტილმა ციციმ როდის-როდის გაიღვიძა. თვალი რომ გაახილა, ოთახში მოფუსფუსე სალომე დაინახა და შერცხვა.

— უპ, რამდენ ხანს მძინებია! წამოიძახა, კაბა სწრაფად გადაიცვა და სალომეს შეეხვეწა, — ბინას მე დავალაგებ, დეიდა სალომე, თქვენ სხვა საქმეც გექნებათ.

— ამ ოთახის დალაგებაში რა სტუმრის დახმარება მინდა, შვილო! ჩვენს ძველ ბინაში რომ ვიყო, კიდევ, ჰო... სანო ოთახის, დერეფნებისა და სამზარეულოს მილაგ-მოლაგებას მარტო მართლაც ვერ ავუღიოდი...

— მერე მაგისტანა ბინიდან აქ როგორ გადმოხვედით? გულუბრყვილოდ იკითხა ციციმ.

— ჰმ! როგორ გადმოვედით! გადმოსვლა და არჩევანი ვინ გვეითხა! მაგრამ მაშინ ბინაზე ვინლა ფიქრობდა.

ციციმ გაოცებული მიჩერებოდა სასახეგამკაცრებულ სალომეს.

სალომემ ამოიოხრა.

— მარტოხელა ქალმა აღარც ბინა ვეძიე; აღარც საცხოვრებელი. უშამოდ-დარჩენილ გიგას ვადარჩენასა და აღზრდას გადავაგე ჩემი ჯანი და ახალგაზრდობა.

ბედნიერი ვარ, რომ შვილმა გამიმართლა. მამა რომ თავს დგომოდა, ალბათ, უკეთესად გავზრდიდი, თხუთმეტი წლიდან მძლოლად მუშაობა არ დასჭირდებოდა და ახლა უმადლესი და-

მთავრებული ექნებოდა. მაგრამ ამითაც, არაფერი დაშავებულა. გიგა ზოგიერთი მანქანას არ გადაყოლია, დაუსწრებელზე მოეწყო და ორ წელიწადში ის-

იც მამასავით იურისტი იქნება.

— შეიძლება?

გაისმა გიგას ხმა.

— შემოდი.

გასძახა სალომემ.

კარი გიგამ შემოაღო და თან მილიციის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა შემოჰყვა.

— ოთარი ხარ, შვილო?

სახე გაუბრწყინდა სალომეს.

— მე გახლავარ, დეიდა სალომე, დილა მშვიდობის!

— დილა მშვიდობის, ოთარ... გაიცანი ჩვენი...

სალომემ ცოტა შეაყოვნა სათქმელი და მერე უცებ წარმოსთქვა, — გაიცანი, ჩვენი სტუმარი, ციცი...

— ოთარი, ბატონო!

თავზიანად მიესალმა ციცოს ახლადმოსული, მაგრამ ქალიშვილს რომ შეხედა, გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა.

ციცი არაჩვეულებრივად ლამაზი იქნენა და თუმცა მისი ცქერა გულით უნდოდა, შერცხვა და თვალი მოარიდა.

— ხომ კარგი ვქენი, დედა, ოთარი რომ წამოვიყვანე.

— მაგას რა კითხვა უნდა, შვილო. ოთარის მოსვლა ჩვენთვის მუდამ გასახარელია.

— ხაშის საკმელად მივდიოდი, დეიდა სალომე. მართალი ვითხრა, დილიდანვე რესტორანში შესვლას შენი საუზმე ვარჩიე და რაკი გიგას ერთხელ დასცდა, ბევრი აღარ ვახვეწნინე, მე თვითონ წამოვუძეხე მისი სახლისაკენ.

— ჩვენი სახლი შენი სახლია, ოთარ... ახლავე გავშლი სუფრას.

დაფაცურდა სალომე.

ციციმ და სალომემ კალათებიდან გიგას ნავაჭრი ამოალაგეს. სუფრა სწრაფად გააწყეს და ყველანი ხალისიანად მიუსხდნენ.

ის იყო, პირველი ჭიქა ასწია გიგამ და ტელეფონმაც დარეკა.

ყურმილი სალომემ აიღო.

— გისმენთ... გამრეკელი? კი, ბატონო, აქ გახლავით... ახლავე.

სალომემ ყურმილი ოთარისაკენ გაიშვირა.

— შენ გკითხულობენ, გამომძიებელი ოთარ გამრეკელი გვინდაო.

— ვინ უნდა იყოს, ან აქ საიდან მომტეხნა?

გაკვირვებულმა თქვა ოთარმა, სუფრიდან წამოდგა და სალომეს ყურმილი ჩამოართვა.

— ალო... გისმენთ... — ჯერ ცოცხლად, არხეინად ჩასძახა ოთარმა, მაგრამ როგორც კი ხმა იცნო, მაშინვე წელში გასწორდა, მხედრულად გამოიჭინა და სხაპა-სხუპით დააყარა, — კაპიტანი გამრეკელი გისმენთ, უფროსო... დიახ... დიახ... ყორნალის გზაზე, შავი კლდის მოსახვევში... როდინდელი ამბავიო?.. აჰა... ახლავე გეახლებით. ოთარმა ყურმილი დაღო.

— უნდა წავიდე, შემთხვევაა ყორნალის გზაზე, — ფიქრში წასულმა თქვა ოთარმა.

— ბარემ საკმელი შეჭამე, ვისაუზმოთ და მეც იქით მივდივარ, მანქანით წავალთ.

შეეპატივა გიგა.

— არა, გიგა, მეჩქარება. კაცია მოკლეული და უფროსი მიცდის. სასწრაფოდ უნდა წავიდე.

— ვინ მოუკლავთ?

ერთად იკითხეს სალომემ და გიგამ.

— არ ვიცი... ჯერ არაფერი არ ვიცი... უკაცრავად, დეიდა სალომე! ბოლიში, ქალბატონო! — სათითაოდ მოუბოდიშა ქალებს გამომძიებელმა, თავზიანად დაემშვიდობა, ქუდი დაიხურა და ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

გიგამ კარამდე მიაცილა. მობრუნდა და სუფრას უხალისოდ მიუჭდა.

— ნეტავ ვინ მოჰკლეს, ის უბედური? იკითხა შეწუხებულმა სალომემ.

საუბრე უმაღლად მოათავეს.

გიგა წამოდგა.

— ჩვენც ხომ არ წავსულიყავით, ციცი, პარმენს ენახავდით, შენს ფულს

გამოვართმევდით, ცოტას გავისეირნებდით და იმ შემთხვევის ამბავსაც გავიგებდით.

— თუ კი გცალია, ძალიან კარგი იქნებოდა!

გაეხარა ციცოს.

ცოტახნის შემდეგ ყორნალის გზით მიჰქროდნენ.

სასადილო დაკეტილი დაუხვდათ.

მანქანა დააყენეს და ცოტა გაიარგამოიარეს.

— გუშინ უგონო მთვრალი იყო, ჯერ არ მოვა პარმენი, — თქვა ციცომ.

— შენ ისა თქვი, დღესაც თუ დაუმატა. მაშინ ხვალამდე მოგვამა ჭირი ზარიძემ...

— ხვალაც რომ არ გამოჩნდეს?

— არ გამოჩნდება და ნუ გამოჩნდება! შემდეგისთვის იყოს, სად წაგვივა პარმენ ზარიძე. თავისი ფეხით მოვიყვან შენთან და შენს ფულს უკლებლად მოვატანიებ.

მტკიცედ თქვა გიგამ, მანქანაზე დასხდნენ და ისევ კლდეეთის გზას დაუყვნენ.

— მარტო მიშვებ, ციცო?

იკითხა გიგამ, ცოტა გზა რომ გაიარეს.

— სად მიდიხარ?

გაიკვირვა ციცომ.

— აქი გითხარი, თბილისში მივდივარ-მეთქი, სესიებზე, საგნების ჩასაბარებლად...

— მერე მე სად...

ციცომ სათქმელი არ დაამთვრა.

— სად და... თბილისში წავიდეთ, მარტო ნუ გამიშვებ.

გიგამ მანქანა ნელა დაამუხრუქა.

— არ გინდა ჩემთან ერთად წამოხვიდე?

ციცო გაწითლდა, თავი ჩაღუნა და გაიტრუნა.

— არ გინდა, სულ ჩემთან იყო?..

თავზე ხელი სათუთად დაადო

ციცომ იგრძნო ვაჟკაცის ცხელი ხელის თრთოლვა.

მე კი უშენოდ აღარ მინდა ციცო, აღარც აქ, აღარც თბილისში... აღარსად, მთელ ქვეყანაზე.

გიგას ხმაში კანკალი შეეპარა.

ციცომ თავი უფრო ჩაღუნა, უცებ ქვითინი წასკდა და ვაჟის მკერდს მიეკრა.

გიგა მიხვდა: ეს სიხარულის ტირილი იყო და უსიტყვოდ თანხმობას ნიშნავდა.

თავი ნახად აუწია, თვალებში ჩახვდა.

ატრემლულად ციცოს ღიმილი მოადგა, თავი გაიქნია და ისევ ვაჟის მკერდს მიეხუტა.

ცოტახნის შემდეგ მანქანა ისევ დაძრა.

გიგამ პედალი ბოლომდე ჩაიყვანა და საბარგო მანქანა უკვე კი არ მიჰქროდა თავქვეზე, მიფრინავდა.

უზომო ბედნიერებისაგან ალტაცებული გიგა თავადაც ფრთამესხმული იყო, თავადაც მთელი არსებით მიფრინავდა და ფეხქვეშ მყარს აღარ გრძნობდა.

შავკლდესთან კლდეეთის მილიციის უფროსი, კაპიტანი გამრეკელი და რამდენიმე მილიციელი გზას ზომავდნენ, წიგნაკებში რაღაცას იწერდნენ და ხაზავდნენ.

სწრაფად მომჭროლავი მანქანისათვის გზის მიცემა ძლივს მოასწრეს.

ბედნიერებისაგან გონდაკარგულ გიგას იმ წუთში არათუ რაღაც უბედური შემთხვევა, არამედ, საერთოდ, უბედურებისა და სიკვდილის არსებობაც აღარ ახსოვდა, იმ წუთში მკერდზე მიყრდნობილ ციცოსთან ერთად ასე დაუსრულებელი ქროლვის მეტი არა უნდოდა რა და სხვაზე არაფერზე ფიქრი არ შეეძლო.

სალომე კართან შემოეგებათ.

სახეგაბარწყინებული გიგა დედას მი-

ვარდა, ბავშვივით აიტაცა და სამჯერ დაატრიალა.

— მოიცა... მოიცა... ძირს დამსვი, შე გიეთ!

ეხვეწებოდა და იცინოდა შვილის სიხარულგადადებული დედა.

გიგამ დედა ძირს დაუშვა, გადაეხვია და აკოცა.

— მოგვილოცე, დედა... მოგვილოცე მე და ციცოს...

გიგამ ისევ ასწია დედა და შემოატრიალა.

ძირს რომ დაუშვა, ციცოს ჩაავლო ხელი და სალომესთან მიიყვანა.

ღარცხენილი ციცო წითლდებოდა და თავს ველარ იღებდა.

— მომილოცავს, შვილებო... დამილოცინიხართ...

სალომეს ცრემლი ნოერიბა, ციცო მკერდში ჩაიხუტა და დაკოცა.

შუადღისას სალომე აფთიაქს მიადგა. ალექსანდრეს თეთრი ხალათი ეცვა და წამლების მომზადებლებს ეხმარებოდა.

ფარმაცევტმა ქალიშვილებმა შორიდანვე იცნეს სალომე.

— ბატონო ალექსანდრე, თქვენი და მობრძანდა.

გასძახეს აფთიაქის სიღრმეში ნოფუსფუსე აფთიაქარს. ალექსანდრემ საქმეს თავი ანება და დისკენ წამოვიდა.

— გამარჯობა, სალომე! როგორა ხარ? რაღაც გახარებული მეჩვენები...

— მეტყობა, არა? მაქვს სიხარულის მიზეზი!

— რაშია საქმე, არ მეტყვი?

— ავიღეთ შენთან და ყველაფერს გეტყვი.

ალექსანდრემ დას ხელი მოჰხვია და ზემო საათულისკენ წაუძღვა.

სავარძლებზე ჩამოსხდნენ.

— თქვი ახლა, თორემ გაწყდა მოთმინების ძაფი.

— გიგა ცოლს ირთავს...

— რას ამბობ, სალომე!

— შემოაქრა ტაში ალექსანდრემ.

— ორივეს თბილისში ვისტუმრებ და ხელს იქ მოაწერენ.

— გაგახარა ღმერთმა, გეგამა ხარე! რძალი ვინ არი?

— მშვენიერი გოგოა, არაფრით რომ არ დაიწუნებია!..

— ყოჩაღ, გიგა! მომილოცავს, სალომე! სულ მაგას წუწუნებდი, რძალი და შვილიშვილი მინდაო და მოგასწრო ღმერთმა, ნატვრა აგისრულდა!

ალექსანდრე დას მოეხვია და ჩაკოცა.

— ქორწილი? ქორწილი როდისთვის?..

— ქორწილს არ შვრება გიგა... ბევრი ხარჯი უნდაო... ხომ იცი...

— ხარჯი რას ჰქვია, სალომე... ქორწილს მე გადავუხდი, მაგის მეტი ვინ გეყავს ჩვენს და-ძმობაში.

— ყოველ შემთხვევაში, ახლა არ ესწრება. ამ საღამოს თბილისში მიდიან. საგნებს ჩააბარებს და ცოტას გაივლგამოივლიან ახალგაზრდები.

— კარგია. დრო გაატარონ, მაგრამ ვაითუ უფულოდ უშვებ!

— სწორედ მაგაზე შეგაწუხე, ალექსანდრე.

— კაი... კაი... შემაწუხე, თორემ უცხო ვარ... აბა სხვა ვინ უნდა შეაწუხო!..

— ალექსანდრე წამოდგა, მაგიდის უჯრა გამოალო, ლევანის დატოვებული სამიათასიანი შეკვრა ამოიღო და სალომეს გაუწოდა.

— სამი ათასი ეყოფათ, მგონი, ა?

— უი, რას ამბობ, ალექსანდრე? ეყოფათ კი არა, საქორწილოდაც მორჩებათ!

სალომემ ფული ჩამოართვა და ცოტა შეუყოყმანდა.

— ამდენ ვალს როდის დაგიბრუნებ?..

— ვალი კი არა ვახში! მოეშვი მაგისთანა ლაპარაკს. წაუღე ახლა ეგ ფული და საღამოს მეც მოვალ რძლის გასაცნობად.

— აუცილებლად, ალექსანდრე, შენს მეტი ვინ ჰყავს გიგას!

სალომემ ფული უბეში ჩაიდო, ძმას მოეხვია და ცრემლი გადმოცვივდა.

— გეყოფა... გეყოფა... რა დროს ცრემლია!

აწყნარებდა სალომეს, თავადაც გულ-აჩუყებული ალექსანდრე რადე ვარისკენ მიაცილებდა.

გრიგოლ პაპიძე

თ ა ვ ი IV

დაწახალის კვალი და ზოგი რამ გვირავის ცხოვრებიდან

მილიციის უფროსის კაბინეტში გამოძიებული ოთარ გამრეკელი იჯდა.

მაგიდაზე პარმენ ზარიძის პატარა ჩემოდანი, შემნახველი სალაროს წიგნაკი და რამდენიმე ხუთმანეთიანი ეყყო. დილით, შავკლდესთან, ხევში, ბუჩქნარში ეპოვნათ ზარიძის გვამი. გვამი მაშინვე ექსპერტიზაში გაეგზავნათ.

ზარიძეს კეფა გატეხილი ჰქონდა და ეტყვის არ იწყევლა, რომ პარმენი მაგარი საგნის დარტყმით იყო მოკლული. მოკლულის ჯიბეში შემნახველი სალაროს წიგნაკი და სამი ცალი ხუთმანეთიანი აღმოჩენოდა. უფრო მოშორებით, ხევში მილიციის მუშაკები პარმენის პატარა ჩემოდანსაც წაწყდომოდნენ და ეს ნივთიერი საბუთები ახლა მილიციის უფროსის მაგიდაზე ეყყო.

უფროსმა წიგნაკი აიღო, გადაფურცლა და დააკვირდა.

— გუშინდელი აღნიშვნაა, ხუთი ათასი მანეთი გამოუტანია.

თქვა და წიგნაკი გამრეკელს გაუწოდა.

ოთარი დააცქერდა. სალაროს უკანასკნელი ოპერაცია წინა დღის რიცხვით იყო დათარიღებული.

— ეს ხუთმანეთიანებიც თან წაიღე, — გაუწოდა უფროსმა, — თუ ფული ბანკიდან ახალი გამოტანილი იყო, ეგებ ერთი სერიის ნიშნებიც აღმოჩნდეს, ნომრების მიყოლებით. ეს ძიებაში დაგვეხმარება, ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებს გავაფრთხილებთ და თუ ბოროტმოქმედი კლდეეთშია, შესაძლოა სწორედ ამ ფულმა დაგვაყენოს დანაშაულის კვალზე. შემნახველ სალაროში

ახლავე გაიარე, თუ მოხერხდეს, ზარიძეზე გაცემული ფულის ნიშნების სერია და ნომრები ამოიწერე. მერე ყორნალში წახვალ, პირდაპირ, მუსათა სასაბუღალტრო თანამშრომლებსა და მაღაროს. იმ მუსა-მოსამსახურეებს დაკითხავ, რომლებთანაც ზარიძეს კავშირი და ურთიერთობა ჰქონდა. საერთო საცხოვრებელშიც შედი, გამოარკვიე, ვინ, რა დროს ნახა მოკლული უკანასკნელად. გაიგე, ვისი მანქანით იყო გუშინ ზარიძე ქალაქში და მძღოლი დაწვრილებით დაკითხე. მის ჩვენებას მნიშვნელობა ექნება. თან შენი მოადგილე წაიყვანე. ჩემი მანქანით წახვალთ. მე ქალაქში ვიქნები და თუ რამე მნიშვნელოვანი მოხდეს, მაშინვე დამირეკე.

უფროსმა ხელი გაუწოდა.

გამრეკელი წამოდგა, გამოეჭიმა და ხელი ჩამოართვა.

— აბა, შენ იცი. საქმე მნიშვნელოვანია და გამოსაძიებლად მეტად საინტერესო.

— ვეცდები, უფროსო!

თქვა ოთარმა. სალაროს წიგნაკი და სამი ხუთმანეთიანი უბის წიგნაკი ჩაიღო და ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

მილიციის უფროსი სავარძელში ჩაჯდა, პაპიროსს მოუყიდა და გააბოლა.

ოთარ გამრეკელი ახალგაზრდა გამოძიებული იყო, მაგრამ ნიჭითა და ცოდნით ყველასაგან გამოირჩეოდა. გამჭრიახი, ცოცხალი გონება, თითქმის უტყუარი ალლო და ინტუიცია არაერთხელ დახმარებია გამრეკელს ჩთული და ძნელად გასახსნელი საქმის რკვევაში. მიუხედავად თავისი ახალგაზ-

რდობისა, გამრეკელი სამსახურისად-
მი სერიოზულ დამოკიდებულებას,
სანიმუშო კეთილსინდისიერებასა და
პასუხისმგებლობას ამტკიცებდა. მას
ცოდნაც სხვაზე მეტი ჰქონდა და ახლა,
როცა მილიციის უფროსი შემთხვევის
მნიშვნელობასა და ძიების სიძნელეს
უკვირდებოდა, თავისი თავის კმაყოფი-
ლი იყო, რომ საქმე ოთარ გამრეკელს
მიანდო.

ტელეფონის ზარმა დარეკა.

— გისმენთ!

ჩასძახა ყურმილს უფროსმა.

— სისხლის ჩაქცევა კეფაში ბლაგვი
საგნის დარტყმის შედეგად... აჰა... აღ-
კოპოლი დიდი რაოდენობით... გასაგე-
ბია... ახლავე გამოგზავნეთ გაკვეთის
აქტი... გელოდებით...

ის იყო ექსპერტთან ლაპარაკი მოათა-
ვა, რომ კარიც გაიღო და მილიციის
უფროსის მოადგილე შემოვიდა.

— საინტერესო ცნობაა: მოკლული
გუშინ ქალაქის რესტორანში ყოფილა,
ღვინო დაუღევია და დამთვრალა. რამ-
დენჯერზე უთქვამს, დღეს ისეთი საქმე
მაქვს, სითამამე შვირდება და ღვინოს
იმიტომ ვსვამო.

— ვინ გაცნობათ?

— ლადომ გადმომცა, პირადად, რეს-
ტორანის გამგემ.

— საინტერესოა! გამრეკელი რომ
მობრუნდება, ოფიციალურად დაკით-
ხოს... მანქანით იყო?

— კი, სატვირთო მანქანით ყოფილა.
ზარიძე თურმე იმ მანქანით დადიოდა
უორნალში.

— ნომერი?

— ნომერი რად მინდაო, ლადომ; მუ-
შათა მომარაგების მანქანაა და შოფერ-
საც კარგად ვიცნობო.

— დარეკეთ მუშათა მომარაგებაში,
მძღოლის გვარი გაიგეთ და მოძებნეთ.
პირველ რიგში შოფერი უნდა დაკით-
ხოთ.

ოთარ გამრეკელი შემნახველ სალა-
როში შევიდა. ოთახში კლიენტი არ ჩან-

და. მონაგარიზე და მოლარე მოწყენი-
ლები ისხდნენ. გამრეკელის დანახვაზე
გამოცოცხლდნენ.

— გამარჯობათ! მარტო ხართ, გოგო-
ებო?

ღიმილით მიმართა და პასუხს არ და-
უტადა, კარი შიგნიდან ჩაქცა.

— გვაპატიმრებ, ოთარ? რატომ კე-
ტავ კარს? — იკითხა გაკვირვებულმა
ნანულომ და ფეხზე წამოდგა.

— ცოტახანს საქმე მაქვს თქვენთან,
ნურავის შემოღწევბთ. — სერიოზუ-
ლად თქვა ოთარმა, მაგიდას მიუჯდა და
პორთფელი გახსნა.

ქალიშვილები გადაღობილიდან გამო-
ვიდნენ და გამომძიებელს თავს დაად-
გნენ.

ოთარმა ქაღალდები გაშალა, კალამი
მოიმარჯვა.

— დაბრძანდით. რატომ დგახართ?

ქალიშვილები უხმოდ დასხდნენ.

— გუშინ ბევრი ოპერაცია გქონდათ?

ქალებმა ერთნაერთს გადახედეს:

— გუშინ? თითქმის არაფერი... მგო-

ნი ერთადერთი ოპერაცია იყო. თქვა
მონაგარიშემ და ნანულის შეხედა.

— კაცი არ შემოსულა პარმენ ზარი-
ძის მეტი.

— მარტო პარმენი იყო?

— მარტო. ფული წაიღო.

— ბევრი?

— ხუთი ათასი.

— ჰოდა, — ოთარმა ხმას დაუწია, —

ახლა მე იმ ფულის კვალს ვეძებ.

სალაროს თანამშრომლებმა ისევ ერ-
თიმეორეს გადახედეს ვაკცებით.

— პარმენი გუშინ მოჰკლეს.

მძიმედ თქვა გამრეკელმა.

— რას ამბობ, ოთარ! — შეიცხადეს

ქალიშვილებმა.

— მოკლულს ფული არ აღმოაჩნდა
და შესაძლოა სულაც იმ ფულისათვის
იყოს მოკლული.

ქალიშვილები დაბნეულები უსმენ-
დნენ გამომძიებელს.

— რა დროს იყო ზარიძე თქვენთან?

— დაახლოებით თერთმეტ საათზე... არა, ნანული?

— ჰო, თერთმეტი იქნებოდა, შეიძლება ცოტა მეტიც.

— თან ხომ არავინ ახლდა, ან ხომ არავინ უთვალთვალებდა, ფული რომ მიჰქონდა.

— არა, არავინ არ ახლდა. კაციშვილს არ შემოუხედავს იმ დროს.

— რამდენი გაიტანა?

— ხუთი ათასი. მთლიან შეგვრას ვაძლევდი, გაუხსნელად, მაგრამ მთხოვა სამი ათასი მსხვილ ფულად მომეცი, დანარჩენი წვრილი ფული იყოს, სახარჯოდო, — სხაპა-სხუპით ჰყვებოდა ნანული, — ხუთიათასიანი გაუხსნელი შეგვრა დავშალე, ორი ათასი მოვაკელი და აგერ არი, — თქვა როლში შესულმა ნანულიმ და სალაროსკენ წავიდა. სეიფი გამოაღო და ტყეცინა, ჯერ ხელუხლები ასმანეთიანები ოთარის წინ დააწყო.

ოთარი ფულს დააქტერდა. სერიასა და ნომრებს დააკვირდა.

— ხედავთ? ნომრები ერთიმეორის მიყოლებით არი.

ქალიშვილები დაიხარნენ, ნომრებს დააქტერდნენ.

— რა საინტერესოა, ზუსტად მიჰყვება ნომრები ერთიმეორეს.

— ეტყობა, ფულის ამ შეგვრას, „გონიანის“ სტამბიდან ისე გაუხსნელად უვლია ბანკის სხვადასხვა განყოფილებებში, კლიენტის ხელთ არ მოხვედრილა, რომ გაეხსნა.

— შეიძლება წაღებული სამი ათასის სერია და ნომრებიც ამ ორი ათასისას მიჰყვებოდეს?

— შეიძლება კი არა, ნამდვილად ეგრე იქნება, თუ ეს შეგვრა გაუხსნელად ტრიალებდა ბრუნვაში.

— ეს საინტერესო უნდა იყოს ძიებისათვის. მკვლელს რომ ამ სერიითა და მიყოლებული ნომრებით აღმოაჩნდეს ფული, დანაშაულის მხილებად კარგი საბუთი იქნება, არა, ოთარ?

— ერთერთ საბუთად ეგვე გამოდგება, მაგრამ მარტო შავით ვერაფერსაც

ვერ დავემტკიცებ, ფული თუ ერთ დღეს მაინც ხელიდან ხელში წვევდა და ტრიალში იყო.

გამრეკელი ჩაფიქრებული დაჰყურებდა ფულს, მერე ნომრები გადაიწერა უბის წიგნაკში.

— ეს ფული ახლავე დაბეჭდეთ და არ გასკეთ.

ნანულიმ თავი დააქნია და სიტყვის შეუბრუნებლად შეუღვა განკარგულების ასრულებას.

— სხვა არაფერი მომხდარა? პარმენთან არაფერი გილაპარაკნიათ? — იკითხა ცოტახნის შემდეგ გამრეკელმა.

— არაფერი. გავეხუმრე მხოლოდ, ამდენი ფული რად გინდა, ქორწილს ხომ არ აპირებ-თქო.

— მერე?

— ცოტა გაწითლდა და სიცილით მიტხრა, ვინ იცის, ნანული, ქვეყნად ყველაფერი ხდებაო.

— სხვა? სხვა არაფერი გავგონდება? კითხულობს ოთარი.

— სხვა არაფერი.

ამბობს ჩაფიქრებული ნანული და სალაროს გვერდით მდგარ სანაგვე კალათს დასცქერის. კალათში თვალი ქალაღის ნახევებს წააწყდა. ნანული უცებ გამოცოცხლდა.

— უი, ეს როგორ დამავიწყდა, — შესძახა და წამოხტა, — იმ ფულის დასტას ჯვარედინად ჰქონდა შემოკრული სტამბისეული ქალაღი, ზედ ბეჭდურად ეწერა 5000. ორი ათასი რომ მოვაკელი და გადავთვალე, 5000-ს ჯვარი გადავუსვი, ზედ ჩემი ხელით 3000 დავაწერე და, ალბათ ჩვეულებამ წამძლია, ჩემი გვარი გაკრულად მივაწერე.

— მერე?

ჩაკითხა მოუთმენლად გამრეკელმა.

— მერე არაფერი, შესაკრავი ჯვარედინი ქალაღი დავაწებე და ფული და წიგნაკი ზარიძეს ერთად მივეცი.

— გვარი ნამდვილად მოაწერე?

კითხვება გამოცოცხლებული გამრეკელი.

— ნამდვილად! კარგად მახსოვს...

სულაც არ იყო საჭირო გვარის მოწერა, მაგრამ ჩვეულებამ წამძლია...

— ვერ გაიხსენებ, როგორ მოაწერე? ეკითხება გამრეკელი და სუფთა ფურცელს უწვდის...

— ჩვეულებრივად, როგორც ყოველთვის ვაწერ: ცი-ცა-გი...

დამარცვლით თქვა ნანულომ და სუფთა ფურცელზე გაკრულად მოაწერა თავისი გვარი.

ოთარმა ფურცელი აიღო და ხელმოწერას დააქვრდა.

— ყოველთვის ასე აწერე?

— ყოველთვის. ისე მაქვს გავარჯიშებული, რომ ეშმაკი ვერ მიამგვანებს ჩემს ხელმოწერას.

— ეს კარგია! — კმაყოფილებით ამბობს ოთარი და ფურცელს უქანვე უბრუნებს, — ბარემ ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც იმ ქალაქზე — ხუთი ათასი ჯვრით გადახაზე და სამი ათასიც დაწერე.

ნანულომ წამით შეხედა.

მერე ფურცელზე სტამბურის მის-გავსებით 5000 გამოიყვანა, ზედ ჯვარი გადაუსვა, 3000 დაწერა და გვერდით გაკრული ხელმოწერა მიაცოლა.

ოთარმა ის ქალაქი პორთფელში ჩაიღო. დაკითხვის ოქმი შეადგინა. ორივეს ხელი მოაწერინა და წავიდა.

გამრეკელმა მუშათა მომარაგების მანქანის მძღოლი ქალაქშივე იპოვნა. დაკითხვამ თითქმის არაფერი მისცა. მძღოლმა უამბო, რომ ზარიძე ყოჩნალიდან კლდეეთში ჩამოიყვანა, პარმენმა შემნახველი სალაროდან ფული გამოიტანა, უნივერსიტეტში პატარა, შავი ჩემოდანი იყიდა და შემდეგ ქალაქის რესტორანში შევიდა ლადოს შეპატიეებით. სასაღილოში არც ისე დიდხანს დარჩენილა, მაგრამ რომ გამობრუნებულა, გვარიანად ნასვამი ყოფილა. მერე თურმე მანქანაში ჩაჯდა და მძღოლს აჩქარებდა, მაღაროში დროზე უნდა ავიდე, დღეს შაბათიაო. ჩვეულებრივად მანქანა მუშათა სასაღილოსთან არ შეუჩერებ-

ბია. საერთო საცხოვრებლისკენ გაუგრძელებიან გზა. პარმენი იქ ჩამოვხდარა და მძღოლი გაუშვია.

გამრეკელმა მძღოლს დაკითხვის ოქმზე ხელი მოაწერინა. კიდევ დამჭირდებიო, უთხრა და გააფრთხილა რაიონიდან არსად წასულიყო.

ლადოს დაკითხვა გადასდო და პირდაპირ მაღაროსკენ გაემართა.

მუშათა სასაღილო დაკეტილი დაუხვდა. მაღაროს მუშა-მოსამსახურეთაგანაც საინტერესო ვერაფერი შეიტყო და საერთო საცხოვრებელს მიაშურა.

აქ კი სიურპრიზი ელოდა გამოძიებელს.

საერთო საცხოვრებლის დამლაგებელმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

ჯერ კიდევ არ გაველო მაროსათვის წინაღობის გულისმოსვლას.

— მაგისმა უსაქციელობამ მთელი დღე აქ გამატარებინა გუშინ. ბავშვებთან დამე დავბრუნდი, ეგ აღარ დაბრუნდეს თავის ოჯახში!

იწყევლებოდა ზარიძის მისამართით.

მაროს ნათქვამი სიმართლეს გავდა და დროის მიხედვითაც მძღოლის ჩვენებას ემთხვეოდა.

— დალევს ეგ უბედური და რას ჩადის, თვითონ არ იცის. მაგისთანა სიმთვრალეს სწორედ სიკვდილი სჯობს და ჩაძლდეს ბარემ ეგ ოხერი, თან არავინ ჩაპყვება!

— ნულა წყევლი... მკვდარ კაცს რაღა წყევლა უნდა!

როგორც იყო, დასცდა გამრეკელს.

მარომ, თითქოს ყურს არ დაუჯერაო, გაკვირვებით შეხედა გამოძიებელს.

— რა ბრძანეთ, ბატონო?

— პარმენ ზარიძე ნეკდარი იპოვნეს ამ დილით... შავკლდესთან.

— როგორ? ეგ შეუძლებელია!

იტყვიც მარომ.

— სინამდვილეა!

— წუხელ მე თვითონ გავისტუმრე, ჩემი თვალით ვნახე, მანქანაზე როგორ დაჯდა... მერე რა ლეთისნიერი კაცის მანქანაზე! გივას თქვენ ჩემზე უკეთ იც-

ნობთ, წესიერი და პატიოსანი ბიჭია...
იმასთან არაფერი გაუჭირდებოდა...

მარო გაჩუმდა, ჩაფიქრდა და თავი ჩალუნა.

— იქითობას მოსვლია თუ უკან დაბრუნებისას?

იქითა ცოტა ხნის შემდეგ.

— ეგ ჭერ არ ვიცით.

თქვა ოთარმა.

— ნამდვილად აქეთობას მოუვიდოდა, უკან დაბრუნებისას, თორემ იქეთობას რა უნდა მოსვლოდა. აქედან შვეკლდემდე სამი კილომეტრიც არ იქნება. ნანქანაზე დამჯდარი გავისტუმრე... ათ წუთში საღ-საღამათ კაცს რა მოკლავდა!

გაფითრებული მარო, ეტყობოდა, თავს ძალას ატანდა, ძნელად ასახსნელის ახსნას ამოდ ცდილობდა და შეშფოთებული, ზმაჩაწყვეტილი ლაპარაკობდა.

— ფული ჰქონდა თან იმ უბედურს და ნამდვილად უკან დაბრუნებულს დაედარა ვინმე.

— რამდენი ჰქონდა?

იქითა გამოძიებელმა.

— რამდენი არ ვიცი, მაგრამ პატარა ჩემოდანი კი საფსე ჰქონდა ფულით. ჩემი თვალთ ვნახე, დასტა-დასტად ეწყობასიანები!..

მარო ვიწვიშებდა და ლოყებზე ხელს ირტყამდა.

— რატომ მიწა არ გამისკდა და აქ რატომ არ დაეტოვე! ჩამეცეტა მთვრალი კაცი მე უბედურს ოთახში, გამოიძინებდა თავისთვის და გათავდებოდა, არც სხვას შეაწყუხებდა და არც თვითონ დაიღუპებოდა!..

ერთხანს ისევ გაჩუმდა და იატაკს დააშტერდა. მერე რალაც გაახსენდა, თავი აიღო და გამოძიებელს მიაჩერდა.

— გიგა და ციცო რას ამბობენ, სად დაეტოვეთ?

— ჭერ არაფერი ვიცით.

— ის გოგო აქედან გაიქცა. თავის სოფელში ამირებდა დაბრუნებას და ალბათ მატარებლით წავიდოდა. გიგა აქ

იქნება, ის გეტყვით ყველაფერს. პატიოსანი ბიჭია და არაფერს დაგვიმალავთ.

გამრეკელმა ერთხელ კიდევ მისაყოლა დამლაგებელს წინაღლის შფოთისა და ციკოს გაცილების ამბავი, მიხვდა, რომ მისგან მეტს ველარაფერს შეიტყობდა, მაროს დამშვიდობა და ისევ კლდეებს მიაშურა.

მანქანა მთავარ ქუჩაში შეაქროლა.

მალაროთა სამმართველოს რომ ჩაუარა, უცებ გიგას მოჰკრა თვალი.

მანქანის სვლა შეანელა.

გიგა სამმართველოს შენობიდან გამოდიოდა.

ოთარი დაინახა და ხელი ასწია.

მანქანა გაჩერდა.

— საით, ოთარ? სადგურზე მერქარება, ვერ წამიყვან?

ოთარმა მანქანის კარი გაუღო.

— დაჯექი!

თქვა გამრეკელმა და მანქანა დაძრა.

— სადგურზე რა გინდა?

— ამ საღამოს მივედივართ, ხომ ვითხარი.

— შენ და ციცო?

— ჰო, მე და ციცო. ეს წუთია, შევბუღება გავიფორმე. სესიებო მაქვს, ხომ იცი...

— ციცო? ციცო რაღად მოდის?

— ციცო მე მომყვება, ამის თქმა დამეიწყა, — გაეცინა გიგას, — თბილისში ხელს მოვაწერთ და ცოტას გავივლამოვივლით.

— აჰა!—თავი მძიმედ დააქნია ოთარმა. — მოსალოცი ყოფილხარ! — გაუცინა ნაძალადევად და ცოტახნის შემდეგ დაუმატა.

— ფული არ გექნება. ცოტას მოვცემ.

გამრეკელმა თავი ასწია და მანქანის სარკეში მიაჩერდა გიგას სახეს.

— ფული? ფული ბლომად მაქვს!

არხეინად მიუგო გიგამ და უცებ პატარა სარკეში ოთარის ჩაფიქრებულ თვალებს წააწყდა.

— შენ რა მოწყენილი ხარ? იპოვნეთ მოკლული?

— ვიპოვნეთ.

— მერე ვინ აღმოჩნდა?

— ყორნალის მუშათა სასადილოს გამგე — პარმენ ზარიძე.

— ააა?

შეკვივრა გაოცებულმა გიგამ.

— პარმენ ზარიძე — მუშათა სასადილოს გამგე.

დაუბეჭითა ოთარმა.

— რას ამბობ? გუშინ მე წამოვიყვანე მალაროდან. გაღეშილი მთვრალი იყო და ძარაზე ძლივს ავიდა. ციკოსთან დაუწყია ბლარძენი, ხომ იცი, მაგასთან მუშაობდა სასადილოში. ციკო გამოქცევია და კლდეებიდან წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, მე რომ ჩამისხდნენ მანქანაში. შეიძლება გაქცეულიყო კიდეც, მაგრამ, რაც ფული გააჩნდა, პარმენისათვის ჰქონია მიბარებული. კლდეთაშუა ისე ვიარეთ, მანქანა არსად გაჩიჩრებია. ჩამოსვლისთანავე ჩემსას შევეუბნე ტანისამოსის გამოსაცვლულად. პერანგი რომ გადავიცი და გამოვედი, პარმენი აღარსად იყო და ციკო ზამთარს მოთქვამდა, წასულა, ჩემი ფული წაუღიაო.

— ეგ რა დროს იყო?

— საღამოს ცხრა საათი იქნებოდა... ძლივს დავამშვიდე ციკო, შინ შევიყვანე. შევიპირდი, დილით მოვებნიდი პარმენს და მის ფულს გამოვართმევდი. ამ დილით ორივენი ერთად წავედით ყორნალში, მაგრამ სასადილო დაკეტილი დავგვხვდა და პარმენის ასავალ-დასავალი ვერაფერს ვვითხრა.

ოთარს გააზუნდა, როგორ ჩაქროლა საბარგო მანქანით გიგამ დილას, როცა მკვლელობის ადგილს ზომავდნენ და იზაზავდნენ შავკლდესთან.

— რამდენი იყო ჩემი ფულიო, ციკომ?

— ათასი მანეთი ჰქონია და მთლიანად მისთვის მიუბარებია.

— მერე თან ჰქონდა პარმენს გუშინ ეს ფული?

— რა ვიცი... აღბათ...

— სხვა ფული არაფერი ჰქონია?

— მე რა ვიცი!

იწყინა გიგამ და მოიღუშა.

— შენ რა, ჩემთანაც არ იფიქრებ შენს პროფესიას? როგორს გამოიმძებნე-ლივით შეკითხვები?

— გამოძიება რა შუაშია... ისე გკითხე.

მანქანა სადგურთან გაჩერდა.

გიგა გაღმოვიდა. ოთარს არც უფიქრია, ისე თავისდაუნებურად მიჰყვა უკან, გეშადებული მეძებრის ინსტინქტით.

სადგურის საღაროსთან შეჩერდნენ.

— მერიკოს სალამი.

— გიგას გაუმარჯოს? ოპ, ბატონო ოთარ, სალამი!

შეშინებულივით აღმოხდა მოლარეს და, ცოტა არ იყოს, ფერ-ფურმა გადაჰკრა.

— ორი თბილისი!

თქვა გიგამ და ხელი ჯიბისკენ წაიღო.

გამომძიებელმა მზერა იმ ხელს გააყოლა.

— რბილი თუ პლაცკარტი?

იკითხა მოლარემ.

— საერთაშორისო.

ღიმილით გასძახა გიგამ.

— ვინ მიგყავს, ბიჭო, საერთაშორისოთი, არ იტყვი? — გამოცოცხლდა მერი, — ცოლი ხომ არ შეგირთავს?

— ჯერ არა და საცაა შეგირთავს.

გაიცინა გიგამ.

— ის ხომ არ არი, წუხელ რომ ვახლდა, ა?

ჩაეძია მერი.

— ლამაზი გოგოა, ის თუა, არ წაიგებ! მართალს ამბობს, ბატონო ოთარ? ასეა საქმე?

— აგრეა.

დაუდასტურა ოთარმა.

გიგამ ჯიბიდან ქალაღლით ჯვარედინად შეკრული ფულის დასტა ამოიღო. ქალაღლს ყური წაუხვია და სამი ასმანეთიანი გადათვალა.

გამრეკელი ხედვად იქცა. იმ ასმანეთიანებს თვალი ჩაასო და აღარ მოაცრელა.

მონუსხული გამომძიებელი გიგასა და

მოლარის ლაზღანდარობას ყურს აღარ უგდებდა.

მოლარემ ფული გადათვალა და უჭრაში ჩაღო. მერე ბილეთები გამოწერა და გიგას გადმოაწოდა.

— გვადლობ, მერი!

თავი დაუჭრა, ბილეთები გულის ჭიბეში ჩაიღო და სალაროს მოშორდა.

გამრეკელმა თვალით რაღაც ანიშნა მოლარეს და გიგას მძიმე ნაბიჯით მიჰყვა.

— ამ საღამოს გამოგვიარე, დაგვლოცე.

უთხრა გიგამ.

— მოვალ, ოღონდ მანამდისაც უნდა განახო.

თავუღებლად თქვა ოთარმა.

გიგამ გაოცებით შეხედა.

— პარშენ ზარიძის საქმეზე უნდა დაკვიტხობო შენ და ციცო, რაც წყლან მითხარი, იმასვე მიაშობო. ოღონდ ისე ვქნათ, დედამენმა არ გაიგოს, შეეშინდება.

— დედას რისი უნდა შეეშინდეს, ან ჩვენ რა უნდა დაგვკვიტხო.

— არაფერი... გუშინ საღ და როგორ შეხვდით, რა დროს და სად დასცილდით ზარიძეს, ჩვენებას ჩამოგართმევთ და გათავდებთ.

გაუიოლა გამრეკელმა.

— თუ აუცილებელია, დაგვკვიტხე.

პსრები აიჩეჩა გიგამ, გამრეკელს გაუყინა და ხელი გაუწოდა.

— აბა, არ გემშვიდობები!

— არ გემშვიდობები.

ერთიმეორეს ხელი ჩამოართვეს. გიგა სახლისკენ გაემართა, გამრეკელი მანქანაში ჩაჯდა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

ცოტახნის შემდეგ, გიგა რომ თვალს მიეფარა, ოთარი მანქანიდან გადმოსტა, სადგურის სალაროში უკანა კარით შევიდა და ჩაიკეტა.

ოთარ გამრეკელი საგონებელში იყო.

ჭერ კიდევ დილას იღუმალებით მოცული ზარიძის მკვლელობის საქმე თი-

თქმის გახსნილად ეჩვენებოდა. ბოროტმოქმედების ყველა კვალის ავალისკენს ოჯახისკენ მიდიოდა. მოწმეებიც და ექვმიტანილებიც ერთხმად ადასტურებდნენ, რომ მუშათა სასაბუღალოს გამგე გიგას მანქანით გაემგზავრა კლდეეთს, გიგას ჩვენებით, კლდეეთში ჩასვლისას ზარიძე მანქანაში აღარ აღმოჩნდა და კვალწმინდად გაქრა. ზარიძის გაქრობის ეს ვერსია მეტად დაუჭერბელი ჩანდა და მისი გამომგონებლების ფანტაზიის სიღარიბეზე მეტყველებდა მხოლოდ.

მაგრამ ახლა, როცა გიგა ავალიანმა ბილეთები იყიდა და მის მიერ გადახდილი ფულის ნიშნების ნომრები ზუსტად ზარიძეზე გაცემული ფულის ნომრებს მიჰყვებოდა, ეს უკვე რაღაცას ნიშნავდა და გამოძიებას ბოროტმოქმედების კვალზე აყენებდა. თუ მკვლელობის წინა გარემოება მხოლოდ საფუძვლიან ეჭვებს აღძვრავდა გამოძიებელს, ექვმიტანილის ხელში მოკლულის ფულის გამოჩენა ბოროტმოქმედებას აწიშვლებდა და ფარდას ხდიდა.

დანაშაულში ექვმიტანილები საღამოს თბილისს მიდიოდნენ და ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებდა ეჭვს. მაგრამ ჭერ-ჭერობით ეჭვის მიმტანიც და კვალის მნახველიც ერთადერთი კაცი — გამოძიებელი ოთარ გამრეკელი იყო.

საქმეს მის მეტი სხვა არავინ იცნობდა და ბოროტმოქმედების კვალის მოსპობაც მარტო მას შეეძლო, ისევე, როგორც დამნაშავეთა სწრაფი გამოძიებაც.

საქმის მსვლელობას უკვე ისეთი პირი უჩნდა, გამრეკელს ხელთ ისეთი ძაფები ჰქონდა, რომ ბოროტმოქმედების ხვანჭი აღესვე შეიძლებოდა გახსნილყო. საჭირო იყო მხოლოდ სწრაფი მოქმედება, თბილი კვალის მიყოლა და დამნაშავეთა ბოლომდე მზილება.

გამრეკელი მილიციის უფროსთან და პროკურორთან უნდა შესულიყო, მათთვის უკვე მოპოვებული მნიშვნელოვანი მასალა გაეცნო და შემდგომი მოქმედების ვეგმა შეეთანხმებინა.

მაგრამ გამომძიებელი ფეხს ითრევდა.

კაცი მოკლული იყო, ის ადამიანები, რომლებიც უკანასკნელად იყვნენ მოკლულთან, მასთან ერთად ყოფნის ფაქტს არ უარყოფდნენ, მანქანიდან მისი გაქრობის ყოვლად დაუჭერებელ ზღაპარს ჰყვებოდნენ და, რაც მნიშვნელოვანი იყო, მოკლული ზარიძის ფულს უღარღელად ხარჯავდნენ.

ფაქტები საკმაოზე მეტი იყო, მაგრამ იმ ფაქტებზე ნაკლები ძალა როდი ჰქონდა გამომძიებლის რწმენას.

ოთარ გამრეველს მტკიცედ სჯეროდა და შინაგანად სწამდა, რომ გიგა ავალიანი კაცის მკვლეელი და გამძარცველი არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

იმდენად იცნობდა, იმდენად ეკვმიუტანლად მიაჩნდა გიგას პატიოსნება, საკუთარი თვალთაც რომ დაენახა, როგორ ჰკლავდა და ძარცვავდა კაცს სალომეს ერთადერთი ვაჟი, არ დიჯერებდა და მოლანდებდა ჩათვლიდა.

მაგრამ ბოროტმოქმედების ყველა კვალი გიგასკენ მიდიოდა, გამომძიების მსვლელობას თავისი ლოგიკა ჰქონდა და გიგა იმ მკაცრი ლოგიკის კარნახს ღინებდასავით მიჰყვებოდა, ვერც წინააღმდეგობას უწევდა და ველარც გაცლას, განზე ვადგომას ახერხებდა.

თავიდანვე, როცა გულში პირველმა ეკვმა ვაკპრა, რაღაც დიდი საშინელების დანახვის წინათგრძნობამ შეაკრთო; უნდოდა გამომძიებაზე მაშინვე ხელი აეღო და საჭმე სხვისთვის გადაეხარებინა, მაგრამ პროფესიულმა ინტერესმა თუ აზარტმა თავისდაუნებურად მიიზიდა, ნელ-ნელა ჩაითრია და შუა მორევში შეაგდო.

ჯერ კიდევ ჰქონდა ღონე, ჯერ კიდევ შეეძლო იმ მორევიდან გამოსვლა, მაგრამ ერთი გული რომ ამას ეუბნებოდა, მეორე კიდევ უფრო ღრმად ეწეოდა მორევის შუაგულისაკენ: ეგებ იქ კიდევ აღმოჩენილიყო რაიმე საშუალება მართალი კაცის გადასარჩენად, ფსევრზე, დასაძირავად განწირული ანობების

მისაშველებლად და სამშვიდობოზე გამოსაყვანად.

გამრეველი ორ ციცილს და მანაშავის მამხილებელ საბუთებს ათასგვარად ჩხრეკდა და წონიდა და თან თავისი რწმენის საფუძვლებსაც უღრმავდებოდა, მათ სიმტკიცესა და ურყევობას ცდიდა და ამოწმებდა.

ოთარი ეზოში რიკტაფელას, თამაშობდა. ხმაურზე ჭიშკრისაკენ გაიხედა და მოსაქნევად შემართული ხელი ჰაერში გაუშეშდა.

ხუთიოდე მუშამ ჭიშკარი გააღო და საკაცე მძიმედ შემოიტანა.

აივანზე დედამ შეჰკვივლა.

— რა ამბავია, ხალხო, რა მჭირს?! შორიდანვე შესძახა მოსულებს.

მუშებმა სახე აარიდეს და თავი ჩაპლუნეს.

დედამ კიბე ჩამოირბინა. ეტყობოდა, მიხვდა რა უბედურებაც დაშართოდა, მუხლში ღონე წაერთვა და ძირს დასვენებულ საკაცემდის ძლივს მიაღწია. მოცელილივით დაეცა, ზედ დაემხო და აბღავდა. ქუდმანდილი მუშები თავჩაღუნულნი იდგნენ მალაროში დამარცხებული ამხანაგის ცხედართან და ხმას არ იღებდნენ.

ოთარი შეშინებული მიუახლოვდა. მამის ცხედარს უცხოსავით მიაშტერდა, ვერც ჩაჩოქება მოახერხა, ვერც ტირილი შესძლო. რატომღაც ცრემლი გაშრობოდა, მხოლოდ გულს გაჰქონდა ბავაბუვი, ყელში ებჭინებოდა და ამოვარდნას ლამობდა.

დედის კვილიზე და მოთქმაზე მეზობლები მოგროვდნენ.

სანახევროდ ცარიელი ერთადერთი ოთახი სულ დაცალეს, ცხედარი შინ შეიტანეს და შუაში დაასვენეს.

სახედახოკილ, თამაგაწეილ დედას გვერდით მეზობელი ქალები მოუხსდნენ.

დედა ჯერ გაბმით, ხმამალა მოთქვამდა, მერე თანდათან ხმა ჩაეხლიჩადა თითქმის სულ ჩაუწყდა; დროდადრო

რალაცას ამოხვავლებდა, თავს აქეთ-იქით აქნევდა და თვალები ვადმოვარდნაზე ჰქონდა.

იქ მყოფთ ზოგჯერ დაფეთებული ნადირის მხერით შეხედავდა, ამოყვირებას ცდილობდა, მაგრამ ყელიდან მხოლოდ ხრიალი ამოდიოდა. სასოწარკვეთილი ცხედარზე ემხობოდა, ხელებს ბევვდა და გულამომჯდარი უხმოდ, მდუღარედ ტიროდა.

კიბეზე ანდრო ამოვიდა.

კარის ზღურბლზე უხერხულად შეჩერდა.

ქვრივმა თავი აიღო, ანდრო რომ დაინახა, ვაიო, ერთი შეჰკვივლა და ხმაწართმეულმა ძლივს ვასაგონად მიატერა:

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით. ნახეთ ჩემი უბედური ქმარი... მალაროში დამტვრეული და უჩინჩხილი.

ანდროს თვალი მოუწვლიანდა, ჭირისუფალთან მივიდა, დაიხარა და მხრებზე მოეხვია.

— უნდა ვამაგრდე... შვილების გულისთვის უნდა გაუძლო...

ჩურჩულთ ეუბნებოდა ანდრო და თან ცხვირსაბოციტ ცრემლს იწმენდდა.

— ჩაკვდა მალაროში ეს გაუხარული... ბავშვობიდან დღის სინათლე არ იცოდა... ვერ იქნა და იმ ქვესკნელიდან ვერ ამოვიდა.

ჩურჩულებდა დედა, ტუჩებს იკვნიტდა და გულში მჯიღს ირტყამდა.

ანდრო ნელა მოშორდა დედას; იქ მყოფთ თვალი მოავლო, ოთარი დაინახა და მისკენ წავიდა. ჯერ კიდევ გონს-მოუსვლელ ბიჭს ხელი ტოლივით გაუწვოდა, გადაეხვია, აკოცა და გვერდით ამოუღვა.

მამა გაასვენეს, გათხრილ საფლავთან გამოსალმებისას, დედისა და პატარა დამძვების წიოკობაზე ძლივს წასკდა ტირილი ოთარს. დიდბინის შეგუბებულმა ცრემლმა ერთბაშად იპოვნა გზა, დაპაღუბით წამოვიდა და გულამომჯდარი ქვითინიც თან მოჰყვა.

ვილაცამ კუბოზე დამხობილი ბიჭის წამოყენება სცადა, მაგრამ ცრემლგამშრალმა დედამ ხავილით შეუძახა:

— აცალე, იჯეროს ტირილით გული. სატირალი მადგას აქვს, მაგეს, ცისფერს უნდა დააწვეს ამხელა ოჯახის უღელღას ოთარი ცრემლისაგან დაიცალა.

ალარ ტიროდა. კუბოზე გარინდული იწვა და ოხრავდა.

ანდრო დაიხარა, ბიჭუნას მხრებში ხელი ჩაჰკიდა და წამოაყენა.

— გეყოფა... და-ძმებიც მიუშვი გამოსათხოვრად.

უთხრა ოთარს და მხარზე ხელმოხვეული განზე გაიყვანა.

მეზობლებმა და ნათესაებმა სახლამდე მიაცილეს ჭირისუფლები.

ქელები არ გაუმართავთ. საცოდავ მამას ერთი ჰიჭავ ვერ წაუქციეს შესანდობრად.

მეორე დღეს ანდრომ მოაკითხათ.

დედასთან მარტო ჩაიკეტა ოთარში. ცოტახანს უმისოდ ილაპარაკეს, მერე ოთარსაც დაუძახეს.

— წამოხვალ, ოთარ, კლდეტში?

ბიჭს თვალები გაუბრწყინდა.

— სამუშაოზე მოგაწყობ... ხელფასი ჯერჯერობით უიდი არ გექნება, მაგრამ სწავლაზე ხელი არ შეგეშლება. ბინადაც ჩემთან იქნები.

ოთარი სიხარულითაგან ერთიანად გაწითლდა.

— საღამოს წავალ... მოეშხადე და გამოგივლი.

უთხრა ანდრომ და წასასვლელად წამოღდა.

იმ დღიდან ოთარი ქალაქში დამკვიდრდა, კლდეეთის ახალგაზრდა მოსამართლის ანდრო ავალიანის ბინაზე და სასამართლოს შიკრიკად დაიწყო მუშაობა. ხელფასი მართლაც ცოტა ჰქონდა. მაგრამ რაკი მოსამართლის ოჯახში სასმელ-საჭმელზე არაფერი ეხარჯებოდა, ჯამაგირს უკლებლივ დედას უგზავნიდა.

მკვირცხლმა, ყოჩაღმა ბიჭმა შინ და გარეთ ყველას თავი შეაყვარა.

სამსახურს რომ მორჩებოდა, ანდროს ოჯახში ტრიალებდა.

უველაფერი ემარჯვებოდა, სადურგლო თუ საზინკლო საქმე; რადიოსა და ელექტრომომწყობილობის შესაკეთებლად ანდროს ოჯახში ოსტატი აღარ შესულა იმ დღიდან, რაც ოთარი იქ დაბინავდა.

სწავლასმომწყურებული ბიჭი საღამოს სკოლაში სწავლობდა და იქაც საინიმუშოდ ითვლებოდა.

თავისუფალ დროს წამით არ მოცდებოდა. ანდროს ნებართვით, მის ბიბლიოთეკაში იჯდა და წიგნებს კი არ კითხულობდა, ნთქავდა.

ანდროს მეუღლე დედასავით ზრუნავდა ოთარზე, ღვიძლი შვილისაგან არ არჩევდა, არც ტან-ფეხს აკლებდა, არც კინოსა და თეატრს.

მაღლიერ ოთარსაც საკუთარი მშობლებივით უყვარდა ანდრო და სალომე, ზოლო პატარა გიგა მისთვის ძმაც იყო და მეგობარიც.

ანდროსა და სალომეს სამაგიეროს რომ ვერაფრით უზღიდა, კეთილშობილ ყმაწვილს თავისი ცხოვრების ერთ-ერთ დანიშნულებად ის მიაჩნდა, როგორმე გიგას გამოდგომოდა, მისთვის თავი დაედო და ამით თავისი აღმზრდელებისათვის მცირე საზღაური მაინც მიეგო.

სამსახურითა და საქმეებით გართულ დედ-მამას რომ ბავშვისათვის არ ეცოლა, გიგას პატრონი ოთარი იყო. შვიდი წლით უმცროს ბიჭუნას თავს ტოლივით უყადრებდა, საბურთაოდ და საცურაოდ დაჰყავდა, სკოლაში აკითხავდა, კინოსა და თეატრში უმისოდ არ წავიდოდა.

წერა-კითხვაც ოთარმა ასწავლა ბუთი წლის გიგას. იქიდან მოყოლებული, ზღაპრებსა და სათავგადასავლო წიგნებს მასთან ერთად კითხულობდა და, როცა გიგა წამოიზარდა, საინტერესო, სეროიზული წიგნების გემოც მან გაუხსნა.

გიგა თავის მეგობარს წიგნის სიყვარულითაც დაემგვანა და სალომე ამის გამოც ემაღლიერებოდა ოთარს.

თავისუფალ დროს ორივენი თავთავისთვის, ტახტზე მიწოლილნი ჭაჭყურებლენ წიგნებს და ზოგიერთნი ბავშვებით ქუჩა-ქუჩა ყილით არ ჰკლავდნენ დროს.

სკოლაში მშობლებს შვილის ქებისა და მაღლობის მეტს არაფერს ეუბნებოდნენ, ხოლო შინ, მოსამართლის ოჯახში, სიწყნარე და ბედნიერება სუფევდა.

დედისერთა გიგას ოთარი თავს ერჩია, მასავით ღონიერი და ჰკვიანი, მისებრ პატიოსანი და ალალი ქვეყნად ვერავინ წარმოედგინა, სულით ხორცამდე ენდობოდა და მის სიმართლეში ეჭვი არასდროს შეუვიდოდა.

მოსამართლეს ტელეფონის მილი მარცხენა მხარსა და ყურს შუა მოექცია და თავისუფალი ხელებით მაგიდაზე ფანქრებს, საშლელ რეზინებს და სამეღნეების სახურავებს ერთიმეორეზე აკოლიკებდა.

პროკურორი გაფრინდაშვილი რაღაც გრძელსა და საინტერესო ამბავს ჰყვებოდა.

კარი ოდნავ გაიღო და მოლარემ შეჰოიხედა.

-- შეიძლება?

იკითხა მოლარემ.

ანდრომ თავის ოდნავ დახრით ანიშნა, შეიძლებაო. წელში მოღუნული მოლარე ფეხაკრფით წამოვიდა, მოსამართლეს წინ გაშლილი უწყისი და ფულა დაუდო.

ანდრომ ჩვეულებისამებრ ფულის დაუთვლელად მოაწერა ხელი უწყისს. მოლარე რაღაცას ეუბნებოდა, უხსნიდა და მამებლად უღიმოდა.

ანდრო ისევ ტელეფონს უგდებდა ყურს გატაკებით, მოლარის ნათქვამის არაფერი გაუგია.

მოლარემ უწყისი აიღო, თავი ისევ დახარა, კინალამ შუბლი მაგიდაზე დაჰკრა.

ანდრომ თავი ისევ მექანიკურად დაუქნია.

მოლარე გავიდა.

მოსამართლე ორივე ხელით ხუხუ-
ლას შენებას განაგრძობდა, ტელეფონს
ყურს უგდებდა და დროდადრო, კანტი-
კენტად თითო-ორ-ორ სიტყვას, მეტწი-
ლად შორისდებულებს, ურთავდა.

ბოლოს გრძელი საუბარი დასრულდა,
ანდრომ მილი დადო, საათს დახედა.

სამუშაო დრო გათავებულყო.

დაკეცილი ფული პიჯაკის ჯიბეში და-
უთვლელად ჩაიღო, მაგიდის უჭრა და-
კეტა და კაბინეტიდან გავიდა.

ანდროს ოთახში ოთარი და გიგა ქად-
რაკს თამაშობდნენ.

ანდრომ პიჯაკი გაიხადა და სკამზე გა-
დაკვიდა. ერთხანს უყურა ბიჭების
ბრძოლას, მაგრამ ოთახიდან მალევე გა-
ვიდა. ხელი დაიბანა და სამზარეულო-
ში სალომეს მიაკითხა.

— მოხვედი, ანდრო? ახლავე იქნება
სადილი.

შეაგება სალომემ.

ანდრომ ცოლს ლოყაზე აკოცა. ცეცხ-
ლზე შემოდგმულ ქვებს სახურავი ახა-
და. კერძს ჩახედა და კმაყოფილმა ისევ
დახურა.

მერე აივანზე გავიდა, საქანელა სკამ-
ზე ჩაესვენა და გაზეთის კითხვას შე-
უღდა.

ნასადილევს ცოტა წაიძინა, თვალი
მოატყუა. და რომ გაიღვიძა, ქალაქში
გასასვლელად მოეშხადა.

პიჯაკი ჩაიცვა და ფული მაშინ გაახ-
სენდა.

— სალომე, ხელფასი მოგიტანე.

უთხრა ცოლს და ფული ისევე დაკე-
ცილი გადასცა, როგორც ჯიბეში ეღო.

სალომემ ფული ჩამოართვა და გა-
დათვალა.

— რამდენია, ანდრო?

იკითხა ცოლმა.

— შეიდასი იქნება, არ დამითვლია.

— აქ მხოლოდ ექვსასია.

— არა, შეიდასი უნდა იყოს.

— შენ თვითონ დათვალე.

უთხრა სალომემ და ფული გაუწოდა.
ანდრომ ასმანეთიანები გადათვალა.

ექვსი ცალი იყო.

— ერთი ასიანი აკლია... შენ ხომ არ
ამოგიღია?

— ახლოსაც არ გავკარგებოვარ...
ცივად მოსკრა სალომემ.

— სამსახურიდან რომ მოვედი, პიჯაკი
გავიხადე და ამ სკამზე გადავიკიდე.

— რამდენჯერ უნდა გითხრა, ნუ იცი
აგრე ფულის დაგდება.

— ოთახში გიგასა და ოთარის მეტი
არავენ იყო, მოლარე ფულს არ დამაყ-
ლებდა... შენ თუ არ ამოგიღია...

— გიგას და ოთარს დაუძახე!

ანდროს ძახილზე ორივე მაშინვე გა-
მოცხადდა.

— ფული ხომ არ გინახავს რომელი-
მეს... ასმანეთიანი მაკლია.

ვითომ სხვათა შორის იკითხა ანდრომ.

— არა, მამი.

— არა, ბიძია ანდრო.

ერთხმად იუარა ორივემ.

ცოლ-ქმარმა ერთიმეორეს შეხედეს.

— პიჯაკის ჯიბეში მქონდა, წელან გა-
ვიხადე და აქ გადავიკიდე. ოთახში ოთა-
რისა და შენს მეტი არავენ იყო...

— მამის სულს გეფიცები, თვალით
არ მინახავს.

გულწრფელად ამოიძახა ოთარმა და
ერთიანად წამოწითლდა.

— იქნებ სადმე დავარდა, კარგად
მოძებნეთ?

იკითხა ცოტახანის დუმილის შემდეგ
ოთარმა.

— სად დავარდებოდა. ერთად იყო
შვიდი ასიანი, დაკეცილი მედო პიჯა-
კის ჯიბეში. ექვსილა არი, მეშვიდე თა-
ვისით არ ამოფრინდებოდა.

— დედა მომიკვდეს, თუ ახლო გავკა-
რებოდე.

ისევ დაიფიცა ოთარმა.

გიგამ თვალზე ცრემლმომდგარ
ოთარს შეხედა.

მშობლები თავჩაღუნულნი ისხდნენ.

— მე ამოვიღე ასმანეთიანი.

გამოსცრა მოულოდნელად გიგამ.

— შენ?

აღმობხათ მშობლებს გაოცება.

— მე ამოვიღე და დამაფიყდა, რომ
მეთქვა.

— მერე რა უყავი? აბა, თვალეზში შემომხედე.

შკაცრად უთხრა მამამ.

შვილმა თავი აიღო და თვალი თამამად გაუსწორა.

— რისთვის დაგჭირდა? რაში დახარჯე?

— დამჭირდა!..

თქვა გიგამ და თავი კუშტად ჩაღუნა.

— რა გაცლია... რა გავიჭირდა, რომ... ანდრომ ხელი მოიქნია და სილა გააწნა.

— ანდრო!

შეჰკივლა სალომემ და შვილს გადაეფარა.

— დღეს ასი მანეთი მოიპარე, ხვალ ათასს მოიპარავ; შინ რომ არ იქნება, გარეთ იქურდებ, სხვას მოპარავ! ასე იწყებენ ქურდები, რეციდივისტები...

შვილს ლოყაზე წითლად დააჩნდა მამის ხელის ანაბეჭდი. გიგა შებლშეკრული ჩაჰყურებდა იტაკს და ხმას არ იღებდა.

— მე სხვების გამოსწორებას ვცდილობ და საკუთარ სახლში ქურდს ვზრდი თურმე!

შეჰყვირა გაცეცხლებულმა ანდრომ და ის იყო ხელი მეორედ ამართა სილის გასაწნავად, რომ სალომე ეცა:

— კარგი, ეყოფა... დაწყნარდი...

ამშვიდებდა ქმარს და თან გიგას ანიშნებდა, ოთახიდან გასულიყო:

ოთარმა გიგას ხელი ჩაავლო და ოთახიდან გაიყვანა. ცოტახნის შემდეგ უკანვე შემობრუნდა.

აქოშინებული ანდრო სავარძელში ჩაშვებულყო და ხელები უცახცახებდა. სალომე სარკმელთან იდგა, თვალეზზე ხელი აეფარებინა და ტირიდა.

— არ მჭერა, ძია ანდრო, გიგა არ იზამდა.

დაარღვია დუმილი ოთარმა.

— არც მე დავიჭერებდი, მაგრამ თვითონვე აღიარა...

— რომ მომკლა, ვერ დავიჭერებ, გიგა არ იქურდებდა.

— მაშინ ამ ოთახს უნდა ჩაეყლაპა, სალომეს უნდა ამოედო. *მეტი უნდა მოგებარა.*

ოთარი გაფითრდა.

ანდრო მიხვდა, რომ ცუდად ნათქვამი მოუვიდა.

— კითხე, შენ გეტყვის, რატომ მოიპარა, რისთვის დასჭირდა?..

ოთარი თავდახრილი დუმდა.

— ეთხოვა, თუ ჰირღებოდა, განა მე დავუჭერდი?.. განა ოდესმე უარი მითქვამს?.. თავის დღეში მანეთი არ აუღია, ვაძლევი ხოლმე და არ მართმევიდა.

— ალბათ ვინმემ შეაცდინა, ამხანაგებმა თუ გააბრიყვეს, თორემ ჩემი გიგა მაგას არ იზამდა.

სლუკუნით თქვა სალომემ.

— გამოკითხე, ოთარ, — ხეწწნით მიმართა ანდრომ, — შენ ყველაფერს გეტყვის და მერე ჩვენ გვითხარი. ჯერ კიდევ შეიძლება შეველა, სწორ გზაზე მობრუნება...

სამ ღღეს უბრად იყვნენ მამა-შვილი.

ანდრო შორიდანვე შკაცრ სახეს უჩვენებდა, გიგაც ერიდებოდა, სადილად შშობლებთან არ ჯდებოდა.

ღუდას ეცოდებოდა შვილი, მოფერებასა და გამოლაპარაკებას ცდილობდა, მაგრამ გიგა სათოფრზე არ იყარებდა, გაურბოდა და წარბს არ უხსნიდა.

როგორ არ ეცადა ოთარი, საიდან არ მოუარა, ძილისწინ თუ დილით, სკოლაში წასვლისას თუ გაცვეთილების სწავლისას, მაგრამ გიგა კედელივით ყრუ იყო და მუნჯი.

— დამჭირდა და ამოვიღე. ცუდ რამეში არ დამიხხარჯავს... მორჩა და გათავდა! — უთხრა ერთხელვე და მერე ვერ იქნა, ამ საგანზე ხმა ვეღარ ამოაღებინა.

ოთარი გრძნობდა: მისი არ იყოს, გიგასაც დაკარგული ჰქონდა სიმშვიდე და, თუმცა ფულის დაკარგვაზე კრინტს არ

სძრავდა, მასავით, ისიც დღეღამ იმ ფულზე ფიქრობდა.

მოსამართლე გასარჩევ საქმეს ეცნობოდა, ფურცლებს წითელი ფანქრით ხაზავდა და თავისთვის ბლოკნოტში რაღაცას ინიშნავდა.

კარი ოდნავ გაიღო და მოლარემ შემოჰკო თავი.

— შეიძლება?

— იკითხა და, როგორც კი ანდრომ თავი დაუქნია, ფეხისწვერებზე წამოვიდა.

ანდრომ კითხვას თავი ანება და მაგიდასთან ოთხად მოკეცილ მოლარეს შეხედა.

მოლარემ დაკეცილი ასმანეთიანი გაშალა, გაასწორა და მოსამართლეს წინ დაუდო.

— ეს რა არის?

იკითხა ანდრომ.

— ეს იმ დღეს რომ დავიტოვე ხელფასიდან, ექსკურსიისთვის, ბატონო ანდრო...

— რა ექსკურსიისთვის?

გაიოცა ანდრომ.

— ბაჭოში რომ უნდა წავსულიყავით, ექსკურსიაზე, იმ დღეს ავი მოგახსენეთ...

ანდრო დაბნეული შეჰყურებდა.

— ექსკურსია აღარ შედგა და თქვენ ფულს უკანვე გიბრუნებთ.

ანდროს ერთბაშად მოეხსნა გულზე ის საშინელი სიმძიმე, რომელსაც აგერ ოთხ დღეს ატარებდა. მიხვდა, რომ ფული არ დაკარგვოდა. გაეხარა, შვილზე მიტანილი ეჭვი ასე უბრალოდ რომ გაეფანტა, მოლარეს მადლობა გადაუხადა, ქუდს ხელი დაავლო და შინისკენ გაქანდა.

კიბეზე ღიღინით ავიდა.

მეოთხე დღე იყო, ცოლისკენ პირგაღიანებულს არ გაუხედავს. სახლში შესვლისთანავე საშხარეულოში შევიდა. ცოლს ძველი ჩვეულებებისამებრ აკოცა

და ცეცხლზე შემოდგმულ ქვაბებს ჩაზედა.

ნასადილევს გიგა და ოთარი თავიანთ ოთახში თავთავისთვის შეცადინებულნენ.

— გიგა.

გაისმა მეორე ოთახიდან.

გიგას ვული შეუტოკდა.

— შემოდი ჩემთან!

უბრძანა მამამ.

გიგამ წიგნი დაკეცა. და ისე გავიდა, კარი არ გაუქეტია.

— დაჯექი!

უთხრა მამამ ზღურბლზე შეჩერებულ შვილს და სკამზე ანიშნა.

გიგა დაჯდა.

— რად მოვიგონე ტყუილი?

იკითხა ცოტახნის შემდეგ ანდრომ და შვილს თვალი თვალში გაუყარა.

გიგამ თავი დახარა.

— რატომ დაიბრალებ ქურდობა, როცა ის ფული შენ არ ავიღია.

— მამ ვინ აიღო?

გაიოცა გიგამ.

— არავისაც არ აუღია, ასმანეთიანი თურმე მოლარეს დაუტყავებია. ექსკურსიაზე წასასვლელად. ექსკურსია არ შედგა და დღეს უკანვე მომიტანა.

— იცოდი, რომ მოლარემ დაგაკლო?

— არა, არ ვიცოდი, მაშინ მოლარისათვის ყური არ დამიგდია, ფულიც არ დამითვლია და ავჩქარდი, ეჭვი ტყუილად, დაუფიქრებლად შევეიტანე სახლშიმყოფეებზე.

გიგას ტუჩზე მწარე ღიმილია გადაურბინა.

— მე აჩქარებთ, შეცდომით მომივიდა, მაგრამ შენ... შენ რად იყისრე ჩაუღუნელი დანაშაული?

გიგას საბე წამოუწითლდა და თვალი მოუწყლიანდა.

— გიგა, მამატიე!

ხმადამლა თქვა დარცხენილმა ანდრომ და შვილისკენ წამოვიდა.

გიგას ცრემლი წასკდა, პირი იბრუნა და ოთახიდან ატირებული გავარდა.

თავის ოთახში შემობრუნებული გიგა ლოგინზე დაემხო და თავი ბალიშში ჩარგო.

გაფითრებული ოთარი ნერვიულ კანკალს აეტანა. საწოლის კუთხეში მიყუებული ხმას არ იღებდა და გიგას თვალს არ ამორებდა.

როგორც იყო, გიგამ ქვითინი შესწყვიტა, და გაყუჩდა.

— გამდლობ, გიგა! — აკანკალებული ხმით მიმართა ოთარმა.

გიგამ ბალიშის ყურით ცრემლი მოიწმინდა და თავი აიღო.

— გესმოდა?

— ყველაფერი გავიგონე.

თქვა ოთარმა, ფეხზე წამოდგა, გიგას საწოლთან მივიდა, მეგობრის გვერდით ჩამოჯდა და მხარზე ხელი მოხვია.

— რატომ გჭეროდა აგრე დაწრმუნებით, რომ დანაშაულს შე არ ჩავიდენდი? — ჩურჩულით იკითხა ოთარმა და გიგა მკერდზე მიიკრა.

— უმალ ქვეყნის გადაბრუნებას დავიჭერებდი, ოთარ, ვიდრე შენს ქურდობას! მტკიცედ თქვა გიგამ და თვალზე ისევ ცრემლი გამოუბრწყინდა.

□ ზაზაძელება იმნება □

საზღვარგარეთის მფარლები და საზოგადო
მიღვაწეები ოქტომბრის რევოლუციისა და
საბჭოთა კავშირის შესახებ

ანატოლ ფრანსი

რუსეთი — ეს ის ქვეყანაა, სადაც შეუძლებელიც კი შესაძლებელი ხდება. ბოლ-
შევიკები ახლა ამ შეუძლებელს ბოლომდე ახორციელებენ.

ბერნარდ შოუ

მთელს ჩემს პოლიტიკურ მოღვაწეობის მანძილზე ვქადაგებდი სოციალიზმს, და,
აი, აღმოჩნდა ქვეყანა, რომელმაც დაამყარა სოციალიზმი, გადააქცია იგი თავისი პო-
ლიტიკური სისტემის საფუძვლად, გაბედულად მოსპო კერძო საკუთრება და ზურგი
შეაქცია კაპიტალიზმს, — ქვეყანა, რომელიც წარმატებას აღწევს ეკონომიკასა და პო-
ლიტიკური კონსტიტუციის შექმნაში... (1931 წ.).

კომუნიზმის წინააღმდეგ ომი — აღმამფთობელი უაზრობაა. კომუნიზმისა და
სოციალიზმის თანამედროვე მტკიცე საფუძვლის გარეშე ჩვენი ცივილიზაცია ერთ კვი-
რასაც ვერ გასძლებდა. სწორედ ესაა ჩვენი საყრდენი...

მომავალი ეკუთვნის ამ ქვეყანას, რომელიც უფრო შორს და ღრმად განავითარებს
კომუნიზმს (1950 წ.).

რენეს რილანსი

ახალგაზრდა ოქტომბრის რევოლუციას, რომელიც ახლა თავის არსებობის ოც
წელს ზეიმობს, დიდ მადლობას და სალამს ვუძღვნი დასავლეთის ძველი რევოლუციე-
რების შვილების სახელით.

ოდესდაც ჩვენც, თქვენი ფრანგი ძმები, თქვენსავით გააფთრებით ვებრძოდით
მტრებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის შიგნითა და გარეთ მოქმედებდნენ. და, მიუხედავად
კონვენტის დიდი წინაპრების გმირობისა, ჩვენი რევოლუცია, მტრების გამცემლობით
სასიკვდილოდ დაჭრილი, რობესპიერის დაკარგვის შემდეგ, იძულებული გახდა ნახე-
ვარგაზზე გაჩერებულიყო.

თქვენ, საბჭოთა ადამიანებმა, ასწიეთ ის ჩირაღდანი, რომელიც ხელიდან გაგვი-
ვარდა, და, დიდი ლენინის წყალობით, თავისუფლების შუქი მთელს ქვეყნიერებას
მოუღო...

თქვენი ქვეყანა, როგორც ევროპასა და აზიაში აღმართული მძლავრი ციხე-სიმაგ-
რე, ყველა ხალხებისათვის საიმედო ბურჯი გახდა...

და ჩვენ მოგვესმის პეროიკული ჰიმნი, რომელიც ახალ მარსელიოზასავით მოუ-
წოდებს ხალხებს თავისუფლებისა და ერთიანობისაკენ და მიჰყავს ისინი გამარჯვები-
საკენ (1937 წ.).

კლერკ კინსტაინი

უდიდესი პატივისცემითა და აღტაცებით, გულწრფელად ვულოცავ წითელ არმიასა და ფლოტს სახელოვან 25 წლისთავის შესრულებას. საბჭოთა არმია და ფლოტი იმდენად წარმატებით იცავენ საბჭოთა კულტურისა და მრეწველობის მიღწევებს, რომ კაცობრიობის პროგრესის მომავალ განვითარებას საშინელი საფრთხე ჩამოაშორეს (1943 წ.).

ბერტრან რასელი

მსოფლიო ბურჟუაზიას წარმოდგენილი ჰქონდა, თითქოს ლენინი მხოლოდ ანგრედა, მაგრამ ამით კი არ გახდა იგი ცნობილი. ნგრევას სხვებიც შესძლებდნენ. ვეჭვობ, რომ კიდევ ერთი ისეთი ადამიანი მოიპოებოდა, რომელიც ჭკვიანის ხელახლა აღდგენას ასე კარგად შესძლებდა.

სენ-იაკ-სენი

კაცობრიობას უდიდესი იმედი დაებადა. ეს იმედი რუსეთის რევოლუციას.

ჩარლი ჩაკლინი

სალამი შენ, საბჭოთა კავშირო, იმ დიადი ბრძოლის გამო, რომელსაც შენ აწარმოებ თავისუფლებისათვის. სალამი თქვენ, საბჭოთა ადამიანებო, სალამი იმ მამაცობისათვის, რომლის წყალობით თქვენ აწარმოებთ ყველაზე გაბედულ ექსპერიმენტს კაცობრიობის ისტორიაში — ადამიანურ ექსპერიმენტს, რომლის განხორციელებით ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეთ, მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა, მიუხედავად იმ ცილისწამებისა, რომლითაც ლამობდნენ თქვენი საქმისათვის ჩირქი მოეცხთ.

თქვენ უბლიერესი და თავისუფალი გახდით. ეს არის შთამბგონებელი მაგალითი ყველა უბრალო ადამიანისათვის.

კეთილი ძალა ამოძრავებს თქვენი ადამიანების დიად საქმეს, ეს ძალაა — სიყვითისაქენ მისწრაფება...

სალამი შენ, რუსეთო — ვერაფითარ ძალას ვერ ძალუძს პროგრესის გზიდან გადაგასვევიროს. ვერც ფაშიზმი შესძლებს შენზე გამარჯვებას, თუმცა იგი მხეცურ სიმკაცრეს მიმართავს და გიგანტური სამხედრო ძალა აქვს გამოყენებული (1941 წ.).

რუსეთის ბრძოლის ველზე წყდება დემოკრატიის ყოფნა-არყოფნის საკითხი. მოკავშირე ხალხთა ბედი — კომუნისტების ხელშია.

თუ რუსეთი დამარცხდა, აზიის კონტინენტი, ყველაზე ვრცელი და მდიდარი მსოფლიოში, ფაშისტების უღელქვეშ მოექცევა...

თუ რუსეთი დამარცხდა, ჩვენ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით...

რუსეთი იბრძვის უკანასკნელ საზზე, მაგრამ იგი — მოკავშირეთა ყველაზე საიმედო საყრდენია...

ჩვენ არ შეგვიძლია რუსეთის, დემოკრატიის დაცვის ამ უკანასკნელი საზის, დაკარგვით საფრთხეში ჩავიყუნოთ ჩვენი თავი. ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ცივილიზაცია ჩვენს თვალწინ დაიშლება. ჩვენ უნდა ყველაფერი ვიღონოთ, რომ გადავარჩინოთ ისინი...

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა დაუყოვნებლივ გაიხსნას მეორე ფრონტი... ამ გაზაფხულზე უნდა მოვიპოვოთ გამარჯვება — შეუძლებელი შესაძლებელი გავხადოთ (1942 წ.).

გეტონ სინკლერი

ამ ტრაგიკულ, საშინელ საათებში ისტორიას ქმნიან საბჭოთა კავშირის ხალხები (1941 წ.).

ჩემი აზრით, საბჭოთა მთავრობა კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს ამოცანას ასრულებს. თუ კაპიტალისტური სამყარო გამოვა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ, ყველამ, ვისაც კი სწამს პროგრესი, უნდა დაიცვას იგი. საბჭოთა კავშირის მიღწევები — თანამედროვე ისტორიის სასწაულია (1942 წ.).

პრნსტ კემინგუი

100 პროცენტით სოლიდარობას ვუცხადებ საბჭოთა კავშირს ფაშისტური აგრესიისადმი სამხედრო წინააღმდეგობისათვის. საბჭოთა კავშირის ხალხი თავისი ბრძოლით იცავს ყველა ხალხს, ვინც კი ფაშისტურ მონობას წინააღმდეგობას უწევს. მხურვალედ მივესალმები საბჭოთა კავშირს და მის გმირულ წინააღმდეგობას (1941 წ.).

დისციპლინისა და შრომის 24 წელმა დიდება და სახელი მოუპოვეს წითელ არმიას. ყველა, ვისაც კი თავისუფლება უყვარს, დიდ ვალშია წითელი არმიის წინაშე, იგი ვერასოდეს ვერ შესძლებს ამ ვალის გადახდას. ყველა, ვისაც კი სურს ჰიტლერის განადგურება, გმირობის მისაბამ ნიმუშად წითელ არმიას უნდა სახავედეს (1942 წ.).

თომას მანი

ჰიტლერული გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი ბოროტმოქმედება ისაა, რომ წარმოადგენს რა თავად უდაბნოს, კულტურის თვალსაზრისით, რომელსაც მხოლოდ ნგრევა შეუძლია, მან შეაფერხა საბჭოთა ქვეყნის იმედი და სიამაყით აღსავსე განვითარება...

არავინ იცის, თუ რამდენად ხანგრძლივი იქნება ეს ომი... რაც შემეხება მე, როგორც მოხუცმა კაცმა, შემიძლია მხოლოდ ბედსა ვთხოვო და ამის დიდი იმედი მაქვს, რომ იმ ბედნიერ დღეს მოვესწრო, როცა ყველგან ზარებს დარეკავენ, სადღევრძელოებს შესვამენ, ადამიანები ერთმანეთს გადაეხვევიან და წამოიძახებენ: „ურჩხული დამზობილია, ქვეყნიერება თავისუფალია და დადგა ახალი ცხოვრების დრო“... (1942 წ.).

კაინრიხ მანი

საბჭოთა კავშირი — იდეის უდიდესი განხორციელებაა ამ უკანასკნელი ასორმოცდაათი წლის მანძილზე. ამ იდეის განხორციელება, უდავოდ, მომავალშიც გაგრძელდება. ერთი საუკუნე გახდა საჭირო რომ ფრანგული რევოლუციის უმთავრეს მისწრაფებებს გამარჯვება მოეპოვებინა, ისიც არა მთელს ევროპაში, არამედ მის დასავლეთ ნაწილში. პროლეტარულ რევოლუციას აქვს მობილიზების უძლეველი ძალა და მისი შედეგები უფრო შორს და შორს გავრცელდება, და ეს იქნება საბოლოო გამარჯვება...

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეობა ორგანულად გამომდინარეობს მის ბუნებიდან, რადგან კავშირი შექმნილია ცოცხალი ადამიანებისა და არა ჭიმკრებისათვის, მთელი საზოგადოებისათვის და არა მცირერიცხოვანი ხროვისათვის...

საბჭოთა კავშირი სრულ შემწყნარებლობას იჩენს რასისა, წარმოშობისა და ენის მიმართ. ალბათ, შემწყნარებლობა ისევე დამახასიათებელია მისი ბუნებისათვის, როგორც მშვიდობისმოყვარეობა. ერთიც და მეორეც იმიტომ წარმოიშვა, რომ საბჭოთა-სახელმწიფო არსებობს საზოგადოების სასარგებლოდ და არა მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ.

საბჭოთა კავშირის მაგალითი გვაძლევს ძალას და მტკიცე რწმენას, რომ კაცობრიობის ისტორიაში ამიერიდან და სამუდამოდ არსებობს მხოლოდ ერთი გზა პროგრესისაკენ...

თედორ ღრიზერი

რუსეთი, საბჭოთა კავშირი ერთადერთი ქვეყანაა, ერთადერთი ხალხია, რომელმაც, ბოლოსდაბოლოს, დაამყარა სამართლიანი და საზოგადოებრივად პროგრესული მმართველობის ფორმა... (1941 წ.).

ლიონ შოისტკანგერი

მომავალი ისტორიკოსები აღნიშნავენ ამ დღეს, 1917 წლის 25 ოქტომბერს, როგორც ახალი ერის დაბადების დღეს.

სტეფან ცვაიგი

ყოველი მოაზროვნე ადამიანის მოვალეობად, რასაკვირველია, ვთელი მთელი ძალ-ღონით წინ აღუდგეს რუსეთის მიმართ სამხედრო მუქარის ცდას.

გონიერმა ადამიანებმა წინათაც იცოდნენ, რომ ყოველგვარი ომი ბარბაროსობასა და ადამიანისათვის უკადრის ატაჯიზმს წარმოადგენს; XX საუკუნეში ეს ამომწურავად იქნა დამტკიცებული და მე ვიმედოვნებ, რომ ევროპის ხალხებს არ დაავიწყდებათ ეს მომავდინებელი გაკვეთილი (1930 წ.).

ანდრე მორუა

ოქტომბრის რევოლუციის შედეგად შეიქმნა მსოფლიოში პირველი სოციალისტური ძლიერი სახელმწიფო.

სსრკ აღიარებს სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოთა თანაარსებობის პრინციპს. საბჭოთა კავშირი კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ხალხთა ბედზე, ხელს უწყობს დედამიწაზე მშვიდობის საქმის განმტკიცებას.

მორში ამაღუ

სოციალიზმის ქვეყნის უსაზღვრო სივრცეებიდან ჩვენამდე აღწევს ამ საუკუნის დიადი და კეთილშობილი იდეების შუქი. იქიდან გვინათებს სოციალიზმის მზე — უდიდესი მაგალითი, უდიდესი მიზანი.





ოქტომბერი და ქართული მწერლობა

საბჭოთა ხალხი და მასთან ერთად მთელი პროგრესული, თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობა ერთსულოვანი აღფრთოვანებით ზეიმობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ნახევარსულოვან იუბილეს.

ამ ქეშმარიტად მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დღესასწაულისათვის მზადების დღეებში ჩვენი ქვეყანა კანონიერი სიამაყის გრძობით თვალს ავლებს მის მიერ განვლილ დიად გზას, ზომავს და აფასებს მის მიერ უმაგალითო გმირული ბრძოლებითა და თავდადებული შრომით მოპოვებულ დიდ წარმატებებს სამეურნეო ცხოვრების, სახელმწიფოებრივი მშენებლობის, კულტურული შემოქმედების ყოველ დარგში.

ამ წარმატებებსა და მიღწევებს შორის უადრესად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჩვენს მრავალეროვნულ სოციალისტურ ლიტერატურას. იგი ოქტომბრის ეპოქის პირშეშა, ოქტომბრის ნათელი იდეალებით შთაგონებული და ნასაზრდოვები, თავის მხრივ კი ამ ახალი ტიპის ლიტერატურას ფასდაუდებელი, განუზომელი მნიშვნელობის წვლილი აქვს შეტანილი საბჭოთა ხალხის იდეურად, მორალურად და ზნეობრივად აღზრდის საქმეში, ხალხის კომუნისტური სულისკვეთების გამოწერობაში და, მათთანადამე, ჩვენი რევოლუციური ეპოქის ყველა წარმატების მოპოვებასა და დამკვიდრებაში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია კაცობრიობის მრავალსულოვანი ისტორიის სწორტოვრად დიადი მოვლენაა, რომელმაც პირველად სინამდვილედ აქცია ადამიანთა მრავალი თაობის უმაღლესი და უცეთილშობილესი ოცნება; დედამიწის ერთ მეექვსედზე მან სამუდამოდ დაამხო მშრომელი მასების ძარცვასა და ექსპლოატაციაზე, ეროვნულ ჩაგვრასა და ნონობაზე დამყარებული ბურჟუაზიულ-მემამულურა წყობილება და დასაბამი მისცა ჩვენს სამშობლოში ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას თავისი ახალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილებით, ყოფა-ცხოვრებითი ურთიერთობათა ახალი ფორმებით, ახალი სულიერი კულტურით.

ოქტომბრის რევოლუციამ მოამზადა ყველა პირობა მსოფლიოში მძლავრი სოციალისტური სისტემის აღმოცენებისა და დამკვიდრებისათვის. სოციალიზმისა და დემოკრატიის სახელმწიფოთა ეს დიდი ბანაკი ამჟამად მსოფლიოს ისტორიული განვითარების განმსაზღვრელ ძალას წარმოადგენს.

ოქტომბრის რევოლუციამ არა მარტო ქარზნები და ფაბრიკები, ბანკები და ფინანსები, მიწა და ყოველგვარი საწარმოო საშუალებანი, არამედ საკაცობრიო კულტურის მთელი საუნჯეც ხალხის საყოველთაო კუთვნილებად აქცია და კულტურული შემოქმედების სარბიელზე გამოიყვანა წინათ სილატაკისა და უმეცრების წყველიაღში მცხოვ-

რები მშრომელი მილიონები. ამაში გამოხატა დიდი ისტორიული აზრი და მნიშვნელობა იმ უაღრესად ფართო კულტურული რევოლუციისა, რომელიც თანმიმდევრულად და განუწყვეტლივ ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე.

საბჭოთა ლიტერატურა ოქტომბრის რევოლუციის განარჯვების შედეგად შექმნილი ახალი, სოციალისტური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია და დიდი ოქტომბრის ერთ-ერთი უძვირფასესი მონაპოვარი ხალხის სულიერი შემოქმედების დარგში. იგი საბჭოთა ხალხის იდეური აღზრდისა და სულიერი შეიარაღების და, მასასადამე, ჩვენს სამშობლოში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პირველხარისხოვანი ფაქტორთაგანია. ამასთანავე, იგი წარმოადგენს კაცობრიობის მხატვრული განვითარების უმაღლეს საფეხურს, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის პრინციპულად ახალს, უაღრესად ნოვატორულ ნოვლენას, რომელსაც მოწინავე ადგილი უჭირავს თანამედროვე მსოფლიო პროგრესული კულტურის განვითარებაში და უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს მთელი მოწინავე კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში.

შეითვისა, განაგრძო და განავითარა რა კაცობრიობის მიერ თავისი კულტურული განვითარების მთელს მანძილზე გამოუმუშავებული საუკეთესო ტრადიციები, საბჭოთა ლიტერატურამ უკვე შექმნა საკუთარი ტრადიცია, აღნიშნული ნხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისებებით. მას აქვს საკუთარი თემატიკური სამყარო, მხატვრული გამოსახულების საკუთარი საგანი — ეს, პირველ ყოვლისა, ჩვენი სოციალისტური სინამდვილეა, საბჭოთა საზოგადოების ცხოვრება თავისი განუწყვეტელი წინმსვლელობით, თავისი მრავალფეროვნებითა და მრავალმხრივობით, ღრმა წინააღმდეგობებითა და კონფლიქტებით. საბჭოთა მწერლობას ჰყავს თავისი გმირი, რომლის მსგავ-

სი არასოდეს არ ჰყოლია ლიტერატურასა და ხელოვნებას. ეს კომუნისტური საზოგადოების მშენებელი რევოლუციური ადამიანია, თავისი მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყაროთი, თავისი ნათელი მორალური სახით, მადალი იდეალებით, შემოქმედებითი შრომით, საგმირო საქმეებით. მაშინაც კი, როდესაც საბჭოთა მწერალი შორეული წარსულის პროცესებს თუ თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროს ცხოვრებას ასახავს, იგი თავისი ამ მთავარი გმირის — საბჭოთა ადამიანის თვალსაზრისით ხედავს და ამუშავებს მოვლენებს, საბჭოთა ხალხის საბრძოლო და მასულდგმულეგელი იდეების თვალსაზრისით, რაც ჩვენი ლიტერატურის მსოფლმხედველობრივ თავისებურებას განსაზღვრავს. კომუნისტური იდეურობა და პარტიულობა ამ ცნების საუკეთესო და უფართოესი მნიშვნელობით, შეადგენს საბჭოთა ლიტერატურის ნოვატორული ბუნების საფუძველს, რომელზეც აღმოცენდა მისი სპეციფიკური შემოქმედებითი მეთოდი — სოციალისტური რეალიზმი. იგი გულისხმობს სინამდვილის ისეთი სისრულით და სიმართლით გამოსატყვას, როგორც მიუწვდომელი იყო წარსულის ყოველი ხელოვანისათვის. რაგინდ გენიალურიც არ უნდა ყოფილიყო იგი და რაგინდ გაბედულადაც არ უნდა დაეძლია და გადაეღაზა მას თავისი წარმომშობი კლასის ინტერესებისა და მსოფლმხედველობის შემზღვეველი რკალი. მრავალფეროვნელობა, — იდეური მიზანდასახულობისა და შემოქმედებითი მეთოდის ერთიანობასთან ნაციონალურ თავისებურებათა განუსაზღვრელი ნაირსახეობის ორგანული შეთანხმება — შეადგენს აგრეთვე სოციალისტური ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ სპეციფიკურ თვისებას და უპირატესობას, რომელიც უცხო და უცნობი იყო საკაცობრიო კულტურის მთელი ისტორიისათვის.

ასეთი ნოვატორული თვისებების შემცველი სოციალისტური ლიტერატურის აღმოცენება უდიდესი ისტორი-

ული მნიშვნელობის მოვლენა იყო მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ოქტომბრის რევოლუციამ იხსნა საკაცობრიო კულტურა აუცილებელი დაკნინებისა და გადაგვარებისაგან, იმ გამოუვალ იდეურ-შემოქმედებითი ჩიხისაგან, რომლისკენაც ხელოვნებასა და ლიტერატურას უღმობლად მიაქანებდა საერთაშორისო იმპერიალიზმის, მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქა. ამ ეპოქაში განსაკუთრებით ნათელი გახდა სრული ქვეშაობა იმ მარქსისტული დებულებისა, რომ კაპიტალისტური წარმოება თავისი ბუნებით მტრულადაა განწყობილი სულიერი კულტურის ისეთი დარგებისადმი, როგორცაა ხელოვნება და პოეზია. თავისი ისტორიის ამ უკანასკნელ სტადიაში, კაპიტალისტურმა წყობილებამ არა მარტო უკუაგდო „ბურჟუაზიულ თავისუფლებათა“ ტრადიციები, არამედ ფეხქვეშ გათელა, აგრეთვე, ბურჟუაზიის ახალგაზრდობისა და პროგრესულობის ხანაში შექმნილი კლასიკური რეალისტური მწერლობისა და ხელოვნების ყველა საუკეთესო მონაპოვარი და სულიერი შემოქმედების ეს დარგები დაცემულობისა და დეკადანსის მოღობულ გზაზე დაქანა. მე-19 საუკუნის მიწურულისათვის დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში გაბატონებული დეკადენტური სამწერლო მიმართულებანი თანმიმდევრულად გამოთიშავდნენ ლიტერატურასა და ხელოვნებას ცხოვრებისაგან, სოციალური სინამდვილის თემებისა და პრობლემების სამყაროსაგან, განუყოფლად აირცელებდნენ და ნერგავდნენ მასში მისტიციზმის, ავადმყოფური ინდივიდუალიზმის, კაცთმოძულებისა და ბნელი პესიმიზმის გესლს. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ანატოლ ფრანსს, რომელიც 1890 წელს ამბობდა: „ჩვენი თანამედროვე ლიტერატურა უგზო-უკვლად ქანაობს პირუტყვულად უხემ ნატურალიზმსა და ექსალტირებულ მისტი-

ციზმს შორის. ჩვენ ტალახში ვართ, ან ღრუბლებში“.

აი, ან ტალახსა და ღრუბლებში ვართ უგზო-უკვლად ქანაობისაგან გამოიყვანა ლიტერატურა და ხელოვნება ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ, რომლის პირმშოც არის საბჭოთა ლიტერატურა. საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ხალხის სულიერი შემოქმედების ყოველი დარგის იმ ღრმა განახლებამ და გარდაქმნამ, რომელიც დიდმა ოქტომბერმა გამოიწვია, არა მარტო შექმნა ახალი ტიპის ლიტერატურა ჩვენს ქვეყანაში, არამედ ახალი შემოქმედებითი ცხოვრება შთაბერა ჩვენი საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის ისეთ დიდ წარმომადგენლებს, როგორც იყვნენ ბარბიუსი და როლანი, შოუ და ჰერბერტ უელსი, დრაიზერი და ჰაინრიხ მანი, და სხვები. ახლა საბჭოთა მწერლობას მრავალი გამოჩენილი თანამოაზრე და თანამებრძოლი ყავს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყოველი ცივილიზებული ხალხის ლიტერატურაში. სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითმა მეთოდმა გააქცელება ჰჰოვა მთელს მსოფლიოში. უცხოეთის პროგრესული ლიტერატურის ეს ფრონტი ახლა იმდენად გაიზარდა და გაძლიერდა, რომ თვით საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარება უკვე შეუძლებელი ხდება იმ შემოქმედებითი გამოცდილების გაუთვალისწინებლად, რომელსაც შეიცავს ლუი არაგონისა და პოლ ელიუარის, იოჰან ბეხერისა და ბერტოლდ ბრეხტის, ჟორჟი ამადუსა და პაბლო ნერუდას, ნაზიმ ჰიქმეთისა და დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაქის სხვა სახელმწიველი მწერალთა წიგნები.

სოციალიზმისათვის მსოფლიოს ხალხების ბრძოლასთან აშკარად და სისხლხორცეულად დაკავშირებულ ამ მწერლობას მხარს უჭერს და თანამოსანგრეობას უწევს კრიტიკული რეალიზმის თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურა. ოქტომბრის რევოლუციის შედეგად ორ ურთიერთმოწინააღმდეგე ბანაქად გა-

თიშვის თანამედროვე სამყაროში სოციალური და იდეოლოგიური კონფლიქტების და წინააღმდეგობათა უკიდურესმა გამოწვევებამ გაამძაფრა და გააღრმავა ევროპული და ამერიკული თანამედროვე კულტურის მრავალი საუკეთესო ოსტატის კრიტიკულ-მამხილებელი დამოკიდებულება კაპიტალისტური სამყაროს განუკურნებელ მანკიერებათადმი, მისი ანტიხალხური წყობილების, კაცთნოქლეობრივი მორალის, ანტიუმანისტური ხელოვნებისადმი. ასეთი მგზნებარე მამხილებელი პათოსით არის გამსჭვალული თომას მანის, ჰემინგუეის, ფოლკნერის, კოლდუელის, ბიოლის, არტურ მილერისა და სხვა მრავალი საქვეყნოდ სახელგანთქმული თანამედროვე პროგრესული მწერლის შემოქმედება.

თანამედროვე კრიტიკული რეალიზმის ეს დიდი მწერლობა, სოციალისტური რეალიზმის მწერლობასთან ერთად, შეადგენს ახლა იმ ჯანსაღ, მოწინავე მძლავრ რეალისტურ მიმდინარეობას, რომელთანაც ორთაბრძოლაში ესოდენ უძლურად და უნიადაგოდ გამოიყურება რეაქციული დეკადენტობის მღვრიე ნაჟადი — ყველა ეს ეკზისტენციალიზმები, აბსტრაქციონიზმები და „ავანგარდისმები“, „ანტირომანის“, „ანტიდრამის“, „აბსტრდის თეატრის“ და სხვა მათი მსგავსი მრავალრიცხოვანი „სკოლები“ და თეორიები“.

ასე ძირფესვიანად შესცვალა ოქტომბრის რევოლუციამ მსოფლიო ლიტერატურის განვითარების კანონზომიერება, რომლის განმსაზღვრელ და მამოძრავებელ ძალას სოციალისტური მწერლობა წარმოადგენს.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურასოციალისტური ეპოქის, ახალი სამყაროს ლიტერატურაა. მართალია, იგი ჩვენს სამშობლოში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე ბევრად ადრე წარმოიშვა, მაგრამ მისი აღმოცენება-განვითარების მთელი ისტორია განუყოფლად არის დაკავშირებული სოციალისტური რევოლუციის გამარჯვე-

ბისათვის ჩვენი ხალხის მიერ წარმოებული ბრძოლის ისტორიასთან. სწორედ „ოქტომბრის გენერალური შეხვეტიცის“ — რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში და ამ რევოლუციის სამზადისის პერიოდში დაირწა სოციალისტური მწერლობის აკვანი და აღმოცენდა მისი საუკეთესო იდეურ-შემოქმედებითი ტრადიციები.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც იწყებოდა ჩვენი ქვეყნის გმირული პროლეტარიატის დარაზმვა მემამულურ-კაპიტალისტურ წყობილებამდე იერიშის მისატანად, გენიალურმა რუსმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის ლიტერატურას — სოციალიზმის გამარჯვებისათვის მშრომელი ხალხის ბრძოლასთან პირდაპირ და აშკარად დაკავშირებულ მწერლობას.

დიდმა ლენინმა რუსეთის პირველი რევოლუციის აღმავლობის პერიოდში დაწერილ თავის ისტორიულ წერილში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ გენიალური სიღრმით განსაზღვრა ამ ახალი ლიტერატურის — რევოლუციური პროლეტარიატის კლასობრივი მწერლობის ბუნება, მისი ისტორიული დანიშნულება, მისი უპირატესობანი თავად-აზნაურულ და ბურჟუაზიულ ლიტერატურასთან შედარებით: „ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელთადმი თანაგრძნობა მიიზიდავს მის რიგებში ახალ და ახალ ძალებს. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი ემსახურება არა მადლარ ჰეროიკას, არა სიმსუქნისაგან მოწყენილსა და შეწუხებულ „ზედა ათიათასებს“, არამედ მშრომელ მილიონებს და ათეულ მილიონებს. რომლებიც შეადგენენ ქვეყნის მშვენიებას, მის ძალას, მის მომავალს“.

თავიდანვე სოციალისტური რეალიზმის მწერლობა მკვეთრად დაუპირისპირდა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ-დეკადენტურ ლიტერატურულ

მიმართულებებს და მათი ზეგავლენით ჩვენს ქვეყანაში წარმოშობილ ანტირეალისტურ სამწერლო სკოლებს. თუ სასიკვდილოდ განწირული ბერეუზიის მწერლობა ღრმად იყო გამსჭვალული ნიცშეანური კაცთმოდულებისა და ანტიპუმანიზმის გესლით, შოპენჰაუერის ბნელი პესიმიზმით, დაცემულობისა და უიმედობის გრძობით, თუ იგი მისტიციზმისა და ავადმყოფური ინდივიდუალიზმის რკალში ემწყვდებოდა და თავისი ანტიხალხური, რეაქციული ბუნების შესაბამისად ქადაგებდა ლოზუნგს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის რევოლუციური აღმავლობის ნიადაგზე წარმოშობილი მწერლობა ჭეშმარიტი პუმანიზმისა და მაღალი ადამიანური იდეალის აპოლოგიით იწყებდა თავის სახელოვან ისტორიას, იგი იმთავითვე ნათელი ოპტიმიზმისა და ქედუხრელი თავისუფლებისმოყვარეობის გრძობით იყო შთაგონებული, ხალხის ინტერესებისადმი სამსახურის, ხალხის უწყინდესი მისწრაფებების გამოხატვის, ჭეშმარიტი ხალხურობის ანოცანები განსაზღვრავდნენ მის სტილს, მხატვრული მეტყველების საშუალებათა სისტემას.

საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი, მისი პირველი და უდიდესი კლასიკოსი იყო გენიალური რუსი მწერალი მაქსიმ გორკი. საბჭოთა პოეტური კულტურის საუკეთესო ტრადიციათა შემოქმედი იყო ჩვენი ეპოქის უდიდესი რუსი პოეტი — ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელსაც არა მარტო იდეური სიღრმისა და აქტუალობის მხრივ, არამედ პოეტური ძალის, ნოვატორობის, შემოქმედებითი დიაპაზონის სიფართოვის მხრივაც ღღემდე ბადალი არ მოეპოვება ჩვენი საუკუნის მსოფლიო პოეზიაში.

სოციალისტური რეალიზმის მწერლობის შემოქმედებითი ტრადიციების ჩამოყალიბება-განმტკიცების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს საუკეთესო რუსმა საბჭოთა მწერლებმა და პოეტებმა.

მაგრამ მარტო რუსული მწერლობა

როდი განსაზღვრავს საბჭოთა ლიტერატურის ზრდასა და განვითარებას.

საბჭოთა კავშირის ყოველ ხალხს, დიდია იგი თუ მცირე მოსახლეობის რაოდენობითა და ტერიტორიის მოცულობით, თავისი ძვირფასი წვლილი შეაქვს სოციალისტური მწერლობის — საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში.

მრავალეროვნული საბჭოთა მწერლობა მოძმე საბჭოთა ხალხების რამდენიმე ათეული ეროვნული ლიტერატურისაგან შედგება. ეს ლიტერატურანი განუყრელად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი ერთიანი მსოფლმხედველობით, ერთიანი შემოქმედებითი მეთოდით, ერთიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მისწრაფებებით. ცხადია, ეს ერთიანობანი წარმოშობს საბჭოთა ეროვნულ მწერლობებში თემატიურ მსგავსებებსა და მხატვრული გამოშახველობის ანალოგიურ საშუალებებს. მაგრამ საბჭოთა ლიტერატურის მთელი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის გამოცდილება ამკარად და უდავოდ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ რაც უფრო მეტად უახლოვდებიან და უკავშირდებიან ერთმანეთს საბჭოთა ხალხების ეროვნული მწერლობანი, რაც უფრო მტკიცე ხდება მათი ურთიერთშემოქმედება და ურთიერთგანაცოფიერება, მით უფრო მდიდრდება და მალღდება ყველა ეროვნული ლიტერატურა, მით უფრო მკაფიოდ ვლინდება თითოეული მათგანის ნაციონალური თვითნყოფობა, განუუმორებელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებანი.

ოქტომბრის რევოლუციამ გამოიწვია და უზრუნველყო რამდენიმე ათეული საბჭოთა ეროვნული მწერლობის აღმოცენება. ეს იმ საბჭოთა ხალხების მწერლობაა, რომელთაც რევოლუციამდე არამც თუ საკუთარი მხატვრული ლიტერატურა, თავისი ეროვნული დამწერლობაც კი არ გააჩნდათ. ახლა ამ ახლად წარმოშობილ მწერლობებში იქმნება მრავალი ისეთი მაღალმხატვრული ნაწარმოები, რომლებიც დამსახურებულ-

ლად იხვეჭენ საკავშირო, ხოლო ზოგიერთი მათგანი კი მსოფლიო აღიარებას. იმ საბჭოთა ხალხების მწერლობათ კი, რომელთაც კულტურულ შემოქმედების მდიდარი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვთ, სოციალისტურმა რევოლუციამ მოუტანა უღრმესი განახლება და ნამდვილი აღორძინება, შეუქმნა მათ თავისუფალი, შეუზღუდველი და დაუბრკოლებელი განვითარების ისეთი ფართო შესაძლებლობანი, როგორც წარმოდგენილი და მიუღწეველი იყო წარსულში.

სწორედ ასეთ ლიტერატურათა მცირე რიცხვს ეკუთვნის ქართული საბჭოთა მწერლობა, რომელსაც ერთ-ერთი მოწინავე ადგილი აქვს დამკვიდრებული მოქმე საბჭოთა ეროვნული ლიტერატურების ერთიან ოჯახში.

იმ საერთო ფაქტორების გარდა, რომელთაც გამოიწვიეს და უზრუნველყვეს სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის ლიტერატურის განუზრელი და უმაგალითოდ სწრაფი აღმავლობა, ქართულ საბჭოთა ლიტერატურას აქვს განვითარების საკუთარი მეტად მნიშვნელოვანი წინაპირობაც. ეს არის ის უმდიდრესი შემოქმედებითი ტრადიციები, რომლებიც უანდერძა თანამედროვე ქართულ მწერლობას ჩვენი ნაციონალური ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ.

მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ყოველ ეტაპზე ქართული კლასიკური მწერლობა განუყოფლად იყო დაკავშირებული ხალხის თავდადებულ ბრძოლასთან თავისი ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის, ასახავდა და უმღეროდა ამ ბრძოლას, ხატავდა სამშობლოსათვის, ხალხის თავისუფლებისათვის თავგანწირულ გმირთა სახეებს, დიდების უჭკნობი შარავანდედით მოსავდა მათ.

ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის სინამდვილესთან, ეპოქის პროგრესულ იდეებთან ასეთი განუყოფელი კავშირი, ხალხურობა, პატრიოტიზმი, გმირობისა

და ვაჟაკობის სული შეადგენენ იმ საუკეთესო ღირსებებს, რომელთა მეოხებითაც ქართული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებმა ნამდვილი უკვდავება მოიპოვეს ხალხის გულში, როგორც ჩვენმა სამაჟოწინაპრებმა და დიდმა წინამორბედებმა. სოციალისტური ლიტერატურის აღმოცენების დროისათვის ქართული მწერლობა საესებით მომზადებული აღმოჩნდა იმისათვის, რომ იმთავითვე შეერთებოდა ამ ახალ ტიპის მწერლობას და ღირსეული ადგილი დაეჭირა მის განვითარებაში. ამისათვის აზადებდა ჩვენს ეროვნულ ლიტერატურას მისი საუკუნოვანი, ჰემარატიად გმირული და რევოლუციური ტრადიციები.

თავისი მგზნებარე და ქედუზრელი მებრძოლი სული, უღრეკი თავისუფლებისმოყვარეობა და დაუცბრომელი მისწრაფება ჰვეყნად სიმაართლისა და სამართლიანობის გამარჯვებისა ქართველმა ხალხმა ჯერ კიდევ თავისი გენიით შექმნილს, ღმერთებთან შერკინებული ამირანის ტიტანურ სახეში განახორციელა. სწორედ ქართველმა გენიალურმა პოეტმა შოთა რუსთაველმა პირველმა აღმართა ბნელეთით მოცულ შუასაუკუნეობრივს მსოფლიოში ჰუმანიზმისა და თავისუფლებისმოყვარეობის მძლავრი დროშა, პირველმა უმღერა ჰვეყნად სიკეთის, სინათლის, სამართლიანობის დამკვიდრებისათვის მებრძოლი ადამიანის უძლეველ გმირობასა და ვაჟაკობას, პირველმა იწინასწარმეტყველა სიბნელისა და ბოროტების, მონობისა და ტირანის ციხე-სიმაგრეთა დამშობის გარდუვალობა, ცხოველყოფელი მზის ამობრწყინება და მისი მარადიული განუყოფელი მეუფება.

გასული საუკუნის დამდეგს ჩვენმა დიდმა ეროვნულმა პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა მსოფლიო რომანტიული პოეზიის ერთ-ერთ უჭკნობ შედეგურში, დიდებულ ლირიკულ-ფილოსოფიურ ლექსში „მერანში“ განასახიერა

ნათელი მომავლისაკენ ადამიანის შეუპოვარი და ქედუხრელი სწრაფვის იდეა.

ილია ჭავჭავაძემ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ თავის „ანტილიში“ ამცნო ქვეყანას მონობის დაქანგებულ ბორკილთა მსხვერვის, შრომის სუფევის მოახლოება. მან შთაგონებული ლექსი მიუძღვნა პარიზის კომუნის გმირულ ბრძოლას, და ჩვენ არ ვიცით სხვა პოეტური ნაწარმოები, რომელიც ასე ცხოვლად გამოხმაურებოდეს მსოფლიო ისტორიის ამ ერთ-ერთ ყველაზე დიდებულ რევოლუციურ ეპოქას.

აკაკი წერეთელი კი — საქართველოს ეს უკვდავი ბუღბული, ხანდაზმულობის მიუხედავად, ნამდვილი ჰაბუტური აღფრთოვანებით გამოვიდა 1905 წლის რევოლუციის ბარიკადებზე და თავისი საბრძოლოდ აღმაგზნებელი სიმღერები შეუერთა მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების დასამხოვად ამხედრებული ხალხის მრისხანე ყიფინას. 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების მგზნებარე დღეებში ქუხდა ჩვენი დიდი ეროვნული პოეტის მომწოდებელი სიტყვები: „ძირს მთავრობა, ძირს და ძირსო!“ „ოქტომბრის გენერალური რეპეტიციის“ პერიოდის ლიტერატურაში არ მოიპოვება ასეთი ძალის შთაგონებელი და აღმაფრთოვანებელი პოეტური ქმნილება.

უკვე გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ქართულ პოეზიაში აღმოცენდა რევოლუციის ქარიშხალს მძლავრი მხატვრული სახე. ამ პერიოდის გამოჩენილმა ქართველმა რევოლუციონერმა პოეტმა იროდიონ ევდოშვილმა თავის პოპულარულ ლექსში „სიმღერა“ გამოთქვა განთიადის მოციქული ქარიშხლის მოახლოების წინათ-გრძნობა და ალტაცებით მიესალმა ამ ქარიშხალს.

ეს რამდენიმე მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი წინამძღვრები და ღრმა ფესვები მოიპოვებოდა ქართულს მწერლობაში, ყველაზე თანმიმდევრულად რევოლუციურ და რეალისტურ მწერლობას — სოციალისტურ

რეალისმის მწერლობას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ როგორც კი გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის „წერილი პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ — ეს მანიფესტი ახალი, სოციალისტური ლიტერატურისა, საქართველოში დაუყოვნებლივ პოეზია გამოძახილი ამ ჰემშირითად ისტორიულმა დოკუმენტმა. ბოლშევიკურ გაზეთში „ნოვია ვიზნა“ ლენინის ამ ნაშრომის გამოქვეყნებიდან ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, თბილისის ბოლშევიკურმა პრესამ თავის მკითხველებს ამცნო ამ დოკუმენტის ძირითადი დებულებანი და აქტიურად მხარი დაუჭირა მათ. ესეც ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ძვირფასი რევოლუციური ტრადიციების მომასწავებელი მკაფიო ფაქტი იყო.

მაგრამ ოქტომბრის წინა პერიოდში ქართული კლასიკური ლიტერატურის ეს სახელოვანი, დემოკრატიული, პატრიოტული და რეალისტური ტრადიციები დაყინებისა და გადაგვარების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. 1905-07 წწ. რევოლუციის დამარცხების ნიადაგზე ჩვენი ინტელიგენციის გარკვეულ ფენებში გავრცელებულმა უიმედობისა და გულგატეხილობის განწყობილებებმა მწერლობაში წარმოშვეს ცხოვრების სინამდვილიდან, სოციალური თემებისა და პრობლემატიკისაგან განიზვნის ტენდენცია, რამაც ნიადაგი შეამზადა ქართულ ლიტერატურაში უცხოური დეკადენტური სამწერლო მიმდინარეობათა გავლენების გავრცელებისათვის.

ამან დიდად შეანელა ოქტომბრის წინა პერიოდში ქართული პოეზიის ხალხზე ზედმოქმედების ძალა. პოეზია კარგავდა თავის საუკეთესო ღირსებას — ხალხურობას, იგი მიექანებოდა აპოლიტიკურობისა და უიმედობის ჰაობისაკენ. პოეტური მეტყველების სფეროში სულ უფრო ფართოდ ინერგებოდა ბუნდოვანების, მანერულობის, თვითმიზნურობის, ფორმალიზმის ცდუნებანი.

მხატვრული პროზის დარგში ანტი-რეალისტურმა სამწერლო სკოლებმა

პრინციპულად უარყვეს ფართო ებიუ-რი უარების, კერძოდ, რომანის ტრადიციები და ქართულ პროზაში უიდეო მინიატურებისა და ნოველების ფორმა გააბატონეს. დრამატული მწერლობაც, ცალკეული გამონაკლისების გარდა, ასეთისავე გაღარიბებისა და დაქვეითების გზას დაადგა.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ნიადაგზე შექმნილმა ახალმა წინსაღმა სოციალურმა ატმოსფერომ ბუნებრივად მოითხოვა და გამოიწვია კიდევ ჩვენი ეროვნული ლიტერატურის განვითარებაში ასეთი ავადმყოფური მოვლენების დაძლევა და ქართული კლასიკური მწერლობის საბელოვანი ტრადიციების ახლებურად აღორძინება და გაგრძელება. ამიერიდან ქართული მწერლობა მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის განუყოფელ ნაწილად იქცა და მან თანმიმდევრულად იწყო აღმავლობა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების გზით.

ახალმა სოციალურმა სინამდვილემ თანდათანობით გარდაქმნა და განაახლა რევოლუციამდელი თაობის საუკეთესო მწერალთა შემოქმედებითი ცხოვრება. მწერლობაში მოვიდნენ ხალხის წიაღიდან დაწინაურებული ახალი შემოქმედებითი ძალები. მწერლობა გამდიდრდა სოციალისტური სინამდვილის თემებითა და პრობლემებით, გაფართოვდა ლიტერატურის თემატური დიაპაზონი, გაღრმავდა მისი კავშირ-ურთიერთობა ცხოვრებასთან, ხალხის ბრძოლისა და შრომის ყოველდღიურობასთან. თანმიმდევრულად გაძლიერდა ლიტერატურის ხვედრითი წონა ხალხის სულიერ ცხოვრებაში, ამაღლდა მისი იდეური დონე.

ქართული ლიტერატურა გამოვიდა ფართო საკავშირო და, მამასადაძე, საერთაშორისო სარბიელზე. ქართველმა საბჭოთა მწერლებმა აქტიური შემოქმედებითი ურთიერთობა დაამყარეს რუსულ და სხვა მოქმე ხალხთა საბჭოთა ლიტერატურის ოსტატებთან. ქართული მწერლობის ხმა გაისმა

მთელს საბჭოეთში და მისი სახეგრების მიღმაც. ქართული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის მრავალფეროვნებასთან ერთად ნაწარმოები ითარგმნა დადი რუსი ხალხის ენაზე, ჩვენი საშობლოსა და უცხოეთის მრავალი ხალხის ენებზე. ამან უსახელოდ გააფართოვა ქართული მწერლობის სარბიელი, რასაც არ შეეძლო კეთილმყოფელი გავლენა არ მოეხდინა ჩვენი ეროვნული ლიტერატურის განვითარებაზე.

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში ვრცელი და მრავალი წინააღმდეგობით აღსავსე გზა განვლო. მისი აღმავლობა მიემართებოდა მრავალი დაბრკოლების, ჩვეთების უცხო და მიუღებელი ლიტერატურული გავლენების გადალახვის, სოციალისტური რეალიზმის პრინციპებიდან სხვადასხვაგვარი გადახვევების წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებაში.

ამ ბრძოლებში იწრთობოდა და ვაეკაცდებოდა ქართული საბჭოთა ლიტერატურა, რომლის დღევანდელი ვითარების კონსპექტური სურათის წარმოდგენას ისახავს მიზნად ქვემოთ მოცემული უარობრივი მიმოხილვა იმ შემოქმედებითი მონაპოვებისა, რომლებითაც ქართული მწერლობა ეგებება დიად ისტორიულ თარიღს — ოქტომბრის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

საუკუნეთა მანძილზე ქართული მწერლობა ვითარდებოდა უცხოელ დამპყრობთა სისხლიანი თავდასხმების, მათ წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლების ვითარებაში, ან კოლონიური მონობისა და ეროვნული ჩაგვრის პირობებში. ეს ვარემოება ფრთებს აკვეცდა ჩვენი ერის შემოქმედებით ენერჯიას და, ცხადია, შემთავრებელ, სულის შემხუთველ ზეგავლენას ახდენდა მწერლობის ბედზე, მის განვითარებაზე. საქმარისია გავისხენოთ, რომ ე. წ. „აღორძინების პერიოდის“ თითქმის არცერთ გამოჩენილ ქართველ მწერალს არ ღირსებია საშობლოში სიკვდილი და განსვენება. ყველა მათგანმა, ბედისაგან

დევნილმა და სიცოცხლე გამწარებულმა, უცხოობაში, აუტანელ ტანჯვასა და მწუხარებაში დალია სული. აკი გულის სიღრმიდან მომდინარე დაუსრულებელი გოდებით, საწუთროსადმი გულმოკლული სამდურავით და უსაზღვრო სევდით არის განსჭვალული ამ პერიოდის მთელი ქართული პოეზია. ჭეშმარიტად მოწამებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა ქართული მწერლობა მე-19 საუკუნეშიც, როცა საქართველო თვითმპყრობელობის დამონებულ კოლონიას წარმოადგენდა. ცარიზმის ველური კოლონიზატორული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის ნაძალადევ გადაგვარებას, ქართული ენისა და ეროვნული კულტურის მოსპობას, ცხადია, პირველ ყოვლისა ეროვნული მწერლობის დევნასა და ყოველმხრივ შევიწროებაში გამოიხატა. უცხოობაში, აუტანელ სიმარტოვეში, სულიერ ობლობასა და ტანჯვა-წამებაში დალია სული ნიკოლოზ ბარათაშვილმა ისე, რომ ოცდაათი წლის ასაკსაც ვერ მიაღწია და თავისი ერთი ლექსის დაბეჭდვასაც ვერ ეღივრა. ილია ჭავჭავაძე, რომელიც გამუდმებულად მეფის ეანდარმერის ბოროტი ზედამხედველობისა და მეფის ცენზურის შემსუთველი მზვერავობის პირობებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, რომლის იუბილევ აკრძალეს ცარიზმის სატრაპებმა, ბოლოს ვერაგულად მოკლეს კიდევ საქართველოს უბოროტესმა მტრებმა. აკი პოეტი, უსაზღვრო მწუხარებით შეპყრობილი, მიმართავდა თავის საღმერთებელ სამშობლოს: „მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ, იმდენად უფრო მიყვდება გული“. „არ მშორდება მწუხარება და ჭირი“ — გოდებდა აკი წერეთელი და ამ გოდებაში თავისი სამშობლოს დუხჭირ ბედს დასტიროდა, რომლისგანაც განუყოფელი იყო დიდი პოეტის პირადი ცხოვრება და ბედიც. აკი ფშაველამ თავისი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი დარიბი მთიელი გლეხის მძიმე და გაუხარელი შრომის, ლეკმა-პურისათვის დაუსრულებელი ბრძო-

ლის პირობებში გაატარა. ცნობილია, რომ იგი იძულებული იყო ღარიბულ ქოხში, ბუხრის ცეცხლის კაღის სინათლეზე ეწერა თავისი გენიალური პოემები. ცნობილია, თუ რა აუწერელ სიღარიბეში, ტანჯვასა და მწუხარებაში დაასრულეს სიცოცხლე ალექსანდრე ყაზბეგმა და ეგნატე ნინოშვილმა. ასეთი იყო ბედი ქართველი მწერლებისა — კოლონიზირებული ერის მწერლობისა. ჩვენ დღეს, დიდი ოქტომბრის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს ნათელ დღეებში ვიგონებთ ყოველივე ამას იმისათვის, რომ უფრო ნათლად ვიგრძნოთ და განვიცადოთ, თუ ეროვნული და სოციალური ჩაგვრის როგორი წყვედიანისაგან იხსნა ქართველი ხალხი დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ. როგორი სულსშემსუთველი პირობებისაგან გამოიყვანა მან ქართული მწერლობა, მოუტანა და სამუდამოდ დაუმკვიდრა რა ჩვენს სამშობლოს საუკუნეებით ნანატრი და ნაოცნებარი ეროვნული თავისუფლება. ჭეშმარიტად ქართულ მწერლობას არასოდეს არ უცხოვრია ისეთი თავისუფალი, შეუზღუდველი და დაუბრკოლებელი ცხოვრებით, როგორიც მან საბჭოთა ეპოქაში მოიპოვა.

ქართულ მწერლობაზეც მთლიანად და სავსებით ვრცელდება ის დებულება, რომელიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისებში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“. ამ ისტორიული მნიშვნელობის ახალ პარტიულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „სოციალიზმმა ფართო გზა გაუხსნა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩამოყალიბდა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება, რომლის განმასხვავებელი ნიშნებია ღრმა ხალხურობა და კომუნისტური პარტიულობა, რევოლუციური ჰუმანიზმი და მოქალაქეობრიობა, სიმართლე და სინამდვილის ღრმად შესწავლა, შეურიგებლობა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი..“

ჩვენი ხელოვნებისათვის დამახასიათებელია მაღალი იდეური მომთხოვნელობა, შეუზღუდაობა ყოველივე იმისადმი, რაც ხელს უშლის წინსვლას, ნოვატორული სულისკვეთება და გაბედული შემოქმედებითი ძიება. საბჭოთა ხელოვნება ასახავს საბჭოთა ხალხის ისტორიულ გზას, საგმირო საქმეებსა და ბრძოლას კომუნისმის აშენებისათვის. ჩამოყალიბდა ახალი ტიპის ხელოვანი, რომელსაც თავის ნოქალაქეობრივ მოწოდებად მიაჩნია ახალი სამყაროს მშენებლობაში მონაწილეობა».

თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მთელს მანძილზე ქართულ მწერლობას არასოდეს ჰქონია შექმნილი ესოდენ შეუფერხებელი განვითარების, ხალხთან, ცხოვრებასთან ესოდენ ფართო და სისხლბორცეული კავშირითი ერთობის პირობები. ამის ნათელსაყოფად საკმარისია გავითვალისწინოთ წიგნის გამოცემლობისა და მხატვრული პრესის გავრცელების ის მასშტაბი, რომელიც საბჭოთა წყობილებაში მიღწეული და რომელზეც ოცნებაც კი არ შეეძლოთ ჩვენს უკედეგ წინამორბედებს. არასოდეს, თავისი ისტორიის არც ერთ სხვა ეპოქაში, ქართულ მწერლობას არ მიუღწევია ისეთი თემატური და ეპოქობრივი მრავალფეროვნებისათვის, როგორც ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ახასიათებს. არასოდეს აღვილი არ ჰქონია ქართულ მწერლობაში შემოქმედებითი ძალების ისეთს ერთდროულ სიუხვესა და მრავალნიშრობას, მწერალთა ახალი და ახალი თაობების ისეთ გამუდმებულსა და თანმიმდევრულს დაწინაურებას, როგორც საბჭოთა ეპოქაში. შეიძლება, ვადაუჭარბებლად ითქვას, რომ ჩვენ უკვე გვაქვს საბჭოთა ეპოქის ლიტერატურული კლასიკის ცალკეული გამოვლინებანი, ისეთი იდეურ-მხატვრული ძალისა და სიმაღლის ქმნილებანი, რომლებიც მკვიდრდებიან ხალხის ცნობიერებაში ჩვენი ეროვნული კლასიკური მწერლობის მიღწევათა გვერდით. არასოდეს არ ჰქონია ქართულ მწერლობას ზენოქმე-

დების ისე ფართო სარბიელი, ისეთი საერთაშორისო რეზონანსი, არაფრადეს არ მიუღწევია ქართველ მწერლის ტემას ისეთი შორეული სივრცეებისათვის, როგორც ჩვენს დროში.

ყოველივე ამას ქართველი ხალხი და ქართული მწერლობა კანონიერად უმაღლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას, რამაც ისე, როგორც ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყოველ სხვა სფეროში უღრმესი ცვლილებანი, ძვრები და სიახლენი გამოიწვია ლიტერატურულ შემოქმედების ყველა ეპოქაში.

2

ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო შემოქმედებითი ტრადიციების გამომუშავებისა და დამკვიდრების საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი საუკუნის დიდ ლირიკოსს გალაკტიონ ტაბიძეს. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია საუკეთესო გამოხატულებაა იმ დიდი გარდაქმნისა და განახლებისა, რომელიც სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში განიცადა ჩვენი მწერლობისა და, კერძოდ, პოეტური კულტურის ოსტატთა რევოლუციამდელმა თაობამ.

რევოლუციამდელ ქართველ მწერალთა შორის გალაკტიონ ტაბიძემ პირველმა გაბედულად და უყოყმანოდ უკუაგდო რევოლუციის წინა პერიოდის ჩვენს ლიტერატურაში გავრცელებული დეკადენტური პოზიციები და შთაგონებულად უმღერა ეპოქის დიად სოციალურ ძვრებს, ოქტომბრის ძლევაშოსილ დროშას, ამ დროშის გარშემო დარაზმული რევოლუციური მასების საბრძოლო და შრომით გმირობას.

გალაკტიონ ტაბიძემ პირადად განიცადა ოქტომბრის დიადი დღეების ეპოქა რუსეთში და საეპოქობრიო ისტორიის ამ უდიდესი მოვლენის უშუალო განცდამ ცხოველი გამოძახილი და გამოხატულება ჰპოვა მის პოეზიაში. ეს იყო პოეტის ახალი შემოქმედებითი

ცხოვრების დასაწყისი, რომელიც პოემით „ჯონ რიდი“ და ოქტომბრის ქარიშხლიანი დღეების ამსახველი მრავალი ლირიკული ლექსით აღწინაა. შემდეგ მთელ რიგ ახალ პოეტურ ქმნილებებში გალაკტიონ ტაბიძე ასახავს და უმღერის ოქტომბერს, როგორც ძველი სამყაროს ნგრევას, მსოფლიოს გათიშვას ორ მოპირდაპირე ბანაკად, კაცობრიობის ცხოვრების დიად განახლებას, მისი ნამდვილი ისტორიის დასაწყისს. მის პოემებსა და ვრცელ ლირიკულ ციკლებში: „ეპოქა“, „პაციფიზმი“, „მსოფლიო ორკესტრი“ და სხვ. შთამავგონებლად არის განსახიერებელი საბჭოთა ხალხის ურყევი რწმენა ოქტომბრის დღეებში შობილი ახალი სამყაროს ძლევაშილისა, მისი მასულდგმულეხელი იდეების გარდაუვალი გამარჯვებისა. პოეტის ყოველი ლექსი ეღერს „ახალი გრიგალებისადმი“ თავგანწირული ერთგულების, ეპოქის ქარიშხალთან ურყევად დგომის მგზნებარე მოწოდებად. შემდეგ პოეტი უფრო ორგანულად ეუფლება სოციალისტური სინამდვილის თემატიკას, უფრო კონკრეტულ გრძობად-სახეობრივ ფორმებში ასახავს ჩვენს სამშობლოში დამკვიდრებულ ახალი ცხოვრების მოვლენებს. მისი „რევოლუციური საქართველო“ პოეტური მატანეა ქართველი ხალხის განახლებული და აღორძინებული ცხოვრებისა, მისი ყველა ძირითადი მიღწევისა და წარმატებისა სოციალისტური მშენებლობის დიად გზაზე.

იშვითად ყოფილა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ისეთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც თავისი გამოძახილი და გამოხატულება არ ეპოვოს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში. შეიძლება გადაუტარებლად ითქვას, რომ ჩვენი საუკუნის ქართველ პოეტთა შორის გალაკტიონ ტაბიძემ ყველაზე მეტი სისასისთა და მრავალმხრივობით ასახა ჩვენი თანამედროვეობა, საბჭოთა ადამიანის სულიერ მიწრაფებათა სამყარო.

უფრო გვიან, მაგრამ უაღრესი თან-

მიმდევრობითა და გულწრფელობით გადმოვიდნენ სოციალისტური ლიტერატურის პოზიციებზე რევოლუციური ქართული პოეზიის სხვა უმნიშვნელოვანესი ოსტატებიც: იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე და სხვ.

იოსებ გრიშაშვილმა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გამოსათხოვარი საგალობელი უმღერა საკუთარი პოეტური წარსულისათვის დამახასიათებელი ეგზოტიკური, ვიწროდ-პირადული, ინტიმურ-ბოპემური თემებისა და განწყობილებათა სამყაროს და თავისი შემდგომი შემოქმედებითი ცხოვრება განუყოფლად დაუკავშირა ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და სოციალისტური აღმავლობის დიად ეპოქას. ჯერ ახალი თბილისის პოეტურ პეიზაჟებში გამოხატა მან მშობელი ქვეყნის განახლებისა და აღორძინების აღფრთოვანებულ განცდა. შემდეგ, ქართული საბჭოთა პოეზიის სხვა მოწინავე ოსტატებთან ერთად, ი. გრიშაშვილმა წრფელი და შთაგონებული სიმღერებით გამოთქვა საბჭოთა ხალხის განუზომელი ერთგულება და სიყვარული თავისი საბჭოთა სამშობლოსადმი. ამ დიად თემაზე დაწერილ ლექსებში ი. გრიშაშვილმა მიიღწია საბჭოთა ადამიანის უწმინდეს გრძობათა და მიწრაფებათა გამოხატვის ძალას. მის პოეზიაში დამკვიდრებულმა საბჭოთა პატრიოტიზმის გრძობამ განსაკუთრებული მგზნებარება მოიპოვა დიადი სამამულო ომის დღეებში. გულის სიღრმემდე ჩამწვდომი, ღრმა შენიჭებებითი ძალის ლექსებით მღეროდა გრიშაშვილი ამ უმაჯალითოდ გმირული ბრძოლის დღეებში ჩვენი სამშობლოს უკვდავებისა და უძლეველობის საგალობელს, აღიდებდა სამშობლოსათვის თავდადებულ ვაჟაკთა მკლავსა და გულს, ხატავდა სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის გმირული ცხოვრების ამსახველ სურათებს, ღრმად თავისებური ოსტატობით, მუსიკალობით, ფერადოვნებით, მგრძობელობით.

აღბეჭდილია მისმა პოეზიამ დიდი მოქალაქეობრივი აქტუალობა და იდეურობა შეიძინა.

საბჭოთა პოეზიის მოწინავე ოსტატთა რიგში დადგა აგრეთვე რევოლუციამდელი პოეტური თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ალექსანდრე აბაშელი. თუ ძველად მისი პოეზია აბსტრაქტულ პოეტურ სახეებში გამოხატავდა ქვეყნად ნათელისა და ბნელის ჭიდილს და გამოთქვამდა „შავი აჩრდილის“ მძვინვარებით დამფრთხალი და სასომიხილი ადამიანის სულისკვეთებას, ოქტომბრის ეპოქაში ალექსანდრე აბაშელი გახდა შთაგონებული მენოტბე და მომღერალი ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ და განუყოფლად დამკვიდრებული დიადი ნათელისა და მზიური ცხოვრებისა. „ფოლადური“ იყო ალ. აბაშელის ახალი პოეტური ცხოვრების დასაწყისის მომასწავებელი პირველი ნაწარმოებთაგანი. ჩვენი დიადი დროების სადიდებლად ამღერებული ლექსებით შემოვიდა პოეტი ჩვენი თანამედროვეობის თემებისა და იდეების განუსაზღვრელად მდიდარ სამყაროში და იქ იპოვა მან ჰემსარიტი პოეტური შთაგონების დაუშრეტელი წყარო. მისი პოეზია ცხოვრების ცოცხალი სინამდვილის გრძნობით განაყოფიერდა, მას ჩვენი გმირული სინამდვილის მღელვარე პათოსი დაეუფლა.

მიუხედავად იმისა, რომ სანდრო შანშიაშვილმა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მთავარ სარბიელად საბჭოთა წყობილების წლებში დრამატურგია აირჩია, მან მაინც ფრიად თვალსაჩინო წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის განვითარებაში. მისი ბალადები „დედისერთა ლენინთან“, „სნაიპერი“ და სხვა საბჭოთა პოეზიის ჰემსარიტი ხალხურობის განმამრკიციებელი შესანიშნავი ნაწარმოებებია.

სანდრო შანშიაშვილისათვის ოდესღაც დამახასიათებელი მითითურ-ლეგენდარული სიუჟეტებით, მისტიკური მო-

ტივებით, ქარბი ინდივიდუალიზმით გატაცებანი, ხალხის ყოფაცხოვრების კოლორიტულმა სურათებმა, მშობლიური ბუნების მეტყველმა პეიზაჟებმა, ხალხის უწმინდესი იდეალების ამსახველმა სიმღერებმა შესცვალეს.

ჩვენი თანამედროვეობის იდეებისა და თემების პოეტური განსახიერებისათვის გიორგი ქუჩიშვილმა გასული საუკუნის ქართული რეალისტური ლირიკის ტრადიციებს მიმართა. ამ გზით მოაღწია მან პოეტური შემოქმედების სისადავისა და ხალხურობის იმ ძალას, რომლის მეოხებითაც მისი ყოველი ლექსი ადვილად აღწევს ხალხის გულამდე და გამოძახილს პოულობს მკითხველთა ფართო ფენებში.

სოციალისტური სინამდვილის ზემოქმედებით ჩვენი პოეტური კულტურის ღრმად გარდაქმნისა და განახლების მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებითი ცხოვრება. რევოლუციის წინა პერიოდში ის ქართულ პოეზიაში ყველაზე მეტი თანამიმდევრობით განსახიერებდა სიმბოლისტურ-დეკადენტური მიმდინარეობის შემოქმედებითს მრწამსს და თავისი პოეტური შთაგონების სარბიელს მისტიკური წარმოდგენების, მირაჟებისა და ფანტომების სამყაროთი განსაზღვრავდა. საბჭოთა ეპოქაში მისი პოეზია დაეუფლა არა მარტო რეალური ცხოვრების თემატიკას, არამედ მხატვრული მეტყველების რეალისტურ ხერხებსა და საშუალებებსაც. დიდი ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი მისი ლექსი, მისი „ოქტომბრის სტრიქონები“, „ჩემო ქვეყანავ“, „ისეთი ლექსი დაწერო მინდა“ და სხვ. — საბჭოთა ეპოქის ქართული პოეზიის პირველხარისხოვან ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნებიან.

სწორედ საბჭოთა წყობილების წლებში შექმნილ ნაწარმოებთა მეოხებით მოიპოვა თვალსაჩინო ადგილი უახლოეს ქართულ პოეზიაში კონსტანტინე ჭიჭინაძემ. იგი თავისებური მსოფლშეგრძნებისა და პოეტური კონცეფციის ხელოვანი იყო. მას უფრო მშვიდი პოე-

ტური ხილვა ახსიათებდა, უფრო განყენებული, ზოგად-ადამიანური თემები და პრობლემები იტაცებდა, თუმცა სოციალისტურ თანამედროვეობის მოვლენებსაც მან არა ერთი კეშმარიტი ოსტატობით აღბეჭდილი პოეტური ნაწარმოები მიუძღვნა, როგორცაა, მაგალითად, „საქართველოში ცხევა ორი“, „ქიქას ასწევს ვარციხე“... „გმირი“ და მრავალი სხვა. მისი „რიონის აპოლოგია“ საბჭოთა პერიოდის ქართული პოეზიის ერთ-ერთი საანთოლოგიო ნაწარმოებია.

დიდი ადამიანური უშუალობა, წრფელი გაცნა, დახვეწილი გემოვნება ახსიათებს რაჟდენ გვეტაძის პოეტურ შემოქმედებას. მისი ლექსი ნათელი სახეების მეშვეობით გადმოგვცემს პოეტის მიერ ღრმად გაცნდილსა და ნაგრძნობს, მასში ყოველთვის ცოცხალი სინამდვილის სუნთქვაა განსახიერებელი. მრავალი მისი ნაწარმოები: „მერკვილადის დები“, „ვინც მწესავით ანათებს“, „ომში დაღუპულ შალამბერიძეს“ და სხვ. ფართო პოპულარობით სარგებლობენ, როგორც ხალხის უწრფელეს მისწრაფებათა გამომხატველი ქმნილებანი საბჭოთა პოეზიისა. ლირიკული მღელვარებითა და ემოციური დამახულობით ხასიათდებიან შალვა აფხაიძის ლექსები, რომლებშიც ცხოვლად მოისმის საბჭოთა პატრიოტის მგზნებარე გულისძგერა. ხან ნაზი მგრძნობელობით, ხან ხალხის საბრძოლო-პატრიოტული აღფრთოვანების გადმოცემი პათოსითა და სამშობლოს მტრებისადმი მრისხანებით გამსჭვალული მისი პოეზია ფიზიკური აზრისა და წრფელი გაცნდის ორგანულ მთლიანობაზეა დამყარებული.

თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი მაღალნიჭიერი ოსტატი კოლაუ ნადირაძე, რომელიც წლების განმავლობაში დეკადენტურ-სიმბოლისტური სკოლის ტყვეობაში იყოფებოდა, ახლა თავის შემოქმედებით პოეტნიკის უფრო ადამიანის პირად ინტიმურ გაცნადათა და განწყობილებათა განსახიერებაში ავლენს, ვიდრე დიდი სოციალური

იდებებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა ასახვაში. მგრამ მანაც კეშმარიტი შთაგონებით აღბეჭდილი არა ერთი ნაწარმოები შესძინა ქართულ საბჭოთა პოეზიას, მათ შორის, განსაკუთრებით გამოირჩევიან ახალი კოლხიდის პოეტური პეიზაჟები, საქართველოს დედაქალაქის თბილისის განახლებული ცხოვრების ამსახველი ლირიკული ქმნილებანი.

ქართული საბჭოთა პოეტური კულტურის განვითარებაში დიდად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს იმ პოეტებმა, რომლებიც თავის დროზე „ცისფერ-ყანწელთა“ დეკადენტური პოეტური სკოლის ინიციატორებად და მესვეურებად გვევლინებოდნენ. პაოლო იაშვილი საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველსავე დღეებში აღფრთოვანებული ლექსით მიესალმა თავისი სამშობლოს ამ დიად განახლებას. მისი ლექსი „ახალ საქართველოს“ ერთ-ერთი პირველი და საუკეთესო ნიმუში იყო ქართული საბჭოთა პოეზიის აღმოცენებისა, რევოლუციამდელი ქართული პოეზიის საუკეთესო ოსტატთა გულწრფელი გადმოსვლისა გამარჯვებული პროლეტარიატის პოზიციებზე. და თუნცა ოციანი წლების მანძილზე მის შემოქმედებაში მაინც საგრძნობი იყო სიმბოლისტური პოეტიკის ინერცია, ოცდაათიანი წლების დამდეგიდან მისი ცხოველი ტემპერამენტით აღბეჭდილი, მგზნებარე, ნათელი საღებავებით შესრულებული ლექსი წრფელად და გულის სიღრმეში დე ჩამწვედომი ძალით უმღეროდა ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ზრდა-აღმავლობის ეპოპეას. მისი ლექსები ახალ თბილისზე, სამგორზე, ჩვენი აღორძინებული ქვეყნის პოეტური პეიზაჟები, სატრფიალო ლირიკის მომხიბვლელი ნიმუშები და, ბოლოს, დაუმთავრებელი პოემის „გზა მშვიდობისას“ ფრაგმენტები, ყოველივე ეს ახალი ქართული პოეზიის საუკეთესო მიღწევათა რიცხვს ეკუთვნის. თავისი დიდი პოეტური ნიჭიერების სრული სიმწიფისა და რეალისტური ხე-

ლოვნების პოზიციებზე მტკიცედ დამკვიდრების ხანაში წავიდა იგი ჩვენგან. მაგრამ ნან მაინც შეძლო დაეტოვებია ისეთი მნიშვნელოვანი პოეტური მემკვიდრეობა, რომელსაც ვერასოდეს გვერდს ვერ აუვლის საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობის ისტორია.

იგივე უნდა ითქვას თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიით და ცხოვრების გზით პაოლო იაშვილთან განუყრელი, მაგრამ სრულიად განსხვავებული, ღრმად თავისებური ინდივიდუალობის პოეტის ტიციან ტაბიძის შესახებ. უკვე ოციანი წლების მეორე ნახევრიდან იგი შეგნებულად თავს აღწევს დეკადენტურ გავლენებს და მტკიცედ შემოდის საბჭოთა პოეზიაში, როგორც მისი ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ოსტატი. მისი ლექსების დიდი ციკლი, კერძოდ, საბჭოთა სომხეთისადმი მიძღვნილი, ქართული საბჭოთა პოეზიის დიდი შენაძენი იყო ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურღვევი ძმობისა და მეგობრობის თემაზე. ამას მოჰყვა მისი ლირიკული პოემა „სამშობლო“, რომელიც საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა ნაციონალური სიამაყის წმინდა გრძნობის პირველი მაღალპოეტური განსახიერება იყო ჩვენს ახალ პოეზიაში. ღრმად ემოციური, განწყობილებათა უშუალოებითა და თანაც მძაფრი დრამატიზმით აღბეჭდილი მისი ლექსები გუფითადად უმღეროდნენ მშობელ ქვეყანას, მის დიდებულ ბუნებას, მის გმირულ წარსულსა და მისი ახალი ცხოვრების მშენებელ ადამიანებს. ვ. მაიაკოვსკისადმი, ერნსტ ტელმანისადმი, დოლორეს იბარურისადმი მიძღვნილი ლექსებით ტიციან ტაბიძემ დიდად გააფართოვა ქართული პოეზიის თემატიკური დიაპაზონი და მას უნივერსალური ქღერა შესძინა. ტიციან ტაბიძის პოემა „რიონი-პორტი“ ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები იყო ქართული საბჭოთა პოეზიისა ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულ სოციალისტური აღმშენებლობის კონკრეტულ თემაზე.

სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდში დაიწყო პოეტური მოღვა-

წეობა გიორგი ლეონიძემ, მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში ჰპოვა მან თავისი იშვიათად მდიდარი და ღრმად თავისებური შემოქმედებითი ინდივიდუალობის სრული გამოვლინების შესაძლებლობა. გიორგი ლეონიძე არა მარტო ქართული პოეზიის, არამედ მთელი მრავალეროვანი საბჭოთა პოეტური კულტურის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ოსტატი გახდა. იგი დიდი შინაგანი ლირიკული პათოსის, მგზნებარე ტემპერამენტის, დაუცხრომელი პოტენციის ხელოვანი იყო. ქართული ხალხური ზეპირსიტყვაობის მდიდარი საგანძური, ჩვენი კლასიკური პოეზიის საუკეთესო ტრადიციები და თანამედროვე მოწინავე საკაცობრიო პოეტური კულტურის უმაღლესი მიღწევები შეადგინენ საფუძველს, რომლის ნიადაგზეც გიორგი ლეონიძემ გამოიმუშავა საკუთარი პოეტური ხმა, თანაბარის ძალით გამოხმატველი თანამედროვეობის დიდი სოციალური მოვლენებისა და საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრების უაღრესად ინტიმური მხარეებისა. ღრმად ნაციონალური ქღერის მისი ფრთაასხმული პოეტური სიტყვა სწვდებოდა ჩვენი ხალხის დღევანდელი თუ წარსული გმირული ცხოვრების უსაზღვრო მრავალფეროვნებას.

გიორგი ლეონიძემ სრული უფლებით უწოდა თავის თავს სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი და ახალი ქართლის თანამედროვე. მართლაც პოეტური ფერწერის იშვიათი ოსტატობით დახატული პეიზაჟებით, ჩვენი ქვეყნის აღორძინების, ჩვენს სამშობლოში ახალი ცხოვრების ნათელის დამკვიდრების წარმომსახველი კოლორიტული სურათებით გ. ლეონიძემ პოეზიის უშრეტო შარავანდელით შემოსა ჩვენი დიადი დროება და მისი შემოქმედი ახალი გმირი. მაგრამ თანამედროვეობის სუნთქვით ღრმად გამსჭვალულ მის პოეზიას ამასთან ისტორიზმის იშვიათად გამახვილებული გრძნობაც ახასიათებდა. მრავალ უჭკნობ პოეტურ ქმნილებაში აღბეჭდა გ. ლეონიძემ ჩვენი სამშობლოს გმირუ-

ლი და სუსხიანი წარსულის ამადლევებელი ეპიზოდები ჩვენი საამაყო წინაპრებისა და წინამორბედების ნათელი სახეები. გიორგი ლეონიძემ ძვირფასი წვლილი შეიტანა საბჭოთა პოეტური ეპოსის განვითარებაშიც. მისი ისტორიული პოემა — „სამგორი“ და ლირიკული პოემები „ბერშოულა“ და „ფორთოხალა“ თანამედროვე ქართული ეპიური პოეზიის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება. „ფორთოხალაში“ დიდი შთაგონებით დახატული სახე ქართველი დედისა, შრომელი გლეხი ქალისა, რომელსაც რაინდულად გადაუტანია მრავალი მძიმე განსაცდელი და ვაი-ვაგლახნი, უმწიკვლოდ უმსახურნია სამშობლოსათვის და ერის მომავლისათვის, ხოლო ახლა გულწრფელად შეჰხარის კოლხეთის აღორძინებას და ახალი საქართველოს მშენებელ ადამიანებს, დღევანდელი ქართული პოეზიის დიდი მიღწევაა. ეპოპეაში „ბავშვობა და ყრმობა“ პოეტმა წარმოსახა ქართლის ბუნების გამომსახველი სურათები, ჩვენი ისტორიისა და ხალხის ყოფაცხოვრების კოლორიტული სცენები.

საბჭოთა წყობილების წლებში, განსაკუთრებით კი, დიადი ხუთწლეულებისათვის ბრძოლის წლებში, დამკვიდრა ილო მოსაშვილმა საბჭოთა პოეზიის მოწინავე ოსტატის რეპუტაცია. საბჭოთა პატრიოტიზმის თემა განსაზღვრავს, აგრეთვე, მისი პოეტური შთაგონებისა და შემოქმედებითი ცხოვრების ძირითად შინაარსს. მის ლექსებში ცხოვლად სახიერდება საბჭოთა ხალხის ვაჟკაცური სულისკვეთება, მისი ნათელი ოპტიმისტური რწმენა, ურყევი ნებისყოფა. აქედან წარმოდგება ილო მოსაშვილის პოეტური პალიტრის ნათელი, უჩრდილო საღებავები, მისი ლექსის მუსიკის განმსაზღვრელი ვაჟკაცური, მაჟორული, აღმაფრთოვანებული ჰანგი.

ასეთი ახალი შემოქმედებითი ცხოვრება შთაბერა სოციალისტური რევოლუციის ეპოქამ რევოლუციის წინა პერიოდის პოეტურ თაობათა საუკეთესო წარმომადგენლებს.

საყურადღებოა, რომ ქართული საბჭოთა პოეზიის სათავეებთან სწორედ ის პოეტები აღმოჩნდნენ, რომლებიც რევოლუციის წინა პერიოდში ჩამოყალიბდნენ, როგორც გარკვეული შემოქმედებითი ინდივიდუალობისა და იდეურ ესთეტიკური მრწამსის ხელოვანები. აღსანიშნავია, რომ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღეებში არც ერთი ქართველი მწერალი არ გაქცევია თავის განახლებულ სამშობლოს, არ გაპოლია უცხოეთში გახიზნულ ემიგრაციას. პირიქით, ქართველ მწერალთა რევოლუციამდელი თაობა არა მარტო მთლიანად მხარში ამოუდგა ახალი ცხოვრების მშენებელ ხალხს და საესეებით გაიზიარა მისი ბედი, მისი ყველა სიხარულიც და სიძნელებიც მშენებლობასა და ბრძოლაში, არამედ ამ თაობის საუკეთესო წარმომადგენლებს ფუძემდებლური როლიც დაეკისრა საბჭოთა ეპოქის ჩვენი მწერლობის აღმოცენებასა და განვითარებაში, კერძოდ კი, ქართულ საბჭოთა პოეზიის საუკეთესო იდეური შემოქმედებითი ტრადიციების გამომუშავებაში.

მაგრამ ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარების გზების ვაკაფისათვის, ჩვენი პოეტური კულტურის ახალი, სოციალისტური თვისებების ჩამოყალიბებისა და დამკვიდრებისათვის შემოქმედებითი ბრძოლის დიდი სიმძიმე მაინც პოეტების იმ ახალ პლუადას დაეკისრა, რომელიც თავისი წარმომოშობითა და მთელი შემოქმედებითი ცხოვრებით მთლიანად და უშუალოდაა დაკავშირებული ჩვენს სოციალისტურ თანამედროვეობასთან, საბჭოთა ეპოქაში წარმომოშობილი და აღზრდილი პოეტური პლუადის საუკეთესო წარმომადგენლებიც ერთნაირი შემოქმედებითი ბიოგრაფიით როდი ზასითდებიან. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო პოეტური ხმის, მხატვრული ინდივიდუალობის თავისებურებით, პოეტური ნიჭიერებისა და პოეტის სხვადასხვაობის თვალსაზრისით, არამედ

შემოქმედებითი ფორმირების გზების მხრივაც.

თავისებური გზით მივიდა, მაგალითად, სოციალისტური ლირიკის შემოქმედებითი პოზიციებამდე საბჭოთა პოეზიის ისეთი გამოჩენილი ოსტატი, როგორც იყო სიმონ ჩიქოვანი. საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებთან არის დაკავშირებული მისი შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისი. მაგრამ თავისი პოეტური მოღვაწეობის პირველ ეტაპზე იგი ფუტურისტულ-ფორმალისტური „ნოვატორობის“, ე. წ. „სიტყვათქმედობის“ მისწრაფებებით უფრო იყო გატაცებული, ვიდრე რევოლუციური თანამედროვეობის იდეებისა და თემების პოეტური განსახიერებისათვის აუცილებელ ახალ რეალისტურ საშუალებათა ძიების ამოცანით. შემდეგ მისი პოეტური ზრდა და დაეკავებინა სწორედ სოციალისტური სინამდვილის მოვლენებთან შემოქმედებითი დაკავშირების გზით წარიმართა და სწორედ ამ გზაზე შიდალწია მან დიდი დიაპაზონის შემოქმედებით წარმატებებს. უკვე ოცდაათიანი წლების დამდეგისათვის სიმონ ჩიქოვანი ავტორი იყო მთელი რიგი შესანიშნავი ლექსებისა, რომლებშიც ასახულია ჩვენს სამშობლოში დამკვიდრებული ხალხთა დიადი მეგობრობის იდეა („კაცკასიიდან ტაგანროვამდე“), ჩვენს ქვეყანაში ძველი პატრიარქალური ცხოვრების ჯებირების შეუჩერებელი რღვევა („უშვულის კომკავშირი“), ჩვენი სინამდვილის გარემოცვაში ადამიანის სულიერი სამყაროს ძირფესვიანი გარდაქმნა და განახლება („შემოღამება ხახმატში“).

თანამედროვეობის კონკრეტული თემების განსახიერებისას იჩინა თავი სიმონ ჩიქოვანის პოეტური ბუნების საუკეთესო თვისებებმა: სიახლის გრძობამ, პოეტური აზრის სიმძაფრემ და აქტუალობამ, პოეტური მონაფიქრის ღრმა იდეურობამ, მრვლენათა პლასტიკური გამოხატვის ძალამ, პოეტური

ფერწერის სიმკვეთრემ და კოლორიტულობამ, მხატვრული მეტაფორების ახალ საშუალებათა ძიებაში ენგაჟირებული დულეობამ და გონებაშახვილობამ.

ჩვენი სინამდვილის ყოველი მოვლენა სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში განსახიერებულია საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ახალ თვისებათა მკაფიოდ გადმომცემი საშუალებებითა და სწორედ საბჭოთა ადამიანის ღრმად საღლეისო მისწრაფებათა ნათელით მოსაგვს პოეტი ჩვენს სახელოვან წარსულსაც, რომლის მრავალი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი და ისტორიული პერსონაჟიც გაცოცხლებულია მის მთელ რიგ საუკეთესო ნაწარმოებებში. ამ მხრივ პოეტის უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს — „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა ფართო გამოხმაურება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში.

ს. ჩიქოვანის პოეტური ციკლები „პოლონეთის გზაზე“ და „გოეთეს ცაცხვები“ ომის შემდგომი პერიოდის ქართული პოეზიის ყველაზე დამახასიათებელ მიღწევათა რიცხვს მიეკუთვნება. შემოქმედებითი ბიოგრაფიის დასასრულს ს. ჩიქოვანმა კიდევ ერთი ბრწყინვალე, მისი ნიჭიერებისა და ოსტატობისათვის შესაფერისი ფურცელი ჩაწერა თანამედროვე ქართული პოეზიის მატეანეში. ეს არის ორი დიდი ლირიკული ციკლი „განჯის დღიური“ და „შემოდგომის საღამოები აჭარაში“, რომლებიც ნათლად გვიჩვენებენ, თუ თავისი ნიჭიერების როგორი სიმწიფისა და მხატვრული აზროვნების როგორი გაღრმავების ასაკში წავიდა ჩვენგან პოეტური ხელოვნების ეს შესანიშნავი ოსტატი.

სწავლავარი შემოქმედებითი გზა განვლო სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში აღზრდილი პოეტური თაობის ისეთმა თელსაჩინო წარმომადგენელმა, როგორიცაა ალიო მირცხულავა (მამაშვილი). იგი საქართველოში საბჭოთა

წყობილების დამყარებისთანავე იწყებს პოეტურ მოღვაწეობას და თავიდანვე თავის შემოქმედებით ცხოვრებას გამარჯვებული პროლეტარიატის საბრძოლო მიზნებსა და მისწრაფებებთან აკავშირებს. მართალია, თავისი ვრცელი და მდიდარი შემოქმედებითი გზის მანძილზე მას არა ერთხელ განუცდია სხვადასხვა უცხო ლიტერატურულ მიმდინარეობათა ზეგავლენა, მაგრამ ეს ყოველთვის მოასწავებდა ზოლმე პოეტის დროებითს გადასხევას იმ ძირითადი შემოქმედებითი პოზიციიდან, რომელიც სოციალისტური პოეზიის ჩანსალი რეალისტური გზით განისაზღვრება.

ცნობილია, რომ პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლასთან უშუალოდ დაკავშირებული მიმდინარეობა ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ საბჭოთა წყობილების დამყარებამდე ჩაისახა და წარმოიშვა. მაშინ ეს მიმდინარეობა სანდრო ეულს, ნოე ზომლეთელის, იონა ვაყელის, იაქინთე ლისაშვილის, პეტრე სამსონიძის და სხვათა შემოქმედებაში გამოიხატა. საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველსავე პერიოდში პროლეტარულ მწერალთა ამ თაობამ ეურნალ „ქურას“ გარშემო თავი მოუყარა პროლეტარული მწერლობის ძალებს. მაგრამ პროლეტარული პოეზიის ამ პირველი თაობის შემოქმედებითი ბუნებისათვის დამახასიათებელი აბსტრაქტული თემატიკა, ე. წ. „კოსმიზმი“ და ახალი პოეტური ფორმის პრობლემისადმი უზრუნველი დამოკიდებულება შეუძლებელს ხდიდა ამ მიმდინარეობის მიერ ლიტერატურულ ფრონტზე ავანგარდული როლის მოპოვებასა და დამკვიდრებას. პროლეტარული პოეზიის მიერ ქართულ ლიტერატურაში წამყვანი და მოწინავე მდგომარეობის მოპოვება შესაძლებელი გახდა მწერლობის სარბიელზე იმ ახალი პლეადის გამოსვლის მეოხებით, რომლის ერთ-ერთი უძლიერესი და საუკეთესო წარმომადგენელია ალიო მირცხულავა.

თავიდანვე ალიო მირცხულავა გარკვევითა და მძაფრად დაუპირისპირდა ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურული სკოლების ინერციას. მის ლექსებში პირველად პოვა მკვეთრი პოეტური გამოხატულება კომკავშირული ახალგაზრდობის სულეირმა ზრახვებმა და მისწრაფებებმა. დიდი ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილი ლექსებით და ისეთი ნაწარმოებებით, როგორც იყო მისი „ლაითურის კომკავშირი“, „ძველი მახარა“, „რიქმა“ და სხვ., ახალგაზრდა პოეტმა ერთბაშად მოიხვეჭა პოლიტიკური ლირიკის გამოჩენილი ოსტატის რეპუტაცია. ამასთანავე იგი წერს საბჭოთა ხალხის ყოფა-ცხოვრებაში ჩარჩენილი წარსულის ბნელი გადმონაშთების წინააღმდეგ მიმართულ მძაფრ სატირულ ნაწარმოებებს; შემდეგ მუშაობას იწყებს საბჭოთა სინამდვილის ამსახველ ფართო პლანის ეპიკური ეპარის ნაწარმოებებზე, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პოემა „ენგური“.

ამავე პოეტურ თაობას ეკუთვნის თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის ფრიალ თავისებური და საინტერესო ოსტატი კარლო კალაძე. იგი თავიდანვე პოეტური მეტყველების ახალი და ორიგინალური საშუალებების ძიებით იყო გატაცებული და მისი ლექსი მართლაც ორიგინალურ პოეტურ მონაფიქრსა და სიტყვის ხელოვნების უაღრესად ინდივიდუალურ თვისებებს შეიცავს. მის ლექსებს სიუჟეტური კომპოზიცია ახასიათებს. იგი აფართოებს საკუთარი ლირიკული შემოქმედების ფარგლებს და ხშირად მიმართავს ეპიკური ეპარის, პოეტური აღწერილობისა და მომთხრობელობის ფორმებს. მას ეხერხება მშობლიური ბუნებისა და განახლებული ყოფა-ცხოვრების ცხოველი სურათების ხატვა. მისი ვრცელი ლირიკული ციკლები და ბალაღები „ხერთვისის განთაღები“, „მთების ეპოსი“, „ზღვის პირად“ მკაფიოდ გამოავლენენ პოეტის შემოქმედებითი ინდი-

ვიდეალობის დასახელებულ თვისებებს.

სულ ახლახან კარლო კალაქემ გამოაქვეყნა ლირიკული პოემა „ნამა,“ რომელიც მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის საუკეთესო მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მასში საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა თაობათა ურთიერთობის პრობლემა აღძრული და პოეტურად გადაწყვეტილი იმ ახალ სოციალ-მორალურ ატმოსფეროსთან დაკავშირებით, რომელიც დაჰყვირდა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, ჩვენი პარტიის XX ყრილობის შემდეგ. პოემის გმირი, ძველი ბოლშევიკი, რომელიც უსამართლოდ და დაუშმასხურებლად იყო რეპრესირებული 1937 წელს, ახლა, პოეტის ფანტაზიით გაცოცხლებული სიყვარულით შესცქერის თავისი შთამომავლობის — შვილისა და შვილიშვილის წარმატებებს, რომლებშიც განზოგადებულად ნაგულისხმევია და გააზრებული ჩვენი სამშობლოს განუხრელი მძლავრი აღმავლობა თავისი დიადი საბოლოო მიზნისაკენ მისწრაფებაში. პოემა ღრმა სიწრფელით, ნათელი აზრისა და ნელგაგრე გრძნობის ერთიანობით ხასიათდება; მასში მომზიბველი მხატვრული სიმართლეა მიღწეული, რასაც დიდად ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ნაწარმოების სიუჟეტი ერთგვარად ავტობიოგრაფიულ მასალაზეა აგებული.

ჩვენი საუკუნის ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე ქართულ საბჭოთა მწერლობაში მოვიდა პოეტების ახალი თაობა, რომელმაც თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით საგრძნობლად გააღრმავა და გააფართოვა ჩვენი პოეზიის კავშირი სოციალისტური სინამდვილის მოვლენებთან, ხალხის ბრძოლისა და შრომის ყოველდღიურობასთან, საბჭოთა ადამიანის სულიერ სამყაროსთან.

თავისი პირველივე ლექსებით ირაკლი აბაშიძემ გამოიჩინა იშვიათი ნიჭიერება და ძალა საზოგადოებრივი ცხოვ-

რების აქტუალური პრობლემების პოეტურად გააზრებისა, მათი ორგანულად დაკავშირებისა პოეტის უაღრესად ინტიმურ განცდათა სამყაროსთან, მათი ნაწინდელად ლირიკული განსახიერებისა. მან შესძლო ესთეტიკურ ხარისხში აყვანა და პოეტური ამღერების საგნად ექცია სოციალისტური ცხოვრების ყოველდღიურობის მოვლენები („ჩემს ობლიგაციებს“). ირაკლი აბაშიძის საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებებში მართალი და წრფელი განსახიერება ჰპოვა საბჭოთა-ახალგაზრდობის სულიერმა ბიოგრაფიამ („გადარჩენის ბალადა“), ოქტომბრის პირშო თაობის ხალისიანმა და ნათელმა განწყობილებებმა, მისმა ლანა, უჩრდილო, აღფრთოვანებულმა განცდებმა („პირველი თოვლის სიმღელერა“, „ყვავილები ქალაქში“, „მარადი გაზაფხული“).

ამ ლექსებში ირაკლი აბაშიძე გამოჩნდა მახვილი პოეტური სმენის, მძაფრი მგრძნობელობის, გულის სიღრმემდე ჩამწვდენი ლირიკული ხმის პოეტად. თანამედროვე ქართული პოეზიის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის ირაკლი აბაშიძის პოემა „წულუკიძის სიკვდილი“, მასში ცხოვლიდაა განსახიერებული გმირულ-რომანტიკული განცდა იმ დიადი რევოლუციური ბრძოლისა, რომელიც გაიშალა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ჩვენი საუკუნის დამდეგს.

ირაკლი აბაშიძის პოეტური ინდივიდუალობის თავისებურებამ განსაკუთრებული სიცხადით იჩინა თავი სამამულო ომის პერიოდში. ომის წლებში დაწერილმა მისმა არა ერთმა ნაწარმოებმა ღრმა გამოძახილი ჰპოვა ხალხის გულში, ხოლო ლექსმა „კაპიტანი ბუხაიძე“ ისეთი ხალხურობა და პოპულარობა მოიპოვა, როგორც მხოლოდ ჩვენი კლასიკური რეალისტური ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს ხედომიათ ხოლმე წილად.

ომისშემდეგი წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებული გმირული შრომის მაღალ-პოეტურ გამოხატულ-

ბას შეიცავს ირაკლი აბაშიძის ლექსების ორი ციკლი: „სიმღერა მკის დროს“ და „ჰყვავის გურია“.

გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საბჭოთა პოეზიაში ჩვენ არ გვქონია ხალხის შემოქმედებითი შრომის, შრომითი გმირობის ისეთი პოეტური ნაწარმი, როგორც მთავარი პოეტური ნაწარმი, როგორც მოცემულია ირ. აბაშიძის ამ ორ ლირიკულ ციკლში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ციკლებში დახატული ცოცხალი, სისხლ-ხორციით სავსე ადამიანთა პორტრეტები, რომლებშიც ღრმა განზოგადებითი ძალით არის განსახიერებული ჩვენი ხალხის, კერძოდ, საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანთა ხასიათის საუკეთესო თვისებანი, ჩვენი სამშობლოს რევოლუციური წარსულის გმირული რომანტიკა.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდისათვის დამახასიათებელი სიახლენი, რომლებიც აღმოცენდა და სულ უფრო მეტი ძალით მკვიდრდება ჩვენს მწერლობაში და, კერძოდ, პოეზიაში, ყველაზე მკაფიოდ და ღრმად გამოჟღავნდა ირაკლი აბაშიძის უკანასკნელ ლირიკულ ციკლებში: „მიხლოვება ნახევარ საუკუნესთან“, „რუსთაველის ნაკვალევზე“, და განსაკუთრებით კი „პალესტინა, პალესტინა“.

ამ თავის ახალ პოეტურ ქინძღებებში ირაკლი აბაშიძემ პოეტური აზროვნების ისეთ სიღრმეს მიაღწია მხატვრულ მეტყველების საშუალებათა ისეთ ორიგინალობას და სრულფასოვნებას, იდეურ-თემატური ჩანაფიქრისა და პოეტური ფორმის ისეთ პარამონიულ ერთიანობას, რომ ეს ნაწარმოებნი არა მარტო ირაკლი აბაშიძის პოეტური ბიოგრაფიის საუკეთესო მიღწევებს, არამედ უკანასკნელი ათწლეულის მთელი ქართული პოეზიის ყველაზე ძვირფას შენაძენს წარმოადგენენ. ლექსების წიგნი „პალესტინა, პალესტინა“ უკვე დამახარბებულ აღიარებას პოულობს მთელს საბჭოეთში და ლირიკულ ადგილს იჭერს მრავალეროვანი სოციალისტური ლირი-

კის პირველხარისხოვან ფასეულობათა საგანძურში.

პოეტმა ალექსანდრე გომიზშილიმა ლიტერატურულ სარბიელზე გამოვლისთანავე ყურადღება მიიპყრო, როგორც თავისებური თემატიკით, ისე სპეციფიკური პოეტური ხმით. თავდაპირველად მან განახლებული მთის ყოფა-ცხოვრების ამსახველი სურათები შემოიტანა პოეზიაში და, ამასთანავე, მთის პოეტურ ფოლკლორსა და, განსაკუთრებით, ვეჟა-ფშაველას შემოქმედებით ტრადიციებში ჰპოვა სათავე თავისი მხატვრული ინდივიდუალობისა. ყოველივე ახან თავისებური ელფერი მისცა მისი პოეზიის როგორც ლექსიკას, ისე მუსიკალურ ელფრას. უფრო გვიან მან თავისი დიაპაზონი გააფართოვა სამხედრო-თავდაცვითი თემატიკის, საბჭოთა არმიის საბრძოლო წრთვნისა და ყოფის ასახვით. პოეტის შემოქმედებითი დავაჯაცება გამოიხატა მისი ბალადების ვრცელი ციკლით, რომელიც მრავალფეროვანი თემატიკით ხასიათდება და პოეტური მომთხრობელობის განვითარებულ ოსტატობაზეა დამყარებული. მისი პოეტური ნიჭიერების ყველაზე მკაფიო გამოვლინებას წარმოადგენს ლექსი — „ადგილის დედა“, რომელიც ომისშემდეგი ქართული ლირიკის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება.

ლექსის მიმზიდველი სისადავით ხასიათდება გიორგი კაჭანიძის შემოქმედება, რომელიც საბჭოთა ხალხის ახალი, სოციალისტური ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენებს, ხოლო, უპირატესად, სოფლად სოციალისტური სამეურნეო და ყოფითი ურთიერთობის დამკვიდრების განმსახიერებელ სურათებს ხატავს. იგი პოეტური ნახატის დაკვირვებელი და გულმოდგინე ოსტატია. მისი ლექსები ყოველთვის განცდის სიწრფელითა და მხატვრული სიმართლით იზიდავს მკითხველის ყურადღებას.

თანამედროვე ქართული პოეზიის მოწინავე ოსტატების რიცხვს ეკუთვნიან დავით განიჩილაძე და ვიქტორ გაბეს-

კირია. დავით გაჩეჩილაძე მდიდარი ფანტაზიისა და ფაქიზი გემოვნების ხელოვანია. იგი ლექსს აშენებს რთული ასოციაციებისა და ახალი, მოულოდნელი პოეტური სახეების ნიადაგზე. დავით გაჩეჩილაძის კალამს ეკუთვნის სამამულო ომის პერიოდის ქართული პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ძახილი უკვდავებისა“, რომელშიც მაღალი პოეტური განსახიერება ჰპოვეს საბჭოთა პატრიოტიზმის წმინდა გრძნობამ, გმირი საბჭოთა ხალხის ვაჟაკურმა სულისკვეთებამ, ოპტიმისტურმა რწმენამ.

ვიქტორ ვაბესკირია თანამედროვე ცხოვრებისა თუ ისტორიული წარსულის სურათებს პოეტური მინიატურების ფორმით განასახიერებდა. მან გამოიშუშა მხატვრული მეტყველების საკუთარ საშუალებათა სისტემა, რომელიც მის ლექსს მკვეთრად გამოყოფს და განასხვავებს თანამედროვე პოეზიის მთელ მრავალფეროვნებაში. მის ლექსებში ღრმა შთაგონებითაა დახატული დასავლეთ საქართველოს ბუნების, კერძოდ, კოლხეთის ველის პეიზაჟები.

30-იანი წლების დასაწყისში შემოგმეტა ქართულ საბჭოთა პოეზიას ისეთი მრავალმხრივად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ძალა, როგორიცაა გრიგოლ აბაშიძე. თანამედროვეობის გრძნობითა და ნახვილი პოეტური აზრით აღბეჭდილი მრავალი ლირიკული ლექსის გარდა, გრიგოლ აბაშიძემ დაწერა რამდენიმე პოემა, რომლებიც თანამედროვე პოეზიაში ქართული კლასიკური პოეზიის დიდი ეპიკური ტრადიციების აღორძინებას მოასწავებენ.

ჭერ კიდევ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების პირველ წლებში დაწერა მან პოემა „შავი ქალაქის ვახაფხული“, რომელშიც დიდი მხატვრული ძალითაა ასახული ერთ-ერთი მკაფიო ეპიზოდი იმ პერიოდიდან, როდესაც საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა კლასი ბოლშევიზმის პოზიციების გარშემო ირანმებოდა. პოემა „გიორგი მეექვსე“ ისტორიულ სიუჟეტზე აგებული ეპიკუ-

რი ქმნილებაა, რომელიც მაღალი პოეტური ოსტატობით არის აღბეჭდილი. ამ პოემას ავტორი სამამულო ომის დღეებში წერდა, და ამიტომაც ნაწარმოები გამსჭვალულია იმ გმირული პატრიოტული აღფრთოვანების სულით, რომლითაც მოცული იყო მთელი საბჭოთა ხალხი იმ დიადი ბრძოლების ვითარებაში. სამამულო ომის პერიოდის ქართული პოეზიის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ნაწარმოებია პოემა „ძღვეის ქელი“, რომელშიც დიდი შთაგონებითაა ასახული კავკასიის დაცვის გმირული ეპოპეა.

სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის საუკეთესო ადამიანთა ტიპური სახეებია დახატული პოემაში „ზარზმის ზმანება“.

ამ პოემაში გრ. აბაშიძე პოეტური აღწერილობისა და მომხრობელობის იშვიათ ოსტატად გვევლინება. მას ეხერხება სიუჟეტის მწყობრად ჩამოყალიბება და მისი კომპოზიციურად შეკვრა, გარემოცვის სურათების ცხოვლად წარმოსახვა, პოეტური დიალოგის ბუნებრივი განვითარება.

ქართული საბჭოთა პოეზიის აქტიურ შემოქმედებით ძალეზად გვევლინება, აგრეთვე, გიორგი შატერაშვილი, მაყვალა მრეველიშვილი, კალე ბობოხიძე, ვარლამ ყურული, მარიკა ბარათაშვილი.

სამამულო ომის წლებში თვალსაჩინო ხვედრითი წონა მოიპოვეს ქართულ საბჭოთა პოეზიაში იოსებ ნონევილიმა, რევაზ მარგიანმა, ზურა ბერულავამ, ალექო შენგელიამ, თ. ჯანგულაშვილიმა, ვახტანგ გორგანელიმა, ანდრო თევზაძემ.

ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მაღალნიჭიერმა ახალგაზრდა პოეტებმა: ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულმა მირზა გელოვანმა და სევერიან ისინმა და ჩვენგან ნაადრევად წასულმა ლადო ასათიანმა და ალექსანდრე საჩაიამ.

რაც დრო გადის, უფრო მეტად იზრდება ლადო ასათიანის ადგილი და მნიშვნელობა ქართული საბჭოთა პოეზიის

განვითარებაში. მის მღელვარე, მძაფრი შინაგანი დრამატიზმით აღბეჭდილს, ემოციურად დაძაბულს ლექსებში ხან სამშობლოსადმი, მისი გამორული წარსულისა და ნათელი დღევანდლობისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა გამოხატული, ხან მშობლიური ბუნების სილამაზით აღტაცების განცდა, ხან უაღრესად ინტიმური ადამიანური განწყობილებანი და სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პრობლემებზე დაფიქრება. ამ ლექსებს აქვთ რალაც თავისებური, განუყოფელი მიმზიდველობის ის ძალა, რომელიც ცხოველ გამოძახილს პოულობს ხალხის, კერძოდ, ჩვენი ახალგაზრდობის გულში და თანმიმდევრულად აფართოებს პოეტის პოეტულარობას.

ცხოველ გამოძახილს პოულობენ მკითხველთა ფართო ფენებში იოსებ ნონევილის ლექსები, რომლებიც უმჯობესი ნიჭიერებითა და ნამდვილი შთაგონებით არიან აღბეჭდილნი. თავისი პოემით „ამბავი ერთი ქალიშვილისა“ და ღრმად აქტუალური ლირიკული ციკლებით, რომელთა შორისაც გამოირჩევა ლექსების წიგნი „ყაზახეთის ველზე“, და „სომხეთში“... პოეტმა დამსახურებულად მოიხვეჭა ფართო პოპულარობა და საპატიო ადგილი მოიპოვა საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ოსტატთა შორის.

უკანასკნელ წლებში ი. ნონევილმა ბევრი იმოგზაურა უცხოეთის ქვეყნებში. მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე ყოფნისას მიღებული შთაბეჭდილებანი მან განასახიერა ლექსებში, რომლებშიც საბჭოთა პატრიოტის მგზნებარე გულისძგერა ისმის, მისი კანონიერი ნაციონალური სიამაყის გრძნობაა გამოხატული. თანამედროვეობის უმწვავესი სოციალური კონფლიქტების ასპექტში პოეტი წარმოსახავს სხვადასხვა ხალხებისა და ქვეყნების ყოფის კოლორიტულ სურათებს, რომლებშიც ღრმა აზრობრივი განზოგადება მიღწეული. მომხიბვლელი სისადავე და ბუნებრივობა ი. ნონევილის პოეტური მეტყველებისა ბედნიერად არის

შეთავსებული ლექსის იდეურ აქტუალობასთან.

რევან მარგიანის წიგნი „მუქლი მუქ ხასა“ სამამულო ომის მონაწილე საბჭოთა მებრძოლის მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყაროს გამომხატველი ერთ-ერთი საუკეთესო წიგნია თანამედროვე პოეზიაში. მისი ლირიკული ლექსების ციკლები ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის თემებზე დიდად ამდიდრებენ და ამრავალფეროვნებენ თანამედროვე ქართულ პოეზიას. მშობლიური სევანეთისადმი მიძღვნილ ლექსებში რ. მარგიანმა პოეტური პეიზაჟებისა და კერძოდ, მთის ბუნების მხატვრობის საუცხოო ოსტატობა გამოიჩინა. ხოლო ლექსების ახალ წიგნში „გამოღვიძება“ პოეტმა ლირიკული გმირის ხელოვნური სამყაროში ღრმა წვდომის, გრძნობათა სიწირფელის, აზრის სიმძაფრის, პოეტური მეტყველების მაღალი ბუნებრივობისა და უშუალობის იშვიათ ხელოვნებას მიაღწია. ამ წიგნით რევან მარგიანმა მტკიცედ დამკვიდრა თვალსაჩინო ადგილი თანამედროვე ქართული ლექსის პირველხარისხოვან ოსტატთა რიგში.

სამამულო ომის ფრონტებზე განცდილ შთაბეჭდილებათა უშუალო და წრფელი პოეტური განსახიერების ძალა შეადგენს შალვა ამისულაშვილის ლექსების მთავარ ღირსებას.

ხუტა ბერულავას ლექსები და პოემები დიდი მოქალაქეობრივი ძლერით ხასიათდება. მათში პოეტი აღმაგზნებლად ეხმაურება ჩვენი ცხოვრების, თანამედროვეობის მღელვარე მოვლენებს. უკვდავი ლენინისადმი მიძღვნილი ლექსი ხ. ბერულავასი, სწორედ ბელადის უკვდავების იდეით შთაგონებული შესანიშნავი პოეტური ქმნილებაა, თანამედროვე ქართული პოლიტიკური ლირიკის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება. პოემაში „რუსული გული“ პოეტმა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული აღმაშენების სურათის ფონზე შთაგონებლად გამოხატა საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის უწმინდესი იდეა, რომელ-

მაც ახალი წრთობა მიიღო დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში.

ოთარ ჭელიძე უპირატესად სიუჟეტური ლირიკისა და პოეტური ეპოსის დარგში მოღვაწეობს. მისი ბალადები და პოემები, თანამედროვეობისა თუ ისტორიული წარსულის თემებზე დაწერილნი, ამრავალფეროვნებენ და აფართოებენ ქართული პოეზიის ჟანრობრივ დიაპაზონს. მურმან ლებანიძეს უპირატესად ჟანრული ჩანახატები, ჩვენი ხალხის განახლებული ყოფის კოლორიტული სურათები ემარჯვება. მისი ლექსები ხალხის ცოცხალი, სასაუბრო ენის ინტონაციებით არის გამდიდრებული. მისი ახალი პოემა „ციმბირის პაპა“ ისტორიულ-რევოლუციური ჟანრის ერთერთი ყველაზე მკაფიო ნაწარმოებია ქართულ პოეზიაში. სრულიად განსხვავებული მსოფლშეგრძნების პოეტიკა ალექო შენგელია. იგი უფრო თანამედროვეობის გმირის სულიერი ცხოვრების წიადში, მისი პირადული განცდებისა და განწყობილებების სფეროში პოულობს შთაგონების წყაროს, ამასთანავე პოეტი წრფელად უმღერის და ხატავს ჩვენი ქვეყნის ზრდისა და აღმავლობის დამახასიათებელ სურათებს. მაგალითად, მან ერთმა პირველთაგანმა მოგვცა ქართულ პოეზიაში ენგურპესის მშენებელ ადამიანთა ცოცხალი პორტრეტების გალერეა და ამ პორტრეტებში თანამედროვეობის გმირის ხასიათის ტიპიური თვისებანი განასახიერა.

პოეზიის სარბიელზე ფეხისშემოდგმისთანავე საყოველთაო მოწონება და აღიარება მოიხვეჭა პოეტმა ქალმა ანა კალანდაძემ. მის ლექსებში მკითხველს ხიბლავს გრძნობათა სისპეტაკე და კეთილშობილება, ქალური სინაზე და კდემამოსილება, მოვლენათა ხედვისა და წარმოსახვის ღრმა ორიგინალურობა, პოეტური გამომსახველობის საშუალებათა განუმეორებელი თვითმყოფადობა.

ომისშემდგომ წლებში ქართულ პოეზიაში მოსულ ახალგაზრდა ნიჭიერ ოსტატთა პლუადიდან მკითხველთა ფართო ფენებისა და ლიტერატურული კრი-

ტიკის განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს მუხრან მაჭავარიანმა, ოთარ ჭილაძემ, შოთა ნიშნიანიძემ, თამაზ ჭილაძემ, ჯანსუღ ჩარკვიანიმ, მორის ფოცხიშვილმა, ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეჭკორმა, ნოდარ გურეშიძემ, მედეა კახიძემ, ნაზი კილასონიამ, ლადო სულაბერიძემ, ვახტანგ ჯავახიძემ, ოთარ შალამბერიძემ. ესენი ერთმანეთისაგან ღრმად განსხვავებული ხელწერის პოეტებია, ყოველი მათგანი თანმიმდევრულად იმკვიდრებს საკუთარ ადგილს მშობლიური პოეზიის განვითარებაში, ყოველ მათგანს თემებისა და სახეების საკუთარი სამყარო ახასიათებს, ჰანგებობსა და საღებავების საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხელოვნება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ახალმა პოეტურმა თაობამ უკვე საგრძნობი განმსახლებელი გავლენა მოახდინა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაზე, როგორც იდეურ-თემატური შინაარსის თვალსაზრისით, ისევე პოეტური გამომსახველობის საშუალებათა მხრივ. თუ მოვინდომებთ ამ ახალი პოეტური თაობის მთელი მრავალრიცხოვანება და მრავალნაირობა გავაერთიანოთ და განვაზოგადოთ რამდენიმე მთავარ ტენდენციაში, ჩვენ შეგვიძლია ამ თვალსაზრისით გამოვეყოთ ერთმანეთისაგან მრავალმხრივად განსხვავებული, მაგრამ თანაბრად ნიჭიერი, საინტერესო და მნიშვნელოვანი სამი პოეტი — მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჭილაძე და შოთა ნიშნიანიძე. მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში ცოცხლობს და მძლავრად ფეთქავს დიდი ცხოვრებისმოყვარეობის სულისკვეთება. იგი სიცოცხლის დამამკვიდრებელი, ხალისიანი შემართების განწყობილებით არის გამსჭვალული: ნათელი, უღრუბლო, ოპტიმისტური მსოფლშეგრძნება ასაზრდოებს მის ლაღად ამღერებულ ლექსს, რომელიც თითქოს არღვევს პოეტური მეტყველების ყოველგვარ შემზღუდველ ნორმებს და არტახებს, ამკვიდრებს საკუთარ ლექ-

საღურ კანონომიერებას. მისი ლექსის სასაუბრო ინტონაცია, ხშირად ჩვეულებრივ, ყოფით დიალოგამდე დაყვანილი ენობრივი ქსოვილი დიდი უშუალობის შთაბეჭდილებას ქმნის და წარმოშობს ბუნებრივ კონტაქტს მკითხველის სულიერ სამყაროსთან. მის ლექსს მკაფიოდ გამოხატული ეროვნული კოლორიტი ახასიათებს.

შოთა ნიშნინაიძე რთული ასოციაციებით ვატაცებულ, მეტაფორული აზროვნების პოეტია. მას აქვს საგნებისა და მოვლენების ორიგინალური ხედვის და მოულოდნელ პოეტურ სახეებში განსხვავების ნიჭიერება, მაგრამ ყოველივე ამას პოეტი ბედნიერად ათავსებს დიდ მხატვრულ სიმართლესთან, პოეტური ნახატის სიკხადესა და რეალისტურობასთან. ცოცხალი სინამდვილით სუნთქვა, თანამედროვეობის გამახვილებული გრძნობა, აქტუალური და ღრმად მნიშვნელოვანი აზრის უპირატესობა შეადგენს მისი ლექსის უღავო ღირსებებს.

ოთარ ჭილაძის პოეტური სამყარო კი გამძაფრებული გრძნობებით და განწყობილებებით, ღრმა შინაგანი დრამატიზმით ხასიათდება. მასში მთავარია ის განცდა, ის რეფლექსი, რომელთაც გარე სამყაროს მოვლენები აღძრავს პოეტის სულიერ ცხოვრებაში. ო. ჭილაძე ინტენსიურად მაძიებელი გონების ხელოვანია, იშვიათად თვითმყოფი პოეტური ხილვის შემოქმედია. ხშირად ძნელია მისი მხატვრული სახეების კომპლექსში ჩაქსოვილი აზრის გაშიფრვა და ლოგიკურ ენაზე გადათარგმნა. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც მის ლექსებს განწყობილებათა გადამდები მიზნიდევლობის ძალა ახასიათებს. ფართოა ო. ჭილაძის სულიერი ინტერესების სფერო — იგი მოიცავს მშობლიურსა და უცხოურ მოვლენებს, თანამედროვეობისა და შორეული წარსულის, მითითებისა და რეალურის განცდებს. ო. ჭილაძემ დაამკვიდრა დღევანდელ ქართულ პოეზიაში თავისებური, ახლებუ-

რად გააზრებული ლირიკული პოემის ენარი, რომელსაც სხვადასხვაგვარად ანეოთარებენ მისი თანატოლი თუ უმცროსი ასაკის სხვა ნიჭიერი პოეტები.

ჩვენს დღევანდელ პოეზიაში უკვე გამოჩნდნენ კიდევ უფრო ახალი შემოქმედებითი ძალები. შეიძლება ითქვას, რომ ყოველდღიურად მდიდრდება და მრავალფეროვნდება თაობათა ანსამბლი თანამედროვე პოეტური სიტყვის ოსტატებისა. სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი ეროვნული პოეტური პოტენციის ამოუწურაობის, ქართული პოეზიის ნერვის მარად უჭკნობი სინეღლისა და სიმწვანის საწინდარი.

3

სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდი გულისხმობს სინამდვილესთან მწერლობის ისეთს ორგანულსა და განუყოფელ კავშირითიერთობას, როგორც მიუწველომელი და მიუღწეველი იყო ანტიგონისტურ კლასებად დაქსაქსული საზოგადოების წიაღში აღმოცენებული ლიტერატურისათვის.

საზოგადოებრივი ცხოვრება, სინამდვილე თავისი უსაზღვრო მრავალმხრივობითა და მრავალფეროვნებით, თავისი განვითარებითა და ღრმა წინააღმდეგობებით, აღამიანის აზრთა და გრძნობათა რთული სამყარო, — აი სოციალისტური ლიტერატურის მთავონების ერთადერთი წყარო და გამოხატულების ერთადერთი საგანი.

ჩვენი ლიტერატურის ამგვარი უაღრესად რეალისტური ხასიათი ცანსაზღვრავს მხატვრული პროზის ხვედრითს წონას საბჭოთა მწერლობაში. ბუნებრივია, რომ ცხოვრების სრულად და მრავალმხრივად ასახვის მისწრაფებამ გამოიწვია საბჭოთა ლიტერატურასა და, კერძოდ, თანამედროვე ქართულ მწერლობაში ნამდვილი აღორძინება მხატვრული პროზისა, რომელსაც განსაკუთ-

რებით ფართო შესაძლებლობანი მოეპოვება სინამდვილის ტიპურ მოვლენათა სიმართლით გადმოცემის, ტიპურ ადამიანთა სახეების, მათი სულიერი სამყაროს სრულად დახატვის სფეროში.

მხატვრული პროზისა და, კერძოდ, მისი უმთავრესი ენარის — რომანის განვითარება ყოველთვის და ყოველ ქვეყანაში მწერლობის რეალისტურ მიმართულებათა განმტკიცებასთან იყო დაკავშირებული, და არაფერია გასაკვირი, რომ ყველაზე მეტად რეალისტური მწერლობა — სოციალისტური ლიტერატურა მხატვრული პროზის შემოქმედებითი აღმავლობის ნიშნის ქვეშ ვითარდება, რაც, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ ამცირებს პოეტური თუ დრამატურგიული შემოქმედების ფასსა და მნიშვნელობას სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში.

საიდანღაც წარმოიშვა ყოველად უაზრო და უსაფუძვლო „თეორია“ თითქოს ქართულ კლასიკურ მწერლობაში მხატვრულ პროზას ღარიბი შემოქმედებითი ტრადიციები ჰქონდეს, თითქოს მეცხრამეტე საუკუნეში დაქვეითებულიყოს ქართული მხატვრული პროზა და ქართველ საბჭოთა ბელეტრისტებს დასჭირებოდეს მემკვიდრეობრივი კანონზომიერების აღსადგენად უშუალოდ მიემართათ უძველესი ლიტერატურული ძეგლებისათვის — მერჩულიდან საბასულხან ორბელიანამდე.

ეს თვალსაზრისი, რომელიც არა ერთხელ გამოთქმულა ჩვენს სალიტერატურო პრესაში, ქართული ლიტერატურის ნამდვილი ისტორიის უყოღინართბის ან განზრახ უფულებელყოფის შედეგაა.

სწორედ გასული საუკუნის მეორე ნახევარში იწყო თანმიმდევრული შემოქმედებითი აღმავლობა რეალისტური მიმართულების ქართულმა მხატვრულმა პროზამ. რომ არაფერი ვთქვათ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ბელეტრისტულ ქმნილებებზე, საკმარისია დავასახელოთ ალექსანდრე

ყაზბეგი და გიორგი წერეთელი, ხოლო 90-იან წლებში ქართულ ლიტერატურულ რეალიზმის ლიტერატურამ სწორედ ბელეტრისტულ ენარებში ჰპოვა თავისი განსაკუთრებით მეტყველი და მრავალფეროვანი გამოხატულება: ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის, ვ. ბარნოვის, შ. არაგვისპირელის, ლალიონის, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას და სხვათა რომანებისა და მოთხრობების სახით.

იყო ერთი პერიოდი უახლოესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, როდესაც ქართულმა მხატვრულმა პროზამ, მართლაც ერთგვარი დაქვეითება განიცადა: ეს იყო 1905 წლის რევოლუციის მომდევნო ხანა, თვითმპყრობელური რეაქციისა და მენშევიზმის დიქტატურის წლები, როდესაც ქართულ ლიტერატურაში, საფსებით გარკვეული საზოგადოებრივი პირობების ვითარებაში, უპირატესი მდგომარეობა მოიპოვეს ევროპის ბურჟუაზიულ-დეკადენტური მწერლობის ზეგავლენით აღმოცენებულმა ანტირეალისტურმა სკოლებმა.

უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდშიც ქართულ ლიტერატურაში საფსებით როდი ჩამქრალა რეალისტური მხატვრული პროზის ჭანსალი ტრადიცია. სწორედ ამ წლებში დაწერა თავისი არა ერთი ღრმად რეალისტური ნაწარმოები მე-20 საუკუნის ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთმა საუკეთესო ოსტატმა ნიკო ლორთქიფანიძემ და ამავდროულად წიგნმა ლეო ქიაჩელმაც თავისი „ტარიელ გოლუა“, ეპოქის მაღალი სოციალური აზრით შთაგონებული ეს საუკეთესო, ქვემარტად რეალისტური ქმნილება რევოლუციის წინა პერიოდის მთელ ქართულ ლიტერატურაში.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს რამდენიმე გამოჩენილი ვერ სცვლიდა საერთო მდგომარეობას. დეკადენტური ცდუნებანი ჩვენს ლიტერატურაში ეპოქური ენარების, ფართო მხატვრული ტილოების გადაგვარებითაც გამოიხატა. ქართული მხატვრული პროზის საუკეთესო

ტრადიციები ამ პერიოდში დეკადენტური მინიატურებისა და ნოველების პრაქტიკამ შესცვალა და საქმე იქამდეც მივიდა, რომ ქართულ სალიტერატურო პრესაში დისკუსიაც კი მიმდინარეობდა იმ საკითხზე — შეიძლება თუ არა დაიწეროს ქართული რომანიო. ზოგიერთები ეძებდნენ რაღაც სპეციფიკას ქართველი ხალხის ისტორიული ბედისა თუ ქართული ნაციონალური კულტურის ბუნების რაღაც ისეთ თავისებურებას, რომელიც თითქოს შეუძლებელს ხდიდა რომანის ქანრის განვითარებას ქართულ ლიტერატურაში. რა თქმა უნდა, ახლა უაზრობა იქნებოდა მსჯელობის საგნად გაგვეზადა ეს უბადრუკი „თეორიები“, მაგრამ თავის თავად საკითხის ამგვარი დაყენებაც საესტებით დამახასიათებელი იყო მხატვრული პროზის მდგომარეობისათვის რევოლუციის წინა პერიოდის ქართულ მწერლობაში.

სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში ქართული მწერლობის ნამდვილი აღორძინებისა და განუხრელი აღმავლობის ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელი ისიც არის, რომ დღეს ჩვენთვის უკვე პრობლემას როდიღა წარმოადგენს ქართული რომანის დაწერის შესაძლებლობა. ჩვენ ახლა გვყავს მხატვრული პროზის შესანიშნავ ოსტატთა მთელი პლეადა, რომელთა რომანებში, მოთხრობებში, ნოველათა წიგნებში მართალსა და მკვეთრ გამოხატულებას კპოულობს ჩვენი ხალხის თანამედროვე ცხოვრება და ბრძოლა, ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი გვირუკი ისტორია. საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი რევოლუციური სინამდვილის, ჩვენი თანამედროვეობის დიდ სოციალური ძვრების ანარეკლს წარმოადგენს, იმ დიადი განმარტებელი და ამღორძინებელი ძალის გამოხატულებას, რომლითაც ოქტომბრის ძლიერადმოხილი ქარიშხალი შეიჭრა ჩვენი ხალხის ცხოვრების, მოღვაწეობი-

სა და სულიერი სამყაროს ყოველ სფეროში.

საბჭოთა ქართული მხატვრული პროზის ყველაზე დამახასიათებელ ნაწარმოებთა შინაარსს შეადგენს ახალსა და ძველს შორის ის შეუთრგებელი წინააღმდეგობა და ჭიდილი, რომელიც განუწყვეტლივ სწვადასხვა სახითა და ფორმით მიმდინარეობს ჩვენს რევოლუციურ ეპოქაში და რომელიც ყოველთვის ძველი რეაქციული სამყაროს გადანაშთების გარდუვალი დაღუპვით, ახალი ცხოვრებისა და მისი შემოქმედი ადამიანის გამარჯვებით გვირგვინდება. ამგვარმა შინაარსმა, სოციალიზმის იდეამ, რევოლუციური თანამედროვეობის მაჯისცემასთან სულ უფრო და უფრო მზარდმა შემოქმედებითმა კავშირმა, ძირფესვიანად შესცვალა და განაახლა ქართული მხატვრული პროზის არა მარტო თემატიკა და იდეური მიზანსწრაფვა, არამედ მისი პოეტიკაც. მხატვრული მეტყველების საშუალებათა სფეროც. დადებითმა გმირმა, თანამედროვეობის მოწინავე ადამიანმა დაიქირა ცენტრალური ადგილი ჩვენს მხატვრულ პროზაში. ამ გმირის ბედს თანამედროვე მწერალი გვისურათებს ჩვენი ხალხის ისტორიულ ბედთან, ეპოქის დიად სოციალურ ძვრებთან განუყოფელ ურთიერთობაში. თუ კლასიკური ქართული მხატვრული პროზის დადებითი გმირი ყოველთვის მწვავე კონფლიქტში იმყოფებოდა მისი თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების მიმართ, თუ კლასიკური ქართული პროზის თითქმის ყველა ნაწარმოები დადებითი გმირის დაღუპვით მთავრდებოდა, საბჭოთა ქართულ მხატვრულ პროზაში მოქმედი მოწინავე ადამიანი ჩვენი დროის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ძლიერადმოხილობაში პოულობს პირად ბედნიერებასა და გამარჯვებასაც. ეს გარემოება ნათელ ოპტიმისტურ სულსკვეთებას ნერგავს თანამედროვე ბელეტრისტთა-

შემოქმედებაში და ხალხიანი საღებავებით ამდიდრებს მათს პალიტრას.

საბჭოთა პერიოდის ქართული მხატვრული პროზის განვითარებას თუ დაუკვირდებით, დავინახავთ, რომ მისი შემოქმედებითი ზრდისა და აღმავლობის გზა სწორედ სოციალისტური თანამედროვეობის ცოცხალ სინამდვილესთან უფრო და უფრო მეტი ორგანულობით დაკავშირებისაკენ მიემართებოდა. ამ მიმართულებით განვითარების გეზს აძლევდა ჩვენს ლიტერატურას და, კერძოდ, მხატვრულ პროზას როგორც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების სოციალისტური ბუნებისაგან გამომდინარე ამოცანები და მოთხოვნები, ისე ჩვენი ნაციონალური კულტურისა და, კერძოდ, ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები.

ამ ტრადიციებისადმი ერთგულები-საკენ მომწოდებელ ანდერძად ვაისმა საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველ წლებში ქართველი საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე მსცოვანი ბულეტრისტის ვასილ ბარნოვის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „დიდმა რევოლუციამ ხალხის გულში შეიტანა დიდი გარდაქმნა და მისცა მას ახალი საფიქრებელი და ახალი გზა ცხოვრებისა, ახალი სახეები მომავლისა. და ყველა ეს ხალხისათვის დიდად საიმედოა. შეუძლებელია მხატვრისათვის შეუგრძნობელი დარჩეს ეს, რადგან მხატვრული სიტყვა ცხოვრებას ახასიათებს, მის სახეებს ჩამოასხამს. როგორ შეიძლება არ შეივინოს მხატვარმა-მწერალმა როგორი დიდი გარდატეხა შეიტანა ამ ისტორიულმა დიდმა ამბავმა ხალხის გულში, ხალხის სულისკვეთებაში, ხალხის ცხოვრებაში?.. ეს არც იქნება! საქართველოს ლიტერატურა ყოველთვის სასოებით მოელოდა ამ დიდებულ ხანას, ის თვითონ იღწვოდა ამ ხანის დამყარებისათვის“...

აღსანიშნავია, რომ არა მარტო ამ მრავლისმეტყველი დეკლარაციით, არამედ საქმიანაც, შემოქმედებითაც დავით

კლდიაშვილმა და ვასილ ბარნოვმა მისცეს ჩვენს სამწერლო ინტელიგენციას გამარჯვებული საბჭოთა ხალხისადმი სამსახურის, საბჭოთა სახელმწიფოსთან გულწრფელი თანამშრომლობის მაგალითი.

ამ დროისათვის მათ უკვე განვლილი ჰქონდათ შემოქმედებითი ცხოვრების მთავარი გზა, მაგრამ თავისი სასიცოცხლო და შემოქმედებითი ენერჯის უკანასკნელი მარაგი მათ დაუზარებლად მოახმარეს საბჭოთა საქართველოს კულტურის აღმავლობის საქმეს და დაწერეს არა ერთი ნაწარმოები, რომლებიც ღირსეულად ამდიდრებენ ამ დიდ ხელოვანთა ბიოგრაფიას. იგივე უნდა ითქვას მათი თაობის მწერალი ქალის ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას შესახებაც.

თუ ნიკო ლორთქიფანიძის რევოლუციამდელ შემოქმედებაში ერთმანეთს ებრძოდა და უპირისპირდებოდა მოდერნისტულ-იმპრესიონისტული ტენდენცია და რეალისტური ხელოვნების პრინციპი, საბჭოთა პერიოდში მისმა შემოქმედებამ მეტი სოციალური სიმძაფრე და აქტუალობა მოიპოვა. თავის ახალ მოთხრობებსა და ნოველებში იგი უკვე გულისტკივილითა და თანაგრძნობით კი აღარ მოგვითხრობდა „დანგრეული ბუდეების“ შესახებ, არამედ მწვავე და უღმობელი სიმართლით გვიხატავდა ფეოდალური სამყაროს, საერთოდ, ძველი ცხოვრების აღსასრულის მომასწავებელ სურათებს. ვრცელ მოთხრობაში „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ მწერალმა ასახა ქართველი მშრომელი ხალხის თავდადებული ბრძოლა თვითმპყრობელური წყობილების დასამხობად, ხოლო ნოველაში „მოქანდაკე“ გვიჩვენა, თუ როგორ ააპალა და შემოქმედებითი სიხარულით შემოსა ჩვენმა დროებამ ხალხის უღარიბესი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდა ადამიანი.

„სულის დახატვა სხეულის დახატვაზე უფრო ძნელია“, ამბობს ნიკო ლორ-

თქიფანიძე თავისი ერთ-ერთი მინიატურის პერსონაჟის პირით და, მართლაც, თვით მწერლის მთელი შემოქმედება აღმიაინის სულს მხატვრობის შესანიშნავ ნიმუშთა წყებას წარმოადგენს. აღმიაინის სულიერ სამყაროში ჩაწვდომის, ამ სულიერი ცხოვრების მთელი მოძრაობის, მისი ურთულესი ნიუანსების გადმოცემის იშვიათი ხელოვნებით გვხიბლავს ნ. ლორთქიფანიძის „თავსაფრიალი დედაკაცი“, „კერასა-თვის“, „ტრაგედია უგმირთ“, რომელთა მძაფრი, უღრმესი ფსიქოლოგიზმი კი არ გამორიცხავს, პირიქით აუცილებლად გულისხმობს ცხოვრებისეულ მოვლენათა ვაზრებისა და წარმოსახვის გამახვილებულ სოციალურ ასპექტს.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში დაწერილი მოთხრობებით „ქედუხრენი“, „ტყვედყოფილის დაბრუნება“ და სხვა ნიკო ლორთქიფანიძე ცხოვლად გამოეხმაურა ჩვენი ხალხის უმაგალითო პატრიოტულ აღფრთოვანებას დიდი სამამულო ომის წლებში.

საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზის წარმატებათა შორის პირველხარისხოვანი ადგილი უჭირავს ვა-მოჩენილი ბელეტრისტის მიხეილ ჯავახიშვილის რომანებსა და მოთხრობებს. მისი შემოქმედებითი ცხოვრება ჩვენი საუკუნის დამღვეს დაიწყო. მან მან, მ. გორკის შემოქმედებითი იდეებით შთაგონებულმა, „პატარა ადამიანების“ ყოფა-ცხოვრების მასალაზე დახატა იმდროინდელი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების მამხილებელი სურათები. თავისი პირველივე მოთხრობებით მან ცხოველი ინტერესი გამოიწვია, როგორც ნიჭიერმა ფაბულისტმა და ყოფითი სცენების საუცხოო მხატვარმა. მაგრამ რეაქციის წლებში შექმნილმა სულისშემხუთველმა ატმოსფერომ ფრთა შეაკვეცა ამ რეალისტი მხატვრას შემოქმედებითს გატაცებას. მან შეწყვიტა წერა და მხოლოდ საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ დაუბრუნდა

ლიტერატურის სარბიელს. ქართული საბჭოთა მწერლობის აღმოცენებაში მწერლობის პირველ წლებში შეტანულად გამოქვეყნდა მისი რომანები და მოთხრობები: „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელო“, „გივი შადურია“, „მართალი აბდულა“, „ლამბალო და ყაში“ და მრავალი სხვა. ამ ნაწარმოებებით მიხეილ ჯავახიშვილმა ფართო პოპულარობა და საყოველთაო აღიარება მოიხვეჭა. მისი სათავგადასავლო რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ მთავარი გმირის სახელი ვადა-ვოდა ხალხში, როგორც საზოგადო სახელი — თაღლითობის, მატყუარობისა და კომბინატორობის განსახიერება ასევე ხალხის მეტყველებაში გადავიდა „ჯაყოს ხიზნების“ გმირთა სახელები — „ჯაყო“, „ბრინჯა“ და სხვ. ამ რომანში მიხეილ ჯავახიშვილმა მწვავე საზოგადოებრივი სკიოტები აღძრა და განასახიერა, რის გამოც წიგნმა ცხოველი რეზონანსი გამოიწვია. მიმზიდველი და დამაინტერესებელი თხრობით, აღწერილობათა სიზუსტითა და სიცხადით, ტიპური სახეების მხატვრობით მ. ჯავახიშვილმა დამსახურებულად მოიპოვა პირველხარისხოვანი პროზაიკოსის რეპუტაცია.

მის ჯავახიშვილმა ძვირფასი წვლილი შეიტანა ქართული ისტორიული რომანისტიკის განვითარებაშიც. მისი „არსენა მარაბდელი“ მთელს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ერთადერთი ისტორიული რომანია, რომლის მთავარ გმირს წარმოადგენს მშრომელი ხალხი თავისი მაღალი და კეთილშობილური მისწრაფებებით, თავისი ეპირული და ვაჟაკური ბრძოლით სოციალური სამართლიანობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის. ქართველი ხალხის საყვარელი გმირის — არსენა ოქელაშვილის სახე მწერალმა აიყვანა დიდ განზოგადების სიმაღლემდე და ამ სახეში მკვეთრად განასახიერა მშრომელი გლეხკაცობის მეტროლი სული, მისი შეურიგებლობა ბატონყმური ტირანი-

ისა და მეფის ბარბაროსული კოლონიური რეჟიმისადმი.

თავის უკანასკნელ ნაწარმოებში „ქალის ტვირთი“ მწერალმა ამაღლებულად მოგვითხრო რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ქართველი ხალხის გმირული ბრძოლების შესახებ.

ახალი შემოქმედებითი ცხოვრება მოიპოვა სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში თანამედროვე მხატვრული პროზის დიდმა ხელოვანმა ლეო ქიაჩელმა. რომანში „სისხლი“ და მთელი რიგ ნოველებსა და მოთხრობებში მან განაგრძო და განავითარა თავისი რევოლუციამდელი შემოქმედების უმთავრესი თემა — თემა 1905 წლის რევოლუციისა და ამ დიდი სახალხო მოძრაობის დროებით ჩახშობით ჩვენი ხალხის ცხოვრებაში გამოწვეული ძალთა ახალი გადაჯგუფებისა, წინააღმდეგობათა ახალი გამწვავებისა. თავისი ნაწარმოებებით „თავადის ქალი მათა“, „ალმაზგირ კიბულან“, „ჰაკი აბა“ და სხვ. ლეო ქიაჩელმა პირველხარისხოვანი თანამედროვე ნოველისტის რეპუტაცია დაიმკვიდრა. ნოველაში „თავადის ქალი მათა“ ღრმად დამარწმუნებელი ძალით არის ნაჩვენები სოციალისტური რევოლუციის მიერ დამარცხებული რეაქციული კლასების სრული ზნეობრივი და ფიზიკური დეგრადაცია, მათი აუცილებელი სასიკვდილო განწირულება.

„ალმაზგირ კიბულანი“ უკვე საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობის მასალაზე აგებული ნაწარმოებია. აქ მწერალმა მთელი სისრულით გვიჩვენა როგორც ბუნების მკაცრ სტიქიონთან ძლიერი ადამიანის შებრძოლების ექსპრესული გამოხატვის, ასევე განსაკუთრებით დიდი განსაცდელით გულის სიღრმემდე შეძრული ადამიანის სულიერი ღრამის გაღმოცემის იშვიათი ძალა.

ასე თანმიმდევრულად დაუახლოვდა ლეო ქიაჩელი ჩვენი სოციალისტური სინამდვილის თემატიკას, რომელსაც მიუძღვნა თავისი საუკეთესო ქმნილება — რომანი „გვადი ბიგვა“, — ეს ერთ-

ერთი საუკეთესო ნაწარმოები მთელს საბჭოთა ლიტერატურაში. საკლამენტო სოფლის ცხოვრების თემაზე, დიდ სიმართლითა და შთამაგონებელი ძალით არის ნაჩვენები ამ რომანში, თუ როგორ აღადგენს და აამაღლებს ჩვენი დიადი თანამედროვეობა ძველი ცხოვრების კოშმარით გატეხილსა და დაძაბუნებულ ადამიანს.

სამშულო ომის ეპოქას ლეო ქიაჩელი გამოეხმაურა მეტად საყურადღებო ნოველით „მამა და შვილი“, ხოლო ამ დიად თემაზე დაწერილი მისი რომანი „მთის კაცი“ კავკასიის დაცვის გმირული ეპოქის ამსახველი საუკეთესო ნაწარმოებია მთელს ქართულ ლიტერატურაში.

ქართულ საბჭოთა მწერლობაში ისტორიული რომანის ეანრის აღორძინება შალვა დადიანის შემოქმედებითს მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. ჩვენმა აქ მრავალმხრივ ღვაწლმოსილმა მწერალმა და დრამატურგმა ქართული საბჭოთა მხატვრული პროზის განვითარებაშიც შეიტანა თავისი ფრიალ თვალსაჩინო წვლილი. მის კალამს ეკუთვნის ისტორიული რომანი „გიორგი რუსი“, რომელშიც ისტორიული მასალის ცოდნითა და პოეტური განცლით ასახულია ძველი საქართველოს „ოქროს ხანი“, თამარ მეფისა და რუსთაველის ეპოქა. ეს იყო ერთი პირველი ისტორიული რომანთაგანი საერთოდ მთელს საბჭოთა ლიტერატურაში. ამიტომ მწერალს დამოუკიდებლად უნდებოდა ძიება იმ შემოქმედებითი პრინციპებისა, რომლებიც შემდეგ მკაფიოდ ჩამოყალიბდა მთელ რიგ საუკეთესო საბჭოთა ისტორიული რომანების, პირველ რიგში, ალექსეი ტოლსტოის „პეტრე პირველის“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

თავისი ცხოვრების მიწურულში შალვა დადიანმა შექმნა მრავალმხრივად საყურადღებო ბელეტრისტული ნაწარმოები „გვირგვინიანების ოჯახი“, რომელიც მსოფიანი მწერლის ვრცელი მდიდარი შემოქმედებითი გზის ღირ-

სეულ დაგვირგვინებას წარმოადგენს. ამ რომანში ცხოვრებითელი მასალის ღრმა ცოდნით, დიდი სოციალური სიმძაფრით, მკაფიოდ გამოკვეთილი ადამიანური ხასიათებისა და კოლორიტული ჟანრული სურათების მწყობრი სისტემით ვაცოცხლებულია ქართული სოფლის ვითარება ორი საუკუნის მიჯნაზე, ნაჩვენებია თავადაზნაურული წოდების სრული ქონებრივი და ზნეობრივი დეგრადაციის, შრომელი გლეხაკების რევოლუციური გამოფხიზლების, სამრეწველო ცენტრებში გაღვივებული პროლეტარულ-რევოლუციური ბრძოლის ქარიშხლის სოფლად ვადასვლისა და გამძლავრების მეტყველი სურათები, და ყოველივე ეს რომანში გამოხატულია გონებამახვილურად, მოფიქრებული, საოცრად ორიგინალური სიუჟეტური კომპოზიციის ყალიბში!

ოციანი წლების დამდეგს, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ წლებში, დაიწყო შემოქმედებითი მოღვაწეობა ჩვენი დროის დიდი ქართველმა ბელეტრისტმა კონსტანტინე გამსახურდიამ. მანამდე დაწერილ მის ლექსებსა და სხვა სახის ნაწარმოებებს მხოლოდ ლიტერატურული ვარჯიშისა და წრთობის, დიდი სამწერლო ცხოვრებისათვის სამზადისის მნიშვნელობა აქვთ.

ოციანი წლების ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში მან ერთბაშად დაიკავა უაღრესად თვალაჩინო და მნიშვნელოვანი ადგილი. ამ პერიოდის თავის ნოველებში („ზარები გრაგალში“, „ქოსა გახუ“, „ჯამუ“, „ტაბუ“, და სხვა) და რომანში „დიონისეს ღიმილი“—მწერალი უპირატესად იმ სულიერი და ფიზიკური კატასტროფის მხატვრულ შემატანედ გვევლინებოდა, რომელიც სოციალისტურმა რევოლუციამ განუშადა რეაქციულ კლასებს. მართალია, ამ ნაწარმოებებში წარსულის ბნელი გადმონაშთებია დაყენებული თხრობის ცენტრში, და მათ მიმართ, მწერალი გარკვეულ თანაგრძნობასა და

სიბრალოლს იჩენს, ზოგჯერ დიდძალი შარავანდედითაც კი მოსაეს მათ, მაინც მათი გარდაუვალი დაღუპვლა: და ცენწი რეჟულების ეს სურათები ოქტომბრის რევოლუციის იდეების ძლევამოსილობას, ახალი ცხოვრების უძლეველ ენერგიას მოწმობენ. ამ პირველ ბელეტრისტულ ნაწარმოებებში ნათლად გამოჩნდა და ჩამოყალიბდა კ. გამსახურდიას უაღრესად თავისებური მხატვრული სტილი, მხატვრული მეტყველების საშუალებათა უაღრესად ორიგინალური და თავისებური სისტემა, რომელსაც თვით მწერალმა „ლირიკული პროზა“ უწოდა.

ოცდაათიანი წლები კ. გამსახურდიას სამწერლო ბიოგრაფიაში დიდი იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობით აღინიშნა. მან შექმნა სამტომიანი რომანი „მთვარის მოტაცება“, რომელიც დიდი მოვლენა იყო ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში და დღემდე რჩება და მუდამაც დარჩება ჩვენი საუკუნის ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთ უდიდეს და საუკეთესო ნაწარმოებად. ამ რომანში კ. გამსახურდია ოცდაათიანი წლების ჩვენს სინამდვილეში გაჩაღებულ მწვავე სოციალურ კონფლიქტებს გამოეხმაურა და წარმოსახა აღმაჯალ ახალსა და მომავლად ძველს შორის გამწვავებული ის სამკედრო-სა-სიცოცხლო ბრძოლა, რომლითაც საბჭოთა საზოგადოების ძტორიის ეს უმნიშვნელოვანესი პერიოდი აღინიშნა. მართალია, ამ ნაწარმოებშიც მწერალი უფრო მეტი მხატვრული სისრულითა და სისხლხორციანობით ხატავს საიკედროდ განწირული სამყაროს უკანასკნელ გადნაშთებს, ამ სამყაროს ადამიანებს, რომელთა ბედიც შთაგონებულად განასახიერებს ძველი ცხოვრების აუცილებელ მსხვერვესა და სრულ კატასტროფას, მაგრამ მთლიანად ნაწარმოებში გამსჭვალულია ახალი სამყაროს ძლევამოსილების ურყევი რწმენით. სწორედ ამაში მღვგომარეობს ამ ფართო და დიდი ემოციური ძალის მხა-

ტერული ტილოს იდეურ-ესთეტიკური მნიშვნელობა.

ოცდაათიან წლებშივე შექმნა კ. გამსახურდიამ თავისი პირველი ისტორიული რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“, რომლითაც ძვირფასი წვლილი შეიტანა საბჭოთა ისტორიული რომანისტიკის განვითარებაში. ამ ქემპარიტად წარმოტაკი და მომხიბვლელი მხატვრული ქმნილების სახით პირველად გამოიხატა ქართულ მწერლობაში ჩვენი ეროვნული ისტორიის ის დიდად მნიშვნელოვანი ეპოქა — მე-10 და მე-11 საუკუნეთა მიჯნა, როცა არაბთა ხანგრძლივი ბატონობისაგან თავდაღწეული საქართველო იწყებდა თავისი დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ტრადიციების აღორძინებას, თავისი მიწა-წყლიდან უცხოელ დამპყრობთა განდევნას, ქვეყნის გამთლიანებას. ამ დიდ ბრძოლათა ვითარებაში აღმოცენებას იწყებდა ქართული რენესანსის პირველი ყლორტები, უღრმესი ძვრები მიმდინარეობდა ერის სულიერ ცხოვრებაში. ყოველივე ეს დიდი მხატვრული ძალით და იმეფათი ექსპრესიით არის განსახიერებული „დიდოსტატის მარჯვენა“ გმირთა პარადი ბედის, მათი ურთიერთობის მომთბრბელ სიტუეტში, რომელიც უკიდურესად დამაბული, დიდი დრამატიული ელერის კომპოზიციურ ყალიბში მიმდინარეობს.

„დიდოსტატის მარჯვენის“ ორგანიულ გაგრძელებას წარმოადგენს კ. გამსახურდიამ ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“, რომელიც მიძღვნილია საქართველოს ისტორიის უდიდესი გმირის, თავისი საუკუნის ყველაზე განათლებული მონარქის და სწორუპოვარი მხედართმთავრის დავით აღმაშენებლისაში, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპოქისაში. ეს უფართოესი მხატვრული ტილოა ქართული მწერლობის მთელს ისტორიაში. მასში დიდი პატრიოტული აგზნებით და ეროვნული სიამყნის გრძნობით არის ნაჩვენები ქართველი ხალხის, საქართველოს სამეფოს რო-

ლი და მნიშვნელობა შუასაუკუნეობრივი მსოფლიოს საერთაშორისო ცხოვრებაში, აღწერილია ის ტიტანური ბრძოლები და დიდი გაქანების შემოქმედებითი შრომა, რომლითაც მზადდებოდა ძველი საქართველოს „ოქროს საუკუნის“ თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის დიადი ეპოქა. კ. გამსახურდიას გამომუშავებული აქვს ისტორიული რომანის თავისებური კონცეპცია. ეს შეეხება როგორც მის თვალსაზრისს ისტორიული ფაქტოლოგიისა და პოეტური ფანტაზიის ურთიერთობის საკითხში, ისე ისტორიული რომანის ენისა და სტილის სფეროშიც.

გამსაყუთრებულ ძალას კ. გამსახურდიამ მხატვრული აღწერილობის სფეროში იჩენს. ამასთანავე იგი ფართო ისტორიულ ერუდიციას ფლობს და დიდი მხატვრული პოტენციით ხასიათდება. მეტად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ამ გამოჩენილი ბელეტრისტის შემოქმედებაში მისი ახალი რომანი „ვაზის ყვავილობა“. ამ ნაწარმოებში მწერალმა ასახა ის ღრმა ცხოვრბისეული კონფლიქტები და წინააღმდეგობანი, რომელთა გადალახვის გზითაც იზრდება და მკვიდრდება ჩვენს ქვეყნაში ახალი, სოციალისტური სამეურნეო და ყოფაცხოვრებითი ურთიერთობანი. რომანის დიდ ღირსებას შეადგენს მასში მკაფიოდ დახატული სახეები ჩვენი დროის მოწინავე ადამიანებისა, რომელთა სულიერი სამყაროს მაღალი თვისებანი სწორედ წარსულის ბნელი გადმონაშთების წინააღმდეგ დაუნდობელსა და ძლევამოსილ ბრძოლაში გამოვლინდებიან.

საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზის განვითარებაში გამსაყუთრებული ღვაწლი შეუძღვის დემნა შენგელაის. მისი „სანავარდო“ იყო ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ერთერთი პირველი ნიშანი მხატვრული პროზისა და კერძოდ, რომანის ენარის ახალი აღორძინებასა. „სანავარდოს“ წერის დროს ზ. შენგელაია ჯერ არ იყო

დაუფლებული რეალისტური ხელოვნების ოსტატობას. მაშინ ახალგაზრდა ბელეტრისტი საგრძნობლად განიცდიდა სიმპოლიზმისა და ფორმალიზმის გავლენას. მაინც „სანავარდოში“ ავტორმა მკვეთრად გამოხატა რწმენა ძველი სამყაროს გადმონაშთების კატასტროფისა, ცხოვრების გარდაქმნისა და ვანახლებისა. უკვე მაშინვე დ. შენგელაია საკუთარი მსოფლმხედრებისა და ღრმად ინდივიდუალური სტილის მხატვრად მოგვევლინა. სიტყვის პოეტური განცდა, ლირიზმით გამსჭვალული, ემოციურად გამაფრებელი თხრობა, მხატვრული ზომიერების გრძნობა და დახვეწილი გემოვნება ახასიათებს მის ბელეტრისტულ შემოქმედებას. მოთხრობების მთელ ციკლში „გურამ ბარამინდია“, „თებერვალი“, „პორტში“ და სხვ. მწერალმა ასახა სამოქალაქო ომის მრისხანე დღეები და ქართველი ხალხის ისტორიის ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, როგორც იყო საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, საბჭოთა წყობილებს დამყარება.

რომანში „ბათა ქექია“ დემნა შენგელაიამ ყოფაცხოვრებითი მასალისა და ადამიანურ ჩასაითათა კოლორიტულად ხატვის ნაცადი ოსტატობით ასახა სამეგრელოს გლეხთა ცხოვრება ბატონყმური იმპერიების „გაუქმების“ დროიდან — ვიდრე 1905 წლის რევოლუციამდე. ამ რომანის უკანასკნელ თავებში ღრმა მგზნებარებით არის გადმოცემული ქართველი გლეხობის თავდადებული ბრძოლა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. დ. შენგელაიას კალამს ეკუთვნის აგრეთვე „ცისკარი“ და „შთაგონება“. პირველში გამოხატულია გასული საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის ხელოსანთა ცხოვრებისა და შრომის ფრიად სპეციფიკური სამყარო რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ვითარებაში, ხოლო მეორე რომანი „შთაგონება“ შეიცავს მრავალ დამახასიათებელ ეპიზოდს როგორც ჩვენი ხა-

ლხის ახლო რევოლუციური წარსულიდან. აგრეთვე, საბჭოთა ინტელიგენციის შემოქმედებითი შრომისა და ახალი ურთიერთობებითი ურთიერთობის სინამდვილიდან. დიდი სამამულო ომის ეპოპეას მიუძღვნა დ. შენგელაიამ ვრცელი მოთხრობა „წითელი ყაყაჩო“. თავის ახალ მოთხრობაში „განძი“ მწერალმა შთამბეჭდავად გვიჩვენა კერძომესაკუთრული ინსტინქტების დანაშაუნიანი ბუნებაზე და დამარწმუნებლად დაგვანახა წარსულის ამ ბნელი გადმონაშთის სასიკვდილო განწირულება ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეში.

თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის პირველხარისხოვან ოსტატთა რიცხვს ეკუთვნის სერგო კლდიაშვილი. მხატვრული სიმართლე, თხრობისა და აღწერილობის მომხიბლავი ბუნებრიობა და ლაკონიზმი ახასიათებს მის საუკეთესო ნოველებსა და მოთხრობებს. სერგო კლდიაშვილის „ფერფლი“ საუკეთესო ნაწარმოებია მთელს ქართულ ლიტერატურაში პირველი იმპერიალისტური ომის თემაზე გამსაკუთრებული ცხოველყოფილებით არც ასახული ამ რომანში იმერეთის სოფლის, საერთოდ, ქართველი გლეხთა ცხოვრების დუბლიერი ყოფა იმ საზარელი მტაცებლური ომის წლებში.

სერგო კლდიაშვილის „პროვინციის მთვარე“ გვიხატავს, თუ როგორი გარდამქმნელი ძალით შეიქრა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით შექმნილი ახალი ცხოვრება ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში, როგორი გამანადგურებელი ძალით დაარტყა ამ ახალი ცხოვრების ძლევამოსილმა ტალღამ რეაქციულ-პარაზიტულ კლასებს. ფართოა და მრავალფეროვანი ს. კლდიაშვილის თემატიკა. „სვანური ნოველების“ ციკლში მწერალმა ღრმა შემოქმედებითი გზებით გადამალა ჩვენ თვალწინ ყოფაცხოვრებითი ურთიერთობათა, სოციალური კონფლიქტების, ადამიანთა დიციების სრულიად თავისებური სამ-

ყარო. აღსანიშნავია, რომ ეს ნოველები თავისუფალია ყოველგვარი ეგზოტურობისაგან და მწერლის მახვილ რეალისტურ ხილვას ენაყრებიან.

მთელ რიგ მოთხრობებში „ზემი“, „მტრები“, „თქვენი გამარჯვებისა“ და სხვ. მწერალმა მოგვცა ჩვენს ქვეყანაში ახალი, სოციალისტური ყოფის დამკვიდრების ამსახველი სურათები, ხოლო უკანასკნელ წლებში მან არა ერთი ნოველა უძღვნა დიდ სამამულო ომის თემას და ჩვენი ხალხის ახლანდელს, ომის შემდგომი პერიოდის ცხოვრებასა და შრომას. უკანასკნელ წლებში ს. კლდიაშვილი იჩენს თანმიმდევრულს მისწრაფებას ფართო ეპიური ტილოებისადმი. ასეთი მისწრაფების მომასწავებელია მისი რომანი „მყუდრო საფანე“, რომელიც „პროვინციის მთავრის“ სიუჟეტზეა აგებული, და „ფერფლის“ მეორე წიგნი, რომელიც ამ ვრცლად მოფიქრებული ნაწარმოების შემდგომ გაგრძელებას მიგვანიშნებს.

ჩვენს ლიტერატურაში ახალი აღმავანის სახის გამოხატვისა და, კერძოდ, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის ბრძოლის ასახვის თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი მოიპოვა კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანმა „კოლხეთის ცისკარმა“. ეს იყო პირველი ნაწარმოები ქართულ საბჭოთა მწერლობაში, რომელშიც მართალი გამოხატულება ჰპოვა სოფლის სოციალისტურ რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ.

ამ რომანის მთავარი გმირი მეჭი, რომელიც საბჭოთა სოფელში გაჩაღებულმა ახალმა ცხოვრებამ დაბეჩავებული მოჯამავირის მდგომარეობიდან ააძლელა, თავის დროზე მოასწავებდა ქართულ საბჭოთა მწერლობაში დადებითი გმირის, ახალი ფორმაციის აღმავანის ტიპური სახის დამკვიდრებას.

სამამულო ომის წლებში კ. ლორთქიფანიძემ რამდენიმე საყურადღებო მოთხრობა დაწერა, ხოლო ამჟამად ნაწილ-

ნაწილ ქვეყნდება მისი ახალი რომანი „ნატურის თვალი“, რომელშიც დიდი შემოქმედებითი აღფრთოვანებით ნაწარმოისახება ომისშემდეგი ქართული საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრება. მისთვის დამახასიათებელი ახლებური კონფლიქტებით და წინააღმდეგობებით. ამ ნაწარმოებებში კიდევ უფრო მეტად გამახვილებულია მწერლის რეალისტური ხედვა, მისი სოციალური პოზიცია სინამდვილის მიმართ. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში კ. ლორთქიფანიძის წიგნი „უკვდავება“. იგი ასახავს მოძმე ბელორუსი ხალხის გმირულ ბრძოლას სოციალისტური რევოლუციის საქმისათვის. ეს ნაწარმოები რაჟდენ გვეტაძის ბელორუსული ნოველების ციკლთან ერთად მოასწავებს ქართული მწერლობის შემოქმედებითი სარბიელის გაფართოებას, ჩვენს ლიტერატურაში მოძმე ხალხთა ცხოვრებისა და ბრძოლის თემატიკის შემოსვლას.

რაჟდენ გვეტაძემ, რომელიც პოეტურ მოღვაწეობასთან ერთად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა მხატვრული პროზის დარგშიც, თავის რომანებში „თეო“, „ქიკაოკონა“ და „ლაშაურის საღამოები“ ცხოვლად ასახა ის მწვავე სოციალური კონფლიქტები, რომელთაც გამსაზღვრეს ქართველი ხალხის ცხოვრების მთავარი შინაარსი ჩვენს საუკუნეში და რომელთა ლოდიკამაც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე, სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საბოლოო დამკვიდრებამდე მიგვიყვანა.

რ. გვეტაძის „მართალი ნოველები“ წარმოადგენს სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის საგმირო საქმეთა წრფელ გამოხატულებას. ეს წიგნი დღემდე რჩება ქართული მწერლობის მიერ ამ დიადი თემისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ მკაფიო ნაწარმოებად, ისევე როგორც გიორგი ნატროშვილის ნოველებისა და მხატვრული ნარკვევების ციკლი, სადაც ცოცხლად, შთამაგონებლად, გულის სი-

ღრმეში ჩამწვდომი სიწრაფელით არის მოთხრობილი ჩვენი სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანთა სწორუბოვარი გმირობისა და კეთილშობილური სულიერი სამყაროს დამახასიათებელი ეპიზოდები.

ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით ქართული მშრომელი ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ მენშევიკური დიქტატურის დამხობისა და საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისათვის შეტყველი მხატვრული განსახიერება კპოვა ალექსანდრე ქუთათელის მრავალტომიან რომანში „პირისპირა“.

ეს, მართლაც, ფართო პლანის მხატვრული ტილოა, რომელიც ასახავს ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრების ხანმოკლე, მაგრამ ფრიალ რთულსა და მძაფრ პერიოდს. პირუთენელი სიმართლით, ისტორიული პერსპექტივის ფიზიკური გრძნობით გვიხატავს მწერალი სოციალურ გარემოს, გვიჩვენებს ქალაქად და სოფლად დაპირისპირებულ სოციალურ ფენათა შეურიგებელ წინააღმდეგობებს, გვიხატავს ამ ფენების ტიპიურ ადამიანთა სახეებს. თანაბარი წარმომსახველობითი ძალით გადაშლის ავტორი ჩვენს თვალწინ ხალხის რევოლუციური ამხედრების, შეიარაღებული აჯანყების ეპიზოდებს თუ, ამ პერიოდის სხვადასხვა სოციალური წრის ადამიანთა ყოფაცხოვრების კოლორიტულ სურათებს.

ნოველებსა და მოთხრობების რამდენიმე წიგნი გამოაქვეყნა ნიჭიერმა ბელეტრისტმა აკაკი ბელიაშვილმა. იგი ფლობდა დამაინტერესებელი ფაბულის შეთხზვის, სიუჟეტის დინამიკურად გამშლის, მიწვიდველი მომთხრობელობის ძალას. მისი მხატვრული ინდივიდუალობის თავისებურებას ჰუმორის გრძნობა შეადგენს. მრავალფეროვნულად არის გამოხატული მის ნოველებსა და მოთხრობებში ახალი ყოფა-ცხოვრების აღმავლობა და დამკვიდრება ჩვენს სამშობლოში, ძველი ყოფის, ოჯახურ და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ძველ დრომოკმულ ფორმათა გადანაშთების კდრმა ჩვენს რევოლუციურ ეპოქაში.

აკაკი ბელიაშვილის „თავდადამავალი ბესიკ ვაბაშვილისა“ და „ქართული ზღაპრები“ საბჭოთა ლიტერატურაში ისტორიული რომანის ჟანრის დამკვიდრების მომასწავებელი ნაწარმოებებია. ჩვენი თანამედროვეობის ღრმად აქტუალურ მოვლენებს შეეხება უკანასკნელი წლების მისი რომანები „უღელტეხილი“ და „რუსთავი“. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მწერალი გატაცებით მუშაობდა ახალ რომანზე „შვიდაცა“, რომლის პირველი წიგნიც ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი შემოქმედებითი გზებით ეხმარებოდა ეს მაღალნიჭიერი ხელოვანი ჩვენს სინამდვილეში აღმოცენებულ ახალ მოვლენებს, როგორი ცხოვრებისეული სიმართლით და ფართო განზოგადებითი აზრით წარმოსახავდა მათ.

თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვანების ერთ-ერთ მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს დავით სულიაშვილის შემოქმედება. მისი ძირითადი ნაწარმოებნი ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებენ. მწერალი მოგვითხრობდა მის მიერ განვლილ მდიდარ და მრავალმხრივად საყურადღებო ცხოვრების გზაზე ნანახისა და განცდილის შესახებ. ამავ დროს მის ნაამბობში ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულის ამაღლებელი ეპიზოდები.

რამდენიმე რომანი და მოთხრობა დაწერა რევოლუციური თანამედროვეობის თემაზე იაკინთე ლისაშვილმა. მაგრამ მის შემოქმედებაში განსაკუთრებით საყურადღებოა ისტორიულ-რევოლუციური რომანი „კეცხოველი“, რომელშიაც ასახულია მგზნებარე რევოლუციონერის ლაღო კეცხოველის შესანიშნავი ცხოვრება და მოღვაწეობა.

ბორის ჩხეიძემ, რომელმაც ჯერ კიდევ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ფორმირების პირველ პერიოდში მიიბყრო ყურადღება თავისი ნიჭიერი ნაწარმოებით „დღეები“, სამამულო ომის წლებში დაწერა მთელი რიგი მოთხრო-

ბები, რომელთა შორის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მოთხრობამ „ომგადახდილი“. უკანასკნელად ბ. ჩხეიძემ გამოაქვეყნა რომანი „ლიახვის პირას“, რომელიც გასული საუკუნის მიწურულიდან საქართველოში აღმავალი რევოლუციური მოძრაობის სურათებს ხატავს. საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზის განვითარების სრული სურათის გათვალისწინებისათვის აუცილებელია აღვნიშნოთ, აგრეთვე, პანტელეიმონ ჩხიკვაძის, როდიონ ქორჭიას, ელიზბარ ზედგინიძის, პარმენ ლორიას, მარიამ გარყულის, გრიგოლ ჩიქოვანის, არჩილ ჩაჩიბაიას რომანები, მოთხრობები და ნოველები რევოლუციური თანამედროვეობისა თუ ისტორიული წარსულის თემებზე.

ცალკე მიმოხილვის თემას შეადგენს ბელეტრისტიკა იმ თაობის შემოქმედება, რომელიც ომისშემდგომ წლებში გამოვიდა ქართული ლიტერატურის სარბიელზე.

რევაზ ჭაფარიძე დიდი ცხოვრებისეული სიმაართლის, სამყაროს რეალისტური ხედვისა და ხატვის ხელოვანია. მას გამძაფრებული შემოქმედებითი აქტივობა და მხატვრული ენერჯია ახასიათებს. მის ყურადღებას ყოველთვის ცხოვრების მწვავე და აქტუალური პრობლემები, თანამედროვე ადამიანის სულიერი ფორმირების ღრმა პროცესები იზიდავს. მრავალი მოთხრობისა და ნოველის გარდა, მან შესძინა ქართულ ლიტერატურას მრავალმხრივად საყურადღებო რომანი „ჭარისკაცის ქვრივი“. ამ რომანის გმირი ხათუნა მინდელი ღირსეულად მიეკუთვნება საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზის მიერ შექმნილ საუკეთესო ტიპიურ ადამიანურ სახეთა გალერეას. ამ მხატვრულ სახეში ღრმა განზოგადებათა ძალით არის ხორცშესხმული ის სულიერი მშვენიება და სიმძლავრე, ის მორალური სისპეტაკე და შეუბღალავობა, რომელთა მეოხებით საბჭოთა ხალხი ძლევს და

გადალახავს ყველა უმძიმეს სიძნელესა და წინააღმდეგობას.

რეალისტური

რ. ჭაფარიძის მრავალრანგობა მრავლებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „ხმა იღუმალი“ და „ახლო არს ზაფხული“. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მასალის ღრმა განცდილი დაწერილი დოკუმენტური მოთხრობა „მარტხის თეთრი ლამეები“, კავკასიის გმირული დაცვის უკვდავ ეპოპეაზე.

თინა ღონეაშვილს თანამედროვეობის გამახვილებული გრძნობა, მწვავე ცხოვრებისეულ კონფლიქტებზე, საწინააღმდეგო ხასიათთა შეჯახებაზე აღმოცენებული დრამატიზირებული სიუჟეტებისადმი მიდრეკილება ახასიათებს, მისი რომანებისა და მოთხრობების სერიიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია რომანი „ალაზანზე“. ეს ქართული მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია ომისშემდგომ წლების საკოლმეურნეო სოფლის შრომითი ცხოვრების თემაზე.

ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითი ინტერესებისა და ყურადღების სფეროს უპირატესად ჩვენი სინამდვილის ჩრდილოვანი მხარეები, ჩვენი ქვეყნის წინსვლელობის გზაზე აღმოცენებული სიძნელეები და დაბრკოლებანი შეადგენს. ამიტომაც მის შემოქმედებაში მამხილებელი, კრიტიკული პათოსი სჭარბობს. მწერალს მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალური სტილი გააჩნია, საკუთარი თვალსაზრისი და პოზიცია მხატვრული მეტყველების, სამწერლო ენის საკითხებში.

ლადო ავალიანის სამტომიანი რომანი „ახალი პორიზონტი“ ქართული მწერლობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის შრომითი ცხოვრების, ახალი ყოფითი ურთიერთობის თემაზე.

ომისშემდგომი წლების ჩვენი მხატვრული პროზის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ელიზბარ ზედგინიძის რომანი „იღვიძებენ მთები“, გიორგი ნატროშვილის მოთხრობა „ისევ გაზაფხული

იდგა იორზე“, გიორგი შატბერაშვილის ნოველა „მკვდრის მზე“, მიხეილ შრევილიშვილის მოთხრობა „ხარატანთ კერა“, და რომანი „სახიფათო მოსახვევი“, გრიგოლ ჩიქოვანის „ოდიშური მოთხრობები“ და, აგრეთვე, ელიზბარ მაისურაძის, ანდრო ლომიძის, ვ. ურჯულეშვილის, მამია ასათიანის მოთხრობები. გრიგოლ ჩიქოვანის „ოდიშური მოთხრობების“ წიგნმა ფართო გამომხატურება პპოვა მკითხველთა ფართო ფენებში, ასევე ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში და თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა თანამედროვე ქართულ ნოველისტიკაში.

ჩვენი სამშობლოს ისტორიის თანამედროვე ეტაპზე ქართულ მწერლობას ბულეტრისტთა ახალი მძლავრი პლეადა შემოემატა. ნოდარ დუმბაძემ, ოტია იოსელიანმა, არჩილ სულაკაურმა, თამაზ ჭილაძემ, რევაზ ინანიშვილმა, ედიშერ ყიფიანმა, ლადო მრეღაშვილმა, ნოდარ წულუისკირმა, აკაკი გეწაძემ, გურამ გეგეშიძემ, რევაზ ჭეიშვილმა, მერაბ ელიოზიშვილმა და სხვა მათმა თანატოლმა ბულეტრისტებმა თანამედროვეობის სოციალური და ყოფაცხოვრებითი პრობლემებით, ახალი თემებითა და ადამიანური ხასიათებით, გმირის სულიერი ცხოვრების კვლევის ახალი მხატვრული საშუალებებით გაამდიდრეს ქართული ლიტერატურა. ზოგიერთი მათგანის ნაწარმოებნი უკვე გარკვეული პოპულარობით სარგებლობენ საქართველოში: და მთელს ჩვენს მრავალეროვან სამშობლოში. ასეთებია, მაგალითად, ნოდარ დუმბაძის რომანები: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“ და „მზიანი ღამე“. ისინი თარგმნილია ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხთა ენებზე და მათს საფუძველზე შექმნილია პოპულარული სპექტაკლები და კინოფილმები. ამ ნაწარმოებთა შექმნისათვის ნოდარ დუმბაძეს საკავშირო ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრემია მიენიჭა.

ნოდარ დუმბაძის ამ ნაწარმოებებში ცხოვლად არის წარმოსახული ის ნა-

თელი ჰუმანისტური ატმოსფერო, რომელიც ჩვენს სამშობლოში უახლესი ძალით დამკვიდრდა კომუნისტურ-საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. დიდი სიკეთე, მორალური სისპეტაქე, ღრმა ადამიანურობა სუფევს ნოდარ დუმბაძის მხატვრულ ქმნილებებში. აქედან წარმოდგება ამ ნაწარმოებთა ღრმა ემოციური ზემოქმედების ძალა, რომელიც მათ გზას უკაფავს ხალხის გული-საყენ. ცხოვრებისეული სიმართლე, ცოცხალი სინამდვილის წილიდან შერჩეული და ამოძერწილი სიტუაციები, საოცრად ცოცხალი, სისხლხორცით სავსე ადამიანური ხასიათები შეადგენს დასახელებულ ნაწარმოებთა უძველეს ღირსებებს, სტვადასხვევარია ნ. დუმბაძის ნაწარმოებთა თემატური საფუძველი, გამოხატულების საგანი. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“ სამამულე ომის წლებს ქართული საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების ფონზეა გაშლილი. მათში ასახულია ის უაღრესად მძიმე სულიერი განწყობილება, რომლითაც მოცული იყო მთელი ჩვენი ხალხი, კერძოდ, კოლმეურნე გლეხობა ჩვენი სამშობლოს სიკვდილ-სიცოცხლის გადამწყვეტ იმ მძიმე წლებში. მაგრამ ომის მრისხანე ვითარებამ ვერ გააუბეშა ხალხის სული, ვერ შეანელა, ვერ შებღალა მისი კეთილი გული, მისი მაღალი ზნეობრივობა, სპეტაკი მორალური სახე—ი ამ პირუთვნელს ისტორიულ სიმართლეს ასახულებს ნ. დუმბაძის ხსენებულ ნაწარმოებთა მთელი მხატვრული ლოგიკა. „მზიან ღამეში“ ჩვენი დედაქალაქის ახალგაზრდობის, კერძოდ, ჩვენი სტუდენტობის ყოფაცხოვრების, მისი სწავლა-წირობის, სულიერი დავაყვაცების პროცესებია მოქცეული მწერლის მხატვრული ინტერესების ცენტრში. აქ უკვე საბჭოთა საზოგადოების ისტორიის გარკვეულ პერიოდში აღმოცენებული მწვავე ფსიქოლოგიური კონფლიქტები იპყრობს მწერლის ყურადღებას.

ნ. დუმბაძის მხატვრული ნიჭიერების თავისებურებას ღრმა დრამატიზმის,



მღელვარე ღირსებისა და ნათელი ჰუმანიზმის ორგანული შეზავება შეადგენს. მის ნაწარმოებებში შეუძლებელიც არის ამ ორი ფსიქოლოგიური და სტილებრივი ნაყადის გამოყოფა. სწორედ ამ თავისებურებით განსხვავდება იგი დღევანდელი ქართული მხატვრული პროზის სხვადასხვა თაობის ოსტატთა პლედისაგან.

დიდი წარმატებით სარგებლობს აგრეთვე ოტია იოსელიანის რომანი „ვარსკვლავთცვენა“, არჩილ სულაკაურის რომანი „ოქროს თევზი“, ლადო მრეღაშვილის „ყაბახი“, თამაზ ჭილაძის მოთხრობები და რომანები. თამაზ ჭილაძის ზოგიერთი ნაწარმოები უცხოეთშიც ითარგმნა და გამოიცა.

სამწერლო სარბიელზე ფეხის შედგმისთანავე ოტია იოსელიანმა ყურადღება მიიპყრო ცხოვრებისეული მოვლენების მხატვრული კვლევის სიღრმით, მათი ნათელი რეალისტური ხილვით და წარმოსახვის ბუნებრივი მანერით. იგი თანამედროვეობის რთული მორალური პრობლემების მხატვრული გაშუქების მისწრაფებით ხასიათდება, სინამდვილის უმძაფრეს კოლიზიებზე ამახვილებს ყურადღებას და ამ კოლიზიების უკიდურესი გამძაფრების საფუძველზე აგებს თავისი ნაწარმოების სიუჟეტს. სწორედ ამ თვალსაზრისით არის საყურადღებო და საინტერესო მისი რომანი „ვარსკვლავთცვენა“ და ნოველების რამდენიმე წიგნი, რომელთა შორისაც განსაკუთრებით უნდა გამოიყოს: „ღევანა“, „ჩქარი მატარებელი“ ზოლო კიდევ უფრო მეტად „ჯარისკაცის დაბრუნება“. ამ მოთხრობაში ავტორმა ისეთი მდიდარი აქტუალური ცხოვრებისეული მასალა მოაქცია, ისეთი მწვევაე და რთული ნორალურ-ფსიქოლოგიური კოლიზიები წარმოსახა, რაც საესებით საკმარისი იქნებოდა ფართო პლანის რომანისათვის, მაგრამ მოთხრობის შედარებით ვიწრო პორიზონტს ხელი არ შეუშლია მწერლისათვის, რომ ეს მასალა და პრობლემატიკა დასრულებულ მხატვრულ თხრობაში, პერსონაჟთა მკაფიო

ფსიქოლოგიურ პორტრეტებში განესახიერებინა. მხატვრულ რეალისტურ ხილვაში ოტია იოსელიანის შემოქმედების უქველად ბედნიერი თავისებურებაა. ამ ფრიად ნიჭიერი და დაკვირვებული მწერლისაგან უქველად ბევრს უნდა მოელოდეს ჩვენი მხატვრული პროზა.

მრავალმხრივად საინტერესო და ნიჭიერმა მწერალმა არჩილ სულაკაურმა ლიტერატურული მოღვაწეობა ღირსიული პოეზის ქანრში დაიწყო და თავისი პირველივე ქაბუკური ნაწარმოებებით თვალსაზრისადგელი მოიპოვა ახალი პოეტური თაობის საუკეთესო წარმომადგენელთა შორის. შემდეგ მან ზედიზედ გამოაქვეყნა უქველი მხატვრული გემოვნებით. მძაფრი შემოქმედებითი აზრით, სიახლის გრძნობით აღბეჭდილი ნოველები: „ტალღები ნაპირისაკენ ნიისწრაფვიან“, „მტრედები“, „აბელის დაბრუნება“ და მრავალი სხვა, რომელთაც ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვევს და ავტორს ნიჭიერი ბელეტრისტის რეპუტაცია მოუპოვეს. ამ ნაწარმოებებში ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ საბჭოთა მწერლობის განვითარების ახალი ეტაპისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა ნიშნები დაინახა და დააფასა. ამჟამად კი უკვე შემოქმედებითად მომწიფებული და გამოწრთობილი მწერალი ფართო მხატვრული ტილოების გამოძერწვას იწყებს. მისი რომანის „ოქროს თევზის“ პირველი წიგნი ღრმა ინტერესით მიიღო მკითხველმა საზოგადოებრიობამ. ამ ნაწარმოებს მძაფრი მამხილებელი პათოსი ახასიათებს. ჩვენი სინამდვილის ჩრდილოვან მხარეთა, მანკიერ მოვლენათა და ბნელი ადამიანების მიმართ მომაკვდინებელი სიძულვილის პათოსი მსჭვალავს. მწერლის დიდი მიღწევა ის არის, რომ ყოველივე ეს რომანში იმგვარად არ იჩრდილება საბჭოთა სინამდვილის წამყვანი დადებითი ტენდენციები, ჩვენი ეპოქის ნათელი საწყისები, არ ირღვევა ცხოვრებისეული სიმართლე, კეთილი და ბოროტი ძალების

ის რეალური შეთანაბრება, რომლითაც ჩვენი სოციალისტური სინამდვილე ხასიათდება.

ახალი თაობის ბელეტრისტთა შორის თამაზ ჭილაძე განსაკუთრებული თანმიმდევრობით იბრძვის მხატვრული პროზის გამომსახველობით საშუალებათა ღრმა განახლებისათვის, ჩვენს მწერლობაში იმ ზოგიერთი სიახლის დამკვიდრებისათვის, რაც უცხოეთის პროგრესულ მწერალთა, თანამედროვე მსოფლიოს გამოჩენილ ბელეტრისტთა შემოქმედებას ახასიათებს. და თუ ასეთს პრინციპულად გააზრებულს, გარკვეული მიზანმიმწრაფებით წარმოშობილს ნოვატორულ ძიებებში იგი გარკვეულ სიძნელეებსა და დაბრკოლებებს წააწყდება ხოლმე, მაინც ყოველთვის მის ამ ძიებათა შედეგი საინტერესო და საყურადღებოა. თამაზ ჭილაძის მხატვრული ინტერესის უპირველეს საგანს ადამიანის სულიერი ცხოვრების, მისი განცდების, გრძნობების, განწყობილებათა სამყარო შეადგენს. ამ ნიადაგზე აღმოცენებულ შთაბეჭდილებათა ამაღლელებად გადმოცემის ნიჭიერება წარმოადგენს თამაზ ჭილაძის შემოქმედებითი ინდივიდუალობის უპირველეს ღირსებას. სწორედ ამ ღირსებათა მეოხებით გამოიწვია ცხოველი ინტერესი მისმა ნაწარმოებებმა „პირველი დღე“, „აპა, მიიწურა ზამთარი“ და სხვ.

რევაზ ინანიშვილის მხატვრული ნიჭიერების ძალა უპირატესად ცოცხალი ტიპიურობის დონეზე ამაღლებული ადამიანური პორტრეტების ხატვის უნარში მდგომარეობს. სწორედ ამ თვალსაზრისით მოიპოვა მაღალი შეფასება მისმა ნოველამ „ვილაძას ავტობუსზე აგვიანდება“, რომელიც კანონიერად ითვლება ამ ნიჭიერი ბელეტრისტის ყველაზე საინტერესო მიღწევად და ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად დღევანდელ ქართულ ნოველისტიკაში.

ქართველ ბელეტრისტთა ამ ახალგაზრდა თაობის შემოქმედებითი მომწიფების მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ამ

ბოლო დროს ზედიზედ გამოქვეყნდარი რევაზ ჭილაძის, ედიშერ ყიფიანის, გურამ გეგეშიძის, გურამ ფანჭიჭიძის რომანები, რომლებიც კიდევ მოელიან ჯეროვან ანალიზსა და შეფასებას ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის მხრივ.

მხატვრული აზროვნების სიღრმით, ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრებით, მკაფიოდ გამოხატული საკუთარი მეტყველებით, უცდომელი გემოვნებით და ნიშმიდველი მომთხრობელობის მაღალი ნიჭიერებით გამოირჩეოდა ნაადრევად დაღუპული ახალგაზრდა ბელეტრისტი გურამ რჩეულიშვილი. მან ვერ მოასწრო თავისი დიდი მხატვრული მონაცემებისა და შემოქმედებითი განხრახვევის განხორციელება. მაგრამ ახალგაზრდა მწერალმა მშობლიურ ლიტერატურას შესძინა ისეთი ჭეშმარიტად მხატვრული ვზნებით აღბეჭდილი ნაწარმოებანი („სიკვდილი ნთვბში“, „ალავერდობა“ და მრავალი სხვა), რომელთაც ვერასოდეს გვერდს ვერ აუვლის თანამედროვე ქართული მწერლობის პირუთვნელი მკვლევარი.

უკანასკნელი წლების ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების დამახასიათებელი მოვლენაა გამოჩენილი პოეტების ნაყოფიერი მოღვაწეობა მხატვრული პროზის ქანარში. ამ მხრივ აღსანიშნავია გიორგი ლეონიძის ნოველების წიგნი „ნატერის ხე“, რომლითაც არსებითად დამთავრდა ამ დიდი პოეტის მდიდარი შემოქმედებითი ბიოგრაფია, და გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანები „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“. ეს რომანები, რომლებშიც წარსულის მოვლენათა მღელვარე განცდით არის წარმოსახული თამარ მეფის და რუსთაველის ეპოქის საქართველოს ძლიერების დამხობა და მონღოლთა სისხლიანი თარეშის ბნელი ეპოქა, პრინციპულად ახლებური მოვლენაა საბჭოთა ისტორიულ რომანისტიკაში.

ამ რომანების ისტორიული მნიშვნელობა ჩვენი საუკუნის ქართული ისტორიული რომანის განვითარებაში ის არის, რომ ამ ქანარის სხვა ნაწარმოებთაგან გან-

სხვაგვებით, გ. აბაშიძის რომანებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ხალხს — ისტორიის ნამდვილ შემოქმედსა და მამოძრავებელ ძალას. ხალხი ამ რომანებში გამოდის არა როგორც ფონი და გარეგანება მალალი არისტოკრატის წრიდან გამოსულ ეროვნულ გმირთა მოქმედებისათვის, არამედ როგორც საუკეთესო მამოძრავებელი, აუცილებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ხალხის წიაღიდან გამოსული პერსონაჟები მნიშვნელოვანს, შეიძლება ითქვას, განმსაზღვრელ როლს ასრულებენ რომანში მოთხრობილ პირად ურთიერთობათა განვითარებაშიც და იმ ისტორიულ მოვლენათა მდინარებაშიც, რომელთაც ეს რომანები მიეძღვნასაყურადღებოა, რომ ამ ისტორიულ დილოგიაში საქართველოს „ოქროს ხანის“ მზის ჩასვენება, თამარისა და რუსთაველის ეპოქის საქართველოს დიდებისა და ძლიერების დამხობა ახსნილი და გაპირობებულია არა მარტო მონღოლთა სისხლიანი შემოსევებით, არამედ ჩვენი ქვეყნის შინაგანი ცხოვრების მანკიერი მოვლენებით, იმდროინდელი სოციალური წყობილების განუკურნებელი წყალულებით, და კერძოდ, მალალი ფეოდალური არისტოკრატის წრეებში გავრცელებული პარტიკულარიზმისა და ამორალიზმის ძირგამომთხრელი შედეგებით. ჩვენი ეროვნულ წარსულის ესოდენ მნიშვნელოვანი მოვლენების ასეთი თავისებური გაშუქება მწერლის თამამი და გაბედული ისტორიული აზროვნების ნომასწავებელია, რაც ღირსეულ მხატვრულ განხორციელებას პოულობს ხსენებულ რომანებში.

მკითხველთა ფართო ფენებში პოპულარობა მოიხვეჭა ლევან გოთუას მრავალტომიანმა ისტორიულმა რომანმა „გმირთა ვარამმა“. ეს ნიჟიერი და ფრიად ნაყოფიერი მწერალი ავტორია მოთხრობათა და ნოველათა რამდენიმე წიგნისა, ისტორიული წარსულისა და ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ცხოვრების თემებზე. ყველაზე მეტი მხატვრული

სრულფასოვნებით მთელს ამ სიუჟეტში გამოირჩევა ისტორიულ მასალაზე აგებული შესანიშნავი ნოველები: „წიგნის სის სევდა“ და „უგზო ქარავანი“.

4

ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის არც ერთ ეპოქაში დრამატურგიას არ ჰქონია ისეთი ხვედრითი წონა ჩვენი ეროვნული ლიტერატურისა და თეატრის საერთო განვითარებაში, როგორიც მოიპოვა და დაიმკვიდრა ქართულმა დრამატულმა მწერლობამ სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში.

თუ კლასიკურ ქართულ ლიტერატურაში დრამატურგია საგრძობლად ჩამორჩებოდა პოეზიისა და მხატვრული პროზის განვითარების დონეს, თუ რევოლუციამდელი ქართული თეატრი უპირატესად თარგმნილი ან გადმოკეთებული პიესებით საზრდობდა, ახლა ქართველი საბჭოთა დრამატურგები თავიანთი შემოქმედებითი წარმატებებით სავსებით ღირსეულად გვერდში უდგანან ჩვენი ლიტერატურის სხვა ეანრების მოწინავე ოსტატებს და თანამედროვეობისა თუ ისტორიული წარსულის თემებზე დაწერილი ორიგინალური პიესებით ძირითადად განსაზღვრავენ ქართული საბჭოთა თეატრის რეპერტუარს.

მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ შალვა დადიანი, რომელმაც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველსავე პერიოდში თავისი მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილება და ნაკადი დრამატურგიული ოსტატობა უყოყმანოდ მიუძღვნა ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და თეატრის აღმავლობის საქმეს. მისი „კაკალ გულში“ პირველი სერიოზული და ფრიად საყურადღებო ნაბიჯი იყო ქართული საბჭოთა კომედიის შექმნის სფეროში.

ეს არის მკვეთრი მამხილებელი ძალის ნაწარმოები, რომლის მახვილიც დაუნ-

დობელი სიმწვავეთაა მიმართული საბჭოთა სინამდვილეში ჩარჩენილი წარსულის რეაქციული ნაშთების წინააღმდეგ. მწერალმა მზის სინათლეზე გამოიყვანა რევოლუციის პირველ წლებში საბჭოთა სახელმწიფოს აპარატში მოკალათებული ბიუროკრატების, მიტმასნილი ელემენტების, მოლაყბების, ფუქსიატი ყოყლოჩინა ადამიანების წარმომადგენლები. გვიჩვენა ეს ხალხი დაწესებულებაშიც, ოჯახურ ყოფა-ცხოვრებით გარემოცვაშიც და მკაცრად, მომავდინებლად დასცინა მათ.

ამ ნაწარმოებში მკაფიოდ თავი იჩინა შალვა დადიანისათვის დამახასიათებელმა ხალისიანმა და მგზნებარე ტემპერამენტმა, სცენური დიალოგის შესანიშნავმა ოსტატობამ და, რაც მთავარია, ტიპაჟის, მკაფიოდ ინდივიდუალური ადამიანური ხასიათების გამოკვეთის იშვიათმა ძალამ და უნარმა.

ტრაგედიაში „თეთსლდი“ შალვა დადიანმა განასახიერა ძველი, რეაქციული სამყაროს სასიკვდილო განწირულების იდეა, ასახა ახალი, სოციალისტური ცხოვრების გარდამქმნელი, განმაახლებელი ზეგავლენა ხალხის შეგნებაზე, ყოფა-ცხოვრებაზე. ეს პიესა საყურადღებო ცდაა კლასიკური ტრაგედიის ფორმის გაცოცხლებისა და გამოყენებისა ჩვენი ეპოქის დიადი სოციალური ძვრების მხატვრულად ასახვის საქმეში.

შალვა დადიანის მნიშვნელოვან მიღწევას დრამატურგიული შემოქმედების დარგში წარმოადგენს ისტორიულ-რევოლუციური დრამა „ნაპერწყლიდან“.

შალვა დადიანის დრამატურგიული შემოქმედების მრავალმხრივობის სრულად გათვალისწინებისათვის საჭიროა დავასახელოთ პიესები „ნინოშვილის გურია“ და „ჩატეხილი ხიდი“, რომლებშიც თავისებური სცენური განსახიერება ჰპოვა ეგნატე ნინოშვილისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითა მემკვიდრეობამ.

ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების მთელი ისტორია და, კერძოდ, საუკეთესო თანამედროვე ქართული თე-

ატრის — რუსთაველის თეატრის მთელი შემოქმედებითი ბიოგრაფია, განუყოფლად არის დაკავშირებული სანდრო შანშიაშვილის სახელთან. სოციალური ტირანიის წინააღმდეგ — თავისუფლების მოყვარე ქართველი მშრომელი ხალხის მიერ წარსულში გადახდილ გმირულ ბრძოლათა თემაზე დაწერილი პიესა „ქერეთის გმირები“ („მათრახის პანაშვიდი“) იყო ის პირველი ნაწარმოები, რომლითაც სანდრო შანშიაშვილმა, გადაჭრით უკუაგდო რა საკუთარი რევოლუციამდელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ანტირეალისტური გზა, მტკიცედ შემოაბიჯა საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების სარბიელზე. უკვე ამ პიესაში მკაფიოდ გამოიხატა ის გმირულ-რომანტიკული სტილი, რომელიც შემდეგ მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის ძირითად ნიშნად იქცა.

თავის ხანგრძლივსა და უაღრესად ნაყოფიერ დრამატურგიულ შემოქმედებაში ს. შანშიაშვილი არა ერთხელ შეეხო სოციალისტური თანამედროვეობის აქტუალურ თემებს („სამნი“, „ფოლადაური“ და სხვ.), მაგრამ მისი შემოქმედებითი სტიქია მთელი ძალით სწორედ იმ ნაწარმოებებში გამოვლინდა, რომლებშიც ჩვენი ხალხის გმირული ისტორია, ახლობელ თუ შორეულ წარსულში ხალხის მიერ თავისი სოციალური და ნაციონალური თავისუფლებისათვის გადახდილ ბრძოლათა სურათებია ასახული.

ეს. ივანოვის პიესის მიხედვით დაწერილმა მისმა დრამამ „ანზორ“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში. ყველაზე მძლავრად და დასრულებულად სანდრო შანშიაშვილის დრამატურგიული სტილის თავისებურებანი გამოვლინდა პიესაში „არსენა“, რომელშიც, ხალხური ეპოსის ნახევრად ლეგენდარული გმირის გადამუშავების საფუძველზე მწერალმა დახატა ფეოდალური ტირანიის წინააღმდეგ თავგანწირულად ამხედრებული გლეხობის საბრძოლო აღფრთოვანების, გულისწყრომისა და მრისხანე-

ბის განმსაზღვრებელი მონუმენტური სახე.

ქართველი ხალხის სახელოვანი ისტორიის უმნიშვნელოვანეს გმირთა სახეები დახატა ს. შანშიაშვილმა თავის ისტორიულ დრამებში „გიორგი სააკაძე“, „ქრწანისის გმირები“ და „ურჩი მფლობელი“. დიდი ქართველი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის ერეკლე მეორეს საბრძოლო ცხოვრების ერთ-ერთი უმძაფრესი ეპიზოდის ამსახველი დრამა „ქრწანისის გმირები“ დაიწერა და სცენაზე განსახიერდა სამამულო ომის მრისხანე დღეებში. პიესა ღრმადაა გამსჭვალული პატრიოტული თავგანწირვის გრძნობით, გმირობისა და ვაჟკაცობის სულიკვეთებით.

სანდრო შანშიაშვილის დრამატურგიული შემოქმედება მგზნებარე პათოსით, ხალხის უძლეველობის რწმენაზე დამყარებული საღი სოციალური ოპტიმიზმით არის აღბეჭდილი. მის დრამებში, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ხალხის დიდი საბრძოლო ამოძრავების ამსახველი მასობრივი სურათები. ისტორიული სიუჟეტების დამუშავებისას მწერალი მძაფრი სოციალური კონფლიქტების ასახვითაა გატაცებული. მას ნაკლებად იზიდავს ყოფა-ცხოვრებითი სურათები, ადამიანური ხასიათისა თუ ყოფითი გარემოცვის დეტალები და ნიუანსები. იგი ყოველთვის ისწრაფვის შექმნას ხალხის მებრძოლი სულისა და გმირობის გამომხატველი მონუმენტური სახეები, ხოლო დრამატურგიული კოლიზიის საფუძველს იგი მოწინააღმდეგე სოციალური ძალების კიდილსა და შეჯახებაში ეძიებს.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის ფრიად მნიშვნელოვან ქმნილებებს წარმოადგენენ მაღალნიჭიერი კომედიოგრაფის პოლიკარპე კაკაბაძის პიესები: „ყვარყვარე თუთაბერი“, „კოლმეურნის ქორწინება“, „კახაბერის ხმალი“.

„ყვარყვარე თუთაბერი“ უაღრესად ორიგინალური, ღრმა სოციალური აზრისა და მაღალი ესთეტიკური ღირსების

ნაწარმოებია. ქართული ფოლკლორის საგანძურიდან აღებული ნაცარქექიას ნილაბის შემოქმედებითად, ვარდაქმნის საფუძველზე მწერალმა შექმნა ცხოვრების ზედაპირზე შემთხვევით წამოტივტივებული წვრილფეხა ავანტიურისტის ტიპური სახე — ყვარყვარე თუთაბერი. მხოლოდ სულთმობრძავი თვითმპყრობელური რეჟიმისა და უზადრუცი მენშევიკური წყობილების ვითარებაში შეიძლებადა ასეთი ფართო სარბიელი მისცემოდა თუთაბერის ფუჭ პატივმოყვარეობასა და კარიერისტულ მისწრაფებას. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით გაჯანსაღებულ სოციალურ გარემოცვაში კი ყოველგვარი ნილაბი გამოეცალა სახელმწიფო მოღვაწის ნილაბში გახვეული ამ უზადრუცი ნაცარქექიას თავაშეგებულ თარეშს. როგორც კი ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავეები ხალხის ხელში გადავიდა, ნაცარქექიებმა დაკარგეს ყოველგვარი გავლენა და მნიშვნელობა. ამ აზრის დამაჩრმუნებელ მხატვრულ დასაბუთებას გვაძლევს „ყვარყვარე თუთაბერი“.

პიესა ქართული საბჭოთა დრამატურგიის დიდი შემოქმედებითი ზრდის მომასწავებელ ნაწარმოებად იქნა აღიარებული სცენაზე მისი პირველად განსახიერებისთანავე. მართლაც, ამ პიესაში მიღწეულია მძაფრი კომედიური სიტუაციების, დიალოგის მაღალი მხატვრული ხარისხისა და ხასიათების მკვეთრი, რელიეფური ხატვის ორგანული ერთიანობა მტკიცე კომპოზიციურ ყალიბში.

სწორედ ამ ღირსებათა გამო ეს კომედია არ კარგავს ინტერესსა და მიმზიდველობას. ათეული წლების განმავლობაში იგი არ ჩამოდის ქართული თეატრის სცენიდან, ხოლო მისი მთავარი გმირის სახელი გადავიდა ხალხში, როგორც ფუჭი ქედმაღლობის, გაიძვერობისა და ფუქსავატი პატივმოყვარეობის გამომხატველი საზოგადო სახელი. ასეთი წარმატება იშვიათად თუ ხვდომია წილად საბჭოთა დრამატურგიის სხვა რომელიმე ნაწარმოებებს. პოლი-

კარპე კაკაბაძის კომედია „კოლმეურნის ქორწინება“ საკოლმეურნეო წყობილების ნიადაგზე სოფლად დამკვიდრებული ახალი ცხოვრების ამსახველი საუკეთესო ნაწარმოებია ქართულ დრამატურგიაში. ამ პიესის უმთავრესი ღირსება და მისი წარმატების საფუძველი ის არის, რომ მოქმედების ცენტრში აქ დაყენებულია დადებითი გმირი — ახალგაზრდა გლეხი ქალი გვირისტინე, რომელიც საკოლმეურნეო წყობილებას საბოლოოდ გამოუყვანია სიღარიბისა და უმეცრების წყვდიადიდან და ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწინავე ადამიანის მღვდომარეობამდე აუმაღლებია. ეს გარემოება — კომედიურ სიტუაციათა ცენტრში დადებითი გმირის მოქცევა — ახლებურ გაშუქებას აძლევს საბჭოთა კომედიის პრობლემას და დიდად აფართოებს ამ ეპოქის შემოქმედებით დიაპაზონს.

მაღალი ლიტერატურული და სცენური ღირსებებით ხასიათდება პ. კაკაბაძის კომედია „კახაბერის ხმალი“, რომელშიც ისტორიული წარსულის მასალაზე მომავლდინებლად არის გაკიცხული მოღალატეობის, გაიძვერობის, ფლიდობისა და თვალთმაქცობის ბნელი მანკიერებანი. პიესის სიუჟეტი მძაფრ, გონებაბახვილურად მოფიქრებულ სიტუაციებს ემყარება. უკანასკნელ ხანებში პ. კაკაბაძემ ზედიზედ გამოაქვეყნა ორი ისტორიული ტრაგედია „მეფე ვახტანგ პირველი“ და „ბაგრატ მეშვიდე“. ეს პიესები სრულიად ახლებური მოვლენაა ქართულ დრამატულ მწერლობაში.

კომედიის ეპოქაში დაიწყო დრამატურგიული მოღვაწეობა თანამედროვე ქართული დრამატურგიული მწერლობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო ოსტატმა იონა ვაკელმა. მისი პირველი პიესა „აპრაქსე კიმიშიელი“ მწვავე სოციალური სატირის პლანში მოფიქრებული ნაწარმოებია. შემდეგ იონა ვაკელმა დაწერა საბჭოთა ხალხური ინტელიგენციის იდეურ-მორალური ზრდისა და

რევოლუციური წრთობის ამსახველი პიესა „შური“. ამ დრამაში ავტორმა დახატა ტიპური სახეები — დედამამული საბჭოთა პატრიოტებისა, რომლებიც მრავალი სიძნელისა და წინააღმდეგობის გადალახვით აღწევენ სამაგალითო წარმატებებს ჩვენი ქვეყნის დიდებისა და ძლევამოსილებისათვის ბრძოლასა და შრომაში.

პარალელურად იონა ვაკელი ამუშავებს ისტორიული წარსულის სიუჟეტებსაც. მისი „შამილი“ ერთ-ერთი პირველი ისტორიული დრამა იყო ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. აქ მწერალმა გვიჩვენა მძაფრად დრამატიზირებული სიუჟეტის ნწყობრად ჩამოყალიბების უნარი, დიდ ადამიანურ ვნებათა გამოხატვის ნიჭი.

გაცილებით მნიშვნელოვან შემოქმედებით წარმატებას მიაღწია იონა ვაკელმა თავის მეორე ისტორიულ დრამაში „გიორგი სააკაძე“. ისტორიული პროცესების სწორად გაგებასა, ღრმად გააზრებასა და სიმართლით გამომხატვასთან ერთად ამ პიესაში ავტორმა გამოიჩინა ისტორიული ეპოქის მწერლისათვის ერთი მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელი თვისება. იგი მიდის არა იმ ჩვეულებრივი ვზით, რომელსაც შეიძლება ისტორიულ მოვლენათა მხატვრული ილუსტრაცია ან ისტორიული ეპიზოდების ინსცენირება ეუწოდოთ, არამედ გარკვეული იდეური თვალსაზრისით, გარკვეული ისტორიული კონცეპციის ნათელით აშუქებს აღებულ ისტორიულ მასალას და ისტორიული პერსონაჟი მას აპყავს განზოგადებითი ძალის თვისებათა განმასახიერებელი მხატვრული სახის ხარისხში. უკანასკნელი წლების თავის დრამატურგიულ შემოქმედებაში იონა ვაკელი აქტიურად მუშაობს საბჭოთა სინამდვილის უმნიშვნელოვანეს თემებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი დრამა „რვალი“ და სატირული კომედია „საქმიანი კაცი“, რომელთა გარკვეული ადგილი მოიპოვეს ომისშემდგომი წლების ქართული თეატრის რეპერტუარში.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის პოეტ კარლო კალაძეს. მისი „როგორ“ პირველი ისტორიულ-რევოლუციური დრამა იყო უახლოეს ქართულ მწერლობაში. ეს პიესა გამსჭვალულია 1905 წლის რევოლუციის რომანტიკული განცდით და მიუხედავად იმისა, რომ პიესას პრეტენზია არა აქვს იმ დიდი რევოლუციური მოძრაობის ღრმად და ყოველმხრივად ასახვისა, მაინც ეს ნაწარმოები მომხიბვლელი სისადავითა და უშუალოებით იქცევა ყურადღებას და მას თავის დროზე დიდი წარმატებაც ხვდა წილად ქართულ სცენაზე. კარლო კალაძის მეორე პიესა „ხატიჯე“ უკვე საბჭოთა სინამდვილის თემაზეა დაწერილი და მასში ნაჩვენებია ის დიდი გარდაქმნა და განახლება, რომელიც შეიტანა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ჩვენი ქვეყნის თვით უკიდურესად შორეულ კუთხეებშიც კი. კარლო კალაძის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, კომედია „სახლი მტკვრის პირას“. რომელიც საბჭოთა ყოფაცხოვრების თემაზეა დაწერალი.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე გარკვეული როლი შეასრულეს ნატალია ახიანიასა და ნიკო შიუკაშვილის კომედიებმა, დემნა შენგელაიას „თეთრებმა“, ალიო მირცხულაჯას „განგაშმა“, ალ. ქუთათელის „შუღამემ გადაიარა“ და სხვ.

ჩვენს დრამატურგიაში საბჭოთა სინამდვილის თემატიკის დამკვიდრებისა და მოწინავე საბჭოთა ადამიანის, ეპოქის დადებით გმირის სახის უფრო ღრმად გამოსახვის მომასწავებელ მკაფიო ნაწარმოებად მოგვევლინა თავის დროზე სერგო კლდიაშვილის პიესა „გმირთა თაობა“. იგი საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით შთაგონებული ნაწარმოებია. პიესა ასახავს კოლხეთის ველზე გაჩაღებულ გმირულ შრომას, როგორც საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძლევამოსილების ერთ-ერთი მკა-

ფიო გამოხატულებას. ამ პიესამ თავისი მკვეთრი სიუჟეტით, წრფელი დრამატიზმით და იდეური აქტუალობით ცხოველი გამოძახილი ჰპოვა მაყურებელთა ფართო წრეებში და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. შემდეგ სერგო კლდიაშვილმა რამდენიმე გონებამახვილურად მოფიქრებულ სიუჟეტზე აგებული კომედია დაწერა, ხოლო სამამულო ომის წლებში მოგვცა ამიერკავკასიის გმირული დაცვის ეპოპეისადმი მიძღვნილი დრამა „ირმის ხევი“.

პოეტ ვიქტორ გაბესკირიას დრამატულ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პიესა „მათი ამბავი“, რომელიც საბჭოთა ინტელიგენციის ცხოვრებას ასახავს და გვიჩვენებს იმ მძაფრ კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებს, ძველისა და ახლის შიშურიგებელ ჭიდილს, რომლის ვითარებაშიც გამომუშავდა მოწინავე საბჭოთა ინტელიგენციის ბუნებისათვის დამახასიათებელი საუცუეთესო თვისებანი. ვიქტორ გაბესკირიას პიესები ლირიზმით არიან გამსჭვალულნი და სიტყვიერი მასალის პოეტური დახვეწილობით ხასიათდებიან. ამ თვისებებით ხასიათდება მისი ორი პიესა: „უფსკრულთან“ და „ახალწლის დამე“, რომელთა დადგამა ქართული თეატრის სცენაზე ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი და აზრთა მწვავე სხვადასხვაობა გამოიწვია.

ქართული საბჭოთა თეატრის სცენაზე სხვადასხვა დროს დაიდგა დრამატურგ ვიორჯი მღვინის რამდენიმე პიესა: „ალკაზარ“, „სამშობლო“, „ბატალიონი მიდის დასავლეთით“, „პარტიზანები“, „მოსკოვის ცის ქვეშ“, „ვარდო“, „კეთილი ნების ადამიანები“. მის შემოქმედებას თემატური აქტუალობა ახასიათებს. იგი იშვიათი სისწრაფით ეხმარება ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყოველ ახალ, უმნიშვნელოვანეს მოვლენას. ქართულ სცენაზე დადგმულ მის პიესებს შორის განსაკუთრებული წარმატება ხვდა დრამას „ალკაზარ“, რო-

მელშიც მგზნებარე გამოხატულება პპოვა დემოკრატიული ესპანეთის ბრძოლამ ფაშისტური რეაქციის ბნელი ძალების წინააღმდეგ.

გ. მღვინის პიესათა უმრავლესობა რუსული და მთელი მრავალეროვნული საბჭოთა თეატრის რეპერტუარში დამკვიდრდა. ზოგი მათგანის რეჟონანსი დიდი საბჭოეთის საზღვრებსაც გასცდა.

საბჭოთა ეპოქის ქართული დრამატურგიის მნიშვნელოვან ნაწარმოებთა შორის უნდა მოვიხსენიოთ, აგრეთვე, ვ. დარასელის „კიკვიძე“, რომელიც საშოქალაქო ომის თემაზე დაწერილი საუკეთესო პიესაა ქართულ ლიტერატურაში.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც სამამულო ომის სწორუპოვარი ეპოპეოსადმი არიან მიძღვნილნი, სიუჟეტის სიმძაფრითა და მთავარ გმირთა ხასიათების მკვეთრად გამოხატვით გამოირჩევიან ილო მოსაშვილის „სადგურის უფროსი“ და გიორგი შატბერაშვილის „ფიქრის გორა“.

განსაკუთრებით ცხოველი გამოძახილი მოიპოვა მაყურებელთა შორის ილო მოსაშვილის პიესამ „სადგურის უფროსმა“, პოეტის ეს პირველი დრამატურგიული ნაწარმოები ამაღელვებელ სურათებში გვიხატავს იმ რაინდულ თავგანწირულებასა და უბადლო სულიერ კეთილშობილებას, რომელიც გამოიჩინეს საბჭოთა ადამიანებმა ჩვენს სამშობლოში შემოჭრილი ფაშისტური ურდოების განდევნისა და განადგურებისათვის ბრძოლაში.

„სადგურის უფროსით“ დაიწყო ილო მოსაშვილის ფრიალ ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა დრამატურგიაში. ამ პიესას ზედიზედ მოჰყვა მისი სხვა პიესები „ჩაძირული ქვები“, „მისი ვარსკვლავი“ და „გზა მომავლისა“, რომელთაც თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს ომის შემდგომი წლების ქართული თეატრის რეპერტუარში.

რამდენიმე პიესა შესძინა ქართული

თეატრის რეპერტუარს გიორგი შატბერაშვილმა. ამ ნიჭიერ პოეტსა და ბელეტრისტს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე არ შეუწყვეტია შემოქმედებითი მოღვაწეობა დრამატულ მწერლობაში და მისი ყოველი ნაბიჯი ამ სარბიელზე ცხოველ საზოგადოებრივ ინტერესსა და ყურადღებას იმსახურებდა.

როგორც მთელ საბჭოთა დრამატურგიას, ისე ქართული დრამატული მწერლობის განვითარებასაც ომის შემდგომ პერიოდში სერიოზული ზიანი მიაყენა ე. წ. „უკონფლიქტობის თეორიამ“. ამ მანკიერი „თეორიის“ გავლენით დაწერილი მრავალი პიესა სწრაფად ჩამოვიდა სცენიდან და დავიწყებას მიეცა. მაგრამ ომის შემდგომი წლების მანძილზე ქართველმა დრამატურგებმა შექმნეს მნიშვნელოვანი ნაწარმოებნიც, რომლებმაც საგრძნობლად გაამდიდრეს ჩვენი თეატრის რეპერტუარი და ეროვნული დრამატურგიის განვითარებაშიაც ახალი ეტაპის დასაწყისი განსაზღვრეს. ასეთ პიესათა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ: მიხეილ მრეველიშვილის „ხარატანთ კერა“ და „ზვავი“, მარიკა ბართაშვილის „ჭრიჭინა“, ვიქტორ გაბესკირიას „უფსკრულთან“, მიხეილ ჭაფარიძის „ჩვენებურები“, გრიგოლ აბაშიძის „მოგზაურობა სამ დროში“ და „დედა“, იონა ვაკელის „საქმიანი კაცი“, ვალერიან კანდელაკის „მთა წყნეთლი“.

უკანასკნელ ხანებში თეატრისა და დრამატული მწერლობისადმი ცხოველი შემოქმედებითი ინტერესი გამოიჩინეს ნიჭიერმა ახალგაზრდა მწერლებმა: ნოდარ დუმბაძემ, არჩილ სულაკაურმა, აკაკი გეწაძემ, გიორგი ხუხაშვილმა, ოტია იოსელიანმა, მერაბ ელიოზიშვილმა, თამაზ ჭილაძემ, გიორგი ხუხაშვილის „ზღვის შვილებმა“ და „ცხოვრებამ კაცისა“, აკაკი გეწაძის „წმინდანებმა ჭოჯოხეთში“ და ნოდარ დუმბაძისა და მერაბ ელიოზიშვილის ბელეტრისტულ ნაწარმოებთა საფუძველზე შექმნილმა პიესებმა თვალსაჩინო ადგი-

ლი მოიპოვეს უკანასკნელი დროის ქართული თეატრის რეპერტუარში. შეუძლებელია ჩვენი მწერლობის ახალი თაობის ამ საუკეთესო წარმომადგენელთა შემოქმედებითა მოღვაწეობამ არ აამაღლოს და გაამდიდროს ჩვენი თეატრი და დრამატურგია.

თითოეულ ამ პიესას თავისი გარკვეული ხარვეზები და ნაკლოვანებანიც ახასიათებს, მაგრამ მთლიანად მათ დადებითი შეფასება დაიმსახურეს და გვიჩვენეს ჩვენს დრამატურგიაში შემოქმედებითი გამოცოცხლების, ახალი აღმავლობის დასაწყისი.

ომის შემდგომი წლების ქართული თეატრის რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირეს გ. ნახუცრიშვილისა და გრიგოლ ბერძენიშვილის პიესებმა, კიკია ბუაჩიძისა და ვასო პატარაიას კომედიებმა.

სანამულო ომის შემდეგი პერიოდის დასაწყისში დაიწერა და დაიდგა ცნობილი ბელეტრისტიკა და დრამატურგის მიხეილ მრევლიშვილას პირველი პიესა. ეს იყო ისტორიულიოგრაფიული დრამა „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, რომელიც ქვეშარიტი პოეტური გზნებით წარმოსახავს მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ცხოვრებას, მის სულიერ ვითარებას გასული საუკუნის დამდეგს, როდესაც საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად ახალი ხანა დაიწყო ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. პიესა აღსავსეა ღირებებით, პოეზიით, ღრმა დრამატიზმით. უფრო გვიან მ. მრევლიშვილმა დაწერა ამავე ეპოქის მეორე დრამა „მგზნებარე მეოცნებე“. მასში მოთხრობილია დიდი რუსი მწერლის ა. გრიბოედოვის ცხოვრების უკანასკნელი წლებისა და ტრაგიკული დაღუპვის ამბავი, ამალელებლად არის ასახული ის სულიერი ნათესაობა და შემოქმედებითი კონტაქტები, რომლებიც ახლებურად აღორძინებასა და განვითარებას იწყებდა მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან.

დიდი წარმატებით განხორციელდა

ქართული თეატრის სცენაზე მ. მრევლიშვილის ორი პიესა საკოლმეურნეოსოფლის თანამედროვე ცხოვრების თემაზე: „ხარატანთ კერა“ და „ზვავი“.

„ხარატანთ კერაში“ მწერალმა დახატა ომის მრისხანე წლებში ჩვენი საკოლმეურნეო გლეხობის თავდადებული შრომითი ცხოვრების სურათები, გამსჭვალულნი საბჭოთა პატრიოტიზმის უწმინდესი გრძნობით და ამ ფონზე აქტორმა გააშუქა ახალი, კომუნისტური მორალის, ოჯახის, სიყვარულის მწვავე პრობლემები.

საკოლმეურნეო სოფლის თანამედროვე ცხოვრებისათვის დამახასიათებელ უმძაფრეს კონფლიქტებზე ააგო დრამატურგმა თავისი ფსიქოლოგიური დრამის — „ზვავის“ სიუჟეტი. მან ერთმანეთს დაუპირისპირა და შეაჯახა ახალი სოფლის მშენებელი მოწინავე ადამიანები და კაპიტალისტური წარსულის მანკიერი გადმონაშთების მატარებელი ბნელი პიროვნებანი. პიესა მხატვრულად ასახულებს ძველისა და დრომოქმული სამყაროს უკანასკნელი გადმონაშთების სასიკვდილო განწირულებას ამ ორთაბრძოლაში. კერძომესაკუთრული ინსტიტუტებით დაბრმავებული კარიერიზმისა და პატივმოყვარეობის სენით გაცოფებული გლეხის — თინიბევის სახე ამ პიესაში ისეთი მძაფრი საღებავებით არის დახატული, რომ იგი ქვეშარიტად ამშვენებს და ამდიდრებს ჩვენი მწერლობის მიერ შექმნილ ტიპიურ ადამიანთა პორტრეტების გალერეას.

მგონი, არც ერთ ქართულ დრამატულ ნაწარმოებს არ ხელოვია წილად ისეთი ვაერცელება მრავალეროვნულ საბჭოთა თეატრის სცენებზე, როგორც მოაპოვა მარიკა ბარათაშვილის პოპულარულმა კომედია „მარინემ“ (ტრიკინა). ამ პიესის უპირველესი ღირსება ის არის, რომ ხალისიანი, კომედიური სიტუაციები მასში ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის ნათელი შრომითი ცხოვრების ფონზე ვითარდება და მის

მთავარ გმირებს კოლმეურნე გლეხობის დადებითი ტიპები წარმოადგენენ. დადებითი შეფასება დაიმსახურა აგრეთვე მ. ბარათაშვილის პიესამ — „ჩემი ყვავილეთი“.

თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის თანამედროვე ქართული თეატრისა და დრამატურგიის განვითარებაში გ. ნახუცრიშვილს. მან მრავალი მაღალნიჭიერი პიესით გაამდიდრა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის რეპერტუარი. მისმა ზოგიერთმა ნაწარმოებმა საკავშირო აღიარება მოიხვეჭა. საუკეთესო ქართულ საბჭოთა თეატრების სცენაზე წარმატებით დაიდგა გ. ნახუცრიშვილის ისტორიულ-ბიოგრაფიული ქანრის პიესები „ფიროსმანი“ და „წიწამური“.

ასეთია მოკლედ, კონსპექტურად ქართული საბჭოთა მწერლობის ძირითადი ქანრების — პოეზიის, პროზის და დრამატურგიის მდგომარეობა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის. ამ მიმოხილვის ფარგლებში ჩვენ არ შევხებივართ ჩვენი ლიტერატურის ისეთ მნიშვნელოვან დარგებს, როგორცაა საბავშვო მწერლობა, თარგმნილი ლიტერატურა, ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა. ცხადია, ამ დარგებშიაც სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში მიღწეულია ისეთივე ღრმა სიახლენი და შემოქმედებითი წარმატებანი, როგორც მთელი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას ახასიათებს. მაგრამ თითოეული ამ დარგის მდგომარეობა სპეციალურ მიმოხილვას მოითხოვს.

წარმოდგენილ მიმოხილვაში ქართული საბჭოთა ლიტერატურის მოვლენები, მწერლები და ცალკეული ნაწარმოებნი შეფასებულია უპირატესად იმ თვალსაზრისით, რომ გარკვეულიყო, თუ რა მოუტანა ახალი, ძვირფასი და გამამდიდრებელი ქართულ ლიტერატურას ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ, თუ რა შემოქმედებითი მიღწევებითა და წარმატებებით ეგებება ჩვენი ეროვნული მწერლობა დიდ საიუბილეო თა-

რილს — სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ნახევარსაუკუნეწინადად. ამ თვალსაზრისმა განსაზღვრა მიმოხილვის თავისებურება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი მოხსენებულ ნაწარმოებთა ყოველმხრივ კრიტიკულ ანალიზს, მათი ცალკეული იდეურ-მხატვრული ხარვეზებისა და ნაკლოვანებათა ჩვენებას. ცხადია, შეცდომა იქნებოდა ყოველივე ზემოთქმულიდან ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს ქართული საბჭოთა მწერლობა ამჟამად თავისი დიდი ისტორიული მოწოდების სიმაღლეზე იდგეს, თითქოს იგი სრულად და სავსებით ღირსეულად უპასუხებდეს კომუნისმის მშენებელი ხალხის გაზრდილ სულიერ მოთხოვნებს. არა! როგორც მთელი მრავალეროვნული სოციალისტური ლიტერატურა, ისე ქართული საბჭოთა მწერლობაც ჯერ კიდევ დიდ ვალშია ხალხის წინაშე, იგი ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება იმ დიდ ამოცანებს, რომლებსაც პარტია და ხალხი კანონიერად უსახვევენ ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებას. ქართულ მხატვრულ პროზაში ჯერ კიდევ ძლიერ ცოტა მოგვებოვება ისეთი ფართო პლანის სრულფასოვანი მხატვრული ტილოები, რომლებშიც ღირსეული სიღრმითა და სიმართლით იყოს ასახული ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასისა და სახალხო ინტელიგენციის ახლანდელი გმირული შრომითი ცხოვრება. ქართულ საბჭოთა პოეზიაში ჯერ კიდევ ღირსეულად ვერ აღორძინდა ჩვენი კლასიკური მწერლობის დიდი ეპიური ტრადიციები. ჩვენი დრამატურგია ჯერ კიდევ იშვიათად აწვდის ქართულ საბჭოთა თეატრს მაღალმხატვრულ ორიგინალურ პიესებს თანამედროვეობის თემებზე.

ჩვენი ლიტერატურის ეს სერიოზული ნაკლოვანებანი განსაკუთრებით თვალსაჩინო და საგრძნობი ხდება იმ ახალ ამოცანების შექმნა, რომლებიც დაუსახა საბჭოთა ხელოვნებასა და ლიტერატურას სახელოვანი კომუნისტური პარ-

ტიის XXIII ყრილობამ. ამ ისტორიული ყრილობის ტრიბუნიდან პარტიამ მოუწოდა ჩვენს მხატვრულ ინტელექციას იბრძოლოს იმის მისაღწევად, რომ საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას პირველი ადგილი ექიროს მსოფლიოში არა მარტო შინაარსის სიმდიდრით, იდეურობით, რევოლუციურობით, არამედ მხატვრული ოსტატობის ხარისხისა და ძალის მხრივაც. პარტიამ მოითხოვა მწერლობისაგან სინამდვილის მართალი გამოხატვა: არც მისი შელამაზება და არც მისი ისე გალარებებულად და დამახინჯებულად ასახვა, რაც არსებითად აბიბრუებს ჩვენი ხალხის მიღწევებსა და გამარჯვებებს. ჩვენი პარტიის ახალმა პროგრამამ ამოცანად დაუსახა საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებს, რომ მთელი მათი შემოქმედებითი ცხოვრება ღრმად იყოს გამსჭვალული

მაღალი იდეურობისა და კომუნისტური პარტიულობის იმ პრინციპებით, რომლებსაც ემყარება სოციალისტური რევოლუციის ესთეტიკა.

ეს ამოცანები განსაზღვრავს ამჟამად ქართული საბჭოთა ლიტერატურის, როგორც მთელი მრავალეროვნული სოციალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების, მათი ახალი აღმავლობის ხასიათსა და შინაარსს.

უეჭველია, რომ ოქტომბრის 50 წლისათვის საყოველთაო სახალხო დღესასწაული, მშრომელი კაცობრიობის ეს უდიდესი საერთაშორისო ზეიმი ახალი შემოქმედებითი გმირობისათვის აღაფრთოვანებს მხატვრული სიტყვის ოსტატებს, შთააგონებს მათ ახალი დიდი წარმატებების მისაღწევად ჩვენი დიდი ეპოქის, კომუნიზმის მშენებელი ხალხის შესაფერი მწერლობისათვის ბრძოლაში.



თენგიზ კეხელიძე

ოქტომბრის გამომცემილი სპარსულ ლიტერატურაში

Не боюсь я Востока, —
Отвечал Казбек, —
Род людской спит там глубоко
Уж девятый век.

Лермонтов

ნახევარი საუკუნის წინათ ოქტომბრის ღამეს „ავრორამ“ სამყაროს აუწყა ნუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფოს დაბადება; ამოძრავდა ხალხთა მასები მთელ მსოფლიოში და საუკუნეობრივი ძილისაგან გამოფხიზლდა აღმოსავლეთიც.

რევოლუციის ალი ირანსაც გადასწვდა. 1918-1922 წლებში ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული გარდაქმნებისათვის ბრძოლის გერებად იქცა ირანის ისეთი მნიშვნელოვანი მხარეები, როგორცაა გილანი, ხორასანი და აზერბაიჯანი.

რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ზრდამ პრესის სწრაფი განვითარება და ლიტერატურული ცხოვრების განვითარება გამოიწვია.

ოციან წლებში ირანის ლიტერატურა უფრო სისხლსავეს ხდება. ეროვნულ-გამათავისუფლებელი და დემოკრატიული მოძრაობით აღფრთოვანებული და რევოლუციური იდეებით ფრთაშესხმული სპარსული მწერლობა ეხმაურება ირანის სინამდვილის აქტუალურ, საკვირბოროტო საკითხებს, მეტ ინტერესს იჩენს სოციალური პრობლემათვისადმი. ირანელი სიტყვის ოსტატები ცდილობენ თავის ნაწარმოებებში მოგვეცნენ უბრალო ადამიანების სახეები, ასახონ ქალაქისა და სოფლის მშრო-

მელების უსიხარულო ცხოვრება, ირანელი ქალის მძიმე ხვედრი.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან და ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს წარმატებებთან ერთად გაიზარდა მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველყოფელი იდეების გავლენა მთელი კაცობრიობის და მათ შორის აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა მასების შეგნებაზე.

ირანელი სატირიკოსისა და შესანიშნავი თასნიფების ავტორის აშრაფ გილანის შემოქმედებაში მოცემულია პირველი გამოცხადებული ოქტომბრის რევოლუციაზე ირანში. პოეტი-დემოკრატი არეფ ყაზვინი, რომელიც ფართოდაა ცნობილი თავისი პატრიოტული და მამხილებელი თასნიფებით, 20-იან წლებში ქმნის პოემას, რომელშიც ლაპარაკია ბოლშევიკებზე, ლენინზე.

ირანელმა პოეტმა, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ყურნალის „არმაღანის“ რედაქტორმა ვაჰიდ დასთგერდიმ შექმნა მამაფრი სოციალური შინაარსის ლექსების ციკლი, რომელშიც პოეტური ფორმითაა გადმოცემული ირანის მოწინავე ინტელიგენციის ტიპური წარმომადგენლის შეხედულებანი მსოფლიოს პოლიტიკურ მოვლენებზე, კერძოდ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაზე.

დიდი ოქტომბრის შუქით არის გას-
ხივოსნებული მირზადე ეშყის და ფა-
როხი იაზდის პოეტური მემკვიდრეობა,
რევოლუციურ ბრძოლებში იწრთობოდა
და ვაჟკაცდებოდა გამოჩენილი პროლე-
ტარული პოეტის აბოლ ყასენ ლაქუთი
ქერმანშაჰის შემოქმედება.

ოქტომბრის სოციალისტური რევო-
ლუცია აისახა სპარსულ პროზაშიც,
თუმცა ეს ისე უშუალოდ არ მონხდარა
როგორც პოეზიაში. ამ დროს ირანელი
მკითხველის წიგნის თაროზე გამოჩნდა
მორთაზა მოშფეყ ქაზემის რომანი „სა-
ზარელი თეირანი“, სეიდ მოჰამედ ჯა-
მალზადეს ნოველების კრებული „ნამ-
დვილი და მონაგონი“ და აჰმად ხოდა-
დადეს რომანი „გლუხიკაცის შავი დღე“.

ოქტომბერმა მსოფლიოს ხალხებს სა-
უკუნეობრივ ნატურათა განხორციელებ-
ის შესაძლებლობა მისცა. ლენინის სა-
ხელი მსოფლიოს ხალხთა გულში ოქ-
ტომბრის რევოლუციის მსოფლიო ის-
ტორიულ მონაპოვართა სიმბოლოს წარ-
მოადგენს და ამიტომაც იქცა ლენინის
სახე ლიტერატურისა და ხელოვნების
მრავალი ოსტატის შთაგონების [დაუშ-
რეტელ წყაროდ.

ირანელი პროგრესული პოეტები და
მწერლები უძღვნიან თავიანთ ნაწარმო-
ებებს ლენინს, აცნობენ ირანის ფართო
საზოგადოებას, საბჭოთა სახელმწიფოს
შემქმნელის, ლენინის გენიას, უმღერიან
მას როგორც დიად პიროვნებას, რო-
გორც კაცობრიობის მხსნელსა და
იმედს.

ოცდაათიან წლებში ირანში არის რე-
ზა შაჰის ბატონობის შავბნელი ხანა.
იღვენება ყოველივე პროგრესული მოვ-
ლენა, შაჰის ცენზურა სპობს ისეთ
მხატვრულ ნაწარმოებებს, რაც სოცია-
ლისტურ რევოლუციას შეეხება. ფიზი-
კურად სპობს ცნობილ ირანელ პოე-
ტებსა და საზოგადო მოღვაწეებს. რე-
აქციის ამ სუსხიან წლებში სპარსულ
მწერლობაში ოქტომბრის სოციალის-
ტური რევოლუციის დიადი იღვეებით
შთაგონებული რევოლუციური მოტივე-

ბის დამკვიდრებასა და განვითარებას
მძიმე პირობები შეექმნა. *არქონესული.*

ორმოციანი წლებიდან იწყებმა სპარს-
ული პროგრესული მწერლობის აღმა-
ვლობა, რაც ირანში ეროვნულ-გამათა-
ვისუფლებელი და დემოკრატიული მო-
ძრაობის ზრდას მოჰყვა.

ოქტომბრის სოციალისტური რევო-
ლუციის მნიშვნელობა უფრო ფართოდ
და ახლებურად აისახა სპარსულ მწერ-
ლობაში.

დიდი ოქტომბრის თემა განსაკუთრე-
ბით პოპულარულია ირანის დემოკრა-
ტიული მწერლობის ახალგაზრდა წარ-
მომადგენელთა შორის. შეიძლება დავა-
სახელოთ მრავალი ნაწარმოები, რომ-
ლებიც მიეძღვნა ოქტომბრის სოცია-
ლისტურ რევოლუციას და გამოქვეყნდა
ირანის პროგრესულ პრესაში მეორე
მსოფლიო ომის დროს და მის შემდგომ.

ეს სპარსული სიტყვის ახალგაზრდა
ოსტატები, რომლებიც აღიზარდნენ
ირანის რევოლუციურ-დემოკრატიული
ლიტერატურის საუკეთესო ტრადიცი-
ებზე, ქნიან შესანიშნავ ნაწარმოებებს
საბჭოთა ქვეყნის, დიდი ოქტომბრის
სოციალისტური რევოლუციის, საბჭო-
თა ხალხის შესახებ.

მოჰამედ ალი აფრაშთე, ეჰსან თაბა-
რი, ალი ასლარ მოინიანი, ყაჰრამანი, მი-
ლანი, ყალე გაბედულად და დიდი
მხატვრული ექსპრესიით გამოხატავენ
ირანელი ხალხის გულისტქმას, მის გან-
წყობილებას და იდეალებს. თავის პო-
ეტურ ქმნოლებებში ისინი უმღერიან
ოქტომბრის რევოლუციას, როგორც
ძველი სამყაროს ნგრევას, კაცობრიო-
ბის ახალ განთიადს, მისი ნამდვილი ის-
ტორიის დასაწყისს.

საბჭოების ქვეყანან, რომელიც პირ-
ველი გამოვიდა სოციალიზმისა და კო-
მუნისზმის დიად შარავზაზე, ხალხებისა
სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა.

ოქტომბერმა კაცობრიობას ნათელი
ხვალინდელი დღის იმედი და იმის
მტკიცე რწმენა მოუტანა, რომ გაიმარჯ-
ვებს გონება, ხოლო ექსპლოატაცია,

ძალმომრეობა, სიცრუე და მტრობა დრომოქმედ ცნებებად გადაიქცევა.

იმ მძიმე წლებში, როცა მსოფლიოს ხალხები ფაშიზმისაგან მასობრივი განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, სპარსული პროზის საყოველთაოდ აღიარებული ოსტატის სადღეუპიანო სათათვის ცხადი იყო, რომ კაცობრიობის მომავალი იქნებოდა „მუდმივი გაზაფხულის“ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს სიბინძურე, ავადმყოფობა, გაჭირვება, ჩაგვრა და ოპორტი. ამ ქვეყანაში მოედინება „სიცოცხლის წყარო“ და ადგილობრივი მშრომელები, როგორც თავის ბედ-იბლის, ისე აყვავებული ქვეყნის, სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები არიან.

რეალისტურ მოთხრობაში „სიცოცხლის წყარო“ დადებით გმირად გვევლინება „მუდმივი გაზაფხულის“ ქვეყნის გამარჯვებული ხალხი. ამ აყვავებული ქვეყნის სურათში სიმართლისა და თავისუფალი შრომის სიხარულით აღსავსე სამყაროა განსახიერებული.

ღარიბი მეწადის უმცროსი ვაჟი აჰმადაქი ყველასათვის საყვარელი ადამიანია და დაჯილდოვებულია დადებითი თვისებებით. აჰმადაქის სახე გვხიბლავს იმით, რომ მასში გამოხატულება ჰყოფა ხალხის ნიჭმა და ძლიერებამ, ახლის, მზარდის სილამაზემ და უძლეველობამ.

აჰმადაქის გულში ღვივის უჭრობი იმედი, რომ გაუმჯობესდება ადამიანებს შორის არსებული ურთიერთობა, მოისპობა ადამიანის შემბოჭავი ძალები — ოქროს ყოვლისშემძლეობა, ტირანების მიერ დამონებული ხალხის სიბნელე და უვიცობა. მაგრამ ეს კაცთმოყვარე ქველმოქმედის ფუჭი, უნიადგო ოცნება კი არ არის, არამედ შეუპოვარი აზრებია გაბედული ადამიანისა, რომლის ლტოლვას თავისუფლებისაკენ ვერაფერი ვერ შეაჩერებს, რადგან იგი უშრეტი ვნერგით იბრძვის ყველა ჩაგრულის ბედნიერებისათვის.

„ოქროსა“ და „მთვარის შუქის“ ქვეყნების მცხოვრებლების მწარე ხვედრის შესაძლებლად აჰმადაქმა

ბევრი იწვალა და საბოლოოდ მიიღწია მუდმივი გაზაფხულის ქვეყანას, საიდანაც მათ მაცოცხლებელი წყარო მთუტანა.

„ოქროსა“ და „მთვარის შუქის“ მბრძანებლებმა კუზაინმა ჰასანმა და მელოტმა ჰოსეინმა გადაწყვიტეს აღეგავათ პირისაგან მიწისა, სინათლისა და თავისუფლების კერა — „მუდმივი გაზაფხულის“ ქვეყანა. მათი ჯარები კალიასავით შეესივნენ ამ ქვეყანას, დაანგრეს და ცეცხლს მისცეს ყველაფერი თავის გზაზე.

„ოქროსა“ და „მთვარის შუქის“ ოქროს იარაღი, რომელიც ამ სახელმწიფოების დამყავებული სოციალური წყობის შინაგანი სისუსტის სიმბოლოს წარმოადგენს, ვერ დაუპირისპირდა „მუდმივი გაზაფხულის“ ქვეყნის ფოლადის იარაღს.

მოთხრობა „სიცოცხლის წყარო“ არ წარმოადგენს თვალწარმტაც ლეგენდას ზღაპრული, ბედნიერი სამეფოს შესახებ. „მუდმივი გაზაფხულის“ ქვეყანა ეს არის სრულიად რეალური სახელმწიფო, სადაც სამუდამოდ მოისპო სუკუნეობრივი ჩამორჩენილობა და ყველა პირობაა შექმნილი საამური ცხოვრებისათვის, ხოლო შრომა ადამიანისათვის სიხარულისა და მხნეობის წყაროს წარმოადგენს.

საფიქრებელია, რომ, როცა ამ შესანიშნავ ნაწარმოებს ქმნიდა, სადღეუპიანო მხედველობაში საბჭოების ქვეყანა ჰქონდა.

ს. ჰედაიათის მოთხრობა „ხვალ“ ყურადღებას იპყრობს როგორც ირანელი მწერლის ცდა შეეხოს სოციალური უთანასწორობის თემას, გამოხატოს პროტესტი ირანელი მუშების ცხოვრების აუტანელი პირობების წინააღმდეგ. ამასთანავე მწერლის გულისწყრომა მიმართულია არა მარტო ეროვნული პლუტოკრატიის, არამედ ამერიკელი იმპერიალისტების თავაშვებული მოქმედების წინააღმდეგაც.

მოთხრობის გმირი მეკდი ზალი გვიამბობს თავისი უსიხარულო ბავშვობის,

შემდეგ კი მუშის მიძივებზე ხედვებზე. ის თავაუღებლად შრომობს ექვს წელზე მეტს, მაგრამ მაინც სულ ვალეზშია, დღითიდღე მისი მდგომარეობა უარესდება და უკეთესი მომავლის არავითარი პერსპექტივაც კი არა ჩანს.

ირანელი მუშა მეჭდი ზალი ბევრს ფიქრობს თავის მწარე ხედვრის შესახებ, გამსჭვალულია კლასობრივი სიძულელით ექსპლოატორების მიმართ, მას თანდათან უვითარდება სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტის გრძნობა, მაგრამ ვერ ხედავს გამოსავალს არსებული მდგომარეობიდან. ბოლოს თვით ცხოვრება უკარანახებს მას ერთადერთ სწორ პასუხს. მუშათა პარტიის წევრი ასოთამწყობი აბასი არწმუნებს თავის ამხანაგს მეჭდი ზალის მუშათა გაერთიანების აუცილებლობაში, რომ მხოლოდ კოლექტიური ბრძოლით შეიძლება საკუთარი უფლებების მოპოვება.

მეჭდი ზალი მონაწილეობას იღებს მუშათა გაფიცვაში, იგი იღუპება, მაგრამ არა როგორც ექსპლოატაციის მსხვერპლი, არამედ როგორც მშრომელების საერთო საქმისათვის აქტიური მებრძოლი.

მუშა ლოლაში განიცდის ამხანაგის სიკვდილს, მაგრამ არ ჰკარგავს ზვალინდელი დღის იმედს, რაც ოპტიმისტურ ელერადობას ანიჭებს მოთხრობას, რომელსაც ასეთივე სათაური აქვს — „ზვალ“.

ს. ჰედაიათის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვრცელ მოთხრობას „ჰაჯი ალა“. მხატვრული სიძლიერის, ცხოვრებისეული სიმართლისა და სოციალური შინაარსის სიღრმის მიხედვით იგი ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად შეიძლება ჩაითვალოს მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

მკითხველი მოთხრობის დასაწყისშივე ხედავს ბოროტმოქმედებისა და მანკიერების სულის შემხუთავ გარემოში, სადაც ადამიანური ღირსების ერთადერთ საზომს ფული წარმოადგენს.

ამიტომ დიდ სიმბატეას იმსახურებს პატოსანი ინტელიგენტის მონადი ოლჰაყის ნათელი სახე. იგი გაბედულად ეწინააღმდეგება ბურჟუაზიული მესვეურების ხრიკებს, რომლებიც ხელყოფენ ხელოვნებისა და ლიტერატურის ქვეშაირტი ოსტატების თავისუფლებას. იგი არ ჰგავდა თავის თანამოკალმეებს, რომლებიც ოცდაათ ვერცხლად ჰყიდნენ სინდისს და ზოტბას ასხამდნენ ყოველგვარ ვიგინდარებსა და არამზადებს.

მონადი ოლჰაყი თავის წმინდა მოვალეობად თვლის ბრძოლას არაადამიანური წყობილების წინააღმდეგ, სადაც საზოგადოების სათავეში ისეთი ბოროტმოქმედები და თვალთმაქცებია, როგორც ჰაჯი ალა. მასში თავმოყრილია ბურჟუაზიული საქმოსნების ყველა დამახასიათებელი თვისება: უპრინციპობა, გამყიდველობა, უტიფრობა, ფარისევლობა, სიხარბე, ეგოცენტრიზმი, ავანტიურიზმი.

ამ მოთხრობის გმირი „ნენრგიული და ჰეკიანი ახალგაზრდა“ ჰეიზარან ნეჯალი გმობს ირანში გაბატონებულ ფეოდალურ წესებს და მკითხველში სამართლიან რისხვას ბადებს ჰეყენის იმ მესვეურების წინააღმდეგ, რომელთა მიზეზით „ლატაკი და მშიერი ხალხი შრომობს წინარეისტორიულ პირობებში და ძლივს ახერხებს თავისი არსებობის შენარჩუნებას“.

ჰეიზარან ნეჯალი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ადამიანებმა ჰეყენის აღორძინებას მხოლოდ რევოლუციის გზით შეიძლება მიადლონ.

ს. ჰედაიათის მოთხრობის „ჰაჯი ალას“ დადებითი გმირები ჰეიზარან ნეჯალი და მონადი ოლჰაყი ავტორის ყველაზე სახუცკარი აზრების მქადაგებელნი არიან.

ოქტომბრის რევოლუციის, კლასობრივი ბრძოლისა და მარქსისტული იდეების გავლენას განიცდის ცნობილი ირანელი მწერლის და საზოგადო მოღვაწის ბოზორგ ალაყის შემოქმედება.

პოლიტიკური ბრძოლის აქტიურმა მონაწილემ მწერალმა ბოზორგ ალაყიმ

ოთხ წელზე მეტი ირანის საპრობილე-ში გაატარა.

ტანჯვაში გამობრძმედილმა ბ. ალა-ვიმ, რომელსაც უმდიდრესი ფაქტობრი-ვი მასალა გააჩნდა, მოთხრობების კრე-ბულში „საპრობილეს დღიური“ და მე-მუარულ ნაწარმოებში „53 კაცი“ შეს-ძლო მოეცა ავადსახსენებელი „შავი პერიოდის“ ირანის სინამდვილის რეა-ლური სურათი.

„მომავალმა თაობებმა, — წერს ბ. ალავი კრებულის წინასიტყვაობაში— უნდა იცოდნენ, როგორ ექცოდნენ ამ შავბნელ პერიოდში ირანის თავისუფ-ლებისმოყვარე ახალგაზრდობას და როგორ უსწორებდნენ მას ანგარიშს.“

„საპრობილის დღიურის“ ერთ-ერთ მოთხრობაში „კომეტა“. ბ. ალავიმ გაგ-ვაცნო რევოლუციონერი ირაჯი.

ირაჯის გული ღიაა მათთვის, ვისაც მშობლიური ქვეყნის მძიმე მდგომარეო-ბა აღუღვებს. ნიჭიერი ინჟინერი ირაჯი მთლიანად მიეცა საზოგადოებრივ მოლ-ვაწეობას, იგი ისწრაფვის მთელი ძა-ლით თავს დაატყდეს ბურჟუაზიული საზოგადოების ყველა მანკიერ მხარეს, „ირაჯის გონებას დაუფლებოდა ერ-თადერთი აზრი იმ პირთა დამხობისა, ვინც ირანი მის დღევანდელ მდგომარე-ობამდე მიიყვანა. იგი მხოლოდ ირანის რევოლუციაზე ფიქრობდა.“

ირაჯს აპატიმრებენ მისი ქორწილის დღეს.

წიგნის „53 კაცი“ ფურცლებზე გვხვდება ბევრი პირადად განცდილი, რაც წიგნს ამაღლევებელ დამაჯერებ-ლობას ანიჭებს. ამ შემუარული ხასია-თის ნაწარმოების ლიტერატურულ ღირსებას თუ არ შევეხებით, შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი გვალელებს როგორც ადამიანური დოკუმენტი. მას-ში ბ. ალავიმ შესძლო გამოეხატა ირა-ნელი ხალხის ტკივილი და მწუხარება დიქტატორული რეჟიმის მძიმე წლებში.

ამ ნაწარმოებში გამოყვანილია ჰკვი-ანი და ფაქიზი სულის ადამიანი, გამო-ჩენილი რევოლუციონერი-მარქსისტი თაყი ერანი, რომელსაც პატიმრობაშიც

არ ასვენებს ფიქრი ირანელი ხალხის ბედ-იღბლის, თავისი სამშობლოს მო-მავლის შესახებ.

მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, დოქტორმა თაყი ერანიმ სასამართლო პროცესი ტრიბუნალ გამოიყენა და პროტესტის ხმა აღიმალა დიქტატუ-რის დესპოტური რეჟიმის წინააღმდეგ. თავის ბრწყინვალე სიტყვაში მან სრუ-ლი ობიექტურობით დაასაბუთა 53 კა-ცისაგან შემდგარი ჯგუფის ბრალდების უაზრობა.

ბ. ალავის ნიჭის ძალა და სიღრმე გა-მოვლინდა რომანში „მისი თვალები“. რომანის თხრობის ცენტრშია ირანელი მხატვრის, მეტრძოლი რევოლუციონე-რის მაქანის ბედ-იღბალი.

ირანის არალეგალური დემოკრატიუ-ლი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ნი-ჭიერი მხატვარი მაქანი იბრძოდა თავი-სუფლებისა და სამართლიანობისათვის. ის მზად იყო მთელი თავისი ენერჯია, თავისი სულის მთელი სიმდიდრე მრ-ავალტანჯული სამშობლოს კეთილდღეო-ბისა და აყვავებისათვის შეეწირა.

ბ. ალავის სიტყვით, „მაქანი იყო უდიდესი მხატვარი, ის იყო ნანდვილი ადამიანი, რომელსაც ესმოდა ხალხის მწუხარება. მხატვრობა მისთვის ჩაგვ-რასა და ძალმომრეობასთან ბრძოლის საშუალება იყო. ხელოვნების მიმართ მისი სიყვარული სოციალურ და ჰუმან-ურ ხასიათს ატარებდა. ხელოვანს ხალ-ხის სამსახური სწყუროდა და ამიტო-მაც ხატავდა. მისი ხელოვნება ადამიან-ებს გულამდე სწვდებოდა“.

რევოლუციონერის, მხატვარ მაქანის სახე სტატიკურია, მისი ხასიათი მოქმე-დებაში არ არის გახსნილი. მაქანის რე-ვოლუციურ მოღვაწეობას მკითხველი ეცნობა ამ რომანის სხვა პერსონაჟების (ფარანგისი, სტუდენტი ზოდადადი) სა-შუალებით, ან ავტორის სიტყვებით.

ახალგაზრდა რევოლუციონერის ჰორ-მოზის სახე ექსან თაბარის ნოველიდან „ახლოდება ქარიშხალი“ ეხმარება ბ. ალავის მოთხრობის „წერილების“ პერსონაჟის შირინის სახეს. ბოზორგ

ალავის ამავე სახელწოდების მოთხოვნების კრებულმა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრემია დაიმსახურა.

ორი წყობილების, სინამდვილესთან ორი განსხვავებული დამოკიდებულების დაპირისპირება განსაზღვრავს ექსანთაბარის ნოველის „ახლოვდება ქარიშხალი“-ს ემოციურ დაძაბულობას. ნაწარმოების გმირია ირანის სახალხო პარტიის ახალგაზრდა წევრი ჰორნოზი.

შეძლებული შემამულისა და სპექტაკლიკობზე გამდიდრებული მსხვილი მანათის მაჯიდ ოლ ვიზარას ვაჟი, უნივერსიტეტის სტუდენტი ჰორნოზი, წყვეტს კავშირს არისტოკრატიულ წრესთან, უარს ამბობს უზრუნველყოფილ ცხოვრებაზე და გადაწყვეტს თავისი სიცოცხლე ხალხის ინტერესების სამსახურის რთულსა და კეთილშობილურ საქმეს მოახმაროს.

პროგრესული ირანელი მწერლის დარჩას (ირაქალი აბადი) ნოველა „ჯანყი“-ს გმირი ქალიშვილი დიდ გასაჭირსა და ხელმოკლეობას განიცდის, ნაგრამ ის ილტვის სინათლისა და სიხარულისაკენ. სოფელში ხშირად ისმოდა მისი სიმღერა. ეს არც იყო გასაკვირი, ის მხოლოდ მეთექვსმეტე გაზაფხულს ზედებოდა, ყველას აოცებდა მისი „თვალში საცემი არაჩვეულებრივი ველური სილამაზე“ მას საქმროც ჰყავდა, იაჰია.

შემამულე უწყალოდ ცენს ავადმყოფ მოჯამაგირე იაჰიას და მის მომვლელ შაჰროჰს, გლეხები ხმაამოუღებლივ უტყუროდნენ ამ ამბავს, მათ გულს ეს არ ეკარებოდა. ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავი იყო.

როცა ნაჰროჰმა დაინახა, როგორ დაითრგუნა მისი ყველაზე მაღალი და სასურველი გრძნობა, გაბედულმა ქალი-

შვილმა ხმა აიმაღლა და გადაწყვიტა დაეცვა სიყვარულისა და ადამიანური ღირსების უფლება. მან საკადრისი პასუხი გასცა, ჭეროვნად უხლო შემამულეს: „მთელი ძალით წავა ბატონს თმებში და, წყევლა-კრულვით, ბრახმოკრულმა, შეაფურთხა მას სახეში“.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენა იგრძნობა სპარსული პროზის ისეთ ნიმუშებზე, როგორცაა „ამხანაგები“ და „ახერის თოთხმეტი“ აჰმად სადეყისა, „ჰორიზონტის თეთრი ზოლი“ ომიდისა და ა. შ.

ირანელი პროგრესული მწერლების შემოქმედება იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით განსაკუთრებით ნაყოფიერია 40-50-იან წლებში. საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის კულტურული ურთიერთობის გაფართოებამ, სპარსულ ენაზე საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების თარგმნამ და, რაც მთავარია, ირანელი ხალხის მიერ დემოკრატიული უფლებების მოპოვებამ განაპირობეს სპარსული მწერლობის განვითარებისათვის ახალი გზების გაკაფვა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიული როლის ფართო გაგება საშუალებას გვაძლევს ავხსნათ თანამედროვე სპარსული მწერლობის ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორც არის ლიტერატურისა და ხელოვნების დემოკრატიული ბანაკის ზრდა, რეალისტური ტენდენციების გაძლიერება, ირანელი მწერლების ესთეტიკაში დადებითი სასიცოცხლო იდეალის წარმოჩენა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის, გამარჯვებული ხალხისა და მებრძოლი რევოლუციონერის სახეებში.





შაქარ ბაღვაში

1905 წლიდან დღემდე

(მომზადება)

როგორც ცნობილია, 1905 წლის რუსეთის რევოლუცია ელვის სისწრაფით მოედო ამიერკავკასიას და მთელ საქართველოს. კახეთის მშრომლებიც აქტიურად ჩაებნენ რევოლუციურ მოძრაობაში... გაფიცვებში აქტიურად მონაწილეობდნენ თელავის ყველა სასწავლებლის მოწაფეები, მათ შორის, — მეც, 13 წლის მოწაფე, რის გამოც გამრიცხეს სასწავლებლიდან. ჩემი უფროსი ძმის კირილესა და სხვების ყოველგვარ არალეგალურ რევოლუციურ დავეტებას ვასრულებდი პირნათლად და გაბედულად. ქუჩებში ვაქრავდი და ვაბნევდარპოკლამაციებს, გადაქმონდა დანიშნულ ადგილას საბჭოლო იარაღი და ვახუნები. ჩვენს ბინაში ხშირად იმართებოდა კრებები, რომელთაც უყარბულობდით, რომ პოლიციას ზელში არ ზაუარდნოდა კრების მონაწილენი.

1905-7 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, დადგა შავი რეაქციის ხანა. პოლიციამ სასტიკი ზომები მიიღო რევოლუციურად განწყობილ პირთა მიმართ.

თელავში აღარ გვედგომებოდა. მე, დედა და ჩემი ორი უფროსი და გადმოვსახლდით თბილისში. 1907-1909 წლებში ვლებულობდი მონაწილეობას ვავზლის უბნის რ. ს. დ. მეშათა პარტიის ორგანიზაციის მუშაობაში, აქაც ერთგულად ვასრულებდი ყოველგვარ დავალებებს, ვაერყელებდი არალეგალურ ლიტერატურას და პოკლამაციებს.

პოლიცია არც თბილისში გვაძლევდა მოსვენებას. ამასთან, ჩვენი ოჯახის მძიმე ეკონომიურმა მდგომარეობამ გვაიძულა წავსულიყაყით სადმე სამუშაოდ. 1910 წელს გადავსახლდით თიანეთის მაზრაში.

ოქტომბრის რევოლუციის შემქმა საქართველოშიც შემოანათა, ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისყაყები სოფლებში ეწეოდნენ ჭკუფურ და ინდივიდუალურ ავიტაციას, მოუთხრობდნენ ქართველ გლეხებს, თუ რა მისცა ოქტომბერმა მშრომლებს, გლეხობას, უმარტავდნენ მოსახლეობას, რომ რუსეთში დამყარდა მუშერ-გლეხური ხელისუფლება, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ღონისის მეთაურობით, იბრძვის საბჭოთა

რუსეთი გამოიყვანოს გაპირვებიდან და ბოლო მოუღოს არაადამიანურ ცხოვრებას.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ზელმძღვანელობით, საქართველოს სხვადასხვა კუბებში ხდებოდა ხალხთა შეიარაღებული აჯანყებები მენშევიტური ხელისუფლების წინააღმდეგ. ზემო ერწოს მოსახლეობამ შეადგინა წითელი პარტიზანული რაზმი ხალხის ინტერესების დასაცავად, რაზმის უფროსად მე მიიჩინეს.

მენშევიტებმა მოინდომეს ჩვენი რაზმის დაშლა და ამ მიზნით ზემო ერწოში შეადგინეს გვარდიელების რაზმი. მშრომელი გლეხობის განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევდა მენშევიტური სამიწათმოქმედო კანონი, რომელიც არ ითვალისწინებდა მემამულეებისაგან უსასყიდლოდ მიწების ჩამორთმევას და გლეხებზე გადაცემას. ამას დაერთო საიჭარო მიწებზე ღალის აღება და პურის გადასახადების შემოღება, რაც ხელს გვიწყობდა მენშევიტურ ხელისუფლების წინააღმდეგ საავიტაციო მუშაობაში. 1918 წლის მაისის თვეში სოფელ საყარბულში მიტრნევი გაიმართა. მიტრნეზე მგზნებარე სიტყვით გამოვიდა ჭარიდან დაბრუნებული სოფელ გონდარისის მცხოვრები არბული, დავით გავას ძე. იგი მოუწოდებდა გლეხებს აჯანყებულეყენ და მიწები უსასყიდლოდ ჩავგდოთ ზელში. ჩვენ დროს არა ვყარგავდით, ვემზადებოდით შეიარაღებულ აჯანყებისათვის. ვიმენდით იარაღს, ზოგს ადგიურ-ბრივი ვმოულობდით, ზოგიც თბილისიდან მოკონდა პირადლ მე. იარაღით მომარაგებაში დახმარებას გვიწვევდა დიდიოკ ბრავაძე, რომელთანაც კავშირი მქონდა დამყარებული, და ვიცნობდი როგორც სამედიცინა მხანავს. მაშინ ბრავაძე მსახურობდა სამხედრო ნაწილში (ცხოვრობდა თბილისში, ვერაზე). სხვათამორის, ჩვენ წინასწარ მოვილაპარაკეთ, თუ თბილისში აჯანყება დაიწყებოდა მენშევიტების წინააღმდეგ, ის შემატყობინებდა დავხმარებოდით აჯანყებულებს ჩემი რაზმით.

1917 წლის 17 ივნისს, როდესაც დუშეთის მაზრაში მენშევიტური მოტერობის წინააღმდეგ სტიქიურად იფეთება გლეხთა აჯანყებამ, ჩვენმა შტაბს (რომელიც მოთავსებული იყო ჩემი რაზ-

მელის მიხაკო იანვარაშვილის სახლში, სოფ. თოღენჯში) ღუშეთის მაზრის ბოლშევიკური აჯანყების შტაბში, სოფელ ახატანის მცხოვრებ ენო ლარიაშვილის საშუალებით, შეატყობინა, რომ ღუშეთის მაზრაში ბოლშევიკური გამოსვლები დაიწყო და სპირთა ოქვენე დახმარებამ. მე დაუყოვნებლივ გავემგზავრე კარგად შეიარაღებული 80 რაზმელი საგურამოს მიმართულებით აჯანყებულების დასახმარებლად. სოფელ ნაედაჩანთკარში ღამე მივედი. იქ ადგილობრივი გლეხები შეგებდნენ და გვითხრეს: ბრძოლა შეჩერება ბებრის ციხესთან. თურმე რაკი მენშევიკებმა მარცხი განიცადეს, საზავო მოლაპარაკება გამართეს, რის გამოც აჯანყებულთა წინსვლა შეჩერდა, ამით მენშევიკებმა დრო მოიგეს შეტევის მოსამზადებლად. ცხადია, ჩვენი წასვლა უაზრობა იქნებოდა და განთადისას უკანვე გამოვბრუნდით.

მენშევიკურმა მთავრობამ ისარგებლა რა აჯანყებულებთან საზავო მოლაპარაკებით, დრო მოიგო და შეაფერხა აჯანყებულთა წინსვლა. მენშევიკები მოეშაბნენ და 28 ივნისს ზარბაზნებით, ტყვიამფრქვევებით, გვარდიისა და ქარის ნაწილებით დაიწყეს შემოტევა ბებრის ციხის მიმართულებით. მენშევიკურ ლაშქრობას გვარდიის უფროსი ვალაო ჯღელი, მე-თურები ფურცელაძე, კონიევი და გვადეანიშვილი ხელმძღვანელობდნენ. ღუშეთის მაზრის აჯანყებულ გლეხობას მენშევიკური ხელისუფლება მთელი თავისი სამხედრო ძლიერებით დაატყდა თავს ყველა მხრიდან. ვალაო ჯღელი 1918 წლის 28 ივნისს თავის დღიურში წერდა — „ჩვენ დაეიჯავით სამ რაზმად, არაგვის მარცხენა პარის მიმართულებით შეტევაზე გადავიდა არჩილ ფურცელაძის კოლონა, ცენტრში მიდის კონიევი; მე და ალექსანდრე მიოდვარით ქსანზე“. ერთი მეორის პირისპირ იდგა ორი ბანაკი — რიცხობრწვად მეტი და კარგად ვაჭრათნილი მთავრობის ჯარები და მეორე მხრით შუახანებით შეიარაღებული აჯანყებულ გლეხები, რომლებსაც საკმარისი ვაზნეული კი არ გააჩნდათ. აჯანყებულებმა მტრის მიმეც არტილერიის შეჩერება ვეღარ შეძლეს და უკან იხევდნენ. 22 ივნისს ღუშეთის მაზრის აჯანყების ხელმძღვანელებთან კავშირის დასამყარებლად გავგზავნე ჩემი რაზმელები — მიხაკო იანვარაშვილი, ოკროა დორაეული და შაქრო ფეიჭრიაშვილი. ისინი ბულაბაგურის ტყეში შეხვდნენ ღუშეთის მაზრის ბოლშევიკური კომიტეტის წევრს გაბო მწითურს და იმავე საღამოს დაბრუნდნენ ჩვენს შტაბში. მწითური გვატყობინებდა, რომ დადგა მენშევიკური მთავრობის დამხობის დრო, და გვავალბებდა თბილისის მაზრის ხელში ჩაგდებას. მისსოცს, პატარა ქალაქზე ფანქრობით დაწერილი წერილი მწითურისა: „მშაო შაქრო, დადგა ეპირ გლეხების განთავისუფლებისა. ჩვენი მაზრა

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, მთლიანად აღსდგა იარაღით მენშევიკურ მთავრობის წინააღმდეგ, შეგვიერთდით იარაღით ხელში და საერთო ძალით ჩამოვაგდით მთავრობამ“.

დაერაზმე სოფელ მელისხევის და თოღენჯის მოსახლეობა, ვადაედილი სოფ. სვიმონიანთბებზე ვალესიის ეზოში, დაერაკინე ზარი (ეს იყო ჩვენი შეგროვების ნიშანი), მოიყარა თავი მთელი სვიმონიანთხევის კაცმა და ქალმა. ჩავატარე მიტინგი და ვაეცანი ხალხს ღუშეთის მაზრის აჯანყების მნიშვნელობა. შემდეგ მიტინგზე მონაწილეებმა გადამწყვიტეს, რადღე არ უნდა დაგვედრომოდა, თბილისის მაზრა ჩავეგდო ხელში. ხალხი გაიძახოდა „დღეა შეერთის ცოლად, ვინც უკან დაიხვეს და ქუდზე კაცი არ გამოვიდესო“ მიტინგის შემდეგ ვაეუბრეთ სოფლებს გორიხას, ნადორიას, დამწყვართ სოფელს, ბაღებისხევის, დუღაღუბს, სადაც შემოგვიერთდა მოსახლეობის უმრავლესობა. იქიდან წამოვედი ბეესურთსოფელში, იქ შემოგვიერთდა ბეესურთსოფლის, დეენანთბების და საუდრიონის მოსახლეობა, და ვაეუბრეთ სოფელ საყარაულოში, სადაც დაგვებდა საყარაულოს საზოგადოების სოფლების მოსახლეობა, რომლებთანაც წინასწარ დაეამყარეთ კავშირი. მათ აეუხსენით ღუშეთის მაზრის აჯანყების მნიშვნელობა. სწორედ იმ დროს თბილისიდან ცხენებით მოვიდა მენშევიკების მიერ გამოგზავნილი დედეკაცია კოლა ნადობაიძის, ნიკო ბერიკიშვილის და გორიკი ბურდულის შემადგენლობით და გვთხოვა შერიგება. ჩვენი მათთან შესარიგებელი არაფერი გვქონდა. მივხვდით, რომ იმათ უნდოდათ ჩვენი მოტყუება და დროს მოგება. ასეთი საქმეებისათვის კი წუთებმაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ამაზე არ დავეთმინეთ და ვაეაყოლეთ ჩვენი დედეკაცია (გორიკი ქეთარაძე და სხვები). მენშევიკებს წაუუყუქეთ ულტიმატუმი: მოვითხოვეთ დაეყარათ იარაღი და ჩავებარებოდნენ უბრალოდ. ჩვენი დედეკაცია იმავე საღამოს დაევიბრუნდა, მენშევიკების მიერ რაცხუოფერი. მათ გვითხრეს, თბილისზე მისასვლელი გზებიც მენშევიკებს გამაგრებულთ აქვთ ტყვიამფრქვევებით და ქარის ნაწილით. ჩვენი შეიარაღებული ძალა მხოლოდ ერთ ასეულს შეადგენდა, დანარჩენი ხალხი შეიარაღებული იყო ფიწლებით, თოხებით, შუბებით და კუბებით. მანინვე მთელი ჩვენი შეიარაღებული რაზმი გავევი სამ ნაწილად, დაუნდნენ ხელმძღვანელები, ჩაუტარეთ თათბირები, მივეციით საბრძოლო დავალებები და დაუნდნეთ დრო თბილისზე ერთდროულად იერიშის მიტანისათვის: კახეთის მიმართულებით რაზმს ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი აშხანაგები იხუბე ოსეფშვილი და თედო („ბორძა“) ბურდული თბილისის გზატკეცილის მიმართულებით რაზმს მეთაურობდა ენო ქისტაური, მე კი — რამ-

დენიმე კაცით წავედი ზემოთიანეთის მიმართულ-
ლებით, სადაც უნდა ჩამოსულიყო ზემოთიანე-
თის მოსახლეობა, რომელსაც წინასწარ დავე-
კავშირდი მიხაკო წიკლურის საშუალებით.
თიანეთზე იერში უნდა მიგვეტანა ვანთაიდი-
სას, 4 საათზე. დანიშნულ ადგილს — სალაფის
პოვებთან, ტყის პირას რომ მივედი, იქ დაგ-
ვხვდა ზემოთიანეთიდან ჩამოსული გლეხობა ის
კაცადე. ცოტა ხნის შესვენების შემდეგ, შევე-
დევით თათბორს, ჯერ თათბირი არ დავემთავ-
რებინა, რომ კახეთის გზის მიმართულებით
აბუჯა თოფების და ტყვიამფრქვევების სროლა.
იერში მივიტანეთ თიანეთზე და დავეკავეთ
ვანთაიდასას, 24 ივნისს. მემწევიყურმა ხელი-
სუფლებამ მოასწრო გაქცევა, აღმასკომის შე-
სასვლელთან დაეყენებინათ ერთი მოხუცი მ-
ლიციელი ნიკო ბუწინკალური, მომეგება გზა-
ში და მიხტა „შელო, მე არაფერში ვარ დამ-
ნაშავე, ნურას მერჩიოთ“. მე ეუთხარი თავისი სუ-
ფლი და სასლში წადით-მეთქი. თოფი მოშცა
და გახარებული წავიდა. იარაღის საწყობთან
დაეყენე ყარაულად ნიკო აკოფაშვილი, მე კი
20 რაზმელით გავემართე სროლის მიმართუ-
ლებით. ვიდრე ჩვენ თიანეთს ავიღებდით, მენ-
შევიყვებ უკვე გადაეწყობათ გაქცევა. მენშე-
ვიყვებს უნდოდათ თბილისიდან დამხმარე ძალებ-
ის გამოძახება, მაგრამ ჩვენ უკვე წინასწარ
გადავჭერით თბილისის ხაზი. ყველაზე ადრე
კახეთის მიმართულებით გაქცევა მოესწრო
მათერობის მიერ სპეციალურად მოვლილებულ
რაზმს 50 კაცის შემადგენლობით, რომელსაც
პორტნიკი ტომნიევი მეთაურობდა. ამ რაზმს
დავალბული ჰქონდა ჩემი რაზმის განადგურე-
ბა, სწორედ მოულოდნელად წააყვდა მას აჯან-
ყებულთა ნაწილი, როდესაც თიანეთისაკენ მო-
დიოდნენ. გაქცევა მოასწრეს აგრეთვე მახრის
უფროსმა ლეკობიძემ და კომიტეტის წევრმა
— ტუქსიშვილმა. მოწინააღმდეგეს დაეპოვე-
ბინეთ ოთხი ტყვიამფრქვევი და თოფები. თიან-
ეთის საწყობიდან საჩქაროდ დაურიგდით იარა-
ღი აჯანყებულებს. იმავე დღეს დაეპატიმრეთ
ტყეში გაქცეული სასურსათო კომიტეტის წევ-
რი და ხაზინადარი ბონაშვილი, რომელსაც ზედი
აღმოაჩნდა ვატიკებელი სახაზინო ფული
(50.000 მანეთი), შევიპყარით გაქცეული მილი-
ციელები, გვარდიელები და სოც. დემოკრატიუ-
ლი პარტიის სამხარო კომიტეტის წევრები და
მოეთათვეთ საპატიმროში. სასწრაფოდ დაეაბ-
სეთ რეკვიმო ალექსი მამოშვილის თავმჯდომე-
რობით. (იგი იყო 1905 წლის რეკვიმაციის
პერიოდში თელავში გამართულ დემონსტრაციე-
ბის აქტიური მონაწილე). დეჟარსეთ წითელი
მილიცია. ღუშეთის მახრამი საქმე თანდათან
გამწვავდა, მშრომელი ხალხი განსაცდელში ჩა-
ვარდა მენშევიკების ჯარების შესვლის გამო.
ამიტომ მე ჩემი რაზმით გადავედი ღუშეთის
მახრამი და სოფელ კომპორტ-მეგნაკორასთან

(არაგვის ხეობაში) ბრძოლა გავემართეთ მენ-
შევიკებს ქარს. მაგრამ რას გავხდებოდით კარ-
გად შეიარაღებულ ქარის ნაწილებთან ერთ-
ლები და უზოგავად გვაყრიდნენ არტილერიის
და ტყვიამფრქვევების ცეცხლს. სწორედ
ამ დროს თიანეთიდან გაქციული მახრის უფრო-
სი ო. ლეკაბიძე თურმე მარლამენტს უკეთებ-
და მოხსენებას თიანეთის მახრამი მომხდარი
აჯანყების შესახებ და მოითხოვდა გვარდიის
და ქარის გაგზავნას აჯანყების ჩასაქრობად და
ხელმძღვანელთა გასანადგურებლად.

მენშევიკების გაზეთი „ერთობა“ წერდა
„თიანეთისად გადავლო ის სენი, რომელიც ჩვე-
ნი ქვეყნის სხვა კუთხეებში, დიდ-ხანა, განი-
ცადეს და რომელსაც შედეგად მოჰყვა საშინ-
ლი ტანჯვა და აზრება. საშინელი იყო ეგრეთ-
წოდებული ბოლშევიკური გამოსვლები, კიდევ
უფრო სახიზლარი არის თიანეთის „გმირების“
მოქმედება. როცა თბილისის და ქართლ-კახეთის
მოწინავე ნაწილი წესრიგს იცავს, მისი ჩამორ-
ჩენილი კუთხეები — ოსეთი და ღუშეთ-თიან-
ეთის მახრების ნაწილები გორს და თბილისს
ემუქრებოან, უკუღებობა ირახმება ელტერ-
რის წინააღმდეგ, საფრთხე დიდია, მფრომარე-
ობა ნათელია. დეე, უკიდურესი ლობუნგებით
გამოდიოდნენ აჯანყებულები, დეე, არწმუნონ
ხალხი. რომ ისინი მუშებსა და გლეხებს იცავენ,
აჯანყებულთა ბუდე ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილ
და გაუნათლებელ კუთხეებშიაო (1918 წლი
27/IV) გაზეთ „ერთობის“ ფურცლებიდან ასე
უტიფრად გაჰყუროდნენ მენშევიკები.

თიანეთის მახრის აჯანყების შესახებ გაზეთ
„ერთობაში“ შემდეგს ვკითხულობთ: „20 ივ-
ნისს გელოვანი 60 კაცით ღუშეთში გადავიდა,
ეკვი არ არის, თავისიანებთან მტკიცე კავში-
რის შესაყარად. სწორედ ამ დროს მახრის
კომისიის დაგადადნად, ერწოს ერთ სოფელში
სეთონიანთხვეში მივიდა სამიწათმოქმედო სა-
მინისტროს რწმუნებული ამხ. ყაჭვიშვილი,
რომელიც, ეგრეთწოდებული ქადაგის ბრძანე-
ბით, ბოძზე მიაკრეს და თვით გასამართლებით
ემუქრებოდნენ. ეს უტყუარი მანვეებულაა
მისა, თუ რამდენად ძლიერი იყო ამ დროს
გელოვანი და მის დამწამ ნაძირილების გავლე-
ნა ხალხზე. სწორედ ამ დროს ღუშეთიდან
ბრძანდებოდა მახრის კომისარი ტყვის ფრქვე-
ვით და 20 მილიციონერთი; მან დიდი ხეწწით
და მუქარით, როგორც იყო, შეძლო ამხ. ყაჭ-
ვიშვილის განთავისუფლება. ღუშეთიდან დაბ-
რუნებისას გელოვანი ეს შემთხვევა მორიგ
პროკოკაციის საგნად გამოიყენა და დაპრმავე-
ბულ-გამბრყვებული გლეხობა კიდევ უფრო
ააღლევა და ააფორიაქა. ამის შემდეგ, მან და-
წყო მზადება თიანეთზე გამოსალამქრებლად,
მისი მოთხოვნებზე იყო მილიციის დაეყარა
იარაღი, მახრის კომისარი და სხვა „მირლები“
მისთვის გადაეცა და ძალაუფლება მისთვის

წინადაცხადებით, ამ დროს სოფელ ახმეტაში იდგა თბილისიდან მოსული საგანგებო მფრინავი რაზმი, 20 კაცისაგან შემდგარი, რომელიც დაიძრა თიანეთისაკენ. რაზმის თიანეთში მოსვლით ისარგებლეს ადგილობრივ პროვოკატორებმა და საწინაღობო განგაში ასრულეს. ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად ჩვენ თიანეთელები კრებამზე მოვიწვიეთ და ავუსხენით რაზმის პირდაპირი დანიშნულება, რითაც ხალხში ცოტად თუ ბევრად დამშვიდება შევიტანეთ. გელოვანი კი თავისი რაზმით კვირა საღამოს შემადგებლად ჩვენი წინააღმდეგ წამოსასულიად, შეტაკების თავიდან ასაცილებლად, აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, ვაგზავნილი იქნა დელეგაცია, რომელშიაც შევიდა კომიტეტის მდივანი ნ. ნადიბაიძე და ორ სკამზე პედროში ყოფილი თავადის მოურავი გიორგი ბერიძე. დელეგაციას იგივე მოთხოვნები წამოუდევნეს. რაც ზევით მოვიხსენიეთ და თავის შტრით 4 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია გამოგვიგზავნეს. მათ დელეგაციას ჩვენ მივმართეთ მოწოდებით, რომ ნუ ჩაიღებენ ისეთ საქმეს, რაც უბედურებაში ჩაითრევს მთელ რეგიონს და გამოიწვევს ჩვენ შინაურ ცხოვრებაში ვარცხნილობას ჩარევას. მაგრამ ამ სიტყვებს გელოვანისათვის ისეთი აზრი და მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც იესოს სიტყვებს იუდასათვის. და მაშინ, როდესაც ჩვენ დელეგაციას ვუბნობდით, თუ რაიმე დანაშაული შეტყვის რომელიმე ჩვენგანს, სახალხო პირთაგან სასამართლოს მივანდით ჩვენი ვასამართლებათქო, სწორედ ამ დროს გელოვანი თიანეთისაკენ მიიწვიდა. როდესაც სიტყვებმა ველარ გასტრა, როდესაც ხეწუნა-მუდარის შემსმენელი აღარაფერი იყო, ჩვენ გადაწყვეტიტ შეიარაღებული ძალისათვის მივკვიმართა შეამზობეთა წინააღმდეგ. და, თუ ისინი მაინც წამოვიდოდნენ და სისხლის ღვრას მოინდობდნენ, მაშინ ვაგზავნიდით თიანეთიდან და გადაგვრჩინა ყველაფერი, რის გადაარჩენა შესაძლებელი იყო. ჩვენ არ შეგვეძლო დაგვეღვარა სისხლი იმ აღმანებლებსა, რომელთაც არ უწყობდნენ. რას იქმოდნენ, რომლებიც გელოვან-ბოჩინაშვილს ბრძოლ მისდევდნენ. ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილება ასეთი იყო და შეეუღლებით მის სისრულეში მოყვანას. ვაგვამატებთ პოზიციები, რაზმი დავაყენეთ თიანეთის შემოსავალიან, რაზმის უფროსი პორუჩიკი ცალკე მოლაპარაკებას აწარმოებდა შემაზობებთან და ეუბნებოდა მათ, წინააღმდეგობას არ ვაგვიწყვეთო. ეს დაეპოვნინ არავითარ განკარგულებას არ ემორჩილებოდა და თითქოს კაცთმოყვარეობით სხადიოდა ამ ღალატს, თუმცა არ უნდოდა ვაგვარას მოითხოვდა ამ დროს კაცთმოყვარეობა. და უფრო კი თავისი საკეთარი ტყვეის შიშით მოქმედებდა. როდესაც ღალატი აშკარა შეიქმნა, ჩვენ გადაწყვეტიტ რაზმის თავიდან

მოცილება, მაგრამ მისმა უფროსმა დავაგასწრო და განაცხადა, რომ ის აქედან წავა, ამ დროს კომისარი რამდენიმე აშხანავით და მილაკონერებით სოფლისპირად იდგა თავდაცხადებულთა ვასაფრთხოებლად, თან ჰქონდათ ტყვისფრთხვეულები. როცა რაზმმა დატოვა თიანეთი და გადმოვიდა მდინარე იორზე, უფროსს წინადადება მიეცა გაბატონებულიყო და მახრის კომისარის განკარგულებისათვის მოეცადა, მაგრამ ის უფრო კორებს უწევდა ანგარიშს, ვინამ კომისარი მასზე უფრო აღზე გაქცეულიყო, და ჩჭარი ნაბიჯით გამოსწია სოფელ ახმეტისაკენ. ამ დროს ჩვენ მოგვახლოვდნენ მეამბოხეები ახმეტის გზის გადასაპტრულად, ჩვენ მათ წავართვიტ ვრთი ცხენი, წამოვიყვანეთ ორი ტყვე. დანარჩენები 40 კაცამდე მიმადნენ. წამოვდეთ ახმეტაში, მახრის კომისარი კი თავის პოსტზე რაზმის აშხავს ელდა, მაგრამ ამაოდ. გათენებისას მას მიუახლოვდნენ იგივე შეამზობენი და სროლა აუტყეს, ჩვენებამც სროლით უპასუხეს, თუმცა არაფერი არც მოუკლათ, არც დაუტყრიათ. მდგომარება კრიტიკული იყო, ჩვენ ვიდგეით თიანეთის აღების ფაქტის წინაშე, და მახრის კომისარი აძულებული შეიქნა რამდენიმე აშხანავით თავის თავისთვის უშველა. თიანეთში დარჩა კომიტეტის მდივანი ნ. ნადიბაიძე. მის შესახებ ვერ ცნობა არ არის. ამ. ტექსიშვილი და ბოძაშვილი, როგორც გადმოგვცემენ, გაქცეულან. პროვოკაციის ქველ გელოვანს დაემკუშებმა ახმეტის რაიონშიც გააბეს. ამას დემატა თელავში მიმავალი მფრინავი რაზმის საზოხლარი მოქმედება, ეწეოდნენ ქურდობას, იჭერდნენ და ძარცვავდნენ გზათ მიმავალთ. ყველაფერი ეს ერთმანეთს დაემადა და აქამდის ნდობით აღჭურვილს რაიონის კომისარს თითო-ვასამართლებით ემტყრებოდნენ აჭარის გლეხები.

ჩვენ ყოველივე ძალღონეს ვიხმართ, რომ ხალხში ვასავალი არ მივეცეთ პროვოკაციას, მაგრამ თუ ვერ შევძლებთ საქმის გასწორება, მაშინ დეე, მოლატატებმა ავონ მასუხი მომავლის წინაშე, და დარწმუნებული ვართ, რომ დე მოკრატის მოლატატები ვაიგვირებთან. ნარწინი (30 ივნისი, 1918 წელი, ვაზ. „ერთობა“ №134).

კარგად არ მახსოვს, დაახლოებით 5 ივლისს, თიანეთში მოვიდა ჩემთან მენშვევიტრი მთავრობის მიერ თბილისიდან გამოგზავნილი დელეგაცია, რომელშიაც შედიოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის პირადი მდივანი ვალიკო მგალობლიშვილი, დეტუ მებრელოხოტარია და თელავის მახრის კომისარი, მგონი, აფაქიძე (კარგად არ მახსოვს). ჩვენთან მოლაპარაკება გამართა დელეგაციამ და ვფიქროვებ იმ პატიმრების განთავისუფლება, რომლებიც დავაპატირეთ აჭანების დროს, როგორც ჩვენი მოწინააღმდეგენი. ცხადია, ჩვენ ამაზე

უარი ვუთხარით, რადგანაც მათ პასუხი უნდა ეკოთ ხალხის წინაშე როგორც მტრებს, მაგრამ მათი დასჯისათვის დრო აღარ დაგვრჩა, ჩვენი დამარცხების გამო, ზოლო დამარცხების დროს მათი დასჯა — იქნებოდა უაზრობა. ეს უფრო გაართულებდა საქმეს და მოსალაოდნელი იყო მთავრობის წარის შემოსევა თიანეთის მაზრაშიც. შემოსევა კი ხალხს ზარალის მეტს, არაფერს მოუტანდა. რაიმე პროვოკაციის თავიდან ასაცილებლად აღნიშნული მთავრობის დელეგაცია ვაეცილებინე საბადურის მთის გადასასვლელამდე.

აღსანიშნავია ის, რომ აჯანყების დაწყებისთანავე თავს უშველეს და გაიქცნენ თიანეთის გვარდიის უფროსი გოგლა აფციური, და ზემო ერწოს გვარდიის უფროსი მიტრო იდუკაშვილი, რომლებიც მენშევიკების დავლებით ჩემი რაზმის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ. გაფციური და ზ. იდუკაშვილი, შემდეგ მოკლეს გლეხებმა როგორც მტრები.

აჯანყება მიმდინარეობდა მენშევიკურ ჯარებთან უთანასწორო ბრძოლას პირობებში. მენშევიკებმა აჯანყებულების წინააღმდეგ ამოძრავეს შავი ძალები, მათ შორის, იმეამად საქართველოში მყოფი გერმანელების სამხედრო ნაწილები. შეესივნენ დუშეთის მაზრას. მოუხე-

დავად აჯანყებულთა რევოლუციური გმირობისა, უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა დუშეთ-თიანეთის მაზრების აჯანყებულ გლეხთა. მათი გვამებით მოიფინა არაგვის ხეობა, ამ ბრძოლების დროს არაგვის ხეობაში, ს. ენვალთან, მენშევიკებმა დახვრიტეს ჩვენი მეკავშირეები—ლეჰსო ფილაური და გიორგი ნიტური. აჯანყებულებმა ხელისუფლება თიანეთის მაზრაში შეინარჩუნეს 24 ივნისიდან 6 ივლისამდე. მაგრამ ეს დამარცხება იყო მხოლოდ დროებითი დამარცხება. ბრძოლების დროს დაიღუპნენ მამაცი ბოლშევიკები თომა ჩუბინიძე, შიხა პაპუნაშვილი, გაბო მწითური, შიშა გეგეჭკორი და მრავალი სხვა.

ოქტომბრის რევოლუციამ, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, საზუღამოდ დასამარა ბურჟუაზიული წესწყობილება, და ხალხი იხსნა მხაგვრელებისაგან. ქართველმა ხალხმა, დიდი რუსი ხალხის დახმარებით, დაამხო მენშევიკური მთავრობა და შეუდგა ახალი ცხოვრების შენებას. ჩვენი მადლიერი ხალხი დიდი პატივისცემით იგონებს იმათ, ვინც თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეცა, ვინც სიცოცხლე შესწირა ხალხის განთავისუფლებას მხაგვრელთა უღლისაგან.



1905 წლის აგვისტო

(მონაწილის მოგონება)

1. 29 აგვისტოს ტრაგედია

თბილისის ჩამოადრწია ხმამ, რომ პეტერბურგში მუშები თვითნებურად ახორციელებენ კრების თავისუფლებას, შედიან ამა თუ იმ დაწესებულებაში და იწყებენ მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციასო.

მანამდე თბილისში ასეთი კრებები ხდებოდა ფარულად, იკრიბებოდნენ კერძო ბინებში, ვითომდა ნიშნობის, ან დაბადების დღესასწაულის აღსანიშნავად, ან ქალაქგარეთ. გამოდიოდა მოხსენებით რომელიმე პარტიის აგიტატორი: სტუდენტი, მოწინავე მუშა, ადვოკატი, ექიმი ან მასწავლებელი. სააგიტაციოდ იყენებდნენ, აგრეთვე, ქალაქის მმართველობის ხმოსანთა ქალაქის საბჭოს დეპუტატთა კრებებს. კრებები საჯარო იყო. ხმოსნების სკამების უკან, ქანდაარზე ყველას შეეძლო მისვლა. კრების მსვლელობის დროს ამ ქანდაარზე ერთბაშად ადგებოდა ვინმე და წარმოთქვამდა რევოლუციურ სიტყვას. თავმჯდომარე ცდილობდა წაერთმია სიტყვა სახელდახელო ორატორისათვის, მაგრამ არცთუ ძალიან კატეგორიული მოთხოვნით, უკმაყოფილება მეფის რეჟიმით საყოველთაო იყო და თავმჯდომარეც ამას ანგარიშს უწყევდა.

მე ხშირად დავდიოდი ამ კრებებზე. დამამახსოვრდა ერთი ეპიზოდი: ვიდაც ორატორის შემდეგ, გამოვიდა ხმოსანი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ექიმი ხუდადოვი (ის იყო ინიციატორი ტყვის

გაშენებისა კუკუის ზემოთ, ამ ტყეს შემდეგ ხუდადოვის ტყეს ეძახდნენ) და განაცხადა: თქვენთვის ადვილია აქ გამოსვლა და თამამი სიტყვის წარმოთქმა. ვინ ხართ თქვენ, არავინ იცის, და არც პასუხს აგებთ. მე კი, რომ გამოვიდე, ყველამ იცის, ხუდადოვი ვარ. ამ დროს ადგა ორატორი — მაღალი კაცი, კეზიანი ცხვირით, და განაცხადა: „არამაის ერზინკიანი ვარ, კურნაია რ“, რამაც მქუხარე ტაში გამოიწვია ქანდაარზე (შემდეგ არამაის ერზინკიანი იყო სოფლის მეურნეობის სახალხო კომისარი საბჭოთა სომხეთში).

ერთ დღეს ჩემთან მოვარდა ჩემი გიმნაზიელი ამხანაგი ბორია ნორმანი და მითხრა, დღეს, საღამოს 9 საათზე ქალაქის „უბრავეში“ (სამმართველოში) თვითნებურად შეიკრიბებიან მუშები და არჩილ ჯათარაძე წაიკითხავს მოხსენებას სომეხ-თათრების შუღლზე. ჩვენ შევთანხმდით შევხვედროდით ერთმანეთს ქალაქის სამმართველოს შენობის კარებთან, 9 საათზე. მაგრამ, როცა მივედი, იმდენი ადამიანი მიილტვოდა შენობის შიგნით, რომ აღარ დავუცადე ნორმანს და შევყევი ხალხს. ხალხმა დაიკავა სამმართველოს დიდი დარბაზი, სადაც ჩვეულებრივ, ხმოსანთა კრებები იმართებოდა. დარბაზი გაჭედული იყო. საესე იყო ქანდარა, აგრეთვე დაკავებული იყო ფანჯრების რაფები, მოედანს რომ გაყურებდა. ყველა მოუთმენლად უცდიდა

კრების გახსნას და მოხსენების დაწყებას.

ამ დროს დარბაზში შემოვიდა გაფითრებული ქალაქისთავი, ვერმიშევი. „ახლა დამირეკა მეფისნაცვალმა, — მიმართა მან შეკრებილთ, — რომ ქალაქის სამმართველოში ნებადაურთველად შეკრებილა ხალხით. თუ არ დაიშლებიან, უმაღლვე გავგზავნი კაზაკებს და ყველას ამოვკლევთ. გემუდარებით, ნუ შელებავთ ამ წმინდა დაწესებულების კედლებს სისხლით, დაიშალენით“. ხალხმა ერთხმად შეპყვირა: „ძირს მეფისნაცვალი, ძირს მეფის მთავრობა, გაუმარჯოს კრების თავისუფლებას“, და ვერმიშევი თავჩაიკიდული უკან გაბრუნდა. ერთმა ბიჭმა, რომელიც ფანჯრის რაფაზე იჯდა, ხუმრობით დაიძახა — „ვაიმე, დედა, ვაიმე, დედა, ზარბაზნები მოაქვთ მოედანზე“. ხუმრობამ სიცილი გამოიწვია.

კრების თავმჯდომარემ სიტყვა მისცა მომხსენებელს. შეწყდა ყაყანი, ჩამოვარდა სირჟმე, მომხსენებელი ავიდა კათედრაზე და დაიწყო მოხსენება. ის აღელვებული ლაპარაკობდა იმაზე, რომ ორი მოძვე ერი, საუკუნეების განმავლობაში რომ ძმურად ცხოვრობდნენ, უკანასკნელ დროს ისე წაიკიდნენ, იარაღით გამოდიან ერთმანეთის წინააღმდეგ, რა არის ამის მიზეზი? — დასვა კითხვა ორატორმა და თვითონვე უპასუხა: ამის მიზეზი მეფის პროვოკაციული პოლიტიკაა.

ამ დროს გაიღო კარი, დარბაზში გამოჩნდა კაზაკთა ოფიცერი, რომელმაც პერში დამბაჩა დასცალა და მიიძალა. ყველაფერი აირია, ქანდაკებიდან ხალხმა დაიწყო გაქცევა, ხმოსანთა სკამებიდან ცდილობდნენ ქანდარაში გადაბრომას. ატყდა ყვირილ-კივილი. მე ვიჭექე ხმოსანთა სკამების პირველ რიგში და გაშტერებული ვუყურებდი ამ სურათს. ერთ წამში დარბაზი თითქმის დაცარიელდა, დავჩნით სულ ცოტანი. ამ დროს შიგ შემოცვივდნენ პლასტუნები (კაზაკები) და ხიშტებით გაგვრეკეს გასასვლელი კარებისაკენ. დერეფანში დავი-

ნახე ისეთი სურათი, რომ ერთ წუთს შეეჩერდი: კაზაკები გამწკრივებულნიყვნენ ორ წყებად და უმოწყალოდ ყველანდნენ მათრახებით ყველას, ვინც გამოსულიყო ან გამოდიოდა დარბაზიდან.

მე მაშინ ახალგაზრდა და ცქვიტი ვიყავი. მოგვარი თვალი, რომ დერეფნიდან, რომელიც დაკავებული ჰქონდათ კაზაკებს, ქვევით კიბე ჩადიოდა. სწრაფად გავექანე იმ კიბისაკენ. რამდენიმე მათრახი მომხვდა, მაგრამ მაინც მოვასწარი და დავეშვი კიბეზე. თითქმის ერთი ნახტომით ჩავივრბინე პირველი მარში. დავეჯახე კედელს და ბილიარდის ბურთოვით გავაკეთე ასეთივე აკრობატული ნახტომი მეორე მარშზე. აქ ჩემ თვალწინ კაზაკმა იშინვლა პრილა ხმალი. მე გიფივით გავვარდი და თავი ამოვყავი ხალხით გაქედნილ ერთ დიდ დარბაზში. უკან ისმოდა სროლა, ყვირილი. წინ კი კიაფობდა დიდი ფანჯარა. ბედნიერი იყო, ვინც იმას უახლოვდებოდა. უმაღლვე გადაძვრებოდა და სადღაც უჩინარდებოდა. მეც მივიწვვდი იქითენ. ზოგიერთმა მოსაზრა, შეცოცდა ჩვენს მხრებზე და, ჩვენს თავებზე გადალაქებით, ფანჯარას მიაღწია.

დადგანეტარი ქაში ჩემთვისაც: ავბტი ფანჯრის რაფაზე და უკვე ვაპირებდი გადაბრომას სადღაც, სიბნელეში, რომ ამ დროს ზევიდან დამაწვინენ და ისე ძლიერად მიმაკრეს ფანჯრის რაფაზე, რომ გონება დავკარგე. როდესაც გონს მოვედი, დავინახე, ვაგლივარ კიბის სახურავზე; კიბე ეზოში ჩადის, ჩემს ზემოთ ხმოსანთა დარბაზის ფანჯრებია, იქ ჩასაფრებული კაზაკები ესვრიან ეზოში უთავბოლოდ გაბნეულ ხალხს. მე, ალბათ, მკვდარი ვეგონე და იმიტომ არ მესროლეს, მით უმეტეს, შეეძლოთ ასე ეფიქრათ, რადგან მარცხენა ზელიდან სისხლი მდიოდა (ზელი გავიჭერი ფანჯრის შუშის ნამსხვრევებზე). გავინახე, თავი მოვიმკვდარუნე, ამავე დროს ნელ-ნელა ჩავცოცდი ქვევით. შევამჩნიე ბოძი, რომელზედაც დაყრდნობილი იყო კიბის სახურავი, და, როდესაც მივუახ-

ლოვდი მას, გადავეციდე სახურავიდან, მოვკიდე ხელი ზოძს და ძირს ჩამოვძვერი.

კახაკებს რომ არ დავენახე, კედელს ავეყარი ხმოსანთა დარბაზის ფანჯრების ქვეშ და ფრთხილად გავწიე ალაყაფის კარებისაკენ, რომელიც გადიოდა მაშინდელი განოვის (ახლა გ. ტაბიძის) ქუჩაზე. როგორც იქნა, მივუახლოვდი ალაყაფის კარებს, ავცოცდი სულ მალა, მაგრამ საიდანღაც გამოხტა კახაკი, რომელმაც გამიყარა ხმალი ფეხებსშუა. არ ვიცი, შევეცოდე, გიმნაზიელის ქურთუკში რომ ვიყავი, თუ უნებურად მოუვიდა და არ დამჭრა. უმალვე ჩამოვხტი და ვეცი კარებს, ალაყაფის მარჯვნივ.

კარები ღია იყო. აღმოჩნდი გრძელ და ბნელ ოთახში, რომელიც ფანჯრებით გადიოდა განოვის ქუჩაზე. ქუჩა გატენილი იყო ხალხით. შემხვდნენ ნაცნობებიც. დამინახეს, რომ ხელი დასისხლიანებული მქონდა და სისხლი წვეთავდა, ქრილობა ხელსახოცით შემხვიეს. იქვე იყო ერთი ახალგაზრდა, მძიმედ დაჭრილი, კენესოდა. მე მივუჭექე და ვცდილობდი მენუგეშებინა. ვნატრობდი ერთს: თუ შემოვარდებიან კახაკები, მესროლონ და მომკლან, მხოლოდ ხიშტზე ნუ ამბავებენ-მეთქი. ყველანი ვცდილობდით დაგვეცვა სიჩუმე. ვაილო კარი და იშწამსვე მიხურა. „შპიონია“, დაიძახეს აქეთ-იქიდან. მართლაც, მალე გაიღო კარი და გაისმა ბრძანება — „გამოდით“. დავიწყეთ გამოსვლა. ისევ გამწკრივდნენ კახაკები და გამოსულებს ისევ სცემდნენ მათრახებით. მე და ერთ მოქალაქეს მოგვეყვდა დაჭრილი ახალგაზრდა და ჩვენ არ გვცემეს. გაგვიყვანეს ველიამინოვის ქუჩისაკენ (ახლა დადიანის ქ.), იქ, კარების წინ, დავინახე 2 თუ 3 ღია ფორანი და ზედ აუარებელი ტანისამოსი. გამიკვირდა, რა უნდა აქ ამ დროს ფორნებს ტანისამოსით-მეთქი, მაგრამ უცებ დავინახე ჩამოკიდებული ფეხები, ხელები... მივხვდი, რომ ეს იყო დახოცილი ხალხი და არა ტანისამოსი.

ყველა დაკავებული ქვაფენილზე დავსვეს და დარაჯებულ კახაკებზე დავვიყვინეს. ცოტა ხნის შემდეგ ტყვიანმა გატრძინი დაბევილ ზურგში (დამბევეა, როცა დამაწვა აუარებელი ხალხი), უნებლიედ ხელი მოვისვი მტკივან ადგილას, თანაც ვკრუსუნებდი. ერთბაშად მომვარდა ერთი კახაკი შეძახილით: „შენ კიდევ კრუსუნებ?“ აღმართა თოფის კონდახი და, ალბათ, ხერხემალს ჩამიმტრევედა, რომ ვილაც ფორმიანმა კაცმა დაუძახა: — „არ გაბედო! ვერა ხედავ, ბავშვია!“

შეხვედე ფორმიან კაცს და ვიცანი პროკურორი, რომელიც ჩვენს გიმნაზიაში ლექციებს კითხულობდა სახელმწიფო სამართალზე. იგი ლიბერალად ითვლებოდა. ეთხოვე ნებართვა ავმდგარიყავი, დაუტარი თავი და ვუთხარი: მე თქვენ გიცნობთ, ლექციებს გვიკითხავდით სამართალზე.

— რა გინდოდა აქ?

— ამხანაგმა მითხრა, საინტერესო ლექცია იქნებო, და მეც მოვედი. როცა დავინახე, უკანონო კრება იყო, მივატოვე, მაგრამ გასვლა ვერ მოვასწარი, — ვიცრუე მე.

— მეც მაგონდებით, — თქვა მან.

ამ დროს მოვიდა მამაჩემი, სიონის ტაძრის დეკანოზი. მას გაეგო კრების დარბევის ამბავი ჩემი უფროსი ძმისაგან, ლავრენტისაგან, რომელმაც კრებიდან გაქცევა მოასწრო. ავარდა სახურავზე; იქიდან გადახტა მეორე სახლის სახურავზე და ასე დაბრუნდა სახლში (ჩვენ ვცხოვრობდით ირაკლის ქუჩაზე, სიონის ეკლესიის ახლოს). გაეგო თუ არა მისგან, რომ მე დარბაზში დავრჩი. მამა უმალვე წამოსულიყო. ასევე ბევრი სხვა მშობელი და ნათესავი გამოეშურა ქალაქის სამმართველოსაკენ.

— აი, ხედავთ, რა გაუფრთხილებლად მოიქცა თქვენი ვაჟი, — თქვა პროკურორმა.

— საზოგადოდ, ძალიან წესიერია. წიგნები უყვარს, ეგ არის და ეგ, — თქვა მამამ.

— შეუდენიათ, საინტერესო ლექცია

არისო, — უპასუხა პროკურორმა, — რა ეუყოთ ახლა? ცოდნა მავის გაგზავნა შეტეხში. იქ მართლა შეამზოხე არ გახდეს. შეგიძლიათ თქვენ დაუდგეთ თავდებად და წარმოადგინოთ საბუთი, როცა მოგთხოვენ?

მამა, რასაკვირველია, დათანხმდა.

— ჯერ კი ხელის შეხვევაა საჭირო, ხედავთ, ხელსახოცი სისხლიანი.

შემიყვანეს ყოფილ გეინეს აფთიაქში, რომელიც იმავე შენობაშია, და ჩემ გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც იქ დავინახე არამაის ერზინკიანი თეთრ ხალათში — თურმე მას მოესწრო აქ დამალვა. აფთიაქის მუშაკად რომ მიეჩნიათ, თეთრი ხალათი ჩააცვეს. გამბა-

ნეს ხელი, წამისვეს იოდი და შემოხვიეს. გავყევი მამას. როცა შინ მივედი და ლოგინში ჩავწეკი, ერთბაშად მომავლნდა დახოცილი ხალხით სავსე ფორანი და ამივიარდა ისეთი ისტერიული ტირილი, მთელი ორი საათი ვერ დაეწყნარდი.

მეორე დღეს გავიგე, რომ დახოცილი იყო 89 კაცი. ყველა დაკავებული მეტეხში გაგზავნეს. რამდენიმე თვის შემდეგ გამომიძახეს ეანდარმთა სამმართველოში და მომთხოვეს თბილისის დეტაგება. მე ავირჩიე იგდირი (სამაზრო ქალაქი ყოფილი სურმალინის მაზრისა, ერევნის გუბერნიისში), სადაც ჩემი სიძე ნ. სოკოლოვი ფინანსების ინსპექტორი იყო.

2. მოსწავლეთა მიტინგები

1905 წელს თითქმის ყველა სასწავლებელში არსებობდა მოსწავლეთა რევოლუციური წრეები. ჩვენს გიმნაზიაში (III გიმნაზია) იყო სოციალ-დემოკრატი, სოციალ-რევოლუციონერთა, ფედერალისტთა წრეები. სოციალ-დემოკრატები გიმნაზიაში არ იყოფოდნენ მენშევიკებად და ბოლშევიკებად. ჯერ ერთი, ჩვენ ვერ გავერკვეთ ამ მიმდინარეობაში. მეორე, არ გვინდოდა გათიშვა, რაც დაგვასუსტებდა სხვა პარტიებთან ბრძოლაში. პირველ გიმნაზიაში კი სოციალ-დემოკრატები ემზრობოდნენ ბოლშევიკებს. ზოგიერთმა მათგანმა (კაზაროვმა, ტეტუციმ) შემდგომ გაითქვეს სახელი სამოქალაქო ომში. საერთო ცენტრი ამ წრეებს არ ჰქონდათ, მაგრამ მაინც ვაწყობდით ფართულ კრებებს ხან ერთ, ხან მეორე სასწავლებელში. ესწრებოდნენ რამდენიმე სასწავლებლის მოწაფეები. მახსოვს, მაგალითად, ასეთი კრებები იყო მოწყობილი სამასწავლებლო ინსტიტუტში, კომერციულ სასწავლებელში. ამ ვიწრო წრეში შეკრების გარდა, სამჯერ მოვაწყვეთ არალეგალური მიტინგი. ესწრებოდა ასობით მოსწავლე. ერთხელ მოვილაპარაკეთ, კვირას ფუნიკულიორზე შეკრებილიყა-

ვით. მოვიწვიეთ მომხსენებლად სტუდენტი გაიკ პიჩიკიანი, იგი მკვერმეტყველ ორატორად ითვლებოდა.

შევიკრიბეთ რამდენიმე ასი მოსწავლე სხვადასხვა სასწავლებლიდან. გაიხსნა მიტინგი, ხელებით მალა ავწიეთ გაიკ პიჩიკიანი. დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ არ გასულა დიდი დრო, რომ მოისმა: „კაზაკები მოდიან“. ხელად დავუშვიეთ ძირს ორატორი და დავნაწილდით ჯგუფ-ჯგუფად, ვითომდა დროს გასატარებლად მოვსულიყოთ. ერთ მოწაფეს, ვინმე მაკაროვს, კარგი, სასიამოვნო ხმა ჰქონდა. დაიწყო სიმღერა და ბევრი შემოიკრიბა მის გარშემო, ზოგიერთს საუზმე წამოეღო — გაშალეს და მიუხსნენ. იმათ, ვისაც დასარიგებელი პროკლამაციები ჰქონდათ, გადაყარეს, რომ ჩხრეკის დროს არ ეპონათ. პროკლამაციისათვის ციხეს და კატორღას უსჯიდნენ. კაზაკებმა აიოვეს ეს დაყრილი პროკლამაციები, დაიწყეს ყურადღებით კითხვა: ჩანდა, მიუხედავად მეფის ერთგულებისა, მათაც აინტერესებდათ, რას მოითხოვდნენ ეს „ბუნტოვნიკები“. მერე მოგვეცეს წინადადება, არ გავშუალოყავით და თითო-თითოდ მივსულიყავით მათთან გასაჩხრეკად. ჩვენ

მხურვალედ ვუმტკიცებდით, რომ შევიკრიბეთ საქეიფოდ, მიეუთითეთ მომღერლებზე, აქა-იქ გაშლილ საუზმეზე. დაიწყო ჩხრეკა, ეძებდნენ იარაღსა და პროკლამაციებს. რატომღაც ეშინოდათ, რომ ჩვენ იარაღი გვქონდა. საბედნიეროდ, არავის არ აღმოაჩნდა არც იარაღი, არც პროკლამაციები. ვერ მოასწრეს მათი ჩამორიგება. ამიტომ ყველას ათავისუფლებდნენ. დააკავეს მხოლოდ ერთი გიმნაზიელი — ჩემი ამხანაგი ოპანეს დიურკერიანი (შემდეგ ის იყო სოცულურისტული ფრაქციის სახალხო კომისარი სომხეთში). იმას ჩემგან წაღებულნი ჰქონდა სქელი რვეული, ამონაწერებით მარქსისტული ლიტერატურიდან. ეს რვეული მოეტანა, რომ ჩემთვის დაებრუნებინა. დიურკერიანი დააკავეს და წაიყვანეს პოლიციაში, ჩვენ კი მოგვეცეს წინადადება დაეშლილიყავით და დაებრუნებულიყავით ქალაქში. როცა ვბრუნდებოდით, ჩვენთან მოვარდა ერთი მოწაფე და გვითხრა: „კაზაკები კეტებით გვიცდიან ყაზარმების წინ. (მაშინ ყაზარმები იყო იქ, სადაც ახლა საქ. კპცკ შენობაა). არამცდარამც არ გაიაროთ ამ გზით“. ჩვენ, რასაკვირველია, ვისარგებლეთ რჩევით და დავეშვიტე სხვა გზით. მე გაგიქეცი დიურკერიანის ბინაზე, გავაფრთხილე, პოლიცია მოვა, გაჩხრეკენ და მოცილებთ თუ რაიმე საეჭვო გაქვთ-მეთქი. მართლაც, პოლიცია მოვიდა, გაჩხრეკეს, ვერაფერი საეჭვო ვერ იპოვნეს, ხოლო დიურკერიანმა პოლიციაში განაცხადა, ეს რვეული ფუნქციონორზე ვიპოვნე, დაინტერესდით, რა იყო, შეგიძლიათ ადვილად დარწმუნდეთ, რომ ეს ჩემი ხელი არ არისო. დიურკერიანი გაანთავისუფლეს.

მეორედ მოვილაპარაკეთ შეგვრებილიყავით მორიგ კვირას, სათავადაზნაურო გიმნაზიის (ახლა უნივერსიტეტის) შენობასთან, რომელიც მაშინ დამთავრებული არ იყო. პირველ ორატორად უნდა გამოსულიყო ქუთაისელი გიმნაზიელი ს. კელია, რომელიც გვხიზლავდა თავისი მკვერმეტყველებით ვიწრო წრეში გამართულ შეხვედრებზე. დავიწყეთ

ნელ-ნელა შეგროვება. 1905 წელს ეს ადგილი განაპირა იყო. ფართო მოედანზე გაბნეულ აუარებელ საშენ-მანალას ამოფარებულნი შეუქმნებლად ჩგუფად ვიკრიბებოდით. დადგა მიტინგის დაწყების დრო. მოსწავლენი ფსადის წინ შეგვკრავდით. ხელში ავიყვანეთ ს. კელია, მან სიტყვა ასე დაიწყო: „მეფის მთავრობამ გადაუგდო პროლეტარიატს გამოძვევი ხელთათმანი და პროლეტარიატმა აიღო იგი“. ის იყო დაამთავრა პათოსით წარმოთქმული პირველი ფრაზა, რომ გაისმა ძახილი: „კაზაკები!“ ორატორი სწრაფად დავუშვიტე ძირს და მიმოვიხედეთ. გვიპოვებდებოდა კაზაკების ცხენოსანთა რაზმი. სწრაფად მოვიტათობრეთ და გადავწყვიტეთ ავსულოყავით დაუშთავრებელი შენობის უქანასკნელ, ჯერ გადაუხურავ სართულზე, იქ ავტურები დაგვეგროვებია და, თუ კაზაკები დაიწყებდნენ ამოსვლას, ზევიდან დაგვეშინა.

ავედით ზევით და მოვიმარჯვეთ ავტურები, კაზაკები მოგვიახლოვდნენ, დაინახეს, რომ ჩვენ შენობის ზედა სართულზე დავიშალეთ. ვაიგონეს ჩვენი ყვირილი: „ნუ ეცდებით ზევით ამოსვლას, თორემ დაგაყრით ავტურებს“. გაჩერდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მათი უფროსი, ხნიერი კაცი, ცხენიდან ჩამოვიდა და უნივერსიტეტისაკენ გამოეშურა. მივხვდით, რომ ჩვენთან მოლაპარაკება სურდა და რამდენიმე მოწაფე გამართა მისკენ. ჩანდა, კაზაკები არ იყვნენ აგრესიულად განწყობილნი: რევოლუციის სუნთქვა მათაც მისწვდა და მერყეობა შეიტანა მათში. უფროსი მამაშვილურად გველაპარაკებოდა და გვთხოვდა — წამოგვეყვით საკომენდატოში (რომელიც მაშინ იყო იქ, სადაც ახლა კინო-თეატრი რუსთაველია), იქ თქვენ მხოლოდ ჩაგწერეთ და გაგიშვებნო. ჩვენ მოვითათობრეთ და დავთანხმდით. გავეშვიტეთ ქუჩაში, მარცხნივ და მარჯვნივ ცხენოსანი კაზაკები შემოგვეხვივნენ. გავწყით კომენდატორისაკენ, ცოტა ხნის შემდეგ რამდენიმე ახალგაზრდამ მარსელიოზის სიმღერა დაიწყო, მაგრამ

უსიტყვოდ, ყველამ ბანი მისცა და ასე სიმღერით მივედით იმ ადგილას, სადაც ახლა იმელის შენობაა. მაშინდელი გოლოვინის პროსპექტის ტროტუარები, მარცხნივ და მარჯვნივ, გაქვდილი იყო კვირა დღეს სასეირნოდ გამოსული ხალხით. ყველა დიდი სიმათითი შემოგვყურებდა. ერთბაშად ახალგაზრდული გამბედაობით გავარღვიეთ ცხენოსანთა კორდონი და, ზოგი მარცხნივ, ზოგი მარჯვნივ, შევერით ქუჩაში მოსეირნე ხალხს. ყაზახები ერთ წუთს შეჩერდნენ, ელოდნენ უფროსის ნიშანს, როგორ მოვიქცეთო, იმანაც ანიშნა — გამოწყვეითო, და გააგრძელეს სვლა.

გავიდა ხანი. დაიწყო ოქტომბერი. მოწაფეებმა კვლავ გადავწყვიტეთ შეკრება. ამჯერად ყოფილ გუნების (ახლა ბარნოვის) ქუჩაზე მდებარე მიწისმშომელთა სასწავლებლის დიდ სარდაფში. როდესაც მე ამ კრებაზე მივდიოდი, მეშინოდა, ასეთი დიდი შეკრების ამბავი ჯამუშების საშუალებით ხელისუფლებას არ გაეგო და არ გაემეორებია 29 აგვისტოს დარბევა. მახსოვს, საზლიდან რომ გამოვდიოდი, ვფიქრობდი: იქნებ უკანასკნელად ველაპარაკები დედას, მამას, ძმას. აი, მივედი მიწისმშომელთა სასწავლებელში, აუარებელი მოსწავლე დამხვდა, დიდი დარბაზი თანდათან ივსებოდა. ის იყო, კრება უნდა გაგვეხსნა, რომ ერთი მოსწავლე შემოიჭრა, განეთის ფურცელს იქნევდა და ყვიროდა: „მანიფესტი, 17 ოქტომბრის მანიფესტი! აღარაა საჭირო ფარული შეკრება, ქვეყანამ მიიღო თავისუფლება“.

დაიწყო ცხარე დისკუსია. ზოგიერთნი (კადეტების მომხრეები) ამტკიცებდნენ, რევოლუცია გათავდა, მან მიადგია მიზანს, მოგვცა კონსტიტუციაო. სოციალისტები არ იზიარებდნენ ამ აზრს, „სა-

ჭიროა ბრძოლა ბოლომდე, მეფის დამხობამდე“ — ვამბობდით ჩვენ. შეკრებილთა უმეტესობა ჩვენ გვემხროდა მხარს. მწკრივებად დავეწყვეთ, გამოვედით ქუჩაში რევოლუციური სიმღერებით და გავწიეთ ზემელისაკენ. აქ მოვაწყვეთ სახელდაბელო მიტინგი, გამოვედი მეც. საღამოს მთელ გოლოვინის პროსპექტზე გრანდიოზული დემონსტრაცია გაიმართა. კვირისათვის დანიშნული იყო დიდი მიტინგი დიდუბეში. აქ ცალკე მოსწავლეთა მიტინგიც უნდა გამართულიყო. მაგრამ აგერ გამოვიდა პირველი გიმნაზიის მასწავლებელი-ისტორიკოსი. ვაგონილი გვემონდა, ძალიან მომზადებული პირია, მეტად საინტერესო ლექციებს კითხულობს. სასტიკად ილაშქრებს მეფის მთავრობის წინააღმდეგო. მით უფრო ვაგვაკვირვა მისმა გამოსვლამ: „მე ისტორიკოსი ვარ, ღრმად მაქვს შესწავლილი საფრანგეთის რევოლუცია, გემუდარებით, ნუ აყვევებით შემარცხენეთა მოთხოვნას — რევოლუციის გაღრმავების ღოჭუნგებს. ეს მიგიყვანთ დიქტატურამდე და ყოველგვარი თავისუფლების მოსპობამდე. დაჯერდით კონსტიტუციურ მონარქიას“. მის მოწოდებას ჩვენ ვუპასუხეთ ყვირილით: „ძირს ომი, ძირს მონარქია!“ მასწავლებელი ტრიბუნიდან ჩამოვავდეთ, ყველა ორატორია, რომელიც მის შემდეგ გამოვიდა, მოითხოვდა რევოლუციის ბოლომდე მიყვანას და ცარიზმის მოსპობას. ეს იყო მოსწავლეთა უკანასკნელი მიტინგი. მალე დაიწყო რეაქცია და რევოლუციურად განწყობილ მოსწავლეებს კვლავ მოუზნდათ ჯურღმულეებში თავის შეფარება და იატაკქვეშ მუშაობა. სწორედ ამ პერიოდში გამასახლეს თბილისიდან.

8. იარაღი იარაღი

გავიდა 2 თვე ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ. ნათელი გახდა, რომ ბრძოლა თავისუფლებისათვის არა

თუ დამთავრებული იყო, პირიქით, უფრო მკაცრად უნდა წარმართულიყო იარაღით. ყველა ცდილობდა ეშოვა ია-

რალი, აგროვებდნენ ფულს შესაძენად, იარაღს ჰყრიდნენ პოლიციელებს. თავს ესპმოდნენ იარაღის მალაზიებს და გაქონდათ თოფები და პისტოლეტები. ამ საერთო საქმეში ჩაებდნენ რევოლუციურად განწყობილი მოწაფეებიც: აგროვებდნენ ფულს და იარაღს ნაცნობებში და აწვდიდნენ რევოლუციურ ორგანიზაციებს. ერთხელ გიმნაზიაში (მე-2 გიმნაზია მოთავსებული იყო ახლანდელი მარჯანიშვილის თეატრის ახლოს) ვილცამ თქვა, ჩვენი კლასის მოწაფის, ჩავესკის მამას, პოლკოვნიკს, კედელზე უკიდია შესანიშნავი თოფიო. ჩავესკი გაქანებული მონარქისტი გახლდათ. არავითარი იმედი არ იყო მისგან იარაღი მიგველო. ვადაწყვიტეთ მივსულიყავით მის სახლში და თოფი ძალით წამოგველო. ჩავესკი ცხოვრობდა იმავე ქუჩაზე. 15-მდე გიმნაზიელი გავეშართეთ მისი სახლისაკენ. ავედით მეორე სართულზე მე და ერთი გიმნაზიელი, ვახუშტი ბარბაქაძე, მივედით კარებთან, დავრეკეთ ზარი. გაგვილო „დენშიკიმა“. ჩვენ ვუთხარით, კოლია ჩავესკის ამხანაგები ვართ და საქმე გვაქვს მის მამასთან-თქო. შეგვიშვეს სასტუმრო ოთახში. კედელზე ეკიდა ერთლულიანი თოფი. ჩამოვხსენი და უკვე ვაპირებდით უკან დაბრუნებას, რომ ამ დროს კარი გაიღო და შემოვიდა პოლკოვნიკი. „ეს რა ხდება? ვადიმ, — დაუძახა „დენშიკის, — აბა, დაკეტე კარები და მომეშველე. ჩვენ ვუჩვენებთ სეირს ამ არამზადებს, ამ

ექსპროპრიატორებს“. მომეარდა და ჩასვიდა ხელი თოფს. მე დავებენე და დავიწყე აზნეულად ლაპარაკი და შევექცენ ეს თოფი არ გვირდებათ, სამშობლო ისეთ მდგომარეობაშია, რომ ყველა პატიოსანი კაცი ვალდებულია გაიღოს თავისი წვლილი“, მაგრამ პოლკოვნიკი არ მისმენდა და ყვიროდა: „ვადიმ, დაკეტე კარი! ჩქარა, მოდი ჩემთან!“ ახმახი „დენშიკი“ დერეფნიდან ჩვენიკენ გამოემართა. მაშინ ვახუშტი ბარბაქაძემ, რომელიც გამბედაობით გამოირჩეოდა, ფანჯარა გააღო და მიუბრუნდა პოლკოვნიკს. „აი, შეხედეთ, რამდენი ხალხი დგას, შემოვარდებიან და დაგზოკავენ“. პოლკოვნიკი მაინც არ ცხრებოდა, ყვიროდა: „შეუკარი, ვადიმ, მაგ არამზადას ხელები უკან“. მე პოლკოვნიკს არ ვანებებდი თოფს, მაგრამ მაინც ვნანობდი, რომ ასეთ საჩოთირო ისტორიაში მოვსევით. ამ დროს უეცრად კარი გაიღო, 16-17 წლის გოგონა შემოვარდა, ეცა პოლკოვნიკს, ჩამოეკიდა კისერზე, მოეხვია, დაუწყო კოცნა და მტირალა ხმით მუდარა: „რად გინდა, მამა, ეგ თოფი? დაეხსენი! ნუ დალუპავ ნურც ამ ლაწირაკებს, ნურც კოლიას, ნურც შენს თავს“. გოგონამ თითქმის ძალით მოგვაცილა მამა, „დენშიკის“ უბრძანა კარი გაეღო. თოფით ხელში ჩამოვირბინეთ კიბე და შევუერთდით ამხანაგებს, რომლებსაც გადაეწყვიტათ ამოვარდნილიყვსენ ზევით და ეშველათ ჩვენთვის.

4. ფოსტა-ტელეგრაფის მოხალეთა გაფიცვა

17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით, რომელიც პროფესიული კავშირების შექმნის უფლებას იძლეოდა, დაიწყო სხვადასხვა პროფესიული კავშირების დაარსება. ასეთი კავშირი დააარსეს ფოსტა-ტელეგრაფის მუშაეებმაც, მაგრამ მთავრობამ აკრძალა იგი და ორგანიზატორები სამსახურიდან დაითხოვა. სწორედ იმ პერიოდში, როდესაც რუ-

სეთში ისეც მოდებული იყო გაფიცვები, ამან ბიძგი მისცა თბილისშიც ფოსტა-ტელეგრაფის მუშაეთა გაფიცვას. გაფიცულები შოითხოვნენ ფოსტა-ტელეგრაფის მუშათა კავშირის აღდგენას. გაფიცვა ვაჭიანურდა. გაფიცულები მძიმე ვასაკირში ჩავარდნენ. მშრომელი მოსახლეობა ეხმარებოდა მათ, აგროვებდა ფულს, ოჯახებში შესანახავად

მიჰყავდათ გაფიქრულთა ბავშვები და ა. შ. მაგრამ, რადგანაც დახმარება გაქირებვას ვერ შევლოდა, გაფიქრულთა ნაწილმა მოთხოვა გაფიცვის შეწყვეტა. ქალაქის „უპრავეში“ დაინიშნა ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კრება იმის გადასაწყვეტად, გაგრძელებულიყო თუ არა გაფიცვა. მე ამ დროს გიმნაზიაში ესწავლობდი და ამავე დროს ვმუშაობდი სტენოგრაფად ვაზეთ „Возрождение“-ში (რედაქტორი იყო პ. გოთუა). ჩემი მოვალეობა იყო დავსწრებოდი ხმოსანთა კრებებს ქალაქის სამმართველოში, ჩამეწერა გამოსვლები და მიმეცა რეპორტაჟი. ვესწრებოდი ხმოსანთა დარბაზში გამართულ სხვა კრებებსაც. დავესწარი ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა ამ კრებასაც. გამოდიოდნენ ორატორები; ზოგი მოუწოდებდა გაფიცვის გაგრძელებას, ზოგი წინააღმდეგი იყო. სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე არა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებმაც. დამახასიათებელი იყო ორი გამოსვლა, ერთი — ა. ხატისოვისა და მეორე — ლატვიელისა, რომლის გვარი აღარ მახსოვს. ხმოსანი ა. ხატისოვი ცნობილი იყო მჭევრმეტყველებით. მან ჯერ შეაქო ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა შედგობა მოქალაქეობრივ თავისუფლებათა დაცვაში, მაგრამ მერე განაგრძო: „მაგრამ ნუ აყვებით გრძნობებს და დავფიქრდეთ, რა ზდება. აი, უკვე რამდენი ხანია ქვეყანა მოკლებულია საშუალებას ისარგებლოს ფოსტა-ტელეგრაფის კავშირით. ვის ვნებს ეს? — მთავრობას? სრულიადაც არა! ხალხს! ჩვენ წართმეული გვაქვს საშუალება გავიგოთ, რა მდგომარეობაში არიან ჩვენი ახლობლები, ჩვენ ვერ ვეხმარებით მათ და ისინი ჩვენ, ვერ ვუგზავნით და ვერ ვღებულობთ მათგან ფულს: რევოლუციის მიზანია კულტურის აყვავება, ჩვენ კი ვღუპავთ მას, ხალხის ინტერესებისათვის თქვენ უნდა შესწყვიტოთ გაფიცვა“.

შევატყვე, რომ მისმა სიტყვამ ბევრზე გავლენა მოახდინა. დამეფიქრდა რაღაც ჩემი მოვალეობა იყო ობიექტურად მჭევრმეტყველება და მიმეწოდებინა გაზეთისათვის. თავი ვერ შევიკავე და წამოვევარი. დავიწყე ლაპარაკი ისე, რომ არც კი მითხოვია სიტყვა თავმჯდომარისათვის. „ეს თქვენ გაქვთ ფული, — მივმართე ხატისოვს, — და ზრუნავთ იმაზე, რომ გაუგზავნოთ ან მიიღოთ ფული ვინმესგან, ჩვენ კი არ გვაქვს, თქვენი ზრუნვა კულტურაზე ფარისევლობაა, თქვენ უზრუნველყოფილი ხართ კულტურული ცხოვრებით, ჩვენ კი არა! მხოლოდ ცარიზმის დამხობა გვაძლევს პერსპექტივას ჩვენც ვიცხოვროთ კულტურულად. მაშინ, როდესაც მთელ ქვეყანაში მოდებულია გაფიცვები და მეფის ტახტი ზანზარებს, თქვენი წინადადება — შეწყდეს გაფიცვა, ცარიზმის დახმარებაა“. ცხარედ ვუყვიროდი ხატისოვს და გაბრაზებით ვიქნევიდი მის თვალწინ მუშტებს.

გაისმა ძახილი — „ძირს ხატისოვი“, და მან სწრაფად დასტოვა დარბაზი... მე დავჯექი ჩემს ადგილზე, ძლივს მოვითქვი სული ალეღვებისაგან და განვაგრძე ჩაწერა.

შესანიშნავი იყო ლატვიელი ორატორის გამოსვლა (მე მოვკარი ყური, რომ ის რუსეთიდან ჩამოსული ბოლშევიკი იყო). „არა მარტო გაფიცვა უნდა განაგრძოთ, უნდა მიმართოთ უფრო რადიკალურ ღონისძიებებს, — თქვა მან, — დღეს გადაწყვეტი ბრძოლაა ცარიზმთან. ახლა ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყველა საშუალება, რომ დავამხოთ ცარიზმი. იცოდეთ, თუ ჩვენ ამას არ ვიზამთ, ის მოგვერევა, მოსპობს ყოველგვარ თავისუფლებას და კვლავ მონობაში ჩაგვადებს. ამიტომ წინ! დაანგრიეთ ტელეგრაფის ბოძები, დაწყვიტეთ მავთულები, ააფეთქეთ სადგურები! მხოლოდ

გაბედული მოქმედებით მოვიპოვეთ გამარჯვებას. ლაჩრობა კი მოგვიტანს დამარცხებასა და სიკვდილს“.

მომდევნო ორატორები მეტ წილად მოითხოვნენ გაფიცვის გაგრძელებას. კრებამ უმეტესი ხმით იგივე დაადგინა, მეც სიამოვნებით დავწერე ჩემი რეპორტაჟი ამ ისტორიული კრებისა.

გავიდა 12 წელი. მოხდა თებერვლის რევოლუცია. ერთ გაზაფხულის დღეს მივდივარ ვერის დაღმართზე (ახლა ელბაქიძის ქუჩა), ქვევიდან ორნი მოდიან. უცბად ერთმა მათგანმა გამაჩერა,

გადამეხვია, გადამკოცნა და პითხრა: „გახსოვთ, 1905 წელს ქალაქის „უბრა-ვაში“ თქვენ რომ ჩასწერეთ „ისტორიკულეგრადის მუშაკთა სხდომა გაფიცვის გაგრძელებაზე და რეპორტაჟი მიუციოთ ვაზეთ „Возрождение“-ში. ამ რეპორტაჟის საფუძველზე მე და საგაფიცო კომიტეტის წევრებს კატორღა მოგვისაჩვენეს, მაგრამ ახლა თავისუფალი ვარ და დიდ საქმეს ვაკეთებ.“

იმ ლატვიელზე კი ყური მოვკარი, რეაქცია რომ დადგა, ვერ აიტანა და თავი მოიკლათ.



ანზორ კაკანაძე

რევოლუციური პარტიის ერთი ეპიზოდი

1918 წლის თებერვლიდან რევოლუციური ტალღა ერთბაშად აზვირთდა საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რაიონებში. მენშევიკურ მთავრობას დასპირდა არა მარტო თავისი დამსჯელი ექსპედიციების მაქსიმალური დატვირთვა აჯანყების კერების ჩასახშობად, არამედ საქართველოში მოკალათებული გერმანელი ოკუპანტების გამოყენებაც.

მენშევიკები და მისი დამქაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები, რომლებიც ყოველთვის აღამაზებდნენ „დემოკრატიული საქართველოს“ საშინაო მდგომარეობას და მათ მიერ დამყარებულ რეჟიმს სამოთხეს უწოდებდნენ, აძულებული იყვნენ თვითონვე ელაპარაკათ საქართველოში მასობრივი გამოსვლის ფართო მასშტაბებზე, ელაპარაკათ მთავრობისადმი გლეხობის მტრულ დამოკიდებულებასზე.

„...თითქმის ნახევარი საქართველო მოუცავს სახალხო აჯანყებათა ხანძარს, — წერდა მენშევიკური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“, — დღეშემის მახრაში გლეხობამ იარაღი აიღო ხელთ და აქტიურად გამოდის მენშევიკური ჯარების წინააღმდეგ...

გორის მახრაში ფრიალ დიდი მღელვარებაა, ...თიანეთის მახრაში მღელვარება იზრდება და საშიშია, რომ მცირე ნაპერწკალმაც კი ხანძარი არ გამოიწვიოს.

კიდევ უარესი მდგომარეობაა ქუთაისის გუბერნიამში. რაჭის მახრაში სერიოზულ შეიარაღებულ შეტაკებას

ქონდა ადგილი. ასეთი შეტაკებები მოხდა ლეჩხუმის მაზრაშიც“¹.

მენშევიკებმა კარგად იცოდნენ შრომელი გლეხების ერთბაშად გაბოროტების არსებითი მიზეზი, მაგრამ სინამდვილის აღიარებისა ეშინოდათ. აქ ისინი ისევ შეუდგნენ იმის დასაბუთებას, რომ გლეხობა თავისი ბუნებით ვერ ურიგდება იმ დიდ „დემოკრატიულ-სოციალისტურ“ ღონისძიებებს, რასაც ახლა საქართველოს „დემოკრატიული“ მთავრობა ახორციელებსო. მენშევიკური გაზეთები ამტკიცებდნენ, რომ გლეხთა აჯანყებული რაიონები საქართველოში კონტრრევოლუციური ვანდებს როლს ახორციელებენ. იარაღს ზელს ჰკიდებენო საქართველოს მხოლოდ ჩამორჩენილი კუთხეების გლეხები, რომელთა სულისკვეთებასთან შეუფერებელია სოციალისტური ღონისძიებანი.

ნ. ქორდანია, ნათლავდა რა აჯანყებულ გლეხებს რეაქციონერებად, აცხადებდა: „ის, რაც ჩვენში სოფლებში ხდება, ახალი არ არის; იგივე ხდება ყველა რევოლუციების დროს დასავლეთ ევროპაში, სუყველგან ფართო მასა გლეხობისა გამოდიოდა რევოლუციური დემოკრატიის წინააღმდეგ და უკანასკნელს უხდებოდა ბრძოლა მასთან, როგორც რეაქციონერებთან“. ქორდანია თვლიდა, რომ „ჩვენში კი, საქართველოში რესპუბლიკას და რევოლუციას შესაძლებელია მოელოდეს შიგნიდან

¹ გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1918 წ.

ერთადერთი საფრთხე გლეხებისაგან, ამ საფრთხის ნიშნები უკვე არის“.

მენშევიკური მთავრობის წინადადებით საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, ყველა ფრაქციების ერთსულოვანი მოწონებით, 1918 წლის 5 ივლისს მიიღო კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ, რომლის საშუალებით შემოდებულ იქნა სამხედრო-საველე სასამართლოები, რომლითაც უსწორდებოდნენ აჯანყებულ გლეხობას.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ მეფის დამხობით აღერთოვანებული გლეხობა კვლავ უმიწოდ დატოვა, მემამულეებს კი ისევ ძველი პრივილეგიები დაუნარჩუნა. მათ უფლებაში დარჩა სახნავ-სათესი მიწები, ტყეები, საძოვრები. კვლავ მებატონის მარწხში დარჩა გლეხი, რომელსაც დამატებით ექსპლოატაციას უწევდა სოფლის ბურჟუაზია და კულაკობა.

ქართველმა ხალხმა იცოდა საბჭოთა რუსეთში მომხდარი ამბები. იქ გლეხობამ 150 მილიონ დესტინანზე მეტი მიწა მიიღო, რომელიც წინათ მემამულეების, მეფის ოჯახის, ეკლესია-მონასტრების განკარგულებაში იყო, განთავისუფლდა აგრეთვე ყოველწლიური საიჯარო ქირის, დაახლოებით 500 მილიონი ოქროს მანეთის, გადასახადისაგან. ამ საყურადღებო მაგალითმა ქართველ გლეხობას მიწების „თვითნებურად“ დატაცებისკენ უბიძგა. მოხდა გლეხთა დიდი გამოსვლები დუშეთის, შორაპნისა და სხვა მაზრებში. მემამულეები მოითხოვდნენ მიტაცებული მიწების უკან დაბრუნებას. მენშევიკების ბატონობის პერიოდში ხალხი აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდა.

შორაპნის მაზრის ერობის თავმჯდომარე შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნილ ბარათში წერდა: „მრავალ სასოფლო საზოგადოებაში სოფლები შიმშილს განიცდიან, ხალხი სასოწარკვეთილებაში ვარდება, სურსათ-სანოვავე არსად იშოვება, და თუ იგი ხელმე არის, ისე ძვირია, რომ სოფ-

ლის მცხოვრებთათვის პირდაპირ მიუწვდომელია. ამჟამად, ბაზარში ფუთი სიმინდი 800-850 მანეთით დრის და ხშირად, როცა მცირე რაოდენობითაა შემოტანილი, მისი ფასი 1000 მანეთს აჭარბებს. ხალხი გადატყვებულია, გაყიდა შინაური პირუტყვი, ფრინველი და ყველაფერი, რაც მას გააჩნდა და არის შემთხვევები, როცა სახლებს სახურავებს აცლიან და ჰყიდნიან მას“.

საქართველოს ყოველ კუთხეში დაიწყო ფრონტიდან ჯარისკაცების დაბრუნება, რომლებმაც ნახეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. სოფლებში კი მდგომარეობა უცვლელი დახვდათ. გაბოლშევიკებულმა ჯარისკაცებმა სოფელს მოსდეს აგრარული რევოლუცია. მათ შესახებ მენშევიკები წერდნენ: „ჯარი დღეს შინ ბრუნდება, როგორც განსაკუთრებული ფსიქოლოგიისა და ჩაბერილი პოლიტიკის აზროვნების მატარებელი, ჯარისკაცების სოფლად შემოსვლამ ახალი საფრთხე შემოიტანა. ჯარისკაცები ცარიელი როდი დაბრუნდნენ. მათ მოიტანეს ეგრეთწოდებული ბოლშევიზმი და სოფელს საჩუქრად შესთავაზეს. დღეს ცნება: — ჯარისკაცი და ბოლშევიკი ერთმანეთშია გადახლართული. ეს სიტყვები სინონიმებია და ვინც ახსენებს ჯარისკაცს, მან იმავე დროს უნდა ახსენოს ბოლშევიკიც“...

სოფლად ჯარისკაცების გამოჩენამ და ქიათურის მალაროს მუშების დაბრუნებამ ზელი შეუწყო გლეხთა გამოსვლებს, რადგან რევოლუციურად განწყობილი გლეხებისათვის მხოლოდ ხელმძღვანელი იყო საჭირო, რომ მათ იარაღი მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ მიემართათ.

„...ჩვენი სოფელი, — აღნიშნავდა გაზეთი „ბრძოლა“, — ამჟამად დიდი რევოლუციური ქარტეხილის წინაშე იმყოფება... გაბატონებულ კლასებთან შეთანხმება-შერიგების ნაცვლად უკვე გაისმის ბრძოლის შეუპოვარი ყიფინა,

რაც ძილს უფროსობს შემამულეებსა და მათ დამცველ მენშევიკებს“.

ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეთში 200-ზე მეტი ფრონტელი ჯარისკაცი დაბრუნდა. 1917 წლის ბოლოს მოიწვიეს არალეგარული კრება, შეიქმნა პარტიული ორგანიზაცია, რომელშიც პირველსავე სხდომაზე 80 კაცი შეიყვანეს. პარტიული ორგანიზაცია დღითიდღე იზრდებოდა. სოფელ ხრეთში შეიქმნა გლეხთა საბჭო, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა არჩილ გოცაძე. საბჭომ რევოლუციური წესრიგი დაამყარა სოფლის მართვა-გამგეობაში. სოფელ ხრეთის მსგავსად ასეთივე საბჭოები შეიქმნა ჭიათურის რაიონის სხვა სოფლებშიც: ვაჭევში, ღვითორში, ქვაციხეში, ცხილათსა და მუხურაში.

ჭიათურის რაიონის სოფლების ასეთი გარდაქმნა მენშევიკებს მხედველობიდან არ გამოპარვიათ. როგორც „წესი“, შეუდგნენ სოფლების განიარაღებას, განიარაღებისას სოფელ თუზში მოკლეს სამი ჯარისკაცი. მკვლელობის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ რაიონს, დასაფლავება გადაიქცა დიდ დემონსტრაციად. რაიონის ყველა სოფლიდან თავი მოიყარა დიდძალმა შეიარაღებულმა ნაწილებმა, გაიმართა მიტინგი; მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა არჩილ გოცაძემ. მან განაცხადა: „...მენშევიკმა-პროვოკატორებმა ჩვენ ყველაფერი წაგვართვეს, მხოლოდ ცარიელი სიტყვებით, დაპირებებით გვიყოლიებენ, მათ არ შეგვიქმნეს ცხოვრების მინიმუმიც კი. არ მოგვცეს მიწა, ჩამოგვაშორეს დიდ სოციალისტურ რუსეთს, ფეხქვეშ გასთელეს ყოველგვარი ადამიანური უფლებები და გააჩაღეს ძმათა მკვლელი ომი. საქართველოს ყველა კუთხეში მზადდება შეიარაღებული აჯანყება, ამ აჯანყებას უნდა შეუერთდეს ჩვენი რაიონიც, რათა დავამხოთ მენშევიკური მთავრობა და მივალწიოთ იმას, რასაც მივალწია რუსმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით“.

მიტინგმა მოუწოდა რაიონის სოფ-

ლებს შეექმნათ რევოლუციური კომიტეტები და საჭიროების შემთხვევაში მზად ყოფილიყვნენ.

დასაფლავება, როგორც აღვნიშნეთ, გადაიქცა დიდ დემონსტრაციად. მიცემულ იქნა სალუტი შაშხანებით. დასაფლავების შემდეგ დაშლილმა შეიარაღებულმა ნაწილებმა ადგილზე დაბრუნების შემდეგ ფართოდ გაშალეს სააგიტაციო მუშაობა, დაიწყეს რაიონის სოფლების შეიარაღება და ელოდებოდნენ აჯანყების დაწყების საერთო ნიშანს.

მენშევიკურ მთავრობას მხედველობიდან არ გამოპარვია ჭიათურის რაიონის გლეხთა მოძრაობა და შეიარაღებული ნაწილების ერთიანი დარტყმით განიარაღებისათვის დაიწყეს მზადება. ღამით ქურდულად დაეცნენ თავს რევოლუციურ ნაწილებს სოფლებში: ნავარძეთში, კაცში, ვაჭევში, ქვაციხეში და სხვაგან. გადასწვეს რამდენიმე სოფელი, პანიკა შექმნეს გლეხებში, რომლებიც ვერ გაერკვნენ, რაში იყო საქმე, და იარაღს ყრიდნენ, ხოლო სოფელ ხრეთში, სადაც რაიონში ყველაზე ძლიერი და კარგად შეიარაღებული ნაწილი იყო, შესვლა ვერ გაბედეს. სოფ. რგანში დადგეს არტილერია და იქიდან დაიწყეს ყუმბარების სროლა. ხრეთის რევოლუციური კომიტეტი არ დაბნეულა, მოიწვია სპსწრაფო სხდომა და დაადგინა, რომ რაიონის ყველა სოფლისათვის შეეტყობინებინათ არსებული მდგომარეობა და დახმარებოდნენ ხრეთს. მენშევიკურ მთავრობას კი დელეგაცია გაუგზავნა და სთხოვა, რომ შეეწყვიტათ მშვიდობიანი მოხუცებისა და ბავშვების ზოცვა-ქლექა და იწყებდა ხრეთისა და რგანს შორის საბრძოლველად. მენშევიკებმა ეს გამოწვევა არ მიიღეს. გვარდიის ხელმძღვანელმა კანდელაკმა არტილერიის ცეცხლით რამდენიმე სახლი გადაწვა, ხოლო ხრეთის შეიარაღებული ნაწილი ძლიერმა ცეცხლმა აიძულა ტყეში გახიზნულიყო და იქიდან ეწარმოებინა პარტიზანული ბრძოლები. მენშევიკურმა გვარდიამ ჭიათურის რაიონში „წესრიგი“ აღადგინა.

შეიარაღებული რაზმების ნაწილები კი შეუერთდნენ 1918 წ. ივნისში საჩხერის რაიონის აჯანყებულ გლეხთა ნაწილებს. ნაწილი გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ნაწილი კი ტყეებში იყო გახიზნული და მოსვენებას არ აძლევდა მენშევიკურ გვარდიას.

ქიათურის რაიონის მფრინავი რაზმის ხელმძღვანელი სამხარაძე სოფლებს აწიოკებდა, სცემდა ბრძანებებს სოფელში შესვლისას. აი, მრავალთავან ერთი მაგალითი: „ამას ჩამოართვი ცხენი, იმას სიმინდი, იმას პური, ამას ცხვარი და სხვა... იმას კი არ კითხულობს აქვს ვინმეს რამე, რომ რგანში ჭინჭართი იკვებებიან, რადგან საჩხო არ აბადიათ... ხალხი მეტად უკმაყოფილო მთავრობის აგენტებით“... ამავე წერილში ვკითხულობთ, რომ „რგანის შშრომელები მოითხოვენ კომისარიატი არჩეულ იქნეს ხელახლა და თუ ის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნება რგანის შშრომელები კვლავ იარაღს მოჰკიდებენ ხელს და მოიშორებენ ამ ტანჯვის უღელსო... რგანის შშრომელი ხალხი კითხულობს და განცვიფრებულია, რატომ კომისარებს არ სჯიან დანაშაულისათვის ესაა მთავრობა?!”.

ყველგან მკვლელობა, ძარცვა, დამცირება და აბუჩად აგდება იყო გამეფებული. კაცხის საზოგადოება მოძვერთში გაძარცვის მიზნით მოკლეს ელიზბარ კაპანაძე, მთავრობას კი ზომები არ მიუღია მკვლელის აღმოსაჩენად. ქიათურის კომისარიატიდან გამოცხადებულმა მენშევიკმა მოხელეებმა მკვლელის აღმოჩენის ნაცვლად ქეიფსა და დროსტარებას მიჰყვეს ხელი, დააპატიმრეს მკვლელის ბიძაშვილები და სცემეს. ცემისაგან ერთი გავიდა, ხოლო მეორეს ცალი თვალი გამოთხარეს. კომისარ ცერცვაძეს არავინ ზღუდავდა... „წესიერების დაცვის ნაცვლად, — აღნიშნავდა ვაზეთი „შრომა“, — კომისარი ცერცვაძე ან დუქნებში, ან კანცლარიაში ანდა სხვაგან ლოთობს და

სროლას სტეხს... შიშით თავზარდაცემულ ხალხს გონიათ ან ყაჩაღები, ანდა სხვა ვინმე დაგვესხა თავს...“ ხალხს უკმაყოფილოა და ხშირად გაიგონებთ ისეთ გამოთქმებს, რომ... აბაკაროვი (ქიათურის რაიონის ყოფილი ბოქაული) ასეთ საქმეს არ ჩაღიოდაო“.

საქართველოს ყოველ კუთხეში მენშევიკები აოხრებდნენ და აწიოკებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ფართოდ გაუღეს კარი უცხოელ იმპერიალისტებს და მათ ხიშტებზე დაყრდნობით სისხლში ახრჩობდნენ ყოველივე კარგს, პროგრესულს. ქართველი მენშევიკები იმპერიალისტებს ელაჭუცებოდნენ, რომ მათ საქართველო „დამოუკიდებლად“ დაეტოვებინათ. ისინი კი უსირცხვილოდ ძარცვავდნენ ქვეყანას.

მენშევიკებმა გამიჯნეს საქართველო დიდი რუსი ხალხისაგან. ამ ამბით აღშფოთებულ, პროგრესულად მოაზროვნე ქართველ ადამიანთა სურვილს გამოხატავდა ვაზ. „შრომა“, როცა წერდა: „...ჩვენ ხალხს არ სურდა რუსეთთან კავშირის გაწყვეტა. ბიუროკრატიზმმა ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ საქართველო არ გამხდარიყო რუსეთის ორგანული ნაწილი... ჩვენი ერი დიდ რუსეთს შინაგანი ძლიერი ჯაჭვებით გადაება. ჩვენი ხალხი ბუნებრივად შეუკავშირდა რუსეთს და მის გარეშე ვერ წარმოედგინა და არც უნდოდა წარმოედგინა თავისი არსებობა... ერთ საუკუნეზე მეტია, რაც რუსეთს ჩვენი ბედი მივანდევთ, ამ ხნის განმავლობაში შევეჩვიეთ და შევეგუეთ რუსეთის კულტურას. ამ მხრივ ჩვენ და რუსეთს შეგვექმნა ერთნაირი საერთო ტრადიციები, საუკუნის მანძილზე საერთო ისტორიული წარსული, საერთო რუსის დემოკრატიასთან ჩვენი დემოკრატიის გამოსვლები თავისუფლების მოსაპოვებლად, საერთო ტანჯვა, დამარცხება და გამარჯვება ამ ნიადაგზე. ყველა ამ მოვლენებმა უხილავი შინაგანი ჯაჭვებით გადაგვება... ამიტომ რუსეთისაგან ჩამოშორება ჩვენს ხალხს არ სურს“.

1 ვაზ. „შრომა“, № 7, 1918.

ქართველმა ხალხმა იცოდა, რომ რუსეთთან ისტორიული აუცილებლობით დაკავშირებამ იგი ბევრჯერ გადაარჩინა უბედურებას, რომ ქართველმა ერმა შემთხვევით არ დაუკავშირა თავისი ბედი რუსის ხალხის ბედს და ახლა, როცა რუსეთის მშრომელებმა თავისუფლება მოიპოვეს, საქართველოს მშრომელნი, რასაკვირველია, უყურადღებოდ არ დატოვებდნენ ამ დიად ფაქტს. დიდი რუსი ხალხისაგან კვლავ დახმარებას ელოდნენ, უარყოფდნენ მენშევიკთა მოღალატურ პოლიტიკას და ერთხმად აცხადებდნენ: „ჩვენ მივდივართ, რომ შევუერთდეთ ჩვენს ძმებს — რუსებს, რომლებსაც მენშევიკებმა ჩამოგვაშორეს“¹.

1917-1918 წლებში საქართველოს თითქმის ყოველ რაიონში ხდებოდა გლეხთა აჯანყებანი, მაგრამ ეს აჯანყებები ყოველთვის მარცხდებოდა, ვინაიდან ამიერკავკასია და კერძოდ საქართველო, მოწყვეტილი იყო სოციალისტურ რუსეთს.

ამიერკავკასიის ბოლშევიკების მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „...ჩვენ ვიცით, რომ კავკასიაში ჩვენი ამხანაგი კომუნისტების მდგომარეობა განსაკუთრებით ძნელი იყო. რადგან ირგვლივ მათ დალატობდნენ მენშევიკები, რომლებიც პირდაპირ კავშირს ჰკრავდნენ გერმანელ იმპერიალისტებთან, რა თქმა უნდა, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვის საბაბით“².

ქართველ კომუნისტებს მენშევიკური მთავრობა აპატიმრებდა, ხერხებდა და ასახლებდა. ლენინის რადიოგრაჟაზე,

თუ რა მდგომარეობაა საქართველოში, ს. ქავთარაძე უპასუხებდა: „თბილისში ყველა ჩვენი ამხანაგი დაპატიმრებულია, ქუთაისში მუშაობა მიმდინარეობს იატაკქვეშ, გაცილებით უფრო მძიმე პირობებში. ვიდრე ცარიზმის დროს იყო“.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი, ბოლშევიკებთან ურთიერთობის საკითხის შესახებ წერდა: „საქართველოს საზღვრებში ბრძოლა ბოლშევიკებთან უღობივლია, ჩვენ ყველა საშუალებით, რაც ხელთ გვაქვს ვსაბოთ ბოლშევიზმს“.

ყოველივე ამან დააგვიანა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება.

1918 წლის აჯანყება არ წარმოადგენდა ერთიან რგოლს, აჯანყებები წმირად ხდებოდა სხვადასხვა რაიონში, სხვადასხვა დროს, რაიონებს შორის არ იყო კონტაქტი, ამიტომ მენშევიკური მთავრობა უცხოელი იმპერიალისტების ხიშტებზე დაყრდნობით იოლად აჭრობდა აჯანყებას.

მართალია, 1918 წლის აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ეს დამარცხება არ იყო მორალური. გლეხობა კვლავ აყენებდა საკითხს ახალი შეიარაღებული აჯანყებისათვის და ახალ გამოსავალს იმაში ხედავდა, რომ მტკიცე კავშირი შეეკრა სოციალისტურ სახელმწიფოსთან — დიდ რუსეთთან. მათ სწამდათ, რომ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით საბოლოოდ გაიმარჯვებდნენ საძულველ მენშევიკურ მთავრობაზე. ფარხმალი არ დაუყრიათ და ემზადებოდნენ ახალი შეტევისთვის, რომ ხელსაყრელ პირობებში დაემხოთ მენშევიკური მთავრობა, და ეს ასეც მოხდა.

¹ გაზეთი „ბრძოლა“, № 25, 1918 წ.

² ვ. ი. ლენინი, ტ. 28, გვ. 7.

ილია ქეკელი

დაბადებულია 60 წლის უსსრ-ში ბაქო

მათემატიკა ცოდნის უძველესი დარგია, მას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მთელი მისი ფესვებით მათემატიკა დაკავშირებულია ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობასთან, მაგრამ ამავე დროს მას თან ახლავს განვითარების შინაგანი კანონები, რაც ხასიათდება უაღრესად განყენებული, აბსტრაქტული ცნებების შემოღებით, უკიდურესად განზოგადებული და ზუსტი მსჯელობა-მტკიცებით, ეს კი ხელს უწყობს ამ სიმალლიდან ნივთიერი სინამდვილის უფრო საფუძვლიანსა და ღრმა შესწავლას.

ჯერ კიდევ მეცნიერული კომუნისტების ფუძემდებელმა მარქსმა გამოთქვა აზრი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათემატიკის როლი საერთოდ მეცნიერების პროგრესისათვის. თუ ეს ითქვამდა ასზე მეტი წლის წინათ, მით უმეტეს ითქმის მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, როდესაც მეცნიერება უშუალო საწარმოო ძალად იქცა, როცა მათემატიკა შეიჭრა ისეთ დარგებში, როგორცაა ბიოლოგია, მედიცინა, ეკონომიკა, ლინგვისტიკა და სხვა. თანამედროვე მათემატიკა წარმოადგენს მეტად ფართო და მრავალნაირად განშტოებულ მეცნიერებას, იგი სწრაფი ნაბიჯით ვითარდება, მდიდრდება კვლევის ახალ-ახალი წყაროებით. იზრდება მათემატიკური მეთოდების გამოყენების ასპარეზი.

მათემატიკური ლიტერატურის ყოველწლიური პროდუქცია ათეულ ათასობით გვერდს მოიცავს. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენს დროში მათემატიკური კულტურის დონე ცოტად თუ გვერად ახასიათებს საზოგადოების ინტელექტუალურ დონეს, რამდენადაც მათემატიკა უშუალო კავშირშია ფილოსოფიასთან, ლოგიკასთან, ხელს უწყობს მეცნიერული მსოფლმხედველობის გამომუშავებას, ამდიდრებს ადამიანის სულიერ სამყაროს.

საყოველთაოდ ცნობილია, რა დიდ სიმალღზე დგანან მათემატიკური მეცნიერებანი საბჭოთა კავშირში. განსაკუთრებით საამაყოა ჩვენთვის, რომ ქართველმა მათემატიკოსებმა დიდი წვლილი შეიტანეს მეცნიერების საკაცობრიო სავანტურში. უდავოა, დიდი შემოქმედებითი ძალის პატრონი უნდა იყოს მათემატიკოსი, რომ ასეთს ძველისძველ მეცნიერებაში, სადაც თითქმის ყოველი კონკრეტული მრავალი თაობის მიერ „მონადირებულია“ შესძლოს ფუძემდებელი შრომების შექმნა, კლასიკური მემკვიდრეობის გამდიდრება და ახალი გზების გაკავება. სწორედ ასეთ მეცნიერთა რიგებს ეკუთვნის გამოჩენილი საბჭოთა მათემატიკოსი, სახელმწიფოპედიო ჩვენი თანამემამულე, აკადემიკოსი ილია ვეკუა. როცა ჩვენ ვეცნობით ამ თვალსაჩინო მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქ-

მედების გზას, აშკარად ვხედავთ იმ ნიადაგსა და გარემოს, რომელშიც გაიფურჩქნა და შემდეგ განვითარდა ღარიბი გლეხის ოჯახში გაზრდილი, სწავლა-განათლებას მოწყურებული და ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ბიჭუნა. როგორც მზის სხივი აირეკლება დილის ნამის წვეთში, ისე ოქტომბრის ცხოველყოფილი სხივების ანარეკლს ვხედავთ ადამიანების ბედ-იღბალშიც. ილიკო სულ ათი წლისა იყო, როცა ოქტომბრის რევოლუციის ქარიშხალმა იგრაილა. ქართველი ხალხი აღორძინების გზაზე გამოვიდა. დაიმსხვრა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ყველა ბორკილი, ქართველ ახალგაზრდობას, გლეხისა თუ მუშის შვილებს გზა გაეხსნათ სწავლა-განათლების მწვერვალებსაკენ, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისაკენ. ილიასაც ბედმა არგუნა მამა-პაპური თოხისა და ქალამნისათვის გვერდი აეხვია და სოციალისტური რევოლუციით გაბრწყინებული გზით, იმედით და საკუთარი ღირსების შეგნებით შეიარაღებული წასულიყო იმ მიმართულებით, სადაც მას ბრწყინვალე მომავალი ელოდებოდა.

ილია ნესტორის ძე ვეკუა დაიბადა 1907 წლის 23 აპრილს სოფელ შემელეთში (ამჟამად გალის რაიონში). პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფლის სკოლებში, ხოლო საშუალო განათლების ატესტატი ზუგდიდის შრომის სკოლაში 1925 წელს. იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ჭერ კიდევ სტუდენტობის დროს მუშაობა დაიწყო საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიაში დამკვირვებლად, ხოლო შემდეგ კარსანის მაგნიტურ ობსერვატორიას დაუკავშირდა. 1930 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და გადაწყვიტა სამეცნიერო მუშაობისათვის მოეკიდა ხელი. ნიკო მუსხელიშვილის სარეკომენდაციო წერილით შეიარაღებული

ილია გაემგზავრა ლენინგრადში სახელმძღვანელო მათემატიკოსსა და მექანიკოსთან, აკადემიკოს ა. ნ. კრილოვთან. რომელმაც რამდენიმე საუბრის შემდეგ ამ ახალგაზრდა ადამიანში დაინახა ყველა მონაცემი, რაც საწინდარი უნდა ყოფილიყო ნაყოფიერი შემოქმედებითი სამეცნიერო მუშაობისათვის. პირველ რიგში ხელმძღვანელმა ურჩია მას საფუძვლიანად გასცნობოდა ნ. მუსხელიშვილის შრომებს, რომელნიც მათემატიკური ფიზიკისა და კერძოდ დრეკადობის თეორიას შეეხებოდნენ. ამ შრომებმა გადაწყვეტი მიიშველოება იქონია ილიას სამეცნიერო კვლევის მიმართულების არჩევისათვის. ასპირანტურაში ყოფნისას მან რამდენიმე ორიგინალური გამოკვლევა შეასრულა: ესენი შეეხებოდნენ დრეკადი რხევების გავრცელებას უსასრულო არეში და დრეკადობის ზოგადი თეორიის ზოგიერთ სპეციალურ საკითხს. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ 1933 წელს ილია დაბრუნდა თბილისში როგორც უკვე მომწიფებული ახალგაზრდა მეცნიერი და შეუდგა ლექციების კითხვას უნივერსიტეტში.

1935 წელს საკავშირო აკადემიის საქართველოს ფილიალთან მათემატიკის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა, სადაც ილიას 1940 წლამდე სწავლული მდივნის თანამდებობა ეკავა. 1937 წელს მან საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, ხოლო ორი წლის შემდეგ 32 წლის ასაკში უკვე დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. 1940 წელს პროფესორის წოდება მიენიჭა. ამ დროიდან ილია ვეკუას მოღვაწეობის ასპარეზი გაფართოვდა. გარდა სამეცნიერო მუშაობისა, — იმ დროისათვის მას რამდენიმე ათეული შრომა ქონდა გამოქვეყნებული, — იგი ფართო ორგანიზატორულსა და ადმინისტრაციულ მუშაობას ეწეოდა; იყო მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, უნივერსიტეტის

პრორექტორი სასწავლო დარგში (1944-47).

1944 წელს ი. ვეკუა არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1946 წელს საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად და საქართველოს აკადემიის ნამდვილ წევრად. 1947 წლიდან სამი წლის განმავლობაში აკადემიკოს-მდივნის თანამდებობა ეკავა.

1950 წელს ი. ვეკუას მიენიჭა სახელმწიფო პრემია მონოგრაფიისათვის „ელიფსურ განტოლებათა ამოხსნის ახალი მეთოდები“ (რუსულ ენაზე). 1951 წელს ილია მიიწვიეს მოსკოვის ცენტრალურ აეროჰიდროდინამიკის ინსტიტუტში განყოფილების გამგედ, ხოლო 1952-53 წ. იგი საკავშირო აკადემიის ზუსტი მექანიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა, ამავე დროს მოსკოვის უნივერსიტეტის დიფერენციალურ განტოლებათა კათედრის პრიფესორია. 1955-59 წ. განმავლობაში ასრულებდა საკავშირო აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თანამდებობას.

1958 წელს ი. ვეკუა არჩეულ იქნა საკავშირო აკადემიის ნამდვილ წევრად და ციმბირის განყოფილების პრეზიდენტის წევრად. 1959 წელს დაინიშნა ნოვოსიბირსკის ახლად დაარსებული უნივერსიტეტის რექტორად; ამ თანამდებობაზე მან ხუთი წელიწადი დაჰყო.

1963 წ. ილია ვეკუას მიენიჭა ლენინის სახელობის პრემია ვრცელი მონოგრაფიისათვის „განზოგადოებული ანალიზური ფუნქციები“ (რუსულ ენაზე). 1964 წ. ილია დაბრუნდა თბილისში, სადაც მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად იქნა არჩეული. 1965 წლიდან იგი დღემდე სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია.

თუ ამას დავუმატებთ, რომ ი. ვეკუა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრია, საბჭოთა კავ-

შირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური წევრი, ნათლად დავინახავთ, თუ რა დიდი და მრავალფეროვანი საქმიანობით დატვირთული გზით მიემართება მჩქეფარე ენერგიით სავსე ეს სახელოვანი მეცნიერი და მოღვაწე.

ილია ვეკუა ასორმოცდაათამდე ნაშრომის ავტორია, რომელთა შორის მრავალი ფართოდ ცნობილია, როგორც ჩვენში, ისე შორს უცხოეთში. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადებას საქმეში. მისი ხელმძღვანელობით არაერთი ათეული მეცნიერი აღიზარდა, მეცნიერებათა კანდიდატები, დოქტორები, მათ შორის არამხოლოდ საბჭოთა კავშირის მკვიდრნი, არამედ უცხოელიც მრავალია — პოლონელი, გერმანელი, ჩინელი, ამერიკელი, კორეელი და სხვები. ი. ვეკუას ხელმძღვანელობით ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტი განვითარდა როგორც ახალი ტიპის უმაღლესი სკოლა, რომელიც მკვიდროდ დაუკავშირდა საკავშირო აკადემიის ციმბირის განყოფილების ინსტიტუტებს. სტუდენტები ჩაბმული არიან ამ ინსტიტუტების სამეცნიერო მუშაობაში, უნივერსიტეტში კათედრებს ხელმძღვანელობენ და ლექციებს კითხულობენ აკადემიკოსები, წევრ-კორესპონდენტები, ცნობილი მეცნიერნი — დოქტორები, პროფესორები. ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტი და ციმბირის განყოფილება მძლავრ სამეცნიერო, ცენტრად გადაიქცა, რამაც ილია ვეკუამ დიდი წვლილი შეიტანა. ილია სასურველი სტუმარი და აქტიური მონაწილეა მათემატიკოსთა საკავშირო თუ საერთაშორისო შეკრებების—კონგრესის, კონფერენციის, სიმპოზიუმის. ამ 7-8 წლის განმავლობაში მან იმოგზაურა პოლონეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში, ინგლისში, შვეიცარიაში, ფინეთში, პოლანდიაში და

დანიამი; ხანგრძლივად იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ლექციებს კითხულობდა სხვა და სხვა ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში და ამავე დროს ეცნობოდა საუნივერსიტეტო განათლების ორგანიზაციისა და სასწავლო პროცესის წარმართვის საქმეს.

თუ რამდენად მიმზიდველია ილიას სამეცნიერო მოხსენებანი მათემატიკურ საზოგადოებრიობისათვის და რამდენად დიდია მისი ავტორიტეტი, როგორც წამყვანი მეცნიერისა და კონსულტანტის, ამის არაერთი მაგალითის მოტანა შეიძლება. ამ რამდენიმე წლის წინათ ლენინგრადში მათემატიკოსთა საკავშირო ყრილობა ჩატარდა, სადაც ერთერთ პლენარულ სხდომაზე ილია ვეკუა მოხსენებით გამოვიდა. დიდი აუდიტორია ხალხს ვერ იტევდა, ბევრი მსმენელი ფეხზე იდგა მეზობელ დერეფანში და იქიდან ცდილობდა ცოტაოდენი მაინც მოესმინა. როდესაც მოხსენება დამთავრდა და კამათისათვისაც რეგლამენტი ამოიწურა, აუდიტორია ნელ-ნელა დაიშალა, მაგრამ ამავე დროს ილიასთან მიმსვლელთა დიდი რიგი შეიქმნა, ზოგს შეკითხვა ჰქონდა, ზოგი რჩევა-კონსულტაციას ითხოვდა, იყვნენ ახალგაზრდებიც და ქალბატონებიც. ილია დაღლილი და აწითლებული კათედრაზე იდგა და არიგებდა „ძვირფას საქონელს“.

ამასობაში ამ სტრიქონების ავტორი ერთი იუმორისტული სურათის მოწმეც გახდა. წასასვლელად გავემზადე და აუდიტორიის გასასვლელ კარებთან რომ მივედი, აქვე კედელთან მდგომი ილიას მეუღლე დავინახე, რომელიც დაღონებულად მეჩვენა. „რამ შეგაწუხათ, ქალბატონო თამარ?“ — შევეკითხე. თურმე სასტუმროში მიეჩქარება, ორიოდე სიტყვა აქვს სათქმელი ილიასთან საოჯახო საქმეებზე და სურს როგორმე მოახერხოს მასთან მისვლა, თან ერიდება. „სხვა გზა არ არის, რიგში უნდა დადგეთ, ქალბატონო“ — ვურ-

ჩიე. რამე უსიამოვნება არ მოხდეს მეთქი და თქვენ, დარბაისკელ მენდელსონანი, რიგგარეშე მისულეთ უნდა გამოგაბრუნონ მეთქი. „ეშჩო ჩევო ნე ხვატალო“ ვო — მკვახედ მომახალა და ცოტა არ იყოს გაჯავრებული წინ გაემართა. მე შიშმა ამიტანა და, მართლაც, რიგის თავში რაღაც ჩოჩქოლი შეიქნა, მაგრამ საბედნიეროდ ყველაფერი მშვიდად დამთავრდა, ვინაიდან იქვე ილიას მეგობრები იდგნენ, რომელნიც იცნობდნენ მის მეუღლეს, და თავაზიანად გზა გაუხსნეს. შიში ამით ჩემში არ შენელებულა, რადგან ვიცოდი ილიას ფიცხი ხასიათი. სად ეცალა მას საოჯახო საქმეებისათვის, ვიფიქრე ვაი თუ... ვაი თუ-მეთქი. მაგრამ აქაც მშვიდად დამთავრდა ყველაფერი; როგორც შორიდან შევნიშნე, ტკბილად მოისაუბრეს, რის შემდეგ თამარი უკან გამობრუნდა, მე კი გავიპარე.

მეცნიერის დახასიათებისათვის არ კმარა მხოლოდ მისი ცხოვრების ზოგადი აღწერა ქრონოლოგიის მიხედვით. საზოგადოებას აინტერესებს, რა გააკეთა მან როგორც მკვლევარმა, რა შესძინა, რა წვლილი შეიტანა მეცნიერებაში. უნდა გარკვევით ითქვას, რომ ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალის ფურცლებზე ძალიან ძნელია მათემატიკოსის ნამოღვაწარის გადმოცემა, ამიტომ აქ მხოლოდ ზერეულ დასურათებით უნდა დაეკმაყოფილდეთ. საქმე ის არის, რომ ჩვენს დროში მათემატიკის საგანი პროცენტების გამოანგარიშება თუ მიწის ნაკვეთის გაზომვა კი არ არის, რაც უკვე ძველი ბაბილონის დროსაც კარგად იცოდნენ. თანამედროვე მათემატიკა შეიარაღებულია ნივთიერი სინამდვილის შესწავლის მრავალნაირი მძლავრი მეთოდებით. მათემატიკა წარმოადგენს მრავალი საუკუნის განმავლობაში გამოუმუშავებულს თავისებურ ენას, რომელშიც გამეფებულია სხვა და სხვა სპეციალური სახის ნიშნების, სიმბოლოების ხმარება, ზოგი მათგანი იეროგლიფებით უცნაურად

გამოიყურება. ასეთი ენა გამიზნულია ცნებების ზუსტი განსაზღვრისაგან, მსჯელობის, დასაბუთების, მტკიცების ლოგიკური სიმკაცრისაგან. როგორც ამბობენ, ამ ენაზე „ლაპარაკობს“ ბუნება, ამ ენაზე გამოითქმის მოვლენათა მიმდინარეობის კანონზომიერებანი. ამიტომ არის ასე გამწვანებული მათემატიკური შრომის პოპულარულად გადმოცემა იმათთვის, ვისაც ეს ენა ცოტად თუ ბევრად ათვისებული არ აქვს.

მიუხედავად ამისა, მკითხველს ვთავაზობთ ორიოდ სიტყვას იმის დასასურათებლად, თუ რა წვლილი შეიტანა ილია ვეკუამ მათემატიკურ მეცნიერებაში. როგორც უკვე შესავალში იყო აღნიშნული, მათემატიკაში მკაფიოდ იჩენს თავს ტენდენცია განზოგადებისაკენ, მაგრამ ყოველნაირი განზოგადება კი არ ამდიდრებს მეცნიერებას, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც ახალი გზებისაკენ მიუთითებს, მოვლენათა კვლევას ახალ ნიადაგს მიუჩენს. ეს კი შეუძლია მხოლოდ ისეთ მკვლევარს, რომელიც ღრმად აზროვნებს, შორს ხედავს, სხვადასხვა მოვლენათა შორის კავშირს გრძნობს, უნარი აქვს გაითვალისწინოს კვლევის მოსალოდნელი შედეგი. ილიამ სწორედ ამ მიმართულებით გაითქვა სახელი. მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. ანალიზურ ფუნქციათა თეორია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ამ ასორმოცდაათი წლის წინათ და რომელიც დღესდღეობით ღრმად დამუშავებულ დარგს წარმოადგენს და ერთო გამოყენება აქვს მათემატიკურ ანალიზში, მექანიკაში, გეომეტრიაში და სხვაგან, ეს თეორია სუსტი აღმოჩნდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი და ამავე დროს რთული ამოცანების ამოსახსნელად. საფუძვლიანი კვლევის შედეგად ილია ვეკუა მიხვდა, თუ რა მიმართულებით უნდა ყოფილიყო განზოგადებული კლასიკური მეთოდები, რომ ამ უფრო მახვილი იარაღით ხსნებულ ამოცანების ამოსხნა შესაძლებელი გამხდარიყო. ამასთან დაკავშირებულმა

ილიას შრომებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვეს, რადგან ცხადი გახდა, რომ ამ ახლად გადაშლილ „შტრაგმას“ მიუყვებათ კვლევის მეტად ფართო ასპარეზისაკენ. გამოიჩევა, რომ ამას მკიდრო კავშირი აქვს ე. წ. დიფერენციალური გეომეტრიის სპეციალურ საკითხებთან, როგორც, მაგალითად, ზედაპირთა უსასრულოდ—მცირე ლენვის ამოცანასთან, აგრეთვე გარსთა თეორიასთან, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საინჟინრო კონსტრუქციების გაანგარიშებისათვის. ამ შრომების საფუძველზე ბევრი მნიშვნელოვანი გამოკვლევა გამოქვეყნდა სხვადასხვა ავტორების მიერ საბჭოთა კავშირში და უცხოეთშიც. ილიას ეს შრომები თავმოყრილია მის ვრცელ მონოგრაფიაში, რომელიც უკვე ზემოთ ნახსენები იყო და რომელსაც ლენინის სახელობის პრემია მიენიჭა. ეს იყო ქართული მათემატიკური სკოლის ერთერთი მეთაურის ნამდვილად დიდი გამარჯვება.


ამაზე ცოტა უფრო ადრე ი. ვეკუას სახელმწიფო პრემია მიენიჭა აგრეთვე შემაჯამებელი მონოგრაფიული ნაშრომისათვის (ზემოთ დასახელებული იყო). სადაც შესწავლილია ე. წ. ელიფსური ტიპის დიფერენციალური განტოლებანი. ასეთი სახის განტოლებებით ბუნების მრავალი მოვლენა აღიწერება, მაგრამ ამ განტოლებებს უამრავი ამონახსენი აქვთ, მაშინ როდესაც შესასწავლი კონკრეტული ამოცანისათვის, ცხადია, სრულიად გარკვეული მისი შესაბამისი პასუხი უნდა ვეძებოთ. ასეთ შემთხვევაში ორი გზა არსებობს — ან უნდა როგორმე მოვახერხოთ ყველა შესაძლებელი ამონახსენი ერთი ზოგადი სახით წარმოვადგინოთ და მერე აქედან შევეცადოთ ის ერთადერთი გამოვყოთ, რომელიც ამოცანას უპასუხებს, ან კიდევ ყოველი კონკრეტული ამოცანისათვის საკუთარი, ამის შესაფერისი ხერხი შევიფუშაოთ. ზოგიერთ მართივ შემთხვევაში წინათაც იყო პირველი გზა გამოყენებული, ესე იგი ზოგა-

დი წარმოდგენის წესი, მაგრამ ამას დიდი შედეგი არ მოჰყოლია და ბოლო დროს ნივიწყებულიც იქნა. ი. ვეკუამ სრულიად ახლებურად დაამუშავა ზოგად წარმოდგენათა მეთოდი ზემოხსენებული ტიპის განტოლებათათვის და აჩვენა, რამდენად ეს ეფექტური და სასარგებლოა მათემატიკური ფიზიკის მრავალნაირი მნიშვნელოვანი ამოცანის ამოსახსნელად.

ილიას შემოქმედებას ფართო დიაპაზონი აქვს. ჩვენ აქ ვერ შევხებით ყველა იმ მიმართულებას, რომლებიც მის ყურადღებას იპყრობს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს არის მეცნიერი, რომლისათვისაც თეორიული და გამოყენებითი მათემატიკის დარგები ერთნაირად მიმზიდველი და სისტემატური კვლევის ასპარეზია.

დასასრულ, ყველა ზემოხსენებულს უნდა დავუმატოთ, რომ ილია მკვერ-მეტყველი ორატორია, მას ენერჯება ზუსტი, დახვეწილი, დასაბუთებული მსჯელობა, ფორმითაც მომზიბლავი და შინაარსითაც ყოველნაირად გამართული. მიუხედავად მრავალნაირი საქმიანობითი დატვირთვისა, ილია დროს პოულობს ბუნების წიაღში გასასვლელად, დასასვენებლად, უყვარს მოგზაურობა, იცის მოღზენაც და მარილიანი ოზუნჯობაც. სპორტული ენით თუ ვიტყვით, ამჟამად იგი შემოქმედების სრულ ფორმშია.

ვესურვით ძვირფას ილიას ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, ბედნიერი ცხოვრება და შემოქმედებითი ძალღონე მეცნიერების საკეთილდღეოდ, ჩვენი ხალხის სასახელოდ, საამაყოდ, ახლობლებისა და მეგობრების სასიხარულოდ.



80 80 333.

И Н Д Е К С
76128
06106070
2482010333

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО «ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»